სისხლისსამართლებრივი კვლევები

სამეცნიერო რედაქტორი
სამართლის დოქტორი, პროფესორი
მერაბ ტურავა

წიგნი II

CRIMINAL LEGAL STUDIES

Academic editor
PhD professor
Merab Turava

book II

STRAFRECHTLICHE UNTERSUCHUNGEN

Herausgegeben vom
Professor, Dr. **Merab Turava**

Band II

ლევან ხარანაული

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2014

უაკ (UDC) 343.23
ხ-92

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მერაბ ტურავა

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
პროფესორი

რეცენზენტები:

გურამ ნაჭყებია

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტირებული პროფესორი

ირაკლი დვალიძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

© გამომცემლობა „მერიდიანი", 2014
© ლ. ხარანაული

ISBN 978-9941-10-863-1

LEVAN KHARANAULI

Criminal liability for incomplete crime according to Georgian and German Criminal Law

(comparative legal research)

Publishing house „Meridiani"
Tbilisi 2014

Academic editor:

Merab Turava

Doctor of Law, Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Reviewers:

Guram Nachkebia

Doctor of Law, Professor, Emeritus
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Irakli Dvalidze

Doctor of Law, Associated Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

© Publishing house „Meridiani", 2014
© L. Kharanauli

ISBN 978-9941-10-863-1

LEVAN KHARANAULI

Die Bestrafung der unvollendeten Straftaten – Eine rechtsvergleichende Analyse zum georgischen und deutschen Strafrecht

Verlag „Meridiani"
Tbilisi 2014

Wissenschaftlicher Betreuer:

Merab Turava

Professor, Doktor,
Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi

Rezensenten:

Guram Nachkebia

Professor, Doktor,
Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi

Irakli Dvalidze

Assozierter Professor, Doktor,
Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tbilisi

© Verlag „Meridiani"
© L. Kharanauli

ISBN 978-9941-10-863-1

წინათქმა

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია.

დაუმთავრებელი დანაშაულის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით მეტად საინტერესო და ამავდროულად სასარგებლო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა განიცდის გერმანული სისხლის სამართლის გავლენას, მათ შორის მაინც არსებობს პრინციპული განსხვავება. მაშინ როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის მცდელობასთან ერთად დანაშაულის მომზადებაც ისჯება, გერმანული სისხლის სამართლის კანონდმებლობა მხოლოდ დანაშაულის მცდელობის დასჯადობას აღიარებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობებს შორის არსებული განსხვავებების გარდა, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგამატიკა და სასამართლო პრაქტიკა ასევე გამოირჩევა თავისებურებით, რომლის დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია წიგნში.

ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომს არ გააჩნია დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების საბოლოო გადაჭრის პრეტენზია, არამედ მას მხოლოდ მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში.

ნაშრომი წიგნად ვერ იქცეოდა და დღის სინათლეს ვერ იხილავდა ჩემი პროფესორ-მასწავლებლებისა და კოლეგების დახმარების გარეშე. ამ მხრივ, მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის ბატონ მერაბ ტურავას მიმართ.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს რეცენზენტებს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ემერიტირებულ პროფესორს ბატონ გურამ ნაჭყებიას და ასოცირებულ პროფესორს ბატონ ირაკლი დვალიძეს, მათ მიერ ნაშრომის ირგვლივ მოცემული კრიტიკული შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის.

ჩემი სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობაში დიდი წვლილი შეიტანა გერმანიის მთავრობამ, კერძოდ, ბერლინის პარლამენტმა, რომელმაც

დააფინანსა გერმანიაში ჩემი ერთწლიანი სამეცნიერო მივლინება, რისთვისაც ვუხდი მადლობას.

ასევე, მადლიერებას გამოვხატავ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, ბატონ ბერნდ ჰაინრიხის მიმართ, რომელმაც გერმანიში ყოფნის პერიოდში გამინია სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

დაბოლოს, მადლობას გადავუხდი ჩემს მეუღლესა და ოჯახს, რომელთა გვერდში დგომისა და მხარდაჭერის გარეშე დისერტაციაზე მუშაობა გაცილებით რთული იქნებოდა.

ლევან ხარანაული
სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

Foreword

The liability for the incomplete crime is one of the significant issues of criminal legal science, which in addition to its theoretical ramifications also has practical importance. Comparative legal overview of incomplete crime according to Georgian and German criminal law leads to interesting and useful conclusions.

Despite the fact that Georgian criminal legislation is heavily influenced by German criminal law, there are still important differences. While according to Georgian criminal legislation not only the attempted crime but also the preparation of the crime is punishable, the German criminal law recognizes only the criminal liability for the attempted crime.

In addition to differences between criminal legislations, Georgian and German criminal legal science and case law are also distinguishable by specific features that will be discussed in detail in this book.

However, it must be noted that the present study does not claim to propose a definite solution of the problems related to incomplete crime but only brings a modest contribution to the development of criminal legal science and the case law.

The present study could not turn into a book without the help of my professors, teachers and colleagues. In this respect I would like to express a particular gratitude towards my academic supervisor - PhD in law, professor of the Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Mr. Merab Turava.

I also would like to give particular thanks to reviewers: professor emeritus of the faculty of law of the Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Mr. Guram Nachkebia and associated professor Irakli Dvalidze for critical comments and recommendations.

A particular contribution to my academic work was provided by the government of Germany, notably, the Parliament of Berlin, which funded my academic trip to Germany and I would like to express a particular gratitude for this contribution.

I also would like to express a particular gratitude towards the professor of the faculty of law of the University of Humbolt, Mr. Bernd Heinrich, which carried out the academic supervision during my stay in Germany.

Finally I would like to give special thanks to my wife and my family without the support of which would be very difficult to work on the present study.

LEVAN KHARANAULI

Doctor of law, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, 2014

Vorwort

Die Bestrafung der unvollendeten Straftaten ist eine der wichtigsten Fragen der Strafrechtswissenschaft, die neben einer theoretischen auch eine praktische Bedeutung hat.

Die rechtsvergleichende Analyse der Strafbarkeit unvollendeter Taten nach dem georgischen und dem deutschen Strafrecht gibt uns die Möglichkeit, interessante und gleichzeitig nützliche Schlussfolgerungen zu ziehen.

Obwohl das deutsche Strafrecht einen grossen Einfluss auf das georgische Strafrecht hat, bestehen dennoch wichtige Unterschiede. Während in der georgischen Gesetzgebung neben dem Tatversuch auch die Tatvorbereitungshandlung strafbar ist, anerkennt die deutsche Strafgesetzgebung die Strafbarkeit der Tatvorbereitung nur in einigen Ausnahmefällen. Außer diesem Unterschied zwischen den Strafgesetzgebungen, zeichnen sich die georgische und deutsche Dogmatik des Strafrechts und die Gerichtspraxis durch Besonderheiten aus, die im vorliegenden Buch eingehend analysiert werden.

Ungeachtet dessen ist zu betonen, dass die vorliegende Arbeit keinen Anspruch auf die Lösung der mit der Strafbarkeit einer unvollendeten Tat im Zusammenhang stehenden Probleme erhebt, sondern lediglich einen kleinen Beitrag zur Entwicklung der Dogmatik des georgischen Strafrechts und der Gerichtspraxis leisten kann.

Die Arbeit hätte ohne Beistand meiner Kolleginnen und Kollegen weder zu einem Buch noch veröffentlicht werden können. In dieser Hinsicht möchte ich mich besonders bei meinem Betreuer Herrn Dr. Merab Turava, Professor an der Rechtswissenschaftlichen Fakultät der Staatlichen Ivane Javakhishvili Universität Tbilisi, bedanken.

Darüber hinaus bedanke ich mich bei den Rezensenten meiner Arbeit, Herrn Dr. Guram Nachkebia, emeritierter Professor an der Rechtswissenschaftlichen Fakultät der Staatlichen Ivane Javakhishvili Universität Tbilisi, und Herrn Dr. Irakli Dvalidze, assoziierter Professor an der Rechtswissenschaftlichen Fakultät der Staatlichen Ivane Javakhishvili Universität Tbilisi, für ihre Ratschläge und kritische Anmerkungen zu meiner Arbeit.

Meine Forschungsarbeit wurde von der Stiftung des Abgeordnetenhauses von Berlin gefördert. Hierfür gilt der Stiftung mein herzlichster Dank.

Ich bedanke mich außerdem bei Herrn Dr. Bernd Heinrich, Professor an der Juristischen Fakultät der Humboldt Universität zu Berlin, der meine Arbeit während meines Aufenthaltes in Deutschland wissenschaftlich betreut hat.

Nicht zuletzt bedanke ich mich bei meiner Ehefrau und meiner Familie, ohne deren Beistand mir die Arbeit an meinem Forschungsprojekt nicht möglich gewesen wäre.

Dr. LEVAN KHARANAULI
Staatliche Ivane Javakhishvili Universität
Tbilissi, 2014

სარჩევი

წინათქმა IX
Foreword XI
Vorwort XII
გამოყენებული აბრევიატურა XXIII
ზოგადი შესავალი 1
კარი I. დაუმთავრებელი დანაშულის ინსტიტუტის განვითარების ისტორიული ექსკურსი ქართული და გერმანული სისხლის სამართალის მიხედვით 6
თავი I. დაუმთავრებელი დანაშაულის მოკლე ისტორიული ანალიზი ძველქართული და საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით 6
§1. დანაშაულის მომზადება და მცდელობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით 6
§2. დანაშაულის მომზადება და მცდელობა ქართულ ჩვეულებით სამართალში 8
§3. დანაშაულის მომზადების და მცდელობის განვითარება საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართალში 10
3.1. პირველი საკანონმდებლო რეფორმა 10
3.2. მეორე საკანონმდებლო რეფორმა 12
§4. შეჯამება 13
თავი II. დანაშაულის მცდელობის განვითარების ისტორიული ეტაპები გერმანულ სისხლის სამართალში 15
§1. დანაშაულის მცდელობის განვითარების პირველი ეტაპი 15
§2. დანაშაულის მცდელობის განვითარების მეორე ეტაპი 18
§3. შეჯამება 22
კარი II. დამთავრებული დელიქტის ცნება და სახეები. დანაშაულის განვითარების სტადიები და დანაშაულის ეტაპები ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 24
თავი I. დამთავრებული დელიქტის ცნება და სახეები 24
§1. დამთავრებული დანაშაული და მისი სახეები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით 24
§2. დამთავრებული დანაშაული და მისი სახეები გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 30
§3. შეჯამება 33

თავი II. დანაშაულის განვითარების სტადიები და ეტაპები 34
§1. დანაშაულის სტადიების ზოგადი ანალიზი 34
§2. დანაშაულის სტადიების და დანაშაულის ეტაპის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის 36
§3. შეჯამება 38
კარი III. დანაშაულის მომზადების არსი და მისი დასჯადობის თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 40
თავი I. დანაშაულის მომზადების ნიშნები და მისი დასჯადობის თავისებურებანი თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მიხედვით 40
§1. დანაშაულის მომზადების ცნება და მისი ძირითადი ფუნქციები 40
§2. დანაშაულის მომზადების ნიშნები და სახეები 42
2.1. დანაშაულის მომზადების ობიექტური ნიშნები 42
2.2. დანაშაულის მომზადების სუბიექტური ნიშნები 47
2.3. დანაშაულის მომზადების სახეები 49
§3. დანაშაულის მომზადების დასჯადობის დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველი 50
§4. დანაშაულის მომზადების დასჯადობის პრობლემატური შემთხვევები 63
§5. დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიზანშეწონილობის შესახებ გამოთქმული შეხედულებები 66
§6. შეჯამება 70
თავი II. დანაშაულის მომზადების დასჯადობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 71
§1. დანაშაულის მოზადების დასჯადობის თავისებურებანი 71
1.1. დანაშაულის მომზადების დაუსჯელობის მიზეზები 71
1.2. დანაშაულის მომზადების დასჯადობის საგამონაკლისო შემთხვევები 74
1.2.1. დანაშაულის მომზადების დასჯადობა დანაშაულის შემადგენლობის გაფართოების გზით 74
1.2.2. დანაშაულის მომზადების დასჯადობა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობების შექმნის ხარჯზე 77
1.2.3. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დასჯადი მოსამზადებელი ქმედებები 79

1.2.3.1. ნორმის შინაარსი და მისი შემოღების აუცილებელი მიზეზი....79
1.2.3.2. ნორმის ბუნება და მისი რეგულირების ფარგლები..81
§2. დანაშაულის მომზადების სახეები....86
§3. შეჯამება....87
კარი IV. დანაშაულის მცდელობა და მისი დასჯადობის თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით....89
თავი I. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები....89
§1. დანაშაულის მცდელობის ცნება და მისი ნიშნები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით....89
§2. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით....91
§3. შეჯამება....96
თავი II. დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ განვითარებული შეხედულებები....97
§1. კლასიკური თეორიები....98
1.1. ობიექტური თეორიების სათავეებთან....98
1.1.1. მცდელობის ფორმალურ-ობიექტური თეორია....99
1.1.2. მცდელობის პირობათა თეორია....101
1.1.3. მოძღვრება დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობაზე....102
1.1.4. მატერიალურ-ობიექტური თეორია....103
1.1.5. საფრთხის შემქმნელი თეორია....104
1.1.6. ხელყოფის თეორია....107
1.1.7. ობიექტური თეორიების შეფასება....108
1.2. სუბიექტური თეორიები....109
1.2.1. ბურის თეორია....109
1.2.2. ნების ობიექტივაციის თეორია....110
1.2.3. მონონების თეორია....110
1.2.4. დარწმუნების თეორია....111
1.2.5. სუბიექტური თეორიების შეფასება....112
1.3. მცდელობის შერეული თეორიები....112
1.3.1. ბაუმანის თეორია....112
1.3.2. დანაშაულებრივი გეგმის თეორია....113
1.3.3. ბრალისა და სასჯელის ერთიანობის თეორია....113
1.3.4. სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორია....115
1.3.5. შერეული თეორიების შეფასება....117

§2. დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული
თანამედროვე თეორიები 117
2.1. ნაწილობრივ განხორციელებული ქმედების თეორია 117
2.2. როქსინის თეორია 118
2.3. ინტერპრეტაციის თეორია 119
2.4. კრატცშის მოძღვრება 119
2.5. მცდელობის დუალისტური თეორია 120
2.6. დანაშაულებრივი ნების დადასტურების თეორია 122
2.7. ზაცჩიკის შეხედულება მცდელობის შესახებ 123
2.8. იაკობსის ნორმატიული მოძღვრება მცდელობის შესახებ 124
2.9. თანამედროვე თეორიების შეფასება 124
§3. ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის
მცდელობის შესახებ განვითარებული შეხედულებები 125
3.1. მცდელობის ობიექტური თეორია 125
3.2. ახალი ობიექტური თეორია 127
3.2. მცდელობის შერეული თეორია
(გაბატონებული შეხედულება) 129
§4. შეჯამება 130
თავი III. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური დახასიათება
ქართული და გერმანული სისხლის სამართლის
მიხედვით 131
§1. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური ნიშნები ქართული
სისხლის სამართლის მიხედვით 131
1.1. შეცდომის როლი ქმედების დანაშაულის მცდელობად
შეფასებაში 137
1.2. განზრახვის სახეებად დაყოფის მნიშვნელობა ქმედების
დანაშაულის მცდელობად შეფასების საკითხში 144
1.3. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის
შესახებ გამოთქმული შეხედულებები 147
1.4. ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთების ცდა
შემთხვევათა ჯგუფების საფუძველზე 155
§2. დანაშააულის მცდელობის სუბიექტური ნიშნების
თავისებურებანი გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 162
2.1. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური სფეროს ზოგადი
დახასიათება 162
2.2. დანაშაულებრივი გადაწყვეტილება, განზრახვა და დანაშაულის
შესახებ წარმოდგენა 163

2.3. შეხედულებები ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის შესახებ 173
§3. შეჯამება 180
თავი IV. დანაშაულის მცდელობის ობიექტური დახასიათება და მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის საკითხი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 182
§1. დანაშაულის მცდელობის ობიექტური დახასიათება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით 182
1.1. მცდელობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი 182
1.2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა, როგორც მცდელობის უმართლობის ობიექტურ ნიშანი 184
1.3. დასჯადობა, როგორც მცდელობის ობიექტური ნიშანი 187
§2. დანაშაულის დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სახეები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით 191
§3. დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკა ქართულ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში 194
§4. დანაშაულის მცდელობის დაწყების ასათვლელად გამოყენებული კრიტერიუმები გერმანულ სისხლის სამართალში 202
4.1. მცდელობის დაწყების თავისებურებანი დაუმთავრებელი მცდელობის დროს 202
4.2. მცდელობის დაწყების საკითხის ახსნა შემთხვევათა ჯგუფების საფუძველზე 208
4.2.1. ობიექტთან მიახლოების შემთხვევა 208
4.2.2. ჩასაფრების და დალოდების შემთხვევა 210
4.2.3. შემოწმების შემთხვევა 211
4.2.4. წინააღმდეგობის შემცირების შემთხვევა 211
4.2.5. ერთიანი დელიქტისა და მრავალაქტიანი დელიქტის შემთხვევები 212
4.2.6. დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილი ქმედებები 213
4.2.7. შემთხვევა, რომელიც ეხება სექსუალურ ურთიერთობას თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან 214
4.2.8. სხვა დანარჩენი შემთხვევები 215
4.3. დამთავრებელი მცდელობის ცნება და მისი დაწყების თავისებურებანი 217
§5. შეჯამება 222
თავი V. დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხი ზოგიერთი სახის დანაშაულებში 224

§1. დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხი
ზოგიერთი სახის შედეგიან და შედეგგარეშე დელიქტებში
ქართული სისხლის სამართლის მიხედვით 224
§2. მცდელობის შესაძლებლობის საკითხი უმოქმედობით დელიქტებში
გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 231
2.1. მცდელობის დანყების საკითხი შერეული უმოქმედობის
დელიქტებში 231
2.1.1. უმოქმედობის დელიქტები „დამთავრებული
მცდელობის თეორიის" მიხედვით 232
2.1.2. დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის გამიჯვნა
უმოქმედობის დელიქტებში „დიფერენცირებული
თეორიის" მიხედვით 233
2.1.3. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის დანყების საკითხი
„პირველივე შესაძლო აქტის თეორიის" მიხედვით 234
2.1.4. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის დანყების საკითხი
„ბოლო შესაძლო აქტის თეორიის" მიხედვით 234
2.1.5. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის დაწყების განსაზ-
ღვრა „უშუალო საფრთხის თეორიის" მიხედვით 235
2.1.6. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის განსაზღვრის
„ალტერნატიული თეორია" 236
(გაბატონებული შეხედულება) 236
2.2. მცდელობის დასჯადობის საკითხი ნმინდა უმოქმედობის
დელიქტებში 236
§3. დანაშაული მცდელობის შესაძლებლობა შედეგით
კვალიფიცირებულ დელიქტებში გერმანული სისხლის
სამართლის მიხედვით 237
3.1. განზრახვით მოცული თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული
მცდელობა 238
3.2. თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა 240
3.3. შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში დანაშაულის
მცდელობის ირგვლივ აღმოცენებული თეორიები 243
3.3.1. შედეგის საშიშროების თეორია 243
3.3.2. ქმედების საშიშროების თეორია 244
3.3.3. უშუალო კავშირის თეორია 244
3.3.4. დიფერენციაციის თეორია 244
§4. დანაშაულის მცდელობის საკითხი დანაშაულის მომზადებისა და
ე. წ. შეკვეცილ-ფორმალურ დელიქტებში და აქტიო და
omissio libera in causa-ს შემთხვევაში 246

§5. შეჯამება 255
თავი VI. დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 256
§1. უვარგისი მცდელობის დასჯადობის თავისებურებანი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით 257
§2. უვარგისი მცდელობის ცნება და სახეები და უვარგისი მცდელობის გამიჯვნა მოჩვენებითი დელიქტისაგან გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 266
2.1. უვარგისი მცდელობის ცნება და მისი გამოვლენის ფორმები ... 266
2.1.1. მცდელობა უვარგის ობიექტზე 270
2.1.2. მცდელობა უვარგისი საშუალებით 271
2.1.3. უვარგისი ობიექტის მიმართ გამოყენებული უვარგისი საშუალებით მცდელობა 271
2.1.4. მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ 272
2.1.5. მცდელობა უვარგისი მოტივაციის საფუძველზე 273
2.2. აბსოლუტურად უვარგისი და ირეალური მცდელობა 274
2.2.1. აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა 274
2.2.2. ირეალური მცდელობა 276
2.3. უვარგისი მცდელობის და მოჩვენებითი დელიქტის გამიჯვნა 277
2.3.1. არასადავო საკითხები 279
2.3.2. სადავო საკითხები 280
2.4. უვარგისი მცდელობა უმოქმედობით და თანაამსრულებლობით ჩადენილი დელიქტებში 282
2.5. უვარგისი მცდელობის დასჯადობის თავისებურებანი გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მიხედვით 283
§3. შეჯამება 287
თავი VII. დანაშაულის მცდელობა თანამონაწილეობის ფორმით ჩადენილ დანაშაულებში ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 291
§1. დანაშაულის მცდელობის თავისებურებანი დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ქართული სისხლის სამართლის მიხედვით 291
1.1. დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები 291
1.2. დანაშაულში თანამონაწილეთა მცდელობის პრობლემატიკა 292
1.3. დანაშაულში თანამონაწილეობის მცდელობა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 296

1.4. თანამონაწილეობის მცდელობის საკითხის საკანონმდებლო სრულყოფისათვის 297
§2. დანაშაულის მცდელობის თავისებურებანი თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის დროს გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 298
2.1. დანაშაულის მცდელობა შუალობითი ამსრულებლობის დროს .299
2.1.1. შუალობითი ამსრულებლობაში მცდელობის საკითხის დასაბუთება „დიფერენცირებული თეორიის" საფუძველზე 299
2.1.2. ერთიანი ქმედების თეორია 299
2.1.3. ზემოქმედების თეორია 301
2.1.4. ზემოქმედების მოდიფიცირებული თეორია 301
2.1.5. სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნა, როგორც მცდელობის დანყების კრიტერიუმი შუალობითი ამსრულებლობის დროს (საფრთხის თეორია) 302
2.2. დანაშაულის მცდელობა თანაამსრულებლობის დროს 303
2.2.1. საკითხის ერთობლივი გადაწყვეტა 303
(გაბატონებული შეხედულება) 303
2.2.2. საკითხის განცალკევებული გადაწყვეტა 306
2.2.3. დასაბუთება, რომელიც გამომდინარეობს თანამონაწილეობის მოძღვრებიდან 306
2.2.4. დასაბუთება, რომელიც გამომდინარეობს მცდელობის შესახებ მოძღვრებიდან 307
2.2.5. შემთხვევები, რომლის დროსაც შეუძლებელია თანაამსრულებლობით მცდელობა 307
2.3. დანაშაულის მცდელობა თანამონაწილეობის დროს (თანამონაწილეობის მცდელობა და მცდელობა თანამონაწილეობის დროს) 308
§3. შეჯამება 311
კარი V. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით 314
თავი I. ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და მისი ლეგალურ-დოგმატური საფუძვლები 314
§1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და მისი ადგილი დანაშაულის სისტემაში 314
§2. ნებაყოფლობით ხელის აღების ირგვლივ აღმოცენებული შეხედულებები (თეორიები) 317
§3. ნებაყოფლობით ხელის აღების წინაპირობები 321

3.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური დახასიათება 322
3.1.1. ნებაყოფლობითობა, როგორც დანაშაულზე ხელის აღების სუბიექტური პირობა 322
3.1.1.1. დოგმატიკა 322
2.1.1.2. სასამართლო პრაქტიკა 326
3.1.2. განზრახვა, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური ელემენტი 329
3.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური დახასიათება 331
§4. შეჯამება 337
თავი II. ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებანი თანამონაწილეობის ფორმით ჩადენილ დელიქტებში 338
§1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი თანამონაწილეობით და თანაამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში 338
§2. შეჯამება 349
თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი 350
§1. უმოქმედებით ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი 351
§2. ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი უვარგისი მცდელობისა და ე. წ. ხელშეშლილი მცდელობის დროს 354
§3. ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი ერთიან დანაშაულებში 360
§4. ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი დანაშაულის პროვოკაციის დროს 362
§5. შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი 365
§6. შეჯამება 368
თავი IV. ზოგიერთი მოსაზრება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის ფარგლების გაფართოების შესახებ იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე 369
დ ა ს კ ვ ნ ა 375
გამოყენებული ლიტერატურა 386

გამოყენებული აბრევიატურა

ქართული:

ა.შ.	ასე შემდეგ
გვ·	გვერდი
დასახ. ნაშრ.	დასახელებული ნაშრომი
ე. წ.	ეგრეთ წოდებული
ე. ი.	ესე იგი
იხ.	იხილეთ
რედ.	გამოცემის რედაქტორი
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სსრ	საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა
სხვ.	სხვა
შეად.	შეადარეთ
წწ.	წლები

გერმანული:

Abs (Absatz)	აბზაცი
AT (Allgemeiner Teil)	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი
BGHSt (Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsache)	გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეებზე
BGHStV (Strafverteidiger)	ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეებზე
BGHMDR (Monatsschrift fur Deutsches Rechts)	გერმანული სამართლის ყოველთვიური ჟურნალი
Diss. (Dissertation)	დისერტაცია

DDR (Deutsche demokratische Republik)	გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა
FS (Festschrift)	საიუბილეო გამოცემა (კრებული)
GA (Goltdammer`s Archiv für Strafrecht)	თეოდორ გოლდტამის არქივი სისხლის სამართლისათვის (ჟურნალი)
JA (Juristische Arbeitsblatt)	იურიდიული სამუშაო ფურცლები
GS (Gedächtnisschrift)	საიუბილეო გამოცემა (კრებული)
JBl (Juristische Blätter)	იურიდიული ფურცლები (ჟურნალი)
Jura (Juristische Ausbildung)	იურიდიული განათლება (ჟურნალი)
JuS (Juristische Schulung)	იურიდიული სწავლება (ჟურნალი)
JZ (Juristenzeitung)	იურისტთა გაზეთი (ჟურნალი)
LK (Leipziger Kommentar)	ლაიპციგის კომენტარი
MDR (Monatsschrift für deutsches Recht)	ყოველთვიური ჟურნალი გერმანულ სამართალში
NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht)	ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისათვის
NJW (Neue Juristische Wochenschrift)	ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი
SK (Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch)	სისხლის სამართლის სისტემატიზებული კომენტარი
StGB (Strafgesetzbuch)	გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი

StGB-AT (Strafgesetzbuch- Allgemeiner Teil)	გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ზოგადი ნაწილი
StRG (Strafrechtsreformgesetz)	კანონი სისხლის სამართლის რეფორმის შესახებ
StV (Strafvertediger)	ადვოკატის ჟურნალი
ZStW (Zeitschrift für die Gesamte Strafrechtswissenschaft)	ჟურნალი სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის

ზოგადი შესავალი

კვლევის აქტუალობა და მისი საგანი. თანამედროვე იურისპრუდენცია მოითხოვს სამართლებრივი პრობლემატიკის შედარებით-სამართლებრივ ასპექტში განხილვას. ამ მხრივ, სისხლის სამართალი არ წარმოადგენს გამონაკლისს. სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში ძალიან დიდ ინტერესს იწვევს სისხლის სამართლის ინსტიტუტების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების მიზანია გაეცნოს და შეაფასოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი სისხლისსამართლებრივი პრობლემები და, შესაბამისად, გაიზიაროს ან უარყოს ის მიდგომები, რომლებსაც ადგილი აქვს უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში, დოგმატიკასა თუ სასამართლო პრაქტიკაში.

მაშასადამე, შედარებით-სამართლებრივი კვლევა ხელს უწყობს ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებას, კერძოდ, ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულებების მოდიფიკაციას და პრობლემის ახლებურად გააზრებას.

საკვლევი თემის აქტუალობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს დაუმთავრებელი დანაშაულის, კერძოდ, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის, ასევე დაუმთავრებელ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის ანალიზი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის, დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. მართალია, ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოკვლეულია დაუმთავრებელი დანაშაულის პრობლემატიკა, მაგრამ, ამის მიუხედავად, თანამედროვე მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს დაუმთავრებელ დანაშაულში რიგი ისეთი საკითხებისა, რომლებიც დღეისათვის საფუძვლიან შესწავლას და ახლებურად გააზრებას საჭიროებს.

თავდაპირველად, დისერტაციაში განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის დოგმატიკის განვითარების **ისტორიული ეტაპები** ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში. პრობლემის ისტორიულ ჭრილში განხილვა საშუალებას იძლევა, დადგინდეს, თუ განვითარების რა სიმაღლეზე იდგა იმდროინდელი სამართლებრივი კულტურა საქართველოსა და გერმანიაში. გარდა ამისა, ისტორიული კვლევის მეთოდის საფუძველზე ვლინდება ის საერთო ნიშნები, რომლებიც ახასიათებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობისას ქართულ და გერმანულ (ევროპულ) სისხლის სამართალს.

დაუმთავრებელი დანაშაულის არსში წვდომა შეუძლებელია, თუ არ აიხსნა **დამთავრებული დანაშაულის**, როგორც მისი მთელის ბუნება. ამიტომ ლოგიკურია, როდესაც დისერტაციაში გარკვეული ადგილი ეთმობა დამთავრებული დანაშაულის და მისი სახეების გაანალიზებას ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. ნაშრომში ასევე საუბარია დანაშაულის სტადიებისა და ეტაპების ურთიერთგამიჯვნის აუცილებლობის შესახებ.

დისერტაციის კვლევის საგანს, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს დანაშაულის მომზადების, დანაშაულის მცდელობის და დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტები. სისხლის სამართ-

ლის ლიტერატურიდან ცნობილია, რომ დანაშაულებრივი ქმედება სხვადასხვა საფეხურს გაივლის, თუმცა მათგან ყველა საფეხური დასჯადობას არ იმსახურებს. მაგალითად, განზრახვის გამომჟღავნება მხოლოდ აზროვნების პროცესია და მასზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელება როგორც ქართული, ასევე გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, დაუშვებელია, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სისხლის სამართალი არა აზრის, არამედ ქმედების სამართალია.

რაც შეეხება დანაშაულის **მომზადებას**, რომელიც ობიექტურად ქმედებაში ვლინდება, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ქართული და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, სხვადასხვანაირად არის გადაწყვეტილი.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ისჯება როგორც დანაშაულის მომზადება, ასევე დანაშაულის მცდელობა. საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია დანაშაულის მომზადების ზოგადი დეფინიცია, ხოლო მე-2 ნაწილი ეხება დანაშაულის მომზადების დასჯადობის კონკრეტულ შემთხვევებს. დანაშაულის მცდელობისგან განსხვავებით, ყველა კატეგორიის დანაშაულის მომზადება არ ისჯება. ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადების დასჯადობისათვის გარკვეული გამონაკლისი მოქმედებს, რაზეც ნაშრომში დაწვრილებით არის საუბარი.

შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდის დახმარებით ვლინდება ის, თუ როგორ არის გადაწყვეტილი გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის საკითხი. კვლევიდან გამომდინარე, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ გერმანელმა კანონმდებელმა საერთოდ უარი თქვა მომზადების დასჯადობაზე, არამედ კანონმდებელმა მომზადების დასჯადობის რეგულაცია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გადაიტანა და ამით მომზადების დასჯადობის ფარგლები საგრძნობლად დაავიწროვა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში თანამონაწილეთათვის ცალკე პარაგრაფი ჩამოაყალიბა, რომლითაც უზრუნველყო მომზადების დასჯადობის ზოგადი ნორმის არარსებობით გამოწვეული საკანონმდებლო ხარვეზის შევსება.

აქედან გამომდინარე, მომზადების დასჯადობის ორი სხვადასხვა მოდელი იკვეთება. ამასთან, თუ რომელი მოდელი იმსახურებს მხარდაჭერას, ამის შესახებ დისერტაციაში დეტალურად არის საუბარი. მაშასადამე, მომზადების გარშემო წარმოებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს თემის აქტუალობას.

დისერტაციაში **მცდელობის** ირგვლივ მსჯელობა, შეიძლება ითქვას, ძალზედ ფართოდ არის გაშლილი. თავდაპირველად, თემაში განხილულია მცდელობის დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, საუბარი ეხება ისეთ თეორიებს, რომლებიც გზამკვლევია ქმედების მცდელობად შეფასების, მცდელობისაგან მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულის გამიჯვნის საკითხში. ასევე, მნიშვნელოვანია დანაშაულის მცდელობის სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობის დახასიათება, სადაც ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად

მაინც მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის საკითხი რჩება. ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული იყო და დღესაც არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ **პირდაპირი განზრახვით**. თუმცა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა დასაბუთებულია. შედარებითი კვლევის მეთოდით განისაზღვრება ის, თუ როგორ არის ეს პრობლემატიკა გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში გადაწყვეტილი. დისერტაციაში წარმოდგენილია კონკრეტული არგუმენტები, რომლის საფუძველზე სისხლის სამართლის დოგმატიკა უპრობლემოდ ასაბუთებს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას. ასევე, ნაშრომში გადმოცემულია მეცნიერთა უმცირესობის მიერ ამ საკითხის დასაბუთების სუსტი მხარეები.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის საკითხი დოგმატური თვალსაზრისით, ერთი მხრივ, დაკავშირებულია განზრახვის ცნებასთან და ზოგადად მის ბუნებასთან, ამიტომ ქართულ სინამდვილეში სისხლისსამართლებრივი განზრახვის შინაარსის სწორად ახსნა იძლევა პასუხს დასმულ კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ევენტუალური განზრახვით მცდელობა, ხოლო მეორე მხრივ, ეს პრობლემა სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხია.

ნაშრომის აქტუალობაზე მეტყველებს ისიც, რომ მასში დაყენებულია დანაშაულის მომზადებისაგან დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკა. სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს დანაშაულის ამ ორი საფეხურის ერთმანეთში აღრევას. იმის განსაზღვრა, თუ სად გადის ზღვარი მომზადებასა და მცდელობას შორის, შესაძლებელია, შემთხვევათა ჯგუფების ანალიზის მიხედვით, სადაც დოგმატურ საფუძვლად გამოყენებული იქნება, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე სისხლის სამართლის დოქტრინაში განვითარებული თეორიები, რომლებიც შედარებითი სიზუსტით ახდენენ გამიჯვნის პრობლემის მოგვარებას.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს მცდელობის შესაძლებლობის საკითხი ისეთი სახის დელიქტებში, როგორიც არის ფორმალური და მატერიალური დელიქტები, უმოქმედობითი დანაშაულები, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები და სხვ. გარდა ამისა, დისერტაციაში ასევე განხილულია პრობლემატური საკითხები, რომლებსაც ადგილი აქვს თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში.

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ასევე დანაშაულზე **ნებაყოფლობით ხელის აღების** ინსტიტუტი, სადაც განხილულია დანაშაულზე ხელის აღების პრობლემატური საკითხები, რომლებსაც ადგილი აქვს საკანონმდებლო დონეზე და თავისთავად თავს იჩენს სასამართლო პრაქტიკაში. არის ისეთი შემთხვევები, სადაც ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი დეტალურ კვლევას საჭიროებს, მაგალითად, უვარგისი მცდელობის დროს, თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებში და სხვ.

გარდა ამისა, ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი ის ფუნდამენტური დოგმა-

ტურ-სამართლებრივი საკითხი, რაზედაც დგას დღეს ქართული და გერმანული სისხლის სამართალი ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთების თვალსაზრისით. ნებაყოფლობით ხელის აღების საკანონმდებლო-სამართლებრივი რეგულაცია მოცემულია საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლში და გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფში, ხოლო დოგმატურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ ინსტიტუტის დასაბუთება ხდება **„ოქროს ხიდის თეორიისა" და „სასჯელის მიზნის მოდიფიცირებული თეორიის"** მიხედვით. ამასთან, ნაშრომში გაკრიტიკებულია დასახელებული თეორიები და დასაბუთებულია ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი ზოგიერთი ტიპის ფორმალურად დამთავრებულ დანაშაულში, ხოლო აღნიშნული დასაბუთება ემყარება „მოდიფიცირებული ოქროს ხიდის თეორიას".

კვლევის მიზანია:

– შედარებითი-სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით მოიძებნოს მსგავსებები, რითაც განისაზღვრება ამ ინსტიტუტების ერთმანეთთან სიახლოვის მომენტი.

– ასევე, ამ ინსტიტუტებს შორის განსხვავებების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ სისხლის სამართალში დასახელებული ინსტიტუტების უკეთ გაანალიზების პროცესს. ეს კი, თავის მხრივ, გაამდიდრებს ქართულ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკას.

– დანაშაულის მომზადების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს, აუცილებელია თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის გენერალური მომზადების დასჯადობის აღიარება („ფართო მოდელი"), თუ მიზანშეწონილია, რომ მომზადების დასჯადობის ზოგად დეფინიციაზე ქართულმა კანონმდებლობამ განაცხადოს უარი და გაიზიაროს მომზადების დასჯადობის „შერეული მოდელი".

– გაირკვეს, მომზადების დასჯადობის „შერეული მოდელი" რამდენად აფართოებს მცდელობის დასჯადობის ფარგლებს და ამით ხომ არ ამკაცრებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

– გაირკვეს, შესაძლებელია თუ არა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა და საკითხის კომპლექსურ-ემპირიული კვლევის შედეგად ჩამოყალიბდეს შეხედულება ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაზე.

– შემთხვევათა ჯგუფების ანალიზის საფუძველზე, მოხდეს დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტების გამიჯვნისათვის შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკას ზოგიერთ სადავო საკითხზე ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

– შედარებით-სამართლებრივი კვლევის საფუძველზე გაირკვეს, არის თუ არა შესაძლებელი დანაშაულის მცდელობის დასაბუთება ზოგიერთი სახის ისეთ დანაშაულში, სადაც დანაშაულის მცდელობა საზოგადოდ არ ყოფილა აღიარებული ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში.

– პასუხი გაეცეს დაუმთავრებელ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტთან დაკავშირებით აღმოცენებულ პრობლემატურ საკითხებს და, ამავდროულად, დასაბუთდეს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა დანაშაულის იურიდიულად დამთავრების ეტაპზე.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. დასმული პრობლემის კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი და სხვა მეთოდები.

კარი I. დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის განვითარების ისტორიული ექსკურსი ქართული და გერმანული სისხლის სამართალის მიხედვით

დაუმთავრებელი დანაშაულის პრობლემატიკაზე დღემდე ბევრი ითქვა და დაინერა. მიუხედავად ამისა, ამ საკითხის ირგვლივ წარმოებულმა ახალმა კვლევამ ყოველთვის რაღაც ღირებული უნდა შექმნას. ერთ-ერთი გერმანელი მეცნიერი, მართებულად აღნიშნავს რომ, როგორც პოეტი არ შეწყვეტს სიყვარულზე ნერას, ასევე სისხლის სამართლის მეცნიერი უარს ვერ იტყვის იმ ამოცანის შესრულებაზე, რომელიც მის საგანში პრობლემების ახლებურად გააზრებას ემსახურება.[1]

დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხის კვლევისას, პირველ რიგში, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ისტორიული განვითარების თავისებურებებია განხილული, სადაც თავდაპირველად, გაანალიზებულია დაუმთავრებელი დანაშაული ქართული სამართლის ძეგლებში და ჩვეულებით სამართალში, ხოლო ამის შემდგომ, დასახელებული ინსტიტუტი განხილულია საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. გარდა ამისა, ისტორიულ ჭრილში დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები, ასევე განხილულია გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, სადაც მისი განვითარების ისტორია პირობითად დაყოფილია ორ ეტაპად.

თავი I. დაუმთავრებელი დანაშაულის მოკლე ისტორიული ანალიზი ძველი ქართული და საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით

§1. დანაშაულის მომზადება და მცდელობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი სამართალი დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას არ იცნობდა.[2] საზოგადოებაში, სადაც გაბატონებული იყო ობიექტური შერაცხვის პრინციპი, პიროვნებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ შედეგის გამოწვევისათვის ეკისრებოდა.[3] თუმცა ნათქვამი არ მიუთითებს იმაზე, რომ ძველი ქართული მართლმსაჯულება შედეგის მიუღწევლობას ყოველთვის შეფასების გარეშე ტოვებდა, არამედ ქართული სამართლის ძეგლების კვლევა ადასტურებს, რომ თავად ქმედების განხორციელება

1 იხ. *Spendel*, FS (1957), გვ. 40.
2 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 7.
3 იხ. *დავითაშვილი* (2010), გვ. 281.

უმეტეს შემთხვევაში ისჯებოდა, როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული (*delictum sui generis*) და არა როგორც დანაშაულის მცდელობა.[4] მაგალითად, ბექა-აღბუღას კანონების მე-13 მუხლი ითვალისწინებდა სასჯელს იმ შემთხვევისათვის, როდესაც თავდასხმას შედეგად სიკვდილი არ მოჰყოლია, „და თუ კაცი (არ) მოკუდეს ზედა-დასხმაშია, დედა-ნულთა აფუნჩხვითა, დედა-ნულთა შერცხუენისათვის საბატიოს კაცისა ნახევარი სისხლი დაუურვოს."[5]

კანონის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ კაცი, რომელიც მკვლელობის განზრახვით სხვა კაცს დაესხმოდა თავს და ვერ მოკლავდა, პასუხს აგებდა არა მკვლელობის მცდელობისათვის, არამედ ოჯახის შეურაცხყოფისათვის „დედა-ნულთა შერცხვენისათვის."[6]

დავით კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი (134-ე მუხლი), რომელიც თან ერთვის ბექა-აღბუღას სამართლის ნიგნს, უფრო კონკრეტულად საუბრობს მცდელობის დასჯადობაზე: „თუ გამართოს და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი თეთრი დაუურვის სიკუდილისა ცდისათვს, სამი ათასი შეეყრების ცოდვისათვს."[7]

ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, ძველი ქართული სამართალი მცდელობას სჯიდა არა როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს, არამედ როგორც დანაშაულის განვითარების სტადიას.[8]

მკვლელობის ცდაზეა საუბარი ასევე სვიმონ მეფის მიერ გედეონ მაღალაძისათვის გადაცემულ განახლებულ სიგელში[9]: „თუ გაჰმართოს და სიკუდილსა ეცადოს და ესე ვითარი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, მისგან მკუდარი იქნების და ნახევარი სისხლი დაეურვოს სიკუდილისა ცდისათუის."[10]

მაშასადამე, კანონის ტექსტიდან გამომდინარე, დამნაშავე შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში პასუხს აგებდა მცდელობისათვის და არა სხვა დამთავრებული დანაშაულისათვის. ასეთი ნორმების არსებობა მიუთითებს ადრეფეოდალური ქართული სამართლის განვითარების მაღალ დონეზე, რადგან ობიექტური კრიტერიუმის გარდა, მაშინდელი სამართალშემომქმედი ხაზს უსვამს ***სუბიექტური მხარის*** აუცილებლობას. დანაშაულის მცდელობის დასჯადობა გვიანფეოდალური საქართველოს სამართალშიც გვხვდება, კერძოდ, ვახტანგ VI სამართლის წიგნში, თუმცა მასში ეს ინსტიტუტი ისე მკაფიოდ არა არის გამოკვეთილი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში.[11]

ვახტანგ VI სამართლის ნიგნის 59-ე მუხლი ასე ჟღერს: „თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს, მოღალატედ ან გზაზე სადმე, ან სოფლად ღამით გამო-

4 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 19.
5 კანონის ტექსტის შესახებ იხ. *დოლიძე* (1953), გვ. 290.
6 *წერეთელი* (1961), გვ. 20.
7 კანონის ტექსტის შესახებ იხ. *დოლიძე* (1953), გვ. 339.
8 იხ. *მჭედლიშვილი-პედრიხი* (2011), გვ. 1-2.
9 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 22-23.
10 იხ. *ფუთურიძე* (1955), გვ. 46-47.
11 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 23.

სასჯელს ადგილს თუ სადაც იარაღით სასიკვდილოდ გამომეტებით დაუდგეს და ის საქმე გამოჩნდეს, რომე სდგომოდეს, და მერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ გამოევლოს და წამოსულიყოს, თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია, ამისათვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს; და თუ გაიაროს, და ან მოკლას და ან დაჭრას, ორკეცი სისხლი მისცეს: ერთი ღალატად დგომისათვის და ერთი სიკვდილისა..."[12]

ვახტანგ VI სამართლის წიგნის 59-ე მუხლიდან შესაძლებელია სამი დებულების გამოკვეთა:

პირველი დებულების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს საფრთხის შემქმნელ შემადგენლობას, როგორც დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს.

მეორე დებულება მეტყველებს მცდელობის სასარგებლოდ, კერძოდ, მოცემული მუხლიდან გამომდინარე, მცდელობის სუბიექტური მხარე, სახელდობრ, პირდაპირი განზრახვა სახეზეა და იგი დასტურდება შემდეგი სიტყვებით: „თავის გუნებით სიკვდილი სდომებია", თუმცა ეს განზრახვა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, რადგან „ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია."[13]

მესამე დებულების მიხედვით, შესაძლებელია, სამართალშემომქმედი ჩასაფრების მომენტს დანაშაულის მოსამზადებელ სტადიადაც მიიჩნევდა. ამ დებულების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მცდელობის გამოსახატავად კანონში არ არსებობს რაიმე ტერმინი, როგორც ამას ზემოთ განხილულ კანონებში ჰქონდა ადგილი.

საინტერესოა მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე დავით ბატონიშვილის სჯულდება, სადაც კანონის ტექსტი, რომელიც მკვლელობის მცდელობას ეხება, ნასესხებია ვახტანგ VI სამართლის წიგნიდან. ბატონიშვილის სჯულდება საუბრობს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კაცი კაცს ჩაუსაფრდება, გზას შეუკრავს, ან კაცი თოფის ჩახმახს თითს გამოკრავს, მაგრამ ტყვია არ გავარდება, ან და კაცმა კაცს თოფი ესროლა და ტყვია ვერ მოახვედრა. ეს ისეთი შემთხვევებია, რომლებშიც აშკარად ჩანს დაუმთავრებელი (ჩასაფრება, გზის შეკვრა) და დამთავრებული მცდელობის (ჩახმახისათვის თითის გამოკვრა, ტყვიის აცილება) მომენტები.[14]

§2. დანაშაულის მომზადება და მცდელობა ქართულ ჩვეულებით სამართალში

კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალში კარგად ჩანს ობიექტური შერაცხვის პრინციპის პრიორიტეტული როლი დაუმთავრებელი დანაშაული-

12 ტექსტის შესახებ იხ. *ენუქიძე* (1955), გვ. 67.
13 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 24.
14 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 25-26.

სადმი. მაგალითად, ერთ-ერთი მკვლევარის მ. კოვალევსკის განმარტებით, ***ოსური ჩვეულების*** მიხედვით, დანაშაულის მცდელობა სრულიად დაუსჯელი იყო. თოფის ჩახმახისათვის თითის გამოკვრა მკვლელობის მიზნით, თუ ტყვია არ გავარდებოდა, ან გავარდებოდა და ტყვია მსხვერპლს ასცდებოდა, სისხლის მოთხოვნის საფუძვლად არ ითვლებოდა. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ამას მოჰყოლოდა ოსეთში, იყო შესარიგებელი სუფრა, რომელიც მცდელობის ჩამდენს უნდა გაეშალა.[15]

დანაშაულის მცდელობასთან დაკავშირებით ანალოგიურად ნყდებოდა საკითხი ***სვანეთში***. ამ კუთხეში გაბატონებული იყო ობიექტური შერაცხვის პრინციპი და მცდელობა პასუხისმგებლობას არ ინვევდა, მაგრამ იყო გამონაკლისიც, კერძოდ, ზემო სვანეთის (ბალსზემო სვანეთი) ერთ-ერთ თემში, უშგულში, სადაც ტყვიის არგავარდნის გამო, დამნაშავეს ახდევინებდნენ სისხლის ფასს, მაგრამ, როდესაც ტყვია გავარდებოდა და ობიექტი არ დაზიანდებოდა, ასეთ შემთხვევაში სისხლის ფასზე, საერთოდ არ იყო საუბარი.[16]

ის გარემოება, რომ მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი უშგულში განისაზღვრებოდა მხოლოდ ჩახმახისათვის თითის გამოკვრის დროს ტყვიის არგავარდნის შემთხვევაში, ხოლო თოფის გასროლისა და აცდენის შემთხვევაში კი არა, არ ნიშნავს იმას, რომ ერთ შემთხვევაში ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებდა, მეორეში კი არა, არამედ იგი დამოკიდებული იყო დამნაშავის განზრახვაზე. თუ დაზარალებულს ტყვია ასცდებოდა, უშგულელები მიიჩნევდნენ, რომ მსროლელს მკვლელობის ან დაჭრის განზრახვა არ ჰქონდა და სწორედ ამიტომ მას პასუხისმგებლობას არ აკისრებდნენ. მაგრამ, თუ მაინც დამტკიცდებოდა, რომ თოფის მსროლელს რეალურად ჰქონდა მკვლელობის განზრახვა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შედეგი არ განხორციელდა, მსროლელს პასუხისმგებლობა აუცილებლად დაეკისრებოდა.[17]

ასევე წყდებოდა საკითხი ქვემო სვანეთში. აქაც, ისევე, როგორც უშგულში, მხოლოდ თოფის ჩახმახისათვის თითის გამოკვრა ითვლებოდა მკვლელობის მცდელობად და არა თოფის გასროლის და მიზნის აცდენის შემთხვევა.[18]

ხევსურეთში მკვლელობასთან მიმართებაში ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებდა, თუმცა აქ სუბიექტური ელემენტი სრულიად იგნორირებული არ იყო. მაგალითად, ხევსურეთის ერთ-ერთი მკვიდრი გადმოსცემს, რომ „თუ კაცმა კაცს თოფი ესროლა და გასცდა, არ მახვდა, მაშინ სამთელ-სამკვდროს აიღებს 5 ძროხას." აქ სხვა არაფერია, თუ არა მკვლელობის მცდელობის შემთხვევა, რომლისთვისაც დაწესებული იყო პასუხისმგებლობა სამთელ-სამკვდროს სახით და იგი სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა.[19]

ზოგიერთი ინფორმატორის გადმოცემით, სამთელსამკვდრო მკვლელობის

---

15 იხ. *Ковалевский* (1886), გვ. 93-94. ციტირებულია დავითაშვილის სტატიიდან, იხ. *დავითშვილი* (2010), გვ. 281.

16 იხ. *Ковалевский* (1886), გვ. 32.

17 იხ. *დავითაშვილი* (2010), გვ. 292.

18 იხ. *დავითაშვილი* (2010), გვ. 294.

19 იხ. *დავითაშვილი* (2010), გვ. 297-299.

მცდელობასთან არ იყო დაკავშირებული და იგი მხოლოდ მძიმე ჭრილობისათვის დანესებულ გადასახადს აღნიშნავდა. თუმცა, ზოგიერთი მათგანი სამთელსამკვდროს პირდაპირ მკვლელობის მცდელობას უკავშირებს. ტყვიის გასროლა ადამიანის მიმართულებით, თუ ის აცდებოდა, ან დაჭრიდა მას, შესაძლებელია, მკვლელობის მცდელობად ჩათვლილიყო. ასევე, მკვლელობის მცდელობად ითვლებოდა ხანჯლის წვერით მიყენებული ჭრილობა გულმკერდის და მუცლის არეში.[20]

ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ ძველი ქართული სამართალი მცდელობის ზოგად ცნებას არ იცნობდა, თუმცა მხოლოდ მკვლელობის მცდელობის დასჯადობას ითვალისწინებდა.[21]

მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ სამართალში პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს ობიექტური შერაცხვა დომინანტი არ იყო, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული სისხლის სამართლის განვითარების ტენდენციებზე.

§3. დანაშაულის მომზადების და მცდელობის განვითარება საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართალში

3. 1. პირველი საკანონმდებლო რეფორმა

ქართული იურისპრუდენცია ორი საუკუნის მანძილზე ჯერ იმპერიალისტური რუსეთის, ხოლო შემდგომ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური გავლენის მსხვერპლი იყო, ამიტომ საქართველოს ფაქტობრივად მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე დამოუკიდებლად სამართალშემოქმედებითი საქმიანობის პროცესი არ უწარმოებია. საქართველო, საბჭოთა გავლენის სფეროში შემავალი სხვა ქვეყნების მსგავსად, მზა საკანონმდებლო პროდუქტის მიმღები იყო. ამიტომ საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირების პარალელურად, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნელი ტემპებით ვითარდებოდა.

პირველი სისხლის სამართლის რეფორმა ე. წ. „ოქტომბრის რევოლუციის" შემდგომ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში განხორციელდა, რამაც მთელს საბჭოთა კავშირში ხელი შეუწყო დიქტატურას და უკანონო რეპრესიებს.[22]

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თავდაპირველად არ შეიცავდა მითითებას დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ, ამიტომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს ერთნაირად წყვეტდა დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულისათვის.[23]

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ პირველ დადგენილე-

---

20 იხ. *დავითაშვილი* (2010), გვ. 301, 303.

21 იხ. *დავითაშვილი* (2010), გვ. 290.

22 იხ.: *გამყრელიძე* (2008), გვ. 10; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, სისხლის სამართლის სამეცნიერო კრებული I, რედ., მ. *ტურავა* (2013), გვ. 89.

23 იხ. *სურგულაძე* (1979), გვ. 28.

ბებს „ოქტომბრის დიდი რევოლუციის" შემდგომ მიღებულ დეკრეტებში ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1918 წლის 8 მაისის დეკრეტში საუბარი იყო იმაზე, რომ ქრთამის მიღების ან ქრთამის მიცემის მცდელობა ისჯება ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული.[24]

1919 წლის 12 დეკემბრის „სახელმძღვანელო საწყისებში" მოცემული იყო დანაშაულის მომზადების და მცდელობის ცნებები, კერძოდ, „საწყისების" მე-19 მუხლის მიხედვით, დანაშაულის მომზადებად ითვლებოდა დანაშაულის ჩასადენად იარაღის, საშუალების შეძენა ან მომარჯვება, ხოლო მე-18 მუხლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობაში გაიგებოდა მოქმედება, რომელიც მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, როდესაც პირმა შეასრულა ყოველივე ის, რაც მას აუცილებლად მიაჩნდა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ „სახელმძღვანელო საწყისებში" ძალზედ ვიწროდ იყო ახსნილი დანაშაულის მომზადების და მცდელობის არსი, რადგან, ჯერ ერთი, დანაშაულის მომზადება არ გულისხმობს მხოლოდ იარაღის შეძენას ან მომარჯვებას, არამედ მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რომელიც ქმნის პირობებს მომავალში დანაშაულის ჩასადენად, და მეორე, დანაშაულის მცდელობის ცნებაში არაფერი იყო ნათქვამი დაუმთავრებელ მცდელობაზე. ამასთან, დაუმთავრებელი და დამთავრებული დანაშაულისათვის თანაბარი დასჯადობა იყო გათვალისწინებული.[25]

საქართველოს სისხლის სამართლის „სახელმძღვანელო დებულებებში" დანაშაულის მომზადება ასევე არ მოიცავდა მომზადების ყველა შემთხვევას, ხოლო მცდელობის ცნება განსაზღვრული იყო იმგვარად, რომ მასში მხოლოდ დამთავრებული მცდელობა იგულისხმებოდა და არაფერი არ იყო ნათქვამი დაუმთავრებელ მცდელობაზე. გარდა ამისა, ქმედების მცდელობად შეფასება დამოკიდებული იყო დამნაშავის ნარმოდგენაზე.[26]

საბჭოთა კავშირის 1922 წლის პირველ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის მცდელობის ცნებაში დამთავრებული მცდელობის გვერდით უკვე დაუმთავრებელი მცდელობაც მოიაზრებოდა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის მომზადების ზოგად განმარტებას იძლეოდა, რომელშიც ეს ცნება, „სახელმძღვანელო საწყისებთან" შედარებით, უფრო ფართოდ იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, დანაშაულის მომზადების განმარტებას დაემატა ტერმინი „პირობების შექმნა."[27]

დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი შედარებით სხვაგვარად განსაზღვრა 1923 წლის 10 ივლისის დადგენილებამ. ამ აქტის მიხედვით,

---

24 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 27. საბჭოთა საქართველოში დაუმთავრებელ დანაშაულის დასჯადობას ეხებოდა ოთხი დეკრეტი: „სახელმწიფო ხელისუფლების მითვისების ყოველგვარი ცდის კონტრრევოლუციური მოქმედებად აღიარება", „მექრთამეობა", „სპეკულაცია" და „საგანგაშო ზარი". ამის შესახებ იხ. *სურგულაძე* (1979), სქოლიო 65, გვ. 28.

25 *წერეთელი* (1961), გვ. 28-29.

26 იხ. *სურგულაძე* (1979), გვ. 54.

27 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 30-31.

მომზადება არ ისჯებოდა, თუ იგი თავისთავად არ წარმოადგენდა დასასჯელ ქმედებას. ამასთან, კანონმდებელმა სასამართლოს მიანდო პასუხისმგებლობის გადაწყვეტის საკითხი, კერძოდ, თუ პიროვნება მიჩნეული იყო სოციალურად საშიშ პირად, მაშინ სასამართლო მას სოციალური დაცვის ღონისძიებას შეუფარდებდა.[28]

1924 წლის სისხლის სამართლის ე. წ. „ძირითადი საწყისების" მე-11 მუხლმა, რომელშიც საუბარი იყო დაწყებულ, მაგრამ ბოლომდე მიუყვანელ დანაშაულზე, ე. ი. დაუმთავრებელ დანაშაულზე, მეცნიერებს შორის დავა წარმოშვა. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ამ მუხლში მხოლოდ დანაშაულის მცდელობა იგულისხმებოდა, ხოლო მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ამ მუხლში, როგორც დანაშაულის მომზადება, ასევე დანაშაულის მცდელობა მოიაზრებოდა.[29] ამ უკანასკნელ შეხედულებას იზიარებდა ი. ტიშკევიჩი. იგი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან მოსამზადებელი ქმედება წარმოადგენს დანაშაულის განხორციელების დასაწყისს, ამდენად, საბჭოთა საფუძვლების მე-11 მუხლი, სადაც საუბარია დაწყებულ ქმედებაზე, დანაშაულის მომზადებასაც გულისხმობს. ეს შეხედულება მართებულად გააკრიტიკა თინათინ წერეთელმა. მისი თქმით, სახლის გასაქურდად კიბის შეძენა შეუძლებელია ქურდობის დასაწყისად ჩაითვალოს, ანდა კაცის მოსაკლავად თოფის ყიდვა მკვლელობის დაწყებად.[30]

დანაშაულის მომზადების დასჯადობის ცნება განსხვავებულად ჩამოყალიბდა 1928 წლის საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში, რომელიც დანაშაულის მომზადებად თვლიდა იარაღის ან სხვა საშუალების გამონახვას და მიმარჯვებას, ან პირობების შექმნას და სხვ. დანაშაულის მომზადების ამ განსაზღვრებასაც ორი ნაკლი ჰქონდა, ჯერ ერთი, მე-19 მუხლში ადგილი ჰქონდა ტავტოლოგიას, კერძოდ, იარაღის და საშუალებების გამონახვა თავისთავად გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას და იგი ამ უკანასკნელის ერთ-ერთ სახეა, და მეორე, დანაშულის ამ განმარტებაში საუბარი არ იყო დანაშაულის მომზადების სუბიექტურ მომენტებზე.[31]

საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1947 და 1948 წლების პროექტებში დანაშაულის მომზადების პრინციპული დასჯადობა არ იყო აღიარებული. დასახელებულ პროექტებში მითითებული იყო, რომ დანაშაულის მომზადების დასჯადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ კი ეს გათვალისწინებული იქნებოდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში.[32]

3. 2. მეორე საკანონმდებლო რეფორმა

საქართველოში სისხლის სამართლის მეორე რეფორმა მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში გატარდა, რის შედე-

28 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 31-32.
29 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 33-34.
30 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 85.
31 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 77.
32 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 35.

გად 1960 წლის 30 დეკემბერს „1958 წლის 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ ბაზაზე ახალი სისხლის სამართლის კოდექსი მიიღეს, რომელიც 1961 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ რეფორმასთან შედარებით, სისხლის სამართლის მეორე რეფორმა გაცილეთ პროგრესულ ხასიათს ატარებდა, რადგან 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ბევრი ისეთი ცვლილება განხორციელდა, რომელსაც წინამორბედ კოდექსებში არ ჰქონია ადგილი. საგულისხმოა ისიც, რომ ამ კოდექსის პროექტზე მომუშავე კომისიაში გამოწენილი ქართველი მეცნიერები თინათინ წერეთელი და ვლადიმერ მაყაშვილი იღებდნენ მონაწილეობას.[33]

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში ნაცვლად სიტყვისა დანაშაულის „მომზადება“, გამოიყენებოდა - დანაშაულის „მზადება“. ამასთან, დანაშაულის მზადებად ითვლებოდა „...საშუალებების და იარაღის გამოძებნა თუ მომარჯვება ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“, ხოლო დანაშაულის მცდელობად მიიჩნეოდა „განზრახ მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. როგორც ჩანს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში გამოსწორდა ის ტექსტობრივი ხარვეზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, თუკი ძველ სისხლის სამართლის კოდექსში პირობების განზრახ შექმნა იმეორებდა საშუალებების და იარაღის გამოძებნის შემთხვევებს, 1960 წლის კოდექსში მოცემულ დანაშაულის მომზადების ცნებას დაემატა ახალი ტერმინი „სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა“, რითაც ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ „საშუალებების და იარაღის გამოძებნა...“ წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის ერთ-ერთ სახეს.

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა პოსტსაბჭოთა საქართველოში გარკვეული ცვლილებებით რამდენიმე ათეული წელიწადი იმოქმედა.[34] 1993 წელს შექმნილმა სისხლის სამართლის სახელმწიფო სარეფორმო ქვეკომისიამ ექვსწლიანი მუშაობის შემდეგ, 1999 წელს, საქართველოს პარლამენტს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი წარუდგინა. პარლამენტის მიერ 1999 წლის 22 ივლისს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან.[35]

§4. შეჯამება

დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის ისტორიულ ასპექტში განხილვამ აჩვენა ის, თუ როგორ ვითარდებოდა და რა თავისებურებებით გამოირჩეოდა აღნიშნული ინსტიტუტი ქართულ სისხლის სამართალში. დაუმთავრებელი

33 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 10-11.
34 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 12.
35 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 15.

დანაშაულის ინსტიტუტის განვითარების ისტორია მოცემულ თავში დაყოფილია საუკუნეების მიხედვით და კარგად არის წარმოდგენილი ცალკეულ ეპოქაში მისი განვითარების ტენდენციები.

ამასთან, შესაძლებელია, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის განვითარების ისტორია დაიყოს ორ პერიოდად: პირველი პერიოდი გულისხმობს სისხლის სამართლის კოდიფიცირებული კანონმდებლობის ჩამოყალიბებამდე არსებულ პერიოდს, ხოლო მეორე ისტორიული პერიოდი მოიცავს უკვე სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის პერიოდს, რომელსაც, შესაძლებელია, პირობითად „კოდექსების ეპოქა" ეწოდოს. სწორედ ამ პერიოდიდან საფუძველი ჩაეყარა სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებას, რომელიც, შესაძლებელია, თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერების წინამორბედად ჩაითვალოს.

კოდიფიკაციამდე არსებული სისხლის სამართალი ჯერ კიდევ არ იყო კარგად განვითარებული. იმდროინდელი სამართალი არ იცნობდა დანაშაულის სტადიებად დაყოფას, როგორც ამას თანამედროვე სისხლის სამართალში აქვს ადგილი, არამედ აღიარებდა ობიექტური შერაცხვის პრინციპს, რაც იმაში გამოიხატება, რომ პიროვნებას პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დამდგარი შედეგისათვის. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეფასების გარეშე მაინც არ რჩებოდა. იმ შეთხვევაში, თუ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად პირი ცოცხალი გადარჩებოდა, დამნაშავე გარკვეულ საფასურს მაინც იხდიდა დაზარალებულის სასარგებლოდ. ამდენად, იმდროინდელი სამართალი დაუმთავრებელ დანაშაულს სჯიდა, როგორც დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს *(delictum sui generis)*, ამიტომ, შესაძლებელია ითქვას, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას დამნაშავის სუბიექტური მომენტი ედო საფუძვლად. მაშასადამე, ადრეული სისხლის სამართალი მხოლოდ ობიექტური შერაცხვის პრინციპზე არ აფუძნებდა პასუხისმგებლობას, არამედ მხედველობაში იღებდა დამნაშავის სუბიექტურ მომენტებს.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციის შემდგომ ისტორიულ პერიოდს, იგი გამოირჩევა სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებით და სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მისი აქტიური გავლენით. სწორედ ამ პერიოდში სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჩამოყალიბდა დაუმთავრებელი დანაშაულის, კერძოდ, დანაშაულის მომზადებისა და დანაშაულის მცდელობის ცნებები და დაისვა დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიზანშეწონილობის საკითხი.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სისხლის სამართალი უკიდურესი **„სუბიექტური თეორიის"** საფუძველზე ყალიბდებოდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ იმდროინდელი ხელისუფლება საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სისხლის სამართალს, როგორც სადამსჯელო იარაღს, ისე იყენებდა „სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ", ამიტომ ადამიანი ისჯებოდა არა ქმედებისათვის, არამედ აზრისათვის, ლიტონი განზრახვისათვის. უფრო მოგვიანებით, კერძოდ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის დოგმატურ საფუძველს უკვე **„ობიექტური თეორია"**

წარმოადგენს. ამ უკანასკნელმა მყარად გაიდგა ფესვები იმდროინდელ სისხლის სამართლის დოგმატიკაში და მას თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც არ დაუკარგავს მხარდაჭერა.

გამოკვლევამ გამოაჩინა ერთი საგულისხმო ფაქტი, კერძოდ ის, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სისხლის სამართლის კოდექსის პროექტებში მომზადების პრინციპული დასჯადობა არ იყო აღიარებული. ამდენად, ჯერ კიდევ ისტორიულ ეპოქაში, სისხლის სამართლის დოგმატიკა შეეცადა მომზადების გენერალური დასჯადობის გაუქმებას და მისი დასჯადობის საკითხის გადატანას სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, რაც იმდროინდელი სისხლის სამართლის აზროვნებაში წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

თავი II. დანაშაულის მცდელობის განვითარების ისტორიული ეტაპები გერმანულ სისხლის სამართალში

გერმანელი სისხლის სამართლის მეცნიერები დანაშაულის მცდელობის განვითარებას ორ ეტაპად ყოფენ: პირველი ისტორიული ეტაპი მოიცავს ძველი ბერძნული სამართლიდან მოყოლებული რაიხის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შექმნამდე არსებულ პერიოდს, ხოლო მეორე ეტაპი - 1871 წლიდან 1975 წლამდე არსებულ პერიოდს.[36]

ისტორიული ეტაპების გარდა, შესაძლებელია ასევე ცალკე გამოიყოს თანამედროვე, 1975 წლიდან დღემდე არსებული პერიოდი, რომელიც, თუმცა არ გამოირჩევა დანაშაულის მცდელობის საკანონმდებლო დეფინიციაში ცვლილებებით, მაგრამ იგი ცალკე ყურადღების გამახვილებას იმსახურებს სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული ახალი შეხედულებებისა და მიდგომების გამო.

§1. დანაშაულის მცდელობის განვითარების პირველი ეტაპი

დანაშაულის მცდელობის ზოგად ცნებას **ძველი ბერძნული სამართალი** არ იცნობდა. მაგრამ აზრი, რომელშიც დანაშაულის მცდელობა იგულისხმებოდა, ბერძნული სისხლის სამართლისათვის არ იყო უცხო. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, რომლებიც თანამედროვე გაგებით დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს. მაგალითად, ქურდობის მიზნით სხვისი სახლის კედლის დანგრევა, სხვა არაფერია, თუ არა ქურდობის მცდელობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მკვლელობის მცდელობის დასჯადობას. დანაშაულის მცდელობა ასეთი დელიქტების დროს განიხილებოდა, როგორც *„delictum sui generis~*. მოკვლის განზრახვით მსხვერპლის დაჭრა ან მოწამვლა დამამძიმებელ

36 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 2.

გარემოებებში მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდებოდა. განსხვავება, დანაშაულის მცდელობასა და დანაშაულის დამთავრებას შორის, შედეგში იყო. თუკი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული, ასეთი დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში დამნაშავეს სამუდამო გადასახლებას უსჯიდნენ, მთელი თავისი ქონების ჩამორთმევით.[37]

ბერძნულმა სამართალმა განვითარების ბოლო ეტაპზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. იმ დროს, როდესაც ადრეულ პერიოდში როგორც მცდელობის, ასევე დამთავრებული დელიქტების დასჯადობა შედეგის დადგომაზე იყო დამოკიდებული, ნებელობითმა ელემენტმა *იონიური ფილოსოფიის* დახმარებით და, შესაბამისად, *სოფისტური სწავლებისა* და *რიტორიკის* გავლენით დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

რაც შეეხება **რომაულ სამართალს**, იგი დანაშაულის მცდელობას და დამთავრებას შორის განსხვავებას ვერ ხედავდა.[38] უძველესი რომაული სისხლის სამართალი ხშირად მოსამზადებელ ქმედებებს დამთავრებულ დანაშაულად განიხილავდა. ჯადოქრობა, რომელიც დღევანდელი სისხლის სამართლის მიხედვით, ირეალურ მცდელობად ფასდება, რომაული სისხლის სამართლის მიხედვით, დამოუკიდებელ დასჯად დანაშაულად (*delictum sui generis*) განიხილებოდა. თუმცა უფრო მოგვიანებით, რომაელები თავიანთი პრაქტიკული აზროვნებით მიხვდნენ, რომ დელიქტი მხოლოდ დასრულებული ფორმით არ უნდა ყოფილიყო დასჯადი. ამით მათ, მცდელობის განვითარების თვალსაზრისით, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს,[39] რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში უკვე ისჯებოდა დანაშაულის მომზადება, მცდელობა და დამთავრება. გარდა ამისა, ამ პერიოდში დანაშაულის მცდელობა, დამთავრებასთან შედარებით, აღიარებული იყო, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება.[40]

საინტერესოა, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი დანაშაულის მცდელობის საკითხი *ძველ გერმანულ სისხლის სამართალში*. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძველი გერმანული სამართალი ჩვეულებითი სამართლის ხასიათს ატარებდა. წერილობითი სამართლის წყაროები მხოლოდ ფრანკების მმართველობის დროს გამოჩნდა,[41] ამიტომ ასეთი წყაროების არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ძველ გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობის ინსტიტუტი არ იყო განვითარებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პირი, რომელიც შეეცდებოდა მეორე პირის მოკვლას, მაგრამ ამ უკანასკნელს მხოლოდ დააზიანებდა, მკვლელობის მცდელობისათვის კი არ დაისჯებოდა, არამედ მხოლოდ სხეულის დაზიანებისათვის აგებდა პასუხს.[42]

გერმანული სისხლის სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი იტალიის სახელმწიფოს კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ ითამაშა. ასევე, მე-12 და მე-15 საუკუნეებში დიდი სამუშაო გაწიეს იტალიელმა მეც-

37 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 2-3.
38 იხ. *Binding*, AT (1907), გვ. 128.
39 იხ. *Schmoller* (1921), გვ. 15-16, 24.
40 *Koch-Schlegtendal* (2012). გვ. 23-24.
41 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 91.
42 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 7-8.

ნიერებმა. დანაშაულის შესახებ მოძღვრების განვითარებაში გლოსატორების და პოსტგლოსატორების წვლილი ძალზედ დიდია. შეიძლება ითქვას, რომ პირველად სწორედ იტალიელებმა მიაქციეს ყურადღება დანაშაულის მცდელობის საკითხს, რამაც, თავის მხრივ, გარკვეული გავლენა იქონია გერმანულ სისხლის სამართალში აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებაზე.[43]

პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი იყო **კაროლინა.** ბამბერგის მოსამართლის, **ჰანს შვარცენბერგის** მიერ შემუშავებული ეს აქტი, რომელიც რაიხსტაგმა 1532 წელს მიიღო, 1870 ნლამდე მოქმედებდა როგორც პირველი და ერთადერთი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი. დასახელებული კოდექსის 178-ე პარაგრაფი დანაშაულის მცდელობის საკითხს ეხებოდა, რომლის მიხედვით, მხოლოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულების მცდელობა ისჯებოდა. კანონმდებელი დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის განსაზღვრისას რაიმე კონკრეტულ კრიტერიუმს არ ასახელებდა, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა მცდელობას უფრო მსუბუქად სჯიდა, ვიდრე დამთავრებულ დანაშაულს. დასახელებული კოდექსის 178-ე პარაგრაფის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ იგი **ობიექტურ თეორიას** ემყარებოდა, მაგრამ, რაც უდავოდ უნდა დაფასდეს, არის ის, რომ ეს პარაგრაფი არის თანამედროვე მცდელობის ინსტიტუტის წინამორბედი.[44]

გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერება ბუნებითი სამართლის და სამართლის სხვა ფილოსოფიური იდეების გავლენას განიცდიდა. გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობის შესახებ მოძღვრება არა მხოლოდ წმინდა სამართლის მეცნიერების კრიტერიუმებით, არამედ ფილოსოფიური ასპექტების წყალობითაც განვითარდა. ამ პერიოდში აღმოცენებული ფილოსოფიური მსჯელობები საფუძვლად დაედო მცდელობის შესახებ სხვდასხვა თეორიების ჩამოყალიბებას.[45]

ამ ეპოქის ორი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური მიმდინარეობა იყო ***ლიბერალიზმი*** და ***იდეალიზმი.*** ლიბერალიზმის ამოსავალი წერტილი მოქალაქეთა თავისუფლების არეალის გამყარება იყო. ლიბერალიზმი დანაშაულს განიხილავს, როგორც სამართლით დაცული სიკეთის და ინტერესის დარღვევას. ყველა ობიექტური თეორია, რომელიც მცდელობის დასჯადობის საფუძველს სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნაში ხედავს, ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის გამოვლინებას წამოადგენს. ამის გვერდით განსაკუთრებული გავლენა იქონია იდეალიზმმა, რომლის ძირითადი ნარმომადგენლები კანტი და ჰეგელი იყვნენ. იდეალიზმის ძირითადი პუნქტი მდგომარეობს არა მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვაში, არამედ ასევე საყოველთაო სიკეთის მომსახურე ქცევის ნორმების დაცვაში. სისხლის სამართალში იდეალიზმმა შინაგან განწყობას (მდგომარეობას) დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, ვინაიდან იგი გამოხატულია შედეგში. დანაშაულის მცდელობაში იდეალიზმმა ადგილი ჰპოვა სხვადასხვა სუბიექტური თეორიების მეშვეობით.[46]

---

43 იხ.: *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 10-11; *Koch-Schlegtendal* (2012). გვ. 25.

44 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 12-14.

45 იხ. *Schmoller* (1921), გვ. 58.

46 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 18.

განმანათლებლობის ეპოქის კულმინაციას გერმანულ სისხლის სამართლში **პაულ იოჰან ანსელმ ფოიერბახი** წარმოადგენდა, რომელიც მე-19 საუკუნის დასწყისში მოღვაწეობდა და თავისი სწავლებით თანამედროვე სისხლის სამართალს ჩაუყარა საფუძველი.[47]

მე-18 საუკუნის დასასრულიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე მოკლე ისტორიული მიმოხილვის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს სამი მნიშვნელოვანი კანონმდებლობა, რომლითაც დანაშაულის მცდელობის განვითარებას ახალი გზა გაეხსნა:

ა) 1794 წლის საყოველთაო პრუსიული მიწების საყოველთაო სამართალი. ასე ეწოდებოდა ამ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის მცდელობას უფრო მსუბუქად სჯიდა, ვიდრე დამთავრებულ დანაშაულს, მცდელობის მნიშვნელობას ბოროტ გამიზნაში ხედავდა. ასეთი რეგულირებით მცდელობის დასჯადობის საფუძველი სუბიექტურად, მაგრამ მცდელობის დასჯადობა ობიექტურად ფასდებოდა.

ბ) 1813 წლის ბავარიულმა სისხლის სამართლის კოდექსმა დანაშაულის მცდელობის განვითარების საკითხში რეგრესი განიცადა. ამ კოდექსის 57-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის მცდელობად განიხილებოდა გარეგნულად გამოხატული ქმედება, რომელიც დანაშაულის განხორციელების ან მისი მომზადებისაკენ იყო მიმართული. აქ ერთი ფაქტია აღსანიშნავი, კერძოდ, ფოიერბახმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბავარიული სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებაში მთავარ როლს თამაშობდა, ვერ შეძლო თავისი ობიექტური პოზიციის დაცვა.

გ) 1851 წლის პრუსიულ სისხლის სამართლის კოდექსში გამოხატულება ჰპოვა ობიექტურმა თეორიამ. ეს კოდექსი იყო ფრანგული „code penal"-ის მემკვიდრე. ამ კოდექსის 31-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის მცდელობად ითვლებოდა ქმედება, რომელიც მისი განხორციელების დაწყებას მოიცავდა.[48]

§2. დანაშაულის მცდელობის განვითარების მეორე ეტაპი

დანაშაულის მცდელობის განვითარების მეორე ისტორიული ეტაპი მოიცავს რაიხის, ვაიმარის რესპუბლიკის, ნაციონალ-სოციალისტურ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პერიოდებს.

რაიხკანცლერი **ბისმარკი** მიისწრაფვოდა იქეთკენ, რომ ერთიანი გაეხადა გერმანიის იმპერია. სახელმწიფოს ერთიანობა, თავის მხრივ, საჭიროებდა ერთიან მართლწესრიგს, რომელმაც შეძლო მეცნიერების გათავისუფლება პარტიკულარისტული წნეხისაგან.

რაიხის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსი 1870 წლის ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის იდენტური იყო. ამ კოდექსის (1871) 43-ე პარაგრაფი დანაშაულის მცდელობას ასე აყალიბებდა: პირის

47 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 96.

48 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 21.

ქმედება, მიმართული დანაშაულის ან გადაცდომის ჩასადენად, რომელიც დანაშაულის ან გადაცდომის განხორციელების დაწყებაში გამოიხატება, დანაშაულის მცდელობად ფასდება მაშინ, როდესაც განზრახული დანაშაული ან გადაცდომა ბოლომდე ვერ განხორციელდება.[49]

1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფიდან გამოჩნდა, რომ დანაშაულის განსახორციელებლად მხოლოდ უბრალო ნება არ იყო საკმარისი. დანაშაულის მცდელობის დასჯადობისათვის საჭირო იყო არა ნების ყოველგვარი განხორციელება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც დანაშაულის ან გადაცდომის განხორციელების დაწყებას მოიცავდა. თუმცა, კანონმდებელმა თავად ნიშანი „განხორციელების დაწყება" არ დააკონკრეტა და პრობლემის გადაჭრა მეცნიერებას და სასამართლო პრაქტიკას მიანდო.[50]

კანონმდებლის ობიექტური შეხედულება დასტურდება ასევე კოდექსის 44-ე პარაგრაფით, რომელიც მცდელობას უფრო მსუბუქად სჯიდა. 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ობიექტურ თეორიას იზიარებდა, შეიცავდა ორ ხარვეზს, კერძოდ, იგი რეგულირების გარეშე ტოვებდა უვარგის მცდელობას და არ აკონკრეტებდა „განხორციელების დაწყების" ცნებას. სწორედ ეს ხარვეზები სასამართლო პრაქტიკას აძლევდა იმის საფუძველს, რომ 43-ე პარაგრაფი ნაწილობრივ სუბიექტური თეორიით განემარტა, რომელიც გამოიხატებოდა უვარგისი მცდელობის დასჯადობაში და მომზადების ხარჯზე მცდელობის დასჯადობის გაფართოებაში. მიუხედავად ხარვეზებისა, 43-ე პარაგრაფი განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა და მას ეს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.[51]

რაიხის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლიდან 30 წლის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო სისხლის სამართლის რეფორმის ჩატარება, როგორც დოგმატურ, ასევე კრიმინალ-პოლიტიკურ ნაწილში. 1930 წლამდე ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდამდე სისხლის სამართლის კოდექსის ექვსი პროექტი დაიწერა. თითოეული მათგანი თავისებურად ანესრიგებდა დანაშაულის მცდელობის საკითხებს.

1909 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 75-ე პარაგრაფი ეხებოდა დანაშაულის მცდელობას. იგი მხოლოდ ისეთ ქმედებებს მიიჩნევდა დასჯადად, რომლებიც დანაშაულის დამთავრებასთან ახლოს იდგნენ. გარდა ამისა, პროექტის ავტორს სურდა უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი სუბიექტური თეორიით გადაეწყვიტა, ამიტომ „განხორციელების დაწყების" ნიშანს სუბიექტივისტურად განმარტავდა.

1913 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 32-ე პარაგრაფი მცდელობის განმარტებისას ყურადღებას ამახვილებდა დანაშაულის მომზადებაზე და ხაზს უსვამდა მის სუბსიდიურობას. ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტებში სუბიექტური თეორიების პრესტიჟი ანეული იყო, ხოლო მათ აპოგეას ნაციონალ-სოციალიზმის რეჟიმის დროს მიაღწიეს. მანამდე **რადბრუხის** 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის

49 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 22-23.
50 იხ. *Becher* (1973), გვ. 1.
51 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 23-24.

პროექტმა უახლეს გერმანულ კანონმდებლობაში სუბიექტურ თეორიებს ფართოდ გაუღო კარები. ამ პროექტმა არა მხოლოდ მცდელობის ცნებაში ნიშნის „განხორციელების დაწყება" სუბიექტიეზაცია მოახდინა, არამედ უარი თქვა მანამდე არსებულ პროექტებში დამკვიდრებული მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებაზე.

1925 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ოფიციალური პროექტი იყო რადბრუხისეული პროექტის უმნიშვნელო გადამუშავება, შესაბამისად, მცდელობის ცნებაშიც არანაირ ცვლილებას არ ჰქონია ადგილი.

1927 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან კვლავ აღადგინა დანაშაულის მცდელობის დასჯადობისას სასჯელის სავალდებული შემცირება. ამ პროექტის გაგრძელება იყო 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, სადაც მცდელობის რეგულირების საკითხები ასევე უცვლელი დარჩა. ეს იყო ბოლო პროექტი, რომლითაც ვაიმარის რესპუბლიკის სისხლის სამართლის რეფორმის ისტორია დასრულდა.

1936 წლის **ნაციონალ-სოციალისტური** სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში დანაშაულის მცდელობის რეგულირება აშკარად განსხვავებული იყო მის წინამორბედ კოდექსის პროექტებთან შედარებით. ამ პროექტის მე-7 პარაგრაფი ასე ჟღერდა: დანაშაულის დაწყებად ითვლება ყოველგვარი ქმედება, რომელიც, დამნაშავის წარმოდგენით მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელებისაკენ. ამ გაგებით დანაშაულის მცდელობა და დამთავრება ერთმანეთისაგან არ იმიჯნებოდა, თუმცა მე-7 პარაგრაფის მე-3 აბზაცი ითვალისწინებდა დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის ფაკულტატურ შემსუბუქებას. მიუხედავად ამისა, ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის სისხლის სამართალი იყო აზრის სისხლის სამართალი და სუბიექტურმა თეორიებმა განვითარების პიკს სწორედ ამ რეჟიმის პირობებში მიაღწიეს. ამ პერიოდის სისხლის სამართლის სისტემისათვის სულ ერთი იყო შედეგი დადგებოდა თუ არა. ადამიანებს სჯიდნენ მხოლოდ აზრისათვის. ამის გამო, გერმანიაში მწარედ ხუმრობდნენ, რომ *აზრის სისხლის სამართლის პირობებში ყოველი ადამიანი ერთხელ მაინც უნდა წავიდეს ციხეში.*[52]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სისხლის სამართლის რეფორმა გერმანიაში კვლავ დღის წესრიგში იდგა. ამ პერიოდისთვის გამოიკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის ორი უმნიშვნელოვანესი 1962 წლის პროექტი[53] და 1966 წლის ალტერნატიული პროექტი, რომელიც გადამუშავებული სახით უკვე 1969 წლის თებერვალში მეორეჯერ გამოიცა, ისევ ალტერნატიული პროექტის სახით.[54] გერმანიაში დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მცირეოდენი ცვლილებებით წარმოადგენს სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის ამ ორი პროექტის სინთეზს.

1962 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ტექსტის შექმნაზე სისხლის სამართლის კომისია ხუთი წელი (1954-1959) მუშაობდა. მათი მიზანი

---

52 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 24-30.

53 იხ. *Entwurf eines Strafgesetzbuches mit Begrundung* (1962).

54 იხ. *Entwurf eines Strafgesetzbuches mit Begrundung*, მე-2 გადამუშავებული გამოცემა (1969).

იყო სრულყოფილი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავება. ამ კომისიის მუშაობისას გამოიკვეთა განსხვავებული მიმართულებები. კომისიის ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სუბიექტურ თეორიას (ბოკელმანი), მეორე ნაწილი - შეზღუდულ სუბიექტურ თეორიას (გალასი), მესამე - შეზღუდულ ობიექტურ თეორიას (მეცგერი), ხოლო სხვა დანარჩენები (იეშეკი და სხვები) შერეულ თეორიებს იზიარებდნენ.

სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული პროექტის 26-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მიხედვით, დანაშაულის მცდელობად ითვლება პირის განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის დამთავრებისაკენ და რომელიც გულისხმობს ქმედების განხორციელების დაწყებას ან მისი წარმოდგენით დანაშაულებრივი ვითარების შექმნას, თუმცა დანაშაული ბოლომდე არ არის მიყვანილი. ამ პარაგრაფის მე-2 აბზაცი მიუთითებდა იმაზე, თუ რა ითვლება განხორციელების დაწყებად, კერძოდ, განხორციელების დაწყება გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომლითაც დამნაშავე ქმედების შემადგენლობის განხორციელებას დაიწყებს ან უშუალოდ შეუდგება მის განხორციელებას.[55]

დასახელებული პარაგრაფის პირველმა აბზაცმა დაადგინა მცდელობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ, მცდელობისათვის გაითვალისწინა განზრახი ქმედება და ამით იგი ფაქტობრივად განსხვავდება იმ პერიოდში მოქმედი კოდექსისაგან, რომელიც მხოლოდ „დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილებაზე" უთითებდა. გარდა ამისა, ამ პროექტში მკვეთრად გამოიკვეთა ის, რომ განზრახვა ქმედების დამთავრებისაკენ უნდა იყოს მიმართული და რომ მცდელობისათვის საკმარისია არაპირდაპირი განზრახვა.

რაც შეეხება მე-2 აბზაცს, კანონმდებელი შეეცადა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყების განსაზღვრებით გაეადვილებინა მომზადების და მცდელობის გამიჯვნა. სისხლის სამართლის კოდექსის ამ პროექტმა დაადგინა, რომ მცდელობა სახეზე არის არა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას დაიწყებს, არამედ ასევე მაშინაც, როდესაც იგი შემადგენლობის განხორციელების დაწყებას შეუდგება. მაგალითად, განზრახ მკვლელობის შემადგენლობის დაწყების შედგომას ადგილი აქვს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე იარაღის სასხლეტს გამოკრავს თითს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი იარაღს დატენის და მსხვერპლს დაუმიზნებს. ასევე, ბინაში შეღწევით ქურდობის მცდელობას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც დამნაშავე, ფანჯრის ჩამსხვრევით გამოწვეული ხმაურის თავიდან ასაცილებლად, მინაზე ნაუსვამს საპოხ საშუალებას.

ზემოთ დასახელებული სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 27-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 აბზაცები ითვალისწინებდნენ დანაშაულის მცდელობის დასჯადობის შემთხვევებს. გარდა ამისა, იგი ხაზს უსვამდა მცდელობისათვის სასჯელის შემსუბუქების ფაკულტატიურ ხასიათს.[56]

სისხლის სამართლის კოდექსის 1962 წლის პროექტის ავტორმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობდა ზღვარი გაეველო დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის, მაინც ვერ შექმნა გამიჯვნის ელემენტების მკვეთრი

55 იხ. *Entwurf eines Strafgesetzbuches mit Begrundung* (1962), გვ. 15.
56 იხ. *Entwurf eines Strafgesetzbuches mit Begrundung* (1962), გვ. 144-145.

კონფიგურაცია. ეს პროექტი, ისევე როგორც ადრინდელი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტები, თავის თავში რიგ წინააღმდეგობას შეიცავდა, კერძოდ, მაშინ, როდესაც 1962 წლის პროექტში მცდელობის დასჯადობა სუბიექტურ საფუძველზე იყო აგებული, გამიჯვნის საკითხებს იგი მეტად თუ ნაკლებად ობიექტივისტურად ნყვეტდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 1969 წლის ალტერნატიული პროექტი, 1962 წლის პროექტთან შედარებით, დანაშაულის მცდელობის მოკლე ცნებას იძლეოდა. სისხლი სამართლის კოდექსის ალტერნატიული პროექტის 24-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც პირი თავისი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, მის უშუალოდ განხორციელებას შეუდგებოდა.

გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფით განსაზღვრული დანაშაულის მცდელობის ცნება ორი პუნქტით განსხვავდება სისხლის სამართლის კოდექსის 1969 წლის პროექტის 24-ე პარაგრაფით გათვალისწნებული დანაშაულის მცდელობის განმარტებისაგან, კერძოდ: ა) ნაცვლად ფორმულირებისა „მის უშუალოდ განხორციელებას შეუდგება", ჩამოყალიბდა ასეთი ფორმულირება „დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას შეუდგება", ბ) ხოლო ფორმულირების „თავისი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით" ნაცვლად, შეტანილ იქნა შემდეგი ფორმულირება „დანაშაულის შესახებ თავისი წარმოდგენის მიხედვით". ბოლო ფორმულირებით კანონმდებელი შეეცადა, თავიდან აეცილებინა აფექტში ჩადენილი დანაშაულის მცდელობის დაუსჯელობის ის საფრთხე, რომელიც გამოწვეული იყო სისხლის სამართლის კოდექსის ალტერნატიულ პროექტში მცდელობის ცნების ფორმულირებით.[57]

§3. შეჯამება

გერმანულ სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის ისტორიულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ძველი გერმანული სამართალი, ისევე როგორც ძველი ქართული სამართალი, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ცნებას არ იცნობდა. თუმცა, ქართული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანულმა სისხლის სამართალმა ბევრად ადრე დაიწყო დაუმთავრებელ დანაშაულის დასჯადობის შესახებ ფიქრი და უკვე მე-16 საუკუნის 30-იან წლებში დანაშაულის მცდელობა, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი სტადია, დასჯადად გამოაცხადა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი არასოდეს არ დასმულა დღის წესრიგში.

რაც შეეხება დანაშაულის მცდელობას, დროთა განმავლობაში დანაშაულის მცდელობის ცნება იცვლებოდა და იხვეწებოდა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1871 წელს მიღებულ გერმანულ სისხლის სამართ-

57 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 32-35.

ლის კოდექსში ჩამოყალიბებული დანაშაულის მცდელობის ცნება გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის მცდელობის ცნების სახელმძღვანელო ბაზისს ნარმოადგენს.

დანაშაულის მცდელობის დასჯადობას, თავდაპირველად, საფუძვლად დაედო „ობიექტური თეორია“, რაც ამ პერიოდში აღიარებული უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური მიმდინარეობის, ***ლიბერალიზმის*** დამსახურება იყო. თუმცა მოგვიანებით, ფილოსოფიური მიმდინარეობის, **იდეალიზმის** განვითარების შედეგად, სადავეები ხელთ „სუბიექტურმა თეორიებმა“ იგდეს.

კარი II. დამთავრებული დელიქტის ცნება და სახეები. დანაშაულის განვითარების სტადიები და დანაშაულის ეტაპები ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

თავი I. დამთავრებული დელიქტის ცნება და სახეები

§1. დამთავრებული დანაშაული და მისი სახეები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

დაუმთავრებელი დანაშაულის დახასიათება მეთოდოლოგიურად გამართლებულია მას შემდეგ, რაც მოხდება დამთავრებული დანაშაულის ანალიზი. ამდენად, ჯერ უნდა აიხსნას იმ მოვლენის არსი, რომელიც ადამიანის მიერ დასრულებულად არის მიჩნეული, რათა შემდგომ გაადვილდეს მისი ნაწილის (დაუსრულებელის) მნიშვნელობის გაგება.[58] საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უნდა დაეფუძნოს მთელის და ნაწილის ურთიერთმიმართების გაგებას. მოვლენის შესწავლა უნდა მოხდეს ისეთნაირად როგორც ის არსებობს, ხოლო ამის შემდეგ, ადვილი ასახსნელია მისი ნაწილის არსი. მკითხველი თავდაპირველად ეცნობა მთელის მნიშვნელობას და ამის შემდეგ, ახდენს მისი ნაწილების კვლევას, სადაც მთელის შესახებ ცოდნა ეხმარება „ნაწილის" ახსნაში. ასეა დანაშაულის, როგორც ერთი მთლიანი მოვლენის შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, თავდაპირველად, მიზანშეწონილია, განხორციელდეს დამთავრებული დანაშაულის, როგორც „მთელის" მოვლენის ანალიზი და ამის შემდგომ, მოხდეს დაუმთავრებელი დანაშაულის, როგორც „ნაწილის" კვლევა.

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში **დამთავრებული დანაშაულის**, როგორც „მთელის" ცნება მოცემული არ არის, არამედ სსკ-ის მე-7 მუხლი მხოლოდ დანაშაულის ზოგად ცნებას აყალიბებს, სადაც დანაშაული გაიგება, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მაშასადამე, დანაშაულის ელემენტებია ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.[59] სამაგიეროდ, სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლები აყალიბებს დაუმთავრებელი დანაშაულის, როგორც „მთელის" შემადგენელი „ნაწილის" ცნებას.

დამთავრებული დანაშაულის განმარტება ისტორიულად საქართველოს სისხლის სმართლის კოდექსებში არ გვხვდება, თუმცა საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის „სახელმძღვანელო დებულებებში" ჩამოყალიბებული იყო დამთავრებული დანაშაულის განსაზღვრება, კერძოდ, „დანაშაული დამთავრე-

58 იხ.: *წერეთელი* (1961), გვ. 47; *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 149.
59 იბ. *ტურავა* (2010), გვ. 70.

ბულად ითვლება, როცა მისი ჩამდენის განზრახვა ბოლომდე განხორციელებულია". ასეთი განსაზღვრება ძალზედ აფართოებდა დამთავრებული დანაშაულის ცნებას და ერთგვარ გაუგებრობასაც იწვევდა სასამართლო პრაქტიკაში, რადგან ზოგჯერ დანაშაულის განზრახვა, შესაძლებელია, უფრო შორს მიდიოდეს, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობა, მაგალითად, ანგარების მოტივით ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში.[60]

დანაშაულის შემადგენლობები დამთავრებული სახით აღწერილია სისხლის სამართლის კანონში და ამიტომ დანაშაუალის შემადგენლობა კანონის შემადგენელი ნაწილია.[61] „დამთავრებული დანაშაულებრივი შემადგენლობა შემადგენლობის ჩვეულებრივ ტიპს წარმოადგენს, ხოლო მცდელობა და მომზადება მისგან არის ნაწარმოები."[62]

თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ამა თუ იმ დანაშაულის დამთავრების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ამ თუ დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონში.[63] მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის მიხედვით, მკვლელობის დამთავრებულ დანაშაულად გამოცხადებისათვის აუცილებელია ობიექტური ნიშნის, კერძოდ, შედეგის დადგომა სიკვდილის სახით.[64] ასევეა ქურდობის დროსაც, კერძოდ, ქურდობის დამთავრებულად გამოცხადებისათვის აუცილებელია შედეგის დადგომა, ქონებრივი დაზიანების სახით.Aამიტომ, ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაეუფლება სხვის ნივთს.[65] რაც შეხება ყაჩაღობის შემადგენლობას, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მიხედვით, იგი დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან და არა ქონების დაუფლების მომენტიდან,[66] ასევეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული „შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება", რომელიც დამთავრებულად ითვლება საიდუმლოების გამჟღავნების მომენტიდან.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის დოგმატიკაში ჩადენის ფორმის მიხედვით გამოყოფენ **მატერიალური** და **ფორმალური** სახის დანაშაულებს, რომლებსაც **შედეგიან** და **შედეგგარეშე** დანაშაულის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ.[67] მატერიალურ დანაშაულებს მიეკუთვნება ისეთი დანაშაულები, რომელთა დამთავრებულად გამოცხადებისათვის აუცილებელია ობიექტურ გარესამყაროში ცვლილების, კერძოდ კი, შედეგის გამონვევა, მაგალითად, განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი)[68] ანდა სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხით გამონვეული შედეგი, მაგალითად, აფეთქება, რამაც

60 იხ. *სურგულაძე* (1979), გვ. 53.
61 იხ. *წერეთელი, ტყეშელიძე* (1969), გვ. 10.
62 *წერეთელი* (1961), გვ. 47.
63 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 49.
64 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 29.
65 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 368-369.
66 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 380.
67 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 93; *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), მე-4 სქოლიო, გვ.150.
68 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 93; *გამყრელიძე* (2008), გვ. 79.

გამოინვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი (სსკ-ის 229-ე მუხლის მე-4 ნაწილი),[69] ხოლო ფორმალურ დანაშაულებს მიაკუთვნებენ ისეთ დანაშაულებს, რომლის დამთავრებისთვის საკმარისია აქტიური მოქმედების ჩადენა, მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემა (სსკ-ის 370-ე მუხლი), ან უმოქმედობის განხორციელება, სახელდობრ, შესაძლებელი მოქმედების შეუსრულებლობის მომენტი, მაგალითად, გადასახადისთვის თავის არიდება (სსკ-ის 218-ე მუხლი),[70] ანდა საფრთხის შექმნა. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ფორმალურ დელიქტებს მიაკუთვნებენ **აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებს,** რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, დამთავრებულად ითვლება აკრძალული ქმედების ჩადენისთანავე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის არ არის აუცილებელი სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან მისთვის რაიმე საფრთხის შექმნა.[71] ფორმალურ დანაშაულებში შედეგი მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით არის გაგებული.[72] სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში თავად ქმედებაა საშიში, თუმცა საფრთხე განუსაზღვრელ ხასიათს ატარებს.[73]

რაც შეეხება **კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს,** როგორიც არის, მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლი (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) და **აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებს,** მაგალითად, სსკ-ის 288-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გარემოსათვის საშიში ნივთიერებებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევისათვის, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ასევე სსკ-ის 242-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი, შესაძლებელია, ასევე მიეკუთვნოს ფორმალური ტიპის დანაშაულებს.

კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების შეტანამ ფორმალურ დანაშაულთა ჯგუფში, სისხლის სამართლის ლიტერატურაში შესაძლებელია დავაც გამოინვიოს. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი დგინდება არა მარტო ქმედებასა და შედეგს შორის, არამედ ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის. აქედან გამომდინარე, ისეთ კონკრეტულ საფრთხის დელიქტებში, როგორიც არის მაგალითად, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (სსკ-ის 127-ე მუხლი), ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი) და ა. შ. სსკ-ს მე-8 მუხლიდან გამომდინარე, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა დამნაშავის მოქმედებასა და დაზარალებულის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას შორის. ასეთი დასკვნა, თავის

---

69 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 93; *უგრეხელიძე* (1982), გვ. 6.

70 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 93.

71 იხ. *უგრეხელიძე* (1982), გვ. 5.

72 იხ. *ნაჭყებია* (2002), გვ. 75.

73 იხ. *თოდუა*, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" №2-3 (2007), გვ. 153.

მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტები კანონმდებლობით მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე ფორმალურ დანაშაულებს, რადგან სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მიზეზობრივი კავშირი დგინდება მხოლოდ მატერიალურ დანაშაულებში, მაშინ, როდესაც ფორმალურ დანაშაულებს მიზეზობრივი კავშირი არ აინტერესებს.

კანონის ასეთი ფორმულირება მიუღებელია, რადგან, როგორც ცნობილია, მიზეზობრივი კავშირი ობიექტური კატეგორიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზეზობრივი კავშირი არსებობს ან არ არსებობს. მისი არსებობა დამოკიდებული არ არის სუბიექტის წარმოდგენებზე. ვინაიდან ობიექტურად არსებული შედეგის გამოწვევის შემდეგ, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი, ანალოგიურად უნდა გადაწყდეს მიზეზობრიობის საკითხი საფრთხის გამოწვევის დროსაც. მაშასადამე, მიზეზობრივი კავშირი რომ დადგინდეს, საფრთხე უნდა არსებობდეს ობიექტურად და არა დამნაშავის წარმოდგენაში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საფრთხის შემქნელი დელიქტები სპეციფიკურობით გამოირჩევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი დამთავრებისათვის აუცილებელი არ არის, რომ კონკრეტული საფრთხე ატარებდეს რეალურ ხასიათს, არამედ ზოგჯერ საკმარისია, რომ იგი მხოლოდ ადამიანის წარმოდგენაში არსებობდეს. მაგალითად, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ყაჩაღობა სახეზეა არა მარტო მაშინ, როდესაც დამნაშავე ნამდვილ იარაღს იყენებს და დაზარალებულს ამით რეალურ საფრთხეს უქმნის, არამედ მაშინაც, როდესაც დამნაშავე ნამდვილი იარაღის ნაცვლად, სათამაშო იარაღის დემონსტრირებას ახდენს დაზარალებულის წინაშე (ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე სიტყვიერად არ ემუქრება დაზარალებულს, არამედ მხოლოდ ნივთის გადაცემას ითხოვს და თან სათამაშო იარაღის დემონსტრირებას ახდენს მის წინაშე) და ამით ცდილობს დაზარალებულის შეშინებას. მოცემულ შემთხვევაში სათამაშო იარაღს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის გამოწვევა ობიექტურად არ შეუძლია, მაშასადამე, საფრთხე რეალურ ხასიათს არ ატარებს, არამედ იგი მხოლოდ დაზარალებულის წარმოდგენაშია.[74]

ამდენად, კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ყაჩაღობის შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს დამნაშავის ქმედებასა და დაზარალებულის წარმოდგენაში არსებულ საფრთხეს შორის, რაც, რა თქმა უნდა, არ იქნება გამართლებული. მაშასადამე, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენა მიზანშეწონილია ობიექტურად არსებულ გარემოებებს შორის, კერძოდ, ქმედებასა და შედეგს შორის, ხოლო საფრთხე, როგორც ასეთი, შეიძლება არსებობდეს როგორც ობიექტურად, ასევე მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში. აქედან გამომდინარე, საფრთხის შემქმნელ დელიქტებზე საუბრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მსჯელობას, როდესაც შესაძლებელია, როგორც ობიექტურად არსებული საფრთხე, ასევე სუბიექტის წარმოდგენაში არსებული საფრთხე, ჩაითვალოს საფრთხის შემქმნელი დელიქტის დამთავრებულ დანაშაულად გამოცხადების საფუძვლად, სადაც სავსებით გაუმართლებელია მიზეზობრივ კავშირზე საუბარი.

74 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 379.

საფრთხის შემქმნელი დანაშაულის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანის შესახებ, სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული იყო სხვადასხვა შეხედულება,[75] რომლებსაც თინათინ წერეთელი არ იზიარებდა და მიუთითებდა იმ სამ მიზეზზე, რამაც განაპირობა საფრთხის შემქმნელი დანაშაულების შემოღება სისხლის სამართლის კოდექსში. **ერთ-ერთი** ასეთი მიზეზი, წერეთლის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების ხელყოფა იყო. „ამ შემთხვევაში კანონმდებელი დასჯადად აცხადებს ისეთ მოქმედებასაც კი, რომელიც აღნიშნულ ობიექტთა დაზიანების თუნდაც შორეულ და უმნიშვნელო საფრთხეს ჰქმნის."[76] **მეორე** მიზეზად წერეთელი ასახელებდა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობას. მისი აზრით, ვინაიდან დაუშვებელია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა, ამიტომ ისეთი ქმედებები, რომლებიც ევენტუალური განზრახვით ხორციელდება, შესაძლებელია, დაუსჯელი დარჩეს. ასე რომ არ მოხდეს კანონმდებელს სისხლის სამართლის კოდექსში შემოაქვს საფრთხის შემქნელი დელიქტები. **დაბოლოს**, თინათინ წერეთელი მესამე მიზეზად ასახელებდა საკანონმდებლო პოლიტიკას, როდესაც კანონმდებელს სურს უფრო ადრეულ სტადიაზე დასაჯოს ესა თუ ის ქმედება. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მას მოაქვს ყაჩაღობის შემადგენლობის მაგალითი, როდესაც ქმედება დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან.[77]

ფორმალურ დანაშაულებს ასევე შეიძლება მიეკუთვნოს ე. წ. ***„შეკვეცილი შემადგენლობები"***, რომლის იდეას სისხლის სამართალში თინათინ წერეთელი ასევე არ იზიარებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ამით ძალზედ ფართოვდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები და ასევე დანაშაულში თანამონაწილეთა წრე. მისი თქმით, თუ კი შეკვეცილი დანაშაულის არსებობა დაკანონდება, მაშინ ამ დანაშაულში თანამონაწილეებად ჩაითვლებიან არამარტო ის პირები, რომლებიც ძირითადი ქმედების განხორციელებაში მის დამთავრებამდე ჩაერთვნენ, არამედ ის პირებიც, რომლებიც ქმედებას დანაშაულის დამთავრების შემდეგ შეუერთდნენ.[78]

საქმე იმაშია, რომ დებულება „შეკვეცილი შემადგენლობების" არსებობის უარყოფის შესახებ, არ არის დამაჯერებელი, რადგან დანაშაულში თანამონაწილეთა წრის გაფართოების და მათი პასუხისმგებლობის საკითხი თავად თანამონაწილეობის პრობლემაა და იგი დამოკიდებული არ არის დამთავრებული დანაშაულის თავისებურებებზე.

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, შესაძლებელია, ახლებურად გადაწყვიტოს ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის დამთავრების საკითხი. ასე მოხდა **მექრთამეობასთან** დაკავშირებით. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, 2006 წლის 25 ივლისამდე ქრთამის მიცემა დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა მაშინ, როდესაც ქრთამის მიმცემი ქრთამის ამღებს გადასცემდა ფულს, ან

75 იხ. *Дурманов* (1955), გვ. 44.
76 *წერეთელი* (1961), გვ. 52.
77 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 52-53.
78 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 58.

სხვა არამატერიალურ სიკეთეს და, შესაბამისად, ქრთამის ამღები მიიღებდა ასეთ სიკეთეს. მაგრამ უკვე 2006 წლის 25 ივლისიდან, სისხლის სამართლის კოდექსში ქრთამის მიცემა დამთავრებულ დანაშაულად გამოცხადდა ფულის ან სხვა არამატერიალური სიკეთის დაპირების ან შეთავაზების მომენტიდან, და შესაბამისად, ქრთამის ამღების მიერ ასეთი სიკეთის არა მხოლოდ მიღების, არამედ მოთხოვნის მომენტიდან, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან.

კანონმდებელს შეუძლია პირიქითაც იმოქმედოს, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებით ე. წ. ფორმალური დანაშაული აქციოს მატერიალურ დანაშაულად. მაშასადამე, დანაშაულის დამთავრების მომენტი გადაიტანოს შემდგომ ეტაპზე. მაგალითად, სავსებით გამართლებული იქნება, თუ კანონმდებლი განახორციელებს ცვლილებას ყაჩაღობის შემადგენლობაში (სსკ-ის 179-ე მუხლი) და ამ დანაშაულს ე. წ. „შედეგიან დანაშაულად" გადააქცევს. მაშასადამე, ყაჩაღობის დამთავრებისათვის საკმარისი არ იქნება თავდასხმის მომენტი, არამედ აუცილებელი იქნება დამნაშავის მიერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით სხვისი ნივთის დაუფლების მომენტი. საბოლოო ჯამში, სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნანილი შესაძლებელია ასე ჩამოყალიბდეს: „ყაჩაღობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსანინააღმდეგო დაუფლება სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით."

კანონმდებლის ასეთი მიდგომა ადასტურებს იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის დამთავრების საკითხის განსაზღვრა *პირობითია* და მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია კანონმდებლის ნებაზე, რომელიც საერთო სისხლის სამართლის პოლიტიკით არის ნაკარნახევი.

თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც კანონმდებლის ნება დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს დანაშაულის დამთავრების საკითხს სისხლის სამართლის კოდექსში, ანუ უფრო ზუსტად, კანონმდებელზე არ არის დამოკიდებული ქმედების დამთავრებულ დანაშაულად გამოცხადების საკითხი. ეს ეხება სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ ისეთ დანაშაულს, როგორიც არის მაგალითად, განზრახ მკვლელობის შემადგენლობა.Dდაკვირვებამ აჩვენა, რომ კანონმდებელი თავისი ნებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოაცხადებს ქმედებას დამთავრებულ განზრახ მკვლელობად, ვიდრე არ დადგება შედეგი. ყოველივე ამას კი თავად ასეთი დანაშაულის სოციალური ბუნება განაპირობებს და მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული მეთოდი არ არის საკმარისი სისხლის სამართლის კოდექსში მათ განსაზღვრისათვის. ასეთ დელიქტებს შესაძლებელია ეწოდოს „ბუნებრივი დელიქტები".

მაშასადამე, ეს ეხება დანაშაულის ისეთ შემადგენლობებს, სადაც დანაშაულის შედეგი არის ერთადერთი ელემენტი სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთის გამოსავლენად. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსში არის ისეთი დელიქტები, სადაც ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა უკვე დამთავრებული დანაშაულია, მაშასადამე, მკვლელობის მცდელობა უკვე დამთავრებული დანაშაულია, ასეთია, მაგალითად, სსკ-ის 325-ე მუხლი, თუმცა დასახელებული დანაშაულის შემადგენლობა ე. წ. „ბუნე-

ბრივ დელიქტებს" არ შეიძლება მიეკუთვნოს, არამედ იგი უფრო ფორმალურ-იურიდიულ „მანევრის" შედეგი. ამ მუხლის შემოღებით კანონმდებელის მიზანი იყო პირველ რიგში დაეცვა სახელმწიფო ინტერესი. მაშასადამე, ამ დანაშაულის დამთავრებისათვის მატერიალურად გაგებული შედეგის არსებობა აუცილებელი არ არის, რადგან ეს უკანასკნელი არ გახლავთ დაცული სამართლებრივი სიკეთის გამოვლენის ერთადერთი ელემენტი.

§2. დამთავრებული დანაშაული და მისი სახეები გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

გერმანული სისხლის სამართლის კანომდებლობა, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის ორ საფუძველს, *დანაშაულს* და *გადაცდომას* იცნობს. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მიხედვით, **დანაშაულს** წარმოადგენს ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლისთვისაც სასჯელის სახედ გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზღვარი ერთი წელია ან უფრო მეტია, ხოლო მე-12 პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით, გადაცდომა გულისხმობს ისეთ მართლსანინააღმდეგო ქმედებას, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზღვარი უფრო დაბალია, ან სასჯელის სახედ გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა.[79] შესაბამისად, დელიქტის ბუნებისათვის კანონში მოცემული სასჯელის აბსტრაქტული მუქარა არ არის ისეთი, რომელზეც ცალკეულ შემთხვევებში მოსამართლე ფაქტობრივად იქნება დამოკიდებული. დიფერენციაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს მცდელობის საკითხის გადაწყვეტაში და ასევე, თანამონაწილეთა მცდელობის დასჯადობის ფარგლების განსაზღვრაში. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობა ყოველთვის დასჯადია, ხოლო გადაცდომა ისჯება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის შესახებ კერძო ნაწილის მუხლებში პირდაპირ არის მითითებული. გარდა ამისა, ნაქეზების მცდელობა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს ისჯება, ხოლო გადაცდომის შემთხვევაში იგი დაუსჯელი რჩება. თუმცა აქაც არსებობს გამონაკლისი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადგილი აქვს ფიცის გარეშე ყალბი ჩვენების მიცემისაკენ ნაქეზების მცდელობას (სსკ-ის 159-ე პარაგრაფი). დასახელებულ შემთხვევაში მოქმედებს სსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი.[80] ეს უკანასკნელი კი არეგულირებს თანამონაწილეთა ნაქეზების შემთხვევებს.

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოყოფენ დამთავრებული დელიქტის სხვადასხვა სახეებს.

პირველ ეტაპზე გამოყოფენ შედეგიან და საფრთხის შემქმნელ დელი-

79 იხ. *ვესელსი, ბოილკე*, 38-ე გამოცემის ქართული თარგმანი, რედ., *დვალიძე* (2010), გვ. 9.

80 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 60, 285-286.

ქტებს.

შედეგიან დელიქტებში მოიაზრება ისეთი დელიქტები, რომლის დამთავრებისთვისაც აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომა. ასეთია, მაგალითად, განზრახ მკვლელობა, რომელიც გათვლისწინებულია გერმანიის სსკ-ის 212-ე პარაგრაფით, სადაც შედეგს ნარმოადგენს ადამიანის სიკვდილი. ასეთი სახის დელიქტებში აუცილებელია, რომ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების გვერდით იდგეს შედეგი, რომელიც ასევე გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობით.[81] შედეგიან დელიქტებს მიეკუთვნება ე. წ. თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები, რომლებსაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ძირითადი დელიქტის განხორციელებას, სულ მცირე, გაუფრთხილებლობით შედეგი მოჰყვება. შედეგიანი დელიქტის საპირისპიროდ დასახელებულია **შედეგგარეშე დელიქტები**,[82] რომლებსაც ***ქმედების დელიქტის*** სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. ეს დელიქტის ისეთი სახეა, როდესაც დანაშაულის შემადგენლობას მარტო მოქმედება ავსებს და კონკრეტული შედეგის გამოწვევა საჭირო არ არის. მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 154-ე პარაგრაფი ითვალისწინებს ცრუ ჩვენებას. აქ დანაშაულის დამთავრებისათვის საკმარისია ფიცის ქვეშ არასწორი ჩვენების მიცემა, დაფიცება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ასეთ ჩვენებას სასამართლოს მხრიდან არასწორი განაჩენის გამოტანა მოჰყვეს, მაგრამ ეს უკანასკნელი შედეგი ამ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს არ წარმოადგენს.

შესაძლებელია ასევე სხვა ტიპის დანაშაულის შემადგენლობების გამოყოფა, რომელსაც ლიტერატურაში **შეკვეცილი შედეგიანი დელიქტების** სახელით მოიხსენიებენ[83] და სადაც შედეგი დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში შეტანილი არ არის, მაგრამ ამას მოითხოვს შედეგზე მიმართული დამნაშავის მიზანი. ამის მაგალითად, გერმანულ ლიტერატურაში დასახელებულია ქურდობის შემადგენლობა (სსკ-ის 242-ე პარაგრაფი), სადაც ნივთის მისაკუთრება არ წარმოადგენს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანს, არამედ იგი დამნაშავის მიზნით უნდა იყოს მოცული. მაშასადამე, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისთვის საკმარისია, რომ დანაშაულებრივი მოქმედება, შედეგი და შედეგის დადგომის მიზეზობრიობა დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობით იყოს მოცული. აქ არაფერი არ იცვლება, როდესაც შედეგი ფაქტობრივად სახეზეა.[84] აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან მიჯნავენ ფორმალურად დამთავრებულ დანაშაულს და დანაშაულის მცდელობას. თუ კი რომელიმე ქმედების მცდელობის მომენტიდან სასჯელია დაწესებული, მაშინ ფორმალური დასრულება და მცდელობა ერთნაირად არის შეფასებული.[85]

---

81 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 61-62.

82 იხ. *ვესელსი, ბოილკე*, 38-ე გამოცემის ქართული თარგმანი, რედ., *დვალიძე* (2010), გვ. 11-12.

83 იხ. *Puppe*, AT I (2002), გვ. 335-336.

84 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 62.

85 იხ. *ვესელსი, ბოილკე*, 38-ე გამოცემის ქართული თარგმანი, რედ., *დვალიძე* (2010), გვ. 16-17.

ამასთან, დანაშაულის **ფორმალური დამთავრება** უნდა გაიმიჯნოს **მატერიალური დასრულებისგან**,[86] რადგან მათ სწორად გამიჯვნას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია კვალიფიკაციისათვის, ხანდაზმულობის ვადების გამოსაანგარიშებლად და, შესაძლებელია, ასევე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაჭრისათვის. მატერიალური დამთავრების მომენტი ასევე პრაქტიკულ როლს თამაშობს დენად დანაშაულებში. მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სსკ-ის 239-ე პარაგრაფი) ფორმალურად დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს ოთახში ჩაკეტავს ან სხვა ქმედებას განახორციელებს, ხოლო ეს დანაშაული მატერიალურად მთავრდება მაშინ, როდესაც დაზარალებული დაიბრუნებს საკუთარ თავისუფლებას.[87]

მაშასადამე, სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის წინაპირობების განხორციელებით დანაშაული დამთავრებულად ითვლება. ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის დროს, რა თქმა უნდა, მათი სტრუქტურის გათვალისწინებით, ადგილი აქვს უმართლობის კიდევ უფრო „გაღრმავებას", რა დროსაც დანაშაული დასრულებული სახით ყალიბდება. ამდენად, დანაშაულის დასრულება, დანაშაულის დამთავრებისგან განსხვავებით, გულისხმობს კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არა ფორმალურად შესრულებას, არამედ მატერიალური უმართლობის განხორციელებას.[88]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ცალკე გამოყოფენ ასევე ***დაზიანების გამომწვევ დელიქტებს***, რომლებიც შესაძლებელია, შედეგიანი დანაშაულების ჯგუფში მოიაზროს. მათ მიეკუთვნება ისეთი დელიქტები, რომლებიც სამართლით დაცულ ობიექტს სახეს უცვლის. ასეთია, მაგალითად, სსკ-ის 223-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაზიანების შემადგენლობა.

საფრთხის დელიქტებს წარმოადგენს ისეთი დელიქტები, როდესაც დამნაშავე თავისი ქმედებით სამართლებრივ სიკეთეს მხოლოდ საფრთხეს უქმნის. განასხვავებენ კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს. ***კონკრეტული საფრთხის დელიქტის*** დროს დანაშაულებრივი შედეგი დანაშაულის ობიექტისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნაში დევს. ასეთია, მაგალითად, სატრანსპორტო დანაშაული (სსკ-ის 315-ე პარაგრაფი). ასეთ დელიქტებში კონკრეტული საფრთხის გამონვევა დანაშაულის შემადგენლობის ელემენტია, რომელიც დამნაშავის განზრახვით არის მოცული. ***აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში***, პირიქით, საფრთხე არ წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს, არამედ ადამიანის ქმედებით შექმნილი საფრთხე მხოლოდ კანონმდებლის ნებით არის წინ წამოწეული. ასეთ დელიქტებში ადგილი აქვს ადამიანის საფრთხის შემცველ საქმიანობას. მაგალითად, სსკ-ის 316-ე პარაგრაფი პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პირს, რომელიც მთვრალ მდგომარეო-

---

86 ტერმინის „მატერიალური დამთავრება" ნაცვლად, უმჯობესია გამოყენებული იქნეს ტერმინი „მატერიალური დასრულება".

87 იხ. *ვესელსი, ბოილკე*, 38-ე გამოცემის ქართული თარგმანი, რედ., *დვალიძე* (2010), გვ. 341-343.

88 იხ. *Murmann* (2011), გვ. 71.

ბაში მართავს ავტომობილს. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მოძრაობის სხვა მონაწილეს არ ექმნება რაიმე საფრთხე. აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს მიეკუთვნება ასევე სსკ-ის 306-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი, რომელიც ითვალისწინებს ცეცხლის მოკიდებას დამამძიმებელ გარემოებებში.[89]

საფრთხის დელიქტებში გამოყოფენ ასევე **აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის** შემქნელ დელიქტებს, რომელსაც ზოგჯერ ე. წ. **პოტენციური საფრთხის** დელიქტებადაც მოიხსენიებენ.[90]

§3. შეჯამება

დამთავრებული დანაშაულის ანალიზმა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში გამოავლინა შემდეგი მსგავსებები და განსხვავებები:

გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, დამთავრებული დანაშაულის ცნება არ არის განსაზღვრული, თუმცა ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, იგი აღიარებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ორ საფუძველს — დანაშაულს და გადაცდომას. ასეთ დაყოფას გერმანულ სისხლის სამართალში პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია მცდელობის დასჯადობის გადაწყვეტის საქმეში, კერძოდ, დანაშაულის მცდელობა ყოველთვის დასჯადია, ხოლო გადაცდომის მცდელობა ისჯება მაშინ, თუ ამის შესახებ სისხლის სამართლის კერძო ნაწილშია მითითებული.

მსჯელობიდან გამომდინარე, ჯერ ერთი, გამოიყო დამთავრებული დანაშაულის კლასიფიკაციის სახეები, რომელიც ცნობილია როგორც ქართული, ასევე გერმანული სისხლის სართლისათვის და, შესაბამისად, იგი სხვადასხვა ნიშნით ხორციელდება, მაგალითად, ქმედების, შედეგის, სუბიექტების, დროში განვითარების და სხვა ნიშნით და, მეორე, განისაზღვრა ამ კლასიფიკაციაში დანაშაულის შემადგენლობების შეტანის საკითხი, რომელიც განსხვავებულად არის წარმოდგენილი გერმანულ და ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მაგალითად, გერმანული და ქართული სისხლის სამართალი აღიარებს დანაშაულის მატერიალურ და ფორმალურ ცნებებს (აღიარებული კლასიფიკაციის სახეები), მაგრამ ზოგჯერ გერმანული და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთი და იგივე დამთავრებულ დანაშაულს სხვადასხვა კლასიფიკაციაში აქცევს. მაგალითად, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ყაჩაღობა მატერიალურ დანაშაულს მიეკუთვნება, ხოლო ქართული სისხლის სამართლის თანახმად, იგი ფორმალურ დანაშაულს წარმოდგენს (სისხლის სამართლის კერძო ნანილით განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობების კლასიფიკაციის განსხვავებული მიდგომები). ამ საკითხების ანალიზი მეცნიერებას ხელს უწყობს სწორად განსაზღვროს დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხი გერმანული და ქართული სისხლის სამარ-

89 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 63.

90 იხ. *ვესელსი, ბოილკე*, 38-ე გამოცემის ქართული თარგმანი, რედ., *დვალიძე* (2010), გვ. 13-16.

თლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობებში.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს დამთავრებული დანაშაულის კლასიფიკაციის გათვალისწინებით, ბევრი საერთო აქვს, გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია ისეთი კლასიფიკაცია, რომელსაც ქართული სისხლის სამართალი არ იცნობს. ასეთია, მაგალითად, ე. წ. შეკვეცილი შედეგიანი დელიქტები და ნვრილმანი დელიქტები.

თავი II. დანაშაულის განვითარების სტადიები და ეტაპები

§1. დანაშაულის სტადიების ზოგადი ანალიზი

გარკვეულ დროსა და სივრცეში ყოველ დანაშაულს აქვს დასაწყისი და დასასრული.[91] დანაშაულებრივი გადაწყვეტილება შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე ან სტადიაზე შეჩერდეს. მაშასადამე, განზრახი დანაშაული გაივლის ნების განხორციელების სხვადასხვა სტადიებს, კერძოდ, ეს გზა მოიცავს დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას, ქმედების შემადგენლობის დამთავრებას და დანაშაულებრივი შედეგის დადგომას, მის დასრულებამდე.[92] ამიტომ, დანაშაულად ითვლება არა მარტო დამთავრებული დანაშაული, არამედ დაუმთავრებელი დანაშაული, რომელიც შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას ქმნის.[93]

მაშასადამე, განზრახი დანაშულის ოთხი სტადია გამოიყოფა: 1. დანაშულებრივი განზრახვის გამომჟღავნება (*ლიტონი განზრახვა*); 2. დანაშაულის მომზადება; 3. დანაშაულის მცდელობა და 4. დამთავრებული დანაშაული.

სისხლის სამართალში საზოგადოდ აღიარებულია, რომ განზრახვის გამომჟღავნება დანაშაულის განვითარების სტადიად არ განიხილება, რადგან განზრახვის გამომჟღავნება არავითარ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ მართლწესრიგს,[94] თუმცა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ქართული დოგმატიკა და კანონმდებლობა ამ საყოველთაო დებულებიდან რიგ გამონაკლისს უშვებს. ამის საილუსტრაციოდ, მეცნიერები ასახელებენ დანაშაულის დაფარვის წინასწარ შეპირების შემთხვევას, რომელიც განზრახვის გამომჟღავნებას წარმოადგენს, ასევე საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილს, სადაც უშედეგო ნაქეზებაზეა საუბარი. ეს უკანასკნელი ისეთი შემთხვევაა, როდესაც ნამქეზებელი ვერ დაიყოლიებს ამსრულებელს დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, მეცნიერთა შეხედულებით განზრახვის გამომჟღავნება მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც იგი საფრთხეს უქმნის

91 იხ. *Gropp* (2005), გვ. 303.

92 იხ.: *წერეთელი* (1961), გვ. 38; *Wessels, Beulke* (2012), გვ. 227.

93 იხ. *წერეთელი*, (2006), გვ. 11.

94 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 41.

ან აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.[95]

საკითხის ასეთი შეფასება აუცილებლად აღძრავს გარკვეულ ეჭვს. საქმე იმაშია, რომ განზრახვის გამომჟღვანება იმიტომ რჩება განზრახვის გამომჟღავნებად, რომ იგი თავისთავად სამართლებრივი სიკეთისათვის ვერავითარ საფრთხეს ვერ ქმნის. აქედან გამომდინარე, თუ განზრახვის გამომჟღავნებით საფრთხე შეექმნა კანონით დაცულ რომელიმე ობიექტს, განზრახვის გამომჟღავნებას აღარ ექნება ადგილი. აქ უკვე სახეზეა ქმედება, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე განზრახვის გამომჟღავნებაა. ამდენად, თუ წამქეზებელი შეეცადა ამსრულებლის დაყოლიებას და ვერ მიაღწია მიზანს, ადგილი აქვს კონკრეტულ ქმედებას და არა განზრახვის გამომჟღავნებას, ვინაიდან წამქეზებელმა თავისი ქმედებით შექმნა საწყისი პირობა, რომელსაც შემდგომ არ მიეცა მსვლელობის შესაძლებლობა. ამიტომ ასეთი ქმედება, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, შესაძლებელია, დაუმთავრებელ მოსამზადებელ ქმედებად შეფასდეს და არა განზრახვის გამომჟღავნებად.

ადამიანის თავში დანაშაულის დაგეგმვა და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება, ისე რომ ადამიანმა არაფერი არ მოიმოქმედოს, მხოლოდ ადამიანის შინაგანი სფეროა. მათი გამოვლენა და კონტროლი სახელმწიფოსათვის ისევე მიუღებელია, როგორც მათი დასჯა, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ქმედების პრინციპს და ლახავს პიროვნების თავისუფლებას.[96]

ადამიანის თავში დანაშაულის დაგეგმვა და დანაშაულის შესახებ მხოლოდ გადაწყვეტილების მიღება უკიდურესად ნინარე ეტაპია, რომელიც არაფერს და არავის არ ვნებს.[97] გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ დანაშაულის შესახებ გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივად მხოლოდ მაშინ არის რელევანტური, როდესაც დამნაშავე თავისი წარმოდგენით ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ დაიწყებს.[98] ამიტომ, ქმედების შესახებ გადაწყვეტილება, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ არ დაწყებულა, რჩება დაუსჯელი.[99] დასახელებული პოზიცია ლათინურად ასე ჟღერს: *cogitationis poenam nemo patitur* –აზრისთვის არავინ არ ისჯება (*ულპიანე*).[100]

აქედან გამომდინარე, დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მოითხოვს შეფასებას. უბრალო, ცარიელი გადაწყვეტილება, რომელიც რაიმე დანაშაულებრივი აქტის დაწყებაში არ პოვებს თავის გამოხატულებას და რჩება მხოლოდ დამნაშავის „ფერად" ფიქრებში, სისხლის სამართლისათვის ირელევანტურია.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის მეცნიერები გამოყოფენ დანაშაულის ჩადენის შემდეგ საფეხურებს: დანაშაულის დაგეგმვა, დანაშაულის მომზადება, დანაშაულის დაწყება, დანაშაულის განხორციელება, დანაშაულის დამთავრება და დანაშაულის დასრულება.[101] ზოგიერთი მეცნიერი კი

---

95 იხ.: *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 19-20; *გამყრელიძე* (2008), გვ. 154.
96 იხ.: *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1379; *Jakobs*, AT (1991), გვ. 704.
97 იხ. *Stratehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 192.
98 იხ. *Preisendanz* (1974), გვ. 108.
99 იხ. *Stratehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 192.
100 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1379.
101 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 1.

დანაშაულის განვითარების სტადიებს და ეტაპებს შემდეგნაირად აყალიბებს: დანაშაულის დაგეგმვა, მომზადება, მცდელობა, დანაშაულის დამთავრება და დანაშაულის დასრულება.[102] ზოგიერთ მეცნიერს კი მიაჩნია, რომ დანაშაული მის სრულ დამთავრებამდე გაივლის მომზადების, მცდელობის და დასრულების სტადიებს.[103]

მართალია, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერების ნაწილი პირდაპირ არ ასახელებს ტერმინს „მცდელობა", როგორც დანაშაულის მნიშვნელოვან სტადიას, მაგრამ მათ მიერ ცალკე გამოყოფილ თუნდაც ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებაში, ანდა „დანაშაულის დაწყებაში[104]" აუცილებლად იგულისხმება.

დანაშაულის საფეხურების სხვადასხვაგვარი დაყოფის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კლასიფიკაცია დანაშაულის განხორციელების ძირითად სტრუქტურაში ჯდება.

როდესაც საუბარია დანაშაულის განვითარების საფეხურებზე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ისინი დროის ინტერვალით და გარეგნული ფორმით ერთმანეთისაგან გამოიყოფა. ამასთნ, დანაშაულის საფეხურების მკაცრად გამოყოფა ქმედების პრინციპის და *nullum crimen sine lege*-ს პრინციპის მოთხოვნაა.

თუ უბრალო აზრი არ არის დასჯადი, დანაშაულის მომზადების, მცდელობის, დამთავრების და დასრულების დასჯადობა მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როდესაც ამას კანონი ითვალისწინებს და როდესაც ამას სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია მოითხოვს. ამ საკითხისადმი ანალოგიური მიდგომაა სხვა ევროპული ქვეყნების, მათ შორის, შვეიცარიის სისხლის სამართალში.[105]

§2. დანაშაულის სტადიების და დანაშაულის ეტაპის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის

სისხლის სამართლის მეცნიერებაში დავას იწვევდა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სტადიით უნდა დაიწყოს დანაშაულის განვითარების სტადიების განხილვა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უმჯობესი იქნება, თუ კი დანაშაულის განვითარების სტადიების განხილვა დაიწყება უმდაბლესიდან უმაღლესი სტადიისაკენ, მაგრამ ზოგიერთს მიაჩნია, რომ დანაშაულის სტადიების განხილვა უნდა დაიწყოს დამთავრებული დანაშაულის,[106] როგორც „მთელი" ცნებიდან, რადგან „მთელი", გარკვეული აზრით, გულისხმობს „ნაწილებსაც", რომელთა გამთლიანებასაც ის ნარმოადგენს. მთელი შეიცავს ნაწილებს, შემადგენელ მხარეებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია მთელის აგება. შემეცნების მიზანს

102 იხ. *Kindhäuser*, მე-4 გამოცემა (2010), გვ. 213.
103 იხ.: *Lackner, Kühl* (2011), გვ. 165; *წერეთელი* (1961), გვ. 46.
104 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 1.
105 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1379.
106 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 46-47.

წარმოადგენს როგორც ერთის წვდომა, ისე მთლიანის დამატებითი მომენტის გაგებაც.[107] თუ გაიგება უმაღლესი ფენის თავისებურება და მისი შემადგენელი ნაწილების (ფენების) როლი ამ მთლიანში, მაშინ მთლიანის სრული შემეცნება მიღწეული იქნება. ამაზე მეტი მთელის შესახებ ცოდნას არც შეუძლია და არც მოეთხოვება, ამავე დროს ეს ცოდნა საკმარისია მთელის გაგებისათვის და პრაქტიკულად განხორციელებისათვისაც.[108]

დანაშაულის სტრუქტურის გაგებაც, სწორედ ამ საერთო წესის მიხედვით უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია დამთავრებული დანაშაულის, როგორც მთლიანი მოვლენის არსი, ადვილად ასახსნელია მისი სტრუქტურული ნაწილების შინაარსი და მნიშვნელობა. მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემა უფრო ტერმინოლოგიურ საკითხს შეეხება. ასე, მაგალითად, რამდენად მიზანშეწონილია დამთავრებული დანაშაულის მიჩნევა დანაშაულის სტადიად, მაშინ როდესაც დამთავრებული დანაშაული ერთი მთლიანი მოვლენაა, ხოლო დანაშაულის სტადია მისი შემადგენელი ნაწილია. თავად „სტადიის" ბუნება გულისხმობს მომდევნოს წინა რგოლს და იგი უსასრულოდ მიედინება, ამიტომ, როდესაც დამთავრებული დანაშაული დანაშაულის სტადიად განიხილება, მაშინ უნდა მოიძებნოს მისი შემდგომი რგოლი, რაც, რა თქმა უნდა, თეორიულად და პრაქტიკულად შეუძლებელია.

სწორედ ამიტომ, ტერმინოლოგიური და მოვლენის შინაარსობრივი გამართულობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, დასრულებულ (დამთავრებულ) დანაშაულს ***დანაშაულის ეტაპი*** ეწოდოს, ვინაიდან მას სტატიკურობა, ანუ დასრულებულობა ახასიათებს, ხოლო დანაშაულის სტადიები უფრო დინამიკურობით გამოირჩევიან. გარდა ამისა, დანაშაულს ზოგჯერ სტადიები საერთოდ არ გააჩნია, რადგან მისი ჩადენა პირველივე აქტის განხორციელებისთანავე დამთავრებულია, ამიტომ, თუ დამთავრებული დანაშაული დანაშაულის ბოლო სტადიად განიხილება, მაშინ, ლოგიკურია, დაისმება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ სად არის ამ დანაშაულის წინა სტადიები? ამ კითხვაზე პასუხი, ბუნებრივია, არ არსებობს.

ამასთან, თუ დამთავრებული დანაშაული არის ერთი მთლიანი მოვლენა და მოიცავს მის შემადგენელ ნაწილებს, რომლებსაც სტადიები ენოდება, მაშინ შეუძლებელია დამთავრებული დანაშაული ერთდროულად იყოს „მთელი" და ამავდროულად მისი „ნაწილი".

დანაშაულის სტადიების და ეტაპების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ტერმინოლოგიური გამართულობის თვალსაზრისით, სავსებით გამართლებულია.

ნაშრომში ყურადღებას იმსახურებს ასევე **დაუმთავრებელი დანაშაულისა და დანაშაულის სტადიების** ურთიერთმიმართების საკითხი. თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში დანაშაულის სტადია დაუმთავრებელ დანაშაულთან შედარებით ფართოდ არის გაგებული. დანაშაულის სტადია **ობიექტური** ნიშნის მიხედვით უფრო მეტ საფეხურს გულისხმობს, ვიდრე დაუმთავრებელი დანაშაული. დაუმთავრებელი დანაშაული მხოლოდ დანაშაულის მომზადებას და მცდელობას მოიცავს. **სუბიექტური** თვალსაზრისით დანაშაუ-

107 იხ. *ტაბიძე* (1991), გვ. 9-10.
108 იხ. *ტაბიძე* (1991), გვ. 50.

ლის სტადია გულისხმობს როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებს, ხოლო დაუმთავრებელი დანაშაული მხოლოდ განზრახ დანაშაულებს მოიცავს.ჩაგანზრახი დანაშაულის ჩადენისათვის დამნაშავემ შესაძლებელია რამდენიმე მოქმედება შეასრულოს, მაგალითად, თუ დამნაშავეს განზრახული აქვს კაცის მოკვლა, მან შეიძლება ჯერ იარაღი შეიძინოს, მსხვერპლს ჩაუსაფრდეს და მოკლას იგი. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროსაც, შესაძლებელია, დამნაშავემ ასევე განახორციელოს გარკვეული მოქმედებები, კერძოდ, ჯერ ალკოჰოლი მიიღოს, შემდეგ ავტომანქანაში მეგობარი ჩაისვას გვერდით და ნითელ შუქნიშანზე გაიაროს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვიოს.[109]

აქედან გამომდინარე, დაუმთავრებელი დანაშაულის და დანაშაულის სტადიების ერთმანეთთან შედარება აჩვენებს, რომ ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დაუმთავრებელი დანაშაული.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დანაშაულის მომზადება და მცდელობა დაუმთავრებელი დანაშაულის **სახეებადაც** არის მოხსენიებული.[110]

დანაშაულის დამთავრებასთან არის დაკავშირებულ ისეთი პრაქტიკული საკითხი, როგორიცაა, დანაშაულის **იურიდიული** დამთავრება და **ფაქტობრივი** დასრულება. ფაქტობრივი დასრულების მომენტს გააჩნია დიდი მნიშვნელობა, მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის საკითხის გადაწყვეტის და ასევე სუქცესიური თანამონაწილეობის დროს.[111]

სუქცესიური თანამონაწილეობის დროს შესაძლებელია მონაწილეობა ძირითადი ქმედების იურიდიულად დამთავრების შემდეგაც, მის ფაქტობრივ დასრულებამდე. მაგალითად, ქურდობის შედეგად მოპოვებული ნივთების შენახვისათვის განხორციელებილი ქმედებები. აღნიშნული პროცესი არ უნდა გასცდეს ქურდობის იურიდიულად დამთავრების მომენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი არ ექნება თანამონაწილეობას.[112] ამასთან, ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ასევე შესაძლებელია სუქცესიური თანაამსრულებლობა.[113]

მაშასადამე, დანაშაულის დაყოფა იურიდიულად დამთავრებულ და ფაქტობრივად დასრულებულ დანაშაულად ხელს უწყობს ქმედების კვალიფიკაციის სწორად განხორციელებას, სასჯელის სწორად გამოყენებას[114] და ზოგჯერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაწყეტას.

§3. შეჯამება

ზემოთ მოცემულმა მსჯელობამ აჩვენა, რომ ქართულ და გერმანულ

109 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 146.
110 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 300.
111 იხ. *Fischer* (2012), გვ. 197.
112 იხ. *Fischer* (2012), გვ. 258.
113 იხ. *Fischer* (2012), გვ. 250.
114 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 13-14.

სისხლის სამართალში აღიარებულია დაუმთავრებელი დანაშაულის დაყოფა შემდეგ სტადიებად: დანაშაულებრივი განზრახვის გამომჟღავნება, დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დანაშაულის დამთავრება. დანაშაულის სტადიების ერთმანეთისგან გამოყოფა უმნიშვნელოვანეს ხასიათს ატარებს, რადგან იგი ქმედების პრინციპის და *nullum crimen sine lege*-ს პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში განზრახვის გამომჟღავნება არ წარმოადგენს დასჯად სტადიას. ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, გერმანული სისხლის სამართალი ასევე დაუსჯელად ტოვებს დანაშაულის მომზადების სტადიას. დასახელებული სტადიის დაუსჯელობის მიზეზებზე დანაშაულის მომზადების კარში დანვრილებით არის საუბარი.

მსჯელობის შედეგად კიდევ ერთი საინტერესო საკითხი გამოიკვეთა, რომელზეც აქამდე ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში ყურადღება არ გამახვილებულა. საქმე ეხება დანაშაულის სტადიებისა და ეტაპების ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს, რომელიც ცხადყოფს იმას, რომ აუცილებელია ამ ტერმინების ბუნების გათვალისწინებით, ისინი სწორად მიესადაგოს დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს. აქედან გამომდინარე, დამთავრებული დანაშაული უკვე დანაშაულის ეტაპია და არა დანაშაულის სტადია.

ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია დამთავრებული დანაშაულის დაყოფა ფორმალური და მატერიალური ნიშნის მიხედვით, იურიდიულად დამთავრებულ და ფაქტობრივად დასრულებულ დანაშაულად. ასეთი დაყოფა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხანდაზმულობის, თანამონაწილეობის და ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაწყვეტის დროს.

კარი III. დანაშაულის მომზადების არსი და მისი დასჯადობის თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

თავი I. დანაშაულის მომზადების ნიშნები და მისი დასჯადობის თავისებურებანი თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

§1. დანაშაულის მომზადების ცნება და მისი ძირითადი ფუნქციები

ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ადგილი აქვს განწყობის აქტუალიზაციას, რაც სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა თავმოყრით მიიღწევა. ეს პროცესი პიროვნების შინაგან აქტივობას ემყარება და ნების არსებით მომენტს შეადგენს.[115] ადამიანის ნება ჩანაფიქრიდან გარკვეულ ქმედებაში გადაინაცვლებს და ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ გზას გაივლის.[116] ასე ხდება დანაშაულებრივი საქმიანობის დროსაც, სადაც დანაშაულებრივი ნების ჩამოყალიბების შემდეგ, ადგილი აქვს ნების ობიექტივაციას, რაც შესაძლებელია დანაშაულის ჩადენისათვის სათანადო პირობების შექმნაში გამოიხატოს. ამდენად, ამ საქმიანობის პროცესში პირველ საფეხურს მოსამზადებელი მოქმედება იკავებს.[117]

დანაშაულის მომზადების ცნება და მისი დასჯადობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლით. აღნიშნული მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება:

სსკ-ის **მე-18 მუხლის პირველ ნაწილში** მოცემულია უშუალოდ დანაშაულის მომზადების ცნება, რომლის მიხედვით, „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა".

მოცემულ განმარტებას გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია: ერთი მხრივ, იგი ასრულებს ***გამიჯვნით ფუნქციას***, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ განმარტების დახმარებით დანაშაულის მომზადება იმიჯნება განზრახვის გამომჟღავნებისა და დანაშაულის მცდელობისაგან (დამთავრებული დანაშაულისაგან),[118] ხოლო მეორე მხრივ, იგი ახორციელებს ***დასჯით ფუნქციას***, რომელიც გულისხმობს ყველა კატეგორიის დანაშაულის მომზადების დასჯადობას, გამონაკლისების გარდა.

დანაშაულის მომზადების გამიჯვნას განზრახვის გამომჟღავნებისაგან პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ

115 იხ. *თაგაური* (1993), გვ. 41.
116 იხ. *Таганцев* (2001), გვ. 531.
117 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 76.
118 იხ. *ნერეთელი* (1961), გვ. 76.

უკვე აღინიშნა, ყოველთვის დაუსჯელი რჩება. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი, რომლითაც შესაძლებელია განზრახვის გამომჟღავნების გამიჯვნა დანაშაულის მომზადებისაგან, გახლავთ ის, რომ, თუ ქმედება დანაშაულის რეალური განხორციელებისათვის ხელის შეწყობას ნარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულის მომზადებას.[119]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი** ეხება დანაშაულის მომზადების დასჯადობის თავისებურებებს, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადებისათვის. ამასთან, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადების დასჯადობისათვის მოქმედებს რიგი გამონაკლისი,[120] კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (მითვისება ან გაფლანგვა), სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით (წინასწარი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში), სსკ-ის 201-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით (კომერციული მოსყიდვა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) და სხვა დანაშაულებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **მე-18 მუხლის მე-3 ნაწილში** მითითებულია იმის შესახებ, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით". ამით კანონმდებელი შეეცადა დაეცვა კანონიერების პრინციპი, თუმცა ეს რამდენად ნარმატებით გამოუვიდა კანონმდებელს, ამის შესახებ მსჯელობას ქვემოთ აქვს ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის შემოღებით კანონმდებელი კვალიფიკაციის დროს ნორმის გამოყენების ტექნიკურ საკითხებს უფრო არეგულირებს. ამ ნორმით იგი სამართალშემფარდებელს ავალდებულებს, რომ კვალიფიკაციის დროს „აუცილებელია მითითება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას."[121] მაშასადამე, დანაშაულის მომზადების შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციის დროს მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლთან ერთად აუცილებლად უნდა მიუთითოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლზე.[122]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში მოცემული დებულებები დასახელებულ მუხლს ***ტექნიკურ-საგარანტიო ფუნქციას*** ანიჭებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და გამონაკლის შემთხვევებში, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადება

119 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 76-77.
120 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 300.
121 *წერეთელი* (1961), გვ. 205.
122 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 301.

არის დასჯადი, ამიტომ სამართალშემფარდებელს არა აქვს უფლება, თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებში.

§2. დანაშაულის მომზადების ნიშნები და სახეები

დანაშაულის მომზადება თავის თავში მოიცავს შესაბამის პირობებს, დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტის პროცესს და იმ მიზეზებს, რომლის საფუძველზე წყდება დანაშაულებრივი საქმიანობა (დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზები).[123]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, დანაშაულის მომზადებას გააჩნია ობიექტური და სუბიექტური ნიშნები.

2. 1. დანაშაულის მომზადების ობიექტური ნიშნები

ქმედება დასჯად მომზადებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია რეალური და კონკრეტული პირობების შექმნა, რომელიც მოგვიანებით ხელყოფს დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

სიტყვა **„ხელყოფა"** გულისხმობს არა მარტო დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას, არამედ მათთვის ასეთი დაზიანების საფრთხის შექმნასაც, ხოლო საფრთხის ცნება რეალური შესაძლებლობის კატეგორიას მიეკუთვნება და გულისხმობს ისეთი პირობების არსებობას, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროს კანონზომიერად შეუძლია დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გამოწვევა ან ასეთი დაზიანების საფრთხის შექმნა. სწორედ ამიტომ, დანაშაულად ითვლება არა მარტო დამთავრებული, არამედ აგრეთვე დაუმთავრებელი დანაშაული.[124]

„კანონმდებელი არ აკეთებს სანიმუშო ჩამონათვალს, რაში შეიძლება გამოიხატოს მოსამზადებელი მოქმედება, არამედ მხოლოდ განზოგადებულ ცნებას იყენებს - „პირობების განზრახ შექმნა"".[125]

„პირობების შექმნა" ფართო ცნებაა და სხვადასხვა ქმედებებს მოიცავს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, რა ხერხით თუ საშუალებით შეიძლება მისი ჩადენა. დანაშაულის ჩასადენად „პირობების შექმნა" შესაძლებელია ისეთ ქმედებებში გამოიხატოს, როგორიც არის, მაგალითად, იარაღის ან საშუალების **დამზადება** ან **შეძენა** ანდა **მომარაგება**.[126]

იარაღად და საშუალებად ითვლება ნებისმიერი საგანი, როგორიც არის, მაგალითად, დანა, თოფი, საწამლავი, გასაღები და სხვა, რომელიც გამოიყ-

123 იხ. *Кохтов* (2002), გვ. 214.
124 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 11.
125 *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 157.
126 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 154.

ენება დანაშაულის ჩასადენად. ამასთან, დანაშაულის საშუალებად ითვლება ის საგნები, რომლებიც აადვილებს დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, კიბე, თოკი და სხვა საგნები. იარაღის ან საშუალების დამზადების და შეძენის გამოსახატავად სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოყენებულია საერთო ტერმინი **გამონახვა**.[127]

იარაღის ან საშუალების **დამზადება** გულისხმობს მათ გაკეთებას. მაგალითად, ქურდობის ჩასადენად შესაძლებელია დამნაშავემ გააკეთოს კიბე ან სხვა საგანი, ასევე ფულის მოსაჭრელად გააკეთოს ხელსანყოები და ა. შ. მაშასადამე, ყოველგვარი დანაშაულის ჩასადენად საჭიროა სპეციფიკური იარაღის თუ საშუალების დამზადება.[128]

რაც შეეხება **შეძენას**, მასში იგულისხმება ყველა ის ქმედება, რომლითაც ხორციელდება დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელი საშუალების თუ იარაღის მიღება სხვადასხვა გზით, კერძოდ, ყიდვით, ჩუქებით, თხოვებით, ნართმევით და ა. შ.

დანაშაულის საშუალებების თუ იარაღის **მომარჯვება** ნიშნავს დანაშაულის ჩასადენად მათ მზადყოფნაში მოყვანას. მაგალითად, იარაღში ტყვიის ჩადება, საჭმელში სანამლავის შერევა და ა. შ. ზემოთ დასახელებული ქმედებების გარდა, დანაშაულის მომზადებას მიეკუთვნება ასევე **საჭირო ცნობების შეგროვება**, **დანაშაულის ობიექტის** ან **თავად დამნაშავის ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში**, რომელიც გაადვილებს დანაშაულის ჩადენას, **თანამონაწილეთა გამონახვა**, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი ნვლილის შეტანა შეუძლია დანაშაულის ჩადენაში.[129]

ამის გარდა, იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის მომზადებად თვლიან დანაშაულის ადგილისაკენ წასვლას, ჩასაფრებას, ანდა უშედეგო ნაქეზებას.[130]

დანაშაულის ადგილისაკენ წასვლა და **ჩასაფრება** ყოველთვის როდი ქმნის მოსამზადებელ სტადიას, მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტიზაცია იმისა, თუ უშუალოდ სად იმყოფება დამნაშავე ან დაზარალებული, რადგან სწორედ ***სიახლოვის ფაქტორი*** უნდა გახდეს მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის ერთ-ერთი კრიტერიუმი. თუ დამნაშავე ჩაუსაფრდა დაზარალებულს და ორი საათის შემდეგ დააკავეს იგი, მისი ქმედება დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს მაშინ, თუ დადგინდება, რომ დაზარალებული მოგვიანებით აპირებდა გავლას მოცემულ ადგილას. მაგრამ, თუ დაკავების შემდეგ დადგინდა, რომ დაზარალებული სადაც არის უნდა გამოჩენილიყო, ან უკვე გამოჩნდა, მაშინ დამნაშავის ქმედება დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს.[131]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავო იყო **უშედეგო ნაქეზებისა** და **უშედეგო დახმარების** დანაშაულის მომზადებად შაფასების საკითხი. ამის

127 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 80.
128 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 155.
129 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 80-81.
130 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 23.
131 დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

მიუხედავად, გაბატონებული შეხედულება ყოველთვის აღიარებდა,[132] რომ ნამქეზებლისა და დამხმარის ქმედებები მომზადების სტადიას არ სცილდება და, შესაბამისად, უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება არ შეიძლება უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად შეფასდეს.[133]

დანაშაულის მომზადების ობიექტურ სფეროში საყურადღებოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს მოსამზადებელ ქმედებასა და დანაშაულის შემადგენლობაში არსებულ ქმედებას შორის, არის თუ არა დანაშაულის მომზადების ობიექტურ სფეროში არსებული ქმედება დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი? ეს საკითხი სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთმნიშვნელოვნად არ წყდება.

სისხლის სამართლის ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ მომზადების სფეროში შემავალი ქმედება დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს წარმოადგენს. ამას იმ არგუმენტით ხსნიან, რომ სისხლის სამართალი *„ქმედების სამართალია“* და თუ მოქმედება დანაშაულის შემადგენელ ელემენტად არ ჩაითვლება, მაშინ სამართალშემფარდებელს მოუწევს პირის დასჯა განზრახვის გამომჟღავნებისათვის.[134]

ამ შეხედულებას უპირისპირდება აზრი, რომლის მიხედვით, დანაშაულის მომზადება თავისთავად ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას. მართალია, დანაშაულის მომზადებას გააჩნია შემადგენლობა და მოსამზადებელი ქმედება შედის ამ შემადგენლობაში, მაგრამ ეს ქმედება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს. მაგალითად, მკვლელობის მიზნით იარაღის შეძენა არ წარმოადგენს განზრახ მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშანს.[135] აქედან გამომდინარე, დასახელებული შეხედულება, რომელიც გაბატონებულ პოზიციად ითვლება, დანაშაულის მომზადებაში არ გამორიცხავს **ფართო გაგებით** დანაშაულის შემადგენლობის არსებობას.[136] მართალია, დანაშაულის მომზადების საკანონმდებლო დეფინიციით, დანაშაულისათვის პირობების შექმნა დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ არის, მაგრამ ასეთი პირობები იქმნება ვიწროდ გაგებული დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად.[137] რამდენად მართებულია საკითხისადმი ასეთი მიდგომა, სადავოა, მაგრამ ცხადია, რომ სისხლის სამართალში ასეთი მსჯელობა ხელს უწყობს დანაშაულის შემადგენლობის *დუალისტურ* გაგებას, რაც, რა თქმა უნდა, არ არის გამართლებული. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ დანაშაულის მომზადებად მიიჩნევა დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ და მხოლოდ „პირობების განზრახ შექმნა“ და სისხლის სამართლის დოგმატიკა არ შეეცდება მასში ხელოვნურად შექმნას

---

132 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 81-82.
133 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 156.
134 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 156.
135 იხ.: *წერეთელი* (1961), გვ. 83-84; *Лясс* (1956) გვ. 51-52.
136 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 84.
137 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ.159.

დანაშაულის შემადგენლობა ფართო გაგებით.

დანაშაულის მომზადების ობიექტური სფეროს თავისებურება ასევე მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის ჩასადენად „პირობების შექმნა" შესაძლებელია გამოიხატოს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ მოქმედებაში. **პასიური** მოქმედების შემთხვევა, როდესაც საწყობის დარაჯი შეგნებულად არ კეტავს კარს, რათა მისმა თანამზრახველმა წინააღმდეგობის გადალახვის გარეშე შეაღწიოს საწყობში და დაეუფლოს მასში განთავსებულ მატერიალურ ფასეულობას. ასევე, დანაშაულის მოზადებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ვეფხვების მეპატრონე (მწვრთნელი) ცხოველებს შეგნებულად არ უკეტავს კარს, რათა ადგილზე მოსულ მის უფროსს თავს დაესხნენ.

საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის ტექსტში გათვალისწინებული ფრაზა **„პირობების განზრახ შექმნა"** ვინაიდან ძალიან **განზოგადებულ** ხასიათს ატარებს, ამიტომ აუცილებელია მათი კონკრეტიზაცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ „პირობების განზრახ შექმნა" **კონკრეტული ქმედებების** მომცველი უნდა იყოს.[138] კონკრეტიზაცია გულისხმობს იმასაც, რომ დამნაშავემ იარაღის ან საშუალების გამონახვის ან მომარჯვების დროს უნდა იცოდეს კონკრეტულად რომელი დანაშაულის ჩადენისათვის არის განკუთვნილი აღნიშნული საშუალება თუ იარაღი, ამიტომ ყაჩაღობის მომზადებად არ ჩაითვლება იარაღის შეძენა, როდესაც, მართალია, პირს განზრახული აქვს ყაჩაღობის ჩადენა, მაგრამ ობიექტი ჯერ არ შეურჩევია.[139]

დანაშაულის მომზადების დროს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევისათვის შექმნილ „პირობებს" ობიექტურად **„რეალური"** ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი პირობა როდი ქმნის მომზადებისათვის დასჯადობის საფუძველს, არამედ მხედველობაში მხოლოდ ისეთი პირობებია მისაღები, რომელთაც საერთოდ შეუძლიათ მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამონვევა. ამიტომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლიდან გამომდინარე, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის (მცდელობისათვის), თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით და, მაშასადამე, შექმნილი პირობით, შეუძლებელია მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიღწევა.[140] ასეთ პირობებს, შესაძლებელია, ***არარეალური*** ან კიდევ ***აბსოლუტურად უვარგისი პირობები*** ეწოდოს. მაგალითად, როდესაც პირს, რომელმაც კაცის მოსაკლავად სათამაშო იარაღი შეიძინა ან მოიმარჯვა, ჰგონია, რომ ამ იარაღით მიზანს მიაღწევს.

ამ შემთხვევისაგან უნდა გაიმიჯნოს ისეთი ვითარება, როდესაც დამნაშავის მიერ გამოყენებულ სათამაშო იარაღს დაზარალებული ნამდვილ იარაღად აღიქვამს. მაგალითად, დამნაშავე ქონების დასაუფლებლად იყენებს იარაღის იმიტაციას, რომელსაც საერთოდ არ შეუძლია დაზარალებულის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა. ასეთი ქმედება ყაჩაღობად უნდა შეფასდეს, რადგან იგი უარყოფით გავლენას ახდენს დაზარალებულზე, აშინებს მას

138 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 153.
139 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 155.
140 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 315.

და იძულებულს ხდის დათმოს თავისი ქონება დამნაშავის სასარგებლოდ.[141] ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული პოზიციაც, რომლის თანახმად, სათამაშო იარღით განხორციელებული ქმედება ძარცვად უნდა დაკვალიფიცირდეს.[142]

დასახელებულ მაგალითში ქმედების ყაჩაღობად შეფასებას თავისი დასაბუთება გააჩნია: ჯერ ერთი, გამოყენებულ საშუალებას „რეალურობა" დანაშაულის მოსამზადებელ ეტაპზე უფრო მოეთხოვება, რადგან, როგორც ცნობილია, დანაშაულის მოსამზადებელ სტადიაზე სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება არ ხორციელდება, არამედ დანაშაულის მოსამზადებელ სტადიაზე ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ პირობების განზრახ შექმნას, რა დროსაც, რეალურობა ანიჭებს მათ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. მეორე, როდესაც დამნაშავის მიერ გამოყენებული სათამაშო იარაღი უკვე მიმართულია დაზარალებულზე და ამ უკანასკნელის ნების პარალიზებას იწვევს, აქ უკვე სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელებას აქვს ადგილი (აქ უკვე საფრთხე სახეზეა) და იარაღის არარეალურობა ვეღარ ახდენს გავლენას ქმედების შეფასებაზე.

გარდა ამისა, პირობებს რეალური ხასიათი აქვთ ასევე მაშინ, როდესაც მათი მეშვეობით კონკრეტულ სიტუაციაში შედეგის გამოწვევაა შესაძლებელი. ლიტერატურაში მოყვანილია მაგალითი, რომელიც სავარაუდოდ „რეალური პირობების შექმნის" აუცილებლობაზე მიუთითებს. მაგალითად, როდესაც პირი მკვლელობის მიზნით მიდის იარაღის შესაძენად, მაგრამ იმ მომენტში იარაღს ვერ შეიძენს. ასეთი ქმედება დანაშაულის მომზადებას არ წარმოადგენს,[143] მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურ გარესამყაროში მისი ჩანაფიქრის (მკვლელობის მიზნის მისაღწევად იარაღის ყიდვის გადაწყვეტილება) პრაქტიკული განხორციელება დაიწყო. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ქმედებას, რომელიც გასცდა განზრახვის გამომჟღავნების სტადიას, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ შეუძენია რეალური და კონკრეტული ხასიათი, რის გამოც, მას არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა.

დანაშაულის მომზადებაზე მსჯელობის დროს აუცილებელია გაირკვეს საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის განსაზღვრება რამდენად კარგად გადმოსცემს მომზადების ბუნებას. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლში მოცემული ტერმინი „პირობების განზრახ შექმნა" ისე იკითხება, თითქოს, დანაშაულის მომზადებისათვის აუცილებელია ორი ან მეტი პირობის არსებობა. ამ ლოგიკით, დანაშაულის იარაღის შეძენა საკმარისი არ უნდა იყოს მკვლელობის მომზადებისათვის, არამედ დამნაშავემ აუცილებლად უნდა შეასრულოს დამატებით კიდევ სხვა მოქმედება მაინც. მაშასადამე, კანონის ტექსტის გაგებისათვის გამოყენებული სიტყვა-სიტყვითი და ლოგიკური განმარტების ხერხები იმაზე მიუთითებენ, რომ საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მომზადებისათვის აუცილებელია არა ერთი, არამედ ორი ან

141 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 379.
142 იხ.: *ებრალიძე* (2004), გვ. 84-85; *გამყრელიძე* (1998), გვ. 211.
143 იხ.: *წერეთელი* (1961), გვ. 79; *Трайнин* (1957), გვ. 300-302.

მეტი პირობა, მაშინ, როდესაც სასამართლო პრაქტიკაში და სისხლის სამართლის დოგმატიკაში არავინ არ დავობს იმაზე, რომ ქმედების მომზადებად შეფასებისათვის სავსებით საკმარისია, თუნდაც ერთი პირობა. მაშინ რატომ აირჩია ასეთი გზა კანონმდებელმა და რატომ გადმოსცა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლში „პირობები" მრავლობით რიცხვში?

დასმულ კითხვაზე, შესაძლებელია, ორგვარი პასუხის გაცემა, ჯერ ერთი, შესაძლებელია, რომ ქართულ კანონმდებლობაზე გავლენა საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობამ იქონია, სადაც კანონმდებელი დანაშაულის მომზადების განსაზღვრების დროს სანიმუშო ჩამონათვალს აკეთებდა. ვინაიდან, ასეთ ჩამონათვალს თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი არ ითვალისწინებს, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ პირობითი ჩამონათვალის ნაცვლად, კანონმდებელმა ტერმინი „პირობების შექმნა" გამოიყენა. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ ქართველ კანონმდებელს ტერმინი „პირობები" როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში ესმოდეს.

მეორე, კანონმდებლის ასეთი პოზიცია, შესაძლებელია, იმითაც აიხსნას, რომ იგი ასეთი ჩანაწერით შეეცადა მომზადების დასჯადობა მხოლოდ ერთ პირობაზე არ დაეყვანა, არამედ მომზადების დასჯაობისათვის მინიმუმ ორ პირობას მაინც უნდა ჰქონდეს ადგილი და, შესაბამისად, ამიტომ დასჭირდა დასახელებული ტერმინის ამგვარად ჩამოყალიბება.

სისხლის სამართალში ნორმის გამოყენება ეფუძნება ფორმულას „*argumentum a fortiori*", რომლის თანახმად, უფრო დიდიდან კეთდება დასკვნა პატარაზე, „*argumentum a maiore ad minus*",[144] მაგალითად, თუ დანაშაულის მომზადებად ითვლება „პირობების განზრახ შექმნა", მაშინ ერთი პირობა საკმარისი არ იქნება ქმედების მომზადებად შეფასებისათვის, ამიტომ მოსამართლეს უფლება არა აქვს მკვლელობის მიზნით იარაღის შეძენა უკვე დანაშაულის მომზადებად შეაფასოს.

თუ კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსში ტერმინის „პირობების განზრახ შექმნა" ნაცვლად ჩანერდა ტერმინს „პირობის განზრახ შექმნა" ან „ერთი ან რამდენიმე პირობის განზრახ შექმნა" და „*argumentum a minoree ad maius*" ფორმულის დახმარებით, რომლის მიხედვით, „უფრო პატარიდან კეთდება დასკვნა დიდზე", ერთი პირობის შექმნა საკმარისი იქნებოდა პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

ყოველივე ეს მოწმობს იმაზე, რომ დანაშაულის მომზადების ბუნება და მისი დასჯადობა, ზემოთ განხილული თვალსაზრისის მიხედვით, დიდ სირთულეებს წარმოშობს სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში.

2. 2. დანაშაულის მომზადების სუბიექტური ნიშნები

დანაშაულის მომზადების სუბიექტურ შემადგენლობაზე მითითებულია დანაშაულის მომზადების დეფინიციაში, სადაც განსაზღვრულია დანაშაულის მომზადება, როგორც დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა. **განზრახვა** დანაშაულის მომზადების დროს მიმართულია არა მოსამზადებელ მოქ-

144 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 36-37; *გეენეტაძე, ტურავა* (2005), გვ. 53.

მედებაზე, არამედ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე.[145]

ქართულ და საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში დომინირებდა აზრი იმის შესახებ, რომ დანაშაულის მომზადების დროს მოსამზადებელი ქმედებები მხოლოდ **პირდაპირი განზრახვით** ხორციელდება, ამასთან, განზრახვა **წინასწარ მოფიქრებული** უნდა იყოს[146] და თვით მოსამზადებელი მოქმედებების ჩადენის მომენტში უნდა არსებობდეს. მაგალითად, თუ კაცმა თოფი სანადიროდ შეიძინა, ეს ქმედება არ შეიძლება დანაშაულის მომზადებად ჩაითვალოს, თუნდაც შემდგომ სუბიექტს დაებადოს ამ საშუალებით მკვლელობის ჩადენის განზრახვა.[147]

მეცნიერები, რომელთაც **ევენტუალური განზრახვით** დანაშაულის მომზადება მიუღებლად მიაჩნიათ, თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მიუთითებენ იმაზე, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეუძლებელია იმის მომზადება (მცდელობა) რაც ადამიანის მიზანს (სურვილს) არ წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, ამ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მომზადება (მცდელობა) მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი.[148]

აზრი, რომლის თანახმად, დანაშაულის მომზადება მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, არ არის დამაჯერებელი, რადგან პირდაპირი განზრახვა ყოველთვის მიზნით არ არის დეტერმინირებული, რაზეც მცდელობაზე მსჯელობისას დაწვრილებით იქნება საუბარი. ამასთან, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაულის მომზადება ევენტუალური განზრახვით დავას არ უნდა იწვევდეს. უმოქმედობით პირობების შექმნის დროს, შესაძლებელია, თანამონაწილის, კერძოდ, დამხმარის ქმედება *ევენტუალურ* განზრახვაში გამოიხატოს, მით უმეტეს, ქართულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ „თანამონაწილეობა შესაძლებელია არა მარტო პირდაპირი, არამედ ევენტუალური განზრახვითაც."[149] მაგალითად, დაცვის თანამშრომელი ღამით არ კეტავს ბიზნესმენის სახლის კარებს და გულგრილად ეკიდება იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია, ა. ღამით ბიზნესმენის სახლში შეაღწიოს და მოკლას იგი. დამნაშავე მართლაც მივიდა ბიზნესმენის სახლამდე, მაგრამ, ვიდრე სახლში დაინყებდა შესვლას, პოლიციამ დააკავა იგი. ამ შემთხვევაში დარაჯის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მომზადებაში დახმარება.[150] ამასთან, დარაჯი დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის (სსკ-ის 376-ე მუხლი) ვერ დაისჯება, რადგან, მას მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივი გარანტის ფუნქცია გააჩნია, რითაც დანაშაულის შეუტყობინებლობა იმიჯნება დანაშაულში თანამონაწილეობისაგან.

---

145 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 86.

146 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 154.

147 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 86.

148 იხ.: *დვალიძე*, ზოგადი ნანილი (2007), გვ. 170, 91; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 33.

149 *ტურავა* (2013), გვ. 334.

150 სამართლებრივად სწორად არ უნდა ჩაითვალოს იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლის თანახმად, თითქოს, შეუძლებელია უმოქმედობით დახმარება, შეად. *გამყრელიძე* (2008), გვ. 200.

საკითხის ასეთ გადანყვეტას არ იზიარებენ სისხლის სამართლის ის მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დანაშაულში დახმარება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.[151] მათ მიაჩნიათ, რომ მიზანი არის უმართლობის ის ელემენტი, რომელიც საერთოა ყველა თანამონაწილისათვის და იგი მაშინ არის სახეზე, როდესაც დელიქტი ჩადენილია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. აქედან გამომდინარე, მათი შეხედულებით, თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ ***პირდაპირი განზრახვით***[152] და „ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობა მხოლოდ მოჩვენებითია."[153]

როდესაც საქმე ეხება **მომზადების სუბიექტურ შემადგენლობას**, ნაკლებად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, რამდენად არის შესაძლებელი დანაშაულის მომზადება ევენტუალური განზრახვით, რადგან, ვიდრე ეს საკითხი გაირკვეოდეს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის მომზადების დროს უნდა დადგინდეს თავად განზრახვის ხასიათი. საქმე იმაშია, რომ განზრახვა დანაშაულის მომზადების დროს, არ არის ისეთი მტიკცე და მყარი, როგორც ამას ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობის დროს, როდესაც დამნაშავე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების პროცესშია. მომზადების განზრახვა ჯერ კიდევ ჯდება სოციალურად ტოლერირებად ადამიანის საქმიანობაში და ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მართლწესრიგისათვის საფრთხის შემქმნელ სუბიექტურ მომენტს, როგორც ამას დანაშაულის მცდელობის დროს აქვს ადგილი.

2. 3. დანაშაულის მომზადების სახეები

დანაშაულის მომზადების ობიექტური სფეროს დახასიათებისას უკვე აღინიშნა, რომ დანაშაულის ჩასადენად „პირობების განზრახ შექმნა" ფართო ცნებაა და მოიცავს სხვადასხვა ქმედებებს, რომელსაც ადგილი აქვს განზრახვის გამომჟღავნების შემდეგ, დანაშაულის მცდელობის დაწყებამდე. მოსამზადებელი ქმედებები, მათი სიმრავლის და დანაშაულის შემადგენლობისაგან დროში და სივრცეში დაშორების გამო, შეიძლება დაიყოს **ირელევანტურ** და **რელევანტურ** პირობებად.[154] ამდენად, ყოველგვარი პირობა არ უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ დანაშაულის მომზადების დასჯადობისათვის საკმარის საფუძვლად.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული იმის შესახებ, რომ ზოგიერთი პირობა იმდენად დაშორებულია დანაშაულებრივი შედეგისაგან, რომ ამ დროს დანაშაულებრივი საქმიანობა მეტად უმნიშვნელო საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება. ამიტომ, ყოველგვარი სახის მოსამზადებელი ქმედება არ შეიძლება დასჯად ქმედებად ჩაითვალოს. ასეთი ქმედებები სისხლის სამართლის ფარგლებს მიღმა რჩება[155] და *ირელევანტურ*

---

151 იქვე.

152 იხ. *გამყრელიძე* (1989), გვ. 174.

153 იხ.: *გამყრელიძე* (1989), გვ. 177; *დვალიძე*, შრომები (2011), გვ. 25-26.

154 მოსამზადებელი ქმედებების სახეებად დაყოფას ადგილი აქვს სისხლის სამართლის ლიტერატურაში, მაგალითად, დვალიძე გამოყოფს ორი სახის მოსამზადებელ ქმედებას - დამთავრებულ და დაუმთავრებელ მოსამზადებელ ქმედებას. იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 159.

155 იხ. *Козлов* (2002), გვ. 232.

პირობებად ინოდება.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლში მოცემული ცნება „პირობების განზრახ შექმნა" საჭიროებს შეფასებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნორმის შემფარდებელი ქმედების დანაშაულის მომზადებად კვალიფიკაციის დროს, შექმნილი პირობებიდან მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევისათვის აუცილებელ (რელევანტურ) პირობას იღებს მხედველობაში დანაშაულის ჩადენისათვის.

მაშასადამე, სამართალშემფარდებელი დანაშაულის მომზადებაზე მხოლოდ მაშინ ამახვილებს ყურადღებას, როდესაც მოსამზადებელი ქმედებები უფრო ახლოს დგას მცდელობის სტადიასთან.[156] აქედან გამომდინარე, დანაშაულის მომზადება პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად დაუსჯელ და დასჯად მოსამზადებელ ქმედებებად.

§3. დანაშაულის მომზადების დასჯადობის დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველი

დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებლად დაიბადება შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა ***დოგმატურ-სამართლებრივ საფუძველს*** ემყარება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადების დროს?

ეს კითხვა ასევე აქტუალურად იყო დასმული საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც.

ვინაიდან დანაშაულის მომზადების დროს შედეგი ჯერ კიდევ დიდი მანძილით არის დაშორებული დანაშაულებრივი საქმიანობისგან, ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის ***ობიექტური საფუძვლის*** მოძებნა ერთგვარ სირთულედ ითვლებოდა. ამავე დროს, გაბატონებულ შეხედულებას დანაშაულის მომზადების დასჯადობის დასასაბუთებლად **„სუბიექტური თეორიის"** გამოყენება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, არამედ იგი თვლიდა, რომ ვინაიდან *საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების შემადგენელი ელემენტი იყო* და დანაშაულის მომზადება დანაშაულის ჩადენის ფორმას წარმოადგენდა, ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წანამძღვრები, მათ შორის, საზოგადოებრივი საშიშროება, საერთო იყო დაუმთავრებელი დანაშაულისთვისაც. ამასთან, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატებოდა არა მხოლოდ დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაში, არამედ, აგრეთვე სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნაში.[157]

საზოგადოებრივი საშიშროების ცნება, როგორც დანაშაულის შემადგენელი არსებითი ელემენტი და დანაშაულის ცნების მატერიალური ნიშანი, შეტანილი იყო საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებში,[158] რითაც საბჭოთა

156 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 159.
157 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 67-70.
158 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 8.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებას აღიარებდა და იმ ობიექტების სანიმუშო ჩამონათვალს იძლეოდა, რომელთა ხელყოფა ქმედებას საშიშად აქცევდა.[159] საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა არ იყო დამოკიდებული კანონმდებლის ნებაზე, არამედ იგი მისგან დამოუკიდებლად არსებობდა, ამიტომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ამა თუ იმ ქმედების შეტანით ფუძნდებოდა არა ამ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის გვარეობითი ნიშანი იყო (***genus proximus***), რომელიც ახასიათებს როგორც დანაშაულს, ასევე სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც. ამასთან, შესაძლებელია, რომ ქმედება არავითარ სამართლებრივ ნორმასთან არ ყოფილიყო წინააღმდეგობაში, მაგრამ იგი საზოგადოებრივ საშიშ ქმედებად ჩათვლილიყო. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი საშიშროება უფრო ფართოდ იყო გაგებული, ვიდრე დანაშაული. ყოველი დანაშაული საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტს შეიცავდა, მაგრამ ყოველგვარი საზოგადოებრივი საშიში ქმედება დანაშაულს არ წარმოადგენდა.[160] მოქმედება შეიძლება დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი იყოს ან იგი ნაკლებად საშიშროების მატარებელი იყოს, ანდა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს შეიძლება ვერ მიეღწია იმ მინიმუმამდე, რაც აუცილებელი იქნებოდა ამ კონკრეტული ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის დასაბუთებისათვის.[161] მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროების სიმძიმე კანონმდებლისათვის ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზაციის ძირითად მასშტაბს წარმოადგენდა.[162] ასევე, საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი მოსამართლეთა სახელმძღვანელო კრიტერიუმი იყო.[163] ამასთან, მოსამართლეს, კონკრეტულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, თავად უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელი ქმედება ჩაითვლებოდა საზოგადოებრივად საშიშად.[164]

დანაშაულის მომზადების დროს საზოგადოებრივი საშიშროების დასადგენად და, შესაბამისად, მისი ხარისხის განსაზღვრისათვის საბჭოთა მეცნიერები მხედველობაში იღებდნენ ***საფრთხის ოდენობას, ობიექტის ღირებულებას*** და ***მოსალოდნელი ზიანის მოცულობას.***[165]

სისხლის სამართლის მეცნიერები აღნიშნული მომენტების შეფასებისას ამტკიცებდნენ, რომ დანაშაულის მომზადების დროს ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო სახეზე, მაგრამ, იმისათვის, რომ მოსამზადებელი საქმიანობა საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებად ჩათვლილიყო, აუცილებელი იყო, რომ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების

159 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 10-11.
160 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 23-25.
161 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 73.
162 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 30.
163 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 63.
164 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 73.
165 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 196.

საფრთხეს **უმნიშვნელო** ხასიათი არ ჰქონოდა.[166] თუ მოსამზადებელი ქმედება დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების უმნიშვნელო საფრთხეს შეიცავდა, მოკლებული იყო ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას.[167]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართალში დანაშაულის განსაზღვრებისას საზოგადოებრივი საშიშროების ცნებასთან ერთად მიუთითებდნენ აგრეთვე **მართლწინააღმდეგობის** ცნებაზე, რომლის დამაფუძნებლად მიიჩნევდნენ არა ყოველგვარ ქმედებებს, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობებს შეესაბამებოდნენ.[168] ამდენად, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართალში ერთდროულად აღიარებული იყო დანაშაულის ცნების მატერიალური ნიშანი საზოგადოებრივი საშიშროების სახით და ფორმალური ნიშანი მართლწინააღმდეგობის სახით. სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის შემოღება განპირობებული იყო სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემული დანაშაულის შემადგენლობების არსებობით.[169]

საზოგადოებრივი საშიშროების და მართლწინააღმდეგობის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვის დროს საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერთა შეხედულებები ორ ნაწილად გაიყო. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნდა, რომ მართლწინააღმდეგობა უფრო ფართო შინაარსის მატარებელი ცნებაა, ვიდრე საზოგადოებრივი საშიშროება,[170] ხოლო მეორე ნაწილი თვლიდა, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნების მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე მართლწინააღმდეგობა, ამიტომ საზოგადოებრივი საშიშროება შეიძლება ახასიათებდეს არა მარტო დანაშაულს, არამედ აგრეთვე სხვა სამართალდარღვევას და ისეთ ქმედებასაც, რომელიც კანონით საერთოდ არ არის აკრძალული.[171]

თანამედროვე სისხლის სამართალში, დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით, დანაშაულის მომზადება განმარტებულია როგორც ქმედების შემადგენლობა (ფართო გაგებით), მართლწინააღმდეგობა და ბრალი.[172] მაშასადამე, ახალმა სისხლის სამართლის კანონმდებელმა დანაშაულის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტის ნაცვლად მართლწინააღმდეგობის ელემენტი შეიტანა[173] და დანაშაულის მომზადება, როგორც დანაშაულის გამოვლენის ფორმა, მატერიალური ნიშნის გარეშე დატოვა, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ე. ნ. *გარდამავალი პერიოდის* სისხლის სამართლის დოგმატიკაში მართლწინააღმდეგობის ელემენტი საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტთან ერთად ფიგურირებდა,[174] როგორც ამას საბჭოთა საქართველოს სისხლის

166 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 196-197.
167 იხ. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი* (1976), გვ. 124.
168 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 33.
169 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 43.
170 იხ. *ვაჩეიშვილი* (1957), გვ. 263.
171 იხ. *შავგულიძე, სურგულაძე* (1988), გვ. 9.
172 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 56.
173 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 85.
174 იხ. *გამყრელიძე* (1989), გვ. 136.

სამართლის კანონმდებლობაში ჰქონდა ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი პირდაპირ არ მიუთითებს დანაშაულის მატერიალურ ნიშანზე, როგორც ქმედების კრიმინალიზაციისათვის აუცილებელ საზომზე, სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი დანაშაულის მხოლოდ ფორმალური გაგებით არ შემოიფარგლება, არამედ იგი ფორმალურ მართლწინააღმდეგობასთან ერთად მატერიალურ მართლწინააღმდეგობასაც აღიარებს. ავტორთა აზრით, ფორმალურ მართლწინააღმდეგობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც, მაგალითად, სიცოცხლის განზრახ მოსპობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ხორციელდება. მატერიალური სახის მართლწინააღმდეგობა მაშინ არის სახეზე, როდესაც არ არსებობს მართლწინააღმდეგობის არცერთი გამომრიცხველი გარემოება. სწორედ ამიტომ მატერიალური მართლწინააღმდეგობის განხორციელების შემთხვევაში სახეზეა სისხლისსამართლებრივი **უმართლობა.**[175] უმართლობას მართლწინააღმდეგობისაგან განსხვავებით გააჩნია ხარისხები,[176] რომელსაც განსაზღვრავს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ელემენტები. მაგალითად, ნივთის დაუფლების დროს ქმედების ქურდობად შეფასებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ობიექტური ფაქტორი, არამედ აუცილებელია დადგინდეს, თუ რა მიზნით მოხდა დაუფლება. სწორედ ამიტომ უმართლობის დაყვანა მხოლოდ ობიექტურ ფაქტორებზე ყოვლად გაუმართლებელია.[177]

სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი კანონმდებელს საყვედურობს დანაშაულის ცნებაში მატერიალური ნიშნის გაუთვალისწინებლობას და, ამასთან, ისინი საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას დანაშაულის ***სოციალური საშიშროების*** ცნებით ანაცვლებენ. ასეთი მსჯელობის საფუძველს იძლევა საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც საუბარია ქმედებებზე, რომელთაც მცირე (სოციალური) მნიშვნელობის გამო, არ შეუქმნიათ ისეთი საფრთხე, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოინვევდა. ასეთი ქმედებები, როგორც ნესი, სისხლის სამართლისათვის ირელევანტურია. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი მხედველობაში იღებს ქმედების მნიშვნელობას, როგორც ქმედების კრიმინალიზაციის აუცილებელ **შეფასებით** კრიტერიუმს და დანაშაულის ცნებაში იმანენტურად არსებულ ქმედების სოციალური საშიშროების მომენტს უსვამს ხაზს.[178] ზოგიერთი ავტორი პირდაპირ მიუთითებს **ქმედების სოციალურ საშიშროებაზე,** როგორც მისი კრიმინალიზაციის აუცილებელ საფუძველზე.[179]

ქმედების მნიშვნელობა ზოგჯერ არა ნორმატიული, არამედ აღნერილობითი ნიშნებით განისაზღვრება და, ამდენად, მოსამართლის მხრიდან შეფასებას არ საჭიროებს. მაგალითად, ქმედების კრიმინალიზაციისათვის საკმარისია კოდექსში მითითებული ღირებულება იყოს სახეზე, რათა პირის ქმედება შესა-

175 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 163-164.
176 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 86-87.
177 იხ. *გამყრელიძე* (1989), გვ. 149.
178 იხ. *ნაჭყებია* (2002), გვ. 18-19.
179 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 17.

ბამისი ნორმით დაკვალიფიცირდეს, როგორც ეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლშია მოცემული. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურებისათვის და იგი მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც ქმედება შედეგად მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს. მნიშვნელოვანი ზიანი განისაზღვრება ნივთის ღირებულებით, რომელიც გამოიხატება ლარებში, კერძოდ, ამ შემთხვევაში ნივთის ღირებულება 150 ლარს უნდა აღემატებოდეს (მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განსაზღვრულია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნაში).[180]

მაშასადამე, მსჯელობამ აჩვენა, რომ **საბჭოთა საქართველოს** სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულება დანაშაულის მომზადების დასჯადობის დოგმატურ-სამართლებრივ საფუძველს **„ობიექტურ თეორიაზე“** ამყარებდა და იგი მომზადების დასჯადობის საზომად მხოლოდ **საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა** და **ხარისხს** თვლიდა.

რაც შეეხება **თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალს**, აქ **„ობიექტური თეორია“** საკმაოდ მოძველებულად მიიჩნევა, რადგან იგი დასჯადობის საფუძველს მხოლოდ დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნაში ხედავს,[181] მაშინ, როდესაც მომზადების დასჯადობის საფუძველი შეიძლება გახდეს სამართლებრივი სიკეთისათვის არა მხოლოდ საფრთხის შექმნა, არამედ უმართლობის სუბიექტური ელემენტი, კერძოდ, **მიზანი**.[182] მაგალითად, სხვის ბინაში შეიარაღებული დამნაშავის შეღწევა, როდესაც ბინაში არავინ არ ცხოვრობს, შეფასებული უნდა იყოს იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანი ამოძრავებს დამნაშავეს: ყაჩაღობის, მკვლელობის თუ სხვა დანაშაულის ჩადენის. ამის შესაბამისად, უნდა დადგინდეს უმართლობის ტიპი და ქმედების დანაშაულის მომზადებად შეფასება უნდა მოხდეს არა მხოლოდ შექმნილი საფრთხის, არამედ სუბიექტური ელემენტის, კერძოდ, მიზნის მიხედვით.

გარდა ამისა, უმართლობის სუბიექტურ ელემენტს მიზანთან ერთად **განზრახვაც** წარმოადგენს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პიროვნებას ნივთის დაუფლების მიზანი უკიდურესი აუცილებლობის დროსაც აქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის უმართლობის დასადგენად, ამიტომ უმართლობის შინაარსის განსაზღვრა მხოლოდ მიზნით არ ხდება, არამედ აუცილებელია ასევე განზრახვის არსებობაც.[183]

უმართლობის სუბიექტური და ობიექტური ელემენტები უმართლობის ტიპს განსაზღვრავენ, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე გარკვეულია უმართლობის ტიპი და მსჯელობა მიმდინარეობს მომზადების დასჯადობის საკითხზე, რითი უნდა იხელმძღვანელოს სამართალშემფარდებელმა, თუ არა ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხით. ამიტომ დანაშაულის მომზადებად შეფასებაში, ლომის წილი მაინც სოციალური საშიშროების ელემენტს

---

180 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 71-72.

181 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 313.

182 უმართლობის სუბიექტური ელემენტების შესახებ იხილეთ „სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, გამყრელიძე (1989).

183 იხ. *ნაჭყებია* (2002), გვ. 123.

მიუძღვის (სოციალური საშიშროების თეორია).

რაც შეეხება წმინდა სუბიექტურ თეორიას, იგი დანაშაულის მომზადებას ობიექტური თეორიით დასჯად მცდელობის შემთხვევებს უტოლებს. ამიტომ, გაბატონებული შეხედულება და სასამართლო პრაქტიკა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გადაწყვეტის დროს ეყრდნობა „**სუბიექტურ-ობიექტურ**" ანუ „**შერეულ თეორიას**".[184]

მომზადების დასჯადობის სამართლებრივი საფუძვლებიდან ცალკე უნდა გამოიყოს **პოზიტიურ-სამართლებრივი** საფუძველი, რომელიც, თავის მხრივ, მომზადების დასჯადობის ხუთ საკანონმდებლო ხერხს მოიცავს:

პირველი საკანონმდებლო ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ კანონმდებელი საქართველოს სსკ-ის ზოგადი ნაწილის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში ითვალისწინებდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადების დასჯადობას. ამასთან, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, მოქმედი სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასჯადია უკვე ზოგიერთი სახის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადება, რითაც სისხლის სამართლის კანონმდებლობამ კიდევ უფრო გაამკაცრა რეპრესია. ყოველივე ეს გამოწვეული იყო ქვეყანაში ე. წ. „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკით". თუმცა, რამდენად გამართლებულია ასეთი პოლიტიკა და რა „ბოროტების" ან რა სამართლებრივი სიკეთის მომტანია იგი, ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

მეორე საკანონმდებლო ხერხის გამოყენებას კანონმდებელი მიმართავს იმისათვის, რათა **თანამონაწილეთა** სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვიტოს დაუმთავრებელი დანაშაულის დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებულია იმაზე, რომ „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის...". თუმცა უმჯობესი იქნებოდა, რომ კანონმდებელს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილში დანაშაულის დამთავრებასთან ერთად, მის დანყებაზეც გაემახვილებინა ყურადღება. ასევე, დანაშაულის მომზადებისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ თანამონაწილესაც, რომელმაც ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩადენაში. საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის ტექსტში ნათლად ჩანს ამსრულებლის და თანამონაწილეთა დამოკიდებულება, რომელიც ე. წ. *აქცესორულ თეორიაზე* არის დამყარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა დასჯადობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. თუ ამსრულებელს ჯერ კიდევ არ დაუწყია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის უშუალო განხორციელება, თანამონაწილეთა ქმედებები შეფასდება მხოლოდ პირობების განზრახ შექმნად და, შესაბამისად, თანამონაწილეს, კერძოდ კი, ნამქეზებელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ დანაშაულის მომზადებისათვის დაეკისრება. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ნამქეზებლის ცდა, დაარწმუნოს ამსრულებელი დანა-

184 იხ. ტურავა (2013), გვ. 314.

შაულის ჩადენაში, უშედეგო აღმოჩნდება.[185]

საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ იყო აღიარებული. ისინი მიუთითებდნენ იმაზე, რომ „თუ წაქეზების ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ასეთმა ქმედებამ არ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც დანაშაულში თანამონაწილეობამ... მაგრამ რამდენადაც ვინმეს შეგულიანება დანაშაულის ჩასადენად წარმოადგენს მოსამზადებელ მოქმედებას, ე. ი. დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, ამდენად, წაქეზების მცდელობა უნდა დაისაჯოს როგორც დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება."[186]

ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული, „თუ ამსრულებელი მიცემული თანხმობის მიუხედავად არ დაიწყებს დანაშაულის რეალიზაციას, ამ შემთხვევაში უშედეგო ორგანიზაციული საქმიანობა ვერ დაკვალიფიცირდება დანაშაულის მომზადებად, რადგანაც მომზადების სტადიაზე არ შეიძლება არსებობდეს დანაშაულში თანამონაწილეობა. ამსრულებლის უარი დანაშაულის რეალიზაციაზე არ სპობს დანაშაულის შემადგენლობას წინასწარ დანაშაულებრივ მოქმედებაში, რომელსაც ორგანიზატორი ენეოდა და ამიტომ სახეზეა დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობის შემადგენლობა".[187]

ეს აზრი არ შეიძლება სრულად იქნეს გაზიარებული. თუ ამსრულებელმა თავიდანვე უარი განუცხადა ორგანიზატორს ან წამქეზებელს დანაშაულის ჩადენაზე, ანდა თანხმობის მიცემის შემდეგ, არ დაიწყო დანაშაულის განხორციელება, მაშინ, მართალია, მოსამზადებელ სტადიაზე თანამონაწილეობას არ ექნება ადგილი, მაგრამ სახეზე იქნება თანამონაწილეობის მცდელობა და არა დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობის შემადგენლობა, როგორც ამას ზემოთ დასახელებული აზრის ავტორი მიუთითებს.

არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ე. წ. პოტენციური ორგანიზატორის უშედეგო ცდა, ჩაითვალოს დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობის შემადგენლობად, რადგან დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უნარი ორგანიზატორს არ შესწევს, ამიტომ იქ, სადაც ამსრულებელი არ არის, არ შეიძლება დანაშაულის განხორციელებაზე საუბარი. ეს აზრი პირდაპირ გამომდინარეობს თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან.

ამიტომ უფრო მართებულია იმ მეცნიერის მოსაზრება, რომელიც მიუთითებს, რომ ნამქეზებლის უშედეგო ცდა, რომ ამსრულებელმა განახორციელოს დანაშაული, უნდა შეფასდეს დანაშაულში წაქეზების მცდელობად.[188]

რაც შეეხება **უშედეგო დახმარების** შემთხვევას, იგი კანონმდებლობით არ რეგულირდება და ამიტომ, სისხლის სამართლის მეცნიერებაში ეს საკითხი არაერთმნიშვნელოვნად არის გადაწყვეტილი. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ უშედეგო დახმარების პრობლემატიკა ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც ეს უშედეგო წაქეზების დროს ხდება. მაშასადამე, უშედეგო დახმარება დანაშაუ-

185 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 174.
186 *ნერეთელი* (1965), გვ. 206.
187 *გვენეტაძე* (1994), გვ. 113.
188 იხ. *Кобяшвили*, „Правоведение", №3 (1963), გვ. 148-154.

ლის მომზადებად უნდა შეფასდეს.[189]

მეცნიერთა ნაწილი კი თვლის, რომ **უშედეგო დახმარება** არის დახმარების მცდელობა და, როგორც წესი, არ უნდა დაისაჯოს.[190]

უშედეგო დახმარება შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

1. დამხმარე მკვლელობის იარაღს აძლევს ამსრულებელს, ან ფარულად უდებს მას ჯიბეში და ეს უკანასკნელი მკვლელობის ჩადენისას ამ იარაღს არ იყენებს, ანდა დამხმარე რჩევას აძლევს ამსრულებელს, მაგრამ ეს უკანასკნელი დამხმარის დარიგებით არ სარგებლობს და არ მოქმედებს მისი რჩევების საფუძველზე.

2. დამხმარე ამსრულებელს სთავაზობს იარაღს, ანდა რჩევას აძლევს მას, მაგრამ ეს უკანასკნელი უარს ამბობს იარაღის ან რჩევის მიღებაზე.

3. დამხმარე გადასცემს ამსრულებელს იარაღს, მაგრამ ამსრულებელი ნებაყოფლობითი ხელის აღების მოტივით უარს აცხადებს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებაზე.

უშედეგო დახმარების შესახებ ზემოთ დასახელებული შემთხვევები საჭიროებს პოზიტიურ-სამართლებრივ ფარგლებში მოქცევას. ეს იმას გულისხმობს, რომ უშედეგო დახმარების დასჯადობა-დაუსჯელობის საკითხი კონკრეტული სამართლებრივი ნორმის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. თუმცა ეს არც ისე მარტივი საქმეა. მაგალითად, თუ სამართალშემფარდებელი მხარს დაუჭერს უშედეგო დახმარების დასჯადობას, მაშინ მან იმ ნორმაზეც უნდა მიუთითოს, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უშედეგო დახმარებისათვის. ცნობილია, რომ ასეთი კონკრეტული ნორმა სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს, რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილს, იგი პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის ანესებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ნამქეზებლი ვერ დაიყოლიებს ამსრულებელს ჩაიდინოს დანაშაული. აშკარაა, რომ კანონმდებელი აქ საერთოდ არაფერს ამბობს უშედეგო დახმარების დასჯადობაზე. ამასთან, თუ საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის გამოყენება მოხდება ტელეოლოგიურ ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით, მაშინ გამოდის, რომ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის შემოღებით კანონმდებელმა არ გაიზიარა უშედეგო დახმარების დასჯადობა.

აქედან გამომდინარე, სათანადო ნორმის უქონლობა პრობლემას წარმოადგენს. ამასთან გასარკვევია, სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, რამდენად მიზანშეწონილია, რომ საერთოდ უარი ითქვას უშედეგო დახმარების დასჯადობაზე.

როგორც ცნობილია, მომზადებას შესაძლებელია სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულში ჰქონდეს ადგილი, ამიტომ ძალზედ სიფრთხილეა საჭირო, როდესაც საქმე ეხება სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულში უშედეგო დახმარებას. მაგალითად, მკვლელობის (სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლები) და მითვისება ან გაფლანგვის დროს (სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) უშედეგო დახმარების საკითხი ერთგვაროვნად არის შეფასებული, მაშინ, როდესაც მკვლელობა მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ხოლო მითვისება

189 იხ.: *წერეთელი* (1965), გვ. 210; *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 174.
190 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 341.

ან გაფლანგვა (პირველი ნაწილი) ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულია. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, თუ კი კანონმდებელი ასეთი შემთხვევების დიფერენციაციას მოახდენს საკანონმდებლო დონეზე და ამის შესაბამისად, გადანყვეტს უშედეგო დახმარების დროს ე. წ. პოტენციური დამხმარის პასუხისმგებლობის საკითხს.

ასევე, დასადგენია ის, თუ რამდენად მართებულია დასახელებული სამი შემთხვევის ერთნაირი სამართლებრივი შეფასება. პირველ და მესამე მაგალითში დამხმარემ ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული და ელოდება შედეგის დადგომას, ხოლო მეორე მაგალითში, დამხმარე სთავაზობს ამსრულებელს იარაღს ან აძლევს რჩევა-დარიგებას, მაგრამ ეს უკანასკნელი უარს ამბობს მის მიღებაზე. მაშასადამე, მეორე მაგალითში დამხმარეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია ყველაფერი.

რაც შეეხება **უშედეგო ორგანიზებას**, ეს საკითხიც ნათლად არ არის მოწესრიგებული სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში. იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზატორი იმავდროულად წამქეზებელია, მაშინ პრობლემაც არ დგას, მაგრამ, თუ წამქეზებლის მიერ ამსრულებელის დაყოლიებამდე ორგანიზატორმა მოანყო დანაშაულის ორგანიზება და ამის შემდეგ, პოტენციურმა ამსრულებელმა თანხმობა არ მისცა წამქეზებელს, მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს ორგანიზატორის პასუხისმგებლობის საკითხი? ამის შესახებ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ „დანაშაულის უშედეგო ორგანიზება ზოგჯერ დამთავრებული დანაშაულია, მაგალითად, ბანდიტიზმის დროს (სსკ-ის 224-ე მუხლი). იგი იმავდროულად წარმოადგენს იმ დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის) მომზადებას, რომლის ჩასადენადაც შეიქმნა ორგანიზებული ჯგუფი."[191] მაშასადამე, უშედეგო ორგანიზება უნდა დაისაჯოს, როგორც დამთავრებული დანაშაული, მაგრამ ყოველთვის საკითხი ასე ვერ გადაწყდება, რადგან თავად სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი არ იძლევა ამის საშუალებას. მაშასადამე, კერძო ნაწილში ნებისმიერი დანაშაულის ორგანიზება არ ისჯება. ამდენად, შესაძლებელია, რომ უშედეგო ორგანიზების დროს დანაშაულის ორგანიზატორს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უშედეგო დახმარების და უშედეგო ორგანიზების პრობლემის სწორად გადაწყვეტა დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაზე და მას დიდი პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნია. ამასთან, ძალზედ მნიშვნელოვანია ***ამ კუთხით კანონმდებლობის მოწესრიგება.***

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ საკითხს. საქმე იმაშია, რომ კლასიკურ დელიქტებში, როდესაც თანამონაწილე ასრულებს თავის ფუნქციას და, ამის მიუხედავად, ამსრულებელი არ ახორციელებს ძირითად ქმედებას, მაშინ ადგილი აქვს უშედეგო თანამონაწილეობას, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულის მომზადებად ფასდება. მაგრამ როგორც კი საქმე „სპეციალურ დელიქტებს" შეეხება, პრობლემა მაშინვე იჩენს თავს.

როგორც ცნობილია, ასეთ დანაშაულებში თანამონაწილეობა შესაძლებე-

191 ტურავა (2013), გვ. 341.

ლია. მაგალითად, თუ მოხელე უარს აცხადებს ქრთამის მიღებაზე, მაშინ წამქეზებელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ქრთამის აღების მომზადებისათვის.[192] თუმცა, რამდენად სწორია ქმედების ასეთნაირად შეფასება, ძალზედ სადავოა. მიზანშეწონილია, აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ დანაშაულის მომზადებისათვის შეიძლება დაეკისროთ, რომელსაც ობიექტურად აქვს **განვითარების უნარი**. ამიტომ ქრთამის აღების დროს, როგორც კი ამსრულებელი უარს განაცხადებს ქრთამის მიღებაზე, ქმედება მაშინვე დაკარგავს შემდგომი განვითარების უნარს, რადგან მისი ჩადენა თავად წამქეზებელს ან დამხმარეს თავისი „ხელით" არ შეუძლია. მაშასადამე, გამოდის, რომ ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეთა ქმედება წარმოადგენს არა დანაშაულის სტადიას, არამედ იგი თავისთავად **ობიექტურად დამთავრებული** დასჯადი ქმედებაა. ხოლო კვალიფიკაციის დროს სასამართლო სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იგივე ნორმებს ერთნაირად იყენებს თანამონაწილეთა მომზადების იმ შემთხვევებისათვის, რომლებსაც ობიექტურად დამთავრების ტენდენცია ახასიათებთ და ასევე იმ შემთხვევებისათვისაც, რომლებსაც ასეთი უნარი არ გააჩნიათ. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ უკანასკნელი შემთხვევების მოსაწესრიგებლად სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე სათანადო ნორმა არ არსებობს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ სასამართლო პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს პიროვნების სანინააღმდეგოდ ანალოგიას მიმართავს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ამ პრობლემებისათვის თავი რომ აერიდებინა, გერმანიის კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში 30-ე პარაგრაფი შემოიღო. აღნიშნული პარაგრაფი ქვემოთ იქნება განხილული.[193]

ანალოგიური ნორმის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემოღება განპირობებულია კიდევ ერთი შემთხვევით, რომელსაც, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს სასამართლო პრაქტიკაში და რომელსაც თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჯერჯერობით ვერ უმკლავდება. საქმე ეხება საკუთარი ხელით ჩასადენ გაუფრთხილებლობით დანაშაულებში წამქეზებლის მიერ ამსრულებლის შეცდომაში შეყვანის ფაქტს, მაშასადამე, როდესაც სპეციალური ამსრულებელი „ბრმა იარაღად" გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში. მაგალითად, სსკ-ის 321-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევას, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში, რომ, თუ სპეციალურმა პირმა გაუფრთხილებლობით დაარღვია დადგენილი წესი, რამაც დოკუმენტის ან საგნის დაკარგვა გამოიწვია და, შესაბამისად, ამას მოჰყვა მძიმე შედეგი, იგი პასუხს აგებს სსკ-ის 321-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მაგრამ თუ წამქეზებელმა სპეციალური პირი განზრახ შეიყვანა შეცდომაში იმ მიზნით, რომ მომხდარიყო დოკუმენტის დაკარგა, რაც, თავის მხრივ, მძიმე შედეგს უთუოდ გამოიწვევდა (წამქეზებელს ანტისახელმწიფოებრივი მოტივი არ ამოძრავებდა, არამედ მას მხოლოდ ამ დო-

192 ანალოგიურად წყვეტს საკითხს *წერეთელი* (2007), გვ. 84.

193 გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მომზადების დასჯადობის შესახებ, იხილეთ მე-3 კარის მე-2 თავში.

კუმენტის დაკარგა სურდა), მაშინ დადგება წამქეზებლის პასუხისმგებლობის გადაწყვეტის საკითხი, თუმცა წამქეზებელი ამ დანაშაულის მომზადებისათვის ვერ აგებს პასუხს, რადგდან სსკ-ის 321-ე მუხლის სუბიექტური შემადგენლობა ისეთი სპეციფიკურობით გამოირჩევა, რომ, შეუძლებელია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასახელებული მუხლის გამოყენება, რაც, თავის მხრივ, წამქეზებელს დაუსჯელს ტოვებს.[194]

ქმედების დანაშაულის მომზადებად შეფასების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **56-ე მუხლის** ფარგლებში ადგილი აქვს მომზადებისათვის (მცდელობისათვის) სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაჭრას. საქართველოს სსკ-ის 56-ე მუხლში თავმოყრილია დისპოზიციური და იმპერატიული სახის ნორმები. ნორმის ***დისპოზიციური*** ხასიათი კარგად ვლინდება სსკ-ის 56-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც კანონმდებელი ნორმის შემფარდებელს მომზადებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს რაიმე შეზღუდვებს არ უწესებს და მიუთითებს იმაზე, რომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება ის გარემოებანი, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

2006 წლის 29 დეკემბრის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ ცვლილებებამდე სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა დანაშაულის მომზადებისათვის (მცდელობისათვის) სასჯელის სავალდებულო შემცირებას, მაგრამ დღეისათვის ეს წესი აღარ მოქმედებს.[195] სასჯელის სავალდებულო შემცირებას[196] საფუძვლად ედო ის გარემოება, რომ დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც უფრო შორს დგას შედეგისაგან, მით უფრო ნაკლებად საშიში დანაშაულია. სწორედ ამიტომ, დანაშაულის მომზადებისათვის დანიშნული სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა ყოფილიყო დამთავრებული დანაშაულისათვის გათვალისწინებული მკაცრი სახის სასჯელის ვადის ან ზომის ნახევარზე მეტი.[197]

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შესახებ კრიტიკული მოსაზრება არის გამოთქმული სიხლის სამართლის ლიტერატურაში. ამ შეხედულების მიხედვით, სსკ-ის 56-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული ზოგადი ხასიათის დებულება სასამართლო პრაქტიკას ბევრ პრობლემებს შეუქმნის და იგი არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი გახდება.[198]

დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ, თუ დანაშაულისათვის პირობების შექმნის დროს პიროვნებამ უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო გამოიყენა ის-

194 საკუთარი ხელით ჩასადენ გაუფრთხილებლობით დანაშაულებში წამქეზებლის დასჯადობის პრობლემა დაყენებული აქვს ებრალიძეს, იხ. *ებრალიძე*, წამქეზებელი ნაქეზებულის წინააღმდეგ, კრებულში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები (2006), გვ. 195.

195 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 362.

196 სასჯელის სავალდებულო შემცირებას საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაც არ ითვალისწინებდა, იხ. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი* (1976), გვ. 121.

197 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 378-379.

198 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 379.

ეთი საშუალებები, რომლებსაც არ შეუძლია ობიექტურ გარესამყაროში რაიმე მართლსანინააღმდეგო შედეგის გამოწვევა, პირი საქართველოს სსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს. კანონმდებელი აქ აბსოლუტურად უვარგისი საშუალებების გამოყენების შემთხვევებზე ამახვილებს ყურადღებას.[199]

აქედან გამომდინარე, დამნაშავის საქმიანობის დანაშაულის მომზადებად შესაფასებლად საკმარისია **შედარებით ვარგისი პირობების** შექმნა შემდგომში დანაშაულის შემადგენლობის დასაწყებად და, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოსანვევად, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამის მიუხედავად, დამნაშავის საქმიანობა სხვადასხვა მიზეზების გამო მომზადების სტადიას მაინც ვერ სცილდება. „ასეთი მიზეზები შეიძლება მრავალგვარი იყოს და მოქმედების ან სუბიექტის... საშიშროების ამა თუ იმ ხარისხზე მეტყველებდეს. მაგალითად, დანაშაულის დაუმთავრებლობის მიზეზი შეიძლება იყოს დამნაშავის გამოუცდელობა, დაზარალებულის ან მესამე პირთა წინააღმდეგობა; შეცდომა, რომელიც დაშვებული იყო დამნაშავის მიერ დანაშაულებრივი გეგმის შედგენის ან შესრულების დროს, ობიექტის დაცულობა... და სხვ.“[200]

საქართველოს სსკ-ის 56-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ საუბარია დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობის დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელ მიზეზებზე, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი კანონმდებელი სსკ-ის 56-ე მუხლის პირველ ნაწილში „არ“ ნაცვლად გამოიყენებს „ვერ“ ნაწილაკს, რომელიც უფრო ზუსტად გამოხატავს კანონმდებლის ნებას და, შესაბამისად, ნორმის ტელეოლოგიურ და გრამატიკულ ახსნა-განმარტებას ერთმანეთთან თანხვედრაში მოიყვანს.

რაც შეეხება ნორმის ***იმპერატიულობას***, ეს კარგად ჩანს სსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილში, სადაც კანონმდებელი ნორმის შემფარდებელს პირდაპირ ავალდებულებს, რომ მომზადების (მცდელობის) დროს სამართალშემფარდებელს უფლება არა აქვს სასჯელის უმაღლესი ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს.

დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიიღება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელშიც საუბარია სასჯელის დანიშვნის დროს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე. დასახელებული მუხლი, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი ხასიათის ნორმის შემცველია, მაშინ, როდესაც სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სპეციალურად მომზადების (მცდელობის) დასჯადობის საკითხის გადაწყვეტას არის შექმნილი. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსზე დაყრდნობით, ადგილი აქვს ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციას, რა დროსაც სპეციალურ ნორმას ენიჭება უპირატესობა, ამ შემთხვევაში სსკ-ის 56-ე მუხლს.[201]

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არის ისეთი ზოგადი ხასიათის ნორმები, რომლებიც კანონიერების და სხვა პრინციპებზე დაყრდნობით გამოი-

---

199 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 378.

200 *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი* (1976), გვ. 122.

201 ნორმათა კონკურენციის შესახებ იხ. *ნაჭყებია* (2010), გვ. 244.

ყენება დაუმთავრებელი დანაშაულის, კერძოდ, კი დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხის სწორად გადასაჭრელად. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზანშეუწონელობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედება, მართალია, ფორმალურად შეიცავს რომელიმე დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ შეუქმნია ისეთი საფრთხე, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის მიმართ პასუხისმგებლობის გამოყენებას.[202] ასევე, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლი, რომელიც საგარანტიო ფუნქციის მატარებელია და რომელშიც საუბარია სისხლის სამართლი კანონის უკუძალაზე, ეხება არა მარტო დამთავრებული დანაშაულის, არამედ დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევებს, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხოლოდ იმ კანონს ენიჭება უკუძალა, რომელიც ამსუბუქებს, ან აუქმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[203]

მომზადების დასჯადობის ***მესამე საკანონმდებლო ხერხი*** გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც კანონმდებელი, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ითვალისწინებს ისეთ შემადგენლობებს, რომლებიც დიდი საფრთხის შემცველობის გამო, დამოუკიდებელ, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება. ასეთია, მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს აგრესიული ომის მომზადებაზე ან წარმოებაზე. ამ მუხლის პირველი ნაწილი ანესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აგრესიული ომის დაგეგმვის ან მომზადებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი — აგრესიული ომის გაჩაღებისათვის ან წარმოებისათვის.

მეოთხე საკანონმდებლო ხერხი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მომზადების დასჯადობა ხორციელდება არა პირველი, მეორე ან მესამე ხერხზე დაყრდნობით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული შემადგენლობა მიუთითებს რომელიმე მუხლის მომზადებაზე. ასეთ მუხლს წარმოადგენს სსკ-ის 405-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ მოწოდებისათვის და მიუთითებს იმაზე, რომ, თუ ვინმე საჯაროდ მოუწოდებს სსკ-ის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისაკენ, დაისჯება დამთავრებული დანაშაულის განხორციელებისათვის.

მომზადების დასჯადობის **მეხუთე საკანონმდებლო ხერხი** გულისხმობს ისეთ შემადგენლობებს, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენენ სხვა დანაშაულის მომზადებას, მაგრამ დამთავრებულია მომეტებული საშიშროების გამო. ამის მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბანდიტიზმისათვის.

---

202 იხ. *გვენეტაძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 380-381.

203 ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. *ხარანაული*, „მართლმსაჯულება და კანონი", №1 (2008) გვ. 50.

§4. დანაშაულის მომზადების დასჯადობის პრობლემატური შემთხვევები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი, როგორც უკვე აღინიშნა, მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მხოლოდ **განზრახ** დანაშაულებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახის განზრახი დანაშაულის მომზადება არის შესაძლებელი, არამედ არსებობს გამონაკლისებიც, რომლის მიხედვით, ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედების დროს შეუძლებელია მომზადება დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობის თავისებურებების გამო.

დანაშაულის მომზადება, განსხვავებით დანაშაულის მცდელობისაგან, შეუძლებელია ასევე **აფექტში** ჩადენილ დანაშაულებში. მაგალითად, აფექტში ჩადენილ განზრახი მკვლელობისათვის (სსკ-ის 111-ე მუხლი) მოსამზადებელი სტადია არ არის დამახასიათებელი, რადგან განზრახვა აფექტის დროს უეცრად აღმოცენდება და მაშინვე ხორციელდება.[204]

დანაშაულის მომზადების დასაბუთება პრობლემატურია დანაშაულის შემადგენლობის **ობიექტური თავისებურების** გამო. განსაკუთრებით ეს ეხება ე. წ. *წმინდა უმოქმედობის დელიქტებს*, სადაც თავად ქმედება ისჯება და მავნე შედეგის გამოწვევა ქმედების დამთავრებულად შეფასებისათვის საჭირო არ არის. მაგალითად, გადასახადისაგან თავის არიდება,[205] გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით და იგი დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც სუბიექტი გადასახდელ თანხას არ გადაიხდის დათქმულ ვადაში და საგადასახადო განაკვეთის ოდენობით.[206]

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში ამ საკითხზე ერთიანი პოზიცია არსებობდა. მეცნიერები თვლიდნენ, რომ დანაშაულის მომზადება შესაძლებელი იყო წმინდა უმოქმედობის დელიქტებში, რადგან მიაჩნდათ, რომ ყველა განზრახი დანაშაული, ყოველგარი გამონაკლისის გარეშე, გაივლის მომზადების და მცდელობის სტადიას,[207] ამის საილუსტრაციოდ მათ მოაქვთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მონმე მიემგზავრება სხვა ადგილას იმ მიზნით, რომ შემდგომში მისი გამოცხადება სასამართლოში შეუძლებელი გახდეს.[208]

გაბატონებული შეხედულება უარყოფითად წყვეტდა საკითხს მომზადების შესაძლებლობის შესახებ ე. წ. **ფორმალური** სახის დანაშაულებში. მეცნიერთა ასეთი პოზიციის ჩამოყალიბება განაპირობა ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურამ და მათი დამთავრების საკითხმა. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი დანაშაულის დამთავრება დამოკიდებულია პირველივე დანაშაულებრივი აქტის განხორციელებაზე და, შესაბამისად, მანამდე ან შემდგომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები კვალიფიკაციისათვის

---

204 იხ. *გამყრელიძე* (2002), გვ. 67.
205 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 184.
206 იხ. *მამულაშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 504.
207 იხ. *Кузнецова* (1958), გვ. 122-123.
208 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 186-187.

ირელევანტურია.[209]

დასახელებული პოზიცია საეჭოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან არ შეიძლება ყველა ფორმალურ დანაშაულში მომზადების უარყოფა. სისხლის სამართლის კოდექსში ე. წ. ფორმალური სახის დანაშაულებში შესაძლებელია მცდელობა ნაწილობრივ გამოირიცხოს, მაგრამ ზოგიერთ ფორმალურ დანაშაულში მომზადება სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რომელიც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტს ან იმპორტს საქართველოში ამ ნივთიერების უტილიზაციის, გაუვნებლების, გადამუშავების და სხვა მიზნით და რომელიც მიჩნეულია ფორმალურ დანაშაულად, კერძოდ, **აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად**,[210] თეორიულად სავსებით დასაშვებია მომზადების სტადია. მაშასადამე, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფარულად აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს მოქალაქესთან რადიაქტიური ნივთიერების იმპორტზე და რიგ ქმედებასაც ახორციელებს შემდგომში ამ ნივთიერების საქართველოში გადამუშავების მიზნით, რატომ არ შეიძლება მათი ქმედებები სასამართლომ სსკ-ის 234-ე მუხლის საფუძველზე დანაშაულის მომზადებად შეაფასოს. ამასთან, აღნიშნული ნორმა მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება, რითაც მისი დასჯადობა პრაქტიკულად არ გამოირიცხება.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ დამთავრებულ დანაშაულზე მსჯელობისას უკვე აღინიშნა, ფორმალურ დანაშაულებს შეიძლება მიეკუთვნოს ე. წ. ***კონკრეტული საფრთხის შემქნელი დელიქტები***, მაგალითად, ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი), ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი), ტერორისტული აქტი (სსკ-ის 323-ე მუხლი), სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (სსკ-ის 127-ე მუხლი) და ა. შ.

ვინაიდან დანაშაულის მომზადებას და საფრთხის შემქმნელ დელიქტებს შორის გარკვეული მსგავსებები არსებობს, სახელდობრ, ორივე შემთხვევაში ქმედებები, რომლებიც მიმართულია სამართლით დაცული ობიექტის დაზიანებისაკენ, ვერ აღწევს სასურველ შედეგს, ამიტომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში წამოიჭრა საკითხი საფრთხის შემქმნელ დელიქტებში მომზადების შესაძლებლობის შესახებ. გაბატონებული შეხედულება ამ საკითხს დადებითად ნყვეტს და ამბობს, რომ საფრთხის შემქნელი დელიქტების დროს დანაშაულის მომზადება სავსებით შესაძლებელია, თუმცა ასეთი სახის დელიქტებში დანაშაულის მომზადების დასჯადობა მიზანშეწონილად არ მიიჩნევა.[211]

მართლაც, სადავო არ უნდა იყოს ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებიდან მომზადება უპრობლემოდ საბუთდება ყაჩაღობის, ბანდიტიზმის და ტერორისტული აქტის დროს,[212] მითუმეტეს, რომ სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნა, სადაც საუბარია დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე ნებაყოფლობითი ხელის აღების გამო, პირდა-

209 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 190.

210 იხ. *თოდუა, კერძო ნაწილი, ტომი I* (2011), გვ. 584.

211 იხ. *წერეთელი* (2006), გვ. 219-220.

212 ამავე პოზიციაზე დგას წერეთელი, იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 192.

პირ მიუთითებს ტერორისტული აქტის დროს მომზადების შესაძლებლობაზე. მაგრამ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების, როგორც კონკრეტული საფრთხის შემქნელი დელიქტის მომზადება, რა თქმა უნდა, ძალზედ საეჭვოა.

იმ შემთხვევაში, თუ გაზიარებული იქნება მეცნიერების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბანდიტიზმი, როგორც დანაშაულის მომზადება კანონმდებელმა მომეტებული საშიშროების გამო დამოუკიდებელ დანაშაულად გამოაცხადა *„delictum sui generis"*,[213] მაშინ გამოდის, რომ თეორიულად დასაშვებია ბანდიტიზმის მომზადება, მაშასადამე, **მომზადების მომზადება**. ამის საილუსტრაციოდ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოყვანილია ბანდიტიზმის მომზადების მაგალითი, როდესაც ადგილი აქვს ბანდის ორგანიზების მიზანმიუღწეველ ცდას.[214] თუმცა, კრიმინალისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ შეუძლებელია ბანდიტიზმის მომზადება „რადგან მის შემადგენლობაში ასახულ სხვა დანაშაულთა მოსამზადებელი ქმედებები უკვე დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს. თუ განხორციელდა ბანდიტიზმის შემადგენლობაში მოცემული ერთ-ერთი მოქმედება, ადგილი ექნება არა ბანდიტიზმის შემადგენლობაში შემავალ მოქმედებას, არამედ რომელიმე სხვა დანაშაულის მომზადებას, რადგან ბანდიტიზმი, როგორც ასეთი, დამნაშავეთა საბოლოო მიზანი არ არის. მაგალითად, თუკი შეიქმნება მყარი ბანდა, რამდენიმე ყაჩაღობის განსახორციელებლად, რომელსაც იარაღი ჯერ არ შეუძენია, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობის მომზადებად."[215]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ მატერიალური სახის დანაშაულებიდან დანაშაულის მომზადების დასჯადობა შეუძლებელია ე. წ. **მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ** დელიქტებში, სადაც დამნაშავის განზრახვა ძირითად ქმედებას მოიცავს, ხოლო მძიმე შედეგისადმი დამნაშავეს გააჩნია გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება. ასეთ დანაშაულს მიეკუთვნება, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი.[216] თუმცა შესაძლებელია ისეთი შემთხვევის მოტანა, რომელიც აღნიშნულ აზრს გააბათილებს. მაგალითად, ა.-მ მეზობლის ჯანმრთელობის დასაზიანებლად შეიძინა ასაფეთქებელი მონყობილობა, მაგრამ, ვიდრე ა. ამ უკანასკნელს მეზობლის სახლის კარებთან დაამონტაჟებდა, მონყობილობა აფეთქდა, რასაც შემთხვევით ა.-ს მეზობლის სიცოცხლე შეენირა.

ისმის შეკითხვა, როგორ უნდა შეფასდეს ა.-ს ქმედება? თუ ა.-ს ქმედების კვალიფიკაციას ზემოთ დასახელებული შეხედულება დაედო საფუძვლად, მაშინ ა. უნდა დაისაჯოს დანაშაულთა ერთობლიობით სსკ-ის 18, 117-ე და 116-ე მუხლების საფუძველზე. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გაზიარებული დასახელებული პოზიცია, მაშინ ა.-ს ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სსკ-ის 18, 117-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე. ეს უკანასკნელი უფრო

213 ამ აზრს ავითარებს *გამყრელიძე* (2008), გვ. 157-158.
214 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 192.
215 *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 172.
216 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 191.

სწორ კვალიფიკაციად უნდა ჩაითვალოს.

დანაშაულის მომზადება შეუძლებელია ასევე მაშინ, როდესაც ქმედების დასჯადობა გარკვეული შედეგის დადგომაზეა დამოკიდებული. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც ქმედება არსებითად ხელყოფს ადამიანის უფლებებს.[217] ამავე ჯგუფში შედის სსკ-ის 113-ე და 114-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისა და დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილების გამო.

§5. დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიზანშეწონილობის შესახებ გამოთქმული შეხედულებები

დანაშაულის მომზადების დასჯადობის აღიარება საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გამართლებული იყო სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციის თვალსაზრისით.[218] მიუხედავად ამისა, დანაშაულის მომზადება საბჭოთა სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკაში, როგორც წესი, არ ისჯებოდა,[219] გამონაკლისი შემთხვევების გარდა,[220] როდესაც მოსამზადებელი ქმედება მცდელობასთან იდგა ახლოს.[221]

ამასთან, ზოგიერთ საბჭოთა მეცნიერს მიაჩნდა, რომ დანაშაულის მომზადების დასჯადობით თავიდან აიცილებდნენ მომზადების და მცდელობის გამიჯვნის პრობლემას.[222]

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეცნიერებმა[223] წამოწიეს საკითხი დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიზანშეუწონელობის შესახებ. ამის არგუმენტად ისინი სხვადასხვა ფაქტორზე მიუთითებდნენ:

პირველ ფაქტორად ისინი საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიღწევის ძალზედ დაბალი ალბათობის ხარისხს ასახელებდნენ, რითაც შეუძლებელია სამართლებრივი სიკეთისათვის რეალური საფრთხის შექმნა. იარაღის ან საშუალების შეძენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალურ და უშუალო საფრთხეს სამართლებრივი სიკეთისათვის.

მეორე ფაქტორად, ისინი თვლიდნენ საკმაოდ დიდ მანძილს, რომელიც მოსამზადებელ ქმედებას და დანაშაულებრივ შედეგს შორის არსებობს და ეს მანძილი ხელისშემშლელი გარემოებების აღმოცენების დიდ ალბათობას ქმნის.

---

217 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 173.

218 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 75.

219 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 53.

220 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 87.

221 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 27.

222 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 95.

223 იხ.: *წერეთელი, მაყაშვილი*, „საბჭოთა სამართალი", №1 (1957), გვ. 47; *წერეთელი*, *„Социалистическая законость"*, №12 (1954), გვ. 10-14.

მესამე ფაქტორად დასახელებული იყო, სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიუღებლობა.

მეოთხე ფაქტორში ისინი გულისხმობდნენ დანაშაულის მომზადების დროს განზრახვის არაკონკრეტიზირებულ და არასრულ ხასიათს, მაშასადამე, დანაშაულის მომზადების დროს განზრახვა სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ არის. მაშასადამე, განზრახვა დანაშაულის მომზადების დროს ჯერ კიდევ არ ატარებს მართლნესრიგისათვის საფრთხის შემცველ ხასიათს და ის, ჯერ კიდევ, სოციალურად ტოლერირებადი ადამიანის საქმიანობაში სუბიექტური სფეროს შემადგენელია.

მეხუთე ფაქტორში მეცნიერები მოიაზრებდნენ იმას, რომ დანაშაულის მომზადების დასჯადობა დამნაშავეს ართმევს ***ნებაყოფლობით ხელის*** აღების შესაძლებლობას, რომლითაც დამნაშავეს უფლება აქვს ისარგებლოს დანაშაულებრივი საქმიანობის მთელს მანძილზე.

მეექვსე ფაქტორი ამტკიცებს, რომ მომზადების დასჯადობა პრაქტიკაშიც დიდ სიძნელეებს ქმნის.

მეშვიდე ფაქტორად ისინი მიუთითებენ, რომ დანაშაულის მომზადება საკმაოდ ფართო და გაურკვეველ ხასიათს ატარებს და ხშირად რთულდება მისი არადანაშაულებრივი ქმედებებისაგან გამიჯვნა.[224]

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ასეთი დასკვნის გაკეთება, დანაშაულის მომზადება ძალიან აბსტრაქტული (განსაკუთრებული განუსაზღვრელი) ცნებაა და, შესაბამისად, არ ხასიათდება ***სიზუსტით***. მაგალითად, თუ კი პიროვნებას განზრახული აქვს მეზობლის მოკვლა, პირველ რიგში, მან შეიძლება იარაღი შეიძინოს, შემდგომ დაათვალიეროს ის ადგილი, სადაც გადაწყვეტილი აქვს მკვლელობის ჩადენა, ამის შემდეგ, შესაძლებელია, მოაწყოს სამალავი, საიდანაც მსხვერპლს თავს უნდა დაესხას, დაბოლოს, შეიარაღებული მივიდეს იმ ადგილზე, სადაც მსხვერპლმა უნდა გამოიაროს. იარაღის შეძენა პირველი საფეხურია, ხოლო სამალავთან შეიარაღებული მისვლა - ბოლო საფეხურია. ორივე მათგანი მომზადების ფარგლებშია მოქცეული და თითოეული მომზადებად ფასდება. თუმცა, თითოეული საფეხური თავისი ინტენსივობით ერთნაირი არ არის და ამიტომ საჭიროა მათ მიმართ დიფერენცირებული მიდგომა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომზადების სტადიაზე საფრთხის (აბსტრაქტული) არსებობა დასტურდება. იმისათვის, რათა ქმედება დანაშაულის მომზადებად შეფასდეს, აუცილებელია საფრთხეს უმნიშვნელო ხასიათი არ ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასჯადობის ღირსი ვერ გახდება. განზრახ მკვლელობის ჩასადენად იარაღის შეძენა, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი ინტენსივობის, როგორც ეს არის შემთხვევის ადგილზე უკვე შეიარაღებული მისვლის დროს. მაგრამ სსკ-ის მე-18 მუხლი პირობების დიფერენციაციას არ ახდენს და სამართალშემფარდებელს ანიჭებს დისკრეციულ უფლებას თავად გადაწყვიტოს, თუ რომელი პირობა შეიძლება ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამფუძნებელ გარემოებად. თუმცა სამართალშემფარდებლისათვის ასეთი უფლების მინიჭება დასაშვებია მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში. ამი-

224 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 89-93.

ტომ კანონმდებელი საკმაოდ მოზომილი და ფრთხილი უნდა იყოს დისკრეციის უფლების მინიჭების საკითხში.

მაშასადამე, დანაშაულის გენერალური მომზადების დასჯადობის შემოღებით კანონმდებელმა ქმედების განსაზღვრულობის მომენტი სამართალშემფარდებელზე გადაიტანა, რითაც პიროვნების საწინააღმდეგოდ სისხლის სამართლის რეპრესიის გამოყენების საფრთხე შექმნა.

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართალში კატეგორიული პოზიცია დანაშაულის მომზადების მიზანშეუწონელობის შესახებ, თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც განვითარდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტზე მომუშავე ქვეკომისიაში მსჯელობდნენ იმის შესახებ, რამდენად მიზანშეწონილი იყო სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში დანაშაულის **გენერალური მომზადების** დასჯადობის გათვალისწინება.[225] წინააღმდეგობის მიუხედავად, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, თავდაპირველად შენარჩუნდა გენერალური მომზადების დასჯადობის პრინციპი, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებისათვის.

გენერალური მომზადების დასჯადობის საკითხებზე თანამედროვე მეცნიერთა მსჯელობიდან იკვეთება სამი განსხვავებული პოზიცია:

პირველი პოზიცია მიჰყვება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აღიარებულ პრინციპს და მომზადების დასჯადობას ეჭქვეშ არ აყენებს, რადგან მომზადების დასჯადობის გაუქმება, მათი აზრით, პრობლემებს შექმნის თანამონანილეთა დასჯადობის ნაწილში.[226]

მეორე პოზიციას მიაჩნია, რომ დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციების გათვალისწინებით, მომზადების დასჯადობის საკითხის გარკვევა რიგ სირთულეს შექმნის. ამასთან, ისინი თვლიან, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, სასურველი იქნება, თუკი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მომზადებისათვის იქნება გათვალისწინებული. მაშასადამე, მეორე პოზიცია დანაშაულის მომზადების სრულ გაუქმებას არ ემხრობა, არამედ მას ***შეუალედური პოზიცია*** უკავია და დანაშაულის მომზადების დასჯადობის შეზღუდვას უჭერს მხარს.[227] ამავე პოზიციის თანახმად, ქმედება მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად, როდესაც იგი აღარ არის სოციალურად ადეკვატური.[228]

მესამე პოზიცია სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას არ იზიარებს, რადგან მიაჩნია, რომ იგი ეწინააღმდეგება დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრინციპს. ამასთან, ეს პოზიცია მიუთითებს იმაზეც,

---

225 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 157.

226 იხ. *დეალიძე*, ზოგადი ნანილი (2007), გვ. 156.

227 იხ.: *გამყრელიძე* (2008), გვ. 158-159; *სულაქველიძე* (1992), გვ. 162-163; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 29-30.

228 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, სისხლის სამართლის სამეცნიერო კრებული I, რედ., მ. *ტურავა* (2013), გვ. 98.

რომ დანაშაულის მომზადების დროს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება ჯერ კიდევ არ დაწყებულა.[229] დასახელებული პოზიცია დანაშაულის მომზადების დასჯადობის მიზანშეუწონელობის საკითხს განსაკუთრებით ევენტუალური განზრახვის დროს აყენებს.[230]

ზემოთ ჩამოყალიბებული შეხედულებებიდან პირველი მოსაზრება მყარ არგუმენტაციას იძლევა იმ მოსალოდნელი საკანონმდებლო ხარვეზის ნარმოშობის თაობაზე, რომელიც შეიძლება გაჩნდეს გენერალური მომზადების დასჯადობის გაუქმების შედეგად. თუმცა, მეტი სიზუსტისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის ამოღებას აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსში მოჰყვეს ახალი ნორმის შემოღება, რომელიც თანამონანილეობის მცდელობის დასჯადობის საკითხებს ცალკე მოაწესრიგებს.

რაც შეეხება მეორე პოზიციას, იგი ასევე ნანილობრივ ემხრობა მომზადების დასჯადობის გადატანას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნანილში, თუმცა იგი არ იზიარებს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნანილში გენერალური მომზადების დასჯადობის სრულ გაუქმებას. მეორე პოზიციასთან დაკავშირებით, ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სოციალურად არაადეკვატურობის კრიტერიუმის გამოყენება მოსამზადებელი ქმედებების დასჯადობის საფუძვლად, დოგმატურად არ არის სწორი, რადგან სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ქმედებები, რომლებიც სოციალური მართლწესრიგის ფარგლებში არის მოთავსებული, დანაშაულის შემადგენლობაში არასოდეს არ ხვდება. სოციალურად ადეკვატურია ყველა საქმიანობა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკურ წესრიგში ჰპოვებს ადგილს. ამდენად, თუ ქმედებამ სოციალურად ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯა, ადგილი აქვს არა დანაშაულის მომზადებას, არამედ უკვე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას, მაშასადამე, დანაშაულის მცდელობას.[231]

დასაბუთების თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს მესამე მოსაზრება, რადგან სისხლის სამართლის ზოგად ნანილში **გენერალური მომზადების** დასჯადობის გაუქმების იდეა სრულად იზიარებს იმ პრინციპის სულისკვეთებას, რომ არ უნდა შეიზღუდოს დამნაშავისათვის დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე **ნებაყოფლობითი ხელის აღების** უფლება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მომზადების დასჯადობა.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის პრაქტიკამ ასევე ნათლად აჩვენა, რომ სასამართლოების მიერ დანაშაულის მომზადების დასჯადობის თვალსაზრისით, თითქმის ნულის ტოლია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გენერალური მომზადების დასჯადობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმის (სსკ-ის მე-18 მუხლი) არაპრაქტიკულ ხასიათზე.

აქედან გამომდინარე, გასაზიარებელი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით აღიარებული გენერალური მომზადების დას-

229 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 300-301.
230 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 307.
231 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 99.

ჯადობის მოდელი ე. ი. „ფართო მოდელი".

სირთულე, რასაც მომზადების დასჯადობის „ფართო მოდელი" ქმნის, არის ის, რომ დოგმატურ-სისტემური თვალსაზრისით, დაუშვებელია დანაშაულის მომზადებაში ფართო გაგებით დანაშაულის შემადგენლობის აღიარება. მართალია, სისხლის სამართალში, როგორც ნორმატიულ მეცნიერებაში ხშირად აქვს ადგილი დუალისტურ მიდგომებს და ამისგან სამართალი არ არის დაზღვეული, თუმცა, როდესაც საუბარი შეეხება სამართლის ამა თუ იმ დარგის საფუძველს, როგორც ეს სისხლის სამართალშია დანაშაულის სახით, არ შეიძლება მის მიმართ არსებობდეს დუალისტური, ფართო და ვიწრო გაგება, რადგან ამით დაირღვევა ლოგიკური კავშირი სისხლის სამართალსა და ზოგადად, სამართლის ბუნებას შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგადად სამართალში, ისევე როგორც სისხლის სამართალში, არსებობს მოვლენები და მათ მხოლოდ ერთბუნებიანობა ახასიათებს. მაგალითად, სისხლის სამართალში დანაშაული, როგორც აბსოლუტური მოვლენა, არის მხოლოდ ერთი და განუმეორებელი. ამიტომ არ არსებობს სხვადასხვა ბუნების დანაშაული. დანაშაული შეიძლება სხვადასხვა სახის და სხვადასხვა კატეგორიის იყოს, მაგრამ დანაშაული, როგორც ერთი მოვლენა, ამით არ იცვლება. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ნიშნები (ელემენტები) ასევე ერთი მოვლენის შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც სიმრავლეში ქმნის ერთ მოვლენას და თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად გააჩნია აბსოლუტური ხასიათი და არ მეორდება. ასეა დანაშაულის შემადგენლობის შემთხვევაშიც.

§6. შეჯამება

გენერალური მომზადების დასჯადობამ (მომზადების დასჯადობის ფართო მოდელმა) სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოავლინა მთელი რიგი პრობლემები და ასევე გამოაჩინა მისი დასჯადობის არაპრაქტიკული ხასიათი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლში ჩამოყალიბებული მომზადების ცნება გამოხატული სიტყვებით „პირობების განზრახ შექმნა" განუსაზღვრელ (აბსტრაქტულ) ხასიათს ატარებს, ხოლო განსაკუთრებული განუსაზღვრელობა (**გენერალური კლაუზურა**) მიანიშნებს იმაზე, რომ კანონმდებელი ნორმაშემოქმედებით ფუნქციას გადასცემს სამართლის გამომყენებელს და აღჭურავს მას სამართალშემოქმედების უფლებამოსილებით, მაშასადამე, სამართალშემფარდებლის ხელში გადადის ჯერ კიდევ ნედლი მასალა, რომელსაც გადამუშავება ესაჭიროება, რათა მისგან სამართალი გამოვიდეს. ამას კი სამართლის მეთოდების შესახებ მოძღვრებაში ხარვეზად მოიხსენიებენ (*„intra legem"*).[232]

ეს კი სისხლის სამართლის კოდექსში პიროვნების საწინააღმდეგოდ ანალოგიის დაშვებაზე მიანიშნებს, რომელიც, თავის მხრივ, არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ *nullum*

232 იხ. *გვენეტაძე, ტურავა* (2005), გვ. 32-34.

crimen sine lege-ს საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს. მაშასადამე, სსკ-ის მე-18 მუხლი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მოთხოვნებთან.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართალში გენერალური კლაუზურების გამოყენება რაც შეიძლება უნდა შემცირდეს. ეს მოთხოვნა ნორმის განსაზღვრულობის მომენტიდან გამომდინარეობს. გენერალური კლაუზურების არსებობა სისხლის სამართალში პოლიტიკური ინსტრუმენტალიზირების საფრთხეს ქმნის და ამით ხშირად სამართლებრივ უშიშროებას აყენებს საფრთხის ქვეშ.[233]

ქართველმა კანონმდებელმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი, დანაშაულის გენერალური მომზადების დასჯადობის მარეგულირებელი ნორმის სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან ამოღების გზით.

დასახელებული არგუმენტის გათვალისწინებით, ქართულ სისხლის სამართლის ადრეულ და თანამედროვე დოგმატიკაში ჩამოყალიბებული შეხედულებები, გენერალური მომზადების დასჯადობის მიზანშეუწონელობის შესახებ (**წერეთელი-ტურავას კონცეფცია**), საფუძვლად უნდა დაედოს ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მომზადების დასჯადობის **„შერეული მოდელის"** შემოღებას.

თავი II. დანაშაულის მომზადების დასჯადობა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

§1. დანაშაულის მოზადების დასჯადობის თავისებურებანი

1. 1. დანაშაულის მომზადების დაუსჯელობის მიზეზები

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ დანაშაულის მომზადების საკითხი სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია,[234] რადგან დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა არ შეიცავს ისეთ საშიშროებას, რომელიც აუცილებელს გახდის მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას.

დანაშაულის შემადგენლობები გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში და დამატებით სისხლის სამართლის ნორმებში მხოლოდ დამთავრებული დანაშაულის ან გადაცდომის სახით ისჯება. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას მხოლოდ მცდელობის საზღვრებში აღიარებს, ამიტომ, მოსამზადებელი ქმედებები არ განიხილება დანაშაულის შემადგენლობის **წევრებად** და, შესაბამისად, არ ისჯება. იმისათვის, რომ მოსამზადებელმა ქმედებებმა შემდგომი გაგრძელება ჰპოვოს ასევე აუცილებელია დამატებით **„ახალი ნების**

233 იხ. *გვენეტაძე, ტურავა* (2005), გვ. 35, 37.
234 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 350.

არსებობა."[235] მოსამზადებელი მოქმედებების დროს **განზრახვა** ხშირად განმტკიცებული არ არის[236] და, შესაბამისად, დანაშაულებრივი ნება ჯერ კიდევ საკმარისად არ ვლინდება.[237]

ამის გარდა, მოსამზადებელი ქმედება დანაშაულის შემადგენლობის შესრულების პროცესისაგან **დროში** და **სივრცეშია** დაშორებული და, შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ჯერ კიდევ არ არის ახლოს. მთავარია, რომ ქმედებას მცდელობის სტადიისთვის ჯერ არ მიუღწევია, ე. ი. შორს არ წასულა და, შესაბამისად, დაუსჯელი სივრცე ჯერ კიდევ არ დაუტოვებია.[238] მაგალითად, თანამედროვე შეხედულებით, დანაშაულის მომზადებად ფასდება შემთხვევათა შემდეგი **სამი** ჯგუფი:

ა) პირველ ჯგუფს მიეკუთვნება დანაშაულის იარაღის ან საშუალების დამზადება, მოძიება და ფლობა. თავისთავად ცხადია, რომ იარაღის გაკეთება, გასაღების ასლის დამზადება და საწამლავის მომზადება მხოლოდ მოსამზადებელი ქმედებებია. ასევე, მომზადებად ითვლება კონტრაბანდის შემთხვევა, როდესაც პიროვნებას სურს ავტომანქანით საქონლის უკანონო ექსპორტი. მიზნის მისაღწევად იგი მიემართება საბაჟო საზღვრისაკენ. ამის მიუხედავად, მისი ქმედება დასჯადად არ ითვლება, ვიდრე იგი საზღვარს არ მიაღწევს. მაშასადამე, მცდელობა იწყება მხოლოდ საბაჟო საზღვრის წინ.[239]

ბ) მეორე ჯგუფს შეადგენს დანაშაულის ადგილის გამოძებნა და იქ შეუმჩნეველად ყოფნა. დანაშაულის ადგილზე ყოფნა დანაშაულის მომზადებად ითვლება, ვიდრე დამნაშავეს არაფერი არ დაუწყია, მაშასადამე, ვიდრე მას დაზარალებულის სფეროში ჯერ არ შეუღწევია. მაგალითად, დანაშაულის მომზადებად განიხილება შემთხვევა, როდესაც ყაჩაღობის მიზნით ბანკში შესულ პირს ჯერ კიდევ იარაღი არ ამოუღია და ნიღაბი არ ჩამოუფარებია სახეზე. ასევე, ქურდობის მომზადებად ითვლება შემთხვევა, როდესაც პირი ძვირფასეულობის ფარულად დაუფლების მიზნით, როგორც დაპატიჟებული სტუმარი, ისე შედის სხვის სახლში.

გ) დაბოლოს, მესამე ჯგუფში მოიაზრება დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად მოსახერხებელი ვითარების შექმნა (სიძნელეების თავიდან აცილება). მაგალითად, როდესაც ჯიბის ქურდი ხალხით სავსე მეტროს ვაგონში შედის. ასევე ვითარება მოსამზადებელ ეტაპზე რჩება, ვიდრე შემდგომი მოქმედება სხვის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული.[240] მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მომზადებად შეაფასა ქმედება, როდესაც დამნაშავე სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, არასრულწლოვანს მოსახერხებელ ადგილას შეხვდა, რათა მისგან სქესობრივი კავშირის დამყარების თანხმობა მიეღო. საკითხის ასე გადაწყვეტას გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მართებულად მიიჩნევენ, რადგან თვლიან, რომ ასეთ შემთხვევაში

---

235 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1380.
236 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 523
237 იხ. *Fad* (2005), გვ. 28.
238 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1380.
239 იხ.: *Roxin*, AT (2003), გვ. 387-388; *BGHSt* 20, გვ. 150.
240 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 389-390.

დაზარალებულის დაცვის სფერო ჯერ კიდევ ხელშეუხებელია და ქმედება შესაძლებელია, შემდგომ აღარც კი განვითარდეს.[241]

იგივე აზრზე დგანან სხვა გერმანელი მეცნიერები. ისინი მიუთითებენ, რომ, თუ კი მომზადება გაიგება, როგორც ქცევა, რომელიც საკუთრივ დანაშაულის განხორციელებას და, შესაბამისად, მცდელობას დროში და სივრცეში წინ უსწრებს, მაშინ იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს დანაშაულის დასჯად სტადიას. მაგალითად, დამნაშავის მიერ პილპილის ყიდვა, რათა მან ყაჩაღობის ჩადენის მიზნით დაზარალებულს სახეში შეაყაროს იგი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ძალის გამოყენებას.[242] ასეთი ქმედებები დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ **ხელსაყრელ წინაპირობებს** ქმნის, განსხვავებით დანაშაულის მცდელობისგან, როდესაც სამართლებრივ სიკეთეს უშუალო საფრთხე ექმნება.[243] ამდენად, ზემოთ ჩამოთვლილი მოსამზადებელი მოქმედებები სამართლებრივ სიკეთეს, გამონაკლის შემთხვევებში, **აბსტრაქტულ საფრთხეს** უქმნის და ამიტომ ეს ფაზა, შესაძლებელია, მხოლოდ **პოლიციის პრევენციული** ღონისძიების გატარებისათვის იყოს განკუთვნილი.[244]

იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი ქმედებები მცდელობის სტადიას მიაღწევენ, მაშინ დასჯადობის საკითხი გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის ფარგლებში გადაწყდება. ამით აშკარავდება იმ ამოცანის სირთულეც, რომელიც ემსახურება მომზადებასა და მცდელობას შორის ზუსტი ზღვრის გავლებას.[245]

მოსამზადებელი მოქმედებები უმეტესად **დაფარულ** ხასიათს ატარებს და, როგორც წესი, მართლწესრიგს ან საერთოდ არ ხელყოფს, ან უმნიშვნელოდ აზიანებს და, ამიტომაც,[246] გარეგნულად გამოხატული მოსამზადებელი ქმედებები უმეტესად შეესაბამება სოციალურ წესრიგს (როგორც ეს პილპილის ყიდვის მაგალითში იყო).[247]

მოსამზადებელ მოქმედებას აკლია ის ენერგია, რომლითაც „საყოველთაო მარლთშეგნებას~ სერიოზულად დააკნინებს.[248] მაშასადამე, დანაშაულის მომზადების დროს ჯერ კიდევ არ ხორციელდება ისეთი უმართლობა, რომელიც დასჯას იმსახურებს. სისხლისსამართლებრივი უმართლობა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც ქმედება სამართლებრივ სიკეთეს დააზიანებს, ან საფრთხეს შეუქმნის. ეს ჯერ კიდევ რომის სისხლის სამართალში იყო აღიარებული. ამდენად, ადრეულ პერიოდში მთელი მოსამზადებელი ქმედებები მცდელობის დასჯადობის ეტაპზე იყო გადატანილი და უბრალო ნება საკმარისი არ იყო (მათ შორის, ნაციონალ-სოციალისტურ სისხლის სამართალში) დანაშაულის ჩასადენად.[249] მაგრამ, თუკი დანაშაულის მომზადებაში ისეთი ქმედებები

---

241 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 385-386.
242 იხ. *Stratehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 193.
243 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 5.
244 იხ. *Zaczyk* (2010), გვ. 901.
245 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1380.
246 იხ. *Roxin*, JuS, №1 (1979), გვ. 1.
247 იხ. *Stratehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 193.
248 იხ. *Leipziger Kommentar* (1985), გვ. 7.
249 იხ. *Fad* (2005), გვ. 42-43.

მოხვდება, რომელთაც **უმართლობის მაღალ ხარისხს** მიაღწიეს და რეალური საფრთხე შეუქმნეს საზოგადოებრივ მართლწესრიგს, მაშინ მათი დასჯადობის საკითხი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ფარგლებში წყდება.[250] გარდა ამისა, სისხლის სამართლის ***„Ultima-ratio"*** ფუნქცია მოითხოვს, რომ სისხლის სამართალმა დანაშაულის წინა ეტაპზე უფრო თავშეკავებულად იმოქმედოს.[251]

მაშასადამე, მეცნიერების შეხედულებით მომზადების ეტაპს არ სცილდება ისეთი ქმედებები, რომლებიც დანაშაულის განხორციელებას მხოლოდ შესაძლებელს ხდის ან მხოლოდ აადვილებს მას.[252]

1. 2. დანაშაულის მომზადების დასჯადობის საგამონაკლისო შემთხვევები

გერმანულ სისხლის სამართლში, როგორც უკვე ითქვა, დანაშაულის მოსამზადებელი ქმედებები ძირითადად სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია,[253] თუმცა კანონმდებელმა მომზადების დაუსჯელობის პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის პოლიტიკაზე დაყრდნობით დაარღვია და, გამონაკლის შემთხვევებში, მოსამზადებელი ქმედებებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააწესა.[254]

ცნობილია განსაკუთრებით საშიში მოსამზადებელი ქმედებების დასჯადობის **სამი** განსხვავებული შესაძლებლობა:

1) საკუთრივ დანაშაულის შემადგენლობების გაფართოება,[255] რომელიც გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის მომზადების დასჯადობა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში დანაშაულის შემადგენლობის შექმნის საფუძველზე ფართოვდება,[256] 2) მოსამზადებელი ქმედებების **დამოუკიდებელი ტიპი - *delictum sui generis***, და 3) დანაშაულის მომზადების დასჯადობა თანამონაწილეობის განსაზღვრების გაფართოების გზით.[257]

1. 2. 1. დანაშაულის მომზადების დასჯადობა დანაშაულის შემადგენლობის გაფართოების გზით

გერმანელი კანონმდებელი მოსამზადებელი სტადიის დანაშაულის შემადგენლობაზე **დამოკიდებულ გაფართოებას** მიმართავს ადრეულ ეტაპზე სამართლებრივი სიკეთის ეფექტური დაცვის მიზნით,[258] სხვა შემთხვევაში, ასეთი ქმედების წინააღმდეგ სასჯელით ბრძოლა უშედეგო იქნებოდა,[259] თუმცა

250 იხ. *Dölling, Duttge, Rössner* (2008), გვ. 265.
251 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1381.
252 იხ. *Angerer* (2004), გვ. 22.
253 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 5-6.
254 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1381.
255 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 6.
256 იხ. *Dölling, Duttge, Rössner* (2008), გვ. 265.
257 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 6.
258 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1381.
259 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 523.

აუცილებელია, რომ თავად ქცევა, სულ მცირე, უხეშ ფორმებში მაინც უნდა გამოიხატოს და იგი სოციალურად შეუმჩნეველ სახეს არ უნდა ატარებდეს.[260]

ამ ჯგუფის დელიქტებს აკუთვნებენ ისეთ შემადგენლობებს, როგორიც არის მაგალითად, **სახელმწიფოს გადატრიალების მომზადება** (სსკ-ის 83-ე პარაგრაფი), **ჯაშუშობა** (სსკ-ის 98-ე პარაგრაფი), **თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომზადება** (სსკ-ის 234-ე პარაგრაფის „ა" პუნქტის მე-3 ნაწილი), **საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე თავდასხმა** (სსკ-ის 316-ე პარაგრაფის „ც" პუნქტის მე-4 ნაწილი) და **ჯაშუშობა საბოტაჟის მიზნით** (სსკ-ის 87-ე პარაგრაფი).[261]

მეტი თვალსაჩინოებისათვის, მიზანშეწონილია, მომზადების დასჯადობის ამ ჯგუფში შემავალი ზოგიერთი შემადგენლობის მოკლე ანალიზი. მაგალითად, როდესაც საუბარია, სახელმწიფოს გადატრიალების მომზადების დასჯადობაზე (სსკ-ის 83-ე პარაგრაფი), მხედველობაშია მისაღები ამ ქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მას სხვა შემადგენლობებისაგან გამოარჩევს, ან პირიქით, აახლოვებს მას დანაშაულის ზოგიერთ შემადგენლობასთან.

სახელმწიფოს გადატრიალების მომზადების შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის სსკ-ის 83-ე პარაგრაფში, გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას იმისათვის, ვინც **მოამზადებს** ფედერალური ან მიწის ხელისუფლების გადატრიალებას.[262] საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გერმანიის სსკ-ის 83-ე პარაგრაფი ნარმოადგენს გერმანიის სსკ-ის 81-ე და 82-ე პარაგრაფების ლოგიკურ გაგრძელებას. გერმანიის სსკ-ის 81-ე პარაგრაფით გათავალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფედერალური ხელისუფლების გადატრიალებისათვის, ხოლო სსკ-ის 82-ე პარაგრაფით — მიწის ხელისუფლების გადატრიალებისათვის. მოცემულ პარაგრაფებში საუბარია უკვე ე. წ. დამთავრებული დანაშაულის დასჯადობაზე, ხოლო გერმანიის სსკ-ის 83-ე პარაგრაფი არის 81-ე და 82-ე პარაგრაფებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობებზე დამოკიდებული დასჯადობის გაფართოებული ვარიანტი. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა დაცვის ობიექტის ღირებულების გათვალისწინებით, მოახდინა უფრო ადრეულ ეტაპზე განსაზღვრული ქმედებების კრიმინალიზაცია.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე პარაგრაფით გათავალისწინებული მოსამზადებელი ქმედებების დასჯადობისათვის აუცილებელი არ არის **კონკრეტული საფრთხის** შექმნა, არამედ, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მომზადებამ საფრთხის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს.[263] აქ გადამწყვეტ კრიტერიუმად შეიძლება მიჩნეული იქნეს ქმედების მნიშვნელობა (ხასიათი). მაგალითად, მომზადების დასჯადობისათვის საკმარისი არ არის საბეჭდი მანქანის ყიდვა ხელისუფლების გადატრიალების შინაარსის შემცველი განცხადებების დაბეჭდვის მიზნით. მომზადების დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია დროით და ფაქტობრივ გარემოებებზე. ამასთან, სსკ-ის 83-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის დასჯადობისათვის

260 იხ. *Jakobs*, AT (1991), გვ. 708.
261 იხ. *Zaczyk* (2010), გვ. 901.
262 იხ. *Fischer* (2012), გვ. 764.
263 იხ. *Fischer* (2012), გვ. 764.

არ არის აუცილებელი, რომ ქმედება *ობიექტურად ვარგისი იყოს, საკმარისია უვარგისი ქმედებაც.*[264]

მოცემულ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია, მაგალითად, მდივანი ხელისუფლების გადატრიალების შინაარსის შემცველ განცხადებებს ბეჭდავს. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე პარაგრაფი იდეალურ ერთობლიობაშია სსკ-ის 129-ე პარაგრაფთან და 129-ე პარაგრაფის „ა" პუნქტთან, რომლებიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას კრიმინალური და ტერორისტული გაერთიანებების შექმნისათვის. აღნიშნულ შემადგენლობაში დანაშაულის მცდელობა ფორმალურად შესაძლებელი იქნებოდა, ქმედება უფრო მეტად რომ გრძელდებოდეს,[265] ანუ სხვანაირად რომ ითქვას, დოგმატურად მომზადების მცდელობა დასაშვებია, მაგრამ იგი გამოიხატება მხოლოდ უვარგის მომზადებაში.[266]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე პარაგრაფთან ახლოს დგას სსკ-ის 98-ე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჯაშუშობისათვის. გერმანიის სსკ-ის 98-ე პარაგრაფს წინ უსწრებს სსკ-ის 96-ე პარაგრაფი, რომელიც აწესებს სასჯელს ჯაშუშობით ხელისუფლების შეცვლისათვის, ე. ი. აქაც თითქმის იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ არის მცირეოდენი განსხვავება, კერძოდ, თუკი გერმანიის სსკ-ის 83-ე პარაგრაფი მიუთითებს ხელისუფლების გადატრიალების მომზადებაზე, გერმანიის სსკ-ის 98-ე პარაგრაფში დანაშაულის მომზადებაზე პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ შინაარსობრივად მასში მოიაზრება ის მოსამზადებელი ქმედება, რომელიც წინ უსწრებს 96-ე პარაგრაფში აღწერილ ჯაშუშობით ხელისუფლების შეცვლის შემადგენლობას.

გერმანიის სსკ-ის 98-ე პარაგრაფით დანაშაულის მცდელობა არ არის დასჯადი. მაშასადამე, დაუსჯელი რჩება ქმედება, როდესაც პირი რაღაც ინფორმაციას შეცდომით მიიჩნევს სახელმწიფოს საიდუმლოების შემცველ ფაქტად. ამდენად, სსკ-ის 98-ე პარაგრაფში აღწერილი ქმედებები, მართალია, მატერიალურად მოსამზადებელ ქმედებებს წარმოადგენს, მაგრამ **ფორმალურად** უკვე დამთავრებულ დელიქტებს მიეკუთვნება, ასე რომ, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ამ დროს მხედველობაში არ მიიღება.[267]

ამავე ჯგუფში შემავალი გერმანიის სსკ-ის 234-ე „ა" პარაგრაფის მე-3 აბზაცი, სადაც საუბარია თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომზადებაზე, წარმოადგენს **დამოუკიდებელ** დელიქტს. ამიტომ აქ მცდელობა, როგორც ასეთი დაუსჯელი რჩება.[268] თუკი გერმანიის სსკ-ის 234-ე „ა" პარაგრაფის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული დანაშაული რამდენიმე პირმა მოამზადა, მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება არა გერმანიის სსკ-ის 234-ე „ა" პარაგრაფის მე-3 აბზაცის მიხედვით, არამედ სსკ-ის

264 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 1213.
265 იქვე.
266 იხ. *Lackner, Kühl* (2011), გვ. 587.
267 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 1274.
268 იხ. *Fischer* (2012), გვ. 1563.

30-ე პარაგრაფის ფარგლებში,[269] რომელიც არეგულირებს მომზადების დასჯადობის მესამე ჯგუფში შემავალ საკითხებს.

გერმანიის სსკ-ის 234-ე „ა" პარაგრაფის მე-3 აბზაცის ანალგიურად წყდება საკითხი გერმანიის სსკ-ის 316-ე „ც" პარაგრაფის მე-4 აბზაცით გათვალისწინებული დანაშაულის დასჯადობის დროს. ამ უკანასკნელ ნორმაში საუბარი ეხება საჰაერო და საზღვაო საშუალებაზე თავდასხმის მომზადებას.

გერმანიის სსკ-ის 83-ე და 98-ე პარაგრაფებისაგან განსხვავებით, ბოლო ორი შემადგენლობა (სსკ-ის 234-ე პარაგრაფის „ა" მე-3 აბზაცი და გერმანიის სსკ-ის 316-ე „ც" პარაგრაფის მე-4 აბზაცი) ერთ პარაგრაფშია მოცემული, როგორც დამთავრებული დანაშაულის, ასევე დანაშაულის მომზადების შემადგენლობების სახით. ძნელი დასადგენია, თუ რატომ იყენებს კანონმდებელი განსხვავებულ საკანონმდებლო ტექნიკას მოცემული შემთხვევებისთვის. ამის შესახებ ლიტერატურაში გამოკვეთილად არაფერია ნათქვამი.

კინდჰოიზერისაგან განსხვავებით, მაურახს და გიოსელს გერმანიის სსკ-ის 87-ე პარაგრაფი მომზადების დასჯადობის მეორე ჯგუფში შეაქვს.[270] სხვა მეცნიერებისგან განსხვავებით,[271] იეშეკს ამ ჯგუფში შეაქვს სახელმწიფოს საიდუმლოების გაცემა (სსკ-ის 96-ე პარაგრაფი)[272], ხოლო ჰილენკამპს — საიდუმლო ჯაშუშური საქმიანობა (სსკ-ის 99-ე პარაგრაფი).[273]

1. 2. 2. დანაშაულის მომზადების დასჯადობა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობების შექმნის ხარჯზე

შემთხვევათა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი დელიქტები, რომლისთვისაც კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააწესა მათი გამოვლინების (იგულისმხება მათი სწრაფი გამოვლენა) და განსაკუთრებული საშიშროების გამო. ასეთებია, მაგალითად, **აგრესიული ომის მომზადება** (სსკ-ის 80-ე პარაგრაფი), **ფულის გაყალბების მომზადება** (სსკ-ის 149-ე პარაგრაფი) და **აბორტის საშუალებების გაყიდვაში გაშვება** (სსკ-ის 219-ე „ბ" პარაგრაფი),[274] ასევე, **აფეთქების მომზადება** (სსკ-ის 310-ე პარაგრაფი), **კომპიუტერული თაღლითობის მომზადება** (სსკ-ის 263-ე „ა" პარაგრაფის მე-3 აბზაცი). ოფიციალური დოკუმენტის (პირადობის დამადასტურებელი მონმობა) გაყალბების მომზადება (სსკ-ის 275-ე პარაგრაფი). გარდა ამისა, ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი შემადგენლობა, როგორიცაა დაზღვევის ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 265-ე პარაგრაფი), რამდენადაც იგი თაღლითობის მომზადებას ემსახურება.[275]

ამდენად, დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც მომზადებას თავის თავ-

---

269 იხ. *BGHSt* 6, გვ. 85.

270 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 7.

271 იხ.: *Zaczyk* (2010), გვ. 901; *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1382. აღნიშნული ავტორები გერმანიის სსკ-ის 96-ე პარაგრაფს შემთხვევათა მე-2 ჯგუფში ასახელებენ.

272 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 524.

273 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1382.

274 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 524.

275 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1382.

ში სრულად მოიცავს, ისჯება როგორც დამთავრებული დანაშაული.[276]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი დამოუკიდებელი მოსამზადებელი ქმედების დასჯადობით ინყება, კერძოდ, სსკ-ის 80-ე პარაგრაფით, რომელიც ეხება აგრესიული ომის მომზადებას. მასში ნათქვამია, რომ ის ვინც აგრესიულ ომს მოამზადებს და ამით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საფრთხეს შეუქმნის, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ათი წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

აგრესიული ომის მომზადების დროს, დანაშაულებრივი შედეგი გამოიხატება ომის კონკრეტული საფრთხის გამონვევაში.[277] მაგრამ, თუკი ქმედებამ ასეთი საფრთხე არ შექმნა, მაშინ სახეზე იქნება აგრესიული ომის მომზადების მცდელობა.[278] ამრიგად, მოცემულ დანაშაულში მცდელობა ისჯება, ვინაიდან სსკ-ის 80-ე პარაგრაფი დანაშაულის მომზადების ინკრიმინირებას კი არ ახდენს, არამედ თავადვეა დასჯადი საქმიანობა.

ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი სსკ-ის 80-ე პარაგრაფში მცდელობის შესაძლებლობას არ იზიარებს და მოცემულ დანაშაულში მცდელობის დასჯადობა შეუძლებლად მიაჩნია. ავტორთა აზრით, დანაშაულის მომზადების მცდელობა ისევე შეუძლებელია, როგორც მცდელობის მცდელობა. თუმცა, ზოგიერთ მეცნიერს დასაშვებად მიაჩნია გერმანიის სსკ-ის 80-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობის დასჯადობა.[279]

აგრესიული ომის მომზადების დროს მცდელობის შესაძლებლობის შესახებ განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, აშკარაა, რომ მოცემული შემადგენლობა დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს და, მომზადების დასჯადობის პირველ ჯგუფში შემავალი შემადგენლობებისაგან განსხვავებით, იგი არ წარმოადგენს რომელიმე სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგელობის დასჯადობის გაფართოებულ ვარიანტს. ზემოთ მოტანილი მსჯელობის გარდა, ამას ადასტურებს ის მკაცრი სანქციაც, რომელიც კანონმდებელმა აგრესიული ომის მომზადებისათვის გაითვალისწინა.

ფულის გაყალბების მომზადება, როგორც დამოუკიდებელი შემადგენლობა, გათვალისწინებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 149-ე პარაგრაფში.[280] აღნიშნული დანაშაული გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავე ფულის გასაყალბებლად სხვადასხვა საშუალებებს მოამზადებს, მაგალითად, შეიძენს შესაბამის ხელსაწყოს,[281] ხოლო ყალბი ფულის დამზადება მიმოქცევაში გაშვების (გამოყენების) მიზნით, უკვე გათვალისწინებულია სსკ-ის 146-ე პარაგრაფში. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 149-ე პარაგრაფი, ერთი შეხედვით, 146-ე პარაგრაფის წინა სტადიაა და, თითქოს, ამ შემადგენლობაზეა დამოკიდებული, მაგრამ დაკვირვება აჩვენებს, რომ სსკ-ის 149-ე პარაგრაფი

276 იხ. *Straiehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 193.
277 იხ. *Münchener Kommentar* (2005), გვ. 12.
278 იხ. *Schönke. Schröder* (2010), გვ. 1208.
279 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 21, 30.
280 იხ. *Schönke. Schröder* (2010), გვ. 1514.
281 იხ. *Schönke. Schröder* (2010), გვ. 1506.

დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას ნარმოადგენს, თუმცა იგი ძალიან ემსგავსება მომზადების დასჯადობის პირველ ჯგუფში შემავალ დანაშაულის შემადგენლობებს.

ვინაიდან გერმანიის სსკ-ის 149-ე პარაგრაფში მოსამზადებელ ქმედებებთან მიმართებაში კრიმინალ-პოლიტიკური მოთხოვნაა, რომ დამნაშავეს ნებაყოფლობით ხელის აღებით პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა უნდა მიეცეს, ამიტომ ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია სსკ-ის 149-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცში.[282]

თუმცა, კანონმდებელი დამნაშავეს ასეთ შესაძლებლობას სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულ ყველა მატერიალურ მოსამზადებელ ქმედებასთან მიმართებაში არ ანიჭებს. სწორედ ამიტომ, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ამასთან დაკავშირებით გარკვეული კრიტიკაა გამოთქმული, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი შემადგენლობების შემოღებისას და მათთვის დასჯადობის დანესებისას კანონმდებელმა მხედველობაში არ მიიღო მათი უმართლობის დაბალი ხარისხი და დამნაშავეს არ დაუტოვა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შანსი, მაგალითად, დამნაშავე, რომელმაც დაამზადა ყალბი ატესტატები, მაგრამ მაშინვე გაანადგურა, იგი მაინც აგებს პასუხს ყალბი დოკუმენტების დამზადებისათვის (სსკ-ის 267-ე მუხლის 1-ლი აბზაცი), რადგან ეს დანაშაული ფორმალურად უკვე დამზადების მომენტიდან დამთავრებულად ითვლება.[283]

1. 2. 3. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დასჯადი მოსამზადებელი ქმედებები

1. 2. 3. 1. ნორმის შინაარსი და მისი შემოღების აუცილებელი მიზეზი

ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ განხორციელებული ქმედება თუ მცდელობის სტადიამდე ვერ მიაღწევს, არამედ მხოლოდ მოსამზადებელ სტადიაზე დარჩება, იგი არ დაისჯება,[284] მაგრამ, თუ მოსამზადებელ სტადიაზე *მინიმუმ ორი პირი* მონაწილეობს, მაშინ მათი პასუხისმგებლობის საკითხი გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფის ფარგლებში გადაწყდება. სწორედ, მომზადების დასჯადობის მესამე ჯგუფს სსკ-ის 30-ე პარაგრაფი არეგულირებს, რომელიც ცნობილია თანამონაწილეობის მცდელობის სახელით. მას ასევე ე. წ. დამოუკიდებელ თანამონაწილეობასაც უწოდებენ.[285]

აღნიშნული პარაგრაფი შედგება ორი აბზაცისაგან. სსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის თანახმად, ის, ვინც შეეცდება სხვა პირის დაყოლიებას ან სხვას წააქეზებს დანაშაულის ჩადენაში, დაისჯება შესაბამისი დანაშაულის მცდელობისათვის, თუმცა სასჯელი გერმანიის სსკ-ის 49-ე პარაგრაფის 1-ლი

282 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 1515.
283 იხ. *Frister*, AT (2011), გვ. 318.
284 იხ. *Angerer* (2004), გვ. 31.
285 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1382.

აბზაცის ფარგლებში შემსუბუქდება. სსკ-ის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი პასუხისმგებლობას ავრცელებს იმ პირებზე, ვინც დანაშაულის ჩასადენად გაბოთქვამს მზადყოფნას, ასევე ვინც მიიღებს სხვის შემოთავაზებას დანაშაულის ჩადენის მიზნით, ანდა ვინც ამავე მიზნით სხვასთან შეთახმდება ან მას ხააქეზებს.

გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფში მოცემული ნაქეზების და დახმარების მცდელობა მკვეთრად განსხვავდება დანაშაულის მცდელობაში ნაქეზებისა და დახმარებისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ სსკ-ის 30-ე პარაგრაფის შემთხვევაში ადგილი არა აქვს ძირითად ქმედებას.[286]

გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფი დასათაურებულია „თანამონაწილეობის მცდელობა". ამ პარაგრაფის სათაურზე დაკვირვება მიუთითებს, რომ იგი არ არის ზუსტი, ანუ სსკ-ის 30-ე პარაგრაფის სათაურში მოცემული სიტყვები მხოლოდ სსკ-ის 30-ე პარაგრაფის პირველ აბზაცს მოიცავს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს წმინდა ტექნიკური საკითხია, რადგან ცნობილია, რომ სსკ-ის 30-ე პარაგრაფის შემთხვევაში ძირითადი ქმედება საერთოდ არ უნდა იყოს სახეზე.[287]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში 30-ე პარაგრაფის შემოღება ისტორიული მიზეზით არის განპირობებული. 1872-1880 წლებში **ბისმარკსა და კათოლიკურ** ეკლესიას შორის დაიწყო ე. წ. „კულტურული დაპირისპირება", რაც იმაში მდგომარეობდა, რომ რეფორმები, რომელსაც ბისმარკი ახორციელებდა, ეკლესიისთვის მიუღებელი იყო, ამიტომ ეს უკანასკნელი აშკარად უპირისპირდებოდა ბისმარკის პოლიტიკას.[288] სწორედ ამ პერიოდში ბელგიელმა მექვაბემ, სახელად **დუშესნემ** სამი წერილი გაუგზავნა არქიეპისკოპოს **დე აფრეს** და შესთავაზა ბისმარკის მკვლელობა 60 000 ფრანკის სანაცვლოდ. ეპისკოპოსმა კატეგორიული უარი განაცხადა ამ შეთავაზებაზე და გამოააშკარავა დუშესნეს ზრახვები. ამის შემდეგ, გერმანიის რაიხის მთავრობამ მოსთხოვა ბელგიას სისხლის სამართლის კოდექსის შევსება, რაც მომავალში შესაძლებელს გახდიდა ასეთი შეთავაზებების დასჯადობას. ამის შესახებ თავად რაიხსტაგში გაიმართა მნვავე დებატები, რომელიც 1876 წლის 26 თებერვალს ახალი კანონის მიღებით დასრულდა (სსკ-ის 49-ე „ა" პარაგრაფი).[289]

გერმანიის სისხლის სამართლის 30-ე პარაგრაფში დასჯადობის საფუძველი ის არის, რომ დანაშაულის მოსამზადებელი ქმედებები, რომელიც გამოიხატება თანამონაწილეთა კონსპირაციულ შეთანხმებაში, დანაშაულის მცდელობამდე უკვე სერიოზულ საშიშროებას შეიცავენ.[290]

სსკ-ის 30-ე პარაგრაფი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ნორმას, არამედ რეგულირების წინა ეტაპზე გადატანილი გაფართოებული დასჯადობის ნორმაა, რომელიც რესტრიქციული განმარტებით პირველ აბზაცში უვარგის მცდელობასაც მოიცავს, თუმცა მას გააჩნია შეზღუდვითი ხასიათიც, რადგან

---

286 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 647.
287 იხ. *Fischer* (2012), გვ. 269.
288 იხ. *Köhler*, AT (1997), გვ. 546.
289 იხ. *Letzgus* (1972), გვ. 87-88.
290 იხ. *Fischer* (2012), გვ. 269.

ამ პარაგრაფით გათვალისწინებული დასჯადობა გადაცდომაზე არ ვრცელდება.[291]

1. *2. 3. 2. ნორმის ბუნება და მისი რეგულირების ფარგლები*

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფის სამართლებრივი ბუნება ძალზედ სადავოა. ნაწილობრივ დამტკიცებულია, რომ სსკ-ის 30-ე პარაგრაფი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს არ მიეკუთვნება, არამედ იგი კერძო ნაწილის ნორმის განსაკუთრებული სახეა.[292]

უპირველეს ყოვლისა, ძალზედ საინტერესოა ის, თუ რა მოიაზრება სსკ-ის 30-ე პარაგრაფში. ამასთან დაკავშირებით, არსებობს სამი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, სსკ-ის 30-ე პარაგრაფი სხვადასხვანაირად არის გაგებული.

პირველი შეხედულების თანახმად, სსკ-ის 30-ე პარაგრაფში ადგილი აქვს მცდელობის განსაზღვრებას, **მეორე შეხედულება** მიიჩნევს, რომ მოცემული პარაგრაფი შეეხება თანამონაწილეობის განსაკუთრებულ რეგულირებას, ხოლო, **მესამე შეხედულების** მტკიცებით, აქ ადგილი აქვს მოსამზადებელი ქმედებების დამოუკიდებელ დასჯადობას.

პირველი შეხედულება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფში, სადაც საუბარია მცდელობაზე, ნათქვამია, რომ მცდელობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქმედების შემადგენლობის უშუალო განხორციელება დაიწყება, ე. ი. თუ ქმედება დაიწყო, მაშინ სსკ-ის 30-ე პარაგრაფზე მითითება საჭირო აღარ არის.

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფი წარმოადგენს *თანამონაწილეობის განსაკუთრებულ რეგულირებას*, მაგრამ ამ აზრის საწინააღმდეგოდ მეტყველებს „დანაშაულში შეთანხმების" მომენტი, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცში და მასზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის თანამონაწილეობა, რადგან აქ არ არის „ძირითადი ქმედება" და შესაბამისად, ისეთი ნიშანი აკლია, როგორიც არის „აქცესორობა".[293] თუმცა ზოგიერთი გერმანელი კრიმინალისტი ცდილობს ამ შეხედულების გადარჩენას ე. წ. „ჰიპოთეტური აქცესორობის" კონსტრუქციაზე დაყრდნობით.[294]

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უპირატესობა მაინც „მომზადების თეორიის" მხარეზეა.[295]

ამის მიუხედავად, შეხედულება, რომლის მიხედვითაც, გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფში ადგილი აქვს საკუთრივ დანაშაულის მოსამზადებელ საქმიანობას, გერმანელ მეცნიერებს საზოგადოდ არ სურთ აღიარონ, რადგან მიაჩნიათ, რომ დანაშაულის მომზადების დამოუკიდებელი დასჯადობის აღიარებით ადგილი ექნება ადამიანის პიროვნულ სფეროში უხეშ ჩარევას, რომელიც, თავის მხრივ, ეჭქვეშ დააყენებს ამ ნორმის კონსტი-

291 იხ. *Fischer* (2012), გვ. 269-270.
292 იხ. *Baumann, Weber, Mitsch* (2003), გვ. 762.
293 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 2114.
294 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 365.
295 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 2115.

ტუციასთან შესაბამისობის საკითხს. სწორედ ამიტომ გერმანელი მეცნიერები გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის მე-3 აბზაცის დარღვევის თავიდან აცილების აუცილებლობაზე ხაზგასმით მიუთითებენ.[296]

ქმედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფის პირველი აბზაცით მხოლოდ მაშინ ფასდება, როდესაც ნამქეზებლის ქმედებას მცდელობის სტადიისათვის ჯერ არ მიუღწევია.

სსკ-ის 30-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში შესაძლებელია პირობითად გამოიყოს წაქეზების მცდელობის შემთხვევათა შვიდი განსხვავებული ჯგუფი, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, მაგრამ კარგია ორიენტაციის თვალსაზრისით.[297]

ა) წარუმატებელი წაქეზება გულისხმობს, იმას რომ აქ დანაშაულებრივი გადაწყვეტილება არ არის სახეზე, რადგან ადრესატი უარს ამბობს ნამქეზებლის მოთხოვნაზე.

ბ) უშედეგო წაქეზება ნიშნავს იმას, რომ წაქეზება აღძრავს დამნაშავეში დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას, მაგრამ იგი მცდელობის სტადიამდე ვერ აღწევს, რადგან ქმედების დაწყებამდე დამნაშავე უარს ამბობს დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებაზე.

გ) უვარგისი წაქეზება სახეზეა მაშინ, როდესაც ამსრულებელს დანაშაულში ნაქეზებამდე გადაწყვეტილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენა (*ომნი მოდო ფაცტურუს*). ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს დანაშაულის ჩადენა ნებისმიერ დროს აქვს გადაწყვეტილი.

დ) არაეფექტური წაქეზება გულისხმობს იმას, რომ დამნაშავე თითქმის ახლოს არის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებასთან, მაგრამ მოგვიანებით ამ დანაშაულს ჩადის, ადრე მიღებული გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებელი, ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ე) არასრულყოფილი წაქეზება სახეზეა მაშინ, როდესაც წაქეზების ადრესატი ვერ გებულობს ნამქეზებლის მოთხოვნას და განზრახვის გარეშე ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას.

ვ) თვისობრივი ექსცესი ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე, მართალია, მოტივირებულია იმ დანაშაულის ჩასადენად, რომლისკენაც წააქეზა ნამქეზებელმა, მაგრამ განზრახ ჩადის სხვა დანაშაულს.

ზ) ნაწილობრივ დამთავრებული წაქეზება ნიშნავს იმას, რომ წაქეზებული ჩადის სხვა მსუბუქ დანაშაულს, ვიდრე ეს წაქეზებულს ჰქონდა განზრახული. მაგალითად, ამსრულებელი ფიცს დებს არა ნამქეზებლის მიერ განზრახული ცრუ ჩვენების მისაცემად (სსკ-ის 154-ე პარაგრაფი), არამედ ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე პარაგრაფს, რომელიც ითვალისწინებს ცრუ ჩვენების მიცემას ფიცის დადების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 154-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის წაქეზების მცდელობა.[298]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციის 49-ე პარა-

296 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 2116-2120.

297 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 289.

298 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 2120-2121.

გრაფის 1-ლი აბზაცის „ა" პუნქტის ფარგლებში განვითარებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ნაქეზების მცდელობის დასჯადობისათვის აუცილებელი იყო, რომ მას *„სერიოზული"* სახე ჰქონოდა, ანუ დამნაშავეს ნამდვილად უნდა ნდომებოდა დანაშაულის ჩადენა.[299] თუმცა, უკვე მოგვიანებით სასამართლო პრაქტიკამ ჩათვალა, რომ მთავარი ის კი არ არის დამნაშავეს ნამდვილად სურს თუ არა დანაშაულის ჩადენა, არამედ ნაქეზების მცდელობის დასჯადობისათვის საკმარისია ნამქეზებლის არაპირდაპირი განზრახვა, ე. ი. როდესაც ნამქეზებელი თვლის, რომ ადრესატი მის შეთავაზებას ასრულებს და აქედან გამომდინარე, მის „სერიოზულ" ხასიათზე მსჯელობა საჭირო აღარ არის.[300]

აუცილებელია, ეს შემთხვევა გაიმიჯნოს ***დანაშაულის პროვოკაციისაგან***. დანაშაულის პროვოკაციის დროს პიროვნებას კონკრეტული მიზანი ამოძრავებს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ქმედების შეფასებისას. ამიტომ მეცნიერები სწორად მიუთითებენ იმაზე, რომ პიროვნებაში დანაშაულებრივი გადაწყვეტილების აღძვრა რჩება დაუსჯელი მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი გადაწყვეტილების აღმძრავი აგენტ-პროვოკატორია.[301]

ნაქეზების მცდელობის დასჯადობისას მოქმედებს საერთო წესი, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ დანაშაულის ნაქეზების მცდელობა ისჯება. თუმცა, ამ წესიდან გადაცდომისათვის არსებობს გამონაკლისი ცრუ ჩვენების მიცემის დროს, კერძოდ, სსკ-ის 159-ე პარაგრაფი ანესრიგებს გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის გამოყენების თავისებურებებს. იგი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ცრუ ჩვენების მიცემის ნაქეზების მცდელობის შემთხვევაში მოქმედებს სსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი.[302]

გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფის პირველ აბზაცში საუბარია დანაშაულის **ნაქეზების** და არა გადაცდომის ნაქეზებაზე და **„ჯაჭვური ნაქეზების"** მცდელობის შესახებ. მის ფარგლებში ქმედების დანაშაულებრიობისათვის გადამწყვეტია არა ფაქტობრივი გარემოებების ნამდვილობა, არამედ ნამქეზებლის წარმოდგენა,[303] რომელიც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობასთან და მართლსანინააღმდეგო ხასიათთან ერთად ქმედების ბრალეულობასაც უნდა მოიცავდეს. მაგალითად, თუ ნამქეზებელმა იცის, რომ უშედეგოდ ნაქეზებული შეურაცხადია, მაშინ ადგილი ექნება შუალობითი ამსრულებლის მიერ დანაშაულის მცდელობას, მაგრამ, თუ არ იცის ამის შესახებ, მაშინ, სახეზე იქნება სსკ-ის 30-ე პარაგრაფი.[304]

გარდა ამისა, სსკ-ის 30-ე პარაგრაფი მოიცავს ისეთ შემთხვევას, როდესაც თანაამსრულებელი ცდილობს მეორე თანაამსრულებლის დაყოლიებას დანაშაულის ჩადენაში.[305] რაც შეეხება დახმარებას, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, „დანაშაულის ნაქეზების მცდელობისას დახმარება

---

299 იხ. *BGHSt* 18, გვ. 160.
300 იხ. *BGHSt* 44, გვ. 99.
301 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 2124-2125.
302 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 647.
303 იხ. *Wessels, Beulke* (2012), გვ. 213-214.
304 იხ. *Fischer* (2012), გვ. 270.
305 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 546.

არ ისჯება."[306] მაგალითად, ის, ვინც წამქეზებელს რჩევას აძლევს, რათა ამ უკანასკნელმა სავარაუდო ამსრულებელის უკეთ დარწმუნება შეძლოს, რჩება დაუსჯელი. მოცემულ შემთხვევაში დამხმარის დაუსჯელობა ორ არგუმენტს ემყარება: ჯერ ერთი, ნაქეზების მცდელობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულის შემადგენლობას, რომ მისი განხორციელების დროს თანამონაწილეობა შეიძლებოდეს, არამედ იგი არის „თანამონაწილეობა ძირითადი აქტის გარეშე", რომელიც ისჯება იმდენად, რამდენადაც ამას ეს ნორმა ითვალისწინებს, და, მეორე, მოცემულ შემთხვევაში დასჯადობის გამოყენება მეტად შეუსაბამო იქნება, რადგან დახმარება ნაქეზების მცდელობის დროს არ იმსახურებს დასჯადობას. ასევე დაუსჯელი რჩება ისეთი შემთხვევა, როგორიც არის ***დახმარების მცდელობა***. მაგალითად, ა. ბ. გადასცა რევოლვერი, რათა ამ უკანასკნელმა დაგეგმილი მკვლელობა ჩაიდინოს, მაგრამ ბ.-ე მომზადების სტადიაზე გაჩერდა. ამის გარდა, უდავოა, რომ დახმარების მცდელობისას დაუსჯელი რჩება წამქეზებლობა და დახმარება, ვინაიდან თავად დახმარების მცდელობა არ ისჯება როგორც ასეთი.[307]

დამხმარის, რომელიც წინასწარ უთანხმდება ამსრულებელს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცით (ძველი რედაქციით სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი), ვერ გადაწყდება, რადგან შეთანხმება მხოლოდ თანაამსრულებელთა მომზადებას წარმოადგენს, ე. ი. მეორე აბზაცით მხოლოდ თანაამსრულებლები ისჯებიან, რომელთა შეთანხმება დანაშაულის ჩასადენად ჯერ კიდევ მოსამზადებელი ეტაპია. იმის გამო, რომ მოცემული პარაგრაფი (საუბარია სსკ-ის 30-ე პარაგრაფზე) მოიცავს ობიექტურად არასაშიშ ქმედებებს, საჭიროა მისი შეზღუდვითი ინტერპრეტაცია.[308]

შესაძლებელია ეს მოსაზრება სამართლიანად ჩაითვალოს, რადგან დამხმარის ქმედება მართლაც არ წარმოადგენს ისეთი საფრთხის მატარებელს, რომ აუცილებელი იყოს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელება, მითუმეტეს, ამსრულებელის დანაშაულებრივი ნება ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ როდესაც საუბარი შეეხება ფსიქიკურ დამხმარეს, მაშინვე გაჩნდება შეკითხვა დასახელებული შეხედულების მიზანშეწონილობის შესახებ.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი შეეხება თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მომზადების სტადიაზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგი გამოიხატება შემდეგ ქმედებებში: *მზადყოფნა, ან შეთავაზების მიღება დანაშაულის ჩადენის მიზნით, ანდა ამავე მიზნით სხვასთან შეთანხმება.*

დანაშაულში შეთანხმება გულისხმობს სულ მცირე ორი პირის ნების ერთიანობას, რათა ერთობლივად განახორციელონ დანაშაული. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორი ფორმით (ზეპირად, წერილობით, შუამავლის მეშვეობით) გამოვლინდება ნების ერთიანობა. შესაძლებელია იგი კონკლუდენტურ

306 *BGHSt* 14, გვ. 156.

307 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 2134-2135.

308 იხ. *Busch*, NJW (1959), გვ. 1120-1121.

ფორმაშიც გამოიხატოს. ასევე არა აქვს მნიშვნელობა, ვის მიერ არის ინიცირებული ასეთი შეთანხმება.[309]

მაშასადამე, გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, ქმედების დანაშაულებრივ შეთახმებად მიჩნევისათვის აუცილებელია სულ მცირე ორი ე. წ. პოტენციური ამსრულებელი მაინც (და არა ერთი ამსრულებელი და მეორე თანამონაწილე), სადაც ორივე მათგანი დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ აღსრულებას აპირებს. გარდა ამისა, ორივემ უნდა იცოდეს ერთმანეთის განზრახვის შესახებ, ანუ არც ერთი არ უნდა უშვებდეს ისეთ შეცდომას, რომელიც გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას. მაგრამ, თუ ერთ-ერთი უშვებს ისეთ შეცდომას, რომელიც ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს, არც ერთი მათგანი არ აგებს პასუხს. მაგალითად, ა. და ბ. შეთანხმდნენ, რომ ერთდროულად ესროლონ მათ წინ მყოფ გამოსახულებას, რომელიც ბ. შეცდომით ჰგონია საფრთხობელა. ამ შემთხვევაში ა. პასუხს არ აგებს დანაშაულში შეთანხმებისათვის, მაგრამ, თუ ა. არ იცის ბ. არაბრალეულობის შესახებ, მაშინ, ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, სახეზე იქნება დანაშაულში შეთანხმება. მაგრამ, თუ კი ქმედება განხორციელდა, ადგილი ექნება უკვე შუალობით ამსრულებლობას, მაშასადამე, ა. იქნება შუალობითი ამსრულებელი.[310]

სადავოა საკითხი იმის შესახებ, უნდა მოხდეს თუ არა დანაშაულის მსხვერპლის პიროვნების კონკრეტიზაცია დანაშაულში შეთანხმების დროს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დელიქტების დროს მსხვერპლის პიროვნების დადგენა აუცილებელია, მაგრამ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში კონკრეტული მსხვერპლის შერჩევა არ არის აუცილებელი. ასევე წყდება საკითხი მაშინაც, როდესაც, მაგალითად, ორი მამაკაცი გადაწყვეტს, ტყეში დაიმალოს, რათა შემდგომ გზაზე მომავალ ახალგაზრდა ქალს თავს დაესხას და გააუპატიუროს. ასე რომ, დასჯადობა სსკ-ის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით, დამოკიდებული არ არის შეთახმებაზე, რომელშიც დაზარალებული ინდივიდუალიზირებულია და რომელსაც დამნაშავეები არ იცნობენ, მათვის სულ ერთია ვინ იქნება დაზარალებული პიროვნება.[311] ამაზე სასამართლოს გადაწყვეტილებაც მიუთითებს, რომლის მიხედვით, დანაშაულებრივი შეთანხმება მაშინაც ისჯება, როდესაც დამნაშავეს შერჩეული მსხვერპლი არ უპოვია.[312]

უვარგისი შეთახმება დასჯადია. უვარგის შეთახმებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მსხვერპლი არ არის ცოცხალი.[313] რაც შეეხება შეთანხმების (შეთქმულების) მცდელობას, მას ხშირად აქვს ადგილი. მაგალითად, როდესაც პოტენციური თანაამსრულებელი ზრუნავს იმაზე, რომ სხვა თანაამსრულებლებთან შეთანხმებას მიაღწიოს, ასეთი შემთხვევა დაუსჯელი რჩება.[314]

---

309 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 303.
310 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 306-307.
311 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 307-308.
312 იხ. *BGH*, MDR (1960), გვ. 595.
313 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 308.
314 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 311.

რაც შეეხება **მზადყოფნას დანაშაულის ჩასადენად**, მასში იგულისხმება დანაშაულის მომზადების ორი განსხვავებული გამოვლენის ფორმა. პირველი ფორმა არის **შეთავაზების მიღება**, როდესაც ვინმე წამქეზებელს ეთანხმება დანაშაულის ჩადენაში, ხოლო მეორე გამოვლენის ფორმა — **წინადადების მიცემა**, როდესაც პოტენციური დამნაშავე სხვას მიმართავს და აცნობს თავის დანაშაულებრივ განზრახვას.[315]

დანაშაულებრივი შეთქმულების სუბიექტური შემადგენლობა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც მასში მონაწილეებს დანაშაულის ჩადენა ნამდვილად სურთ.[316]

მზადყოფნა დანაშაულის ჩასადენად არის მცდელობის წაქეზების სპეციალური შემთხვევა.[317]

ჩვეულებრივი მოსამზადებელი ქმედებებისაგან წამქეზებლობის მცდელობის გამიჯვნისათვის უნდა ითქვას, რომ წამქეზებელი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრიობის განვითარების მართვას მეტად ვეღარ ახერხებს, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი მომზადების დროს მიზეზობრიობის განვითარება ჯერ კიდევ დამნაშავეზეა დამოკიდებული.[318]

§2. დანაშაულის მომზადების სახეები

უპირველეს ყოვლისა, იმის გასარკვევად, არის თუ არა შესაძლებელი მომზადების დაყოფა დაუმთავრებელ და დამთავრებულ სტადიებად, აუცილებელია **ორი სიტუაციის** ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ერთი მხრივ, სიტუაციის, სადაც დამნაშავეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია ყველაფერი, რომელიც აუცილებელია ქმედების შემადგენლობის განხორციელებისთვის (დაუმთავრებელი მოსამზადებელი ქმედება), ხოლო მეორე მხრივ, სიტუაციის, რომელშიც დამნაშავემ მისი წარმოდგენით ყველაფერი გააკეთა, რაც აუცილებელი იყო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დასაწყებად (დამთავრებელი მოსამზადებელი ქმედება).[319]

აქედან გამომდინარე, გერმანულ სისხლის სამართალში დამთავრებული და დაუმთავრებელი მოსამზადებელი ქმედებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა დამნაშავის ნარმოდგენაზე დაყრდნობით ხორციელდება, თუმცა, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს დამნაშავის არასწორ წარმოდგენას.

მაშასადამე, ქმედების დაუმთავრებელ მოსამზადებელ სტადიად შეფასებას ადგილი აქვს ორ შემთხვევაში, ერთი მხრივ, როდესაც დამნაშავეს ობიექტურად ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუკეთებია ქმედების განხორციელების დასაწყებად და, მეორე მხრივ, როდესაც დამნაშავის წარმოდგენის საპირისპიროდ, დამნაშავის მიერ განხორციელებული მოსამზადებელი ქმედებები უკვე

315 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 313-314.
316 იხ. *BGH*, NStZ (1998), გვ. 403.
317 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 316.
318 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 2135.
319 იხ. *Fad* (2005), გვ. 44.

საკმარისია ქმედების განხორციელების დასაწყებად.[320] მაგალითად, ტ., თავდაპირველად, უნდა, რომ ო. მუშტით გათიშოს, რათა შემდგომ გაუადვილდეს მისი სხვა ადგილზე გადაყვანა და იარაღის მეშვეობით მკვლელობის განხორციელება, მაგრამ, როდესაც დამნაშავემ ო. მუშტი დაარტყა, ამ დროს ტ. თავს დაესხა დ. და იარაღი წაართვა. ამ შემთხვევაში, მუშტის დარტყმა მკვლელობის დამთავრებულ მოსამზადებელ სტადიად არ განიხილება. აქ დამნაშავემ ყველაფერი არ გააკეთა ქმედების განხორციელების დასაწყებად, მაშასადამე, მცდელობის დაწყებისთვის, რომელიც შეიძლება გამოხატული ყოფილიყო დაზარალებულის სხვა ადგილას გადაყვანაში, ანდა იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანაში.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე შეცდომით თვლის, რომ მას ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუკეთებია ქმედების განხორციელების დასაწყებად, სინამდვილეში, მის მიერ შექმნილი პირობები უკვე საკმარისია ქმედების განხორციელების დასაწყებად. ასეთი შემთხვევები დაუმთავრებელ მოსამზადებელ სტადიად განიხილება. მაგალითად, ტ. დარტყმის შედეგად ო. გარდაიცვალა, მაშინ როდესაც ტ. არ უშვებდა ო. სიკვდილის გამონვევის შესაძლებლობას.[321]

ქმედება, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი უკვე მოსამზადებელ სტადიაზე გამოიწვია, უნდა შეფასდეს მხოლოდ გაუფრთხილებელ დანაშაულად.[322] აქედან გამომდინარე, ვინაიდან სახეზე არ იყო მკვლელობის შემადგენლობის შესაბამისი განზრახვა, ტ. დაისჯება არა განზრახ მკვლელობისთვის, არამედ გაუფრხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის. დამნაშავე მხოლოდ მაშინ იმყოფება ***დამთავრებულ მოსამზადებელ სტადიაზე***, როდესაც იგი ფიქრობს, რომ მან შედეგის გამოსაწვევად უკვე ყველაფერი გააკეთა. დამთავრებული მომზადების დროს, როგორც ეს დაუმთავრებელი მომზადების დროს იყო, შესაძლებელია დამნაშავის ნარმოდგენა რეალობას შეესაბამებოდეს და ამის შესაბამისად, სახეზე იყოს ვარგისი მოსამზადებელი ქმედება, ანდა დამნაშავე შეცდომით თვლიდეს, რომ მისი მოსამზადებელი ქმედებები უკვე შედეგის გამოსაწვევად ვარგისია.[323]

§3. შეჯამება

გერმანულმა სისხლის სამართალმა უარი თქვა გენერალური მომზადების დასჯადობაზე და, როგორც უკვე მსჯელობიდან გამოიკვეთა, მომზადების დაუსჯელობას, თითქმის, იგივე მიზეზები დაუდო საფუძვლად, რაც ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მომზადების „ფართო მოდელის“ საწინააღმდეგოდ იქნა დასახელებული. მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობისაგან დროში და სივრცეში დაშორების მომენტი, უმართლობის დაბალი ხარისხი, განზრახვის არამატკიცე ხასიათი, აბსტრაქტული საფრთხის მომენტი, რის გამოც

320 იხ. *Fad* (2005), გვ. 52.
321 იხ. *Fad* (2005), გვ. 54.
322 იხ. *BGH*, NJW (2002), გვ. 1057.
323 იხ. *Fad* (2005), გვ. 55-56.

ეს ფაზა მხოლოდ პოლიციის პრევენციული ღონისძიებების სფეროში ექცევა და ა. შ.

ეს არის ის ცალკეული მიზეზები, რის გამოც გერმანიის სისხლის სამართალმა დანაშაულის მომზადების დასჯადობაზე თქვა უარი.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, გერმანული სისხლის სამართალი მომზადების დასჯადობის „შერეულ მოდელს“ აღიარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მომზადების დასჯადობა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან კერძო ნაწილშია გადატანილი, სადაც დანაშაულის შემადგენლობებში მომზადების დასჯადობის ორნაირი მეთოდია აღიარებული, პირველი გამოიხატება საკუთრივ დანაშაულის შემადგენლობების გაფართოებაში, რომელიც გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის მომზადების დასჯადობა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებშივე ფართოვდება, ხოლო მეორე გამოიხატება დამოუკიდებელი მოსამზადებელი ქმედებების შექმნაში - ***delictum sui generis***.

დანაშაულის მომზადების დასჯადობის შესახებ, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გარკვეული კრიტიკაა გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ დამნაშავეს ასეთი ნორმების შემოღებით ერთმევა ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება. კრიტიკა სავსებით სამართლიანია, თუმცა ეს იმაზე არ მიუთითებს, რომ მომზადების დასჯადობის ეს მოდელი გაუმართავია, არამედ ეს პრობლემა ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხია და მხოლოდ ამ უკანასკნელის გადაწყვეტის გზით მოიხსნება აღნიშნული პრობლემა. ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხები ქვემოთ დეტალურად არის განხილული.

რაც შეეხება თანამონაწილეობის მცდელობის დასჯადობის საკითხს, გერმანელმა კანონმდებელმა ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში შემოიღო სპეციალური ნორმა 30-ე პარაგრაფის სახით, რომელიც ცნობილია **დუშესნეს** პარაგრაფის სახელწოდებით. მაშასადამე, გერმანელმა კანონმდებელმა აღნიშნული პრობლემა გადაწყვიტა თანამონაწილეობის განსაზღვრების გაფართოების გზით.

სსკ-ის 30-ე პარაგრფი გაბატონებული შეხედულების თანახმად, წარმოადგენს *თანამონაწილეობის განსაკუთრებულ რეგულირებას*, ე. წ. **ჰიპოთეტური აქცესორობის** კონსტრუქციაზე დაყრდნობით. ეს პოზიცია უპირისპირდება „მომზადების თეორიას“, რომელიც აღიარებს, რომ ამ ნორმის შემოღებით გერმანელმა კანონმდებელმა მოსამზადებელი ქმედებების დამოუკიდებელი დასჯადობა შემოიღო. საკითხის ასეთნაირად დასმა გერმანელ მეცნიერებს საზოგადოდ არ მიაჩნიათ სწორად, ვინაიდან დანაშაულის მომზადების დამოუკიდებელი დასჯადობის აღიარებით, ადგილი ექნება ადამიანის პიროვნულ სფეროში უხეშ ჩარევას, რომელიც, თავის მხრივ, ეჭქვქვეშ დააყენებს ამ ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს. აქედან გამომდინარე, მეცნიერები გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის მე-3 აბზაცის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, უარს ამბობენ მომზადების დასჯადობის აღიარებაზე.

კარი IV. დანაშაულის მცდელობა და მისი დასჯადობის თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

თავი I. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები

§1. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

ქართულ განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „*მცდელობა*" ახსნილია, როგორც მცდელის თვისება,[324] ხოლო სიტყვაში „*ცდა*" იგულისხმება მოქმედება რისამე შესასრულებლად, რის შესრულებაც ძნელია, საეჭვოა. ეს სიტყვა მთიან კუთხეებში ომში თავის გამოჩენის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა „თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს სიკეთილი მიჯობს ცდაშია" (ვაჟა).[325] ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი სიტყვას „ცდა" გადმოსცემს რაიმე მოვლენის გამოკვლევის, ექსპერიმენტის მნიშვნელობით.[326]

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობა გაიგება, როგორც დამნაშავის განზრახი საქმიანობა, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ სიკეთეს, მაგრამ იგი არ იწვევს მის დაზიანებას,[327] ზოგჯერ დამნაშავის და ზოგჯერ სხვა მიზეზის გამო.[328]

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი".

მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის არსი პოზიტიურ ნიშნებზე და ნეგატიურ ფაქტორზე დაყრდნობით გაიგება. დანაშაულის მცდელობის ***პოზიტიურ ნიშნებში*** იგულისხმება სსკ-ის მე-19 მუხლში აღნერილი სუბიექტური და ობიექტური ნიშნები, რომლებიც საფუძვლად უდევს მცდელობის დასჯადობას. რაც შეეხება ***ნეგატიურ ფაქტორს***, ის მე-19 მუხლის ფარგლებს გარეთაა და გულისხმობს იმ მიზეზებს, რომლებიც ქმედების ბოლომდე განუხორციელებლობას უდევს საფუძვლად.

ასეთი მიზეზები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ორ ჯგუფად, *პირველი*, როდესაც შედეგის მიუღნეველობა განპირობებულია დამნაშავისაგან და-

---

324 იხ. *ქართული განმარტებითი ლექსიკონი*, მე-5 ტომი (1958).
325 იხ. *ქართული განმარტებითი ლექსიკონი*, მე-8 ტომი (1964).
326 იხ. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (1986).
327 იხ. წერეთელი (1961), გვ. 102.
328 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 160.

მოუკიდებელი მიზეზების გამო, და *მეორე*, როდესაც შედეგი უშუალოდ დამნაშავის მიზეზით არ ხორციელდება.

მცდელობის ნეგატიური ფაქტორი განსაზღვრავს მცდელობის დასჯადობის თავისებურებებს.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ქმედება დანაშაულის მცდელობად მაშინ ფასდებოდა, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი არ მიიღწეოდა „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო". მცდელობის დასახელებული განმარტებისაგან განსხვავებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მცდელობის განსაზღვრებაში დანაშაულებრივი შედეგის მიუღწევლობის მიზეზებზე ზოგად დათქმას არ აკეთებს. 1999 წლის სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის მე-19 მუხლის ტექსტიდან ამ დათქმის ამოღებით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მცდელობას ადგილი აქვს ნებისმიერ შემთხვევაში და იგი არსებობს იმისდა მიუხედავად, დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა დამნაშავის მიზეზით თუ მისგან დამოუკიდებლად. ამასთან, კანონმდებელი თავისი გადაწყვეტილებით შეეცადა დასჯადი და არადასჯადი მცდელობების ერთმანეთისაგან გამიჯვნას, ასევე ნებაყოფლობითი ხელის აღების ინსტიტუტით მცდელობის გადაფარვას. მაშასადამე, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში ქართველმა კანონმდებელმა სხვა გზა აირჩია და უარი თქვა დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის ხელისშემშლელი მიზეზების დასახელებაზე,[329] რის შედეგად მცდელობის პოზიტიური ნიშანი ნეგატიურ ფაქტორად გადაიქცა.

ქართველი კანონმდებლის ასეთი გადაწყვეტილება შესაძლებელია, ორი მიზეზით აიხსნას: ჯერ ერთი, მცდელობის საკანონმდებლო განმარტებაში მიზეზებზე მითითება გამოიწვევს იმას, რომ უარი უნდა ითქვას არადასჯად მცდელობაზე,[330] და მეორე, ასეთი განმარტება საკმაოდ დაავიწროვებს დასჯადი მცდელობის ფარგლებს, რადგან, შესაძლებელია, შედეგი დამნაშავის ნებით არ განხორციელდეს, მაგრამ ადგილი ჰქონდეს დასჯად მცდელობას, თუ, რა თქმა უნდა, დამნაშავის ნებას საბოლოო ხასიათი არ ექნება.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, მცდელობის განსაზღვრების დროს აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითება დანაშაულის შემადგენლობის ბოლომდე განუხორციელებლობის შესახებ და საკმარისი არ იყო იმის დადგენა, რომ ქმედება უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად.[331] აღნიშნული შეხედულება ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში საფუძვლად დაედო საქართველოს მოქმედი სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსს. საკანონმდებლო დონეზე (სსკ-ის მე-19 მუხლი) დანაშაულის მცდელობის ასეთი განმარტება მოიცავს როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობის მომენტებს. თუმცა, იგი ვერ წვდება დანაშაულის მცდელობის ყველა შემთხვევას, მაგალითად, ე. წ. ***in dubio pro reo***-ს და უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის ისეთ შემთხვევებს, როდესაც შედეგის დადგომის მიუხედავად, სახეზე არ არის სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით

329 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 160.

330 იქვე.

331 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 134.

გათვალისწინებული მესამე პირობა, შედეგის თავიდან აცილებადობა. სსკ-ის მე-19 მუხლით გათვლისწინებული მცდელობის ცნების ნაკლოვანება გახლავთ ასევე განმარტებაში მოცემული ბოლო ფრაზა „...მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი". რა თქმა უნდა, აქ გაჩნდება შეკითხვა ვის მიერ არ იქნა დანაშაული ბოლომდე მიყვანილი? პასუხი მარტივია, ვინაიდან დანაშაულის მცდელობის უმართლობას დამნაშავე ახორციელებს, ამდენად ის გახლავთ დანაშაულის ამსრულებელი და სწორედ მის მიერ არ უნდა იქნეს დანაშაული ბოლომდე მიყვანილი. მაგრამ აქვე ლოგიკურად გაჩნდება მეორე შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ, თუ ამსრულებლის მიერ დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა, გახდება თუ არა ასეთი შემთხვევა სსკ-ის მე-19 მუხლის მიხედვით, მცდელობის დასჯადობის ღირსი? უარყოფითი ნაწილაკით გამოხატული აზრი, რომ დანაშაული ბოლომდე „არ" იქნა მიყვანილი, გულისხმობს იმას, რომ თავად ამსრულებელმა აღარ ისურვა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს არა დასჯად მცდელობაზე, არამედ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე. სწორედ ამიტომ სსკ-ის მე-19 მუხლში უარყოფითი ნაწილაკი „არ" სასურველია შეიცვალოს უარყოფითი ნაწილაკით „ვერ", რათა სსკ-ის მე-19 მუხლში აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს.

ამასთან, მცდელობის მუხლში ასეთი მითითება ეჭქვეშ არ დააყენებს სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღიარებულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებით დანაშაულის მცდელობის ანულირება არ ხდება.

ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, სასურველია, თუ სისხლის სამართლის კანონმდებელი სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსს შემდეგნაირად ჩამოაყალიბებდა: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე *ვერ* იქნა მიყვანილი, *გამონაკლისი შემთხვევების გარდა*".

§2. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

გერმანულ სისხლის სამართალში ტერმინი „მცდელობა" მომდინარეობს შუა საუკუნეების აკადემიური გერმანული ენიდან.[332]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში მცდელობის საკანონმდებლო რეგულირება მცდელობის ცნებიდან გამომდინარეობს, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ითქვა, ზოგადი სიტყვათა გამოყენებიდან აღმოცენდა.[333] „მცდელობის დელიქტის" ქვეშ სწორედ ის ქმედებები გაიგება, რომლებიც სანქციონირებულია, ანუ დანაშაულის შემადგენლობით არიან მოცული და, შესაბამისად, სასჯელით იდევნება. „მცდელობის დელიქტები" დასჯადი მცდელობები არიან.

332 მე-17 საუკუნეში ამ ტერმინმა ჩაანაცვლა შემდეგი ცნებები „*experimentum*", „*versuchnis*" და „*versuchung*". მცდელობის სინონიმებია „*Anstrengung*", „*Bemühung*", „*Bestrebung*", „*Unternehmung*", „*Vorhaben*" ან „*gehoben das Bemühung*". იხ. *Wörner* (2009), გვ. 32.

333 იხ. *Alwart* (1982), გვ. 85.

„მცდელობის დელიქტების" ცნება შეესაბამება მცდელობის ცნებას, რადგან ყველა „მცდელობის დელიქტი" ასევე წარმოადგენს მცდელობას და არა პირიქით.[334]

გერმანიის 1872 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფში მოცემული დანაშაულის მცდელობის ცნება 1975 წლის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის გამოქვეყნებულ ვარიანტში, კერძოდ, 22-ე პარაგრაფში გარკვეული შინაარსობრივი ცვლილებებით იქნა გადმოლებული.[335] გერმანიის ძველი სსკ-ის 43-ე პარაგრაფთან შედარებით, ახალი სსკ-ის 22-ე პარაგრაფი მცდელობის დაწყების ფორმულას მნიშვნელოვნად ავიწროვებს.[336]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავე თავისი წარმოდგენით დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ დაიწყებს. დანაშაულის მცდელობა დანაშაულის მოსამზადებელ და დანაშაულის დასრულებულ საფეხურებს შორის მდგომი სტადიაა.[337] მაშასადამე, სტრუქტურული თვალსაზრისით, დანაშაულის მცდელობის სტადიასთან გადის, ერთი მხრივ, დამთავრებული დანაშაულის, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის მომზადების საზღვარი.[338] მცდელობას დანაშაულის ე. წ. „შუა სტადიად" მოიხსენიებენ.[339] იგი არის უკვე დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი დანაშაულის საფეხური. დანაშაულის მცდელობის ***ნეგატიურ ნიშნად*** გვევლინება[340] დამნაშავისათვის ობიექტურად შესარაცხი დასრულებული ქმედების ნაკლულობა, ხოლო მცდელობის ***პოზიტიური ნიშანი*** გულისხმობს დამნაშავის გადაწყვეტილებას განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის შესახებ და ამ გადაწყვეტილების დადასტურებას, რაც გამოიხატება ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყებაში. თუმცა, მცდელობის საკანონმდებლო განმარტებაში (სსკ-ის 22-ე პარაგრაფი) ეს ელემენტები არასრულყოფილად არის გამოხატული.[341]

გერმანიის ძველი სსკ-ის 43-ე პარაგრაფთან შედარებით, ახალი სსკ-ის 22-ე პარაგრაფი მცდელობის დაწყების ფორმულას მნიშვნელოვნად ავიწროვებს და მისი შინაარსობრივი მხარე – დანაშაულის ნაკლულობა, დანაშაულებრივი გადაწყვეტილება და დანაშაულის უშუალო დაწყება – ამტკიცებს, რომ მცდელობა თავისთავად არ არსებობს. იგი არ არის დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა.[342]

გერმანიის სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულის მცდელობაში იგულისხმება დამნაშავის წარმოდგენით ქმედების

---

334 იხ. *Alwart* (1982), გვ. 89.
335 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1407.
336 იხ. *Kratzsch*, JA (1983), გვ. 420.
337 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ.13.
338 *Matt. Renzikowski*, Strafgesetzbuch, Kommentar (2013), გვ. 278.
339 იხ. *Rath*, Jus (1998), გვ. 1006.
340 შეად. *Münchener Kommentar* (2011), გვ. 990.
341 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1383.
342 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1462.

შემადგენლობასთან ახლოს მდგომი რეალური საფრთხე, ანდა ***ex ante***-დ შეცნობადი ქმედების არასაშიში ხასიათი, რომელიც ახლოს დგას ქმედების შემადგენლობასთან და კანონმდებლის შეფასებით, იგი წარმოადგენს სამართლის ნორმისათვის სერიოზულ საფრთხეს. მაშასადამე, მცდელობა, უპირველეს ყოვლისა, არის დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომი ისეთი განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისაკენ.[343] ამაზე მეტყველებს სსკ-ის 22-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც, ქმედების მცდელობად შეფასებისათვის აუცილებელია დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ დაწყება. ამიტომ, რასაც უშუალო დაწყებამდე აქვს ადგილი, დანაშაულის მცდელობად ჯერ კიდევ არ განიხილება, არამედ მხოლოდ მოსამზადებელ ქმედებას წარმოადგენს.

დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომი ქცევა, როგორც ეს გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს, დამნაშავის წარმოდგენის საფუძველზე („დანაშაულის ᲛᲔსახებ მისი წარმოდგენით") უნდა დადგინდეს. ამ განმარტებიდან მცდელობისათვის სამი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

ა) უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ყოველი მცდელობა დამნაშავის მიერ დანაშაულის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას მოითხოვს, რომელიც მიმართულია დანაშაულის დასრულებისაკენ. თუმცა, ეს გადაწვეტილება სსკ-ის 22-ე პარაგრაფში მოცემული „დანაშაულის შესახებ წარმოდგენის" იდენტური არ არის,[344] მაგრამ დანაშაულის შესახებ დამნაშავის წარმოდგენა შეესაბამება განზრახვის ისეთ ელემენტს, როგორიც არის ცოდნის ელემენტი. ვინც მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომ საფრთხეს ქმნის, მისი წარმოდგენა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შესახებ სახეზე არ არის, რადგან იგი ან საერთოდ არ ითვალისწინებს ასეთ საფრთხეს (დაუდევრობა), ან კიდევ დარწმუნებულია იმაში, რომ შედეგი არ დადგება (თვითმედოვნება). სწორედ ამიტომ, გერმანული სამართალი გაუფრთხილებლობით მცდელობას არ აღიარებს.[345]

ბ) „დანაშაულის შესახებ წარმოდგენა" არა მხოლოდ განზრახვის ელემენტს, არამედ ასევე, როგორც წესი, მის განხორციელებასაც გულისხმობს. მაშასადამე, სხვისთვის იარაღის მიბჯენის შემთხვევაში, მკვლელობის მცდელობის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული არ არის მხოლოდ იმაზე, პირი მკვლელობის განზრახვით მოქმედებს, თუ მხოლოდ დაზარალებულის შეშინება უნდა, არამედ ეს კიდევ უფრო დამოკიდებულია იმაზე, რომ დამნაშავეს იმ წუთას, ან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, საკუთარ თავთან ხანგრძლივი მსჯელობის დასრულების შემდეგ, სურს განახორციელოს გასროლა თუ არა. ერთ შემთხვევაში, იარაღის მიბჯენით სახეზეა დანაშაულის მცდელობა, ხოლო მეორე შემთხვევაში, დანაშაულის შემადგენლობასთან სიახლოვის არ არსებობის გამო, მცდელობა სახეზე არ არის. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის არსებობა, თუმცა *ობიექტური მასშტაბით* განისაზღვრება, მაგრამ მას ასევე

343 *Roxin*, AT (2003), გვ. 333.
344 იხ. *Hillenkamp*, Roxin FS (2001), გვ. 700.
345 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 333-334.

საფუძლად უდევს *სუბიექტური შეფასებაც*. მაშასადამე, ამის მიხედვით, „დანაშაულის შესახებ წარმოდგენა" დამნაშავის „წარმოდგენის მსვლელობის პროცესს", დანაშაულის გეგმას მოიცავს.[346]

გ) ყურადღებას იპყრობს ასევე უვარგისი მცდელობის ყველა ფორმის დასჯადობის საკითხი. როდესაც ვინმე მკვლელობის მიზნით დაზარალებულს გაცნობიერებულად უვნებელ საშუალებას ყავაში შეურევს, ამით იგი არა სინამდვილეში, არამედ მხოლოდ მისი წარმოდგენით იწყებს დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელებას. ის, რომ გერმანიის მოქმედი სისხლის სამართალი მცდელობას დასჯადად აცხადებს, გამომდინარეობს არა მარტო სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან, არამედ ასევე 23-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილიდან.

ვინაიდან, სახეზე უნდა იყოს „დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების" უშუალო დაწყება, ამიტომ მთავარია, რომ საფრთხე არა სამართლებრივ სიკეთესთან, არამედ დანაშაულის შემადგენლობასთან იდგეს ახლოს. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის დასჯადობის ამოსავალი წერტილი არის არა დაცული სამართლებრივი სიკეთე, არამედ **დანაშაულის შემადგენლობა**. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ცდისეული ქმედებები შესაძლებელია ასევე მაშინ იყოს სახეზე, როდესაც დაცული სამართლებრივი სიკეთის გათვალისწინებით ისინი ჯერ კიდევ შორს მომზადების სფეროში იმყოფება. მაგალითად, ყალბი ფულის დამზადების (სსკ-ის 146-ე პარაგრაფი) მცდელობის დასჯადობა უკვე მაშინ არის სახეზე, როდესაც დამნაშავე დოკუმენტის გაყალბებას დაიწყებს, თუმცა დაცული სამართლებრივი სიკეთე, კერძოდ, სავალუტო სისტემა, უფრო გვიან ზარალდება, ვიდრე არ მოხდება ფულის მიმოქცევაში გაშვება.[347]

საბოლოოდ, მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე თავისი მიზნის მისაღწევად რეალურ საშუალებას იყენებს. არარეალური საშუალებით განხორციელებული მცდელობა (როდესაც ვინმეს სურს ჯადოქრობით დააზიანოს სხვა) დასაწყისშივე დაუსჯელია. ასეთ მცდელობას აკლია სამართლებრივად მაღალი რისკი, რომელიც საშიშ მცდელობას ახასიათებს და ამის გარდა, იგი სამართლის ნორმისათვის სერიოზულ საფრთხეს არ ქმნის.[348]

დანაშაულის მცდელობის დახასიათებისას სისხლის სამართლის მეცნიერები მიუთითებენ მცდელობის **პოზიტიურ** (დანაშაულის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც სუბიექტური ელემენტი და დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყება, როგორც ობიექტური ელემენტი) და **ნეგატიურ** (დანაშაულის შემადგენლობის დაუმთავრებლობა) ფაქტორებზე, როგორც მცდელობის ცნების აუცილებელ ელემენტებზე, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის კერძო შემთხვევებში ყოველთვის დგინდება.[349]

დანაშაულის დაუმთავრებლობას, როგორც მცდელობის ნეგატიურ ელემენტს, შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზი იწვევდეს:

1. პირველი მიზეზი არის ***შედეგის განუხორციელებლობა***, რომელიც,

346 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 334.
347 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 334.
348 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 334-335.
349 იხ. *Jescheck, Weigend* (1996), გვ. 515.

შესაძლებელია, გამონვეული იქნეს უვარგისი საშუალების გამოყენებით, ან უვარგისი ობიექტის მიმართ განხორციელებული ქმედებით. მთავარია, რომ დანაშაულის ფორმალური დამთავრების აუცილებელი ელემენტი აკლდეს. დანაშაულის მატერიალური დასრულება მცდელობისათვის ირელევანტურია.

2. დანაშაულის დაუმთავრებლობას შესაძლებელია *სუბიექტურ* დონეზე ჰქონდეს ადგილი, მაშინ, როდესაც დამნაშავეს ობიექტურად განხორციელებული შედეგი არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს,[350] ე. ი. როდესაც დამნაშავე მცდელობის დაწყების შემდეგ, შეურაცხადი გახდა და ასეთ მდგომარეობაში მან ქმედების განხორციელება გააგრძელა.[351]

3. დანაშაულის დაუმთავრებლობას მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც სახეზე არ არის *ობიექტური შემადგენლობის* რომელიმე ნიშანი. მაგალითად, ა. ურტყამს ბ.-ს მძიმე საგანს, რათა შემდგომ თავისუფლად მოახერხოს ბ.-ს ჩანთიდან ფულის ამოღება, მაგრამ ამ მოქმედების განხორციელების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ჩანთა, რომელშიც დამნაშავეს ფული ეგულებოდა, ცარიელი იყო. მართალია, ა.-მ ძალადობა გამოიყენა, მაგრამ დამთავრებული ყაჩაღობა გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 249-ე პარაგრაფის საფუძველზე გამოირიცხულია, რადგან ძალადობის გარდა, აღნიშნული დანაშაულის დამთავრებისათვის აუცილებელია დამნაშავის მიერ სხვისი ნივთის დაუფლების მომენტი, რასაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი. მაშასადამე, მოცემულ მაგალითში დანაშაულის დასრულებას აკლია დანაშაულის ობიექტი,[352] რის გამოც ქმედება მხოლოდ ყაჩაღობის მცდელობით უნდა დაკვალიფიცირდეს.[353] [354]

არის ისეთი შემთხვევები, სადაც მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, დამნაშავეს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება. მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით ესვრის ბ. ცეცხლსასროლი იარაღიდან, მაგრამ მხოლოდ ჯანმრთელობას დაუზიანებს. დაუძლურებულ ბ. თავს დაესხმება ც.-ე და მოკლავს მას. მართალია, მოცემულ მაგალითში მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, მაგრამ შედეგი ა.-ს ობიექტურად არ შეერაცხება. სწორედ ამიტომ ა. დამთავრებული მკვლელობისათვის პასუხს არ აგებს.[355] ამასთან დაკავშირებით, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასახელებულია ასევე შემდეგი მაგალითი: ა. მოკვლის განზრახვით ესვრის ბ.-ს და ააცილებს, თუმცა გასროლის ხმაზე შეშინებული ცხენის რემა გადაუვლის ბ.-ს, რის შედეგად ეს უკანასკნელი დაიღუპება. გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მართებულად მიუთითებენ იმაზე, რომ ობიექტური შერაცხვის თანამედროვე

---

350 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 409.

351 იხ. *Rudolphi* (2009), გვ. 23.

352 გერმანულ სისხლის სამართალში, ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, დანაშაულის ობიექტი გაიგება ყველა ის საგანი, რომლის დაუფლება განზრახული აქვს დამნაშავეს, თუმცა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში ზოგიერთი მეცნიერი სამართლებრივი სიკეთისაგან მიჯნავს დანაშაულის ობიექტს და ამ უკანასკნელში მოიაზრებს, მაგალითად, ნივთს, დოკუმენტს და ა. შ. იხ. *ტურავა* (2013), გვ. 16.

353 იხ. *Heinrich* (2012), გვ. 290-2291.

354 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 249-ე პარაგრაფის მიხედვით, ყაჩაღობა დამთავრებულია ძალადობის გამოყენებით სხვისი ნივთის დაუფლების მომენტიდან.

355 იხ.: *Heinrich* (2012), გვ. 290-291; *ტურავა* (2013), გვ. 125.

მოძღვრების თანახმად, ა.-ს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, ვინაიდან შედეგი ა.-ს უშუალო გასროლით არ არის გამოწვეული,[356] თუმცა, პირობათა თეორიის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს ა.-ს ქმედებასა და ბ.-ს სიკვდილს შორის.[357]

4. შედეგის დადგომის მიუხედავად, ქმედება შეიძლება მცდელობად შეფასდეს მაშინაც, როდესაც ობიექტურად სახეზეა ***გამამართლებელი ვითარება***, რომელიც დამნაშავეს შეცნობილი არ აქვს. ასეთ შემთხვევებში ქმედების მცდელობად შეფასება დამნაშავის მიერ განხორციელებული შედეგის გამამართლებელი გარემოებების საფუძველზე კომპენსირდება, რის გამოც ქმედების დამთავრებულ დანაშაულად შეფასება გამოირიცხება.[358]

5. დანაშაულის დამთავრება გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამნაშავის ქცევა სინამდვილეში სისხლისსამართლებივი ქმედებით არ არის მოცული. ამის მაგალითია მოჩვენებითი მოგერიება.[359]

ზოგიერთი გერმანელი ავტორი სამართლიანად არ იზიარებს პოზიციას, რომლის მიხედვით, ქმედების დაუმთავრებლობის მომენტი მცდელობის შემადგენლობის ელემენტად მიიჩნევა, რადგან სსკ-ის 22-ე პარაგრაფი, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფის ტექსტისაგან განსხვავებით,[360] მცდელობის განსაზღვრებისათვის ქმედების განუხორციელებლობის ფაქტს არ მოითხოვს, არამედ მცდელობის დასადგენად საკმარისად მიიჩნევს დამნაშავის წარმოდგენით ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყებას.[361]

§3. შეჯამება

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფი, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის მცდელობის ცნებას, გარკვეული მსგავსებებითა და განსხვავებებით გამოირჩევა. სტრუქტურულად ორივე ნორმა ისეა ჩამოყალიბებული, რომ მასში შესაძლებელია გამოიყოს მცდელობის **პოზიტიური** (დანაშაულის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც სუბიექტური ელემენტი და დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყება, როგორც ობიექტური ელემენტი) და **ნეგატიური** (დანაშაულის შემადგენლობის დაუმთავრებლობა) ფაქტორები, როგორც მცდელობის ცნების აუცილებელი ელემენტები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის კერძო შემთხვევებში ყოველთვის დგინდება.

---

356 იხ. *Rath*, Jus (1998), გვ. 1009.

357 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 116.

358 იხ. *Heintschel-Heinegg* (2010), გვ. 209.

359 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 409.

360 გერმანიის ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფის ტექსტი პირდაპირ მიუთითებდა მცდელობის დროს ქმედების დაუმთავრებლობის ფაქტზე, იხ. *Herzberg*, JuS (1996), სქოლიო 8, გვ. 378.

361 იხ. *Herzberg*, JuS (1996), გვ. 378.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი, ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლთან შედარებით, უკეთესად არის ჩამოყალიბებული, თუმცა იგი გარკვეულ უზუსტობებს მაინც შეიცავს, რაც მოცემული ცნების არასრულყოფილ ხასიათზე მეტყველებს.

ზოგჯერ შედეგის დადგომის მიუხედავად, ქმედება დანაშაულის მცდელობად ფასდება, ე. ი. როდესაც დამნაშავეს შედეგი უშუალოდ არ გამოუწვევია, ანდა როდესაც მას შედეგი ობიექტურად არ ერაცხება. ასეთ შემთხვევებს მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც მიზეზობრივი კავშირი წყდება მესამე პირის ან თავად დაზარალებულის მეშვეობით და შედეგის გამოწვევა სრულებით სხვა ახალი მიზეზით ხდება. ასევე, აღიარებულია, რომ სულ მთლად ატიპიური შემთხვევების დროს, ქმედების დამთავრებულ დანაშაულად შეფასება, გამორიცხულია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასურველია, თუ კი სსკ-ის მე-19 მუხლი ასე ჩამოყალიბდება: **„დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა“.**

გერმანიის ძველი სსკ-ის 43-ე პარაგრაფთან შედარებით, ახალი სსკ-ის 22-ე პარაგრაფი ერთი შეხედვით მცდელობის დანყების ფორმულას მნიშვნელოვნად ავიწროვებს, სადაც დანაშაულის მცდელობის არსებობა, თუმცა ობიექტური მასშტაბით განისაზღვრება, მაგრამ მას ასევე საფუძვლად უდევს სუბიექტური შეფასება. მაშასადამე, ამის მიხედვით, „დანაშაულის შესახებ წარმოდგენა“ დამნაშავის „ნამოდგენის მსვლელობის პროცესს“, დანაშაულის გეგმას მოიცავს.

თავი II. დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ განვითარებული შეხედულებები

სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობის შესახებ მრავალი შეხედულება განვითარდა. ჯერ კიდევ დაუმთავრებელი დანაშაულის ისტორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ მცდელობის ობიექტური და სუბიექტური თეორიები ათწლეულების მანძილზე პირველობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ ობიექტურ თეორიას ეკავა გაბატონებული ადგილი, ზოგჯერ კი სუბიექტური თეორია იღებდა რევანშს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის დოგმატიკაში ადგილი ჰქონდა სუბიექტური და ობიექტური თეორიების კომბინირების მცდელობას, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა შერეული თეორიები. უფრო მოგვიანებით სისხლის სამართლის დოგმატიკაში ადგილი დაიმკვიდრეს თანამედროვე თეორიებმა, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს დაუმთავრებელი დანაშაულის დოგმატიკის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით, მათი დიდი როლი მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნის საქმეში

გამოვლინდა. დასახელებული თეორიები პირობითად შეიძლება დაიყოს **კლასიკურ** და **თანამედროვე** თეორიებად. კლასიკურ თეორიებს მიეკუთვნება ობიექტური, სუბიექტური და ე. წ. შერეული თეორიები, ხოლო თანამედროვე თეორიების რიგებში დგას როქსინის, კრატცშის და სხვათა შეხედულებები.[362]

მცდელობის შესახებ განვითარებული თეორიების კლასიფიკაცია ზოგიერთ ავტორთან შესაძლებელია შედარებით განსხვავებული სახით იყოს წარმოდგენილი,[363] თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია მცდელობის ირგვლივ ნამოჭრილი პრობლემების გადაჭრისათვის და, რაც მთავარია, სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია არ აკნინებს თითოეული მათგანის მნიშვნელობას.

§1. კლასიკური თეორიები

1. 1. ობიექტური თეორიების სათავეებთან

ობიექტური მოძღვრების მიხედვით, მცდელობა ზოგადად განიმარტება, როგორც გარეგნულად გამოხატული, ობიექტურად საშიში განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად. ეს აზრი ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა დამოკიდებული არის სხვისი უფლებრივი სიკეთის დაზიანებაზე, ან მისთვის საფრთხის შექმნაზე, ამიტომ მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო გამიზვნა, ქმედებას, როგორც უმართლობის ელემენტს, არ აყალიბებს.[364]

სისხლის სამართალში, შეიძლება ითქვას, რომ ობიექტური თეორიები *ფოიერბახის*[365] მოძღვრებიდან იღებენ სათავეს. ფოიერბახი წერდა, რომ მარტო მართლსაწინააღმდეგო გამიზვნა (Absicht) არ წარმოადგენს ქმედებას, როგორც უმართლობის ელემენტს, არამედ საჭიროა გარეგნულად გამოხატული სამყაროს მიკუთვნებული ფენომენალური ქმედება. ფოიერბახი ქმედებას მხოლოდ მაშინ თვლიდა მართლსაწინააღმდეგოდ, როდესაც იგი სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფდა ან საფრთხეს უქმნიდა მას.[366]

ფოიერბახს დანაშაულის მცდელობად მიაჩნდა ქმედება, რომელიც მისი გამოვლენით მიზეზობრივ კავშირშია განზრახ დანაშაულთან და შეიცავს ობიექტურ საშიშროებას.[367] ფოიერბახი თავისი ***ფსიქოლოგიური იძულების თეორიდან*** ასკვნიდა, რომ, თუ სახელმწიფოს სურს სისხლის სამართლის კანონით თავიდან აიცილოს დანაშაული, მაშინ მან სასჯელის მუქარა უნდა გაავრცელოს ისეთ ქმედებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ მიეკუთვნება დანაშაულებრივ ქმედებებს, მაგრამ დანაშაულის მომზადებას ან დანაშაულის დაწყებას წარ-

362 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 40.
363 შეად. *Kratzsch*, JA (1983), გვ. 424.
364 იხ. *Stratehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 195.
365 იხ. *Treplin*, ZStW 76 (1964), გვ. 446.
366 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 26.
367 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 19.

მოადგენენ.[368] ამით ფოიერბახი ფაქტობრივად დანაშაულის მომზადების დასჯადობის აუცილებლობაზე მიუთითებდა.

ობიექტური თეორიის ხაზს გაჰყვა ასევე *მიტერმაიერი* (მიტერმაიერი იყო ფოიერბახის მოწაფე), რომელმაც დანაშაულის მცდელობის კრიტერიუმად ასევე შესაბამისი ქმედების ხასიათი აიღო.[369] თუმცა, იგი მიუთითებდა ფოიერბახისეული მცდელობის კონცეფციის ნაკლოვანებაზე და გამართლებულად მიიჩნევდა მცდელობის უმართლობის შეზღუდვას. სწორედ ამიტომ, მიტერმაიერი დანაშაულის იარაღის დამზადებას დაუსჯელ მომსამზადებელ ქმედებად მიიჩნევდა. მისი აზრით, დანაშაულის მცდელობა მხოლოდ მაშინ იყო სახეზე, როდესაც დამნაშავე დანაშაულის იარაღს გამოიყენებდა.[370]

ამავე პოზიციაზე იდგა ფოიერბახის მოწაფე **ზახარია**. იგი მცდელობის უმართლობის საკანონმდებლო განსაზღვრებაში განხორციელების დაწყების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას. ზახარია აკრიტიკებდა ფოიერბახს და მიაჩნდა, რომ ყოველგვარ მომზადებაში კანონის დარღვევას არ აქვს ადგილი.[371]

„ობიექტური თეორიების" მიხედვით, **უვარგისი მცდელობა დაუსჯელი რჩება**, ვინაიდან ამ დროს სახეზე არ არის არც კონკრეტული და არც აბსტრაქტული საფრთხე. თუმცა, მოგვიანებით „ობიექტურმა თეორიებმა" გარკვეული ცვლილებები განიცადეს და მიტერმაიერი უკვე ერთმანეთისაგან მიჯნავდა აბსოლუტურად უვარგის და შედარებით უვარგის მცდელობებს. აქედან, პირველ მცდელობას იგი დაუსჯელად თვლიდა, ხოლო მეორეს - დასჯად ქმედებად აცხადებდა, ვინაიდან იგი მასში ობიექტურ საფრთხეს ხედავდა.[372]

ამ შეხედულების სისუსტე აშკარაა, რადგან, თუ ოც დასაძინებელ ტაბლეტს სიკვდილის გამოწვევა შეუძლია, ამის გამო, ერთი დასაძინებელი ტაბლეტით მკვლელობის მცდელობა მხოლოდ შედარებით უვარგის და, შესაბამისად, შედარებით საშიშ მცდელობად უნდა ჩაითვალოს.[373]

I. 1. 1. მცდელობის ფორმალურ-ობიექტური თეორია

„ობიექტური თეორიებიდან" ფორმალურ-ობიექტური თეორია, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო თანმიმდევრული თეორიაა.[374] ამ თეორიის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედების განხორციელებას დაიწყებს. ამ დროს, შესაბამისი ქმედების სულ მცირე ნაწილი მაინც უნდა განხორციელდეს.[375]

ფორმალურ-ობიექტური მოძღვრება ქმედების განხორციელებას დანაშაუ-

368 იხ. *Schubert* (1978), გვ. 140.
369 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ.19.
370 იხ. *Weber* (1970), გვ. 6-7.
371 იხ. *Vehling* (1991), გვ. 17-18.
372 იხ. *Treplin*, ZStW 76 (1964), გვ. 447.
373 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 341.
374 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 40.
375 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1488-1489.

ლის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების თანაბარმნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამ ქმედებათა თანაბარმნიშვნელობის საკითხს ხაზს უსვამს „ფორმალურ-ობიექტური" თეორიის მთავარი ნარმომადგენელი ***ბელინგი***, რომლის მიხედვით, დელიქტის შესაბამისი საკანონმდებლო შემადგენლობა მცდელობის დროს, განხორციელების უბრალო დაწყებაში გადადის, რომლის დროსაც ქმედებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შეესაბამება ქმედების შემადგენლობას, მხოლოდ მოსამზადებელ ქმედებებად მიიჩნევა. ამ თეორიის არსიდან გამომდინარე, ***ფრანც ფონ ლისტი*** კიდევ უფრო აკონკრეტებს ქმედების განხორციელების დაწყების კრიტერიუმს *განსაზღვრულ ტერმინზე* მითითებით. მაგალითად, განზრახ მკვლელობის მცდელობის დაწყებად მას მიაჩნია ცეცხლსასროლი იარაღიდან „გასროლა", როდესაც მსხვერპლს ტყვია ან გასცდება, ან მხოლოდ ჯანმრთელობას დაუზიანებს, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ქმედებები, რომლებიც გასროლის პროცესს უსწრებს წინ, კერძოდ, იარაღის დატენვა და ფეხზე შეყენება, მაშასადამე, მისი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა და დამიზნება, განიხილება დანაშაულის დაუსჯელ მომზადებად.[376]

ამრიგად, „ფორმალურ-ობიექტური თეორიის" თანახმად, თუკი სისხლის სამართლის მეცნიერება მცდელობის განსაზღვრისათვის სიტყვის ნატურალისტურ გაგებას დაეფუძნება, მაშინ იგი შედარებით საიმედო კრიტერიუმად იქცევა. ამიტომ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამ თეორიაზე დაყრდნობით, ქმედება, რომლითაც პიროვნება მცირეწლოვან ბავშვს, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, უთახმდება შეხვედრის დროსა და ადგილზე, ჯერ კიდევ არ განიხილება სსკ-ის 176-ე პარაგრაფში (მცირეწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარება) აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის დაწყებად.[377]

ფორმალურ-ობიექტურ თეორიას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მისი დამსახურება ის არის, რომ იგი შეესაბამება კანონიერების ისეთ პრინციპს, როგორიც არის *„nullum crime sine lege"*, რადგან იგი არ იყენებს ისეთ კრიტერიუმებს, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის გარეთ დგას.

რაც შეეხება ამ თეორიის ნაკლს, მდგომარეობს იმაში, რომ იგი ზუსტად ვერ განსაზღვრავს, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ქმედება დანაშაულის მცდელობად და როდის არა. ტერმინები, რომლებზეც ლისტი აკეთებს აქცენტს, არ არის ის „მაგიური სიტყვები", რომელიც ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტას შეძლებს. ასევე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ დანაშაულის მცდელობის ცნება უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ *ფორმალური*, არამედ ასევე *მატერიალური* კრიტერიუმით.[378]

წმინდა „ფორმალურ-ობიექტური თეორიით" დღეისათვის უკვე რთულია გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის ახსნა, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის ტექსტის მიხედვით, მცდელობის დასაბუთებისათვის აუცილებელია არა ქმედების შემადგენლობის ნანილობრივ განხორციელება, არამედ ასევე ქმედების შემადგენლობის განხ-

376 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 40.
377 იხ. *Stratehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 199.
378 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 40-41.

ორციელების შედგომა. აქედან ჩანს, რომ მცდელობის არეალი ქმედების ნაწილობრივ განხორციელებით არ არის შეზღუდული.[379]

1. 1. 2. მცდელობის პირობათა თეორია

„ფორმალურ-ობიექტურ თეორიასთან" ახლოს დგას „პირობათა თეორია" (*Bedingungstheorie*), რომლის მთავარი მიმდევრები არიან ბინდინგი და ბირკმეიერი. ეს მოძღვრება ერთმანეთისაგან მიჯნავს **პირობას და მიზეზს.**

მიზნის მიღწევის პროცესს ***ბინდინგი*** აფასებს, როგორც მამოძრავებელ (პოზიტიური) და შემაფერხებელ (ნეგატიური) ფაქტორებს შორის ბრძოლას. მიზეზობრიობა მას მიაჩნია პოზიტიურის მიერ შედეგის ნეგატიური პირობების გადაწონა, რომელიც გამოწვეულია ადამიანის ნებით. მისი შეხედულებით მიზეზობრიობა არ არის უბრალო გადამწყვეტი, ზემოქმედი პირობა, არამედ თვისობრივად სულ სხვა რამ არის, კერძოდ კი, ნების განხორციელებაა. მისი თქმით, ის რაც პირობად არის მიჩნეული, არასოდეს არ ჩაითვლება მიზეზად. იგი ქმედების განხორციელებას ისევე განმარტავს, როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელებას, ხოლო მოსამზადებელ ქმედებებს იგი უყურებს, როგორც უბრალო პირობებს ქმედების შემდგომ განსახორციელებლად.

ბირკმაიერი პირიქით ფიქრობს. მას მიაჩნია, რომ მიზეზი პირობების წრეში უნდა მოიძებნოს. ბირკმაიერი მოქმედების მიზეზს (*Verursachungshandlung*) ისევე განმარტავს, როგორც ქმედების განხორციელებას, რომელსაც იგი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედების საკანონმდებლო გაგებასთან ათანაბრებს.[380]

„პირობათა თეორია" შეიძლება შეფასდეს, როგორც მცდელობის შესახებ თანამედროვე პოზიციის წინამორბედი, რადგან იგი მცდელობას მიაკუთვნებს უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობის ნინ მდგომ ქმედებებს, ხოლო შორეულ ქმედებებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენას მხოლოდ შესაძლებელს ხდის, განიხილავს დაუსჯელ მოსამზადებელ ქმედებებად.

ამ თეორიის წარმომადგენლებიც არ იყვნენ ერთსულოვნები მიზეზისა და პირობის გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტისას. რასაც ბინდინგი თვისობრიობად აფასებდა, მას ბირკმაიერი რაოდენობრივად განიხილავდა. როგორც კი მიზეზი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების იდენტურად განიხილება, მაშინვე გაჩნდება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ საბრძოლო მდგომარეობაში მყოფანილი იარაღის ჩახმახზე თითის გამოკერა პირობად უნდა შეფასდეს, თუ მიზეზად, ან კიდევ, როდესაც თაღლითობის მიზნით ორი ტყუილია ნათქვამი, როგორ უნდა დადგინდეს, აქედან რომელი გახდა დაზარალებულის მოტყუების მიზეზი, რომელსაც თაღლითობის შემადგენლობა ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მეტად რთულია ზემოქმედების ხარისხის შეფასება. არსებობს ისეთი მრავალაქტიანი დელიქტები, მაგალითად, გაუპატიურება, სადაც ბოლო აქტი (სქესობრივი კავშირი) ობიექტურად აქტიურია, მაგრამ მცდელობა უკვე პირველი აქტის, კერძოდ, ძალადობის გამოყენებისთანავე იწყება.

379 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 363.

380 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 42.

ბირკმაიერს, რომელსაც შეცნობილი ჰქონდა პირობის და მიზეზის გამიჯვნის სირთულეები, დასაშვებად მიიჩნევდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის თავისუფალი შეხედულებისათვის მიენდოთ. მაგრამ არ იქნება მართებული მოსამართლისათვის იმ საკითხის მინდობა, რომლის გადაწყვეტაც მეცნიერებამ და კანონმდებელმა ვერ შეძლო.[381]

მართალია, ამ თეორიამ დიდი როლი ითამაშა დანაშაულის მცდელობის განვითარების საქმეში, მაგრამ მისი გამიჯვნის კრიტერიუმი არ აღმოჩნდა წარმატებული.[382]

ზემოთ მოტანილმა მსჯელობამ გამოკვეთა ორი მნიშვნელოვანი საკითხი, პირველი უკვე დასახელდა და ეხება პირობისა და მიზეზის ურთიერთგამიჯვნის სირთულეებს, ხოლო მეორე საკითხი დაკავშირებულია თავად ამ თეორიის არსობრივ თავისებურებებთან, კერძოდ, ცნობილია, რომ „პირობათა თეორია" „მიზეზობრიობის პირობათა თეორიის" იდენტურია. ამ უკანასკნელის თანახმად, ნებისმიერი პირობა დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევ მიზეზად განიხილება. თუკი დანაშაულის მცდელობის შემადგენლობისათვის ყველა პირობა თანაბარმნიშვნელოვან პირობად გამოცხადდება, მაშინ რა კრიტერიუმი უნდა იქნეს არჩეული დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გასამიჯნად? ამიტომ, უფრო მართებული იქნება, თუ ეს თეორია „მიზეზობრიობის პირობათა თეორიისაგან" გაიმიჯნება და, შესაბამისად, ყველა პირობა არ გახდება ქმედების შემადგენლობის დაწყებისათვის რელევანტური, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ახლოს დგას ამ უკანასკნელთან.

1. 1.3. მოძღვრება დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობაზე

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა მოძღვრებამ **„დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობაზე"**, რომლის მთავარი წარმომადგენელი იყო ***გრაფ ცუ დონა.*** იგი დანაშაულებრივ შედეგს მიჯნავდა სხვა ისეთი გარემოებებისაგან, როგორიც არის, მაგალითად, ობიექტი, საშუალება, დროითი და სივრცობრივი პირობები. მის უკიდურეს ფორმაში ეს მოძღვრება მცდელობად და, მაშასადამე, დასჯად ქმედებად არ მიიჩნევდა ისეთ შემთხვევას, სადაც დასახელებული ნიშნებიდან რომელიმე ნიშანი არ იყო სახეზე.[383]

ამდენად, **„დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობის თეორიის"** თანახმად, დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზე არ არის დანაშაულის შედეგი. მაგალითად, მკვლელობის მიზნით გასროლილი ტყია აცდა მიზანს. მაგრამ, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულის გარემოებები არ არის სახეზე, მაშინ ადგილი აქვს „დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობას", რომელიც დასანყისშივე დაუსჯელი რჩება. მაგალითად, ქურდობის მიზნით დაუფლებული ნივთი არ არის „სხვისი", ან ჯანმრთელობის

381 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 43.

382 იხ. *Mayer*, AT, გვ. 285. ეს ავტორი ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მიზეზებს და პირობებს.

383 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 44.

დაზიანების დროს გამოყენებული საშუალება არ წარმოადგენს „საწამლავს“, ანდა მკვლელობის მიზნით განხორციელებული გასროლის ობიექტი „ადამიანი“ არ აღმოჩნდა.[384]

საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ დააფიქრა თავად ამ თეორიის წარმომადგენლები. **ფრანკი** შეეცადა ამ თეორიის მოდიფიცირებას. გამოყენებული საშუალების მხედველობაში მიღებით, იგი განასხვავებდა **ონტოლოგიურ** (ფაქტობრივი გარემოებებში) და **ნომოლოგიურ** (იურიდიულ) შეცდომას. შეცდომის პირველ სახეს იგი დასჯადად აცხადებდა, ხოლო მეორე სახეს დაუსჯელად თვლიდა. მაგალითად, თუ დამნაშავე შეეცდებოდა ვინმეს მონამვლას, მაგრამ მსხვერპლს შხამის ნაცვლად შეცდომით შაქრის ფხვნილს მისცემდა, მკვლელობის მცდელობისათვის უნდა დასჯილიყო, რადგან ადგილი ჰქონდა ონტოლოგიურ შეცდომას, მაშინ როდესაც, დაუსჯელი რჩებოდა ფეხმძიმე ქალის ქმედება, როდესაც იგი დარწმუნებული იყო, რომ შაქრიან წყალს ორსულობის მოშლა შეეძლო. ასეთ შემთხვევაში სახეზე იყო ნომოლოგიური შეცდომა.[385]

თუ **„დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობის თეორიას“** გაჰყვები, მაშინ ყოველგვარი მცდელობა დაუსჯელი უნდა დარჩეს,[386] ამიტომ გერმანელი სისხლის სამართლის მეცნიერები ლოგიკურად სვამენ შეკითხვას: რატომ არ უნდა დაისაჯოს უკანონო აბორტი მაშინ, როდესაც სახეზე არ არის ისეთი ნიშანი, როგორიც არის ნაყოფი (უვარგისი ობიექტი), და, პირიქით, რატომ უნდა დაისაჯოს აბორტი უვარგისი საშუალების გამოყენებით მაშინ, როდესაც მხოლოდ შედეგი არ დადგა? ასევე, გერმანიის სსკ-ის 224-ე პარაგრაფის გამოყენების დროს (ჯანმრთელობის დაზიანება), რატომ უნდა გამოირიცხოს დანაშაულის მცდელობა მაშინ, როდესაც დამნაშავე უვნებელ სუბსტანციას შეცდომით საწამლავად მიიჩნევს (საწამლავი სსკ-ის 224-ე პარაგრაფში დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია), და, პირიქით, რატომ ისჯება მკვლელობის მიზნით ასეთი საშუალებით განხორციელებული ქმედება გერმანიის სსკ-ის 211-ე პარაგრაფით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა.[387]

ამ თეორიის მიზანი იყო უვარგისი მცდელობის დაუსჯელობის დასაბუთება, მაგრამ ვინაიდან დღეს მცდელობის ამ სახის დასჯადობა საკანონმდებლო დონეზეა დარეგულირებული, ამიტომ ამ თეორიამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.[388]

გარდა ამისა, მსჯელობამ გამოავლინა, ამ თეორიის საფუძველზე პრობლემის არაერთგვაროვნად გადაწყვეტის ტენდენციები სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობებში.

1. 1.4. მატერიალურ-ობიექტური თეორია

1897 წლიდან, როგორც გერმანულ, ასევე სხვა ქვეყნების სისხლის სამართალის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში, დიდი აღიარება მოიპოვა

384 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 341.
385 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 44.
386 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 45.
387 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 341-342.
388 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 45.

„ფრანკის ფორმულამ". ამ ფორმულის მიზანი იყო ობიექტური თეორიის ფარგლებში გამიჯვნის ფორმალური კრიტერიუმი შეეცვალა მატერიალური კრიტერიუმით, ამიტომ ამ თეორიას **„მატერიალურ-ობიექტური თეორიის"** სახელით მოიხსენიებენ.[389]

ფრანკის ცნობილი ფორმულა შემდეგნაირად ჟღერს: „ბუნებრივი თვალსაზრისით, ქმედების **განხორციელების დაწყების პროცესს ადგილი აქვს ნების-მიერ ისეთ საქმიანობაში, რომელიც** დანაშაულის შემადგენლობასთან აუცილებელი კავშირის მეოხებით, მის შემადგენელ ნაწილად წარმოჩინდება".[390]

თავისი კრიტერიუმის ასახსნელად ფრანკს მოაქვს შემდეგი მაგალითები: ა) იარაღის დატენვა და დამიზნება, მისი გაგებით, წარმოადგენს განზრახ მკვლელობის შემადგენელ ქმედებას; ბ) ხელის წაღება საგნისაკენ განიხილება, როგორც ქურდობის შემადგენელი ქმედება; გ) ხელის აწევა დასარტყმელად ფასდება, როგორც ჯანმრთელობის დაზიანების ერთიანი აქტი, ხოლო მოსამზადებელ ქმედებებს იგი მიაკუთვნებს დამნაშავის მიერ დანაშაულის საშუალების მომზადებას, შესაფერისი ვითარების გამოძებნას, დანაშაულის ადგილზე გამგზავრებას და იქ ჩასაფრებას.

ამ თეორიის ნაკლად მიიჩნევენ იმას, რომ „აუცილებელი კავშირის" ცნება ძალზედ აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მეცნიერი, როგორიც იყო, მაგალითად, ჰიპელი, ამ ცნების ნაცვლად იყენებდა „უშუალო კავშირის" ცნებას, რომლის დახმარებით იგი შეეცადა დასახელებული ცნების კონკრეტიზაციას. ამას გარდა, ფრანკი თავის ფორმულაში ასევე არ აკონკრეტებდა „ბუნებრივი თვალსაზრისის" ცნებას. ამიტომ, მეცნიერები სვამენ შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რას უნდა დაეფუძნოს „ბუნებრივი თვალსაზრისი", რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, ობიექტური დამკვირვებლის აზრი, თუ დამნაშავის გეგმა? ფრანკი ამ კითხვებზე დადუმდა და საკითხის გადაწყვეტა სასამართლო პრაქტიკას მიანდო.[391]

მიუხედავად კრიტიკისა, შესაძლებელია ითქვას, რომ „ფრანკის ფორმულის" ძირითადი იდეა დღესაც ცოცხალია.[392]

1. 1.5. საფრთხის შემქმნელი თეორია

„მატერიალურ-ობიექტურ თეორიებში" „საფრთხის თეორია" ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ობიექტური თეორიის მომხრეებისათვის საფრთხის ცნება ყოველთვის მიმზიდველი იყო. როგორც უკვე აღინიშნა, ფოიერბახი იყო პირველი, რომელმაც მცდელობა როგორც ობიექტურად საშიში ქმედება, ისე განმარტა. ეს თეორია ძირითადად ორგვარად წარმოჩინდება: ა) პირველი, ე. წ. უძველესი, ან უფრო ზუსტად **„აბსტრაქტულ-ობიექტური თეორიის"** სახით, რომელიც ფოიერბახიდან და მიტერმაიერიდან მომდინარეობს და რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს აბსოლუტურად და შედარებით უვარგის

389 იხ.: *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 46; *Treplin*, ZStW 76 (1964), გვ. 463.

390 *Frank*, Strafgesetzbuch (1931), გვ. 87. ციტირებულია *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 46.

391 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 46-47.

392 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1490.

მცდელობებს და ბ) მეორე, შედარებით ახალი, **„კონკრეტულ-ობიექტური თეორიის"** სახით, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უვარგისი მცდელობის საკითხის გადასაჭრელად, არამედ ასევე დანაშაულის მცდელობის ათვლის კრიტერიუმის განსაზღვრის თვალსაზრისით.[393]

დასახელებული თეორიის თანახმად, საფრთხე არის ***ობიექტური მასშტაბი*** სხვადასხვა ქმედებების შესაფასებლად, ამიტომ შეუძლებელია მცდელობის საკითხის ახსნა ობიექტური მასშტაბის გარეშე.

ამის მიუხედავად, საფრთხის ცნება დანაშაულის მცდელობის განსაზღვრისას წარმოშობს მრავალ შეკითხვას: მაგალითად, როგორ უნდა განისაზღვროს საფრთხე, ობიექტური დამკვირვებლის მასშტაბით, თუ თავად დამნაშავის შეფასებით. ასევე საკითხავია, საფრთხე დანაშაულის დროისთვის ცნობილი ფაქტებით უნდა განისაზღვროს, თუ შესაძლებელია, რომ მოგვიანებით აღმოჩენილი გარემოებებიც იქნეს მხედველობაში მიღებული? ამ პრობლემის მოსაგვარებლად ***ლისტმა*** წარმოადგინა **„მოვლენების დამატებითი განჭვრეტის"** ფორმულა (*nachträglichen Prognose*), რომლის მიხედვითაც, მოსამართლე ქმედების განხორციელების თვალსაზრისით, უკან უნდა დაბრუნდეს და იმ დროისათვის საყოველთაოდ აღიარებული ან მხოლოდ დამნაშავისათვის ცნობილი გარემოებები მიიღოს მხედველობაში. ეს მეთოდი ცნობილია ასევე **„ex-ante-შეფასების"** მეთოდის სახელწოდებით. დასახელებული მეთოდის უკეთ გასაგებად გამოდგება ისეთი მაგალითი, როდესაც დამნაშავეს სურს თავისი მტრის მოკვლა, მაგრამ არ იცის, რომ იარაღი, რომლიდანაც ისვრის, დასატენია. ამ თეორიის მიხედვით, იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე სასხლეტს თითს გამოკრავს, დაზარალებულს შეექმნება უდიდესი საფრთხე და მისი ქმედება მკვლელობის მცდელობად შეფასდება, ხოლო იარაღში ტყვიის არარსებობის ფაქტი, შემდგომში გადაიფარება გარემოებების მსვლელობით. ასევე, დანაშაულის მცდელობად შეფასდება იმ პირის ქმედება, რომელმაც იცის დაზარალებულის თავის არეში მიყენებული მძიმე დაზიანების შესახებ და მოკვლის მიზნით, მსუბუქად არტყამს სნორედ იმ ადგილას.[394]

ლისტი მიუთითებს იმაზე, რომ არასაშიში ქმედება მცდელობას არ წარმოადგენს და, შესაბამისად, იგი არ ისჯება,[395] ხოლო ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არასაშიშად, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ელემენტის, განსაკუთრებით დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება საერთოდ შეუძლებელია. არასაშიში ქმედების ლისტისეულ შეფასებაში პატარა კორექტურა შეაქვს *ჰიპელს*. მისი აზრით, შედეგის გამოწვევის მცირე შესაძლებლობა, ასევე აფუძნებს ქმედების არასაშიშ ხასიათს. ამ კორექტურით ჰიპელი ცდილობს მოსამართლის შეფასებისათვის ფართო დიაპაზონის მიცემას, თუმცა ჰიპელის პოზიციის საწინააღმდეგოდ მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ მოსამართლეთათვის ასეთი თავისუფლების მინიჭებამ, შესაძლებელია, ბრალდებულთა დაუსჯელობა გაზარდოს.[396]

---

393 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 47.
394 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 48-49.
395 იხ. *Hirsch*, JZ (2007), გვ. 496.
396 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 50.

ex ante შეფასების მეთოდის გამოყენების მომხრეა ასევე *შპენდელი*. მას მიაჩნია, რომ საშიში მცდელობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ განსაზღვრული ობიექტური ტენდენციის მქონე, მომავლისა და სამართლებრივი სიკეთის დარღვევისაკენ მიმართული ქმედება და არა თანამედროვე, დამნაშავისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, განსაკუთრებით კი ქმედების ობიექტი. ამის მიხედვით, მკვლელობის მცდელობა სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავეს სჯერა, რომ იგი უბრალო ჭრილობების მიყენებით დაზარალებულის მოკვლას შეძლებს და როდესაც მისი ქმედება „**ex post**~ საშიში აღმოჩნდება მსხვერპლისათვის გაუთვალისწინებელი, სისხლის ცუდი შედედების გამო. ასეთი მსჯელობა სწორად არ მიაჩნიათ მეცნიერებს. ისინი მიუთითებენ, რომ თუ სისხლის სამართლის დოგმატიკა ამ ლოგიკას გაჰყვება, მაშინ დამთავრებულ მკვლელობად უნდა ჩათვალოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც, მაგალითად, მოკვლის განზრახვით ა. წვიმიან ამინდში ქუჩაში გაუშვებს ბ, რომელსაც მეხი დაეცემა და მოკვდება.[397]

„საფრთხის თეორიამ", ობიექტური თეორიების სხვა გამოვლინებებთან შედარებით, უპირატესობა მოიპოვა, რადგან იგი საფრთხის ცნებით ობიექტური შერაცხვის შესახებ მოძღვრებასთან შესაბამისობაში მოვიდა და ამით იგი დანაშაულის შემადგენლობის მოძღვრების დოგმატურ საფუძველს სრულად შეეწყო.[398]

„საფრთხის თეორიის" სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნა შედეგის დადგომის ალბათობის ხარისხის გათვალისწინებით, მართალია, მცდელობის დასჯადობის ძირითად საფუძვლად განიხილება, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მომზადებიდან ქმედების განხორციელებაზე გადასვლის გადამწყვეტ კრიტერიუმად, ვინაიდან საფრთხე არა მხოლოდ განხორციელების დაწყების შედეგად წარმოიშობა, არამედ უკვე პირველივე მოსამზადებელი საქმიანობის დროსაც არსებობს და იგი თანდათანობით იზრდება.[399] ამასთან, მართალია, კონკრეტული საფრთხე შეიძლება უფრო გამოდგეს გამიჯვნის კრიტერიუმად, მაგრამ ნებისმიერი მცდელობა არ არის კონკრეტული საფრთხის შემცველი იმ გაგებით, როგორითაც ეს ცნება დღეს ესმით.[400]

დამატებითი სირთულე წარმოიშობა მაშინ, როდესაც საფრთხის შეფასების კრიტერიუმის გამოყენებას საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ექნება ადგილი. ვინაიდან ამ დელიქტებში დანაშაულის შემადგენლობა უკვე სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნის მომენტიდან დამთავრებულია, ამიტომ ძალზედ რთულია ამ დელიქტებში მცდელობისა და დამთავრების გამიჯვნა.[401]

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ, რაც გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებელმა უვარგისი მცდელობის დასჯადობის რეგულირება კანონმდებლობით მოახდინა (გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფი აწესრიგებს მცდელო-

397 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 342.
398 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 341.
399 იხ. *Treplin*, ZStW 76 (1964), გვ. 464.
400 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 341.
401 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 52.

ბის, მათ შორის, უვარგისი მცდელობის, დასჯადობის საკითხებს), მას შემდეგ მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ სამართლებრივი სიკეთისათვის (უშუალო, ახლო, კონკრეტული და ა.შ.) საფრთხის შექმნით შეუძლებელია მცდელობის დასჯადობის დასაბუთება.[402]

1. 1.6. ხელყოფის თეორია

„ხელყოფის თეორია" (*Angriffstheorie*) „საფრთხის თეორიის" ერთ-ერთი სახეა, რომლის მთავარ წარმომადგენლად ითვლება ***მაქს ერნსტ მაიერი***. მართალია, იგი საფრთხის ცნებას ძირითად ცნებად განიხილავს, მაგრამ ამავდროულად მას მიაჩნია, რომ იგი მცდელობისათვის სერიოზულ პრობლემასაც წარმოადგენს, გამომდინარე იქედან, რომ მისი ზუსტად განსაზღვრა არც კანონმდებელს და არც მეცნიერებას და მითუმეტეს სასამართლო პრაქტიკას არ ხელეწიფება. სწორედ ეს პრობლემები აძლევდა მაიერს იმის საბაბს, რომ მოეძებნა საფრთხის კრიტერიუმის მსგავსი, თუმცა უფრო პრაქტიკული კრიტერიუმი. მან მცდელობის დადგენის გადამწყვეტ ნიშნად **ხელყოფის** არსებობა მიიჩნია (ეს კრიტერიუმი დაკონკრეტების გარეშე პირველად ***ბაუმგარტენმა*** დაასახელა). მეცნიერის თქმით, *ხელყოფის პირველივე აქტი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას*, ხოლო ხელყოფის კრიტერიუმად, ანუ იმის განსასაზღვრავად, თუ უშუალოდ როდის იწყება ხელყოფა, მაიერი ასახელებს ***აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების მომენტს***. ამ შეხედულებას არ მოჰყოლია დიდი გამოხმაურება მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში (ერთადერთი მეცნიერი ვინც ამ შეხედულებას გამოეხმაურა იყო ***ჯაკობსი***). ამის მიზეზად გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, ერთი მხრივ, ასახელებენ იმას, რომ დანაშაულის მცდელობის და აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტებს განსხვავებული დასაბუთება გააჩნია,[403] ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების მომენტით დანაშაულის მცდელობის დაწყების განსაზღვრა პრობლემატურია, რადგან თავად აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების ზუსტი დროის განსაზღვრის საკითხი ისევე სადავოა, როგორც ამას მცდელობის დროს აქვს ადგილი.[404]

თანდათანობით მოხდა „საფრთხის თეორიის" მოდიფიცირება, რის შედეგად, ამ თეორიის ფარგლებში უკვე საუბარია არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე, არამედ სამართლის ობიექტთან ხელყოფის ურთიერთობაზე.[405]

სწორედ ამის გაგრძელებაა ის შეხედულება, რომელიც დიდ მონონებას იმსახურებს სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში და რომლის მიხედვით, ქმედება დანაშაულის მცდელობად განიხილება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი „დაზარალებულის დაცულ სფეროში" შეაღწევს.[406]

---

402 იხ. *Kratzsch*, JA (1983), გვ. 424.

403 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 53.

404 ამ საკითხზე დაწვრილებით მსჯელობს როქსინი, იხ. *Roxin* (1985), გვ. 137-149.

405 იხ. *Treplin*, ZStW 76 (1964), გვ. 461. გერმანული სისხლის სამართლი დანაშაულის ობიექტად მიიჩნევს, მაგალითად, ნივთს.

406 იხ. *Roxin*, JuS (1979), გვ. 4.

1. 1.7. ობიექტური თეორიების შეფასება

„ობიექტური თეორიების" შეფასებისას, პირველ რიგში, აუცილებელია თავად ტერმინზე „ობიექტური თეორია" გამახვილდეს ყურადღება, რადგან გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიაჩნიათ, რომ ტერმინი „ობიექტური თეორია" ზუსტად ვერ პასუხობს დასახელებული თეორიის ჯგუფში შემავალი თეორიების მნიშვნელობას, რადგან ყოველი „ობიექტური" თეორია თავის თავში სუბიექტურ ელემენტებსაც მოიცავს. მაგალითად, განზრახვა და დანაშაულის გეგმა, ყველა ობიექტური თეორიის მიხედვით, მნიშვნელოვანია მცდელობის განსაზღვრისათვის, ამიტომ მეცნიერები გამოთქვამენ აზრს იმის თაობაზე, რომ უმჯობესი იქნება, თუ კი „ობიექტური თეორიის" ჯგუფში შემავალ თეორიებს **„საფრთხის თეორიები"** ეწოდება (*Gefährlichkeitstheorie*), ან ამ თეორიებში ობიექტური ნიშნების *გადამწყვეტ (უპირატეს) ხასიათს* გაესმება ხაზი, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სუბიექტური ელემენტების დაკნინების თავიდან აცილებას.[407]

„ობიექტური თეორიების" განხილვამ აჩვენა, რომ მათ მიმდევრებს „ქმედების განხორციელების დაწყება" ობიექტურად ესმით.[408] თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ „ობიექტურობა" ამ თეორიის წარმომადგენლებმა სხვადასხვანაირად გაიგეს. მაგალითად, „წმინდა ობიექტური თეორიის" მომხრეებისთვის მთავარია, რომ ობიექტურად საშიში ქმედება ობიექტურ გარესამყაროში იყოს საშიში, ხოლო ***ლისტის*** მიერ წარმოდგენილი **„მოვლენების დამატებით განჭვრეტის"** ფორმულის მიხედვით, საკმარისია დამნაშავემ იცოდეს, რომ ქმედება, რომელსაც ის ახორციელებს, ობიექტურად საშიშია. შესაძლებელია, ლისტი ამით ობიექტურში სუბიექტური ელემენტების შემოტანას ცდილობდა, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, ***შპენდელი*** საპირისპიროს მიუთითებს და ამბობს, რომ ლისტი დანაშაულებრივი შედეგის და დანაშაულებრივი ნების გათვალისწინებით, არა თუ მათ კომბინირებას ცდილობს, არამედ ობიექტურ და სუბიექტურ გაგებას ერთმანეთთან აპირისპირებს.[409]

1975 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, ობიექტურმა მოძღვრებამ უფრო და უფრო უკან დაიხია და გზა „სუბიექტურ თეორიებს" დაუთმო.[410] თუმცა, „ობიექტურ თეორიებს" მაინცდამაინც არც ადრე სწყალობდა ბედი. ცნობილია, რომ რაიხის სასამართლომ სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ, უკანონო აბორტის მცდელობისათვის დასაჯა ქალი, რომელიც შეცდომით თვლიდა, რომ ფეხმძიმე იყო და შეეცადა სრულებით უვნებელი საშუალებით, კერძოდ, ჩაის ნაყენით ნაყოფის მოცილებას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განსაზღვრა დანაშაულებრივ ნებაზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ აქ ერთდროულად ადგილი ჰქონდა უვარგის ობიექტს და უვარგის საშუალებას.[411]

---

407 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 340.
408 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 55.
409 იხ. *Spendel*, ZStW 65 (1953), გვ. 533.
410 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 55.
411 იხ. *Spendel*, ZStW 65 (1953), გვ. 522.

საბოლოო შეფასებისათვის შეიძლება ითქვას, რომ

ა) „ობიექტური თეორია" მცდელობის დასჯადობის სამართლებრივ საფუძველს ქმედების ობიექტთან ახლოს მდგომ საფრთხეში ხედავს.

ბ) „ობიექტურმა თეორიამ" უარყო უვარგისი მცდელობის დასჯადობა.

გ) შედეგის არარსებობის გამო, „ობიექტურმა თეორიამ" მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებას მიაღწია.[412]

1. 2. სუბიექტური თეორიები

„სუბიექტური თეორიის" მომხრეთა აზრით, ქმედების დასჯადობას აფუძნებს არა ქმედების ობიექტურად გამოვლენის მომენტი, არამედ დამნაშავის სუბიექტური ნება.[413] მაგრამ უბრალო დანაშაულებრივი ნება საკმარისი არ არის მცდელობის დასჯადობისათვის ***„cogitationis poenam nemo patitur"***, არამედ დასჯადობის წინაპირობას დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს. „სუბიექტური თეორიის" მიმდევრები მხოლოდ იმის შესახებ დავობენ, თუ როგორი და რა მოცულობის უნდა იყოს ნებელობითი საქმიანობა, რომ მისი დასჯადობა შესაძლებელი გახდეს.[414]

1. 2. 1. ბურის თეორია

„სუბიექტური თეორიის" მამამთავრად ***ბური*** მიიჩნევა. იმ დროს, როდესაც სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და მეცნიერებაში გაბატონებული იყო „ობიექტური თეორია", ბურმა თავისი შეხედულების გამყარება მაინც მოახერხა. ბურის მოძღვრების მიხედვით, მცდელობაში არ გაიგება რეალურად, ობიექტურად დაუმთავრებელი ქმედება, არამედ ქმედების დაუმთავრებელი ხასიათი მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენაშია. მცდელობის დროს, რაც შეკითხვას არ ბადებს, ადგილი აქვს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისაკენ მიმართულ ნებას. სწორედ ეს ნება, ბურის შეხედულებით, წარმოადგენს მცდელობის დასჯადობის საფუძველს.[415]

ბური ხელყოფისაკენ მიმართულ ნებას მცდელობისათვის გადამწყვეტ ნიშნად აფასებდა. მცდელობის ობიექტურ ელემენტებს იგი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან მცდელობას დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა არ გააჩნია.[416] ბური ვარგის და უვარგის მცდელობებს შორის განსხვავებას ვერ ხედავდა, რადგან, მისი თქმით, ყოველი მცდელობა **ex post** ფასდება. ბური იყო ერთ-ერთი მეცნიერი, რომელიც **ირეალურ მცდელობას** დასჯადად მიიჩნევდა.[417]

---

412 იხ. *Jescheck*, AT (1996), გვ. 513.

413 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 19-20.

414 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 59.

415 იხ. იქვე.

416 იხ. *Hirsch*, JZ (2007), სქოლიო 12, გვ. 495.

417 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 60.

1. 2. 2. ნების ობიექტივაციის თეორია

ეს მოძღვრება (*„dolus ex re“*) ერთ-ერთ უძველეს „სუბიექტურ თეორიად“ მიიჩნევა. ამ თეორიის მიხედვით, მცდელობა მაშინ არის სახეზე, როდესაც დანაშაულებრივი ნება ქმედებაში არაორაზროვნად (ერთმნიშვნელოვნად) მანიფესტირდება. მაშასადამე, როდესაც ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ დანაშაულებრივი ნება დანაშაულის შედეგისკენ არის მიმართული. ამიტომ, ამ მოძღვრებას *„ნების ობიექტივაციის თეორია“* ეწოდება. ამ თეორიის მიხედვით, შესაძლებელია, ქმედება ქურდობის მცდელობად ჩაითვალოს უკვე მაშინ, როდესაც დამნაშავეს სახლში შეღწევის სურვილი გაუჩნდება. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ სამართლიანად მიუთითებენ მეცნიერები, რომ არ შეიძლება ქმედების განხორციელების დაწყება განზრახვის იდენტური იყოს. მათი აზრით, დასახელებული თეორია უხეშად არღვევს პოზიტიური სამართალის მოთხოვნებს.[418]

1. 2. 3. მოწონების თეორია

„მოწონების თეორიის“ (*Feuerprobetheorie*) წარმომადგენელი არის ***ბოკელმანი.*** მისი აზრით, დანაშაულის მცდელობა მაშინ არის სახეზე, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა კრიტიკული სიტუაციის გამოცდას გაუძლებს. კრიტიკულ სიტუაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე გარკვეული ამოცანის წინაშე დგას, რომელიც გულისხმობს დამნაშავის მიერ ქმედებისათვის ხელის მოკიდებას და ქმედების შემადგენლობის განხორციელებისაკენ წაყვანას. ეს ხდება წამში, სადაც ბოლო განსაზღვრული გადაწყვეტილებით ქმედება მოწონებულ იქნება. ის, რაც ამ წამში მოხდება, დანაშაულის მცდელობას ნარმოადგენს. თუ რა მოიაზრება „კრიტიკულ სიტუაციაში“ და „საბოლოო გადაწყვეტილებაში“, შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული. ამიტომ, გაუპატიურების მცდელობად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე ბავშვს შეიტყუებს იმ ადგილზე, სადაც მას დანაშაულის ჩადენა აქვს ჩაფიქრებული.[419] მოწონება, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება, შესაძლებელია, განცდილი იქნეს, ქმედების უშუალო დაწყებამდე ან მისი დაწყების შემდეგ.[420]

ბოკელმანს მიაჩნია, რომ წინააღმდეგობრივია საკითხი იმის შესახებ, როდესაც მცდელობის და მომზადების გამიჯვნის საკითხი ობიექტური კრიტერიუმით ნყდება, ხოლო უვარგისი მცდელობის საკითხი სუბიექტური კრიტერიუმით ფასდება. ის, რომ გამიჯვნის და უვარგისი მცდელობის საკითხი ერთი მედლის ორი მხარეა, სასამართლო პრაქტიკა ხშირად მხედველობაში არ იღებს. ბოკელმანისთვის ნათელია, რომ დასახელებული საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია ერთი და იგივე შეხედულებით. მცდელობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტ კრიტერიუმად ბოკელმანი დანაშაულებრივ განზრახვას მიიჩნევს. მკვლელობის მცდელობის დროს ქმედებები (იარაღის დატენვა, იარაღის დამ-

418 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 60-62.
419 იხ. *Bockelmann*, JZ (1954), გვ. 473.
420 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 373.

იზნება, იარაღზე დამცავის მოხსნა) დანაშაულის მცდელობად მხოლოდ მაშინ განიხილება, როდესაც დამნაშავე ბოლომდე დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილების განხორციელებაში. ცხადია, რომ ასეთი შინაგანი პროცესის ობიექტურად გასინჯვა მეტად რთულია.[421]

ამ თეორიის „აქილევსის ქუსლი" სწორედ ის არის, რომ აქ, არა მარტო მტკიცების პრობლემა წამოიჭრება, არამედ, შესაძლებელია, ასევე ადგილი ჰქონდეს ქმედების შეფასებისას სხვადასხვაგვარ შედეგებს. მაგალითად, როდესაც ქურდს შემთხვევის ადგილზე ჩამოუყალიბდება დანაშაულის ჩადენის საბოლოო, გადამწყვეტი ნება, იგი მცდელობისათვის უნდა დაისაჯოს? მაშინ, როდესაც თანამედროვე შეფასებით, შემთხვევის ადგილზე მისვლა, მხოლოდ დანაშაულის მომზადებად განიხილება. ბოკელმანის მიერ წარმოდგენილ შეხედულებაში ობიექტური კრიტერიუმი დასახელებული არ არის. იგი ნათლად აღნიშნავს, რომ მისი ფორმულა მხოლოდ დამნაშავის სულიერ კონსტიტუციას ერგება და არა გარეგნულ სიტუაციებს. თუ რა შედეგი შეიძლება ჰქონოდა ამ თეორიას, თავად ბოკელმანმა დაინახა და ალბათ, ამიტომაც მისი წიგნის ბოლო გამოცემაში ეს თეორია აღარ სახელდება.[422]

1. 2. 4. დარწმუნების თეორია

„დარწმუნების თეორია" (*Die Unwiderruflichkeitstheorie*), რომელიც „მოწონების თეორიის" მონათესავე თეორიაა, განავითარა ***მაქს ვაიბლინგერმა***. ამ თეორიის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავეს ქმედების ჩადენა ისეთი „მტკიცე კატეგორიულობით" აქვს გადაწყვეტილი, რომ ქმედების განხორციელებაზე უარის თქმა უკვე გამორიცხულია. კითხვაზე, თუ როდის არის დამნაშავისთვის უარის თქმა გამორიცხული, შესაძლებელია, არსებობდეს სამი პასუხი: ა) როდესაც ხდება დამნაშავის მიერ თავისი ქმედების პერსონალური შეფასება, ბ) როდესაც მას აფასებს ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მესამე პირი და გ) როდესაც ამ შეფასებას ადგილი აქვს დამნაშავის პიროვნების სტრუქტურისა და კონკრეტული გარემოებების მიხედვით. ვაიბლინგერმა მესამე პასუხი მიიჩნია მნიშვნელოვნად, ვინაიდან, მისი თქმით, იგი შეესაბამება თანამედროვე სისხლის სამართლის აზროვნებას, თუმცა ამ თეორიის ნაკლი ის არის, რომ, თუ დამნაშავის პიროვნულობა გადამწყვეტ კრიტერიუმად მიიჩნევა, მაშინ ორი სხვადასხვა დამნაშავის ერთნაირი ქცევა სხვადასხვანაირად იქნება შეფასებული,[423] რაც დაუშვებელია. (ე. ი. როდესაც დამნაშავე ქმედების განხორციელების დროს ჭოჭმანობს და ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, მისი ქმედება განსხვავებულად უნდა შეფასდეს, ვიდრე მეორე დამნაშავის ქმედება, რომელიც ასევე მსგავს ქმედებას ჩადის).

---

421 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 63.
422 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 64.
423 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 65.

1. 2.5. სუბიექტური თეორიების შეფასება

„სუბიექტური თეორიების" ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი აშკარად სცილდება ქმედების სისხლის სამართალს და **აზრის სისხლის სამართალზე** დადის.[424] „სუბიექტური თეორიების" მიხედვით, მცდელობის დასჯადობის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის გარეგნულად გამოხატულ ბოროტ ნებაში დევს. დამნაშავეს უნდა რაღაც „ცუდი" გააკეთოს და იგი მხოლოდ ამის გამო უნდა დაისაჯოს,[425] ანდა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება შეიძლება არ იყოს ნებადართული.[426]

წმინდა „სუბიექტური თეორიების" საფუძველზე ადგილი აქვს 1) მომზადების ხარჯზე მცდელობის სფეროს გაუმართლებელ გაფართოებას, 2) აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას და 3) დანაშაულის მცდელობის და დამთავრებული დანაშაულის ერთნაირად დასჯადობის აღიარებას, რადგან ორივე შემთხვევაში თანაბარად აქვს ადგილი დანაშაულებრივ ნებას. დღეისათვის წმინდა „სუბიექტური თეორიები" მხარდაჭერით აღარ სარგებლობენ, რადგან გერმანიის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფში დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყების ობიექტურმა მომენტმა ჰპოვა ასახვა.[427] მიუხედავად ამისა, ზოგიერთ გერმანელ მეცნიერს დღესაც მიაჩნია, რომ გერმანელმა კანონმდებელმა სსკ-ის 22-ე პარაგრაფში მოცემული მცდელობის საკითხი „სუბიექტური თეორიის" სასარგებლოდ გადაწყვიტა.[428]

1. 3. მცდელობის შერეული თეორიები

„შერეული თეორიებს" მიეკუთვნება ყველა ის მოძღვრება, რომელიც „ობიექტურ" და „სუბიექტურ თეორიებს" შორის იკავებს ადგილს. ამ თეორიების ნარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მცდელობის პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ნმინდა „ობიექტურ თეორიებზე" ან მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებებზე დაყრდნობით არ შეიძლება. „შერეული თეორიები" ცდილობენ შუალედური პოზიცია დაიკავონ და ამით ხელი შეუწყონ უკიდურესად დაშორებული პოზიციების ერთმანეთთან დაკავშირებას.[429]

1. 3. 1. ბაუმანის თეორია

ბაუმანის თეორია იმით არის ცნობილი, რომ მცდელობის განსაზღვრისას იგი „ფრანკის ფორმულას" დაეყრდნო და ამავდროულად ობიექტური დამკვირვებელიც მოიშველია, რომელიც კარგად იცნობს დამნაშავის გეგმას. ამ ხერხს ბაუმანმა მიმართა იმის გამო, რომ ადვილად მოეხერხებინა დანაშაულის

424 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1410.
425 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 284.
426 იხ. *Münchener Kommentar* (2011), გვ. 984.
427 იხ.: *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 513-514; *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1400; *Rath*, Jus (1998), გვ. 1008.
428 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1407.
429 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 73.

მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.[430]

1. 3. 2. დანაშაულებრივი გეგმის თეორია

„დანაშაულებრივი გეგმის თეორიის" (*Die Tatplantheorie*) ნარმომადგენლებს, *შროდერს* და *ბუშს* მიაჩნიათ, რომ ქმედების განხორციელებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავის ერთიანი გეგმის მიხედვით, მასში ასახული დანაშაულებრივი ნება, უშუალოდ საფრთხეს უქმნის დანაშაულის ობიექტს. შროდერმა ნათლად მიუთითა იმაზე, რომ მცდელობის მასშტაბი არის დამნაშავის ერთიანი გეგმა. თუმცა *ეზერი*, რომელიც ასევე ამ თეორიის მიმდევრად ითვლება, დამნაშავის გეგმას განიხილავს, როგორც ქმედების შეფასების საფუძველს და არა როგორც მისი შეფასების მასშტაბს. მისი აზრით, მასშტაბი ობიექტური უნდა იყოს და ამისათვის იგი ირჩევს საფრთხის კრიტერიუმს. ამიტომ იგი ცდილობს აქცენტი ამ თეორიის ობიექტურ ნიშანზე გადაიტანოს. ეზერი დასახელებულ თეორიას *„ინდივიდუალურ-ობიექტურ თეორიადაც"* მოიხსენიებს.[431]

„დანაშაულებრივი გეგმის თეორიის" გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს *„ველცელის ფორმულა"*, რომლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა იწყება იმ საქმიანობით, რომლითაც დამნაშავე თავის დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელებას შეუდგება. თუკი დატენილი რევოლვერის ამოღება მკვლელობის განხორციელების დაწყებად ითვლება, ასე საკითხი მხოლოდ დამნაშავის გეგმის დახმარებით წყდება. ამ თეორიის დადებითი მხარე ის არის, რომ მან მოახდინა მცდელობის ორი მნიშვნელოვანი ელემენტის, დანაშაულებრივი გადაწყვეტილებისა და ქმედების დაწყების მომენტის კომბინირება.[432]

1. 3. 3. ბრალისა და სასჯელის ერთიანობის თეორია

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი ქმედების მცდელობად შერაცხვის კრიტერიუმად **დამნაშავის საშიშროებას** მიიჩნევს. ამ შეხედულებამ ადგილი ჰპოვა **ლანგეს „დამნაშავის თეორიაში"**, იგივე **„ბრალისა და სასჯელის ერთიანობის თეორიაში"** (*Die Vereinigungstheorie*).[433]

ამ თეორიის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქმედება სამართლებრივი სიკეთისათვის საშიშია, ან როდესაც ამ სიკეთისათვის საფრთხეს თავად დამნაშავე წარმოადგენს. ამ თეზისის დასაცავად მოცემული თეორიის წარმომადგენლები იშველიებენ შემდეგ არგუმენტებს:

ა) „ბრალეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი" გულისხმობს დასჯადობის დაწესებას არა დანაშაულებრივი შედეგისათვის, არამედ დამნაშავის ქმედებისათვის;

ბ) თანამედროვე სისხლის სამართლის მიზანი ქმედების დასჯაში კი არ

---

430 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 67.

431 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 73-74.

432 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 78.

433 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 79.

დევს, არამედ იგი უფრო სპეციალური და გენერალური პრევენციის ბუნებაში ვლინდება. მაშასადამე, დამნაშავე თავისი ქმედებით არის საშიში და ამის გამო, იგი საჭიროებს დასჯას;

გ) მცდელობის დროს სასჯელის *ფაკულტატური შემსუბუქება* არც ობიექტური და არც სუბიექტური თეორიებით არ აიხსნება.[434] *ლანგე* მიუთთებდა 1956 და 1959 წლების სისხლის სამართლის კოდექსის პროექტებზე და ამტკიცებდა, რომ კანონმდებელმა მათში სასჯელის შემსუბუქების საკითხი, დამნაშავის საშიშროებაზე დაყრდნობით გაითვალისწინა.[435]

ამ არგუმენტაციას შესაძლებელია ასეთი პასუხი გაეცეს:

ა) ბრალეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს შედეგზე ორიენტირებულ ქმედების სისხლის სამართალს. გარდა ამისა, არასწორია იმის მტკიცება, თითქოს, ბრალეული სისხლის სამართალი დამნაშავის სისხლის სამართლის იდენტური იყოს;

ბ) როდესაც სასჯელის პრევენციის საკითხი წყდება, ბრალის ცნება რჩება აუცილებელ ბარიერად სახელმწიფოს ყოველგვარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. სასჯელის ზომა არ შეიძლება ბრალის ზომაზე მეტი იყოს;

გ) თუ სასჯელის ფაკულტატური შემსუბუქება წმინდა ობიექტური თეორიის სანინააღმდეგოდ საუბრობს, სასჯელის შემსუბუქება ასევე არ შეესაბამება „დამნაშავის თეორიას".[436]

„დამნაშავის თეორიას" დღემდე ჩაყავს მომხრეები. აღსანიშნავია, რომ მოცემულ მოძღვრებას როქსინმა მცირეოდენი მხარდაჭერა გამოუცხადა. ლანგეს მსგავსად, როქსინიც იცავს საფრთხის ცნებას, როგორც ქმედების ვარგის მცდელობად შერაცხვისათვის აუცილებელ კრიტერიუმს და მიუთითებს საშიშ აზრზე, რომელსაც გარკვეული ადგილი უკავია მცდელობის განსაზღვრებაში.[437]

ამასთან, როქსინს უნდა უვარგისი მცდელობის საკითხი, ერთი მხრივ, „დამნაშავის თეორიის" მიხედვით, სუბიექტური კუთხით გადაჭრას, ხოლო, მეორე მხრივ, „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიის" საფუძველზე ობიექტური თვალსაზრისით გადაწყვიტოს.[438]

ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ, თეორია, რომლიც დასჯადობის დასაბუთებას დამნაშავის საშიშროების გათვალისწინებით ცდილობს, არღვევს ქმედების პრინციპს, ვინაიდან დამნაშავის საშიშროების კონცეფცია არ შეესაბამება ქმედების სისხლის სამართალს. ამიტომ ასეთი თეორია ქმედების სისხლის სამართლისთვის მიუღებელია.[439]

---

434 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 74-75.

435 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 79.

436 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 75-76.

437 იხ. *Roxin*. Nishihara FS (1999), გვ. 158.

438 იხ. *Roxin*. Nishihara FS (1999), გვ. 161.

439 იხ.: *Alwart* (1982), გვ. 85; *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 76.

1. 3. 4. სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორია

მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალი თეორია ჩამოყალიბდა, რომელსაც სისხლის სამართლის ლიტერატურაში „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიის"[440] (*Eindrucksttheorie*) სახელწოდებით მოიხსენიებენ. დასახელებული თეორიის დამფუძნებლად გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი *ბარი* ითვლება. ამ მოძღვრების თანახმად, ქმედების კრიმინალური შთაბეჭდილება, რომელიც საზოგადოების ფართო წრეებში აღწევს, მცდელობის დასჯადობის ნამდვილ საფუძველს წარმოადგენს. შეფასების მასშტაბად ეს თეორია იღებს არა „შემთხვევით შემფასებელს", არამედ „გონიერ პიროვნებას" ჩვეულებრივი ინტელექტით. ამ სახით ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გასამიჯნად, არამედ ასევე ვარგისი და უვარგისი მცდელობების განსასხვავებლად და მცდელობის დასჯადობის საკითხის გადასაწყვეტად.[441]

„სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორია" მცდელობის დასჯადობის საფუძვლად ქცევის ნორმისადმი დაპირისპირებულ ნებელობით საქმიანობას მიიჩნევს. დანაშაულის განხორციელებისაკენ მიმართული ქმედების დასჯადობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამ ქმედების შედეგად, დაირღვა მართლწესრიგი.[442]

შთაბეჭდილება, როგორც საზოგადოებაში წესრიგის დარღვევით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური განცდა, სისხლის სამართალში მცდელობის დაწყებაში უნდა გამოიხატებოდეს. ნორმის დარღვევით გამოწვეული შთაბეჭდილება, როგორც დამატებითი სოციალური პასუხისმგებლობა, უმეტეს შემთხვევებში აიხსნება, როგორც ფაქტობრივ-სოციალური შეფასებით, ასევე ფაქტობრივ-სუბიექტური და ფაქტობრივ-ობიექტური მომენტებით. ცალკეულ შემთხვევებში, ობიექტურ-ნატურალისტური კრიტერიუმი (სამართლებრივი სიკეთისათვის ობიექტური საფრთხის შექმნა) შთაბეჭდილების მომხდენია და, შესაბამისად, უმართლობის განმსაზღვრელიც, მაგრამ ზოგჯერ მათ არც კი ექცევა ყურადღება.[443]

ამ თეორიის დამცველები მიუთითებენ იმაზე, რომ ვინაიდან გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის თანახმად, დანაშაულის მცდელობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე ქმედების განხორციელებას უშუალოდ შეუდგება, ამიტომ აუცილებელია პასუხისმგებლობის გამოყენება. ვინაიდან უბრალო მოსამზადებელი ქმედებები უმეტესად დაფარულია, ამიტომ, როგორც წესი, ამ დროს საზოგადოებრივი წესრიგი ისე არ ირღვევა, რომ სასჯელის გამოყენება გახდეს აუცილებელი.[444]

ამასთან, გასაგებია, რომ აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისას, შესაძლებელია, სასჯელი არც კი იქნეს გამოყენებული (გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი), ხოლო შეფარდებით უვარგისი მცდელობისას (მაგ-

440 იხ. *Rath*, Jus (1998), გვ. 1008.
441 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 78.
442 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 514.
443 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 93-94.
444 იხ. *Roxin*, JuS (1979), გვ. 1.

ალითად, ჩახმახისათვის თითის გამოკერა, მაშინ როდესაც იარაღში ტყვია არ დევს) საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო, ქმედება დაისჯება ან მისთვის სასჯელი შემსუბუქდება.[445]

სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიას" აკრიტიკებს. მაგალითად, **ველინგი** მიუთითებს იმაზე, რომ ქმედებას, რომელსაც სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხე ჯერ არც კი შეუქმნია, არ შეუძლია საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვიოს.[446]

„სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიის" კრიტიკისათვის ასევე მიუთითებენ იმაზე, რომ აღნიშნული თეორია საკმარისად არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ისჯება უმართლობა მხოლოდ კონკრეტული ფორმით და არა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევით გამოწვეული შთაბეჭდილება.[447]

იაკობსი აკრიტიკებს რა „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიას", აღნიშნავს, რომ ამ მოძღვრების პრობლემა მდგომარეობს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, მის ყალბ ფორმულირებაში, არამედ სოციალური სინამდვილის ფაქტობრივ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და ნატურალისტური გაგების სისხლის სამართლთან გაიგივებაში. სისხლის სამართალი კრძალავს არა სოციალურ-ფსიქოლოგიურად არამყარ ქცევის სახეებს, ანომალიურ „ქმედებებს", არამედ ქცევებს, რომლებიც ქმედების შემადგენლობის ფარგლებში თავსდება. იაკობსის თქმით, მოსამართლემ ქცევა არა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად უნდა შეაფასოს.[448]

„სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიის" ნაკლზე **ჰილენკამპიც** მიუთითებს. იგი აღნიშნავს, რომ „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიაზე" დაფუძნებული შეხედულებები გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფით გათვალისწინებული თანამონაწილეობის მცდელობის შემთხვევების დასჯადობას ვერ ასაბუთებს და ამიტომ ამ შეხედულებებს ნორმის განმარტება, ანუ იმის დადგენა, თუ რატომ გადაწყვიტა კანონმდებელმა ასე, ფაქტობრივად არ შეუძლიათ.[449]

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა **„სოციალურ-ადეკვატურობის პრინციპი"**, რომლის მიხედვით, ქმედებები, რომლებიც სოციალური მართლწესრიგის ფარგლებში არის მოთავსებული, დანაშაულის შემადგენლობაში არასოდეს ხვდება. სოციალურად ადეკვატურია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკურ ნესრიგში ჰპოვებს ადგილს. მართლწესრიგში სოციალურ-ადეკვატური ქმედებები მაშინაც კი არ წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობას მიკუთვნებულ ქმედებებს, როდესაც ისინი სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ. ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ომიანობის დროს, რა დროსაც განხორციელებული ქმედებები მხოლოდ მაშინ გადაიქცევიან დელიქტურ შემადგენლობებად, როდესაც

445 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. გვ. 95.
446 იხ. *Vehling* (1991), გვ. 60.
447 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. გვ. 95.
448 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 98.
449 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1381.

ისინი ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯებს.[450]

1. 3. 5. შერეული თეორიების შეფასება

„შერეული თეორიების" დადებით მხარეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ მცდელობის პრობლემის გადაჭრა შესაძლებლად არ მიაჩნიათ მხოლოდ ობიექტური, ან მხოლოდ სუბიექტური კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ისინი მცდელობაში ორივე ელემენტის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებენ და ამით მცდელობის დასჯადობისას აღმოცენებული ხარვეზების შევსებას ცდილობენ. მაგრამ, მეორე მხრივ, რთულია „შერეული თეორიებისათვის" ერთიანი საფუძვლის პოვნა. მაგალითად, რა საერთო აქვთ „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა" და „დანაშაულის გეგმის თეორიას"? პასუხი ასეთია: არაფერი. ამიტომ ერთნაირ ბაზისზე მათი დაფუძნება არასწორია. ასევე საეჭვოა, რომ ამ თეორიებიდან ყველა მათგანი ნამდვილად შუალედურ გზას დაადგა,[451] რადგან ზოგიერთი მათგანი უფრო სუბიექტური, ან უფრო ობიექტური თეორიისაკენ გადაიხარა.

§2. დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული თანამედროვე თეორიები

„უახლოესი თეორიები" ფორმალურად „შერეულ თეორიებს" ემსგავსება, ხოლო „კლასიკური თეორიებისაგან" განსხვავდებიან იმით, რომ ცდილობენ გამიჯვნის უფრო კონკრეტული კრიტერიუმის დადგენას.[452]

2. 1. ნაწილობრივ განხორციელებული ქმედების თეორია

„ნაწილობრივ განხორციელებული ქმედების თეორიის" (*Teilaktstheorie*) მიმდევარი ***რუდოლფი*** წერს, რომ დანაშაულის მცდელობას ჩადის ის, ვინც ახორციელებს ქმედებას, რომელიც ნატურალისტური გაგებით ისე ნარმოჩინდება, როგორც დანაშაულის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული შეხედულების თანახმად, მცდელობის დაწყებასა და საკუთრივ ქმედებას შორის არ უნდა არსებობდეს რაიმე მნიშვნელოვანი აქტი. დამნაშავის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობისაგან დაშორებული წინარე ქმედებები დასჯადობას არ იმსახურებს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, დანაშაულის იარაღის შეძენა ან დამზადება, დანაშაულის ადგილის გამოძებნა ან დანაშაულის ადგილზე ყოფნა, ასევე ადგილის უბრალო დაზვერვა (ინფორმაციის მოგროვება) და დანაშაულის ჩასადენად მოსახერხებელი ვითარების შექმნა.[453]

ამ თეორიის მიხედვით, მცდელობა არის ბოლო აქტი, რომელიც ქმედების შემადგენლობის განხორციელების წინ დგას. მაგალითად, იარაღიდან ტყვიის

450 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 99.

451 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 79.

452 იქვე.

453 იხ. *Rudolphi, Günter, Horn, Samson*, §22 (2009) გვ. 15-18.

გასროლით განზრახ მკვლელობის შემადგენლობა ხორციელდება, მაგრამ, თუ კი დამნაშავის გეგმის მიხედვით, დამიზნება შეადგენს გასროლის წინ მდგომ ბოლო აქტს, მაშინ დამიზნება ავტომატურად განზრახ მკვლელობის მცდელობად ჩაითვლება.[454]

საკითხისადმი ასეთ მიდგომას ეჭვის თვალით უყურებს *როქსინი* და აღნიშნავს, რომ, თუ კი ქმედება ასე შეფასდება, მაშინ მკვლელობის მიზნით იარაღის ამოღება ჯერ კიდევ დანაშაულის მომზადებად განიხილება, ასევე ქურდობის მომზადებად შეფასდება პირის ქმედება მაშინ, როდესაც იგი მანქანის წინა სალონიდან თავდაპირველად ხელჯოხს აიღებს, რათა მისი დახმარებით უკანა სავარძელზე დადებულ ჩანთას დაეუფლოს, რადგან ეს ქმედება ბოლო აქტის წინ დგას.[455]

2. 2. როქსინის თეორია

მცდელობის პრობლემის გადასაწყვეტად როქსინი „შერეული თეორიებიდან" შედარებით ვარგის თეორიად „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიას" მიიჩნევს. ამ თეორიიდან იგი აყალიბებს ორ ისეთ კრიტერიუმს, რომელიც გადამწყვეტია მცდელობის განსაზღვრისათვის. *პირველი*, დამნაშავემ დაზარალებულთან ურთიერთობისას მის **პირად დაცულ სფეროში** უნდა შეაღწიოს, რომელიც მასში უფლების დარღვევის შთაბეჭდილებას აღძრავს, და *მეორე*, დამნაშავის ქმედებას და დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას შორის უნდა არსებობდეს ძალიან **მჭიდრო დროითი კავშირი**. თავის მოძღვრებას როქსინი **„ინდივიდუალურ-ობიექტურ თეორიას"** უწოდებს.[456]

ამ მოძღვრების მიხედვით, მცდელობის დასაბუთება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოთ დასახელებული ორივე კრიტერიუმი ერთდროულად იქნება სახეზე. მაგალითად, ა. თანაამსრულებლებთან ერთად დაგეგმა თვისი საყვარლის დაყაჩაღება მისივე ბინაში. გეგმის მიხედვით, თავდაპირველად ა. მარტო უნდა შესულიყო საყვარლის ბინაში. როდესაც იგი თავის პარტნიორთან ერთად საწოლში დაწვებოდა, გეგმის მიხედვით, თანამზრახველები კარებზე დააკაკუნებდნენ, რის შემდეგ ა. კარებს გააღებდა და ბინაში შემოსულ თანამზრახველებთან ერთად განახორციელებდა თავდასხმას. მაგრამ, დანაშაულებრივი გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან თანამზრახველები არ გამოჩნდნენ. მოცემულ შემთხვევაში, ა. და დაზარალებულს შორის მჭიდრო სივრცობრივი კავშირის მიუხედავად, სახეზე არ იყო ახლო დროითი კავშირი ა.-ს ქმედებას და ყაჩაღობის განხორციელებას შორის. ამიტომ ამ დრომდე ყაჩაღობის მცდელობა ჯერ კიდევ არ არის სახეზე.[457]

ზოგიერთი მეცნიერი როქსინის შეხედულებას აკრიტიკებს და მიუთითებს იმაზე, რომ როქსინის მიერ შემუშავებულ დანაშაულის მცდელობის დასაბ-

---

454 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 80.

455 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 374.

456 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 81. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ინდივიდუალურ-ობიექტური თეორია" ჯერ კიდევ ველცელმა დაასახელა, ამის შესახებ იხ. *Bockelmann*, JZ (1954), გვ. 472.

457 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 81.

უთების კრიტერიუმებს დამთავრებული მცდელობის შემთხვევები არ შეუძლიათ მოიცვან, არამედ დასახელებულ კრიტერიუმებს მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევების ახსნა შეუძლია.[458]

2. 3. ინტერპრეტაციის თეორია

„ფორმალურ-ობიექტურ თეორიასთან" ახლოს დგას ***ფოგლერის შეხედულება,***[459] რომელის თანახმად, შეუძლებელია ზოგადი ფორმულით მცდელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარება. დანაშაულის მცდელობის დასაბუთება შესაძლებელია ინტერპრეტაციის საფუძველზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ზოგადი კრიტერიუმის ჩამოყალიბების ნაცვლად, აუცილებელია ცალკეული დანაშაულის შემადგენლობის დეტალური განმარტება, რითაც ნორმის გამომყენებელს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაუადვილდება მცდელობის დასაბუთება. ამდენად, ფოგლერს, დანაშაულის მცდელობის დასაბუთების არეალი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან კერძო ნაწილში გადააქვს.[460]

დასახელებული შეხედულება გაკრიტიკებულია იმ მოტივით, რომ დანაშაულის მცდელობა დანაშაულის შემადგენლობით არ არის შეზღუდული, არამედ დასჯადობა ქმედების შემადგენლობის საზღვრის წინ მდგომ ქმედებაზეც ვრცელდება, ამიტომ მცდელობის დასაბუთება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის საფუძველზე, ძალზედ ზედაპირულია. დანაშაულის შემადგენლობაზე ორიენტირება მცდელობის დასაბუთების დროს სასარგებლოა მხოლოდ იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობა კონკრეტულად არის აღწერილი, მაგალითად, ქურდობის დროს. მაგრამ, გამიჯვნის დანახვა რთულია იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობას კანონმდებელი არ აღწერს, მაგალითად, მკვლელობის დროს.[461]

2. 4. კრატცშის მოძღვრება

კრატცში დანაშაულის მცდელობას, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს ისე განიხილავს.[462] იგი მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის საზღვარი იმავდროულად წარმოადგენს საზღვარს მართლზომიერებასა და დასჯად უმართლობას შორის. გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის შინაარსი, შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ დასაბუთდეს, როდესაც დასჯადი უმართლობის ნინაპირობები და საზღვრები იქნება განსაზღვრული.[463]

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გასამიჯნად კრატცშმა განავითარა თავისი თეზა *„უმართლობის ცნებაში მიზნის რაციონალურობის და სამართალგამოყენების წესის შესახებ"*, რომლის მიხედვითაც, უმართლობის ცნება და სამართალგამოყენების წესი სამართლებრივი სიკეთის ოპტიმალური

458 იხ. *Vehling* (1991) გვ. 61.
459 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 363.
460 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 82.
461 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 364.
462 იხ. *Grupp* (2009), გვ. 106.
463 იხ. *Kratzsch*, JA (1983), გვ. 420.

დაცვის ფუნქციებია. ამოსავალი ნერტილი და ცენტრალური ორიენტირი ის მიზანია, რომელიც მიმართულია სამართლებრივი სიკეთის დროულ დაცვაზე.[464] აქედან გამომდინარე, კრატცში სამართლებრივი სიკეთის დაცვის გადატანას უფრო ადრეულ ეტაპზე მოითხოვს.

კრატცში მიუთითებს იმაზე, რომ მცდელობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის სტრუქტურაზე დაიყვანება, რაც დანაშაულებრივი ქმედების ათვლის წერტილის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია.[465] მცდელობას რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ფორმა აქვს, გამომდინარეობს იქედან, რომ, როგორც უვარგისი მცდელობის, ასევე აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დროს საფრთხეს კონკრეტული ხასიათი არ გააჩნია და ამასთან, უმართლობის დასასაბუთებლად სამართლებრივი სიკეთის დაზიანების რეალური შანსი არანაირ აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს. ამდენად, აქ კონკრეტული საფრთხის ცნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება.[466] სწორედ ამიტომ, გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფი მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს კონკრეტული საზღვრებით მოიცავს.[467]

კრატცში უმართლობის კატეგორიით და აბსტრაქტული საფრთხის ცნებით ცდილობს მცდელობის ათვლის ნერტილი განსაზღვროს და, შესაბამისად, დანაშაულის მცდელობა დანაშაულის მომზადებისაგან გამიჯნოს. თუმცა, მისი მოძღვრების ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი სიკეთის ოპტიმალური დაცვა, რაზეც კრატცში ამახვილებს ყურადღებას, სისხლის სამართლის მხრიდან უკვე ადრეულ ეტაპზე მოითხოვს ჩარევას, ამიტომ გამოდის, რომ მცდელობამ შორს, მომზადების სფეროში უნდა გადაინაცვლოს, რაც, რა თქმა უნდა, გერმანულის სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკისათვის მიუღებელია.[468]

2. 5. მცდელობის დუალისტური თეორია

მცდელობის დუალისტური თეორია[469] გამოდის უმართლობის დუალისტური დასაბუთებიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ, შესაძლებელია, მცდელობა საშიში იყოს სუბიექტურად ან ობიექტურად, ანდა ერთდროულად). ეს თეორია აერთიანებს ორ ადამიანურ მხარეს: ა) შინაგან მხარეს, რომელიც მოქმედის

---

464 იხ. *Vehling* (1991) გვ. 63-64.

465 იხ. *Kratzsch*, JA (1983), გვ. 420.

466 იხ.: *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 82; *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 56.

467 იხ. *Kratzsch* (1985), გვ. 436.

468 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 392.

469 „დუალისტური თეორიის" მიმდევარი იყო *შმიდჰოიზერი*, რომელიც ფინალისტებისაგან განსხვავებით, ერთმანეთისაგან მიჯნავდა ნებას და **განზრახვას**. მისი აზრით, განზრახვას არ გააჩნია არსებითი სტრუქტურა, არამედ იგი განიმარტება სისხლის სამართლის საერთო სისტემიდან: გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფს აქცენტი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა-არცოდნაზე გადააქვს, ისე რომ ისინი, როგორც ქმედების გაცნობიერების ნაწილი, ბრალს მიეკუთვნებიან. რაც შეეხება ნებას, შმიდჰოიზერის აზრით, იგი წმინდა ფსიქოლოგიურად გაიგება და მოიცავს მხოლოდ დანაშაულებრივ მიზანს. იხ. *Schmidhäuser* (1968), გვ. 8, 14, 17.

ნებას მოიცავს და ბ) გარეგან მხარეს, რომელიც სხეულებრივ მოძრაობებში ვლინდება და გარესამყაროში საფრთხის რისკის მატარებელია.[470]

ქმედების დიალექტიკური ბუნების გამო, სამართლებრივი სიკეთის დაზიანებამ, შესაძლებელია, მცდელობის დასჯადობას ორმაგი სახე შესძინოს, როგორც სუბიექტური (მიზნის ულირსობა *Zielunwert*), ასევე ობიექტური მიმართულებით (საფრთხის ულირსობა *Gefährdungsunwert*).[471]

ამ თეორიის მიხედვით, მცდელობის დასჯადობა არ არის დამოკიდებული განზრახვაზე, რაც ყველაზე კარგად ჩანს შედეგიან და კონკრეტულ საფრთხის დელიქტებში. მაგალითად, ნადირობისას მონადირე, რომელსაც განზრახული აქვს კურდღლის მოკვლა, წინდაუხედავად საფრთხეში აგდებს სხვა მონადირის სიცოცხლეს. ასევე, ავტომანქანით მოძრაობის დროს, ა. სურს ქუჩაში სწრაფად გაიაროს, რა დროსაც იგი საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მაგრამ დამნაშავეს მხოლოდ სწრაფად მოძრაობის მიზანი ამოძრავებს და ვერ ითვალისწინებს ფეხით მოსიარულეთათვის მის მიერ შექმნილ საფრთხის ფაქტს. კლასიკური ობიექტური თეორიისაგან განსხვავებით, „დუალისტური თეორია" საფრთხეს არა ***ex-ante***, არამედ ***ex-post*** აფასებს. ამის მიზეზი არის ის, რომ საფრთხის შეფასება ობიექტური ბუნების არის და ადამიანის ცოდნისაგან დამოუკიდებელია. საფრთხის შესახებ დამნაშავის ***ცოდნას***, მხოლოდ ბრალისთვის აქვს მნიშვნელობა და არა მცდელობის უმართლობის დასაბუთებისათვის.

რაც შეეხება, მიზნით დეტერმინირებულ მცდელობას (*Zielversuch*), ეს თეორია იმ ნანამძღვრებიდან გამოდის, რომ ადამიანის შინაგანი დამოკიდებულება, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს ემუქრება, ქცევის მიმართულებას განსაზღვრავს. მაგალითად, ა. ზის სუფრასთან და ხელში უჭირავს დანა. ეს არის ნორმალური სიტუაცია, როდესაც მას ამ დანით ხორცის გაჭრა სურს, მაგრამ, როდესაც ა. დანა იმისათვის უჭირავს, რომ სუფრის წევრი მოკლას, მაშინვე ეს „ნორმალური" სიტუაცია, სრულებით სხვაგვარად ფასდება.

მიზანზე ორიენტირება უვარგისი მცდელობის შემთხვევებზე არის მიმართული, რადგან უვარგისი მცდელობის დროს საშიში მცდელობის ტიპი არ არსებობს. მაგალითად, დამნაშავეს სურს თავისი ბიძის მოკვლა, რათა მიიღოს მემკვიდრეობა. იგი თოფის სასხლეტს თითს გამოკრავს, მაგრამ იარაღი არ აღმოჩნდება დატენილი.

ზოგიერთ დელიქტებში მიზნით დეტერმინირებული მცდელობა „დანაშაულებრივ სიტუაციას" (*Tatsituation*) ითვალისწინებს და მცდელობის დასასაბუთებლად არის აუცილებელი. ეს არ ეხება შედეგიანი დელიქტებს, მაგალითად, განზრახ მკვლელობას, სადაც შედეგისაკენ მიმართული დამნაშავის მიზანი ობიექტრი სიტუაციის გარეშე ისედაც „საშიში" ჩანს.[472]

სწორედ ამიტომ, შმიდჰოიზერს უპრობლემოდ შეუძლია უვარგისი საშუალების ან უვარგისი ობიექტის შემთხვევაში, დანაშაულის მცდელობა დაასაბუ-

---

470 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 83.

471 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 76.

472 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 84-85.

თოს. მაგალითად, უკანონო აბორტის მცდელობა მას შეუძლია დაასაბუთოს მაშინაც, როდესაც ქალი, რომელსაც შეცდომით ჰგონია, რომ ფეხმძიმეა, მუცლის მოსაშლელად ჟოლოს წვენს დალევს.[473] მაგრამ, პირიქით, უმეტესი ფორმალური (*Tätigkeitdelikt*) დელიქტების დროს, ობიექტური სიტუაცია აუცილებელია მცდელობის დასჯადობის დასასაბუთებლად. მაგალითად, ისეთი დანაშაულის დროს, როგორიც არის სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველთან (სსკ-ის 176-ე პარაგრაფი). თუკი პირი შეეცდება სქესობრივი კავშირი 15 წლის ბავშვთან დაამყაროს, მაშინ გერმანიის სსკ-ის 176-ე პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას არ ექნება ადგილი, რადგან ბავშვის ასაკი აუცილებელ დანაშაულებრივ სიტუაციას ჰქმნის.[474]

„დუალისტური თეორიის" მიმდევრად შეიძლება ჩაითვალოს შმიდჰოიზერის მონაფე ალვარტი.[475] შმიდჰოიზერისაგან განსხვავებით, ალვარტთან კომპლექსური მეთოდი ქმედების გეგმის გათვალისწინებისას მხოლოდ მიზნით დეტერმინირებულ მცდელობებში გამოიყენება.[476]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დუალისტური თეორია მკაცრად არის გაკრიტიკებული, რადგან საფრთხის უღირსობის საფუძველზე მცდელობის დასჯადობა ძალიან იზღუდება, ხოლო მიზნის უღირსობა, რომელიც უვარგისი მცდელობის დასაბუთებას ემსახურება, მოიცავს გამიზვნითი მცდელობის შემთხვევებს და არაფერს ამბობს არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ უვარგისი მცდელობის შემთხვევებზე.[477] გარდა ამისა, ამ თეორიის ნაკლი ის არის, რომ იგი მცდელობის უმართლობის დასაბუთებას ინტელექტუალური ელემენტისაგან დამოუკიდებლად ცდილობს. საკითხი იმის შესახებ, რომ ცოდნა მცდელობის უმართლობის დასაბუთების დროს არ უნდა იყოს გათვალისწინებული, არამედ იგი მხოლოდ ბრალის ეტაპზე უნდა იქნეს განხილული, არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. რაც შეეხება დანაშაულის ობიექტურ სიტუაციას, გაუგებარია, რატომ უნდა იქნეს გათვალისწინებული იგი მხოლოდ დანაშაულის ზოგიერთი შემადგენლობის დროს და რატომ არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, მაგალითად, ქურდობის დროს?[478] აქედან გამომდინარე, თეზისი, რომლის მიხედვითაც, მიზნის და საფრთხის უღირსობა სამართლებრივი სიკეთის დარღვევის გამყოფ ნიშნად გაიგება,[479] ძალზედ პრობლემატურია.

2. 6. დანაშაულებრივი ნების დადასტურების თეორია

ავსტრიულ და იტალიურ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებუ-

---

473 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), 77.

474 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 85.

475 იხ. *Alwart* (1982), გვ. 183.

476 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), 77.

477 აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შმიდჰოიზერი ეევენტუალური განზრავით უვარგისი მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავდა. ამის შესახებ დანვრილებით არის საუბარი მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის თავში.

478 იხ. *Papageorgiou-Gonatas* (1988), გვ. 85-86.

479 იხ. *Alwart* (1982), გვ. 183.

ლი „დანაშაულებრივი ნების დადასტურების თეორიის" (*Unzweideutigkeitstheorie*) პოპულარიზაციას გერმანულ სისხლის სამართალში *იურგენ მაიერი* შეეცადა. ამ თეორიის მიხედვით, როდესაც ქმედებები ჯერ კიდევ არ წარმოადგენს დანაშაულებრივი ნების ერთმნიშვნელოვან დადასტურებას, ისინი დანაშაულის მცდელობად არ განიხილება. მაგალითად, მანქანის სავარძელში ოქროულობის დამალვის მომენტში ადგილი ექნება დანაშაულის მცდელობას, თუ კი დამნაშავეს დაუყოვნებლივ სურს საზღვრის გადალახვა და ოქროულობის საბაჟოს გვერდის ავლით ქვეყნიდან გატანა. ამასთან, მაიერს მიაჩნია, რომ არ შეიძლება უარი ითქვას ისეთ კრიტერიუმზე, როგორიც არის სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასთან დროში სიახლოვის მომენტი.[480]

სისხლის სამართლის დოგმატიკაში „დანაშაულებრივი ნების დადასტურების თეორია" გაკრიტიკებულია, რადგან იგი ძალზედ აფართოებს დასჯადობის საზღვრებს და მცდელობად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც მხოლოდ დანაშაულის მომზადებას განეკუთვნება. ამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ მაიერის მიერ დასახელებულ მაგალითში, ადგილი არა აქვს დაზარალებულის სფეროზე ზემოქმედებისა და დროში სიახლოვის კრიტერიუმებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ უკანასკნელ კრიტერიუმს მნიშვნელოვნად მიიჩნევს.[481]

2. 7. ზაცჩიკის შეხედულება მცდელობის შესახებ

კანტის და ფიხტეს იდეალისტურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით ***ზაცჩიკი*** „ორმხრივი დამოკიდებულების თეორიით" (*Anerkennungstheorie*) ცდილობს მცდელობის დასჯადობის საფუძვლის ახსნას.[482]

ზაცჩიკის შეხედულება მცდელობის დასაბუთების შესახებ, გარკვეულწილად შეესაბამება კრატშცის მოძღვრებას, მაგრამ ზაცჩიკისათვის უმართლობის დასაბუთებისას ნინა პლანზე დგას არა სისხლის სამართლისათვის არატოლერირებადი საფრთხის საზღვრის გადალახვა, როგორც ეს კრატშჩთან იყო, არამედ სამართლებრივი სიკეთის დაზიანებით დასაბუთებული სამართლებრივად კონსტრუირებული თავისუფლების ხელყოფა.[483]

ზაცჩიკის მიხედვით, დამნაშავე მცდელობის სტადიას მიაღწევს მაშინ, როდესაც იგი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების განხორციელებას შეუდგება, ან თავისი ქმედებით განსაზღვრულ მომენტში სამართლებრივ სიკეთეს ისე გაუმკლავდება, რომ გამარჯვებულ პოზიციამდე მიაღწევს.

შინაარსობრივად ეს მოძღვრება ახალი არ არის, არამედ იგი მანამდე არსებულ კრიტერიუმებს განზოგადებულ იტერპრეტაციას აძლევს. როგორც წესი, ეს ინტერპრეტაცია მდგომარეობს შემდეგში: როდესაც დამნაშავე დანაშაულის შემადგენლობასთან დროითი კავშირით დაზარალებულის სფერო-

480 იხ. *Meyer*, ZStW 87 (1975), გვ. 611.

481 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 391.

482 იხ.: *Grupp* (2009), გვ. 99. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ კირსტენ მალიტცი თავის დისერტაციაში ზაცჩიკის შეხედულებას „ინტერპერსონალური თეორიის სახელწოდებით" მოიხსენიებს. იხ. *Malitz* (1998), გვ. 151.

483 იხ. *Vehling* (1991), გვ. 68.

ზე ზემოქმედებს, დაზარალებული ხშირად აღმოჩნდება წაგებულ პოზიციაში, ხოლო ხელმყოფი ნარმოჩინდება, როგორც სიტუაციის ბატონ-პატრონი[484].

ზაცჩიკის თეორიის კონკრეტული შედეგი კარგად ჩანს უვარგისი მცდელობის დროს. ამ თეორიის მიხედვით, უვარგისი მცდელობის დროს ვინაიდან გვამთან უკვე შეუძლებელია „ორმხრივი დამოკიდებულების" გამოხატვა, როგორც სამართლებრივი სიკეთისადმი, ამიტომ ასეთი შემთხვევა დაუსჯელი უნდა დარჩეს. ე. წ. ორმხრივი დამოკიდებულების ასეთი ობიექტივიზაციით ზაცჩიკი აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდა გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფის შინაარსთან, რომლის მიხედვითაც, მცდელობის დასაბუთებისათვის აშკარაა, რომ სრულებით საკმარისია „დანაშაულის შესახებ დამნაშავის წარმოდგენა".[485]

2. 8. იაკობსის ნორმატიული მოძღვრება

მცდელობის ტრადიციული გაგების საწინააღმდეგოდ იაკობსი ცდილობს მცდელობის პრობლემის გადაჭრას ნორმატიულ-ობიექტური შერაცხვის მოძღვრების საფუძველზე. მისი აზრით, შერაცხვა სუბიექტის კაუზალური ზემოქმედებაუნარიანობით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ გადამწყვეტი უნდა იყოს მხოლოდ ქცევის შეფასება, რომელიც უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის ნორმებზე დაყრდნობით. დასჯადობის ლეგიტიმაცია უნდა მოხდეს მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის წინაპირობებისა და არა დამნაშავის საშიშროებისა ან მისი ანტისოციალური ქცევის საფუძველზე. ამიტომ, ქცევა მხოლოდ მაშინ ატარებს სოციალურად მავნე ხასიათს, როდესაც ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობის წინაპირობები.[486]

2. 9. თანამედროვე თეორიების შეფასება

„თანამედროვე თეორიებს", ისევე როგორც „კლასიკურ" და „შერეულ თეორიებს", გააჩნიათ როგორც დადებითი, ასევე სუსტი მხარეები. ზოგიერთი მათგანი ან ძალიან აფართოებს მცდელობის საზღვრებს და მოსამზადებელ სტადიამდე აღწევს, ანდა პირიქით, თავად მცდელობის სფეროს ბოლომდე ვერ ნვდება. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ „თანამედროვე თეორიები" უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩევა, ვინაიდან ისინი შედარებით ახლოს დგას იმ ამოცანის გადაჭრასთან, რომელიც დასახული აქვს „ობიექტურ", „სუბიექტურ" და „შერეულ თეორიებს". თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „თანამედროვე თეორიების" ანალიზმა ცხადყო, რომ თითოეული მათგანი აღმოცენდა „ობიექტური", „სუბიექტური", ან „შერეული თეორიების" საფუძველზე და, შესაბამისად, მათი განვითარების შედეგს წარმოადგენს. თანამედროვე თეორიები ცალკე გამოყოფას იმსახურებს, რადგან მათ საფუძველზე დამატებით შემუშავდა და ჩამოყალიბდა დამხმარე კრიტერიუმები, რომლითაც

484 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 392. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, როდესაც დამნაშავე დანაშაულის შემადგენლობასთან დროში სიახლოვის გამო დაზარალებულის სფეროზე ზემოქმედებს, იგულისხმება, რომ იგი სიტუაციაზე ბატონობს (im Griff hat). იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 393.

485 იხ. *Grupp* (2009), გვ. 100.

486 იხ. *Vehling* (1991), გვ. 80-81.

ადვილად შესაძლებელია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

§3. ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული შეხედულებები

3. 1. მცდელობის ობიექტური თეორია

დაუმთავრებელი დანაშულის შესახებ ისტორიულმა კვლევამ აჩვენა,[487] რომ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში დაიწყო ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი თინათინ წერეთელი. წერეთელმა დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ კვლევას ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა, სადაც იგი დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძველს „ობიექტურ თეორიაში" ხედავს. წერეთელი დანაშაულის მცდელობად მიიჩნევს ისეთ ქმედებას, რომელიც ამა თუ იმ ობიექტისათვის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის განხორციელების უშუალო საფრთხეს ქმნის. სწორედ უშუალო საფრთხის კრიტერიუმით თინათინ წერეთელი მიჯნავს დანაშაულის მცდელობას დანაშაულის მომზადებისაგან და დამთავრებული დანაშაულისაგან. თუმცა, მეცნიერი იქვე მიუთითებს იმ სიძნელეებზე, რომელიც თავად საფრთხის ცნებაში დევს.[488]

სისხლის სამართლის მეცნიერებაში საფრთხის ცნება გაგებულია, როგორც სუბიექტურად, ასევე ობიექტურად. ამიტომ წერეთელი აკრიტიკებს იმ შეხედულებას, რომელიც საფრთხეს სუბიექტური თვალსაზრისით განიხილავს და ამგვარად გაგებულ საფრთხეს საფუძვლად უდებს დანაშაულის მცდელობის შინაარსს.[489]

წერეთელი საფრთხის ნამდვილი არსის ასახსნელად იყენებს შესაძლებლობის კატეგორიას. შესაძლებელია მხოლოდ ის, წერს წერეთელი, რასაც აქვს სინამდვილედ გადაქცევის უნარი.[490] ამიტომ, შედეგის წარმოშობის რეალური საფრთხე, რეალური და უშუალო შესაძლებლობა არსებობს დანაშაულის მცდელობის დროს, რომლითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება დანაშაულის მომზადებისაგან.[491] აქედან გამომდინარე, ქმედებას, რომელსაც არ ახასიათებს შედეგის გამოწვევის ტენდენცია, დანაშაულის მცდელობად არ განიხილება, არამედ, შესაძლებელია, იგი მხოლოდ მოსამზადებელ ქმედებად, ან განზრახვის გამომჟღავნებად ჩაითვალოს.[492]

წერეთელი მიუთითებს იმაზე, რომ მცდელობის ცნება, რომელიც გამოიხატება განზრახ ქმედებაში, რომელიც „უშუალოდ მიმართულია დანაშაულის

---

487 ისტორიული გამოკვლევის შესახებ იხილეთ პირველ კარში.
488 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 102.
489 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 104.
490 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 110.
491 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 113.
492 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 117.

განხორციელებაზე" დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის რეალურ საფრთხეს ქმნის.[493]

აქედან გამომდინარე, წერეთელი ასკვნის, რომ მცდელობის ცნებაში მოცემული აზრი „მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე", გაგებული უნდა იქნეს **ობიექტური** და არა სუბიექტური თვალსაზრისით.[494] ამასთან, მცდელობის სახეებად დაყოფაც სწორედ ობიექტური ნიშნით უნდა განხორციელდეს.[495]

დანაშაულის მცდელობის დასაბუთების დროს, „ობიექტური თეორიისათვის" გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭებამ, წერეთელი მიიყვანა **უვარგისი მცდელობის** დასჯადობის უარყოფამდე. იმ ქმედებებს, რომლებსაც თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკა უვარგის მცდელობად აფასებს, წერეთელთან ასეთი ქმედებები მხოლოდ დანაშაულის მომზადებად განიხილებოდა, მაგალითად, გვამისათვის სროლას იგი მკვლელობის მცდელობად არ მიიჩნევდა, არამედ მხოლოდ მკვლელობის მომზადებად განიხილავდა.[496] ამიტომ, ის, ვინც დანაშაულის მცდელობის ცნებაში ქმედებას, რომელიც „უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად" მხოლოდ „ობიექტური თეორიაზე" დაყრდნობით განმარტავს, მან უნდა უარყოს უვარგისი მცდელობის არსებობა.

წერეთელი დანაშაულის მცდელობის განსაზღვრისათვის მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობების საკანონმდებლო კონსტრუქციაზე და დაასკვნის, რომ ცალკეულ დანაშაულთა თავისებურებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების საკითხი.[497]

იგივე შეხედულება გამოთქმული აქვთ გერმანელ მეცნიერებს, რომლის შესახებ „ინტერპრეტაციის თეორიის" განხილვის დროს იყო საუბარი. აღნიშნული შეხედულება გაკრიტიკებულია იმ მოტივით, რომ დანაშაულის მცდელობა დანაშაულის შემადგენლობით არ არის შეზღუდული, არამედ დასჯადობა ქმედების შემადგენლობის საზღვრის წინ მდგომ ქმედებაზეც ვრცელდება, ამიტომ მცდელობის დასაბუთება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის საფუძველზე, ძალზედ ზედაპირულია. დანაშაულის შემადგენლობაზე ორიენტირება მცდელობის დასაბუთების დროს სასარგებლოა მხოლოდ იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობა კონკრეტულად არის აღწერილი, სხვა შემთხვევაში მისი გამოყენება მცდელობის დასაბუთებისათვის გამოუსადეგარია.

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დანაშაულის მცდელობის „ობიექტურ თეორიას" იზიარებს ***გამყრელიძე***, რომელიც მიუთითებს იმის შესახებ, რომ დანაშაულის მომზადების დროს ადგილი აქვს აბსტრაქტულ საფრთხეს, მცდელობის დროს საფრთხე კონკრეტულ ხასიათს

493 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 126.
494 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 128. ამასთან დაკავშირებით, სანინააღმდეგო მოსაზრება გამოთქმულია საბჭოთა სისხლის სამართლის დოგმატიკაში, იხ. *Шаргородский* (1948), გვ. 256.
495 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 152.
496 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 163.
497 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 131.

ატარებს, ხოლო დამთავრებული დანაშაულის დროს საფრთხე უკვე რეალიზებულია.[498]

მაშასადამე, გამყრელიძე „ობიექტური თეორიებიდან" მხარს უჭერს „საფრთხის თეორიას" და ამასთან, იგი საფრთხეს, როგორც ეს ნერეთელთან იყო, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მცდელობის დასაბუთებისა და მისი დანაშაულის მომზადებისაგან და დამთავრებული დანაშაულისაგან გამიჯვნის თვალსაზრისით. დასახელებული თეორიის თანახმად, საფრთხე არის ***ობიექტური მასშტაბი***, რომლის გარეშეც შეუძლებელია მცდელობის საკითხის გადაწყვეტა. აღნიშნული თეორია იმსახურებს ყურადღებას, თუმცა მას, როგორც ყველა სხვა ობიექტურ თეორიას, არ შესწევს უნარი დაასაბუთოს უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი. გარდა ამისა, გამყრელიძის მითითება იმის შესახებ, რომ დამთავრებულ დანაშაულებში საფრთხე უკვე რეალიზებულია, არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, რადგან, როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემულია საფრთხის შემქნელი დელიქტები, სადაც საფრთხე, როგორც აბსტრაქტული, ასევე კონკრეტული სახით ნარმოადგენს დამთავრებული დელიქტის დასჯადობის საფუძველს. მაშასადამე, გამოდის, რომ დანაშაულის მცდელობასა და დამთავრებულ დანაშაულებში საფრთხე ვერ გამოდგება გამიჯვნის კრიტერიუმად. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის დროსაც. ამის შესახებ თავად გამყრელიძეც მიუთითებს, თუმცა ამაში იგი ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავს.[499]

3. 2. ახალი ობიექტური თეორია

„ობიექტური თეორიის" დამცველად თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში ითვლება **მჭედლიშვილი-ჰედრიხი**.[500] დანაშაულის მცდელობის ცნებაში განმსაზღვრელ მომენტად იგი არა პირის შეხედულებას, არამედ ობიექტურ მომენტს ასახელებს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ქართული სისხლი სამართლის დოგმატიკა დაუმთავრებელი დანაშაულის საფუძვლად ობიექტურ საფრთხეს აღიარებს და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი გამოიყენება გამიჯვნის კრიტერიუმად.[501]

ამასთან, მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ სუბიექტურ თეორიას ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საფუძველი არ გააჩნია. ამის არგუმენტად ავტორი ასახელებს სსკ-ის მე-20 მუხლს, რომელიც ეხება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევებს და მიუთითებს იმაზე, რომ კანონმდებელმა ამ მუხლის შემოღებით უარი თქვა აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე, რითაც დაადასტურა ობიექტური თეორიისადმი საკუთარი სიმპათია.[502] მეორე

498 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 161. ანალოგიური პოზიცია აქვს გამოთქმული სურგულაძეს, იხ. *სურგულაძე* (1997), გვ. 307-308.
499 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 161.
500 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 1-133.
501 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 10.
502 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 9-10.

მხრივ, მეცნიერი მიუთითებს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ ქართული კანონმდებლობა დასახელებული ნორმის საფუძველზე სჯის უკვე განზრახვის გამომჟღავნებას, რითაც იგი ხაზს უსვამს ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სუბიექტური თეორიის გავლენას.[503]

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდესის მე-20 მუხლს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის შემოღებით კანონმდებელმა, მართალია, უარყო აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობა, მაგრამ ამავდროულად, მან მიუთითა შეფარდებით უვარგისი მცდელობის დასჯადობის აუცილებლობაზე, რომლის დოგმატურ საფუძვლად „ობიექტური თეორია" ვერ გამოდგება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში აღიარებს „შერეულ თეორიას".

მჭედლიშვილ-ჰედრიხს კარგად აქვს გააზრებული ის სირთულეები, რომელიც წარმოიშობა „ობიექტური თეორიების" საფუძველზე უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთების თვალსაზრისით და ამიტომ იგი უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასასაბუთებლად ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებას სთავაზობს გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარებულ **„ახალ ობიექტურ თეორიას,"** რითაც მეცნიერი ემიჯნება „წმინდა ობიექტურ თეორიას".[504]

„ახალმა ობიექტურმა თეორიამ" საფრთხის შეფასება გონიერ ადამიანს, ობიექტურ დამკვირვებელს მიანდო და ეს უკანასკნელი ამსრულებლის ცოდნით აღჭურვა. დასახელებული თეორიის თანახმად, საშიშია (ვარგისი) ისეთი მცდელობა, როდესაც ობიექტური დამკვირვებლის წარმოდგენის მიხედვით, ex ante შესაძლებელია ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მიზნის მიღწევა. აქედან გამომდინარე, გვამისათვის სროლა, ანდა ადგილზე არმყოფი პირის მკვლელობის მცდელობა, ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით, ex ante წარმოადგენს საშიშ ქმედებას, რომელიც დასჯადობას იმსახურებს.[505]

ქმედების მცდელობად შეფასებისას, როგორც ნესი, ობიექტური დამკვირვებლის მოშველიება გამართლებულია, თუმცა ზოგჯერ რთულია ობიექტური დამკვირვებლის ცოდნაზე საკითხის გადაწყვეტა, რადგან საფრთხე, როგორც ცნობილია, ობიექტური ბუნებისაა და ადამიანის ცოდნისაგან დამოუკიდებელია. მაგრამ, თუ საფრთხის არსებობის საკითხი ობიექტური დამკვირვებლის ცოდნაზე დაიყვანება, მაშინ ეს სხვა არაფერია, თუ არა ობიექტურში სუბიექტური მომენტების შეტანა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ „ახალ ობიექტურ თეორიას" სუბიექტური საფუძველი გააჩნია, რასაც თავად

---

503 იხ.: *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 19-20; იგივე პოზიციას ავითარებს გამყრელიძე, იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 154. დასახელებული შეხედულების სანინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასეთი შემთხვევების დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს არა განზახვის გამომჟღავნება, არამედ უკვე დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის გარკვეული საფრთხის შემცველი კონკრეტული ქმედება.

504 იხ.: *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 50; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, სისხლის სამართლის სამეცნიერო კრებული I, რედ., მ. *ტურავა* (2013), გვ. 101.

505 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 51.

მჭედლიშვილი-ჰედრიხიც აღიარებს.[506]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ის მეთოდები, რომლითაც „ახალი ობიექტური თეორია" ხელმძღვანელობს, უფრო „შერეული თეორიებისათვის" არის დამახასიათებელი.

3. 2. მცდელობის შერეული თეორია

(გაბატონებული შეხედულება)

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარების მანძილზე დანაშაულის მცდელობის დასჯადობის დასაბუთებასთან დაკავშირებით, პირველად **ტურავამ** თავის სახელმძღვანელოს მე-7 გამოცემაში[507] ხაზი გაუსვა „შერეული, ობიექტურ-სუბიექტური თეორიის" უპირატესობას, რაც ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკისათვის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს.

ტურავა აკრიტიკებს ცალკე აღებულ „ობიექტურ" და „სუბიექტურ თეორიებს" და აღნიშნავს, რომ „შერეული თეორია" არის ყველაზე უფრო მისაღები თეორია დანაშაულის მცდელობის დასაბუთების თვალსაზრისით, კერძოდ, საუბარია უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთების, აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობის უარყოფისა და დანაშაულის მცდელობის დანაშაულის მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულისაგან გამიჯვნის შესახებ. ამასთან, ტურავა „ობიექტური თეორიის" მომხრეთა საყურადღებოდ თავის დასაბუთებაში მიუთითებს იმაზე, რომ სუბიექტური მომენტის მნიშვნელობის გარეშე, შეუძლებელია, დანაშაულის მომზადების დასჯადობის დასაბუთება.

ამრიგად, ტურავა „სუბიექტურ-ობიექტურ თეორიაში" ამოსავალ წერტილს პირის სუბიექტურ წარმოდგენაში ხედავს. ამიტომ, ქმედების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ობიექტური დამკვირვებლის თვალთახედვა.[508]

ამასთან, ტურავა დანაშაულის მცდელობის სახეებად დაყოფას პირის წარმოდგენის მიხედვით ახდენს. თუ პირმა თავისი წარმოდგენით ყველაფერი გააკეთა, რაც აუცილებელია შედეგის გამოსაწვევად, ადგილი აქვს დამთავრებული მცდელობის სტადიას, მაგრამ, პირიქით, თუ პირის წარმოდგენით ჯერ კიდევ არ არის ყველა პირობა შესრულებული შედეგის გამოსაწვევად, არამედ დანაშაულის შემადგენლობის მხოლოდ ერთი ნიშანი არის განხორციელებული, მაშინ სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობის სტადია. ამ ნაწილში ტურავა აღიარებს **„ფორმალურ-ობიექტურ თეორიას"**.

გარდა ამისა, ტურავა აყალიბებს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის კრიტერიუმებს და მიუთითებს იმაზე, რომ ქმედება დანაშაულის მცდელობად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია დაშაულის შედეგთან **დროში და სივრცეში სიახლოვის** მომენტი იქნეს მხედველობაში მიღებული. ეს იმას გულისხმობს, რომ დამნაშავის წარმოდგენით ქმედება, რომელსაც იგი ახორციე-

506 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 10.
507 იხ. *ტურავა* (2008), გვ. 275.
508 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 313-316.

ლებს დროში და სივრცეში არის ახლოს შედეგთან და ბუნებრივი გაგებით, იგი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ნაწილს.[509]

შესაძლებელია, რომ „შერეული თეორიის" მხარდამჭერად ასევე, **დვალიძე** იქნეს მიჩნეული. მართალია, იგი მცდელობის კონსტიტუციურ ნიშნად *უშუალო საფრთხეს* მიიჩნევს, როგორც ეს „ობიექტური თეორიით" არის აღიარებული, და მცდელობის სახეებად დაყოფის დროს უპირატესობას ობიექტურ კრიტერიუმს ანიჭებს,[510] თუმცა იგი, ამასთან, ხაზს უსვამს გამიჯვნის სუბიექტური კრიტერიუმის დიდ მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი, **მიზანს და მართლწინააღმდეგობის შეგნებას.**[511]

§4. შეჯამება

დანაშაულის მცდელობის დოგმატურ-სამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ გერმანიაში დანაშაულის მცდელობის შესახებ თითქმის სამი საუკუნის მანძილზე მრავალი შეხედულება (თეორია) ჩამოყალიბდა, რომელიც ცდილობს დანაშაულის მცდელობის დასაბუთებას და მის გამიჯვნას, ერთი მხრივ, დანაშაულის მომზადებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, დამთავრებული დანაშაულისაგან.

დასახელებული შეხედულებებიდან ზოგი ობიექტურ და ზოგიც სუბიექტურ საფუძველზე აღმოცენდა და მიზნად დაისახა დანაშაულის მცდელობის ისეთი ცნების ჩამოყალიბება, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს მცდელობის ბუნებას და შექმნის ისეთ კრიტერიუმებს, რომლითაც გაადვილდება დასჯადი და დაუსჯელი სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაც კანონიერების პრინციპის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის უზრუნველყოფის გარანტიაა და შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად მოთხოვნებს.

დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული შეხედულებების კვლევამ აჩვენა, რომ, თავდაპირველად, გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალში **„ობიექტური თეორიები"** ბატონობდნენ. მათ წარმოშობას, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის ისტორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, საფუძვლად დაედო ფილოსოფიური მიმდინარეობა *ლიბერალიზმი*.

მოგვიანებით, ფილოსოფიურ მიმდინარეობაში *იდეალიზმის* (კანტი) საფუძველზე აღმოცენებულმა **„სუბიექტურმა თეორიებმა"**. პირველობა „ობიექტურ თეორიებს" არ დაანებეს. გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში „სუბიექტური თეორიები" არასოდეს არ ყოფილა აღიარებული, თუმცა მე-20 საუკუნის 30-იანი წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა კარგად აჩვენა „წმინდა სუბიექტური თეორიების" გავლენა სასამართლო პრაქტიკაზე.

თანამედროვე გერმანული და ქართული სისხლის სამართალი ცალკე აღებულ არც ობიექტური და არც სუბიექტური თეორიების ბატონობას არ ცნობს,

509 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 303-304.

510 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 161, 164-165.

511 იხ.: *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 162-163; *დვალიძე* (2008), გვ. 91.

რადგან სისხლის სამართლის მეცნიერება დარწმუნდა იმაში, რომ მხოლოდ ობიექტურ ან მხოლოდ სუბიექტურ საფუძველზე შეუძლებელია მცდელობის ბუნების ახსნა და გამიჯვნის მისაღები კრიტერიუმების ჩამოყალიბება. ყოველივე ამან კი სისხლის სამართლის დოგმატიკაში გზა გაუხსნა **„შერეულ თეორიებს"**, ხოლო უფრო მოგვიანებით ე. წ. **თანამედროვე თეორიებს**, რომელთა სანყისი სუბიექტურ და ობიექტურ ნიშნებშია.

თანამედროვე ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ „შერეული თეორია" საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მცდელობის ცნების ჩამოყალიბებას. თუმცა, ამის საპირისპიროდ, გერმანულ სისხლის სამართლის დოგამტიკაში ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მცდელობის საკანონმდებლო განმარტებას (გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფი) „სუბიექტური თეორია" უდევს საფუძვლად, ისევე როგორც, ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში თვლიან, რომ მცდელობის საკანონმდებლო განმარტების (საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლი) საფუძველი „ობიექტურ თეორიაში" დევს.

ამის მიუხედავად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ყველაზე უფრო მისაღებ თეორიად **„შერეული თეორია"** მიიჩნევა.

თავი III. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური დახასიათება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

§1. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური ნიშნები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

განზრახი დელიქტი გულისხმობს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებას მის სრულად განხორციელების ჩათვლით.[512]

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა ობიექტური შემადგენლობის წინ უნდა შემოწმდეს, რადგან, როდესაც ცნობილია, თუ რა უნდა დამნაშავეს, შესაძლებელია, უკვე მისი შემდგომი ნაბიჯების დადგენა, რომელიც ქმედების უშუალო დაწყებამდე მიდის.[513]

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, მცდელობა **განზრახი** დანაშაულია,[514] რომლის „სუბიექტური შემადგენლობა შეიცავს განზრახვას ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშნის

512 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 350.
513 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 289.
514 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 161-162.

მიმართ და ასევე ქმედების შემადგენლობის სხვა ნმინდა სუბიექტურ ნიშნებს".[515]

აქედან გამომდინარე, გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობა ყოვლად შეუძლებელია, რადგან, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლი პირდაპირ მიუთითებს განზრახ ქმედების მცდელობის დასჯადობაზე. ამის მიუხედავად, საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართლის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც საქართველოს სააპელაციო სასამართლომ განიხილა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება განზრახ მკვლელობის საქმეზე (სსკ-ის 108-ე მუხლი) და ცვლილება შეიტანა მასში, კერძოდ, დამნაშავის ქმედება სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის მე-19, 116-ე მუხლის პირველ ნაწილზე, მაშასადამე, სააპელაციო სასამართლომ დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრა გაუფრთხილებლობით დანაშაულის მცდელობისათვის.[516] საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ა. განიზრახა სქესობრივი კავშირის დამყარება ნასვამ ბ.-თან. ამ მიზნით მან ბ.-ე აიყვანა სახლის მეორე სართულზე, მაგრამ ბ.-მ არ ისურვა სქესობრივი კავშირის დამყარება. იგი ყვიროდა და შველას ითხოვდა. განაწყენებულმა ა. რამდენჯერმე ჩაარტყა ბ.-ს საფეთქელში, რის შედეგად ბ.-ე ძირს დავარდა და გონება დაკარგა. ა. დარწმუნდა იმაში, რომ ბ.-ე გარდაიცვალა და გადაწყვიტა დანაშაულის კვალის დაფარვა. ამ მიზნით მან, მისი წარმოდგენით მკვდარი ბ.-ე, ზეწარში გაახვია და ოჯახის ნევრის დახმარებით სარწყავ არხში ჩააგდო, რის შედეგად ბ.-ე დაიხრჩო.

ა.-ს ინტერესების დამცველმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასამართლიანად მიიჩნია და საჩივრით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას მიმართა. ადვოკატი ითხოვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნების უდანაშაულოდ ცნობას (ადვოკატს საქმე იგივე მოტივით ჰქონდა გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოში). საკასაციო პალატამ საჩივარი არ დააკმაყოფილა და სააპელაციო განაჩენი დატოვა უცვლელად, თუმცა სასამართლომ მკაცრად გააკრიტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენში მითითებულ მცდარი კვალიფიკაცია და მის დასასაბუთებლად განვითარებული მსჯელობა.[517]

ამდენად, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ხაზი გაუსვა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან კანონის უხეშ დარღვევას. მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიერ კვალიფიკაციაში დაშვებული შეცდომა ვერ გამოასწორა, რადგან ამით, ერთი მხრივ, მსჯავრდებულს დაუმძიმდებოდა პასუხისმგებლობა, რითაც დაირღვეოდა მისი კანონიერი ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, კვალიფიკაციაში დაშვებული უხეში შეცდომების გამოსწორების არავითარი იურიდიული მექანიზმი არ არსებობს, რაც კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

დასახელებულ მაგალითში სააპელაციო სასამართლოს დეტალურად უნდა

---

515 *ტურავა* (2013), გვ. 129.

516 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 26. 11. 2007. განაჩენი.

517 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 22. 10. 2008. განჩინება: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/oqtomberi2008.pdf

ესმჯელა ა.-ს ქმედებაში განზრახვის შესახებ და ამის შემდგომ უნდა მიეღო გადაწყვეტილება. თუ დადგინდებოდა, რომ ა. საფეთქელში დარტყმის დროს უშვებდა ბ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას და ამავდროულად, ბ.-ს გონების დაკარგვის შემდეგ, დარწმუნდა იმაში, რომ დაზარალებული გარდაიცვალა, სახეზე იქნება განზრახ მკვლელობის მცდელობა (სსკ-ის მე-19, 108-ე ან 109-ე მუხლები), ხოლო ა.-ს მეორე ქმედება (კვალის დაფარვის მიზნით სარწყავ არხში ჩაგდება) შეფასდება ბ.-ს გაუფრთხილებლობით სოცოცხლის მოსპობად (სსკ-ის 116-ე მუხლი). აღნიშნული კვალიფიკაცია აღიარებულია თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში (ე. წ. განცალკევების თეორია). ქმედება მხოლოდ მაშინ შეფასდება დამთავრებულ დანაშაულად, თუ დადგინდება, რომ დაზარალებული პირველი ქმედების შედეგად მაინც გარდაიცვლებოდა და მეორე ქმედებამ მხოლოდ დროში დააჩქარა დაზარალებულის სიკვდილი (ე. წ. ეფექტის გვიან გამოწვევის თეორია).[518]

სასამართლო პრაქტიკაში მართებულად მიუთითებენ იმაზე, რომ ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა განზრახვის დადგენას და მისი შინაარსის განსაზღვრას ენიჭება. მაგალითად, მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაციისათვის სასამართლომ უნდა დაადგინოს დამნაშავე ითვალისწინებდა თუ არა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას, სურდა თუ არა ეს შედეგი და თუ არ სურდა, შეგნებულად ხომ არ უშვებდა, ან გულგრილად ხომ არ ეკიდებოდა მის დადგომას.[519]

თუ განზრახვა არ არის სახეზე, მაშინ ასეთი ქმედება მცდელობად ვერ შეფასდება. არის ისეთი შემთხვევები, სადაც ქმედება ფაქტობრივად წააგავს მცდელობას, მაგრამ იურიდიულად იგი არ არის სრულყოფილი, მაშასადამე, იგი **სუბიექტური შემადგენლობის ნაკლულობას** განიცდის. მაგალითად, ერთერთი სექტის ნარმომადგენელმა გარკვეული რიტუალის შესრულების მიზნით, გადაწყვიტა მეათე სართულიდან თავის ჩვილთან ერთად გადმომხტარიყო, იმ რწმენით, რომ ისინი აუცილებლად ცაში გაფრინდებოდნენ. როდესაც მშობელმა მეათე სართულიდან ბავშს ხელი გაუშვა, ეს უკანასკნელი მეხუთე სართულზე გაბმულ თოკებზე დავარდა და მაცხოვრებლების დახმარებით გადარჩა, ხოლო თავად მშობელი მეათე სართულის მაცხოვრებლებმა შეაკავეს და არ მისცეს გადმოხტომის საშუალება.

ამ მაგალითზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ ადგილი არა აქვს ე. წ. დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას, ანუ **მკვლელობის განზრახვას**, ვინაიდან მშობელი დარწმუნებულია იმაში, რომ ისინი გადმოხტომის შედეგად მინაზე კი არ დაეშვებიან, არამედ გაფრინდებიან. ასევე, მშობელს არ უნდა თავისი ბავშვის მკვლელობა და არც მისი სიკვდილის ან დაზიანების შესაძლებლობას უშვებს.

დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან დამთავრებული დანაშაულის გამოვლენის ფორმაა, ამიტომ მცდელობის დროს განზრახვის დადგენისას სამართალშემფარდებელმა საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლით უნდა იხელმძღვანელოს.

საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემულია განზრახვის შინაარსი და

518 იხ. ტურავა (2013), გვ. 155.

519 იხ. *2010 წლის 11 იანვრის განჩინება*, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, №3 (2010), გვ. 8.

მისი სახეები. ამ მუხლის თანახმად, განზრახვის შინაარსი მოიცავს **ცოდნას, ნებელობას და მართლწინააღმდეგობის შეგნებას.** პირველი ორი კომპონენტი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დგინდება, ხოლო უკანასკნელი ბრალის დროს განიხილება[520].

მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის შეგნება, როგორც ნორმატიული ნიშანი, ბრალის ეტაპზე განიხილება.[521] მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა გამორიცხავს „ბოროტ განზრახვას". მაგალითად, თუ დამნაშავეს ჰგონია, რომ ბიბლიოთეკიდან წიგნის წაღება ნებადართულია და გასასვლელში მას კონტროლიორი წიგნს ჩამოართმევს, არ შეიძლება მისი ქმედება ქურდობის მცდელობად შეფასდეს, რადგან, როგორც უკვე ითქვა, „ბოროტი განზრახვის" დასადგენად აუცილებელია მართლწინააღმდეგობის შეგნების ელემენტის არსებობა.[522] აქედან გამომდინარე, განზრახვა შეიძლება იყოს კეთილიც და ბოროტიც (dolus malus). ამიტომ მას შეფასება სჭირდება, რომელიც ბრალის ეტაპზე უნდა განხორციელდეს.[523]

დანაშაულის მცდელობის დროს განზრახვა ისეთივე უნდა იყოს, როგორიც იგი დამთავრებული დანაშაულის დროს არის. იგი რაიმე განმასხვავებელი ნიშან-თვისებებით არ უნდა გამოირჩეოდეს, რადგან დამნაშავის ნება მიმართულია არა დაუმთავრებელი, არამედ დამთავრებული დანაშაულის განხორციელებაზე. მცდელობის დროს დამნაშავე უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს, მაგალითად, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის, თუმცა ასეთი მსჯელობა არ მიუთითებს იმაზე, რომ დამნაშავის განზრახვით მიზეზობრივი კავშირის ყველა რგოლი უნდა იყოს მოცული, არამედ სუბიექტმა უნდა იცოდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითადი მომენტები.[524]

განზრახვისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი დანაშაულის ჩადენის მომენტში უნდა არსებობდეს. თუ კი პიროვნებას პირველი აქტის განხორციელების დროს არ ამოძრავებდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა და ასეთი მხოლოდ მეორე აქტის დაწყებამდე წარმოეშვა, პირველი აქტი დანაშაულის მცდელობად არ უნდა შეფასდეს (dolus subsequens), მაგალითად, პიროვნებამ გაისროლა ბუჩქების მიმართულებით, სადაც მას კურდღელი ეგულებოდა, სინამდვილეში ბუჩქებში მისი მეზობელი აღმოჩნდა, რომლის დანახვაზე მისი მოკვლის სურვილი გაუჩნდა. დამნაშავის პირველი ქმედება, მართალია, განზრახვით ხასიათდება, მაგრამ ეს ის განზრახვა არ არის, რომელიც საკმარისია ქმედების მცდელობად შეფასებისათვის. ასევე, განზრახვა წინ არ უნდა უსწრებდეს ქმედების ჩადენას (dolus antecedens).[525]

ქმედების მცდელობად შეფასება ზოგჯერ დამოკიდებულია დამნაშავის ისეთ სუბიექტურ ელემენტებზე, როგორიც არის, მაგალითად, **შეცნობადობა,**

---

520 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 130; *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 174, 209.
521 იხ. *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 181.
522 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 163.
523 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 89.
524 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 136-137.
525 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 310; *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 602.

მიზანი და **მოტივი**. მაგალითად, თუ დამნაშავეს შეცნობილი არა აქვს ქალის ორსულობა და მოკვლის განზრახვით ესვრის მას, მაგრამ დაზარალებული გადარჩება, ქმედება დაკვალიფიცირდება არა სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, რომელიც ითვალისწინებს ნინასწარი შეცნობით ორსული ქალის განზრახ მკვლელობის მცდელობას, არამედ სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით, რომელიც ითვალისნინებს ჩვეულებრივ განზრახ მკვლელობის მცდელობას.[526] აღნიშნული გამომდინარეობს ასევე სსკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნიდან.

მცდელობის უმართლობას ზოგჯერ **მიზანი** აფუძნებს და იგი გავლენას ახდენს კვალიფიკაციაზე. მაგალითად, თუ სუბიექტმა არ იცის, რომ ობიექტურად აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებს, შესაბამისად, მას არ აქვს თავდაცვის მიზანი, ამიტომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში იგი დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის ან დანაშაულის მცდელობისათვის.[527]

გარდა ამისა, „პიროვნების **მიზნის** განსაზღვრა შესაძლებელს ხდის ვამტკიცოთ, რომ ადგილი აქვს არა დამთავრებულ დანაშაულს, არამედ დანაშაულის მცდელობას"[528]. მაგალითად, ა. ესვრის ბ. და ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს. ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის საკმარისი არ არის შედეგის დადგომა, არამედ აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზნით მოქმედებდა დამნაშავე. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე მოქმედებდა ბ. მოკვლის მიზნით, ა.-ს ქმედება უნდა შეფასდეს განზრახ მკვლელობის მცდელობად.[529]

ამრიგად, მიზანს (მოტივს) დიდი მნიშნელობა ენიჭება დანაშაულის სტადიების და ეტაპების გარკვევის საქმეში. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზანი (მოტივი) ზოგჯერ გამოავლენს, რომელ სტადიაზე ან ეტაპზე იმყოფება ქმედება, მომზადების, თუ მცდელობის სტადიაზე, დამთავრების, დასრულების, თუ ნებაყოფლობით ხელის აღების ეტაპზე. თუ მიზანი და მოტივი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი არ არის, მაშინ იგი კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ პირიქით, თუ მიზანი და მოტივი კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად, მაშინ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადება დამოკიდებული არ არის იმაზე, დამნაშავემ მიაღწია თუ არა დასახულ მიზანს (მოტივს). მაგალითად, ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის დამთავრებულად გამოცხადებისათვის, აუცილებელი არ არის დამნაშავემ მიიღოს რაიმე გამორჩენა, არამედ მთავარია, რომ მისი ქმედება ანგარებით იყოს მოტივირებული.[530]

მაშასადამე, ზემოთ უკვე ითქვა, რომ სუბიექტური ნიშანი გადამწყვეტ როლს თამაშობს ქმედების დამთავრება-დაუმთავრებლობის საკითხში. მაგალითად, დამნაშავეს განზრახული აქვს 20 000 ლარად შეფასებული მძიმე წონი-

526 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 163.
527 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 63.
528 *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 162-163.
529 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 163.
530 იხ. *დვალიძე* (2008), გვ. 94-95.

ანი ხელსაწყოს მოპარვა, მაგრამ იმისათვის, რომ დამნაშავემ მიზანს მიაღწიოს, აუცილებელია მან რამდენიმე ქმედება განახორციელოს, ანუ ხელსაწყო უნდა დაშალოს და ნაწილ-ნაწილ დაეუფლოს მას. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავემ განახორციელა ორი ქმედება, რომლის შედეგად 8000 ლარად შეფასებული ხელსაწყოს ნაწილებს დაეუფლა და პოლიციამ დააკავა იგი, ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ქურდობის ობიექტური შემადგენლობა სახეზეა. ვინაიდან დამნაშავის მიზანი ჯერ კიდევ მიღწეული არ არის, ამიტომ დამნაშავის ქმედება დიდი ოდენობით ქურდობის მცდელობად უნდა შეფასდეს (სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი). მაგრამ, თუ მოპარული ნივთის ღირებულებამ 12000 ლარი შეადგინა, მაშინ, რასაკვირველია, ქმედება შეფასდება არა დიდი ოდენობით ქურდობის მცდელობად, არამედ დიდი ოდენობით დამთავრებულ ქურდობად (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გამომდინარეობს სსკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილიდან, სადაც მითითებულია იმაზე, რომ დამნაშავეს დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი ბრალად შეერაცხება მაშინ, როდესაც მას მოიცავდა დამნაშავის განზრახვა. აქედან გამომდინარე, დიდი ოდენობა, როგორც ქურდობის მაკვალიფიცირებელი სუბიექტური ნიშანი, დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული. ეს იმას ნიშნავს, რომ მაკვალიფიცირებელი გარემოებების ობიექტურად შერაცხვა, სუბიექტური მომენტების გაუთვალისწინებლად, არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. გარდა ამისა, ეს პოზიცია ემყარება ე. წ. *საშეღავათო ნორმის აუცილებელი გამოყენების პრინციპს*, კერძოდ, საუბარი ეხება ნებაყოფლობით ხელის აღების უფლების შეუზღუდავად გამოყენებას. ზემოთ დასახელებულ მაგალითში თუ ქმედება დამთავრებულ დანაშაულად შეფასდება, მაშინ გამოვა, რომ დამნაშავეს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა წაერთმევა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა კი არ შეესაბამება სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებს.

განზრახვის საკითხის სწორად გადაწყვეტის დროს ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება განზრახვის *კოგნიტური ელემენტის*[531] შინაარსის დადგენას. განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი გამოიხატება ობიექტურ გარემოებათა *აქტუალურ ცოდნაში*. ამასთან, საკმარისი არ არის ქმედების შემადგენლობის გარემოებების მხოლოდ პოტენციური ცოდნა. ამიტომ, განზრახვას არა აქვს ადგილი მაშინ, როდესაც მონადირე ბუჩქებში ესვრის მისი წარმოდგენით ჯიხვს, სინამდვილეში, ბუჩქების უკან მეორე მონადირე იმყოფება.[532]

განზრახვის კოგნიტური ელემენტის შინაარსში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ცოდნის **ინტენსიურობას** და მის **კონკრეტულობას**. ინტენსიურობა გულისხმობს იმას, რომ აუცილებელი არ არის, რომ დამნაშავე დარწმუნებული იყოს ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ საკმარისია, რომ მას ქმედების შემადგენლობის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდეს. ასევე, არ არის აუცილებელი, რომ ქმედების შემადგენლო-

531 განზრახვის ინტელექტუალურ და ნებელობით მხარეზე იხ. *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 161-173.

532 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 268-269.

ბის მაკვალიფიცირებელი ნიშნით განხორციელების დროს პირს გამიზნული ჰქონდეს ქმედების შემადგენლობის განხორციელება. საკმარისია ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების ცოდნა.[533] მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით ესროლა ფეხმძიმე ბ.-ს და დაჭრა. ა.-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეცნობით ორსული ქალის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. მაშასადამე, აქ, მთავარია, რომ დამნაშავემ იცოდეს ფეხმძიმობის შესახებ და არ არის აუცილებელი, რომ ეს ქმედება ჩადენილი იყოს ორსულობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ცოდნის კონკრეტულობას, იგი უკავშირდება დანაშაულის ობიექტს და მიზეზობრივ კავშირს.[534] დამნაშავეს შეცნობილი უნდა ჰქონდეს საქმის გარემოებები და მათი სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ მან ზუსტად იცოდეს იურიდიული ცნებები. მაგალითად, არ არის საჭირო, რომ დამნაშავემ ქურდობის დროს იცოდეს „მოძრავი ნივთის" სამართლებრივი ბუნება, არამედ საკმარისია, რომ მას შეცნობილი ჰქონდეს საგნებისა და მოვლენების სოციალური არსი.[535]

მაშასადამე, მთავარია, რომ დამნაშავეს ობიექტი წარმოდგენილი ჰქონდეს მისი გვარეობითი კუთვნილების მიხედვით და არ არის აუცილებელი, რომ მას ობიექტი ინდივიდუალიზირებული სახით ჰქონდეს შეცნობილი. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავემ დანაშაულის ჩადენის დროს ობიექტი ინდივიდუალიზირებულად წარმოიდგინა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, მაშინ ქმედების დანაშაულად შეფასების საკითხი **შეცდომის** პრობლემაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს.[536]

1. 1. შეცდომის როლი ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასებაში

შეცდომა გულისხმობს ადამიანის არასწორ მოქმედებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ხდება.[537]

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ შეცდომის ორ სახეს: **ფაქტობრივ გარემოებებში** დაშვებულ შეცდომას და შეცდომას **აკრძალვაში**. შესაძლებელია, შეცდომა დაკავშირებული იყოს დანაშაულის სამივე ნიშანთან. ამის მიუხედავად, შეცდომის საკითხის განხილვა სისტემური თვალსაზრისით ორ ეტაპად ხორციელდება: პირველი, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, სადაც განიხილება წმინდა ფაქტობრივი ხასიათის გარემოებები და, მეორე, ბრალის ეტაპზე, რომელიც მოიცავს წმინდა სამართლებრივ ხასიათის შეცდომებს და შეცდომებს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების არსებობასთან დაკავშირებით.[538]

ა) ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული შეცდომა პირმა შესაძლე-

533 *ტურავა* (2013), გვ. 135.
534 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 135-136.
535 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 270.
536 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 269-270; *ტურავა* (2013), გვ. 135.
537 იხ. *გამყრელიძე*, „ცხოვრება და კანონი" №2-3 (2011), გვ. 2.
538 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 151-152.

ბელია დაუშვას თავის საზიანოდ, როდესაც დამნაშავე შეცდომით ფიქრობს, რომ იგი ახორციელებს ქმედებას დამამძიმებელ გარემოებებში.[539] მაგალითად, პირი მოკვლის განზრახვით ესვრის ქალს და ეს უკანასკნელი შეცდომით ფეხმძიმე ჰგონია. თუ დამნაშავის მიერ ნასროლი ტყვია ქალს აცდება, ან მხოლოდ ჯანმრთელობას დაუზიანებს მას, მაშინ დამნაშავის ქმედება, გაბატონებული შეხედულების თანახმად, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ***განზრახ მკვლელობის მცდელობა*** (სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი). მაგრამ, თუ ქალი გარდაიცვალა, მაშინ, შესაძლებელია, კვალიფიკაცია სსკ-ის 108-ე მუხლთან იდეალური ერთობლიობით.[540]

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული პოზიცია, რომლის თანახმად, თუ დამნაშავეს შეცდომით ჰგონია, რომ კლავს ფეხმძიმე ქალს, ხოლო ქალი სინამდვილეში არ არის ფეხმძიმე, მაშინ დამნაშავის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 108-ე მუხლით და, შესაბამისად, თუ ქალი გადარჩა სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით, და არა სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, რადგან ობიექტი, რომლის დასაცავად კანონმდებელმა ეს ნორმა შემოიღო, ობიექტურად არ არსებობს და იგი მხოლოდ დამნაშავს ნამოდგენაშია. აქედან, გამომდინარე, მეცნიერი საკითხს **„ობიექტური თეორიის"** საფუძველზე წყვეტს, რადგან მიაჩნია, რომ სიტყვები „წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა" მიუთითებს იმაზე, რომ დამნაშავეს წინასწარ შეცნობილი უნდა ჰქონდეს რეალურად არსებული ფაქტები და საკმარისი არ არის, რომ ეს ფაქტები მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობდეს.[541]

დანაშაულის მცდელობის შესახებ არსებულ თეორიებზე მსჯელობამ უკვე აჩვენა, რომ „ობიექტურმა თეორიებმა" მეცნიერები იქამდე მიიყვანა, რომ ისინი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე და მათი დაუსჯელობის კონპენსირება მომზადების დასჯადობით მოახდინეს.

ასევე, მიუღებელია იმ მეცნიერთა შეფასებები, რომლებიც ასეთი შემთხვევებს ***deliqtum putativim***-ის შემთხვევასთან აიგივებენ. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც დამნაშავემ არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც იგი ახორციელებს, დანაშაულებრივია.[542]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაკრიტიკებულია ასევე ის მოსაზრება, რომელიც მხარს უჭერს ორმაგ კვალიფიკაციას, კერძოდ, მარტივი მკვლელობას (სსკ-ის 108-ე მუხლი) და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მცდელობას (სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ დანამდვილებით არ იცის, რომ ქალი, რომელსაც კლავს, ფეხმძიმეა. კრიტიკის ავტორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილზე (ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ) და აღნიშნავს, რომ, თუ დამნაშავემ

539 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 152.
540 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 516.
541 იხ. *თოდუა*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 308.
542 იხ.: *გამყრელიძე* (2008), გვ. 110; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, კაზისის ამოხსნის მეთოდიკა, (2010), გვ. 114-116.

დანამდვილებით არ იცის ქალის ორსულობის შესახებ, მაშინ ასეთი კვალიფიკაცია გაუმართლებელია.[543]

შეცდომა შეიძლება ასევე შეეხოს ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, როგორიცაა, მაგალითად, დანაშაულის საშუალება. დამნაშავეს ჰგონია, რომ ადამიანის მოსაკლავად იყენებს ისეთ შხამს, რომელიც ნელ-ნელა იმოქმედებს და დაზარალებულს ტანჯვით მოუღებს ბოლოს, სინამდვილეში დამნაშავე ცდება, რადგან მის მიერ გამოყენებული საწამლავი ძლიერმოქმედი აღმოჩნდა, რის შედეგადაც დაზარალებული მაშინვე გარდაიცვალა. სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასეთი შემთხვევა შეფასებულია ჩვეულებრივ მკვლელობად, რადგან საშუალების შერჩევის დროს დაშვებული შეცდომა განვითარებული შეხედულების მიხედვით, გავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე და მას დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობის მცდელობად (იგულისხმება სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლი) ვერ გადააქცევს.[544]

სისხლის სამართლის მეცნიერთა მიერ საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა ეწინააღმდეგება მცდელობის ბუნებას. ცნობილია, რომ დანაშაულის მცდელობა სახეზეა მაშინ, როდესაც ქმედება სრულად არ არის რეალიზებული ობიექტურ გარესამყაროში. აქედან გამომდინარე, თუ დამნაშავის განზრახვა, რომელიც დანაშაულის განხორციელებისთვის მოიცავდა არა მარტო შედეგს, არამედ ქმედების შემადგენლობის სხვა ელემენტებსაც და მათი რეალიზება ვერ მოხერხდა საბოლოო ჯამში, ქმედებას არ ექნება დასრულებული სახე, რაც თავის მხრივ, ქმედების მცდელობად შეფასების საფუძველს ქმნის. მაშასადამე, ქმედების კვალიფიკაციის დროს დამნაშავის განზრახვა სრული მოცულობით უნდა შემონმდეს და ამის შემდეგ უნდა მოხდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია.

ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასებას ასევე მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავის მიერ შერჩეული საშუალება არ არის საკმარისი (ვარგისი) შედეგის გამოსანვევად. თუმცა ასეთი შემთხვევების განხილვას ადგილი ექნება უვარგის მცდელობაზე მსჯელობის დროს.

ფაქტობრივ გარემოებებში დაშვებულ შეცდომას ასევე ადგილი აქვს შემდეგ მაგალითში: ა. განიზრახა ბ. გაუპატიურება. ამ მიზნით მან ბ.-ს მუშტი დაარტყა თავის არეში, რის შედეგად ბ.-მ გონება დაკარგა და სუნთქვაც შეწვიტა. ამასთან, ა. დარტყმის დროს არ უშვებდა ბ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას. დამნაშავე დარწმუნდა იმაში, რომ ბ.-ე დარტყმის შედეგად გარდაიცვალა, მან მისი წარმოდგენით მკვდარ ადამიანთან დაამყარა სქესობრივი კავშირი, სინამდვილეში, დაზარალებული სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ასეთ შემთხვევაში, ა.-ს ქმედება გაუპატიურების მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს (სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლი), რადგან სქესობრივი კავშირის დამყარების დროს, დამნაშავეს არ ჰქონია გაუპატიურების განზრახვა. ასეთი კვალიფიკაცია გამომდინარეობს იმ მოთხოვნიდან, რომელიც განზრახვის არსებობისათვის მოითხოვს კოგნიტური ელემენტის არსებობას, რომელიც დასახელებულ მაგალითში არ იყო სახეზე.

---

543 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 37-38.

544 იხ. *თოდუა*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 308.

ბ) ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების აუცილებლობა მაშინ დგას, როდესაც შეცდომის გამო **მიზეზობრივი კავშირის** განვითარებაში ადგილი აქვს არსებით გადახრას. მაგალითად, ა. ბ. მოკვლის განზრახვით ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა. ა.-ს ეგონა, რომ ბ. უკვე მკვდარი იყო, ამიტომ მან გონებადაკარგული ბ. დანაშაულის დაფარვის მიზნით მდინარეში გადააგდო. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბ.-ს სიკვდილი გამოიწვია არა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულმა ჭრილობამ, არამედ ასფიქსიამ. შეფასებები, რომლებიც კეთდება მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავებულია. **„გენერალური განზრახვის თეორიის"** მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მიზეზობრივ კავშირში დაშვებული შეცდომა ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს და ამიტომ, დამნაშავე დამთავრებული მკვლელობისათვის უნდა დაისაჯოს. ამ თეორიის საპირისპიროდ განვითარდა **„განცალკევების თეორია"**, რომელსაც სისხლის სამართალში გაბატონებული პოზიცია უკავია, და რომლის მიხედვით, ქმედება განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით, კერძოდ, განზრახ მკვლელობის მცდელობად და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად უნდა შეფასდეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ დამნაშავე პირველი ქმედების შედეგად აუცილებლად მოკვდებოდა და მეორე ქმედებამ, უბრალოდ, დროში დააჩქარა შედეგი, მაშინ დამნაშავის ქმედება დანაშაულის მცდელობად არ უნდა შეფასდეს („ეფექტის გვიან გამოწვევის თეორია").[545]

„განცალკევების თეორიის" უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ზუსტად პასუხობს *განზრახვის თანადროულობის პრინციპს*. ეს იმას ნიშნავს, რომ განზრახვა სახეზე უნდა იყოს ქმედების ჩადენის მომენტში.

გ) დამნაშავემ შეცდომა, შესაძლებელია, დაუშვას კანონით აღწერილ შედეგში. მაგალითად, ვინმე თავისი წარმოდგენით იპარავს ნარკოტიკულ ნივთიერებას. სინამდვილეში იგი დაეუფლა სულ სხვა ნივთიერებას, რომელიც არავითარ ნარკოტიკს არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას.[546] სისხლის სამართლის ლიტერატურაში შეცდომის ასეთ შემთხვევას დანაშაულის **საგანში** დაშვებულ შეცდომად მიიჩნევენ.[547]

დ) სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ***პიროვნებაში (error in persona)*** და ***ობიექტში (error in obiecto) შეცდომა*** გავლენას არ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგრამ, თუ დამნაშავე სხვადასხვა ღირებულების სიკეთეებიდან შეცდომის საფუძველზე შედარებით დაბალი ღირებულების სიკეთეს ხელყოფს, მაშინ კვალიფიკაცია იცვლება. მაგალითად, დამნაშავის მიერ ნასროლი ტყვია აცდება ადამიანს და დააზიანებს ან გაანადგურებს სხვის ნივთს. ასეთ შემთხვევაში, ქმედება შემდეგნაირად უნდა დაკვალიფიცირდეს: იმ ობიექტის მიმართ, რომლის ხელყოფაც დამნაშავეს ჰქონდა განზრახული, ქმედება შეფასდება დანაშაულის მცდელობად, ხოლო რეალურად დაზიანებული ობიექტის მიმართ - გაუფრთხილებლობით დანაშაულად, თუ, რა თქმა უნდა, ამ ქმედების გაუფრთხილებლობით დასჯადობა გათვალისწინებულია საქართ-

---

545 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 145, 155.

546 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 110.

547 იხ. *თოდუა*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 308.

ველოს სისხლის სამართლის კოდექსით (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი).[548]

ასე გადაწყდება საკითხი მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს თანაბარი ღირებულების ობიექტში დაშვებულ შეცდომას **გარანტორულ მდგომარეობაში** შეცდომის სახით. მაგალითად, ა.-ს განზრახული ჰქონდა თავისი მეუღლის მოკვლა. როდესაც ისინი ზღვაზე ისვენებდნენ, ა. დაინახა, რომ ზღვაში ქალი იხრჩობოდა და შველას ითხოვდა. ა. ეგონა, რომ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მისი მეუღლე იყო და შეგნებულად არ დაეხმარა მისი წარმოდგენით მეუღლეს, რომლის მკვლელობაც მას დიდი ხანია უნდოდა. ა. შეცდა, რადგან ზღვაში სხვა ქალი ითხოვდა შველას. დაუხმარებლად დარჩენილი დაზარალებული ასფიქსიით გარდაიცვალა. მოცემულ კაზუსში ადგილი აქვს პიროვნებაში შეცდომას და ა.-მ პასუხი უნდა აგოს მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, მიუხედავად შედეგის დადგომისა.

ანალოგიურად წყდება ქმედების კვალიფიკაციის საკითხი მაშინაც, როდესაც დამნაშავე, მის მიერ ამორჩეული ობიექტის ნაცვლად, ტექნიკურ ნაწილში დაშვებული შეცდომის საფუძველზე, ხელყოფს იმავე ღირებულების მქონე ობიექტს. მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით ესვრის ბ.-ს, მაგრამ იარაღის გაუმართაობის ან სხვა მიზეზის გამო, ტყვია მოხვდება ც.-ს და მოუსპობს სიცოცხლეს. ასეთი შემთხვევას, ***„აცდენილი ისრის თეორიის“*** *(aberratio ictus)* საფუძველზე, ორმაგი კვალიფიკაცია მიეცემა, როგორც განზრახი მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.[549]

ე) სისხლის სამართლის ლიტერატურაში შეცდომის საკითხის გადაწყვეტისას ზოგჯერ წარმოიშობა პრობლემები. სახელდობრ, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთდროულად სახეზეა *error in persona* და *aberratio ictus*. მაგალითად, ა. განიზრახა მეზობლის მოკვლა, რომელიც მარტო ცხოვრობდა სახლში. ამ მიზნით, ა. შეეიდა მეზობლის ეზოში და განახორციელა გასროლა ფარდის უკან მდგომი მეზობლის მიმართულებით. სინამდვილეში, ფარდის უკან მეზობლის მეგობარი ქალი იდგა, რომელსაც შემთხვევით ასცდა ტყვია და მოხვდა სამზარეულოდან გამოსულ მეზობელს, რის შედეგად მეზობელი გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევებს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ***„კონკრეტიზაციის თეორიაზე“*** დაყრდნობით *aberratio ictus*-ის შემთხვევებს უთანაბრებენ.[550]

შეცდომის გამო რთულია საკითხის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს ე. წ. **კუმულაციურ მიზეზობრიობას** შეცდომის პრობლემასთან ერთობლიობაში. მაგალითად, ა. და ბ. განიზრახეს დ.-ს მკვლელობა მის მიერ შესრულებული კანონიერ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ისე, რომ მათ არ იცოდნენ ერთმანეთის განზრახვის შესახებ, დ.-ს სასმელში ჩაუყარეს სანამლავი. თითოეულს ეგონა, რომ მის მიერ ჩაყრილი საწამლავი საკმარისი იყო შედეგის გამოსანვევად, მაგრამ ცდებოდნენ, თუმცა ერთობლიობაში საწამლავის დოზა საკმარისი აღმოჩნდა შედეგის მისაღწევად. მაგრამ საწამლავი დალია არა დ.-მ, არამედ შემთხვევით მისმა მდივანმა კ.-მ და მოკვდა. მოცემულ მაგ-

548 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 157.
549 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 158.
550 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 160.

ალითში ა.-ს და ბ.-ს ქმედებები, იმისდამიუხედავად შეცდომის გადაწყვეტის რა გზა იქნება არჩეული, დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს. მაშასადამე, თუ ქმედება *aberratio ictus*-ის მიხედვით შეფასდება, მაშინ ადგილი ექნება დ.-ს მკვლელობის მცდელობას, ხოლო თუ მოცემული შემთხვევა *error in persona*-ს წესი გამოიყენება, მაშინ სახეზე იქნება კ.-ს (მდივნის) მკვლელობის მცდელობა.[551]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასახელებულია შეცდომის კიდევ ერთი პრობლემატური შემთხვევა, სადაც დამნაშავე დანაშაულის ჩასადენად „ბრმა იარაღს" იყენებს. მაგალითად, ექიმმა ა. განიზრახა პაციენტის მკვლელობა. მიზნის მისაღწევად მან მონამლული შპრიცი მისცა თავის ასისტენტს. ამ უკანასკნელმა ნემსი შეცდომით სხვა პაციენტს გაუკეთა, რომელიც მოინამლა და გარდაიცვალა. როგორ უნდა გადაწყდეს ქმედების კვალიფიკაციის საკითხი მოცემულ მაგალითში? ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების სასარგებლოდ მეტყველებს *aberratio ictus*-ის წესი, თუმცა გაბატონებული შეხედულება პიროვნებაში შეცდომის (*error in persona*) წესით გადაწყვეტას ანიჭებს უპირატესობას. გაბატონებული პოზიცია ანალოგიურად აფასებს საკითხს და ქმედებას დამთავრებულ მკვლელობად განიხილავს მაშინაც, როდესაც დამნაშავე შეცდომას უშვებს დაზარალებულის ადგილსამყოფელში. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ა. მკვლელობის მიზნით მისი წარმოდგენით ბ.-ს ავტომანქანის ქვეშ ბომბს დაამონტაჟებს. სინამდვილეში, ა. შეცდომით დ.-ს ავტომანქანას ააფეთქებს, რის შედეგადაც დ.-ე გარდაიცვლება,[552] ხოლო თუ დ. გადარჩება, მაშინ ა.-ს ქმედება ჩვეულებრივ განზრახ მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირდება.

ვ) შეცდომა აკრძალვაში, რომელიც ბრალის ეტაპზე განიხილება, ქმედების მცდელობად შეფასების პროცესში ირელევანტურია.

ზ) ქმედების განხორციელების პროცესში შეცდომას უშვებს არა მარტო დამნაშავე, არამედ ზოგჯერ თავად დაზარალებული აღმოჩნდება ***შეცდენის მსხვერპლი***. დამნაშავემ დაზარალებული შესაძლებელია მოატყუოს და ამით მან დასახულ მიზანს მიაღწიოს. მაგალითად, დამნაშავე სათამაშო იარაღის მუქარით, ისე, რომ დაზარალებულს ეს უკანასკნელი ნამდვილი ჰგონია, ართმევს ქონებას. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასეთ შემთხვევებს მეცნიერთა ნაწილი ყაჩაღობად აკვალიფიცირებს,[553] ხოლო მეორე ნაწილი ძარცვად აფასებს და თავის პოზიციას იმით ასაბუთებს, რომ ასეთი შემთხვევის ყაჩაღობად შეფასება ეწინააღმდეგება თავად ყაჩაღობის ბუნებას, რადგან სათამაშო იარაღი არ წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშროების შემცველს, რაც ყაჩაღობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს და რითაც ხორციელდება ყაჩაღობის და ძარცვის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.[554]

მეორე შეხედულება აგრძელებს პირველი პოზიციის კრიტიკას და აღნიშ-

---

551 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 161-162.

552 იქვე.

553 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 379.

554 იხ.: *გამყრელიძე* (1998), გვ. 210-211; *გამყრელიძე* (2008), გვ. 111.

ნავს, რომ პოზიცია, რომელიც ქმედებას ყაჩაღობად განიხილავს, თავის თავთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან ერთ ადგილზე მიუთითებს, რომ ყაჩაღობის დროს მუქარა რეალური და იმწუთიერი უნდა იყოს, ხოლო სხვა ადგილზე უვარგისი იარაღით განხორციელებულ ქმედებას, სადაც მუქარა ობიექტურად რეალური არ არის, კვლავ ყაჩაღობად განიხილავს.[555]

მიუხედავად კრიტიკისა, პოზიცია, რომელიც სათამაშო იარაღით განხორციელებულ ქმედებას ძარცვად აფასებს, მიუღებელია, რადგან ქმედების ყაჩაღობად შეფასებისათვის მთავარი ის კი არ არის ნამდვილია თუ არა დანაშაულის იარაღი, არამედ მთავარია ის, თუ რამდენად მოახდინა დამნაშავის მუქარამ დაზარალებულის ნების პარალიზება. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მოჩვენებითი იარაღით თავდასხმა აუცილებელი მოგერიების უფლებას წარმოშობს, რადგან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ნების თავისუფლებაზე თავდასხმას.[556]

სასამართლო პრაქტიკა ამ ორი პოზიციიდან რომელს დაუჭერს მხარს, ძალზედ მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის სიმძიმის განსაზღვრის თვალსაზრისით. ამდენად, სისხლის სამართლის დოგამტიკაში ამა თუ იმ შეხედულების გაზიარებით სასამართლო პრაქტიკა განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებამდე მივა და, შესაბამისად, დამნაშავის ქმედებაზე განსხვავებულ სიმძიმის პასუხისმგებლობას გაავრცელებს. ამ ორი პოზიციის რადიკალური დაშორება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სიმძიმის განსაზღვრის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე ქონების დაუფლებას ვერ ახერხებს. პირველი პოზიციის მიხედვით, ასეთი ქმედება ძარცვის მცდელობად ფასდება, მაშინ, როდესაც მეორე პოზიცის თანახმად, ქმედება დამთავრებულ ყაჩაღობად კვალიფიცირდება, რადგან ეს უკანასკნელი ე. წ. ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია და მისი დამთავრებისათვის ქონების დაუფლების მომენტი მხედველობაში არ მიიღება.

თ) სისხლის სამართლის პრაქტიკაში, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებული ან მესამე პირი შეაცდენს დამნაშავეს, რათა მათ თავიდან აიცილონ უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ასეთი შემთხვევები, ზოგჯერ, შესაძლებელია, დანაშაულის მცდელობად შეფასდეს. მაგალითად, ა. ძალადობის (რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის) გამოყენებით განიზრახა ბ. მობილური ტელეფონის ნართმევა. ამ მიზნით იგი ცემით დაემუქრა დაზარალებულს და მოსთხოვა მისი კუთვნილი ძვირადღირებული მობილური ტელეფონის გადაცემა. ბ.-მ მოძალადეს წინააღმდეგობა არ გაუწია, არამედ მან ასეთ მეთოდს მიმართა, კერძოდ, მოატყუა დამნაშავე და ნამდვილი მობილური ტელეფონის ნაცვლად, სათამაშო მობილური გადასცა, რომლის ღირებულება, სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, პასუხისმგებლობას ვერ აფუძნებს. ვინაიდან ა. ვერ ერკვეოდა მობილურ ტელეფონებში, სიხარულით დაეუფლა ბ.-ს ტელეფონს. თუმცა მას იმედი მაშინვე გაუცრუვდა, რადგან იგი პოლიციამ დააკავა.

---

555 იხ. *გამყრელიძე*, „ცხოვრება და კანონი" №2-3 (2011), გვ. 18.
556 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 351.

მაშასადამე, დაზარალებულის მიერ დამნაშავის შეცდომაში შეყვანა, შესაძლებელია, ზოგჯერ ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების საფუძველი გახდეს.

დაშვებული შეცდომის წყალობით გამოყენებული საშუალების უვარგისობის, ან ობიექტის არარსებობის გამო მიზნის მიუღწევლობა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასჯადი **უვარგისი მცდელობის** სახელწოდებით არის ცნობილი, რომელიც ცალკე იქნება განხილული.

1. 2. განზრახვის სახეებად დაყოფის მნიშვნელობა ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების საკითხში

განზრახვის სახეებად დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების საკითხში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი ერთმანეთისაგან მიჯნავს **პირდაპირი** და **არაპირდაპირი** (ევენტუალური) სახის განზრახვას.[557]

პირდაპირი განზრახვა, თავის მხრივ, მეცნიერებაში იყოფა **პირველი** და **მეორე ხარისხის** პირდაპირ განზრახვად. ***პირდაპირი განზრახვისათვის*** დამახასიათებელია ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და სურვილი, ანდა, შესაძლებელია, პირდაპირ განზრახვაში სურვილის ელემენტი საერთოდ არ არსებობდეს, მაგრამ დამნაშავე ითვალისწინებდეს შედეგის დადგომის გარდაუვალობას. რაც შეეხება ***არაპირდაპირ განზრახვას***, აქ დამნაშავეს არ სურს შედეგი, თუმცა იგი შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას.[558]

ასევე, სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვას ყოფენ სხვადასხვა სახეებად, კერძოდ, **განსაზღვრულ** (კონკრეტიზირებულ), **განუსაზღვრელ** (არაკონრეტიზირებულ), **ალტერნატიულ განზრახვად**[559] და ა. შ.

განსაზღვრული და განუსაზღვრელი განზრახვა, შესაძლებელია, იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი სახის განზრახვა. ***პირდაპირი კონკრეტიზირებული განზრახვის*** დროს დამნაშავეს ზუსტად აქვს წარმოდგენილი, თუ რა შედეგს გამოიწვევს მისი ქმედება. მაგალითად, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს სახეში გოგირდმჟავას შეასხმას, მას ზუსტად აქვს წარმოდგენილი, რომ მისი ქმედება ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანებას გამოიწვევს. მაგრამ, თუ დაზარალებული სახის გაწვას მოასწრებს, მაშინ დამნაშავის ქმედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობით უნდა შეფასდეს (სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლი). ქმედება ასე დაკვალიფიცირდება მაშინაც, როდესაც დამნაშავის ქმედებას ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი ხარისხის დაზიანება მოჰყვება.[560]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სწორად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ***არაკონკრეტიზირებული (განუსაზღვრელი) პირდაპირი განზრახვის*** დროს პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

---

557 იხ. *ტყეშელიაძე, ზოგადი ნაწილი* (2007), გვ. 129.

558 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 130-133; განზრახვის შესახებ ასევე დაწვრილებით იხილეთ მაღლაკელიძის დისერტაცია: *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 160-164.

559 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 105.

560 იხ. *ებრალიძე* (2002), გვ. 106.

მაგალითად, დამნაშავეს სურს დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს იმას, თუ რა ხარისხის დაზიანება შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას. თუ დამნაშავის ქმედებამ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია, მაშინ ქმედება სწორედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით (სსკ-ის 117-ე მუხლი) უნდა დაკვალიფიცირდეს. მაგრამ, არ არის გასაზიარებელი ქმედების ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების მცდელობად შეფასება მაშინ, როდესაც დამნაშავის ქმედებას შედეგი არ მოჰყვება.[561]

საქმე იმაშია, რომ ასეთ შემთხვევებში, დამნაშავის ქმედების ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად შეფასებას წინ არაფერი არ უდგას, მითუმეტეს, რომ განზრახვის ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ, თუ კი განზრახვა საკმარისია დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ შემთხვევაში სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისინნებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, მაშინ იგი ასევე საკმარისი უნდა იყოს დაუმთავრებელი დანაშაულისთვისაც, ამ შემთხვევაში სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობისათვის.

კონკრეტიზირებული არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე უშვებს კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობას და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმის მიხედვით, თუ რა სიმძიმის დაზიანებას ითვალისწინებს დამნაშავე. მაგალითად, შესაძლებელია, დამნაშავე ითვალისწინებდეს დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენების შესაძლებლობას, მაგრამ, თუ დამნაშავის ქმედებას შედეგად ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება მოჰყვება, მაშინ მას პასუხისმგებლობა დაეკისრება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობისათვის (სსკ-ის 19, 117-ე მუხლი).[562]

რაც შეეხება ***არაკონკრეტიზირებულ არაპირდაპირ განზრახვას***, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, აქაც პასუხისმგებლობის საკითხი ფაქტიურად მიყენებული შედეგის მიხედვით წყდება.[563]

თუმცა დასახელებულ პოზიცია ისევე დაუსაბუთებელია, როგორც ამას არაკონკრეტიზირებული პირდაპირი განზრახვის დროს ჰქონდა ადგილი და, შესაბამისად, ზემოთ გამოთქმული კრიტიკა ამ შემთხვევაზეც ვრცელდება.

გასაზიარებელი არ არის იმ მეცნიერთა შეხედულება, რომლის მიხედვით, შეუძლებელია არაკონკრეტიზირებული (განუსაზღვრელი) განზრახვის დროს ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაცია. ამასთან, ეს მეცნიერები გამოდიან არაკონკრეტიზირებული პირდაპირი და არაკონკრეტიზირებული არაპირდაპირი განზრახვის დიფერენციაციის წინააღმდეგ.[564]

განზრახვის შემდეგ სახეს წარმოადგენს ***ალტერნატიული განზრახვა***, რომელიც სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის გაგე-

561 იქვე.

562 იხ. *ებრალიძე* (2002), გვ. 106-107.

563 იხ. *ებრალიძე* (2002), გვ. 107.

564 იხ.: *სურგულაძე* (2002), გვ. 21; *ტყეშელიაძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 135.

ბული.

სისხლის სამართლის ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ალტერნატიულ განზრახვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავეს სურს ორი სხვადასხვა ღირებულების სიკეთიდან ერთ-ერთის (სიცოცხლე ან ჯანმრთელობა) დაზიანება, თუმცა მისთვის სულერთია, რომელი სიკეთე იქნება ხელყოფილი (**პირდაპირი ალტერნატიული განზრახვა**), ანდა შესაძლებელია ამ ორი სიკეთიდან დამნაშავე ერთ-ერთის ხელყოფის შესაძლებლობას უშვებდეს (**არაპირდაპირი ალტერნატიული განზრახვა**). ორივე შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი ნყდება ერთნაირად. მაგალითად, თუ დამნაშავე შეგნებულად უშვებს დაზარალებულის სიკვდილს ან ჯანმრთელობის დაზიანებას და მის ქმედებას შედეგად დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვება, მაშინ დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველაზე უფრო მძიმე´დანაშაულის მცდელობისათვის, ე. ი. მკვლელობის მცდელობისათვის. სისხლის სამართლის ეს მეცნიერები ალტერნატიულ განზრახვას მიჯნავენ არაკონკრეტიზირებული განზრახვისაგან იმით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთიდაიგივე ობიექტის ფარგლებში სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებისადმი დამნაშავის დამოკიდებულებას.[565]

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ალტერნატიული განზრახვა სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავეს გააჩნია დამოკიდებულება თანაბარი ღირებულების ობიექტების (მაგალითად, ორი ადამიანის სიცოცხლე) მიმართ, ასევე მაშინაც, როდესაც ასეთი დამოკიდებულება დამნაშავეს სხვადასხვა ღირებულების ობიექტების (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე და საკუთრება) მიმართ აქვს. ამიტომ, ალტერნატიული განზრახვის დროს ქმედების სწორად შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტის ღირებულებას. იქ, სადაც ადგილი აქვს ორი თანაბარი სამართლებრივი სიკეთიდან ერთ-ერთი სიკეთის ხელყოფას, ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასება გამორიცხულია. ანალოგიურ კვალიფიკაციას აქვს ადგილი მაშინაც, როდესაც, არათანაბარი სამართლებრივი ღირებულების სიკეთიდან დამნაშავე ხელყოფს უფრო დიდი ღირებულების მქონე სიკეთეს. მაგალითად, დამნაშავემ გაისროლა ცხენზე ამხედრებული კაცის მიმართულებით. ამასთან, მისთვის სულერთია კაცი მოკვდება თუ ცხენი. გასროლის შედეგად კაცი გარდაიცვალა. იმ შემთხვევაში, თუ არათანაბარი ღირებულების მქონე ობიექტებიდან დამნაშავე ხელყოფს უფრო მცირე ღირებულების მქონე სიკეთეს, მაგალითად, ცხენს, მაშინ დამნაშავის ქმედება კაცის მიმართ დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს, ხოლო ცხენის მიმართ სხვისი ნივთის დაზიანებად ან განადგურებად. მაგრამ, თუ არც ერთი სამართლებრივი სიკეთე არ დაზიანდა, მაშინ დამნაშავის ქმედება მხოლოდ მკვლელობის მცდელობად უნდა შეფასდეს. დასახელებული პოზიციის ავტორი ყურადღების გარეშე არ ტოვებს უმცირესობის იმ მოსაზრებას, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ალტერნატიული განზრახვის დროს სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, არამედ, ქმედების შეფასებისათვის მთავარია კონკრეტულად დამდგარი შედეგი, რომელიც გამორიცხავს ქმედების

565 იხ. *ებრალიძე* (2002), გვ. 107-108.

დანაშაულის მცდელობად შეფასების შესაძლებლობას.[566]

განზრახვის შემდეგ სახეს მიეკუთვნება ***კუმულაციური განზრახვა***, რომლის დროსაც დამნაშავეს განზრახული აქვს ერთდროულად ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. მაგალითად, დამნაშავის ქმედება მიმართულია დაზარალებულის და მისი ავტომანქანის წინააღმდეგ. ამის შედეგად, თუ ერთ-ერთი სიკეთე გადარჩა, მაშინ ადგილი ექნება ორმაგი სახის კვალიფიკაციას, კერძოდ, გადარჩენილი სიკეთის მიმართ ქმედება დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს, ხოლო დაზიანებული სიკეთის მიმართ ადგილი ექნება დამთავრებულ განზრახ დანაშაულს.[567]

1. 3. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესახებ გამოთქმული შეხედულებები

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა **ევენტუალური განზრახვით** დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ. ჯერ კიდევ, საბჭოთა პერიოდში აზრი გაყოფილი იყო სამ ნაწილად. მეცნიერთა ***უმრავლესობას*** მიაჩნდა, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელი იყო მხოლოდ პირდაპირი განზრახვით,[568] მეცნიერთა ***მეორე ნაწილი*** კი თვლიდა, რომ მცდელობა დასაშვები იყო არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებშიც.[569] მეცნიერთა ***მესამე ნაწილი*** თეორიულად შესაძლებლად თვლიდა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას, მაგრამ მისი დასჯადობა პრაქტიკული თვალსაზრისით გაუმართლებლად მიაჩნდა.[570]

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის ლიტერატურაში ევენტუალური განზრახვით მცდელობას იმ დასაბუთებით უარყოფდნენ, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს შედეგი არ სურს და ამავდროულად ითვალისწინებს შედეგის დადგომის არა აუცილებლობას, არამედ შესაძლებლობას. ამ დებულებას იზიარებდა არა მარტო იმდროინდელი სისხლის სამართლის თეორია, არამედ სისხლის სამართლის პრაქტიკაც, სადაც უთითებდნენ, რომ ვისაც შედეგის დადგომის სურვილი არ გააჩნია ან ასეთი შედეგის გამოწვევის გარდაუვალობა არ არსებობს, მან პასუხი უნდა აგოს ფაქტობრივად დამდგარი შედეგისათვის.[571] მაშასადამე, სისხლის სამართალში განზრახვის ბუნება ისე იყო გაგებული, რომ ევენტუალური განზრახვის დროს ლოგიკურად შეუძლებლად იყო მიჩნეული მცდელობაზე საუბარი. ის, რაც დამნაშავეს არ სურს, ნერდა ნერეთელი, ლოგიკურად შეუძლებელია მისი განხორციელების მცდელობა.[572]

შეხედულება, რომელიც უარყოფს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას, შენარჩუნებულია თანამედროვე ქართულ სისხლის სამარ-

566 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 147-148.
567 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 149.
568 იხ. *Трайнин* (1957), გვ. 319-320.
569 იხ. *Лившиц*, „Советское государство и право" №7 (1947), გვ. 43.
570 იხ. *Лясс* (1952), გვ. 6.
571 იხ. *მაყაშვილი, მაჭავარიანი, წერეთელი, შავგულიძე* (1980), გვ. 14-15.
572 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 180.

თლის დოგმატიკაში. ამ შეხედულების მიხედვით, ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის უარყოფა თავად საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსზე მითითებით საბუთდება. ამ მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობა განზრახი ქმედებაა, რომელიც **„უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად"**. ამ განმარტებაში სიტყვები: „უშუალოდ" და „მიმართული" მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე, რითაც მცდელობის დროს ევენტუალური განზრახვა თავისთავად გამოირიცხება.[573]

მცდელობის საკანონმდებლო განმარტებაში მოცემულ ფრაზას **„უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად"** ზოგიერთი მეცნიერი ეჭქვეშ აყენებს და მიუთითებს, რომ თავად მცდელობის ქმედების განხორციელების დაწყება უკვე დანაშაულს წარმოადგენს[574] და, ამდენად, მცდელობის განმარტებაში ასეთი დათქმა ზედმეტად მიაჩნია. გარდა ამისა, ეს პოზიცია საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი დასახელებულ ფრაზას მცდელობის არა სუბიექტური, არამედ **ობიექტური სფეროს პრობლემად** განიხილავს. მართლაც, სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსზე დაკვირვება აჩვენებს, რომ კანონმდებელი ჯერ მცდელობის სუბიექტურ ელემენტს ასახელებს ტერმინით „განზრახი", ხოლო შემდეგ მცდელობის ობიექტურ ელემენტს გამოყოფს ფრაზით „ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია". ეს უკანასკნელი სუბიექტური მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, ნინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მცდელობის ცნებაში (სსკ-ის მე-19 მუხლი) სუბიექტურ ელემენტი ორჯერ გამეორდება, (დაუშვებელია ცნებაში ტავტოლოგია), რაც, რა თქმა უნდა, ნორმის არასწორი ინტერპრეტაციით აიხსნება. უკანასკნელი ფრაზის შემოღების მიზანი გახლავთ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის კრიტერიუმის განსაზღვრა და არა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა უარყოფა.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის მომხრეები სხვა არგუმენტითაც ცდილობენ თავიანთი პოზიციის გამყარებას. კერძოდ, ისინი მიუთითებენ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებზე და აღნიშნავენ, რომ თავად კანონმდებელმა არა მარტო ზოგადი ნაწილის, არამედ კერძო ნაწილის ნორმების მეშვეობით უარყო ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ევენტუალური განზრახვით განხორციელებულ ქმედებას შედეგი არ მოჰყვება, ქმედება არ შეფასდება დანაშაულის მცდელობად, არამედ ამისათვის კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 127-ე და 128-ე მუხლები შემოიღო, რომლებიც საფრთხის შემქნელი დელიქტების სახელწოდებით არის ცნობილი. ამდენად, ევენტუალური განზრახვით მცდელობა შესაძლებელი რომ იყოს, სისხლის სამართლის კანონმდებელი დასახელებულ მუხლებს დამოუკიდებელი შემადგენლობების სახით სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არ გაითვალისწინებდა.[575]

---

573 იხ.: *გამყრელიძე* (2008), გვ. 162; იხ. *დვალიძე* (2008), გვ. 92-93; *ცქიტიშვილი*, „სამართლის ჟურნალი" №1 (2012), გვ. 196.

574 იხ. *სულაქველიძე*, ჟურნალი „სამართალი" №3-4 (1991), გვ. 11.

575 იხ.:*გამყრელიძე* (2008), გვ.162-163; *დვალიძე* (2008), გვ. 93; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ.78; *თოდუა*, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" №2-3 (2007), გვ.155-156.

ანალოგიურ აზრს ავითარებენ სისხლის სამართლის ის მეცნიერები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში 117-ე მუხლის (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) შემოღებით არ გაიზიარა არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა. თავიანთ პოზიციას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მომენტში დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, რომელიც წარმოშობს სიკვდილის შესაძლებლობას, შეგნებული აქვს დამნაშავეს. ამდენად, იგი მოქმედებს არაპირდაპირი განზრახვით. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის მეცნიერები სვამენ საკითხს იმის შესახებ, რომ, თუ დასაშვებია ევენტუალური განზრახვით მცდელობა, მაშინ, რატომ დასჭირდა კანონმდებელს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის შემადგენლობაში „სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებაზე" მითითება.[576]

ზოგიერთი მეცნიერი, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასაბუთებისას, მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის საქმიანობა მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს. ეს იმას გულისხმობს, რომ ადამიანი შეიძლება მხოლოდ იმას ცდილობდეს, რაც მისი საქმიანობის **მიზანს** ნარმოადგენს. ასეთი საქმიანობა კი მხოლოდ პირდაპირი განზრახვისათვის არის დამახასითებელი, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს, შედეგი სრულებით არ შეესაბამება დამნაშავის მიზანს და იგი, როგორც თანამდევი, ისეა ნარმოდგენილი.[577] „ამრიგად, შეუძლებელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იმის... ცდა, რაც ადამიანის მოქმედების მიზანს არ ნარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევის გზაზე სხვა თანამდევ შედეგებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საბოლოო შედეგთან შედარებით, რომელიც ადამიანის მოქმედების შეფასების კრიტერიუმია, რადგან მიზანი მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემადგენელი ნანილია, ამიტომ... მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება."[578] აქედან გამომდინარე, ისეთი დასკვნა გამოაქვთ მეცნიერებს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლს შეზღუდვითი ახსნა-განმარტება უნდა მიეცეს, რითაც ევენტუალური განზრახვით განხორციელებული ქმედების შემთხვევაში დანაშაულის მცდელობა გამოირიცხოს.[579]

ზოგიერთი მეცნიერი ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობას თავად სიტყვის „მცდელობა" ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან ასაბუთებს. „თვით სიტყვის „მცდელობა" ეტიმოლოგიური ხასიათი, წერს სურგულაძე, იმაზეა მიმანიშნებელი, რომ კაცს რაღაც სურს და ცდილობს ამის მიღწევას. ევენტუალური განზრახვა კი სურვილს გამორიცხავს. უკვე აქედანვე ნათელია ამ ორი მომენტის შერწყმის შეუძლებლობა."[580]

ბოლო ათი ნლის განმავლობაში ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერე-

---

576 იხ. *თოდუა, კერძო ნანილი* (2011), სქოლიო 1. გვ. 79.

577 იხ.: *დვალიძე,* ზოგადი ნანილი (2007), გვ. 169; *ცქიტიშვილი,* „სამართლის ჟურნალი" №1 (2012), გვ. 196.

578 *დვალიძე,* ზოგადი ნანილი (2007), გვ. 170.

579 იხ. *დვალიძე* (2008), გვ. 94.

580 *სურგულაძე* (2002), გვ. 22.

ბაში თანდათანობით მკვიდრდება აზრი იმის შესახებ, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობა სავსებით შესაძლებელია. ამ შეხედულების ავტორები პირდაპირ მიუთითებენ, იმის შესახებ, რომ დანაშაულის მცდელობისათვის აუცილებელი არ არის პირდაპირი განზრახვის არსებობა, არამედ სავსებით საკმარისია ევენტუალური განზრახვის დადგენა.[581]

დასახელებული შეხედულების ავტორები თავიანთ პოზიციას ასაბუთებენ როგორც დოგმატური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. მათ სისხლის სამართლის განზრახვის ცნებაში დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური სურვილის ცნების გვერდით შემოაქვთ ე. წ. **ნორმატიული სურვილის ცნება,** რომელიც ნარმოადგენს ნებელობით კომპონენტს ფართო გაგებით. ამ ცნების საშუალებით არა მარტო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით, არამედ, აგრეთვე ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის საკითხი დოგმატური თვალსაზრისით უპრობლემოდ საბუთდება.[582]

ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრე მეცნიერები ცდილობენ გააბათილონ ის არგუმენტები, რომლებსაც აყენებენ მოწინააღმდეგე პოზიციაზე მდგომი მეცნიერები. მათი აზრით, არასწორია აზრი იმის შესახებ, რომ კანონმდებელმა საქართველოს სსკ-ში 117-ე, 127-ე და 128-ე მუხლების შემოღებით, თითქოს, უარი თქვა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაზე. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დროს (სსკ-ის 117-ე მუხლი) დამნაშავე განზრახ მოქმედებს მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანების მიმართ და არა სასიკვილო შედეგის მიმართ. მართალია, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მისი ქმედება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია, მაგრამ, იმავდროულად ფიქრობს, რომ ამ ქმედებას შედეგი არ მოჰყვება. ამდენად, დამნაშავეს დაზარალებულის სიკვდილისადმი გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია. ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაშვებობა ხელს არ უშლის ამა თუ იმ ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით კვალიფიკაციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამნაშავე განზრახ მკვლელობის ჩადენისას ნებაყოფლობით უარს ამბობს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და მის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ნარმოადგენს. ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრეებს ანალოგიური აზრი აქვთ გამოთქმული საქართველოს სსკ-ში 127-ე და 128-ე მუხლების შემოღებასთან დაკავშირებით. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება და განსაცდელში მიტოვება გულისხმობს იმას, რომ დამნაშავე მოქმედებს განზრახ, ხოლო შედეგისადმი მას გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია.[583] ამიტომ, ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრეთა აზრით, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების შემადგენლობა (სსკ-ის 127-ე მუხლი) არ არის შექმნილი იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ევენტუალური განზრახვით განხორციელებულ ქმედებას შედეგი არ მოჰყვება.[584] საქართველოს სსკ-ის 127-ე მუხლს სხვა დანიშნულება გააჩ-

581 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 298; *ტურავა* (2013), გვ. 310; *ებრალიძე* (2002), გვ. 200.
582 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 309, 271, 319.
583 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 302; *ტურავა* (2013), გვ. 136-138.
584 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 140.

ნია, კერძოდ, თუ პიროვნებას შედეგისადმი განზრახვა ვერ უმტკიცდება და სამართლებრივი სიკეთე საფრთხეში აღმოჩნდება, პირი დაისჯება სწორედ სსკ-ის 127-ე მუხლის საფუძველზე. მაშასადამე, დასახელებულ მუხლს გააჩნია ორმაგი ფუნქცია, ჯერ ერთი, იგი უზრუნველყოფს სამართლებრივი სიკეთის დაცვას და, მეორე, იგი პასუხობს სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნას, არ დაისაჯოს პირი მხოლოდ ვარაუდისათვის.[585]

გარდა ამისა, საინტერესოა კიდევ ერთი ნორმა, რომელიც სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტში დამამძიმებელი გარემოების სახით არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, საქმე ეხება განზრახ მკვლელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. მაშასადამე, დამნაშავე მკვლელობის ჩასადენად იყენებს საყოველთაოდ საშიშ საშუალებებს, მაგალითად, სახლს ცეცხლს უკიდებს, ხალხმრავალ ადგილებში იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს და ა. შ. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ დამნაშავეს მაკვალიფიცირებელი გარემოებების მიმართ ჰქონდეს განზრახვა. ამასთან, ლიტერატურაში მიუთითებენ იმაზე, რომ გამოყენებული საშუალება აუცილებლად ობიექტურ საფრთხეს უნდა უქმნიდეს სხვა ადამიანებს. ამიტომ, თუ დამნაშავემ აღნიშნული ქმედება უკაცრიელ ადგილზე ჩაიდინა, მაშინ მას ბრალად ეს გარემოება არ შეერაცხება.[586]

იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის მიერ გამოყენებული საშუალება მხოლოდ დამნაშავის ნარმოდგენაში არის საშიში და მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ობიექტურ საფრთხეს არ შეიცავს, ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მკვლელობის უვარგისი მცდელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას (სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით). თუმცა ქმედება ასე მხოლოდ მაშინ უნდა დაკვალიფიცირდეს, როდესაც გამოყენებული საშუალებები არ განეკუთნება აბსოლუტურად უვარგის საშუალებებს.

თუ დამნაშავემ არ იცის, რომ საშუალება, რომელსაც იგი იყენებს, საყოველთაოდ საშიშია, მაშინ ნორმის მოთხოვნის შესაბამისად, ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება, ე. ი. დამნაშავეს მინიმუმ ევენტუალური განზრახვა მაინც უნდა ჰქონდეს დამამძიმებელი გარემოებისადმი. ამასთან, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აყალიბებენ **პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის კომბინაციას**: 1. დამნაშავეს პირდაპირი განზრახვა აქვს შედეგის მიმართ, ხოლო ევენტუალური განზრახვით მოქმედებს მაკვალიფიცირებელი გარემოების მიმართ; 2. დამნაშავეს გააჩნია ევენტუალური განზრახვა როგორც შედეგის, ასევე დამამძიმებელი გარემოების მიმართ; 3. დამნაშავე შედეგის და მაკვალიფიცირებელი გარემოებების მიმართ მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.[587]

დასახელებული მსჯელობიდან გამომდინარე, სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი

---

585 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 306.

586 იხ. იხ. *ლეკვეიშვილი, კერძო ნანილი, ტომი I* (2011), 34-35.

587 იხ. *მაყაშვილი, მაჭავარიანი, წერეთელი, შავგულიძე* (1980), გვ. 36.

ნანილის „გ“ ქვეპუნქტში, განზრახვა იყოფა ძირითადი შედეგის მიმართ განზრახვად და მაკვალიფიცირებელი გარემოებების მიმართ განზრახვად. როდესაც დამნაშავე ხალხმრავალ ადგილზე შურისძიების მოტივით მეზობელს ესვრის ცეცხლსასროლი იარაღიდან, იგი იმის შესაძლებლობასაც უშვებს, რომ მის მიერ გასროლილმა ტყვიამ შესაძლებელია ვიღაცას სიცოცხლე მოუსპოს, ან ჯანმრთელობა დაუზიანოს. ამდენად, დამნაშავეს მეზობლის მოკვლის სურვილი ამოძრავებს, ხოლო გარშემომყოფების მიმართ ასეთი სურვილი არ გააჩნია, არამედ მას მხოლოდ ***აბსტრაქტულად აქვს წარმოდგენილი*** ის მძიმე შედეგები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ან არ მოჰყვეს მის ქმედებას. მაშასადამე, ამ ნორმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში საშუალების გამოყენების დროს, დამნაშავეს მხოლოდ აბსტრაქტულად აქვს წარმოდგენილი ის საფრთხე, რომელიც ექმნება გარშემომყოფებს. სამაგიეროდ, თუ დამნაშავეს კონკრეტულად აქვს წარმოდგენილი, რომ მის ქმედებას მეზობლის გარდა, შესაძლებელია, მისი ბიძაშვილის სიკვდილიც მოჰყვეს, მაგრამ ამის მიუხედავად, შედეგი არ დადგება, მაშინ, ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრეთა მიხედვით, ადგილი ექნება არა სსკ-ის 19, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის მცდელობას, არამედ სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნანილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობას. მოწინააღმდეგე პოზიციაზე მყოფი მეცნიერები ასეთ კვალიფიკაციას არ ეთანხმებიან და დამნაშავის ქმედებას ისევ და ისევ სსკ-ის 19, 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით აფასებენ. ამის პარალელურად, არ შეიძლება ყურადღება არ გამახვილდეს ზემოთ დასახელებული პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის კომბინაციის მე-3 პუნქტზე. საქმე ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავე პირდაპირი განზრახვით მოქმედებს როგორც ძირითადი, ასევე გვერდითი შედეგების მიმართ და შედეგი არ დადგება. ამ შემთხვევაშიც მოწინააღმდეგენი სსკ-ის 19, 109-ე მუხლის 1-ლი ნანილის „გ“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციას დასჯერდებიან, რითაც ისინი ნინააღმდეგობაში მოვლენ თავიანთ პოზიციასთან.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასაბუთება სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსზე დაყრდნობით, არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის მომხრეებს არ მიაჩნიათ დასაბუთებულად, რადგან, სსკ-ის მე-19 მუხლი არავითარ შეზღუდვას არ აკეთებს და არ ახდენს დიფერენციაციას მცდელობის დროს პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის. ამასთან, არგუმენტი, თითქოს, სსკ-ის მე-19 მუხლის განმარტებაში სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებდეს და ამით ევენტუალურ განზრახვას გამორიცხავდეს, არ უნდა იქნეს გაზიარებული. ვინაიდან ნებელობა განზრახვის საფუძველია, ამიტომ რთულია იმის მტკიცება, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის დროს ასეთი ელემენტი არ არის სახეზე.[588] გარდა ამისა, ზემოთ უკვე აღინიშნა იმის თაობაზე, რომ სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ მცდელობის არა სუბიექტური, არამედ მცდელობის **ობიექტური სფეროს პრობლემად** მიიჩნევა.

588 იხ.: *ტურავა* (2011), გვ. 304; *ტურავა* (2013), გვ. 139.

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის მომხრეთა არგუმენტები ეფუძნება ასევე კანონმდებლის **ისტორიულ ნებას**, რომელიც იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის კოდექსზე მომუშავე სარეფორმო კომისიამ პარლამენტს წარუდგინა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. თუმცა შემდგომ, კოდექსის მიღების დროს ეს ჩანაწერი ამოღებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტიდან, რაც, რა თქმა უნდა, იმას ადასტურებს, რომ კანონმდებელმა უარი თქვა ევენტუალური განზრახვის დროს დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შეზღუდვაზე.[589]

ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრეები მიუთითებენ იმ სირთულეებზეც, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სისხლის სამართლის პრაქტიკაში არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის არ აღიარების დროს. საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მკვლელობის მცდელობად ფასდება რამდენიმე პირის მიერ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი ქმედება, რომელიც გამოიხატება ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლაში. ამიტომ აუცილებელია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა ზუსტად განსაზღვრონ, რომელი დამნაშავე ისროდა ჰაერში და რომელი ისროდა პირდაპირ, დაზარალებულის მისამართით და შეგნებულად უშვებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას.[590] აქედან გამომდინარე, დასახელებული პოზიციის მომხრეები სავსებით მართებულად შენიშნავენ იმის შესახებ, რომ, ვინაიდან განზრახვის დროს საკმაოდ რთულია პირის ნამდვილი ნების დადგენა, ამიტომ აღნიშნული პოზიცია პრაგმატული თვალსაზრისითაც იმსახურებს მხარდაჭერას.[591]

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის პოზიციამ ასევე ფეხი მოიკიდა **სასამართლო პრაქტიკაში**. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითებს, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი ქმედების მცდელობად შეფასება არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს. სისხლის სამართლის პალატის ეს შეხედულება გამოთქმული იყო 2000 წლის 1 მარტის განჩინებაში. საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: 1997 წლის 19 ოქტომბერს ა. საბანკეტო დარბაზში გამართულ ქორწილში დაუპატიჟებლად მივიდა და სუფრის წევრს დაუწყო კამათი. ამის გამო, ა. სუფრის დანარჩენმა წევრებმა ძალის გამოყენებით გააძევეს დარბაზიდან. განაწყენებული ა. 15 წუთის შემდეგ, შეიარაღებული კვლავ დაბრუნდა დარბაზში და განახორციელა მრავალჯერადი გასროლა საცეკვაო მოედნის მიმართულებით, რის შედეგადაც ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ორმა ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, ა. პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობის გარდა, მკვლელობის მცდელობისათვის დაეკისრა. დამნაშავის ადვოკატი მოითხოვდა განაჩენის გაუქმებას იმ მოტივით, რომ ა. არ მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით. სისხლის სამართლის პალატამ აღნიშნული საჩივარი არ დააკმაყოფილა და განაჩენი

589 იხ.: ტურავა (2011), გვ. 305; ტურავა (2013), გვ. 139.
590 იხ. ტურავა (2013), გვ. 141.
591 იხ. ტურავა (2011), გვ. 308-309.

დატოვა ძალაში.[592]

ამავე ხაზს მიჰყვება სისხლის სამართლის სასამართლოს უახლოესი პრაქტიკა. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წელს ერთ-ერთ საქმეზე განიხილა საკასაციო საჩივარი, რომლითაც ადვოკატი ითხოვდა ქმედების გადაკვალიფიცირებას მკვლელობის მცდელობიდან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე. საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ა. და ბ. შორის მოხდა შელაპარაკება, რის გამოც ა.-მ ცალკე გაიხმო ბ. და იქ მყოფებისაგან მოშორებით შურისძიების მოტივით ორჯერ დაარტყა დანა კისრის არეში. ბ. ყვიროდა და საშველად იხმობდა მეგობრებს. ა.-მ ბ. არ გაუშვა, ვიდრე შემთხვევის ადგილზე ბ.-ს მეგობრები არ გამოჩნდნენ. ბ.-ე მიყენებული დაზიანების მიუხედავად, სიკვდილს გადაურჩა.

მსჯავრდებულის ადვოკატი ამტკიცებდა, რომ ა. მოკვლის განზრახვით არ მოქმედებდა, არამედ მას მხოლოდ ბ.-ს ფიზიკური ტკივილის მიყენება უნდოდა. იგი თავის არგუმენტს ამყარებდა იმითაც, რომ ა.-ს ხელს არავინ არ უშლიდა და თუ ბ.-ს მოკვლა ენდომებოდა აუცილებლად შეძლებდა ქმედების ბოლომდე მიყვანას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადვოკატის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო: ბ.. სიცოცხლისათვის საშიშ ადგილზე მიყენებული დაზიანება ადასტურებს იმას, რომ ა.-ს ინტელექტუალურად ბ.-ს სიკვდილი გათვალისწინებული ჰქონდა, თუმცა მას ბ.-ს მოკვლა არ სურდა. ამას დაზარალებულის ჩვენებაც ადასტურებს. გარდა ამისა, პალატამ გამოავლინა, რომ ბ.-ს მეგობრებმა ა.-ს ხელი შეუშალეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში, რის გამოც დანაშაული შეწყდა ადრეულ სტადიაზე - მცდელობის სტადიაზე. მაშასადამე, საბოლოოდ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა.-ს ქმედებაში ადგილი აქვს განზრახ მკვლელობის მცდელობას ევენტუალური განზრახვით, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ა.-ს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების მნიშვნელობა, ითვალისწინებდა ბ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას და გულგრილად ეკიდებოდა მას. ამასთან, პალატა განმარტავს, რომ მიზნით დეტერმინირებულ დელიქტებში მიზანი აუცილებლობით გულისხმობს შესაბამის მოტივს.[593]

სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევები, სადაც თავად ადვოკატები მხარს უჭერენ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის აღიარებას. მაგალითად, 2008 წელს სასამართლო პრაქტიკაში იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულის უფლებების დამცველი საკასაციო საჩივრით ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის გაუქმებას და ახალი განაჩენის გამოტანას, რომლის მიხედვითაც, პიროვნებას განზრახ მკვლელობის მცდელობის (სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლი) ნაცვლად პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 113-ე მუხლი).[594] ასეთი კვალიფიკაცია არ არის მართებული.

---

592 იხ. *ებრალიძე* (2002), გვ. 120-121.

593 იხ. *2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება*, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, №8 (2008) გვ. 40-43.

594 იხ. *2008 წლის 22 მაისის განჩინება*, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართ-

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის დროს პიროვნება მოქმედებს მაქსიმუმ ევენტუალური განზრახვით,[595] ამ დროს დანაშაულის მცდელობაზე საუბარი შეუძლებელია, დანაშაულის შემადგენლობის სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, ადვოკატების ასეთი მსჯელობა მოწმობს იმას, რომ საზოგადოდ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებელობა უცხო არ არის პრაქტიკოს-იურისტებისათვის.

სისხლის სამართლის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე მკვლელობის დროს მოქმედებს პირდაპირი განზრახვით და მისი ქმედება მხოლოდ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას იწვევს, თუმცა, შემდგომ ის და მისი უფლებების დამცველი ამტკიცებენ, რომ დამნაშავე სიკვდილის მიმართ პირდაპირი განზრახვით არ მოქმედებდა. ამიტომ სასამართლო, თუ იგი გაიზიარებდა ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარებულ შეხედულებას ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის შესახებ, იძულებული იქნებოდა დამნაშავის ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით შეეფასებინა.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკას თავი რომ დაეღწია დამნაშავისათვის პასუხისმგებლობის გაუმართლებელი შემსუბუქებისგან, იგი შესაძლებლად მიიჩნევს დანაშაულის მცდელობას ევენტუალური განზრახვით.[596] თუმცა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის აღიარება, თითქოს, სსკ-ის 117-ე მუხლის მნიშვნელობას აკნინებს, არამედ ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანალიზის დროს, აუცილებელია დამნაშავის განზრახვის მიმართულების დადგენა, მაშასადამე, მისი ნების ზუსტად განსაზღვრა.

1. 4. ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთების ცდა შემთხვევათა ჯგუფების საფუძველზე

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს პოზიცია, რომელიც ენინააღმდეგება ევენტუალური განზრახვით განხორციელებული ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასებას. ამ პოზიციაზე მყოფ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს შესაბამისი შემადგენლობები, მაგალითად, სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფს ევენტუალური განზრახვით განხორციელებული უშედეგო ქმედებების დასჯადობას. მაგალითად, ა. ესვრის კურდღელს და გულგრილად ეკიდება იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია ტყვიამ მისი მეზობელი ბ. იმსხვერპლოს, რომელთანაც მას ცუდი ურთიერთობა აქვს, ე. ი. მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. თუ ტყიამ ბ. ძალზედ ახლოს გაუარა, დასახელებული პოზიციის მიხედვით, ა.-ს ქმედება სსკ-ის 127-ე მუხლით

ლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, №9 (2008), გვ. 45-50.

595 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 231-232; *წულაია* (2003), გვ. 98; *შავგულიძე, სურგულაძე* (1988), გვ. 146-147.

596 იხ. *ებრალიძე* (2002), გვ. 121.

უნდა დაკვალიფიცირდეს, რომელიც ითვალისწინებს დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიშ მგომარეობაში ჩაყენებას, აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათავლისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით. მაგრამ, თუ კი ტყვია ბ.-ს მოხვდა და ჯანმრთელობა დაუზიანა, მაშინ დამნაშავის ქმედება დაკვალიფიცირდება ჯანმრთელობის დაზიანებად შესაბამისი სიმძიმის მიხედვით. სწორედ ეს გახლავთ ევენტუალური განზრახვით მცდელობის მონინააღმდეგეთა მიერ ქმედების ე. წ. სტანდარტული შეფასება.

თუმცა არის ისეთი შემთხვევები, სადაც ევენტუალური განზრახვით მცდელობის მონინააღმდეგეთა შეფასება ეჭვქვეშ დგება. ზემოთ დასახელებული კაზუსის ფაბულა თუ კი ცოტათი შეიცვლება, მაშინ პრობლემაც გამოაშკარავდება. მაგალითად, ა. და ც.-მ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ესროლეს კურდღელს. ორივე დამნაშავე გულგრილად ეკიდება იმ ფაქტს, რომ ტყვიამ შესაძლებელია ბ.-ს სიცოცხლე იმსხვერპლოს, ე. ი. ორივე მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. მართლაც, ორივეს გასროლილი ტყვია მოხვდება ბ. და მოკლა იგი, მაგრამ ექსპერტიზამ ვერ დაადგინა, ვისი იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ გამოიწვია სიკვდილი. ლოგიკურია დაიბადება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეფასდეს ა.-ს და ც.-ს ქმედებები? ვინაიდან აქ ადგილი აქვს ე. წ. ***in dubio pro reo***-ს პრინციპს ამიტომ სასამართლო ა.-ს და ბ.-ს დამთავრებული განზრახ მკვლელობისათვის ვერ დასჯის. მაშინ როგორ უნდა მოიქცეს იგი? თუ სასამართლოს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა შესაძლებლად მიაჩნია, მაშინ ა.-ს და ც.-ს ქმედებები მკვლელობის მცდელობად უნდა შეაფასოს (სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლი) და, შესაძლებელია, თითოეულ პიროვნებას სასჯელი სსკ-ის 108-ე მუხლის სანქციის ფარგლებში განუსაზღვროს. მაგრამ, თუ სასამართლო დარჩება ევენტუალური განზრახვით მცდელობის მონინააღმდეგეთა პოზიციაზე, მაშინ, დამნაშავეთა ქმედებებს სსკ-ის 127-ე მუხლის საფუძველზე (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება) შეაფასებს და ამავე მუხლის სანქციის ფარგლებში დაუნიშნავს სასჯელ (სსკ-ის 127-ე მუხლი სასჯელად ითვალისწინებს ჯარიმას, ან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით).

მაშასადამე, დასახელებული მაგალითების ანალიზი ცხადყოფს, რომ სადაც სამართლებრივი სიკეთე განზრახ ხელყოფილია, სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ნორმის იმგვარად გამოყენება, რომელიც არ შეესაბამება ზოგადად სასჯელის მიზნებს და არღვევს ბრალისა და სასჯელის თანაზომიერების პრინციპს.

თითქმის, ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი შემდეგ შემთხვევაში, მაგალითად, ა. და ც. მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა ბ. განსხვავებით ა.-გან, ც.-ს არ სურდა ბ.-ს მოკვლა, არამედ შეგნებულად უშვებდა შედეგის დადგომას. ექსპერტიზამ ვერ დაადგინა ვის მიერ ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა ბ. მონინააღმდეგეთა პოზიციის თანახმად, ა.-ს ქმედება ***in dubio pro reo***-ს ფარგლებში შეფასდება განზრახ მკვლელობის მცდელობად, ხოლო ც.-ს ქმედება მკვლელობის მცდელობად ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან იგი მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით. მაშინ გამოდის, რომ ც. უნდა დაისაჯოს ისევ და ისევ სსკ-ის 127-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ, როდესაც სრულებით შესა-

ძლებელია მისი იარაღიდან გასროლილი ტყვია გამხდარიყო ბ.-ს სიკვდილის გამოწვევის მიზეზი.

ასეთ შემთხვევებში, დანაშაულებრივი ქმედების შეფასება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების მუხლით (სსკ-ის 127-ე მუხლი) არ იქნება მართებული, ვინაიდან კანონის ისტორიული ნება მონმობს ამ ნორმის გამოყენების აუცილებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლებრივი სიკეთე აღმოჩნდება სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებაში. მაგრამ, თუ კი სამართლებრივი სიკეთე ობიექტურად უკვე აღარ არსებობს, ანუ უკვე ხელყოფილია, მაშინ გამოდის, რომ სსკ-ის 127-ე მუხლი არ უნდა იქნეს გამოყენებული. ასეთი შეფასება ეფუძნება არა მარტო კანონმდებლის ისტორიულ ნებას, არამედ აგრეთვე ნორმის ტელეოლოგიურ ახსნა-განმარტებას.

ამ აზრის საილუსტრაციოდ, შესაძლებელია, დასახელდეს ***in dubio pro reo***-ს რამდენიმე კერძო შემთხვევა, მაგალითად: ა. გაბრაზებული იყო ბ. და განიზრახა სამაგიეროს გადახდა, კერძოდ, მას უნდოდა, რომ ბ. ფიზიკური ტკივილით დატანჯულიყო. ამ მიზნით ა.-მ ბ.-ს სანამლავის მცირე დოზა ჩაუყარა საჭმელში. ა.-ს არ სურდა ბ.-ს სიკვდილი და ასევე არ ითვალისწინებდა შედეგის დადგომის გარდაუვალობას. ამასთან, ა.-ს არ აღელვებდა ბ.-ს ბედი და იგი გულგრილად ეკიდებოდა მისი სიკვდილის გამოწვევის შესაძლებლობას. სანამლავის მიღებიდან 10 წუთში ბ. თვითმფრინავში ჩაჯდა და გაფრინდა. თვითმფრინავი აფრენიდან 37 წუთში ჩამოვარდა, რის შედეგად ბ. დაიღუპა. ექსპერტიზამ ვერ დაადგინა ბ. გარდაიცვალა თვითმფრინავში სანამლავის მოქმედების შედეგად, თუ ავიაკატასტროფა გახდა მისი დაღუპვის მიზეზი. თუმცა ის კი განსაზღვრა, რომ ბ.-თვის მიცემული სანამლავის დოზა სასიკვდილო იყო.

მოცემული მაგალითიდან იკვეთება, რომ არსებობს ეჭვი, რომელიც ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რაც იმას გულისხმობს, რომ ა. უნდა დაისაჯოს არა დამთავრებული დანაშაულისათვის, არამედ განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

მაშასადამე, ევენტუალური განზრახვის დროს ***in dubio pro reo***-ს შემთხვევებში ქმედების მცდელობად შეფასება არა თუ შესაძლებელია, არამედ სავალდებულოც არის. ამიტომ, არავითარი აზრი არ არსებობს, რომელიც ამ პოზიციას გააბათილებს, მაგრამ ის, ვინც ამას შეეცდება, მაშინ მან სისხლის სამართალში უარი უნდა თქვას კონსტიტუციური პრინციპის გამოყენებაზე.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის საკითხის განხილვისას, მიზანშეწონილია, ასევე თავად **განზრახვის შინაარსის** გარკვევა და იმის დადგენა, თუ რამდენად გასაზიარებელია პოზიცია, რომელსაც ევენტუალური განზრახვის ბუნება მცდელობასთან შეუსაბამოდ მიაჩნია.

განზრახვის შინაარსის დახასიათებისას აუცილებლად ორ ფაქტორზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: სურვილზე, ანუ **„მინდა“**-ს ფაქტორზე, რომელიც თავისთავად დამნაშავეში აღმოცენდება და ნების იგივე **„უნდა“**-ს გარედან წამოსულ შინაგან ფაქტორზე. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დამნაშავე მოქმედებდეს „უნდა“-ს და არა „მინდა“-ს ფაქტორით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაგანი განწყობებია, რომლებიც

განსხვავებულ შემთხვევებს იძლევა და, შესაბამისად, განზრახვის გაგებასაც სხვაგვარად ნარმოაჩენს. მაგალითად, როდესაც ა.-ს სურს 0,5 ლიტრი რძის დალევა, ამბობს: „მე მინდა" (მსურს) 0,5 ლიტრი რძე დავლიო და ამას თავისი სურვილის შესაბამისად აკეთებს კიდეც, ანუ შინაგანიდან ნამოსული წყურვილის მოთხოვნილება მასში აღძრავს ნდომას, რომელიც ვლინდება სურვილის „მინდას" ფაქტორში. მაგრამ სხვა არის, როდესაც ა.-მ ექიმის დანიშნულებით 0,5 ლიტრი რძე უნდა დალიოს. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს „უნდას" ფაქტორს, ანუ უფრო სნორად გარედან წამოსული ფაქტორი მის შინაგანში აღძრავს მოთხოვნილებას საკუთარი თავის გამოჯანმრთელების მიზნით, თუმცა მას რძე არ უყვარს და არც სურს მისი დალევა, პირიქით, მანამდე არასოდეს არ დაულევია. ამავდროულად, იგი დარწმუნებული არ არის იმაში, რომ შეძლებს რძის დალევას, მაშასადამე, შედეგის დადგომის გარდაუვალობაც გამორიცხულია. მთელი ეს ობიექტური პროცესი, რომელიც რძის მომზადებით იწყება და მისი დალევით სრულდება, გაჯერებულია „მე უნდა"-ს სუბიექტური მომენტით. ამიტომ ა.-ს თითოეული აქტი შედეგის მიღწევის ცდაში გამოიხატება (ა. რამდენჯერერმე შეეცადა რძის დალევას, ერთხელ 50 გრამი დალია, მეორედ უფრო ნაკლები, მაგრამ საბოლოოდ, რძის დალევა ვერ შეძლო), მიუხედავად იმისა, რომ მას სრულებით არ გააჩნია რძის დალევის სურვილი და დარწმუნებული არ არის იმაში, რომ შეძლებს მის დალევას.

მაშასადამე, ქმედების მცდელობად შეფასებისათვის მნიშვნელობა აქვს ნებელობით დამოკიდებულებას შედეგისადმი. ამიტომ, არ არის მართებული, როდესაც პირის მცდელობა, მიაღწიოს რაიმე შედეგს, მხოლოდ სურვილის ელემენტზე დაიყვანება. სურვილის ან გარდაუვალობის ელემენტის არარსებობის მიუხედავად, პირის ქმედება, შესაძლებელია, მცდელობად შეფასდეს.

მოცემულ მსჯელობას ამყარებს შეხედულება, რომელიც ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვის შინაარსის გარშემო ჩამოყალიბდა, კერძოდ, ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ განზრახვის დასაბუთება მხოლოდ ფსიქოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეუძლებელია. განსაკუთრებით, ეს შეეხება არაპირდაპირ განზრახვას. თუ განზრახვა ფსიქოლოგიურად გადაწყვეტილებას გაუთანაბრდება, მაშინ გამოვა, რომ არაპირდაპირი გადაწყვეტილება, რომელიც ევენტუალური განზრახვის გამოხატულებას წარმოადგენს, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია არსებობდეს.[597]

ქართველი მეცნიერები მიუთითებენ იმის შესახებ, რომ სურვილის ელემენტი ყოველთვის არ განსაზღვრავს განზრახვის არსებობას, არამედ ზოგჯერ განზრახვის შინაარსის ახსნაში გადამწყვეტ როლს თამაშობს „გარდაუვალობის" ელემენტი,[598] ასევე სხვა ნებელობითი ელემენტები, მაგალითად, როგორიც არის „შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება" და „შედეგის შეგნებულად დაშვება" სადაც ნებელობა ნორმატიულად უნდა იქნეს გაგებული.[599]

---

597 იხ.: *ნაჭყებია* (2011), გვ 383; *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 162.

598 იხ. *Хорнабуджели* (1981), გვ. 107. ციტირებულია მაღლაკელიძის დისერტაციიდან, იხ. *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 165.

599 იხ. *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 169-171.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართალში **განზრახვის შინაარსი ნორმატიულად** უნდა იქნეს დასაბუთებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ განზრახვა ფსიქოლოგიური ცოდნისაგან სრულად უნდა იქნეს მოწყვეტილი, არამედ განზრახვის შინაარსი გაგებული უნდა იქნეს ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თვალსაზრისით. ამის შესახებ თავად სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი მიუთითებს, სადაც ჩამოყალიბებულია პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის ცნება.[600] დამნაშავეს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობა დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური ან ნორმატიულ-შერაცხვითი მნიშვნელობით გააჩნია. სწორედ ნორმატიული მნიშვნელობით გაგებული ნებელობის საფუძველზე უნდა დასაბუთდეს ევენტუალური განზრახვის დროს მცდელობის შესაძლებლობა.[601]

მაშასადამე, განზრახვაში ნებელობითი ელემენტის ნორმატიულად გაგება ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას ასაბუთებს.

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის უარყოფამ, შესაძლებელია, პრობლემები შექმნას ასევე **თანამონაწილეობით** დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში. მაგალითად, ა. მოატყუა დ. და უთხრა, რომ ბ. და გ. დ. და გააუპატიურეს. ა.-ს არ სურდა ბ.-ს და გ.-ს დაზიანება, არამედ დ.-ს რეაქციით მხოლოდ მათთვის „ჭკუის სწავლება" უნდოდა. ამასთან, ა. არ გამორიცხავდა დ.-ს მიერ ბ.-ს და გ.-ს ჯანმრთელობის დაზიანების შესაძლებლობას. მართლაც, აღელვებულმა დ.-მ ნაჯახი ჯერ ბ.-ს მოუქნია, ხოლო შემდეგ გ.-ს. მაგრამ დაზიანება ვერც ერთს ვერ მიაყენა.

დაიბადება შეკითხვა: როგორ უნდა შეფასდეს ა.-ს ქმედება ქართული კანონმდებლობისა და დოგამტიკის მიხედვით?

ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის მომხრეთა პოზიციის თანახმად, ა. პასუხს აგებს ორი ან მეტი პირის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მცდელობაში ნაქეზებისათვის. ხოლო ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის შესაძლებლობის მოწინააღმდეგეთა აზრით, ა.-ს საერთოდ არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ შეხედულების თანახმად, ა. მაშინაც არ აგებს პასუხს, როდესაც დ.-ს ქმედება დაზარალებულების ჯანმრთელობის დაზიანებას გამოინვევს.

არის ისეთი შემთხვევები, სადაც თეორიულად და პრაქტიკულად საკმაოდ დასაშვებია ევენტუალური განზრახვით მცდელობა. ვთქვათ, პიროვნება გარკვეულ ვალდებულებებს იღებს მეორე პიროვნების წინაშე და იძულებულია მისი მოთხოვნის შესაბამისად იმოქმედოს, თუმცა მას მოქმედების სურვილი საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ შედეგის მიღწევა ვალდებულების შესრულების ერთადერთი საშუალებაა. მაგალითად, ა.-მ და ბ. ითამაშეს კარტი და შეთანხმდნენ, რომ წაგებული მოგებულის ყველა მოთხოვნას შეასრულებდა, მაგრამ წინასწარ დაკონკრეტებული არ იყო მოთხოვნის შინაარსი. თამაში ა.-მ წააგო. წაგების შემდეგ, ბ.-მ უთხრა ა.-ს, რომ შორიახლო მყოფი დ.-თვის ცეცხლსასროლი იარაღიდან უნდა ესროლა. ა.-ს არ სურდა ვინმესთვის ზიანის მიყენება, მითუმეტეს, უცხო პიროვნებისათვის. ამავდროულად, ა.-ს დ.-გან დიდი მანძილი

600 იხ. *მაღლაკელიძე* (2013), გვ. 163.
601 *ტურავა* (2013), გვ. 142.

აშორებდა, ამიტომ ა. დარწმუნებული არ იყო დ.-ს სიკვდილის გარდაუვალობაში. ა.-მ ესროლა დ.-ს, მაგრამ ააცილა. დაიბადება შეკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს ა.-ს ქმედება, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა (სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლი), თუ როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (სსკ-ის 127-ე მუხლი).

პირველ რიგში, აუცილებელია დადგინდეს ა.-ს განზრახვის სახე და ამის მიხედვით ნარიმართოს მსჯელობა. ა.-ს ქმედებაში პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა გამორიცხულია, რადგან ა.-ს დ. მოკვლის სურვილი საერთოდ არ ამოძრავებდა. რაც შეეხება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას, შეიძლება ითქვას, რომ ა.-ს ქმედებაში არც მას აქვს ადგილი, რადგან იგი დარწმუნებული არ იყო დ.-ს სიკვდილის გარდაუვალობაში. გამოდის, რომ ა.-ს ქმედებაში პირდაპირი განზრახვა გამორიცხულია. ახლა უნდა გაირკვეს მოქმედებდა თუ არა იგი ევენტუალური განზრახვით. ევენტუალური განზრახვისათვის დამახასიათებელია შედეგის დადგომისადმი გულგრილი დამოკიდებულება და მისი შეგნებულად დაშვება. დასახელებული მაგალითიდან ირკვევა, რომ ა. შედეგს, ანუ დ.-ს სიკვდილს გულგრილად არ ეკიდებოდა, პირიქით, მისთვის ამ შედეგის გამონვევა დიდ ტრაგედიად ითვლებოდა. ამდენად, გამოდის, რომ ა.-მ მხოლოდ შეგნებულად უშვებდა შედეგის დადგომას. მაშასადამე ა. მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით და, შესაბამისად, მისი ქმედება, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის მომხრეთა მიერ შეფასდება განზრახ მკვლელობის მცდელობად (სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლები), ხოლო მონინააღმდეგეთა მიხედვით, ა.-ს ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 127-ე მუხლის საფუძველზე.[602]

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის უარყოფამ, თავის მხრივ, შესაძლებელია, წარმოშვას პრობლემები ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის გამოყენების თვალსაზრისით. მაგალითად, გასარკვევია, თუ როგორ დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ევენტუალური განზრახვით მოქმედი დამნაშავე **ნებაყოფლობით აიღებს ხელს** დანაშაულებრივი ქმედების შემდგომ განხორციელებაზე. მაგალითად, ბ.-ს შეშინების მიზნით, ა.-მ მისი მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა. ა. გულგრილად ეკიდებოდა იმ ფაქტს, რომ მის ქმედებას, შესაძლებელი იყო, ბ.-ს სიკვდილი გამოეწვია. მაშასადამე, ა. მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით. ა.-ს მიერ გასროლილი ტყვია ბ.-ს ძალზედ ახლო მანძილით ასცდა. პირველი გასროლის შემდეგ, ა.-ს შეეცოდა ბ. და შენყვიტა სროლა.

შეიძლება ასევე სხვა მაგალითის მოყვანაც: ა.-მ დაინახა, რომ მისი 11 წლის შვილი დ. იარაღს უმიზნებდა მის უმცროს ნახევარ ძმას ლ.-ს. ა. შეგნებულად უშვებდა ლ.-ის სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას და ხელს არ უშლიდა მცირენლოვან დ. დ.-მ გამოკრა თითი ჩახმახს, თუმცა ტყვია ლ.-ს

602 დასახელებული მაგალითის დახმარებით, შესაძლებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს არაპირდაპირი განზრახვის ორი შემთხვევა, ერთი, როდესაც დამნაშავე შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომას, და მეორე, როდესაც იგი გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

ასცდა და შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ვიდრე დ.-ე მეორეჯერ გაისროდა, ა.-მ იარაღი წაართვა დ.-ს. დასახელებული მაგალითები ბადებს შეკითხვას, მოცემულ შემთხვევებში, დანაშაულის რომელ სტადიაზე აქვს ადგილი ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს?

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის მოწინააღმდეგეთა პოზიციის გაზიარების შემთხვევაში, ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევა მოცემულ მაგალითებში საერთოდ უარყოფილი უნდა იქნეს, რადგან ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე. დანაშაულის მომზადების სტადია დასახელებულ კაზუსებში გამორიცხულია, ვინაიდან ქმედების შემადგენლობის განხორციელება უკვე დაწყებულია. რაც შეეხება მცდელობის სტადიას, ამ პოზიციის მიხედვით, ა.-ს ქმედებაში ევენტუალური განზრახვის არსებობის გამო, იგი ასევე გამორიცხულია და, შესაბამისად, ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაც აღარ არსებობს.

საწინააღმდეგო პოზიცია, რომელიც ევენტუალური განზრახვით მცდელობას შესაძლებლად მიიჩნევს, მარტივად წყვეტს საკითხს, კერძოდ, ვინაიდან ორივე მაგალითში ა. იმყოფება მცდელობის სტადიაზე და ეს უკანასკნელი ნებაყოფლობით ხელს იღებს განზრახ მკვლელობაზე, ამიტომ იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს.

მაშასადამე, გამოდის, რომ პოზიცია, რომელიც ევენტუალური განზრახვით მცდელობას შეუძლებლად მიიჩნევს, დამნაშავეს ართმევს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას ზოგიერთი სახის დანაშაულებში, რაც ადამიანისათვის კანონით მინიჭებული უფლების ხელოვნურ შეზღუდვაზე მიუთითებს.

დასახელებული მსჯელობა ადასტურებს იმას, რომ პოზიციას, რომელიც უარყოფს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას, გააჩნია ძალზედ სუსტი მხარეები.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ევენტუალური განზრახვით მცდელობაზე უარის თქმა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან ამ შესაძლებლობით ბოროტად ისარგებლებდა დამნაშავე და თავს დააღწევდა განზრახვით ჩადენილი მცდელობისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავის მიერ განხორციელებულ ქმედებაში, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა, სამართალშემფარდებელი ვერ უზრუნველყოფს განზრახვის სახის დადგენას, რა დროსაც ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობს „ყველა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის" პრინციპით, რითაც, ადვილი შესაძლებელია, უსამართლოდ შეუმსუბუქოს პასუხისმგებლობა დამნაშავეს. მაგალითად, მკვლელობის მცდელობის ნაცვლად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს სსკ-ის 127-ე მუხლის საფუძველზე.

შეხედულება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობის შესახებ, შესაძლებელია, გაზიარებულ იქნეს გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათავალისწინებული დანაშაულის შემადგენლობების სუბიექტური შემადგენლობა ან მხოლოდ პირდაპირი ან მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით ხასიათდება. მაგ-

ალითად, პირდაპირი განზრახვით ხასიათდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობის შემადგენლობა. იგივე უნდა ითქვას ისეთ შემადგენლობებზე, რომლებსაც არაპირდაპირი განზრახვა ახასიათებს. მაგალითად, სსკ-ის 114-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. „ასეთ შემთხვევაში მკვლელობა სსკ-ის 114-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვის არსებობისას, როდესაც დამნაშავეს არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა შეპყრობილისათვის სიცოცხლის მოსპობას."[603]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი დანაშაულის შემადგენლობებში, სადაც დანაშაულის დამთავრებას ჰყოფნის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვა.

§2. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური ნიშნების თავისებურებანი გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

2. 1. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური სფეროს ზოგადი დახასიათება

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფი „დანაშაულებრივ გადაწყვეტილებაზე" მიუთითებდა. დასახელებულ პარაგრაფში წერია, რომ, ის, ვინც დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილებას ქმედებაში გამოავლენს, რომელიც, თავის მხრივ, ქმედების შესრულების დასაწყისს წარმოადგენს, მცდელობისათვის დაისჯება.[604] აქედან გამომდინარე, გერმანიის ადრინდელი სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფი დანაშაულის მცდელობის დასჯადობისათვის ითვალისწინებდა ისეთ სუბიექტურ ელემენტს, როგორიც არის „გადაწყვეტილება".[605]

„დანაშაულებრივი გადაწყვეტილების" ცნებაში იგულისხმება, რომ დამნაშავემ დანაშაულის ჩადენა გადაწყვიტა, მაშასადამე, მას დანაშაულის ჩასადენად საკმარისი დამაჯერებლობა გააჩნია. ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული სასამართლო პრაქტიკა დასჯადობისათვის „უშუალო დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას" აუცილებლად მიიჩნევდა და „არაუშუალო დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას" მცდელობის დასჯადობისათვის არასაკმარისად თვლიდა. აშკარაა, რომ ძალზედ რთულია კონკრეტულ სიტუაციაში ასეთი დანაშაულებრივი გადაწყვეტილების დადგენა. მცდელობის დროს წამოიჭრება პრობლემა, რომელსაც დამთავრებული დანაშაულის დროს არ აქვს ადგილი. ვინაიდან მცდელობის დროს შედეგი არ დგება, ამიტომ ძალზედ რთულია იმის

---

603 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 64.
604 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 350.
605 *Arzt*, JZ (1969), გვ. 54.

განსაზღვრა, თუ რა უნდოდა დამნაშავეს, მაშასადამე, დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მართლა იყო თუ არა სახეზე.[606]

გერმანიის 1962 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 26-ე პარაგრაფი მცდელობის განმარტებაში პირდაპირ მიუთითებდა **განზრახვაზე** *(Vorsatz)*, როგორც მცდელობის სუბიექტურ ნიშანზე.[607] მაშასადამე, ტერმინი „გადაწყვეტილება" შეიცვალა ტერმინით „განზრახვა", ხოლო გერმანიის სსკ-ის 1966 წლის პროექტის ვარიანტში, კერძოდ, 24-ე პარაგრაფში, „გადაწყვეტილების" ნაცვლად გაჩნდა ტერმინი **„დანაშაულებრივი ქმედების გეგმა"**. საბოლოოდ ეს ტერმინი 1969 წლის სისხლის სამართლის რეფორმის შედეგად შეიცვალა ტერმინით **„დანაშაულის შესახებ წარმოდგენა"** და გერმანიის მოქმედი სსკ-ის 22-ე პარაგრაფში, სადაც მცდელობის ცნებაა ჩამოყალიბებული, დღესაც ეს ტერმინი გამოხატავს მცდელობის სუბიექტური ელემენტის არსს.[608]

2. 2. დანაშაულებრივი გადაწყვეტილება, განზრახვა და დანაშაულის შესახებ წარმოდგენა

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიუთითებენ იმაზე, რომ „დანაშაულებრივი გადაწყვეტილება" დანაშაულის მცდელობის შეუცვლელი ელემენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ქმედებას დასახელებული ელემენტი აკლია, მაშინ მცდელობის უმართლობის დასაბუთება შეუძლებელი იქნება.[609]

ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი მიუთითებს იმაზე, რომ „დანაშაულებრივი გადაწყვეტილება" განზრახვისა და უმართლობის სხვა სუბიექტური ელემენტებისაგან შედგება,[610] მაგალითად, მოტივი, მიზანი და სხვ. აღნიშნული ელემეტები შესაძლებელია, განზრახვასთან ერთად, დამოუკიდებელად არსებობდეს.[611]

„დანაშაულებრივი გადაწყვეტილება" დამნაშავის განზრახვის მეშვეობით დგინდება, რომელიც დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენ არის მიმართული."[612] თუმცა ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ დანაშაულის მცდელობის დროს განზრახვის გაიგივება დანაშაულის შესახებ გადაწყვეტილებასთან,[613] არასწორია. მაგრამ არიან მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ „დანაშაულებრივი გადაწყვეტილება" შესაძლებელია განზრახვას ხშირად გაუთანაბრდეს, თუმცა არის ისეთი დელიქტები, სადაც „დანაშაულებრივი გადაწყვეტილება" შესაძლებელია განზრახვას აცდეს. მაგალითად, ქურდობის ჩასადენად აუცილებელია არა მარტო დაუფლების განზრახვა, არამედ მისაკუთრების

606 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 355-356.
607 იხ. *Entwurf eines Strafgesetzbuches* (1962), გვ. 144.
608 იხ. *Grupp* (2009), გვ. 120-121.
609 იხ. *Grupp* (2009), გვ. 119.
610 იხ.: *Gropp*, AT (2005), გვ. 306; *Schmid*, ZstW 74 (1962), გვ. 50; *Heinrich*, AT (2012), გვ. 291-292, 294.
611 *Leopold, Tsambikakis, Zöller* (2011), გვ. 207; *Lackner, Kühl* (2011), გვ. 107, 167.
612 *Grupp* (2009), გვ. 128.
613 იხ. *Rudophi, Günter, Horn, Samson*, §22 (2009) გვ. 8.

მიზანიც. სწორედ ამიტომ, არ არის მართებული, როდესაც „დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას", დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტებთან ერთად, განზრახვასთან აიგივებენ.[614]

„დანაშაულებრივი გადაწყვეტილების" ცნების ძებნა გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში უშედეგო იქნება, რადგან დასახელებულ ნორმაში საუბარია მხოლოდ „დანაშაულის შესახებ დამნაშავის წარმოდგენაზე". ამდენად, თუ გერმანელი კანონმდებელი „წარმოდგენას", როგორც მცდელობის სუბიექტურ ელემენტს, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, მაშინ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მცდელობაზე მსჯელობის დროს „დანაშაულებრივ გადაწყვეტილებაზე" დამატებით რატომ მიუთითებენ? ეს შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ „დანაშაულებრივი გადაწყვეტილება" ვოლუნტატიურ ელემენტს გამოხატავს, მაშინ, როდესაც „წარმოდგენა" მხოლოდ ინტელექტუალურ ელემენტს მოიცავს.[615]

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს მცდელობის სუბიექტური ელემენტი **„წარმოდგენა"**, შესაძლებელია იგი სხვადასხვაგვარად შეფასდეს. „წარმოდგენა" ზოგჯერ განზრახვას, ხოლო ხშირად კი „დანაშაულის შესახებ გადაწყვეტილებას" უთანაბრდება, მაგრამ იგი ამავდროულად ხშირად ორივე ელემენტისაგან განსხვავდება. „დანაშაულის გეგმა" და „წარმოდგენა" თითქმის ყოველთვის როგორც სინონიმები ისე გამოიყენება, თუმცა კანონმდებელი მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს.[616]

დამთავრებული დანაშაულის განზრახვის და მცდელობის სუბიექტური ნიშნის - დამნაშავის „წარმოდგენა" - ერთმანეთთან გაიგივება სისხლის სამართლის ლიტერატურაში მკაცრად არის გაკრიტიკებული. კრიტიკის ავტორი მიუთითებს იმაზე, რომ, თუ წარმოდგენა განზრახვაზე დაიყვანება, მაშინ, შესაძლებელია, ეჭქვეშ დადგეს უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი. მაშასადამე, ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე შეცდომას უშვებს ფაქტობრივ გარემოებებში. გერმანიის სსკ-ის 16-ე პარაგრაფის თანახმად, ის, ვინც ფაქტობრივ გარემოებებში შეცდომას უშვებს, განზრახ (vorsätzlich) არ მოქმედებს. პრობლემის უკეთ გაგების მიზნით, ავტორი ასახელებს ასეთ მაგალითს: ა. ტყეში მოკლის განზრახვით ესვრის მისი წარმოდგენით ბ. სინამდვილეში, ბ. ადგილზე ირემი იმყოფება, თუმცა ტყვია ამ უკანასკნელს ასცდება. დასახელებულ მაგალითში ადგილი აქვს ფაქტობრივ გარემოებებში დაშვებულ შეცდომას, რომელიც აყალიბებს უვარგის მცდელობას. ამიტომ, თუ მსჯელობა სსკ-ის მე-16 პარაგრაფის შინაარსიდან გამოვა, აღმოჩნდება, რომ ა. არ დაეკისრება პასუხისმგებლობა განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის.[617]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხედულების ავტორი დაუშვებლად მიიჩნევს „განზრახვისა" და „წარმოდგენის" ერთმანეთთან გაიგივებას, ამასთან, იგი დამთავრებული დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობისაგან მიჯნავს.

---

614 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 350.

615 იხ. *Grupp* (2009), გვ. 120-121.

616 იხ. *Hillenkamp*, Roxin FS (2001), გვ. 689-690.

617 იხ. *Jung*, JA (2006), გვ. 230.

ამ შერეული ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, ისმის შეკითხვა, კერძოდ, როდესაც ნარმოდგენა განზრახვას და დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას ემთხვევა, საერთოდ უნარჩუნდება თუ არა მას განსხვავებული ფუნქციები, ანდა, როდესაც წარმოდგენა მათ არ დაემთხვევა, მაშინ რა არის მისი ამოცანა?[618] სწორედ ეს არის ის მწვავე საკითხი, რაზედაც ერთგვაროვანი პასუხი ჯერ არ არსებობს. თუმცა ერთი რამ კი ნათელია, რომ გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში მცდელობის საკანონმდებლო ტექსტის შემუშავებით დასრულდა მისი ისტორიული განვითარება.

დანაშაულის მცდელობა მოითხოვს *სრულ სუბიექტურ შემადგენლობას*, სადაც განზრახვა, როგორც ამას დამთავრებული დანაშაულის დროს აქვს ადგილი, ორიენტირებული უნდა იყოს ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანზე. იგი ასევე უნდა მოიცავდეს დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებებს. იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენა ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, არამედ იგი მის ჩასადენად მხოლოდ წინაპირობებს არკვევს, არ აქვს განზრახვა, არამედ ადგილი აქვს დანაშაულისაკენ უბრალო გადახრას (bloße Tatgeneigtheit). ქმედების ნებას სრულად მაშინ აქვს ადგილი, როდესაც გადაწყვეტილება *საბოლოოა* და მისი მსვლელობა მხოლოდ დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელ პირობას ელოდება, რომელმაც ქმედების განხორციელების დანყება უნდა გადაწყვიტოს (Tatentschluß auf unsicherer Tatsachengrundlage). ქმედების სრული ნება სახეზეა მაშინაც, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას ითვალისწინებს.[619]

მაშასადამე, გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულის მცდელობის შესახებ გადაწყვეტილებას ადგილი არა აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავეს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია დანაშაულის ჩადენა, ასევე მაშინ, როდესაც დამნაშავეს სურს დანაშაულის მიყვანა მხოლოდ მცდელობის სტადიამდე (აგენტ-პროვოკატორი).[620]

„დანაშაულებრივი გადაწყვეტილების" საკითხის შესახებ არსებობს განსხვავებული მიდგომები. მაგალითად, მითვისების (სსკ-ის 246-ე პარაგრაფი) დროს მცდელობას ადგილი არა აქვს მაშინ, როდესაც ფოსტის მუშაკი ნერილს ხსნის იმისათვის, რათა შინაარსის შემონმების შემდეგ, მიიღოს საფოსტო გზავნილის მითვისების გადაწყვეტილება. ბუნებრივია, აქ ფოსტის ხელშეუხებლობის დარღვევა სახეზეა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი აღნიშნული ქმედების დანაშაულის მცდელობად შესაფასებლად. პირიქით, ქურდობის მცდელობას ექნება ადგილი მაშინ, როდესაც დამნაშავე სახლში იმ გადაწყვეტილებით (განზრახვით) შედის, რომ თან წაიღოს ის ნივთები, რასაც იპოვის და რაც ყოველთვის გამოსადეგია. ქურდობის მცდელობა მაშინაც იქნება სახეზე, როდესაც დამნაშავეს ჯერ იმის დადგენა სურს, იპოვის თუ არა სახლში რაიმე ღირებულ ნივთებს.[621] ამდენად, დანაშაულებრივი გადაწყვეტილების არსებობას ხელს არ უშლის ისეთი ფაქტორი, როდესაც დამნაშავე არ არის დარწმუნებული გარემოებებში.

618 იხ. *Hillenkamp*, Roxin FS (2001), გვ. 689-690.
619 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 515.
620 იხ. *Lackner, Kühl* (2011), გვ. 167.
621 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 516.

ზემოთ დასახელებულ ქურდობის მაგალითში ჩანს, რომ დამნაშავე არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ბინაში უთუოდ ღირებული ნივთები ინახება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქურდობის მცდელობა მაინც სახეზეა.[622]

თუკი დამნაშავე ავტომანქანაში დიდი რაოდენობით ვალუტას მალავს, რათა გარკვეული ნებართვის გარეშე მოახერხოს მისი უცხოეთში გადატანა, სახეზეა სავალუტო დანაშაულის ჩადენის ნება, რითაც აშკარად მტკიცდება დანაშაულებრივი გადაწყვეტილების არსებობა, მაგრამ ჯერ არ აქვს ადგილი საბაჟო რეჟიმის გვერდის ავლით საქონლის გადატანის დაწყების პროცესს.[623] არასწორია, როდესაც სასამართლოები ასეთ შემთხვევებში მხოლოდ „არაუშუალო დანაშაულებრივ გადაწყვეტილებაზე" მიუთითებენ და ამით დანაშაულისაკენ უბრალო გადახრაზე აკეთებენ აქცენტს. ზემოთ დასახელებულ მაგალითში ქმედების განხორციელების დაწყებას ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი, ამიტომ ასეთ ქმედებებზე დასჯადობის გაუვრცელებლობა, პრინციპში, მართებულია.[624]

„დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას" ზოგჯერ **რეალური ობიექტური პირობები** უდევს საფუძვლად, მაგრამ ზოგჯერ ამისათვის ობიექტურ რეალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. მაგალითად, გადაწყვეტილებას ცრუ დასმენის (სსკ-ის 164-ე პარაგრაფი) შესახებ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავემ დანამდვილებით იცის, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომლის ჩადენაშიც მესამე პირი უნდა დაასმინოს, არ ჰქონია ადგილი. საკითხი ასე იმიტომ ფასდება, რომ ცრუ დასმენის შემადგენლობა თავიდანვე მოითხოვს იმის ზუსტ ცოდნას, რომ პირს მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია.[625]

ამასთან, საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს მიღებული აქვს გადაწყვეტილება დანაშაულის ჩასადენად, თუმცა დანაშაულის ჩადენის მომენტში დამნაშავის წარმოდგენის (განზრახვის) არსებობა არ დასტურდება, მაგალითად, ა.-მ გადაწყვიტა ბ.-ს მოკვლა. ამისათვის მან კონიაკის ბოთლში საწამლავი ჩაასხა და კარადაში შეინახა, რათა მეორე დღეს ბ. მიერთმია. მაგრამ ღამით, როდესაც დამნაშავემ დაიძინა, დაზარალებულმა კარადიდან გამოიღო კონიაკის ბოთლი, დალია და მოკვდა. მოცემულ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება ქმედების, ანუ ა. ქმედების დამთავრებულ დანაშაულად შეფასების საკითხი. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ დასახელებულ მაგალითში სახეზე ჯერ კიდევ არ არის ქმედების განხორციელების ნება და ამიტომ შეუძლებელია ქმედების დამთავრებაზე საუბარი, ზოგი ავტორი მოცემულ შემთხვევაში დაუმთავრებელ დანაშაულს უარყოფს იმ მოტივით, რომ ა. რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ბ.-ს მკვლელობა, შედეგის გამოწვევის დროს ჯერ კიდევ იმყოფებოდა მომზადების სტადიაზე.[626]

ამდენად, ვისაც მხოლოდ რაიმე ცოდნა გააჩნია იმის შესახებ, რომ დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანი ხორციელდება, ანდა ვისაც მხ-

622 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 359.
623 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 516.
624 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 359.
625 იხ. *Gropp*, AT (2005), გვ. 306.
626 იხ. *Herzberg*, JuS (1996), გვ. 379.

ოლოდ სურს, რომ ასეთი ნიშანი განხორციელდეს, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს დამნაშავის დანაშაულებრივ განზრახვას, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ინტელექტუალური და ვოლუტატიური ელემენტებისგან შედგება[627]

დანაშაულის მცდელობის დროს აუცილებელია სახეზე იყოს **დანაშაულის ბოლომდე განხორციელების ნება**, წინააღმდეგ შემთხვევაში განზრახვას არ ექნება ადგილი. სწორედ იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობის დროს ასეთი ნება არ არსებობს, გაუფრთხილებლობით დანაშაულებში მცდელობის დასაბუთება შეუძლებელია.[628]

განზრახვის *კოგნიტიური ელემენტი* გულისხმობს დამნაშავის წარმოდგენას დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების ხასიათის შესახებ, რომელთა განხორციელებით ადგილი აქვს განსაზღვრული დანაშაულის ან გადაცდომის უმართლობის შესრულებას. გაცნობიერების ხარისხის (**Bewusstseingrad**) გათვალისწინებით, დაწვრილებით მოფიქრებული გეგმა არ არის აუცილებელი მცდელობის შემთხვევაში, რადგან მცდელობას, შესაძლებელია, აფექტშიც ჰქონდეს ადგილი. სწორედ ამის შესაბამისად, სსკ-ის 22-ე პარაგრაფი მიუთითებს არა დანაშაულის გეგმის გაცნობიერებაზე (როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1962 წლის პროექტში), არამედ დანაშაულის შესახებ წარმოდგენაზე, რომელიც შეიძლება აფექტში მყოფ დამნაშავესაც გააჩნდეს.[629] ამიტომ დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შეფასების საფუძველი არის „დამნაშავის წარმოდგენა დანაშაულის შესახებ".[630] თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ თანამედროვე კანონმდებლის მიზანი არ ყოფილა სსკ-ის 22-ე პარაგრაფში განზრახვის შეცვლა წარმოდგენით.[631]

ამასთან, როგორც უკვე ითქვა, გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფში მოცემული სიტყვები „მისი (დამნაშავის) წარმოდგენით" მიანიშნებენ განზრახვის არა **ვოლუნტატიური**, არამედ მხოლოდ **ინტელექტუალური** ელემენტის არსებობაზე. აღნიშნული ელემენტის მითითება გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში აუცილებელი გახდა იმ მოტივით, რომ კანონმდებელს გაუფრთხილებლობითი მცდელობის დასჯადობაზე ეთქვა უარი.[632]

გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფის მოთხოვნაა, რომ დამნაშავეს ჰქონდეს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მისი ქმედება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალო საფრთხის შემქმნელია.[633]

თუ დამნაშავე არ იცნობს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომლებსაც ობიექტურად აქვს ადგილი, მაშინ სუბიექტურ შემადგენლობას სრულყოფილი ხასიათი არ ექნება და, შესაბამისად, დანაშაულებრივი

---

627 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1473.
628 იხ. *Rath*, Jus (1998), გვ. 1011.
629 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 409-410.
630 იხ. *Fischer* (2012), გვ. 197.
631 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 352-353.
632 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 350.
633 იხ. *Herzberg*, JuS (1996), გვ. 379.

გადაწყვეტილებაც სახეზე არ იქნება. დამნაშავეს შეცნობილი უნდა ჰქონდეს შედეგის დადგომის შესაძლებლობა. მან უნდა იცოდეს, რომ ნივთი, რომლის მოპარვაც მას აქვს განზრახული, სხვისია. ამასთან, დანაშაულის მცდელობისას მოქმედებს განზრახვაში განვითარებული **error in persona ve objekto**-ს წესი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადად საკმარისია ხელყოფის ობიექტის თვისობრიობის ცოდნა, ხოლო ობიექტის არასწორი ინდივიდუალიზაცია კვალიფიკაციისთვის ირელევანტურია.[634]

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ **პიროვნებაში დაშვებული შეცდომა** გავლენას არ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე და, შესაბამისად, ქმედება დანაშაულის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს. მაგალითად, ა. ყაჩაღობის ჩადენის შემდეგ გარბის და თან უკან ისვრის, რათა მისი წარმოდგენით მდევარი ჩამოიცილოს, სინამდვილეში ეს უკანასკნელი მისი თანამზრახველია, მაგრამ ა.-მ ამის შესახებ არ იცის. მოცემული სიტუაცია განიხილება პიროვნებაში შეცდომად (*error in persona*) და როგორც უკვე ითქვა, ა. მკვლელობის მცდელობისთვის უნდა დაისაჯოს.[635]

დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არასწორი წარმოდგენა დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის არა მე-16 პარაგრაფის (გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფი არეგულირებს ფაქტობრივ გარემოებებში დაშვებულ შეცდომის საკითხებს), არამედ 22-ე პარაგრაფის ფარგლებში უნდა შეფასდეს. მაგალითად, თუ დამნაშავემ მოკვლის განზრახვით მსხვერპლს ყელში წაუჭირა და ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, მაშინ, როდესაც დამნაშავეს მსხვერპლის ჩამოხრჩობა უნდოდა, ასეთი ქმედება, როგორც სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის, ასევე სისხლის სამართლის დოგმატიკის თვალსაზრისით, ჩაითვლება დამთავრებულ განზრახ მკვლელობად. მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ დამნაშავემ ყელში ნაჭერით დაზარალებულის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა და კიდეც განახორციელა იგი. მაშასადამე, მკვლელობა დამნაშავეს ობიექტურად შეერაცხება. აღნიშნული შედეგი მასვე სუბიექტურად შეერაცხება, თუკი აქ განვითარებული შეხედულებით, „გეგმის განხორციელება", როგორც შერაცხვის სახელმძღვანელო კრიტერიუმი, გათვალისწინებულია ქმედების სუბიექტური შემადგენლობით. დამნაშავემ მოვლენების ნორმატიული შეფასებისას მკვლელობის გეგმის რეალიზება მოახდინა, მაშინ როდესაც სიკვდილი უფრო ადრეულ ეტაპზე დადგა, ვიდრე იგი მოელოდა. ასეთ შემთხვევებში, როდესაც შედეგი ადრეულ ეტაპზე დგება, მიიჩნევა, რომ ადგილი აქვს **მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში უმნიშვნელო გადახრას**. დამნაშავემ მიაღწია იმას, რისი მიღწევაც მას უნდოდა. თუკი დამნაშავეს უნდა მსხვერპლს ჯერ ყელში ხელის მოჭერით გონება დააკარგვინოს, ხოლო შემდეგ ჩამოახრჩოს იგი, მაგრამ მსხვერპლი დამნაშავის მიერ პირველივე აქტის განხორციელების შედეგად გარდაიცვლება, სახეზე იქნება დასრულებული განზრახ მკვლელობა, რადგან დამდგარი შედეგი ობიექტურად შერაცხადია და დამნაშავის გეგმის განხორციელება ობიექტუ-

634 იხ. *Zaczyk* (2010), გვ. 907-908.

635 იხ. *Münchener Kommentar* (2011), გვ. 994.

რი შეფასებით ვლინდება. მხოლოდ მაშინ არის სხვაგვარად საქმე, როდესაც დამნაშავის გეგმა, გამონაკლის შემთხვევებში, გარკვეული სახის მკვლელობის განხორციელებას ემთხვევა. ასე, მაგალითად, იმისათვის, რომ დამნაშავემ დაფაროს თავისი მართლსანინააღმდეგო ქმედება, ამისათვის იგი ახდენს თვითმკვლელობის ინსცენირებას. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს მხოლოდ მკვლელობის მცდელობას და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას.[636] ამის მაგალითად გამოდგება ასეთი შემთხვევა: ა. მოკვლის განზრახვით ბ.-ს ყელში ძლიერ მოუჭერს ხელს, რის შედეგად ეს უკანასკნელი გონებას დაკარგავს. ა. დარწმუნდება იმაში, რომ ბ. ყელში ხელის მოჭერით გარდაიცვალა და კვალის დაფარვის მიზნით, თვითმკვლელობის ინსცენირებას მოაწყობს, კერძოდ, მისი ნარმოდგენით მკვდარ ბ.-ს თოკზე ჩამოკიდებს, რის შედეგად ბ. დაიხრჩობა.

მაშასადამე, თუ დაზარალებული პირველი ქმედების შედეგად გარდაიცვალა, დამნაშავეს განზრახ დანაშაულისთვის მხოლოდ მაშინ დაეკისრება პასუხისმგებლობა და მცდელობის ათვლა, შესაბამისად, იქიდან მოხდება, თუ დამნაშავე პირველივე ქმედების განხორციელების მომენტში შედეგის დადგომის შესაძლებლობას უშვებდა.[637]

გაბატონებული შეხედულების თანახმად, მცდელობის დროს განზრახვა ისევე მოიცავს **ცოდნის** (კოგნიტიური) და **ნებელობის** (ვოლუნტატიური) ელემენტებს, როგორც ამას ადგილი აქვს დამთავრებულ განზრახ დელიქტებში.[638] დანაშაულის მცდელობა და დამთავრებული დანაშაული ერთმანეთისაგან არა სუბიექტური, არამედ ობიექტური ნიშნით განსხვავდებიან, კერძოდ, შედეგით, რომელსაც მცდელობის დროს არა აქვს ადგილი.[639]

ამ პოზიციის საპირისპიროდ გერმანელი მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ მცდელობის განზრახვა, რომელიც „დანაშაულებრივ გადაწყვეტილებაში" ვლინდება, დამთავრებული დანაშაულის დროს არსებულ განზრახვასთან მიმართებაში ***მინუსით*** (არასრული სახით) ხასიათდება. მეცნიერები კიდევ უფრო კონკრეტდებიან, როდესაც ისინი დაუმთავრებელი მცდელობის დროს არსებულ განზრახვას მხოლოდ ე. წ. მცდელობის განზრახვად მოიხსენიებენ და არავითარ შემთხვევაში აქ დამთავრებულ განზრახვას არ აღიარებენ.[640] ამ მეცნიერთა აზრით, დანაშაულებრივ ნებას - განზრახვას **დაუმთავრებელი** მცდელობის სტადიაზე არასრული ხასიათი გააჩნია დამთავრებული მცდელობის სტადიაზე და დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე არსებულ დანაშაულებრივ ნებასთან შედარებით.[641] შესაძლებელია, ამ პოზიციის გაგრძელებად ჩაითვალოს ის შეხედულება, რომელიც მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მცდელობის დასაწყებად აყალიბებს „საწყის განზრახვას", ანუ დანაშაულის მცდელობის დროს არსებულ განზრახვას, რომელიც საკუთრივ განზრახვისაგან, ანუ დამთავრებული დანაშაულის დროს არსებული განზრახვისაგან გან-

636 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 351-352.
637 იხ. *Frister*, AT (2011), გვ. 312.
638 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1473.
639 იხ. *Gropp*, AT (2005), გვ. 306.
640 ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ *Grupp* (2009), გვ. 123-124.
641 იხ. *Jakobs*, AT (1991), გვ. 715.

სხვავდება. მაშასადამე, იმ დროს, როდესაც დამნაშავეს მკვლელობის ჩადენის გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და იარაღიც დაუმიზნა მსხვერპლს, ჯერ კიდევ სახეზე არ არის დამთავრებული განზრახ მკვლელობა, რადგან დამნაშავეს მკვლელობა ჯერ კიდევ არ აქვს ბოლომდე მიყვანილი.[642] მაშასადამე, ამ მსჯელობიდან ისეთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ მცდელობის დროს ადგილი აქვს **„ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნაკლულობას".**[643] მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის ასეთი გაგება, გაბატონებული შეხედულების თანახმად, მიუღებელია. დანაშაულის მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.[644] რაც შეეხება **დამთავრებულ** მცდელობას, დამთავრებული დანაშაული დამთავრებული მცდელობის სუბიექტურად და ობიექტურად დასრულებულ უმართლობას ეფუძნება.[645]

მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის დროს არსებული განზრახვა არ განსხვავდება დამთავრებული დანაშაულის დროს არსებული განზრახვისაგან. მცდელობის განზრახვაში ასევე მოიაზრება დანაშაულის დამთავრებაზე ე. ი. დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე მიმართული დამნაშავის განზრახვა. თუ კი დამნაშავეს ასეთი განზრახვა არა აქვს, მაშინ იგი დაუსჯელი რჩება და ხშირ შემთხვევებში იგი წარმოადგენს კვაზი წამქეზებელს, უბრალო აგენტ-პროვოკატორს. ამის გარდა, განზრახვა კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ნიშნების განხორციელებისკენაც უნდა იყოს მიმართული.[646]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვის დაყოფას მცდელობას მიკუთვნებულ განზრახვად და დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე არსებულ განზრახვად, ამართლებდნენ ნებაყოფლობითი ხელის აღების საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ დამნაშავე განიზრახავს მკვლელობის ჩადენას ყავაში საწამლავის შერევით და მისი წარმოდგენით სიკვდილის დადგომისათვის აუცილებელია საწამლავის ხუთი დოზა, მაგრამ საწამლავის მეორე დოზის მიცემის შემდეგ, ნებაყოფლობით ხელს აიღებს თავის განზრახვაზე, აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, იგი არ შეიძლება დამთავრებული მკვლელობისათვის დაისაჯოს, რადგან სახეზე არ არის დასრულებული დანაშაულებრივი განზრახვა. პირიქით, თუკი დადგინდება, რომ დამნაშავეს თავიდანვე, როდესაც მან მსხვერპლს საწამლავის ერთი დოზა მისცა, განზრახული ჰქონდა მსხვერპლის მოკვლა და ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს არ ჰქონია მისი მხრიდან ადგილი, მაშინ სახეზე იქნება დასრულებული მკვლელობა და ადრეული სიკვდილი შეფასდება, როგორც მიზეზობრივი კავშირიდან უმნიშვნელო გადახვევა.[647]

ასეთი მსჯელობის მიუხედავად, კიდევ ერთხელ დასკვნის სახით შეიძლე-

642 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 351.
643 იხ. *Struensee*, Kaufmann GS (1989), გვ. 523.
644 იხ.: *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1474; *Leopold, Tsambikakis, Zöller* (2011), გვ. 207.
645 იხ. *Wolter*, ZStW 89 (1977), გვ. 700.
646 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 355.
647 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 351.

ბა ითქვას, რომ გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ *მცდელობის დროს აღმოცენებული განზრახვა, შეესაბამება დასრულებული დანაშაულის დროს არსებულ განზრახვას.*[648]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ შემთხვევებს, როდესაც ქმედების მცდელობად შეფასების საკითხი ერთმნიშვნელოვნად არ წყდება:[649]

ა) დანაშაულს მიმსგავსებული ქმედებები. გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში სადავოდ ითვლება პოზიცია, რომლის თანახმად, დანაშაულისაკენ უბრალო გადახრა დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას არ წარმოადგენს. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სახეზეა იმ დროს, როდესაც პიროვნებას სურს და გაცნობიერებულად ცდილობს დანაშაულის ჩადენას და ქმნის ამის შესაძლებლობასაც. მაგალითად, ტ. უნდა, რომ დატენილი იარაღიდან დამიზნებით მის მამინაცვალ ო.-ს მხოლოდ დაემუქროს და ამით შეაშინოს იგი. ტ. ო.-ს მკვლელობა არა აქვს ბოლომდე გადაწყვეტილი. მაგრამ იგი არ გამორიცხავს იმას, რომ, შესაძლებელია, ესროლოს კიდეც ო.-ს. იარაღის გამოყენებისას ტ.-ე მოქმედებს იმ გაგებით, რომ შესაძლებელია ქმედება ო.-ს სიკვდილის მიზეზი გახდეს. შესაბამისად, ტ. ამ შესაძლებლობას მხედველობაში იღებს. ტ.-ს ამ ქმედების განხორციელებისას ამოძრავებს პირდაპირი ნება. არ იყო დამაჯერებელი მხოლოდ მისი წარმოდგენა იმის თაობაზე, მივიდოდა თუ არა მისი ქმედება შედეგამდე. სწორედ ამიტომ, დასახელებულ მაგალითში ადგილი აქვს ევენტუალურ განზრახვას.[650]

თუმცა გაბატონებული შეხედულება ამ მოსაზრებას არ იზიარებს და ამბობს, რომ, თუკი დამნაშავეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია და მას იგი მხოლოდ მოგვიანებით მიიღებს, ადასტურებს იმას, რომ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის სახეზე და რომ ამ დროს ევენტუალური განზრახვის არსებობა გამორიცხულია.[651] მოცემულ მაგალითში, მართალია, პიროვნება დანაშაულებრივი ქმედებისაკენ გადაიხარა, მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცის, ჩაიდენს თუ არა იგი ამ დანაშაულს. ამიტომ, აქ დანაშაულებრივი გადაწყვეტილება არ არსებობს და, შესაბამისად, პიროვნება არ დაისჯება.[652]

ამასთან, ამ საკითხის გადაჭრისაგან ცოტათი განსხვავდება ის შედეგი, რომელსაც ზოგიერთმა გერმანელმა მეცნიერმა მიაღწია. მეცნიერებს სურთ უკვე დანაშაულებრივ გადაწყვეტილებად ჩათვალონ ის, რასაც ზემოთ დასახელებულ კაზუსში ჰქონდა ადგილი, კერძოდ, როდესაც თავდაპირველად დამნაშავე დაზარალებულს პისტოლეტით მხოლოდ აშინებს და ამასთან, უფრო მოგვიანებით მკვლელობის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. მაგრამ, ისინი აქ ასევე უარყოფენ მკვლელობის მცდელობას იმ არგუმენტით, რომ დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გუ-

---

648 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 353.
649 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 356.
650 იხ. *Arzt*, JZ (1969), გვ. 55.
651 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 360.
652 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 356.

ლისხმობს ქმედების განხორციელების დაწყებას.[653]

ბ) დანაშაულებრივი გადაწყვეტილება არასარწმუნო ფაქტების საფუძველზე. დამნაშავეს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს აბორტის გაკეთება, ფეხმძიმე ქალს წინასწარ უტარებს გამოკვლევას იმ მიზნით, რომ დაადგინოს, ხელოვნური ჩარევა ჯერ კიდევ შეიძლება თუ არა. ხოლო წინასწარი გამოკვლევის შედეგად დადებითი პასუხის შემთხვევაში, მას საბოლოოდ უნდა დანაშაულის განხორციელება. ასეთ შემთხვევაში პრობლემატურია არა დანაშაულებრივი გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ მისი შესრულების შესაძლებლობა. მაშასადამე, როგორც უკვე ითქვა, აქ დანაშაულებრივი გადაწყვეტილება სახეზეა და როდესაც იგი დანაშაულის მცდელობის სტადიას მიაღწევს, შესაბამისად, მცდელობის არსებობაც დამტკიცდება.[654]

გ) დანაშაულებრივი გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი ხელის აღების პირობით. ცოლი ბევრს ფიქრობს იმის შესახებ, მოკლას თუ არა მისი მძინარე ქმარი. ბოლოს შევა მის საძინებელ ოთახში და მოშვებულს დატოვებს გაზის ონკანს, ხოლო თავად სხვა ოთახში რამდენიმე საათი მოიცდის. ამასთან, ცოლმა დაიტოვა იმის შანსი, რომ გაზის გამორთვის შემთხვევაში მისი მეუღლე გადარჩება. ამ სიტუაციაში დამნაშავის გადაწყვეტილება მოიცავს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას დანაშაულის დამთავრებამდე. ასეთ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით დანაშაულებრივი გადაწყვეტილება და, შესაბამისად, დანაშაულის მცდელობა მტკიცდება. პირველი ეტაპი დანაშაულებრივ გადაწვეტილებას არ შეიცავს, ხოლო დანარჩენ ორ ეტაპზე დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მტკიცდება.[655]

დანაშაულებრივი გადაწყვეტილების ცნება ასევე მოიცავს ე. წ. **ალტერნატიული** განზრახვის შემთხვევებსაც. მაგალითად, დამნაშავე, რომელსაც პოლიცია მისდევს ძაღლთან ერთად, ტყვიას ისვრის მათი მიმართულებით და სურს, რომ ტყვია ერთ-ერთს, პოლიციელს ან ძაღლს, მოხვდეს. ამ მაგალითში ადგილი აქვს საკითხის მრავალგვარ გადაწყვეტას. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ქმედება მცდელობად უნდა შეფასდეს, ზოგსაც ქმედების დამთავრებულ დანაშაულად შეფასება მიაჩნია სწორად, თუმცა აქ უფრო იდეალურ კონკურენციას უნდა ჰქონდეს ადგილი. დასახელებულ მაგალითში გადამწყვეტია მხოლოდ განხორციელებული განზრახვა. მაშასადამე, მოცემულ მაგალითში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს არა მცდელობით, არამედ დამთავრებული დანაშაულით ე. ი. მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით (გერმანიის სსკ-ის 212-ე ან 303-ე პარაგარაფი). მაგრამ, თუკი გასროლამ არც ერთი ობიექტის სიკვდილი არ გამოინვია, მაშინ დამნაშავის ქმედება, გაბატონებული შეხედულების თანახმად, უფრო მძიმე ობიექტის მიმართ განხორციელებული მცდელობად უნდა შეფასდეს (გერმანიის სსკ-ის 22, 212-ე პარაგრაფი), ხოლო თანაბარი ღირებულების ობიექტების შემთხვევაში, შესაძლებელია, დამნაშავეს ერთ-ერთი ობიექტის მიმართ განხორციელებული მცდელობისთვის დაეკისროს პასუხისმგე-

653 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 360.
654 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 356.
655 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 356-357.

ბლობა.[656] აღნიშული მსჯელობის მიუხედავად, არსებობს მოცემული საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობები.[657]

განზრახი ქმედების (დანაშაულის მცდელობისა და დამთავრების) დასჯადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იწვევს დავას, თუკი დამნაშავე **კუმულაციურად** ორივე შედეგის დადგომის შესაძლებლობას უშვებს და ამას ეთანხმება კიდეც. ალტერნატიულ განზრახვას ადგილი აქვს ასევე მაშინ, როდესაც დამნაშავე დარწმუნებული არ არის, რომელ დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს. დამნაშავემ, რომელიც გარეულ ღორს კლავს, არ იცის,Aრომ ღორი დაცული ტყის კუთვნილებაა (საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული), თუ ნაკრძალის ზონას მიეკუთვნება იგი (გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული). მართალია, მას წარმოდგენილი აქვს უკანონო ნადირობის და ქურდობის შესახებ, მაგრამ იმ მომენტში ერთდროულად ორივე ქმედების ჩადენის შესახებ არა აქვს წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, მას არ შეუძლია და არც უნდა ორივე დანაშაულის შემადგენლობის კუმულაციურად განხორციელება. მოცემულ შემთხვევაში, რისთვის უნდა დაისაჯოს პიროვნება, ძალზედ სადავოა.[658] აქ უფრო **ნორმათა კონკურენციას** აქვს ადგილი და საკითხი უნდა გადაწყდეს **ალტერნატიული ბრალის** საფუძველზე, რაც იმას გულისხმობს, რომ დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ დანაშაულისთვის, რომელიც ყველაზე უფრო დაბალ სანქციას აწესებს. ამდენად, ალტერნატიული ბრალის საფუძველზე საკითხი წყდება დამნაშავის სასარგებლოდ.

ამის მიუხედავად, მაინც უნდა ითქვას, რომ თუ დამნაშავეს კონკრეტულად არა აქვს წარმოდგენილი რომელი დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს, მაშინ, შესაძლებელია, საკითხი არაერთგვაროვნად გადაწყდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს, მართალია, სურს განსაზღვრული ქმედების ჩადენა, მაგრამ, ამასთან, დარწმუნებული არ არის, რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობიდან, რომელს განახორციელებს.[659]

2. 3. შეხედულებები ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის შესახებ

დამთავრებული დელიქტის მსგავსად, დანაშაულის მცდელობის დროს განზრახვა იყოფა ***პირდაპირ*** და ***არაპირდაპირი განზრახვად***.[660] დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხი გერმანულ სისხლის სამართალში როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი განზრახვით არ არის სადავო. გაბატონებული შეხედულება მიიჩნევს, რომ იმ დამთავრებულ დელიქტებში, რომელთა დასჯადობისთვის ევენტუალური განზრახვა საკმარისია, ასეთ დანაშაულებში

656 იხ. *Zaczyk* (2010), გვ. 908-909.

657 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 117-118.

658 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1478.

659 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1477-1478.

660 გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ განზრახვა პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის გარდა, შესაძლებელია, ცალკე გამიზნვის სახითაც არსებობდეს. იხ. *Heintschel-Heinegg* (2010), გვ. 210.

ევენტუალური განზრახვით მცდელობა სავსებით შესაძლებელია.[661] მაშასადამე, მცდელობის დროს მხედველობაში არის მისაღები განზრახვის ის ფორმა, რომელსაც დამთავრებული დანაშაულის დროს აქვს ადგილი. რადგან უმეტესი დელიქტების (დამთავრებული) დასჯადობისთვის ევენტუალური განზრახვა საკმარისია, ამიტომ იგი უმეტესი დელიქტების მცდელობის დასჯადობასაც ყოფნის. ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების დროს უნდა დადგინდეს, რას თელის დამნაშავე შესაძლებლად და ეგუება თუ არა იგი შედეგის დადგომას.[662] არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე დარწმუნებული არ არის, მისი ქმედება განსაზღვრულ შედეგს გამოიწვევს, თუ განსაზღვრულ დანაშაულებრივ გარემოებას შექმნის, თუმცა იგი მხედველობაში იღებს და გულგრილად ეკიდება მათ დადგომას.[663]

თუ დამნაშავეს არ სურს ქმედების დამთავრება, არამედ მას მხოლოდ მცდელობის სტადიამდე უნდა რომ მიაღწიოს, მაშინ იგი დანაშაულის მცდელობისათვის არ დაისჯება.[664]

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასაბუთების საკითში გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის და სასამართლო პრაქტიკის ერთსულოვანი პოზიციის მიუხედავად, მაინც არსებობს განსხვავებული შეხედულებები. მაშასადამე, გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ დიდი ხანია გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს უმცირესობის აზრი იმის თაობაზე, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა გამორიცხულია.[665]

შეხედულებას ევენტუალური განზრახვით მცდელობის დაუსჯელობას შესახებ, ცოტა მომხრე ჰყავს. ისინი მიიჩნევენ, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა არ არის საკმარისი დასჯადობისათვის.[666]

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობას მე-19 საუკუნეში ასაბუთებდა ***შტოსი***. იგი ამბობდა, რომ ***dolus eventualis*** არ შეიძლება განზრახვის ცნებაში მოიაზრებოდეს, იმიტომ რომ, სწორედ ევენტუალური განზრახვით მცდელობა არ შეიძლება. მისი აზრით, არც ენობრივ და არც თეორიების დონეზე არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის დასაბუთება შესაძლებელი არ არის. რაც შეეხება იმავე საუკუნეში მოღვაწე სისხლის სამართლის მეცნიერს ***ვეხტერს***, იგი ძალზედ მოკლე არგუმენტს იძლეოდა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასასაბუთებლად. ვეხტერი მიუთითებდა გერმანიის ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფზე

---

661 იხ.: *Zaczyk* (2010), გვ. 908; *Lackner, Kühl* (2011), გვ. 167; *Jescheck/Weigend* (1996), გვ. 515; *Rath*, Jus (1998), გვ. 1011.

662 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 292-293.

663 გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ევენტუალური განზრახვის ცნება ნათლად არ იყო ჩამოყალიბებული და ხშირად ისეთ ტერმინებში გამოიხატებოდა, როგორიცაა მაგალითად, ***dolus alternativus***, ***dolus indirectus*** და ***dolus indeterminatus***, იხ. *Pahlke* (1993), გვ. 20-21.

664 იხ. *Fischer* (2012), გვ. 197-198.

665 პოზიციები ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასაბუთების შესახებ იხ. *Pahlke* (1993), გვ. 24-25.

666 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 353.

(სსკ-ის 43-ე პარაგრაფში მოცემული იყო დანაშაულის მცდელობის განმარტება), სადაც მცდელობის ცნება იყო განმარტებული და ამბობდა რომ, ვინაიდან კანონმდებელი მცდელობის ცნებაში საუბრობს გამიზნულ დანაშაულზე და გადაცდომაზე, ამიტომ ევენტუალური განზრახვით მცდელობა შეუძლებელია.[667]

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასაბუთებას, ვეხტერის მსგავსად **ბაუერი** გერმანიის ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფის შინაარსზე დაყრდნობით შეეცადა. იგი მიუთითებდა იმაზე, რომ, ვინაიდან დასახელებული პარაგრაფი „გამიზვნით" დანაშაულზე და გადაცდომაზე საუბრობდა, ამიტომ გერმანიის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფში ამ თვალსაზრისით არაფერი არ შეცვლილა. მაშასადამე, ბაუერს მოქმედი სსკ-ის 22-ე პარაგრაფის შინაარსი გერმანიის ძველი სსკ-ის 43-ე პარაგრაფის შინაარსის ანალოგიურად ესმის.[668]

ლამპე ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასაბუთების დროს, ალტერნატიულ განზრახვასთან ავლებდა პარალელს და მიუთითებდა, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავის წარმოდგენა ალტერნატიულად უდევს საფუძვლად ქმედების შესახებ გადაწყვეტილებას, ისე, რომ შესაძლებლად მიჩნეული შედეგი დადგება ან არ დადგება. თუ შედეგი არ დადგა, მაშინ ***„in dubio mitius"*** მხოლოდ ფაქტობრივად არსებული მოვლენების მსვლელობად შეფასდება და მეტი არაფერი. ამდენად, ამით ლამპე ასკვნიდა, რომ ***dolus eventuali***-ს დროს მცდელობა შეუძლებელია.[669]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ზოგიერთი მეცნიერი ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასაბუთებას თავად მცდელობის საკანონმდებლო განმარტებიდან გამომდინარე ცდილობს. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში მოცემული ნაწილაკი ***„zur"*** საკანონმდებლო დონეზე შესაძლებელია იმგვარად აიხსნას, რომ მცდელობის დროს ევენტუალური განზრახვა არ იყოს დასაშვები,[670] რადგან **დუდენის განმარტებით ლექსიკონში** ნაწილაკი ***„zu"*** უთანაბრდება „განსაზღვრული მიზნისკენ მიმართულს". მაშასადამე, ენობრივ-გრამატიკული მნიშვნელობით დანაშაულის მცდელობა მიზნის ელემენტით უნდა იყოს შეზღუდული.[671]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის შესახებ განვითარებული რადიკალური პოზიციის გარდა, ჩამოყალიბდა ე. ნ. **შუალედური პოზიცია**, რომელმაც პრობლემის გადაჭრის დიფერენცირებული მიდგომა აირჩია. ასეთი იყო მაგალითად, ***შმიდჰოიზერი***, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, **„დუალისტური თეორიის"**[672] მიმდევარი იყო და მცდელობის „სუბიექტური თეორიის" წინააღმდეგ გამოდიოდა.[673] იგი მიუთითებდა იმაზე, რომ მცდელობის დელიქტს მხ-

667 იხ. *Pahlke* (1993), გვ. 26-27.
668 იხ. *Bauer*, wistra (1991), გვ. 169.
669 იხ. *Lampe*, NJW (1958), გვ. 332-333.
670 იხ. *Herzberg*, NStZ (1990), გვ. 314-315.
671 იხ. *Herzberg*, JuS (1990), გვ. 274.
672 დუალისტური თეორიის შესახებ იხილეთ ზემოთ, თანამედროვე თეორიებში.
673 იხ. *Alwart* (1981), გვ. 219-220.

ოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სახეზეა ქმედების განზრახვა (როდესაც ადგილი აქვს „მიზნის უღირსობას") ან ქმედების საშიშროება (როდესაც ადგილი აქვს „საფრთხის უღირსობას") ანდა ორივე ერთად. შმიდჰოიზერის შეხედულებით, „მიზნის უღირსობის" არარსებობის გამო, შესაძლებელია, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის და ევენტუალური განზრახვის ფორმებმა მცდელობის უმართლობის დაფუძნება ვერ შეძლონ. ამიტომ შმიდჰოიზერი განზრახვის ამ ფორმების დროს მცდელობის დასჯადობის დასაბუთებისათვის კონკრეტული საშიშროების დადგენის ობიექტურ აუცილებლობაზე მიუთითებდა. აქედან გამომდინარე, შმიდჰოიზერი ობიექტურად არასაშიში მცდელობისათვის (იგულისხმება უვარგის მცდელობა) ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობას უარყოფდა. მაგრამ, როდესაც სამართლებრივ სიკეთეს ობიექტურად კონკრეტული საფრთხე შეექმნება, შმიდჰოიზერის აზრით, ევენტუალური განზრახვით მცდელობა სავსებით შესაძლებელია.[674]

თითქმის ანალოგიური შეხედულება აქვს გამოთქმული შვეიცარელ მეცნიერს *კიოლც-ოტს*. მისი აზრით, ევეტუალური განზრახვით ჩადენული ვარგისი დაუმთავრებელი მცდელობა შესაძლებელია დაისაჯოს, მაგრამ აუცილებელია, რომ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს **რეალური საფრთხე** შეექმნას. კიოლც-ოტი ანალოგიურად წყვეტს საკითხს ევენტუალური განზრახვით ჩადენილ დამთავრებული ვარგისი მცდელობის დროს, სადაც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ობიექტურად უკვე კონკრეტული საფრთხე ექმნება. აქედან გამომდინარე, კიოლც-ოტი ევენტუალური განზრახვით განხორციელებულ ვარგის მცდელობას შესაძლებლად მიიჩნევს, რა დროსაც, დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ობიექტურად უნდა შეექმნას საფრთხე. ხოლო, რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით ჩადენილ უვარგის მცდელობას, იგი დაუშვებლად მიაჩნია.[675]

თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის შესახებ გამოთქმული შეხედულებების საწინააღმდეგოდ მოცემულია დასაბუთებული კრიტიკა. კრიტიკის ავტორი ხაზს უსვამს იმ სისუსტეებს, რომელსაც ადგილი აქვს უმცირესობის შეხედულებებში. მაგალითად, **ბაუერის** არგუმენტი, რომლის თანახმად, დაუშვებელია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა გამომდინარე იქედან, რომ გერმანიის ძველ სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფში ხაზგასმა გამიზვნაზე იყო გაკეთებული და, ამ მხრივ, თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფში არაფერი არ შეცვლილა, არ არის სამართლებრივად დასაბუთებული და საკმარისი, ვინაიდან ცნობილია, რომ გერმანიის მოქმედ სსკ-ის 22-ე პარაგრაფში კანონმდებელმა უარი თქვა ტერმინის „გამიზვნა" შეტანაზე, რითაც ძველი სსკ-ის 43-ე პარაგრაფისგან განსხვავებით, სსკ-ის 22-ე პარაგრაფში განზრახვის ორივე ფორმით მცდელობის შესაძლებლობა დაუშვა. მაშასადამე, კანონმდებელმა სიტყვა „გამიზვნა" შეგნებულად აღარ ჩანერა გერმანიის მოქმედ სსკ-ის 22-ე პარაგრაფში.

ლამპეს არგუმენტები ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის შესახებ თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში

---

674 იხ. *Pahlke* (1993), გვ. 28.

675 იხ. *Kölz-Ott* (1974), გვ. 101-104.

ასევე არ არის გაზიარებული. ალტერნატიულ განზრახვასთან პარალელის გავლება, რასაც ლამპე თავის დასაბუთების დროს აკეთებდა, დოგმატურად არ არის სწორი, რადგან ალტერნატიული განზრახვისას სახეზეა ორი განზრახვა და ორი შედეგი, მაშინ როდესაც, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შემთხვევაში, მხოლოდ ერთ განზრახვას აქვს ადგილი და მხოლოდ მისი შეფასება არის აუცილებელი. ამასთან, ალტერანტიული განზრახვის დროს დამნაშავეს რამდენიმე სამართლებრივი სიკეთიდან მხოლოდ ერთის ხელყოფა სურს, ხოლო სხვა შედეგის გამოწვევას იგი გულგრილად ეკიდება. აქედან დასკვნა: ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობის დასაბუთების საკითხი გამომდინარეობს არა ორი განზრახვის შესახებ გაკეთებული შეფასებიდან, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის შინაარსიდან, ხოლო ***„in dubio mitius“***-ის შეფასებისთვის ადგილი აღარ რჩება, რადგან ევენტუალური განზრახვის არსებობის შესახებ ეჭვი საერთოდ არ ჩნდება. ამიტომ, ლამპეს შემოთავაზებული პრინციპის ***„in dubio mitius“*** გადატანა ევენტუალური განზრახვით ჩადენილ შემთხვევებზე, ნარუმატებელი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ლამპეს დასაბუთება ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის თაობაზე, არ არის გასაზიარებელი.

ასევე არ არის გაზიარებული **შტოსის** შეხედულება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ და აღნიშნულია, რომ როგორც ენობრივი, ასევე თეორიული თვალსაზრისით, სავსებით შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთება.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში ***„zur“*** ნაწილაკი შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებდეს, არ არის გამართლებული. ვინაიდან ადამიანის ქმედება არასოდეს არ არსებობს მოტივის და მიზნის გარეშე, ამიტომ გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფიც სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს გაგებული. ევენტუალური განზრახვით მოქმედ დამნაშავეს გააჩნია პირველადი მიზანი. ამიტომ, როდესაც დამნაშავე პირველადი მიზნის განხორციელებისკენ მიდის, იგი იმავდროულად სსკ-ის 22-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს და, ამასთან, შეგნებულად უშვებს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მაშასადამე, ნანილაკი ***„zur“*** არ გამორიცხავს მცდელობის დასჯადობის დასაბუთებას ევენტუალური განზრახვით.

რაც შეეხება **კოლც-ოტის** და **შმიდჰოიზერის** არგუმენტებს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის დასაბუთების შესახებ, ისინი კანონმდებლის აზრს ეწინააღმდეგება. როგორც ცნობილია, გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე პარაგრაფში კანონმდებელმა ნათლად განსაზღვრა უვარგისი მცდელობის, ისევე როგორც ვარგისი მცდელობის, დასჯადობის საკითხი და მცდელობის დასჯადობისთვის არ გაითვალისწინა სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტი. მაშასადამე, საფრთხის ნიშანი, რომელზეც მეცნიერები მიუთითებდნენ, საკანონმდებლო დონეზე არ არის აყვანილი. ასევე არ შეიძლება შმიდჰოიზერს იმაში დაეთანხმო, რომ ევენუალური განზრახვით ჩადენილი მცდელობის დროს,

თითქოს, „მიზნის უღირსობას" არ ჰქონდეს ადგილი. საქმე იმაშია, რომ ევენტუალური განზრახვით მოქმედ დამნაშავეს მართლწესრიგისადმი გულგრილი დამოკიდებულება კარგად აქვს გაცნობიერებული და იგი ახორციელებს „მიზნის უღირსობას", რა დროსაც იგი თავისი მიზნის მიღწევის დროს შედეგის დადგომას შეგნებულად უშვებს. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ „თანმდევი უღირსობა" დამნაშავის მიზნის განუყოფელია და მასთან არის დაკავშირებული.[676]

როგორც უკვე აღინიშნა, გაბატონებული დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა[677] ერთსულოვანია ევეტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთებისა და დასჯადობის საკითხში. ისინი აღიარებენ, რომ, თუკი დამთავრებული დელიქტის დასჯადობისათვის საკმარისია ევენტუალური განზრახვა, ამავე დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში ასევე საკმარისია ევენტუალური განზრახვა. ვინაიდან ეს პოზიცია საუკუნეზე მეტია, რაც გაბატონებულ შეხედულებად ითვლება, ამიტომ მის წარმომადგენელთა უმრავლესობა თავიანთ შეხედულებას არაფრით არ ასაბუთებენ. საპირისპირო შეხედულებებს ისინი მხოლოდ სქოლიოებში მიუთითებენ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ რაიხის სასამართლო იდგა იმ პოზიციაზე, რომ განზრახვის გამოვლენის არანაირი ფორმა არ გამორიცხავს მცდელობის შესაძლებლობას. გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დაუშვებლად მიაჩნიათ, რომ განზრახვის საფუძველზე მოხდეს დამთავრებული დანაშაულისა და დანაშაულის მცდელობის გამიჯვნა, რაც კიდევ უფრო ამყარებს აზრს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის შესახებ.[678]

გარდა ამისა, მეცნიერები მიუთითებდნენ იმაზე, რომ, თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის დისპოზიცია სუბიექტურ შემადგენლობას აღწერს ისეთი სიტყვებით, როგორიც არის მაგალითად, „გამიზვნა" (გერმანიის სსკ-ის 258-ე პარაგრაფის 1-ელი აბზაცი), ან კიდევ „დარწმუნება" (გერმანიის სსკ-ის 164-ე პარაგრაფის 1-ელი აბზაცი) ანდა სხვა მსგავსი სიტყვებით, მაშინ ევენტუალური განზრახვის შესაბამისობა ქმედების შემადგენლობასთან შეუძლებელი იქნება. სწორედ ეს არის მხედველობაში მისაღები მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობაში.[679]

ამ შეხედულებას სხვა მეცნიერებიც იზიარებენ და აღნიშნავენ, რომ ევენტუალური განზრახვა არ არის საკმარისი ისეთი დანაშაულების დროს, რომლებიც მოჭარბებული შინაგანი ტენდენციით (überschießender Innertendenz) გამოირჩევიან (გერმანიის სსკ-ის 164-ე, 236-ე, 259-ე, 267-ე პარაგრაფები) და მათი დამთავრება ადრეულ ეტაპზეა გადატანილი. თუმცა იქვე მიუთითებენ იმასაც, რომ, საკითხის ამგვარი შეფასება კანონმდებლის ნებასთან მოვა

---

676 იხ. *Pahlke* (1993), გვ. 31-35.

677 გერმანიის უზენაესი სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ნაქეზებას, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ სავსებით შესაძლებელია ასევე დანაშაულის მცდელობის დროს ევენტუალური განზრახვით ნაქეზების დასაბუთება. იხ. *BGHSt* 50, გვ. 1.

678 იხ. *Pahlke* (1993), გვ. 22-23.

679 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 603.

წინააღმდეგობაში, რადგან ცნობილია, რომ კანონმდებელმა მიზნით დეტერმინირებული დანაშაულების დასჯადობისთვის ევენტუალური განზრახვა საკმარისად მიიჩნია. მაგალითად, ა. გონებადაკარგულ ბ.-ს საფულე ამოაცალა. მან დაზუსტებით არ იცოდა დაზარალებული მკვდარი იყო (გერმანიის სსკ-ის 246-ე პარაგრაფი ითვალისწინებს მითვისებას), თუ მხოლოდ უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა (გერმანიის სსკ-ის 242-ე პარაგრაფი ითვალისწინებს ქურდობას). თუკი საფულის დაუფლების მომენტში დაზარალებული მხოლოდ უგონო მდგომარეობაში იმყოფება, მაშინ დამნაშავე ქურდობისათვის დაისჯება, მიუხედავად იმისა, რომ დაუფლების დროს ა. მხოლოდ ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა. რაც მოჭარბებულ შინაგან ტენდენციას (überschießender Innertendenz) შეეხება, იგი არ შეიძლება განზრახვაზე იქნეს გადატანილი.[680]

დასახელებული არგუმენტი ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯადობისათვის აღმოცენებულია საკანონმდებლო ტექსტიდან. მცდელობას გამიზვნითი ხასიათი რომ ჰქონდეს, მაშინ კანონმდებელს მარტივად უნდა ეთქვა: ის, ვინც დანაშაულის შესახებ თავისი ნარმოდგენით ქმედების შემადგენლობის განხორციელებას გამიზვნით დაიწყებს, მაგრამ, რადგან მან ეს არ გააკეთა, მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის მცდელობა დამთავრებული დანაშაულისაგან არა ქმედების სუბიექტური შემადგენლობით, არამედ მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობით განსხვავდება.[681]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთებისთვის მიზანშეწონილია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ დანაშაულის მცდელობის სფეროდან ევენტუალური განზრახვის გამორიცხვა, დასჯადობის თვალსაზრისით, ნარმოშობდა გარკვეულ ხარვეზს, რომელიც კანონმდებელს სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური საფრთხის შემქმნელი ნორმების შეტანის საფუძველზე უნდა შეევსო. ხოლო ასეთი საფრთხის შემქმნელი დელიქტებისთვის სასჯელის მუქარა, რა თქმა უნდა, მცდელობისათვის გათვალისწინებულ სასჯელზე მსუბუქი უნდა ყოფილიყო და, ამავდროულად, იგი გაუფრთხილებლობით დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელზე მკაცრი არ უნდა ყოფილიყო.[682]

კრიმინალ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ევენტუალური განზრახვის შემთხვევაში მცდელობის დაუსჯელობა გაუგებარ შედეგებამდე მიდის. მაგალითად, გაუპატიურებისას დამნაშავე ნინააღმდეგობის დაძლევის მიზნით მსხვერპლს ძლიერ მოუჭერს ყელში ხელს და მისთვის სულერთია რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას, მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანება, თუ სიკვდილი. შეუსაბამობა იქნება, თუ კი ამ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა მიუღებლად ჩაითვლება იმის გამო, რომ მკვლელობა გამიზნული არ იყო. იმის გამო, რომ დამნაშავე შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომას, არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ ქმედება დანაშაულის მცდელობად შეფასდეს. სწორედ ასეთ შეფასებებს აქვს ადგილი სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, ფედერალურმა სასამართლომ დამნაშავის მიერ დაზარალებულისთვის

680 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 354.
681 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 354-355.
682 იხ. *Streng*, JZ (1990), გვ. 220.

საფეთქელში სროლის ფაქტი, როდესაც დამნაშავე დაზარალებულის მოკვლის მიზნით კი არ მოქმედებდა, არამედ მისი დასჯა უნდოდა და, ამავდროულად, შეგნებულად უშვებდა სიკვდილის დადგომას, ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობად შეაფასა.[683]

§3. შეჯამება

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის დახასიათებამ აჩვენა, რომ **განზრახვა** არის ის სუბიექტური ნიშანი, რომელიც მცდელობის დასჯადობის სუბიექტურ საფუძველს ქმნის. მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის შესახებ პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის მცდელობის ცნებაში, ხოლო თავად განზრახვის სახეები და მათი შინაარსი გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში. მაშასადამე, სსკ-ის მე-19 მუხლში დასახელებული განზრახვა შინაარსობრივად სსკ-ის მე-9 მუხლში ჩამოყალიბებული განზრახვის იდენტურია, ე. ი. მცდელობის დროს არსებული განზრახვა მოიცავს ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს და მათი არსებობა აუცილებელია მცდელობის დასაბუთებისათვის. ამასთან, პოზიცია, რომელიც მცდელობის ცნებაში ფრაზას: „თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად" სუბიექტური შემადგენლობის დასასაბუთებლად იშველიებს, არ არის გასაზიარებელი, რადგან დასახელებული ფრაზა არა სუბიექტურ, არამედ **ობიექტურ შემადგენლობას** განსაზღვრავს.

რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობას, იგი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფში მხოლოდ ინტელექტუალურ ელემენტზე დაიყვანება. აღნიშნულ პარაგრაფში კანონმდებელი მიუთითებს არა განზრახვაზე, არამედ დამნაშავის **„წარმოდგენაზე"**. როგორც უკვე გამოვლინდა, ზოგიერთი მეცნიერი განზრახვასა და „წარმოდგენას" ერთმანეთთან აიგივებს, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ აუცილებელია ამ ორი სუბიექტური კომპონენტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფაქტობრივ გარემოებებში დაშვებული შეცდომის საფუძველზე აღმოცენებული უვარგისი მცდელობის დაუსჯელობის მომენტი. საქმე იმაშია, რომ გერმანიის სსკ-ის მე-16 პარაგრაფი, რომელიც ფაქტობრივ გარემოებებში დაშვებული შეცდომის გამო, განზრახვას გამორიცხავს, თავისთავად, უვარგისი მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობასაც გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ გერმანელ მეცნიერს მიაჩნია, რომ დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობაში განზრახვის აღიარება ეჭვქვეშ დააყენებს მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის არსებობას. ასეთ მსჯელობას გარკვეული ისტორიული საფუძველი გააჩნია. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, 1962 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა განზრახვაში იყო გამოხატული, მა-

683 იხ.: *Roxin*, AT (2003), გვ. 355; *BGHSt* 33, გვ. 295.

გრამ კანონმდებელმა არ გაიზიარა კანონის პროექტში ჩამოყალიბებული მცდელობის შინაარსი და საბოლოოდ, „განზრახვის" ნაცვლად დამნაშავის „წარმოდგენაზე" დააფუძნა მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა.

ქართულ სისხლის სამართალში მსგავსი პრობლემა არ დგას, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფისაგან განსხვავებით ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ფაქტობრივ გარემოებებში დაშვებული შეცდომის დროს განზრახვის გამორიცხვაზე პირდაპირ არ მიუთითებს.

გერმანულ სისხლის სამართალში განსხვავებული აზრის მიუხედავად, აღიარებულია, რომ დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა შეესაბამება დამთავრებული დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ობიექტურ სფეროში არსებობს. ეს საკითხი ანალოგიურად არის გაგებული ქართულ სისხლის სამართალში.

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური ელემენტი ორიენტირებული უნდა იყოს ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანზე.

ამასთან, დანაშაულის მცდელობას არა აქვს ადგილი მაშინ, თუ დანაშაულის ჩადენის მომენტში დამნაშავის განზრახვის არსებობა არ დასტურდება. ასევე, მაშინაც, როდესაც დამნაშავეს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია დანაშაულის ჩადენა, ანდა როდესაც დამნაშავეს დანაშაულის მიყვანა მხოლოდ მცდელობის სტადიამდე უნდა (აგენტ-პროვოკატორის შემთხვევა).

გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა, განსხვავებით ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკისაგან, ერთსულოვანია **ევენტუალური განზრახვით** მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთებისა და დასჯადობის საკითხში. გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერები, როგორც უკვე აღინიშნა, ამ საკითხის დასაბუთებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ თუკი დამთავრებული დელიქტის დასჯადობისათვის საკმარისია ევენტუალური განზრახვა, ამავე დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში ასევე საკმარისია ევენტუალური განზრახვა. ასეთი მსჯელობა მისაღებია, თუმცა საჭიროებს კორექტირებას. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ევენტუალური განზრახვით მცდელობა შეუძლებელია ზოგიერთ ისეთ დელიქტებში, რომელთა დამთავრებისათვის საკმარისია მხოლოდ ევენტუალური განზრახვა, ასეთებია, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე და 114-ე მუხლები. ასევე, გასაზიარებელია გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებული შეხედულება, რომლის მიხედვით, ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა გამოირიცხება ისეთ დელიტებში, რომლებიც **„მოჭარბებული შინაგანი ტენდენციით გამოირჩევა"** და სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში აღწერილია ისეთი სიტყვებით, როგორიც არის მაგალითად: „გამიზვნა", „დარწმუნება" და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაზე უარის თქმა, შესაძლებელია, არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში.

თავი IV. დანაშაულის მცდელობის ობიექტური დახასიათება და მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის საკითხი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური დახასიათების შემდეგ, მნიშვნელოვანია ასევე მცდელობის **ობიექტური დახასიათება**, რომელიც გულისხმობს მცდელობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის დადგენას, მცდელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების განსაზღვრას და მასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემატური საკითხების ანალიზს. ამასთან, დასახელებული თავი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის დანაშაულის მცდელობის გამიჯვნა, ერთი მხრივ, მომზადებისაგან ხოლო, მეორე მხრივ, დამთავრებული დანაშაულისაგან.

§1. დანაშაულის მცდელობის ობიექტური დახასიათება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

1. 1. მცდელობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი

მცდელობის ირგვლივ აღმოცენებული თეორიების განხილვისას უკვე აღინიშნა, რომ ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო მცდელობის **„ობიექტური თეორია"**, რომელიც დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძველს დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის **უშუალო საფრთხის** შექმნაში ხედავდა, რითაც იგი მცდელობას განასხვავებდა, ერთი მხრივ, დანაშაულის მომზადებისაგან, სადაც საფრთხე უშუალო, კონკრეტულ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ იგი უფრო აბსტრაქტული სახით ვლინდება, და მეორე მხრივ, დამთავრებული დანაშაულისაგან, სადაც საფრთხე უკვე რეალიზებულია.[684]

საფრთხე **რეალური შესაძლებლობის** კატეგორიასთან არის დაკავშირებული.[685] ფილოსოფიაში აღიარებულია, რომ ზოგადად „შესაძლებლობა გამოხატავს იმას, რაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ შეიძლება არ მოხდეს... მას გამორიცხავს გარდაუვალობა. თუ მოვლენა გარდაუვალია, მაშინ შესაძლებლობაზე ბჭობა უაზრობაა... შესაძლებელი მოთავსებულია შეუძლებელსა და გარდაუვალს შორის... იგი უსათუოდ შეიცავს ალტერნატივას - „ან-ან", რაც ნიშნავს: შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასევე შეიძლება არ მოხდეს."[686] შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე, ამიტომ მათი ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება.[687] რეალიზებული შესაძლებლობა უკვე სინამდვილეა. განასხვავებენ შესაძლებლობის ორ სახეს, ფორმალურ და რეალურ შესაძლებლობას. **ფორმალური შესაძლებლობა** დამოკიდებულია ლოგიკის კანონებზე

---

684 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 102.

685 იხ. თოდუა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" №2-3 (2007), გვ. 153.

686 *ერქომაიშვილი*, ფილოსოფია, გვ. 102.

687 იხ. თოდუა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" №2-3 (2007), გვ. 153.

და არა რეალობაზე. მაშასადამე, ფორმალური შესაძლებლობა ლოგიკურია. **რეალურ შესაძლებლობას** გააჩნია მოვლენების კანონზომიერად განვითარების უნარი. რეალურ შესაძლებლობაში განასხვავებენ **აბსტრაქტულ და კონკრეტულ შესაძლებლობას.** მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს სინამდვილედ გადაქცევის უნარი. აბსტრაქტული შესაძლებლობის დროს ჯერ კიდევ არ არსებობს სათანადო პირობები, რომლებიც შესაძლებლობას სინამდვილედ გადააქცევს, ხოლო პირობების მომზადების შემდეგ, შესაძლებლობა კონკრეტულ სახეს შეიძენს.[688]

მაშასადამე, კონკრეტულ შესაძლებლობას სინამდვილედ განვითარებისა და სინამდვილედ გადაქცევის ტენდენცია ახასიათებს. აქედან გამომდინარე, „ობიექტური თეორია" **ფორმალური შესაძლებლობის** საფუძველზე გაგებულ **საფრთხეს** უყურადღებოდ ტოვებს.[689]

მოცემული მსჯელობა ბადებს შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, რომ ფილოსოფიაში აღიარებული დებულება შესაძლებლობის შესახებ, რამდენად საკმარისია სისხლის სამართლის დოგამტიკაში დანაშაულის მცდელობის მატერიალური ნიშნის აგებისათვის. საკითხის ასე დაყენება გამომდინარეობს შემდეგი თემებიდან: პირველი, შესაძლებელია თუ არა დასჯადი **უვარგისი მცდელობის** დროს რეალური და უშუალო საფრთხის გამონახვა (ამ საკითხზე საუბარი იქნება უვარგისი მცდელობის ნაწილში) და მეორე, თუ კონკრეტული საფრთხე მიიჩნევა დანაშაულის მცდელობის დასჯადობის გადამწყვეტ ნიშნად, მაშინ, რა უნდა დაედოს საფუძვლად მცდელობის ისეთ შემთხვევას, როდესაც დაცული სამართლებრივი სიკეთე უკვე ხელყოფილია, ანუ (*in dubio pro reo*-ს შემთხვევა) შესაძლებლობა უკვე სინამდვილედ არის გადაქცეული და მიუხედავად ამისა, ქმედება მაინც დანაშაულის მცდელობად ფასდება.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია იმის მტკიცება, რომ კონკრეტული საფრთხე დანაშაულის მცდელობის **ერთ-ერთი** და არა ერთადერთი ნიშანია, ამიტომ კონკრეტული საფრთხის ცნება ზოგჯერ არ არის საკმარისი მცდელობის დასასაბუთებლად.

დანაშაულის მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის მატერიალური საფუძველი ერთმანეთს ემთხვევა, სადაც ქმედების **სოციალური საშიშროება,** როგორც დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანი, ნარმოადგენს მისი კრიმინალიზაციის საფუძველს.[690] სოციალური საშიშროება დანაშაულის თვისებაა, რომელიც გამოიხატება სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაში, ან ასეთი დაზიანების მუქარაში.[691]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის მცდელობის დროს ***სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მუქარა***, რომელიც აყალიბებს სოციალური საშიშროების ცნებას, ნარმოადგენს დანაშაულის მცდელობის **მატერიალურ საფუძველს.**

მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა მხოლოდ კონკრეტულ საფრთხეზე ვერ დაიყვანება. ყოველივე ეს კი მცდელობას უკარგავს ბუნებრივ ხასიათს და

688 იხ. *ერქომაიშვილი*, ფილოსოფია, გვ. 103-104.
689 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 110-111.
690 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 17.
691 იხ. *ნაჭყებია* (2002), გვ. 163-164.

მისი დასაბუთებისათვის ზოგჯერ შეუძლებელია იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა საფრთხეს სინამდვილედ გადაქცევის უნარი. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, საკითხი წყდება ზოგადსამართლებრივი პრინციპებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

1. 2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა, როგორც მცდელობის უმართლობის ობიექტური ნიშანი

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს **ქმედება** წარმოადგენს, რომელიც მოქმედებასთან ერთად, დანაშაულებრივ უმოქმედობასაც მოიცავს.[692]

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ქმედების შესახებ სხვადასხვა თეორია განვითარდა, თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული პოზიცია ქმედების **„სოციალურ თეორიას"** უკავია. აღნიშნული თეორია მოქმედების სოციალურ არსს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც გამოიხატება ადამიანის ბატონობის ქვეშ მოქცეულ ან მოქცევად სოციალურად მნიშვნელოვან ქცევაში.[693]

ქცევაში ორი მხარეა – სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური მხარე გულისხმობს ადამიანის ქცევაში განსაზღვრულ მიზნებსა და მოტივებს. ქცევის ობიექტური მხარე ნიშნავს ადამიანის ზემოქმედებას ობიექტურ გარესამყაროზე ნებისყოფის გარეგანი გამოვლინებით, რომელსაც ადგილი აქვს როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. ამდენად, ქმედება ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთიანობას წარმოადგენს.[694]

ქცევას, რომელსაც ნებელობა არ ახასიათებს სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია. მაგალითად, **რეფლექსური** მოძრაობა, სისხლისსამართლებრივი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, რადგან ამ დროს ნებელობა სრულებით გამორიცხულია. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი აგრეთვე დაუძლეველი ძალის დროს (***vis absoluta***),[695] მაგალითად, დედა ჩაკეტეს ყაჩაღებმა სარდაფში, რის გამოც, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, დახმარებოდა განსაცდელში მყოფ საკუთარ ჩვილს. ამ ვითარებისგან განსხვავდება ისეთი შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, ჩაკეტილ ოთახში შეიარაღებული ა. მოკვლით ემუქრება ბ. თუ ეს უკანასკნელი საწამლავს არ შეუყვანს ვენაში დ.-ს. ბ.-ე იძულებულია საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, დაემორჩილოს ა.-ს კატეგორიულ მოთხოვნას და შეუყვანს საწამლავს ვენაში დ.-ს, მაგრამ დ.-ე, ძლიერი ორგანიზმის წყალობით, გადარჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მაგალითში ადგილი აქვს განზრახ მკვლელობის მცდელობის უმართლობას, დ.-ს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ბრალის არ არსებობის გამო (***vis compulsiva***), რადგან იგი იმყოფება იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.[696]

ქმედება ფართო ცნებაა და მას ადგილი აქვს როგორც დანაშაულის

692 იხ.: *წერეთელი, ტყეშელიაძე* (1969), გვ. 169; *წერეთელი* (1966), გვ. 12.
693 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 88.
694 იხ. *წერეთელი, ტყეშელიაძე* (1969), გვ. 168.
695 იხ. *წერეთელი, ტყეშელიაძე* (1969), გვ. 173.
696 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 164

მომზადებისა და დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, ასევე დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე. ამიტომ მცდელობის დასადგენად მხედველობაშია მისაღები ისეთი ქმედება, რომელიც **დანაშაულის შემადგენლობის** განხორციელებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში დანაშაულის მცდელობის ობიექტურ წინაპირობად **ქმედების განხორციელების უშუალო დაწყება** მიიჩნია.[697]

მცდელობის ათვლის წერტილად შეიძლება აღებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტი, რომელიც უახლოვდება დანაშაულებრივ შედეგს, ზოგჯერ კიდეც აღწევს მას (***in dubio pro reo***-ს შემთხვევა). ასეთი ქმედება, თავის მხრივ, უპირისპირდება ისეთ საქმიანობას, რომელიც მისგან დროში და სივრცეშია დაშორებული და დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ პირობებს ქმნის („**შერეული თეორია**"). მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლი ითვალისწინებს ქურდობის შემადგენლობას, რომელიც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „ქურდობა ე. ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით". აღნიშნული შემადგენლობა, ისევე როგორ ყველა სხვა შემადგენლობები, სისხლის სამართლის კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სახით არის მოცემული. მაშასადამე, თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნანილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა სრულად არ არის განხორციელებული, მაშინ დამთავრებული დანაშაულის არსებობა გამორიცხულია.

ამიტომ, დანაშაულის ქურდობის მცდელობის დადგენისათვის ზოგჯერ აუცილებელია „რამდენიმე აქტის" გამოკვეთა, რომელსაც ადგილი აქვს გარკვეული მომენტიდან ნივთის ფაქტობრივ დაუფლებამდე, ნივთის ფაქტობრივად დაუფლების მომენტში და ნივთის ფაქტობრივად დაუფლების შემდეგ, გარკვეულ მომენტამდე. თუ დამნაშავემ გადაწყვიტა სხვისი ბინიდან ძვირფასეულობის წაღება, მან ამისათვის ჯერ ბინაში უნდა შეაღწიოს, დაეუფლოს ძვირფასეულობას და ამის შემდგომ, გავიდეს ბინიდან. ამიტომ ქმედება, ბინაში შეღწევის მომენტიდან ნივთის საბოლოო დაუფლებისა და ბინიდან გასვლის მომენტამდე, ქურდობის მცდელობად განიხილება. ბინაში შეღწევის მომენტი შეიძლება გამოიხატოს ისეთ ქმედებებში, როგორიც არის სახლის კედელზე კიბის მიდგმა, ფანჯარაზე მინის ჩამტვრევა (კიბის მიდგმის და მინის ჩამტვრევის მომენტი იმ შემთხვევაში განიხილება ქურდობის მცდელობად, თუ დამნაშავე კიბის მიდგმისთანავე ან მინის ჩამტვრევისთანავე აპირებს სახლში შესვლას), ოთახში შესვლა და ამორჩეულ საგანთან მისვლა. ამ ქმედების მეორე მომენტი გამოიხატება ნივთის უშუალო დაუფლებაში, ხოლო მესამე მომენტი ბინიდან გასვლაში. ამდენად, „თუ ბინაში, სადგომში ან საცავში შეღწევისას მოხდა ნივთის ფაქტობრივი დაუფლება, მაგრამ პირი არ გასცდენია ბინის, სადგომის ან საცავის ფარგლებს, არის ქურდობის მცდელობა, ხოლო თუ პირი გასცდა ბინის, სადგომის ან საცავის ფარგლებს — არის დამთავრებული დანაშაული. მაგალითად, პირმა შეაღწია ბინაში (სადგომში ან საცავში), აიღო

697 იხ. **ტურავა** (2013), გვ. 309.

ნივთი და ბინაში (სადგომში ან საცავში) დააკავეს — არის მცდელობა, ან პირმა შეაღწია ბინაში (სადგომში ან საცავში), აიღო ნივთი და დააკავეს ბინის (სადგომის ან საცავის) ფარგლებს გარეთ (თუნდაც კიბეზე) — არის დამთავრებული დანაშაული. ქურდობის სხვა შემთხვევაში, მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის განსაზღვრა ხდება ნივთის დაუფლების მომენტით, მისი ადგილსამყოფელის ფაქტობრივი მოცილების მიხედვით. მაგალითად, პირმა ხელჩანთიდან (ჯიბიდან ან სხვა) ამოიღო ნივთი და დააკავეს (თუნდაც მაშინვე) — არის დამთავრებული დანაშაული, ან პირმა ხელჩანთაში ჩაყო ხელი ნივთის ამოსაღებად და დააკავეს სანამ ნივთს ამოიღებდა — არის ქურდობის მცდელობა."[698]

მოცემული მსჯელობა არ გულისხმობს იმას, რომ ქურდობის დროს ქმედების მცდელობად შეფასებისათვის მაინც და მაინც სამი მომენტია აუცილებელი, არამედ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქურდობის მცდელობისათვის ერთი ან ორი მომენტიც საკმარისია.

მაშასადამე, ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **პირველი და ბოლო აქტის** დადგენას, რათა მცდელობა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, დანაშაულის მომზადებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, დამთავრებული დანაშაულისაგან.

ქმედების მცდელობად შეფასება ზოგჯერ დამოკიდებული არ არის სისხლის სამართლის კერძო ნაწილში აღწერილ დანაშაულის შემადგენლობის თავისებურებებზე. მაგალითად, არის ე. წ. ***actio libera in causa***-ს ისეთი შემთხვევა, სადაც დამნაშავე პასუხისმგებლობისგან დაღწევის მიზნით, თავს შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიყენებს, იმისათვის, რათა შემდგომ დანაშაულებრივი ჩანაფიქრი განახორციელოს, მაგრამ დანაშაულს ვერ ასრულებს. მაგალითად, ა. შეგნებულად დიდი რაოდენობით იღებს ალკოჰოლურ სასმელს იმისათვის, რათა შემდგომ მან სიმთვრალეში მოკლას ბ.-ე. ქართული სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომლის თანახმად, ე. წ. ***actio libera in causa***-ს შემთხვევაში, „ბრალუნარიანობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორიის" მიხედვით, პირი უნდა დაისაჯოს, როგორც შერაცხადი პირი. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დასაბუთება ემყარება ფაქტს, რომლის მიხედვით, პირმა თვითონ ჩაიყენა თავი „დეფექტურ" მდგომარეობაში. ამიტომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ***actio praeceden***-ი მცდელობის სტადიას წარმოადგენს.[699]

საკითხის ამგვარი შეფასება, სადავოა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას არ აქვს ადგილი. აქ უფრო მომზადების ნიშნები იკვეთება, ვიდრე მცდელობის. მაგალითად, ა.-მ სახლში დიდი რაოდენობით მიიღო ალკოჰოლი, რათა შემდგომ მოკლას თავისი მეზობელი ბ.-ე, რომელიც მისგან ერთი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს. იმ შემთხვევაში, თუ ა.-ს მიერ საკუთარ სახლში ალკოჰოლის მიღება მკვლელობის მცდელობად შეფასდება, მაშინ ბ.-ს აუცილებლად უნდა მიეცეს

698 *უზენაესი სასამართლო სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები* (2007), გვ. 15.

699 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 219.

აუცილებელი მოგერიების უფლება, რაც, რა თქმა უნდა, ძალზედ გააფართოებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. ე. წ. ***actio libera in causa***-ს შემთხვევები დეტალურად არის განხილული მე-5 თავში.

1. 3. დასჯადობა, როგორც მცდელობის ობიექტური ნიშანი

დანაშაულის სპეციფიკურ ნიშანს მისი დასჯადობა წარმოადგენს, რადგან ყოველ შემადგენლობას თან ახლავს სანქცია. მაშასადამე, არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობა დასჯადობის გარეშე. შესაძლებელია, რომ სასჯელი პრაქტიკაში საერთოდ არ იყოს გამოყენებული, თუ არსებობს სასჯელისაგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი, თუმცა ამით დანაშაულს დასჯადობის ნიშანი არ ისპობა. ვიდრე ქმედება სოციალურად საშიშ ხასიათს ატარებს, მისი დასჯადობა გამორიცხული არ არის.[700] დანაშაულის მცდელობა დანაშაულის გამოვლენის ფორმას წარმოადგენს, ამიტომ დასჯადობა ასევე მცდელობის ობიექტურ ნიშნად მიიჩნევა.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დაწესების ზოგად ასპექტებს, რომლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით". ამ ნორმის ტექსტის თანახმად, დანაშაულის მცდელობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში თავისთავად გათვალისწინებული არ არის და მისი დასჯადობა უშუალოდ არ გამომდინარეობს კერძო ნაწილის მუხლებიდან.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის გარდა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულია მცდელობის დასჯადობის მარეგულირებელი სხვა ნორმებიც. მაგალითად, სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია ქმედების მცირე მნიშვნელობაზე, რომელიც დანაშაულის არსებობის შესაძლებლობას გამორიცხავს. მაგალითად, ა. განიზრახა 10 ლარის ღირებულების ორი კოლოფი სიგარეტის მოპარვა. ამ მიზნით იგი მაღაზიაში შევიდა, აიღო სიგარეტი და სალაროს გვერდის ავლით, შეეცადა მაღაზიიდან გასვლას, მაგრამ დაცვის თანამშრომელმა ა. მაღაზიის გასასვლელში დააკავა. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ადგილი აქვს ქურდობის შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტს (მცდელობას), მაგრამ **ნივთის მცირე მნიშვნელობა** მცდელობის უმართლობის დასჯადობას აცლის საფუძველს[701]. იმ შემთხვევაში, თუ ა. საწყობში შეიპარება და საწყობის დაცვა მაშინვე დააკავებს დამნაშავეს, ძნელი სათქმელია, პიროვნებას 10 ლარის ღირებულების ნივთის დაუფლება უნდოდა, თუ 100 ლარის. ამიტომ პრაქტიკაში საკითხის სწორად გადაწყვეტის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება განზრახვის დადგენას, რათა გაირკვეს, ქმედების შემადგენლობა სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გამოირიცხოს, თუ ქურდობის მცდელობად (სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლი)

700 იხ. *ნაჭყებია* (2002), გვ. 162-164.

701 ქართულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს, იხ. *ტურავა* (2013), გვ. 72.

შეფასდეს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მცდელობის დასჯადობის პრობლემის გადასაწყვეტად სასამართლო პრაქტიკა ყურადღებას უნდა აქცევდეს საფრთხის ოდენობას, ობიექტის ღირებულებას და მოსალოდნელი ზიანის მოცულობას[702].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **56-ე მუხლი** განსაზღვრავს დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხებს.

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმა მცდელობის დასჯადობის განსხვავებულ წესებს ადგენდა, კერძოდ, იგი არ ითვალისწინებდა სასჯელის სავალდებულო შემცირებას დანაშაულის მცდელობისათვის, თუმცა ეს წესი 2000 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობით შეიცვალა და სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპი შემოიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა ყოფილიყო დამთავრებული დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის **სამ მეოთხედზე** მეტი.[703] მაგალითად, სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე ვადით. სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპის მიხედვით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობისათვის სასამართლოს შეიძლება დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 7 თვის ვადით. თუმცა 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის შემცირების სავალდებულო წესი ამოღებულ იქნა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლიდან.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის **56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად, დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. აღნიშნული გარემოებები შეიძლება დაიყოს ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებად. **ობიექტურ გარემოებებს** მიეკუთვნება, მაგალითად, ცუდი ხილვადობა, ბუნებრივი მოვლენები, დანაშაულის ჩასადენად არჩეული საშუალების გაუმართაობა, სამართლებრივი სიკეთის საიმედოდ დაცულობა და სხვ. რაც შეეხება **სუბიექტურ გარემოებებს** მათ შეიძლება მიეკუთვნოს დამნაშავის ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, გამოუცდელობა ან სხვა სუბიექტური ფაქტორები. სისხლის სამართლის ზოგიერთ მეცნიერს სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ასეთი ფორმულირება მიუღებლად მიაჩნია. როგორც ისინი მიუთითებენ, ასეთი ზოგადი ხასიათის დებულება, შესაძლებელია, არაერთგვაროვანი შეფასების საფუძველი გახდეს.[704]

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპზე უარის თქმა და მის ნაცვლად კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის კონკრეტული ღონისძიების

---

702 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 196.

703 იხ. *გოთუა* (2001), გვ. 53-54.

704 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 378-379.

არჩევის დროს გათვალისწინებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღების პრინციპი, ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულ პრინციპად ითვლებოდა.[705]

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს ასევე მხედველობაშია მისაღები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **53-ე მუხლით** გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის დებულებები. შესაძლებელია იმის თქმაც, რომ სსკ-ის 56-ე მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმასთან მიმართებაში, რადგან იგი მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხებს არეგულირებს, მაშინ, როდესაც სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სახელმძღვანელო დებულებებს აყალიბებს.

სსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს დანაშაულის მცდელობის დროს სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. კანონმდებლის ასეთი მიდგომა გამომდინარეობს ჰუმანურობისა და სასჯელის თანაზომიერების პრინციპიდან.

დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხებს არეგულირებს აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის მე-20 მუხლი, რომელიც ***აბსოლუტურად უვარგის მცდელობას*** დაუსჯელ მცდელობად აცხადებს,[706] ხოლო საქართველოს **სსკ-ის 21-ე მუხლი** არეგულირებს მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხებს. მცდელობისათვის თანამონაწილეთა დასჯადობის პრობლემებს კი ეხება საქართველოს **სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი**, რომლის მიხედვით, „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის...". ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით შემდეგ პარაგრაფებში იქნება საუბარი.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზმა დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებით ცხადყო, რომ აუცილებელია, სისხლის სამართლის კანონმდებელს მიეცეს გარკვეული რეკომენდაციები დანაშაულის მცდელობის დასჯადობის დროს წარმოშობილი საკითხების გადაწყვეტისათვის:

პირველი, რაც კანონმდებელმა უნდა გააკეთოს, არის **სსკ-ის 56-ე მუხლში** დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპის აღდგენა, რათა ამ პრინციპის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი თანხვედრაში მოვიდეს სისხლის სამართლის კერძო ნაწილთან. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი განსაზღვრავს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობებს და მათთვის ადგენს შესაბამის სასჯელს. მაშასადამე, დამთავრებული დანაშაულის უმართლობისა და ბრალის სიმძიმე საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობის სიმძიმის განსაზღვრას. რამდენადაც დანაშაულის მცდელობა დანაშაულის გამოვლენის ფორმაა, ამიტომ

705 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 209.
706 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 315.

კანონმდებლის მიზანი უნდა იყოს, დანაშაულის მცდელობის უმართლობისა და ბრალის სიმძიმის გათვალისწინებით, მისთვის შედარებით ნაკლები პასუხისმგებლობის დაწესება, მითუმეტეს, რომ დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხი სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არ არის გადატანილი. გარდა ამისა, კანონმდებლისათვის წაყენებული მოთხოვნა გამომდინარეობს დანაშაულის მცდელობის თავისებურებიდან. მცდელობა ზოგჯერ შედარებით **შორს დგას** სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაგან (დაუმთავრებელი მცდელობის სტადია) ანდა დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ყოველთვის არ უქმნის **კონკრეტულ საფრთხეს** (უვარგისი მცდელობა) და ასეთი შემთხვევებში, მცდელობა, შესაბამისად, უმართლობის დაბალი ხარისხით გამოირჩევა. ამიტომ, მისი დასჯადობის მოქცევა დამთავრებული დელიქტის უმართლობისათვის გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, მიუღებელია.

გარდა ამისა, **უმართლობის ხარისხის** გათვალისწინებით, აუცილებელია დაუმთავრებელი დანაშაულის დიფერენციაცია შედეგების მიხედვით. მცდელობის დროს ქმედება ზოგჯერ კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას იწვევს, მაგალითად, მკვლელობის მცდელობის დროს, შესაძლებელია, დამნაშავემ ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენოს დაზარალებულს, ანდა ქურდობის მცდელობის დროს ასევე, შესაძლებელია, დამნაშავემ დააზიანოს დაზარალებულის სახლის კარები და ა. შ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მცდელობის უმართლობის ხარისხი აქ უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ, როდესაც დამნაშავე ასეთ შედეგებს არ გამოინვევს, მაგალითად, ტყვიას ააცილებს დაზარალებულს და სხვ. მაშასადამე, გამოდის, რომ მცდელობის შემთხვევაში უმართლობის ხარისხის გათვალისწინებით, აუცილებელია სასჯელის დიფერენციაცია („**დიფერენციაციის პრინციპი**").

„სამართლიანობის პრინციპის" დაცვა სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისათვის შესაბამისი სასჯელის დანიშვნის გზით მიიღწევა.[707] თუმცა, ეს საკმარისი არ არის დასახელებული პრინციპის დასაცავად, ვიდრე სახელმწიფო, როგორც „სამართლიანობის პრინციპის" დაცვის გარანტი, თავიდანვე არ დაანესებს დანაშაულის მცდელობისათვის შესაბამისი სიმძიმის პასუხისმგებლობას. სასამართლოს მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.[708]

მეორე, სისხლის სამართლის კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ საშეღავათო ნორმებში ყურადღება უნდა გაამახვილოს დანაშაულის დაუმთავრებლობის, კერძოდ, მცდელობის მომენტზე, რადგან ასეთი ნორმების გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი შედეგის არ დადგომა უნდა გახდეს. მაგალითად, უპრიანი იქნება, თუკი კანონმდებელი **პირობითი მსჯავრის** მარეგულირებელი ნორმის (სსკ-ის 63-ე მუხლი) გამოყენების ერთ-ერთ საფუძვლად ქმედების ბოლომდე განუხორციელებლობას მიუთითებდა.[709]

---

707 იხ. *გოთუა* (2001), გვ. 9.

708 იგივე პოზიციას ავითარებს ნაჭყებია, იხ. *ნაჭყებია* (1998), გვ. 139

709 ასევე, კარგი იქნება, თუ კანონმდებელი ანალოგიურ მითითებას გააკეთებს ფეხმძიმე ქალებთან მიმართებაში.

მესამე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 კარში, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხებს, ხაზგასმით არაფერია ნათქვამი დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნის და, შესაბამისად, მისი სავალდებულო შემცირების შესახებ, რაც კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია სისხლის სამართლის კოდექსში შემოიღოს ისეთი ნორმა, რომელიც ამ პრობლემას გადაჭრის და ამით უპასუხებს „ჰუმანიზმის პრინციპის" მოთხოვნებს.[710]

მეოთხე, მიზანშეწონილია, თუკი სისხლის სამართლის კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსში აღადგენს 69-ე მუხლის მოქმედებას, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას დაზარალებულთან შერიგების გამო. აღნიშნული ნორმა გავრცელდება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მცდელობის ჩადენის შემდეგ, დაზარალებულთან შერიგების შემთხვევებზე.

§2. დანაშაულის დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სახეები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

საქართველოს ადრინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მცდელობის სახეებად დაყოფას არ იცნობდა, მაგრამ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მცდელობის კლასიფიკაცია დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობად მაინც ხდებოდა. ამასთან, გაბატონებული დოქტრინა ხაზს უსვამდა მცდელობის სახეებად დაყოფის მნიშვნელობას, რადგან, მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ასეთი დაყოფა დიდ როლს თამაშობდა, ერთი მხრივ, **მცდელობის დასჯადობის** და, მეორე მხრივ, **ნებაყოფლობით ხელის აღების** საკითხის გადაწყვეტის დროს. მაშასადამე, მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. სასამართლოს მცდელობის დასჯადობის დროს მხედველობაში უნდა მიეღო საკითხი იმის შესახებ, დაამთავრა თუ არა დამნაშავემ დანაშაული, რომელსაც იგი ახორციელებდა, თუ მას ქმედება ჯერ ბოლომდე არ შეუსრულებია. მეცნიერები ამ თემის გარკვევას პრინციპულ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებდნენ, რომ დაუმთავრებელი მცდელობა დამთავრებულ მცდელობასთან შედარებით უფრო მსუბუქად ისჯებოდა. ამის გარდა, სისხლის სამართლის დოგმატიკაში სადავოდ ითვლებოდა ის კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენებოდა მცდელობის სახეების ერთმანეთისაგან გასამიჯნად. ზოგიერთი მეცნიერი თვლიდა, რომ გამიჯვნის გასაღები დამნაშავის **სუბიექტურ** სფეროში იდო. მაშასადამე, მთავარი იყო დამნაშავის წარმოდგენა იმის შესახებ, შეასრულა თუ არა მან ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო შედეგის განხორციელებისათვის. თუმცა ამ კრიტერიუმს დაუპირისპირდა **ობიექტური** კრიტერიუმი, რომლის თანახმად, მცდელობის სახეებად დაყოფა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო არა დამნაშავის

---

710 ჰუმანიზმის პრინციპის შესახებ, დაწვრილებით იხილეთ: *ნაჭყებია* (1998), გვ. 139-140.

წარმოდგენაზე, არამედ ობიექტურად არსებულ გარემოებებზე. ამ პოზიციას ამყარებდნენ იმ არგუმენტით, რომ, ვინაიდან მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნას ობიექტური კრიტერიუმი უდევს საფუძვლად, ლოგიკური თანმიმდევრობა მოითხოვს, რომ მცდელობის სახეების გამიჯვნაც სწორედ ობიექტურ კრიტერიუმს დაეფუძნოს.[711]

ამასთან, სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დამთავრებულ მცდელობად მიიჩნევა ისეთი ქმედება, როდესაც დამნაშავემ ყველაფერი გააკეთა, რაც აუცილებელი იყო შედეგის გამოსაწვევად, არ იქნა გაზიარებული, რადგან, თუ პირმა ყველაფერი გააკეთა შედეგის გამოსაწვევად, მაშინ შედეგი აუცილებლად დადგება, ამიტომ უმჯობესია დამთავრებული მცდელობის ისეთი განმარტება, სადაც აღნიშნული იქნება, რომ დამნაშავემ გააკეთა ის, რაც **მისი მხრიდან იყო საჭირო** შედეგის გამოსაწვევად.[712]

ეს მოსაზრება უფრო ახლოს დგას სუბიექტურ კრიტერიუმთან, რადგან იგი პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ დამნაშავე აკეთებს იმას, რაც მისი წარმოდგენით (მისი მხრიდან) საჭირო არის შედეგის გამოსაწვევად. მაშასადამე, დამნაშავის წარმოდგენის გარეშე, დამთავრებული მცდელობა ვერ დადგინდება.

ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში ზოგიერთი მეცნიერი მცდელობის სახეებად დაყოფის დროს **ობიექტურ** კრიტერიუმს ანიჭებს უპირატესობას, რადგან მიაჩნია, რომ ქმედების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები არა ადამიანის სუბიექტური წარმოდგენა, არამედ რეალურად განხორციელებული ქმედებები.[713]

ასევე, თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში განსხვავებულად არის წარმოდგენილი დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის მნიშვნელობა. ზოგიერთი მეცნიერი, იმას, რასაც ადრინდელი შეხედულება, დამთავრებულ მცდელობად თვლიდა, დაუმთავრებელ მცდელობას მიაკუთვნებს. მაგალითად, როდესაც ა. მოკვლის განზრახვით წყალში ჩააგდებს ბ. და შემდეგ გადაარჩენს, ან როდესაც ა. საწამლავს მისცემს ბ. და შემდეგ ექიმს გამოიძახებს, ადგილი აქვს არა დამთავრებულ, არამედ დაუმთავრებელ მცდელობას, რადგან ამ შემთხვევებში ა.-ს ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუკეთებია, რაც მასზე იყო დამოკიდებული. პირიქით, მან ნებაყოფლობით ხელის აღებით მცდელობას არ მისცა დამთავრების საშუალება. დაუმთავრებელი მცდელობა სუბიექტის ნებით შეწყვეტილი მცდელობაა. ამდენად, ამ მეცნიერთა აზრით, დამთავრებული მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია.[714]

აღნიშნული შეხედულება არ იმსახურებს მხარდაჭერას, რადგან თუ დამნაშავემ ყველაფერი გააკეთა, რაც სუბიექტურად და ობიექტურად აუცილებელი იყო ჩაგანზრახი დანაშაულის დამთავრებისათვის, არ შეიძლება დაუმთავრებელ

711 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 148-150.
712 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 152.
713 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 164-165.
714 იხ. *სულაქველიძე*, „სამართალი" №3-4 (1991), გვ. 16-17.

მცდელობაზე საუბარი. გარდა ამისა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე.[715]

ეჭქვეშ დგება ასევე იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მცდელობის სახეებად დაყოფის შესაძლებლობას გამორიცხავს.[716] საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობას წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც „უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი". ნათელია, რომ მცდელობის განმარტებისას კანონმდებელი მიუთითებს ორ მნიშვნელოვან მომენტზე, ქმედების შემადგენლობის დაწყებაზე, რომელიც გამოიხატება სიტყვებით „უშუალოდ მიმართულია" და მეორე, შედეგის არ დადგომაზე, რომელიც გამოიხატება სიტყვებით „დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი". ამდენად, დანაშაულის შემადგენლობის დაწყება დაუმთავრებელ მცდელობაზე მიუთითებს, ხოლო ამის შემდგომი ქმედება, რომელსაც შედეგის განხორციელებამდე აღარაფერი უკლია, უკვე დამთავრებული მცდელობის სტადიას იძლევა. მაგალითად, როდესაც ა. მოკვლის განზრახვით ბ.-ს საწამლავი ჩაუყარა ჭიქაში, მან ამით მკვლელობის შემადგენლობის განხორციელება დაიწყო და, შესაბამისად, ა. მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობის სტადიაზე იმყოფება, მაგრამ როგორც კი ბ. საწამლავს დალევს, ობიექტურად დამნაშავის მხრიდან ყველაფერი შესრულებულია და შედეგი სადაც არის უნდა დადგეს. ა. მოცემულ შემთხვევაში დამთავრებული მცდელობის სტადიაზე გადადის, რომელიც გრძელდება იქამდე, ვიდრე სასურველი შედეგი არ დადგება, ან დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს არ აიღებს დანაშაულის განხორციელებაზე.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში შეიძლება გამოიყოს *სამი პოზიცია*, რომელიც განსხვავებულად აფასებს მცდელობის სახეებად დაყოფის მნიშვნელობას.

პირველი პოზიციის თანახმად, მცდელობის სახეებად დაყოფა ხელოვნური და არაბუნებრივია. მაგალითად, თუ დაზარალებულის წყალში გადაგდება დამთავრებული მცდელობის სტადიად ჩაითვლება, მაშინ, რომელ სტადიას უნდა მიეკუთვნოს დაზარალებულის დახრჩობამდე არსებული მომენტი, ანდა ის მომენტი, როდესაც დაზარალებულმა თავი დააღწია წყალს და გადარჩა. სწორედ ამიტომ, ამ პოზიციის მიხედვით, მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნი, არამედ მას წმინდა პირობითი ხასიათი აქვს.[717]

მეორე პოზიცია თვლის, რომ თავად ტერმინი „დამთავრებული მცდელობა" შინაგანად წინააღმდეგობრივია, რადგან ტერმინი „მცდელობა" თავისთავად დაუმთავრებელს აღნიშნავს და ამიტომ ტერმინის „დაუმთავრებელი" მიმატება

715 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 316.
716 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 168.
717 იხ.: *გამყრელიძე* (2006), გვ. 17; *გამყრელიძე* (2008), გვ. 168.

ლოგიკურ შეუსაბამობას წარმოადგენს.[718] აქედან გამომდინარე, აღნიშნული პოზიცია არ იზიარებს მცდელობის სახეებად დაყოფის პრინციპს.

მესამე პოზიცია მცდელობის სახეებად დაყოფის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და მიაჩნია, რომ სასამართლომ მცდელობის დასჯადობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მიიღოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები (ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსში მცდელობის დასჯადობის სავალდებულო შემცირების პრინციპი სსკ-ის 56-ე მუხლიდან იქნა ამოღებული, ამიტომ მიუთითებს დასახელებული მესამე პოზიცია მცდელობის დასჯადობის დროს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების ნორმაზე). ამასთან, დასახელებული პოზიცია სწორად აღნიშნავს იმას, რომ დაუმთავრებელი მცდელობა უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, რადგან ამ დროს სამართლებრივ სიკეთეს უფრო ნაკლები საფრთხე ექმნება, ვიდრე ამას ადგილი აქვს დამთავრებული მცდელობის დროს.[719] სწორედ ამიტომ ეს უკანასკნელი პოზიცია იმსახურებს მხარდაჭერას.

ზემოთ განხილული მსჯელობიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მცდელობის სახეებად დაყოფის მიზანშეწონილობა გამომდინარეობს თავად სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსიდან. ამასთან, ასეთ დაყოფას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნისა და, შესაბამისად, მცდელობის დასჯადობის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის.

§3. დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკა ქართულ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში

სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკა დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. სისხლის სამართლის დოგმატიკაში და სასამართლო პრაქტიკაში მუდმივი დავაა გამიჯვნის კრიტერიუმის დადგენის შესახებ.

გამიჯვნის პრობლემატიკას განსაკუთრებული პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია, რადგან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის მცდელობის დასჯადობისათვის არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სავალდებულო შემცირების პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის დამნაშავეს, შესაძლებელია, დაენიშნოს იგივე სიმძიმის სასჯელი, რაც გამოიყენება დამთავრებული დანაშაულის დასჯადობის შემთხვევაში.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ რთული ამოცანის გადაჭრის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს სასამართლო პრაქტიკა მაშინ, როდესაც დანაშაულის მცდელობასა და მოზადებას შორის ზუსტი ზღვარის გავლებას შეეცდება. სწო-

718 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 171.
719 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 164.

რი გამიჯვნის აუცილებლობა განსაკუთრებით ნარმოიშობა მაშინ, როდესაც საქმე შეეხება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს.[720]

ეს საკითხი კიდევ უფრო დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას შეიძენს მაშინ, თუ კი სისხლის სამართლის კანონმდებელი, დისერტაციაში განვითარებული შეხედულების თანახმად, დანაშაულის მომზადების დასჯადობის „ფართო მოდელზე" იტყვის უარს, რაც სისხლის სამართლის მეცნიერებას კიდევ ერთ ვალდებულებას დააკისრებს, შეიმუშაოს ისეთი კრიტერიუმი, რომელიც უზრუნველყოფს დასჯადი და დაუსჯელი სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნას.

მაშასადამე, დანაშაულის მომზადების, მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემის სწორად გადაწყვეტას **უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა** გააჩნია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხში. არასწორი გამიჯვნა გამოიწვევს ქმედების მცდარ კვალიფიკაციას და, შესაბამისად, სასჯელის გაუმართლებელ შემსუბუქებას, ან დამძიმებას,[721] რითაც უხეშად დაირღვევა სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპები.

მომზადების და მცდელობის გამიჯვნის დროს, პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები თავად მცდელობის საკანონმდებლო დეფინიცია, კერძოდ, ის, თუ როგორ არის გადმოცემული მცდელობის შინაარსი სისხლის სამართლის კოდექსში. როგორც წესი, ნორმის შინაარსი სისხლის სამართლის კანონში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და არ უნდა ატარებდეს **განუსაზღვრელ და ბუნდოვან** ხასიათს. ასეთი მოთხოვნა წაყენებული აქვს თანამედროვე სისხლის სამართალს და იგი სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის აუცილებელი ატრიბუტია.[722]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მე-19 მუხლის შემოღების დროს კანონმდებლის მიზანი, სწორედ, მცდელობის ისეთი საკანონმდებლო ცნების ჩამოყალიბება იყო, რომელიც მცდელობის ყველა შემთხვევას მოიცავდა და უზრუნველყოფდა მის გამიჯვნას დანაშაულის მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულისაგან. სსკ-ის მე-19 მუხლში მითითებულია მცდელობის ორ ობიექტურ გარემოებაზე: *პირველი*, ქმედება **უშუალოდ მიმართული** უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად და, *მეორე*, **დანაშაული ბოლომდე** არ უნდა იქნეს მიყვანილი (***საკანონმდებლო კრიტერიუმები***).

პირველ გარემოებაზე დაყრდნობით, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა ხორციელდება, ხოლო მეორე გარემოება ეხმარება სამართალშემფარდებელს მცდელობის და დამთავრებული დანაშაულის ურთიერთგამიჯვნაში.

დანაშაულის მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის გამიჯვნის საკითხს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ ქართველი მეცნიერები.[723] სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა

720 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 39.

721 იხ. *დვალიძე* (2008), გვ. 91.

722 ნორმის განუსაზღვრელობის დაუშვებლობის შესახებ მიუთითებს ტურავა, იხ. *ტურავა* (2013), გვ. 37-38.

723 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 130.

გაიზიარა მეცნიერთა რეკომენდაციები და სისხლის სამართლის კოდექსში ჩაწერა, რომ მცდელობად ითვლება ისეთი განზრახი ქმედება, რომელიც მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ იგი ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

ამდენად, მოსალოდნელი **შედეგის არარსებობა** (***in dubio pro reo***-ს და სხვა შემთხვევების გარდა) მცდელობის აუცილებელი პირობაა,[724] რითაც ადვილად იმიჯნება მცდელობა დამთავრებული დანაშაულისაგან.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მომზადებისა და მცდელობის განმარტების მიუხედავად, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა საკმაოდ რთული და სადავო საკითხია. ეს გასაგებიცაა, რადგან დანაშაულის განხორციელება ზოგჯერ მრავალსაფეხურიანი პროცესია და ძნელია ისეთი **მაგიური ფორმულის** გამოგონება, რომელიც მომზადებასა და მცდელობას ერთამნეთისაგან მათემატიკური სიზუსტით გამიჯნავდა.[725]

მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის საკანონმდებლო კრიტერიუმები არ ნარმოადგენს პრობლემის მოგვარების ერთადერთ საშუალებას, არამედ გამიჯვნისათვის ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის მეცნიერებაში დოგმატურ-სამართლებრივ საფუძველზე ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს (*დოგმატურ-სამართლებრივი კრიტერიუმი*). ამის მიხედვით, განასხვავებენ მცდელობის გამიჯვნის **„ობიექტურ“, „სუბიექტურ“** და **„შერეულ თეორიებს“**, რომლის შესახებ დაწვრილებით უკვე იყო საუბარი.

მცდელობის დასჯადობის შესახებ აღმოცენებული თეორიების დახასიათებისას, უკვე აღინიშნა, რომ, ტრადიციულად, ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა მხარს უჭერდა და ნაწილი მეცნიერებისა დღესაც იზიარებს **„ობიექტურ თეორიას“**, როგორც დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკის მოგვარების ერთადერთ დოგმატურ საშუალებას. აღნიშნული თეორია აკრიტიკებს **„სუბიექტურ თეორიას“**, რადგან ეს უკანასკნელი დასჯადობის სფეროს ძალზედ აფართოებს და, შესაბამისად, მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის საქმეში მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს.[726]

აქედან გამომდინარე, ადრეულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, გაიგებოდა ობიექტური და არა სუბიექტური თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედება არა მარტო სუბიექტის ნარმოდგენაში უნდა არსებობდეს, არამედ მას რეალურად უნდა ჰქონდეს ადგილი ობიექტურ გარესამყაროში.[727] ამიტომ „ობიექტური თეორიის“ მიმდევრების მიხედვით, ქმედება, რომელიც **უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად**, გამოიხატება სამართლებრივი სიკეთისათვის **რეალური საფრთხის** შექმნაში. სისხლის სამართლის მეცნიერებაში ამას იმით ხსნიდნენ, რომ დანაშაულის განსახორციელებლად უშუალოდ მიმართულ ქმედებას შედეგის გამონვევის ტენდენცია ახასიათებს და იგი შედეგის გამონვევის შანსებს ზრდის იმ მხრივ, რომ სუსტდება შედეგის ხელშემშლელი

724 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 309.

725 იხ. *ნიქარიშვილი*, „მართლმსაჯულება და კანონი“ №1 (2010), გვ. 14.

726 იხ.: *წერეთელი*, (1961), გვ. 142; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 39-40.

727 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 129.

მოტივების ძალა და იზრდება ხელშემწყობი მოტივების სიძლიერე.[728] (**„კონკრეტული საფრთხის თეორია“**).

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში ზოგიერთი მეცნიერი მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის დროს, „ობიექტური თეორიებიდან“ **„ფორმალურ-ობიექტური თეორიით“** ხელმძღვანელობს.[729] აღნიშნული თეორიის თანახმად, დანაშაულის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება რეალურად დაიწყება. თუმცა თავად ამ თეორიის მიმდევრები აღიარებენ, რომ გამიჯვნის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ამ შეხედულების საფუძველზე, შეუძლებელია, რადგან სსკ-ის მე-19 მუხლში მოცემული სიტყვები: „ქმედება, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული“ დანაშაულის მცდელობად მიიჩნევს იმ ქმედებებსაც, რომლებიც წინ უძღვის ქმედების შემადგენლობის დანყებას, მაგალითად, იარაღის დამიზნება, ჩახმახზე თითის დადება და ა. შ. მაშასადამე, „ობიექტური თეორიის“ მომხრეები აქ მხოლოდ ისეთ ქმედებებს გულისხმობენ, რომლებიც, მართალია, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას ჯერ არ წარმოადგენს, მაგრამ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს უქმნის **კონკრეტულ საფრთხეს**, ამიტომ ჯიბიდან იარაღის ამოღება დანაშაულის მომზადებად არის შეფასებული, მაშინ როდესაც იარაღის დამიზნება დანაშაულის მცდელობად განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელებას („ნანილობრივ განხორციელებული ქმედების თეორია“). ამასთან, „ობიექტური თეორიის“ მომხრეებს გამიჯვნის პრობლემის უკეთ გადაწყვეტის მიზნით, შემოაქვთ **დროში და სივრცეში სიახლოვის კრიტერიუმები.**[730] მოცემული კრიტერიუმები, როგორც მცდელობის შესახებ თეორიებზე მსჯელობისას გამოიკვეთა,[731] „როქსინის თეორიაში“ დასახელდა. მაშასადამე, „ობიექტური თეორიის“ მომხრეები მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის დროს, ერთი მხრივ, „ობიექტური თეორიების“ („ფორმალურ-ობიექტური თეორია“ და „კონკრეტული საფრთხის თეორია“) საფუძველზე, ხოლო, მეორე მხრივ, „შერეული თეორიებისა“ და „თანამედროვე თეორიებისათვის“ დამახასიათებელი კრიტერიუმებით ცდილობენ საკითხის წარმატებით გადაწყვეტას. ამდენად, „ობიექტური თეორიის“ მიმდევრები ირიბად აღიარებენ „შერეული თეორიების“ მნიშვნელობას აღნიშნული პრობლემის მოგვარების საქმეში.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში უპირატესობა **„შერეულ თეორიებს“** უნდა მიენიჭოს, ვინაიდან იგი შედარებით კარგად მიჯნავს მომზადებასა და მცდელობას, უზრუნველყოფს უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთებას და, შესაბამისად, უარს ამბობს ყოველგვარი აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ „ობიექტური“, ან

728 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 126.

729 ფორმალურ-ობიექტური თეორიის შესახებ, იხილეთ კლასიკური თეორიების პარაგრაფში.

730 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 40-41.

731 მაგალითად, „თანამედროვე თეორიებიდან“ იხილეთ „როქსინის თეორია“.

მხოლოდ „სუბიექტური თეორიები" ვერ უზრუნველყოფს მცდელობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას.[732]

„შერეული თეორია" გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში იღებს როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ ფაქტორებს. ქმედების მცდელობად შეფასების დროს „შერეული თეორიის" მიხედვით, დგინდება საფრთხის არსებობა. თუმცა ამ თეორიის თანახმად, ქმედების მცდელობად შეფასებისათვის ასევე აუცილებელია სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინება, რომელშიც იგულისხმება დამნაშავის წარმოდგენა ქმედების ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მაგალითად, როდესაც პიროვნება სხვისი სახლის სახურავზე ადის და თუნუქის ფურცელს ხსნის იმ მიზნით, რომ მეორე დღეს მან, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მოახერხოს სახლში შეღწევა და სხვისი ნივთების დაუფლება, ჩადის არა ქურდობის მცდელობას, არამედ ქურდობის მომზადებას. მაშასადამე, დამნაშავის წარმოდგენით იგი ჯერ კიდევ არ ახორციელებს ქურდობის მცდელობას. საკითხის ასე გადაწყვეტა ეფუძნება როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ ფაქტორებს. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნება იმის თქმა, რომ სუბიექტური მომენტი განსაზღვრავს ობიექტურ მომენტს და აფუძნებს არა კონკრეტულ, არამედ აბსტრაქტულ საფრთხეს, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს მომზადების აუცილებელ მატერიალურ ნიშანს.

„ობიექტური თეორიის" მიერ ***კონკრეტული საფრთხის კრიტერიუმის*** დახმარებით შეუძლებელია უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთება. ამ შეხედულების მიხედვით, ქმედება, რომელიც გამოიხატება ცარიელი იარაღის დამიზნებაში, დაუსჯელი დარჩება, რადგან ქმედება არ წარმოადგენს კონკრეტული საფრთხის მატარებელს. „ობიექტური თეორიის" სისუსტე გამოიხატება ასევე იმაში, რომ ვინაიდან საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაულის შემადგენლობა უკვე სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნის მომენტიდან დამთავრებულია, ამიტომ ძალზედ რთულია ამ დელიქტებში მცდელობისა და დამთავრების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაიბადება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე უნდა დაისაჯოს დამნაშავე. ნუთუ დასჯადობისათვის საკმარისია დამნაშავის წარმოდგენა?

ამ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენა საკმარისი არ იქნებოდა ქმედების მცდელობად შესაფასებლად, დამნაშავის ქმედებაში რომ არ იყოს იგი გაცხადებული.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის მიერ ობიექტურად გაცხადებული დასაძრახი განზრახი ქმედება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების კონკრეტულ მუქარაში გამოიხატა და სოციალურ-ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯა და ამით დაარღვია ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკური წესრიგი.

დადებითდებული „ფორმულა" გამოსადეგია დანაშაულის მცდელობის, მათ

---

732 იხ. ტურავა (2013), გვ. 314.

შორის, უვარგისი მცდელობის ასათვლელად და, შესაბამისად, დანაშაულის მომზადებისაგან მის გასამიჯნად.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის დროს სასამართლოები განხორციელებული **ქმედების ინტენსივობის** კრიტერიუმს იყენებენ, რომელიც შედეგთან **დროში და სივრცეში** სიახლოვის მომენტით ხასიათდება. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ერთ-ერთი საქმე, რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევის მცდელობის ფაქტს. საქმის ფაბულა ასეთია: მსჯავდებულმა ზ. სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების მიზნით, განიზრახა ციხიდან გაქცევა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ზ.-მ თავის საკანში 4 მეტრი სიგრძის გვირაბი გათხარა. ციხის დასატოვებლად კი საჭირო იყო 8 მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრა, საწარმოო ზონის გადალახვა და ამის შემდეგ, 200 მეტრი მანძილის გავლა. ზ.-ს მიერ გათხრილი გვირაბი ციხის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს და დანაშაულებრივი ფაქტი აღკვეთეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზ.-ს ქმედება თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევის მომზადებად შეაფასა და მსჯავრდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დააკისრა. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზ.-ს ქმედებაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ პირობების განზრახ შექმნას და არა სსკ-ის 379-ე მუხლით გათალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყებას. საპირისპირო პოზიცია ჰქონდა პროკურორს. იგი ამტკიცებდა, რომ ზ.-ს ქმედება დანაშაულის მცდელობას წარმოადგენდა, რადგან მისი ქმედება არა თუ პირობებს ჰქმნიდა დანაშაულის ჩასადენად, არამედ უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად. ამის გამო, პროკურორი ითხოვდა განაჩენის გაუქმებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია და განმარტება, რომ მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნისას ყურადღება უნდა მიექცეს **განზრახვის აღსრულების ინტენსივობას**. რადგან ზ.-მ გვირაბის გათხრა დაიწყო, ამით მან განზრახვის ნაწილობრივ რეალიზაცია მოახდინა. მაშასადამე, იგი განხორციელებული **ქმედების ინტენსივობით** გასცდა მომზადების სტადიას და დანაშაულის მცდელობის სტადიაზე გადავიდა, რითაც მან დაუმთავრებელი მცდელობის სტადიას მიაღწია. პალატამ განმარტა, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევა დანაშაულის მომზადებად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ქმედება **დროში და სივრცეში** იმდენად არის დაშორებული შედეგთან, რომ მისი მიღწევა ობიექტურად შეუძლებელია, მაგრამ, თუ შედეგის მიღწევა რეალურია, მაშინ დანაშაულის მცდელობას ექნება ადგილი.[733]

ასევე, პრობლემატურია დანაშაულის **მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის** ერთმანეთისაგან გამიჯვნა სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში. „დანაშაულის დამთავრების მომენტი დამოკიდებულია

733 იხ. *2002 წლის 25 ნოემბრის განჩინება*, კრებულში: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი" (2010), გვ. 125-126.

იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი სისხლის სამართლის კანონში ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობა... ამა თუ იმ მოქმედების აღიარება მცდელობად თუ დამთავრებულ მოქმედებად... დამოკიდებულია ამგვარი დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე... ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული ცალკეული დანაშაულის თავისებურებათა მხედველობაში მიღებით".[734] მაგალითად, სისხლის სამართლის დოგმატიკაში სადავოა მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის გამიჯვნა *გაუპატიურების* დროს. სისხლის სამართლის ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ გაუპატიურება დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც *დამნაშავე დაიწყებს სქესობრივი კავშირის დამყარებას* დაზარალებულთან. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს მიიყვანს თუ არა ბოლომდე სქესობრივ აქტს. ამდენად, გაუპატიურება იურიდიულად დამთავრებულია სქესობრივი აქტის დაწყების მომენტიდან.[735] ამ შეფასებას არ ეთანხმებიან სხვა მეცნიერები, რადგან თვლიან, რომ, თუკი გაუპატიურება სქესობრივი აქტის დაწყების მომენტიდან დამთავრებულ დანაშაულად იქნება მიჩნეული, მაშინ საკმაოდ გართულდება მცდელობისა და დამთავრებული დანაშუალის გამიჯვნა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის დასაბუთება.[736]

მას შემდეგ, რაც დამნაშავე დაიწყებს გაუპატიურების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშნის განხორციელებას, ვთქვათ, ძალადობის მუქარას, იმ მომენტიდან ადგილი ექნება მცდელობის სტადიას, მაგრამ, როგორც კი დამნაშავეს და დაზარალებულს შორის ფიზიკური კავშირი დაიწყება (იგულისხმება სასქესო ორგანოების დაკავშირების მომენტი), გაუპატირუება დამთავრებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ობიექტი, რომლის დაცვასაც ემსახურება კანონი, უკვე დაზიანებულია და ამის შემდგომ, შედეგის დადგომის მოლოდინი, გაუმართლებელი იქნება. ამიტომ სავსებით სწორად მსჯელობენ ის მეცნიერები, რომლებიც სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტიდან გაუპატიურებას დამთავრებულ დანაშაულად თვლიან, რადგან ისინი „სქესობრივი კავშირის დამყარებაში" დამნაშავისა და დაზარალებულის სასქესო ორგანოების უშუალო კავშირის მომენტს გულისხმობენ და არა მხოლოდ მათი სხეულის ფიზიკური შემხებლობის მომენტს.

ანალოგიურ მსჯელობას აქვს ადგილი საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლის ირგვლივ. მეცნიერთა ნაწილი სსკ-ის 140-ე მუხლს დამთავრებულ დანაშაულად მიიჩნევს მაშინ, როგორც კი დამნაშავე 16 წლის ასაკს მიუღწეველთან დაიწყებს ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს.[737] ასეთი შეფასება ნაწილი მეცნიერებისათვის მიუღებელია, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს კანონმდებლის აზრს ენინააღმდეგება, რადგან სსკ-ის 140-ე მუხლში პირდაპირ არის საუბარი ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირზე 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. ეს იმას გულისხმობს, რომ სქესობრივი კაეშირი დაწყებულიც არის და დამთავრებულიც.[738]

---

734 *წერეთელი* (1961), გვ. 131.
735 იხ. *თოდუა, კერძო ნაწილი, ტომი I* (2011), გვ. 171.
736 იხ. *გამყრელიძე*, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (2008), გვ. 34.
737 იხ. *თოდუა, კერძო ნაწილი, ტომი I* (2011), გვ. 189.
738 იხ. *გამყრელიძე*, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (2008), გვ. 70.

დასახელებულ მეცნიერებს მხედველობიდან რჩებათ ტერმინის „სქესობრივი კავშირი" მნიშვნელობა. რა არის „სქესობრივი კავშირი", რას ნიშნავს „სქესობრივი კავშირის" დამყარება ანდა „სქესობრივი კავშირის" დაწყება? ვინაიდან დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში დამთავრებული სახით არის გადმოცემული, ამიტომ იგულისხმება, რომ სიტყვები „სქესობრივი კავშირი" უკვე დამთავრებულ დანაშაულს აყალიბებს. „სქესობრივი კავშირი" ეს არის პროცესი, რომელიც გამოიხატება პარტნიორებს შორის სასქესო ორგანოთა დაკავშირებაში და საკმარისი არ არის მხოლოდ მათი ზედაპირული შეხება. მაშასადამე, როგორც კი ასეთს ექნება ადგილი, იურიდიულად დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება, თუმცა ბიოლოგიურად, ანუ ფაქტობრივად სქესობრივი კავშირი, შესაძლებელია, გარკვეული ხანი გაგრძელდეს, მაგრამ ეს პროცესი დანაშაულის იურიდიული დამთავრებისთვის ირელევანტურია. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ დანაშაული დამთავრებულია, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ მიუღწევია დასრულების ეტაპისათვის, რა დროსაც აღმოცენდება აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების საკითხი.[739]

დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული სასამართლოს მიერ ამა თუ იმ ქმედებაში მცდელობის საკითხის არასწორად გადაწყვეტა, რომლის საფუძველზე ქმედების დამთავრებულ დანაშაულად შეფასება ხდება. მაგალითად, ზოგჯერ სასამართლო **ძარცვის** შემთხვევებს (სსკ-ის 178-ე მუხლი) **გამოძალვად** (სსკ-ის 181-ე მუხლი) აკვალიფიცირებს. ასე შეაფასა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულ ა. ქმედება, რომელიც გამოიხატა შემდეგში: ა. შევიდა სოფლის მაღაზიაში და გამყიდველ დ.-ს მოსთხოვა ფული. უარის მიღების შემდეგ, ა.-მ აიღო მძიმე საგანი, ისროლა მაცივრისაკენ და დაემუქრა გამყიდველს, რომ დაამტვრევდა მაღაზიაში ყველაფერს, თუ ეს უკანასკნელი არ მისცემდა ფულს. დ. შეეშინდა მუქარის და მაშინვე გადასცა ა.-ს 180 ლარი.

პალატამ აღნიშნული ქმედება გამოძალვად შეაფასა და მიუთითა, რომ ძარცვის დროს ძალადობა მიმართული უნდა იყოს პიროვნებაზე და არა მის ქონებაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების მოთხოვნას თან ერთვის ნივთის დაზიანების ან განადგურების მუქარა, სახეზეა გამოძალვა (სსკ-ის 181-ე მუხლი).[740]

მართალია, აქ დამთავრებულ დანაშაულებზეა საუბარი, მაგრამ ის პრობლემები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში დამთავრებული დანაშაულის კვალიფიკაციის დროს წარმოიშობა, აუცილებლად დაუმთავრებელ დანაშაულებსაც შეეხება. პრობლემა უფრო ნათლად გამოიკვეთება მაშინ, თუ კი ზემოთ დასახელებულ მაგალითში ფაბულა შეიცვლება: ვთქვათ, პოლიციამ დააკავა ა. ვიდრე ეს უკანასკნელი მოთხოვნილ თანხას მიიღებდა. მაშინ, როგორ

---

739 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ გოთუას დისერტაცია: გოთუა (1994), გვ. 8-11.

740 იხ. *2008 წლის 11 აპრილის განჩინება*, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, №12 (2008), გვ. 86-88.

შეაფასებდა სასამართლო დამნაშავის ქმედებას? თუ ქმედება სასამართლოს ზემოაღნიშნული კავლიფიკაციის მიხედვით შეფასდება, აღმოჩნდება, რომ ა. პასუხი უნდა აგოს არა ძარცვის მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლები), არამედ დამთავრებული დანაშაულისათვის, კერძოდ, გამოძალვისათვის (სსკ-ის 181-ე მუხლი). მაშასადამე, გამოდის, რომ სასამართლო უფრო მკაცრად შეაფასებდა ა.-ს ქმედებას, ვიდრე ამას რეალურად ექნებოდა ადგილი, რაც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპის მოთხოვნებს. სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკას ამყარებს თავად კანონმდებლის ისტორიული ნება, რომელიც მას გამოძალვის შემადგენლობაში აქვს გადმოცემული, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლში კანონმდებლი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავის ძალადობის გამოყენების მუქარა დროში არ ემთხვევა ქონების დაუფლებას. „ძარცვისა და ყაჩაღობისაგან განსხვავებით, როდესაც ძალადობის გამოყენების მუქარა ქონების დაუფლებასთან ერთად რეალიზდება, გამოძალვის დროს ეს მუქარა მომავლისკენაა მიმართული. ამიტომ, ქონების დაუფლებაც მაშინვე კი არ ხდება, როგორც ძარცვისა და ყაჩაღობის დროს, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება სხვისი ნივთის განადგურების ან დაზიანების მუქარას, იგი შეიძლება იმწუთიერი ზიანის მიყენებასაც გულისხმობდეს".[741]

მაშასადამე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არასწორი კვალიფიკაცია, შესაძლებელია, დანაშაულის მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის არასწორი გამიჯვნის მიზეზი გახდეს.

§4. დანაშაულის მცდელობის დაწყების ასათვლელად გამოყენებული კრიტერიუმები გერმანულ სისხლის სამართალში

4. 1. მცდელობის დაწყების თავისებურებანი დაუმთავრებელი მცდელობის დროს

დანაშაულის მცდელობის ობიექტური ნიშანი მოითხოვს დამნაშავის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო შედგომას. „უშუალო შედგომა" კი არის ისეთი საქმიანობა, რომელიც ყოველგვარი შუალედური აქტის გარეშე, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში გადადის.[742]

რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმულ სხვა თვალსაზრისს, როგორიც არის, მაგალითად, „ნორმის შეუსაბამო საქმიანობა", „ქმედების შემადგენლობის ადეკვატური საფრთხე", „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი", მცდელობის ასათვლელად გადამწყვეტ კრიტერიუმს ვერ აყალიბებს, რადგან მათ, შესაძლებელია, მოსამზადებელ ქმედებებშიც ჰქონდეთ ადგილი.[743]

სწორედ ამიტომ, გადამწყვეტ კრიტერიუმს, რომელიც იდეაში მცდელო-

741 *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 387.
742 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 516.
743 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 361.

ბის ყველა თეორიასთან კავშირშია, **„ქმედების შემადგენლობასთან სიახლოვის"** კრიტერიუმი წარმოადგენს. იგი, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს შეესაბამება. ამის მიხედვით, ბოროტი აზრები და გეგმები დასჯადობისათვის არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება. ამ თვალსაზრისით, **დანაშაულის მცდელობა დასჯადობის გაფართოების საფუძველია**, რაც იმას გულისხმობს, რომ მას დასჯადობის საზღვრები განსაზღვრული დელიქტის დროს დანაშაულის შემადგენლობის სიახლოვეს მყოფ ქმედებებზე გადააქვს. ამ კონცეფციამ კანონში ჰპოვა ასახვა, კერძოდ, გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში ჩაიწერა, რომ დამნაშავე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ უნდა შეუდგეს. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობაზე მითითება და დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების „უშუალო შედგომა" აჩვენებს, რომ კანონმდებელმა მცდელობის დასჯადობის საზღვრები გააფართოვა, ხოლო რაც შეეხება „ქმედების შემადგენლობასთან სიახლოვის" კრიტერიუმს, იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკისათვის სახელმძღვანელო დებულებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამიტომ, რაც უფრო საშიშია პირის ქმედება, მით უფრო ადრეულ ეტაპზე შეიძლება დანაშაულის მცდელობაზე საუბარი.[744]

რაც შეეხება იმ შეხედულებებს, რომლებიც ზემოთ თეორიების ანალიზის დროს გამოვლინდა, ან საერთოდ ვერ ხსნის მცდელობის ობიექტური შემადგენლობის, ანუ მცდელობის დაწყების საკითხს, ან მხოლოდ ნანილობრივ განსაზღვრავს მას. მაგალითად, **„წმინდა ფორმალურ-ობიექტური** თეორია" მცდელობის თანამედროვე განმარტებას ვეღარ პასუხობს, რადგან გერმანიის მოქმედი კანონის თანახმად, მცდელობის დაწყების ასათვლელად არა დანაშაულის შემადგენლობის ნანილობრივი განხორციელება, არამედ მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შედგომა არის აუცილებელი.[745]

აზრი, რომლის მიხედვით, ფორმალურ-ნატურალისტურ გაგებაზე დაყრდნობით გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფი დანაშაულის შემადგენლობის ნანილობრივ განხორციელებას გულისხმობს[746] და, შესაბამისად, მცდელობის დასაწყებად დანაშაულის შემადგენლობის **„ნაწილობრივი განხორციელების"** კრიტერიუმი გამოიყენება, **ერთი მხრივ**, მისაღებია ერთაქტიან დელიქტებში, ასეთია, მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემა (სსკ-ის 154-ე პარაგრაფი). აღნიშნული დანაშაულის დროს, მცდელობა იწყება მაშინ, როდესაც პირი ფიცის დადებას დაიწყებს და არა მაშინ, როდესაც იგი ყალბი ჩვენების მიცემას შეუდგება. გერმანიის სსკ-ის 154-ე პარაგრაფი წარმოადგენს კვალიფიციურ შემთხვევას სსკ-ის 153-ე პარაგრაფისათვის, რომელშიც საუბარია ყალბი ჩვენების მიცემაზე ფიცის დადების გარეშე, ამიტომ ყალბი ჩვენება ცრუ ჩვენების (სსკ-ის 154-ე პარაგრაფი) შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენს.

მეორე მხრივ, ეს კრიტერიუმი ყველა შემთხვევაში მცდელობის ასათვლელად გამოყენებული რომ იყოს, მაშინ, ქურდობის დროს ნივთის დაუფლების

744 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 361-362.
745 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 363.
746 იხ. *Rey- Sanfiz* (2006), გვ. 118.

მომენტში იარაღის თან ქონა ყაჩაღობის მცდელობად უნდა შეფასებულიყო. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, რადგან გერმანიის სსკ-ის 244-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი (სსკ-ის 244-ე პარაგრაფში საუბარია ქურდობაზე, როდესაც ამსრულებელს ან თანაამსრულებელს ქურდობის ჩადენის მომენტში თან აქვს ცეცხლსასროლი იარაღი, ან სხვა საშიში საშუალება) დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ამდენად, **მრავალაქტიან დელიქტებში** „ქმედების ნანილობრივი განხორციელების" კრიტერიუმი არ არის გამოსადეგი.[747]

მოცემული მსჯელობა იმაზე კი არ მიუთითებს, რომ საერთოდ უარი უნდა ითქვას „ქმედების ნანილობრივ განხორციელების" კრიტერიუმზე, არამედ იგი „დროში კავშირისა" და „პიროვნების დაცულ სფეროში შეჭრის" კრიტერიუმებით უნდა დაკონკრეტდეს.[748]

დღეისათვის გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვით, ქმედების მაკვალიფიცირებელი და დამამძიმებელი ნიშნები მცდელობის დასაბუთებისათვის მხოლოდ მაშინ არის საკმარისი, როდესაც მათთან ერთად ძირითადი შემადგენლობის განხორციელების დაწყებას ექნება ადგილი.[749]

მაშასადამე, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შედგომა (*ansetzen*) გულისხმობს არა მხოლოდ მისი რომელიმე ნიშნის განხორციელებას, არამედ მთელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის ნანილობრივ განხორციელებით მცდელობა დასაშვებია, მაგრამ, ასეთ ცალკეულ შემთხვევებს როდის აქვს ადგილი და როდის არა, დამოკიდებული არ უნდა იყოს ქმედების ნანილობრივი განხორციელების წესზე, არამედ მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს გამოჯვნის სხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით.[750]

რაც შეეხება შეხედულებას, რომლის მიხედვით, მიზანშეწონილია, მცდელობა სისხლის სამართლის კერძო ნანილში მოცემული დანაშაულის შემადგენლობების განმარტებაზე დაყრდნობით განისაზღვროს, ყოველთვის არ არის შესაძლებელი, კერძოდ იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობები აღწერილობით ხასიათს არ ატარებს. მაგალითად, განზრახ მკვლელობის დელიქტები.[751]

ადრეული სასამართლო პრაქტიკა მცდელობის დაწყების განსაზღვრისა და მისი მომზადებისაგან გამოჯვნისათვის **„ფრანკის ფორმულას"** და **„უშუალო საფრთხის"** ცნებას ხშირად კომბინირებულად იყენებდა,[752] ხოლო თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში ისეთი კრიტერიუმები გამოიყენება, როგორიც არის **„დროში და სივრცეში სიახლოვის კავშირი"**. ამას ადასტურებს გერმანიის მინის და ფედერალური სასამართლოების მიერ განხილული სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებიც. მაგალითად, მინის სასამართლომ განიხილა ქმედების

747 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 365.
748 იხ. *Münchener Kommentar* (2011), გვ. 1020.
749 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 363-366.
750 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 368.
751 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 363-364.
752 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 370.

ყაჩაღობის მცდელობად კვალიფიკაციის საქმე, რომელიც ფედერალურმა სასამართლომ ძალაში დატოვა. საქმე ეხება შემდეგს: დამნაშავეებმა გადაწყვიტეს ბენზინგასამართი სადგურის დაყაჩაღება. ამ მიზნით ისინი მივიდნენ სადგურთან, რათა თავიანთი განზრახვა სისრულეში მოეყვანათ, თუმცა იქაურობა დაკეტილი დახვდათ, ამის შემდეგ, ისინი ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მდებარე მოიჯარის საცხოვრებელ სახლთან მივიდნენ იმ მიზნით, რომ აეძულებინათ იგი გაეღო ბენზინგასამართი სადგური. ვიდრე დამნაშავეები სახლის კარებთან მივიდოდნენ, მათ სახეზე ჩამოიფარეს ნილბები. ერთ-ერთმა დამნაშავემ ამოიღო იარაღი და კარებზე დააკაკუნა. მათ უნდოდათ, რომ ნებისმიერი, ვინც კარებს გააღებდა, იარაღის მუქარით აეძულებინა ბენზინგასამართი სადგურიდან ფული გადაეცა მათთვის. მოლოდინის მიუხედავად, შენობიდან არავინ არ გამოვიდა, მხოლოდ მოპირდაპირე სახლის ფანჯარასთან შენიშნეს ქალი, რომელიც გარეთ იყურებოდა. დამნაშავეებმა იფიქრეს, რომ ქალი მათ შეამჩნევდა, ამიტომ იქაურობას გასცილდნენ.[753]

გერმანული სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა აღიარებს, რომ მოცემულ მაგალითში დამნაშავეთა მიერ ადგილი ჰქონდა ყაჩაღობის მცდელობას, მიუხედავად იმისა, რომ ავტოგასამართ-სადგურზე და მის მიმდებარე სახლში არავინ არ იმყოფებოდა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იყო მიზნის მიღწევა. კარებზე დაკაკუნებით დროში და სივრცეში ისეთი ახლო კავშირი შედგა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებასთან, რომ დამნაშავეთა ქმედება მხოლოდ დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასებულიყო და არა უბრალოდ დანაშაულის მომზადებად.[754] მაშასადამე, დასახელებულ მაგალითში დამნაშავეებმა სუბიექტურად „ახლა იწყება" ზღვარს უკვე გადააბიჯეს და ობიექტურად დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება დაიწყეს.[755]

სხვა კრიტერიუმებთან ერთად, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა „ნაწილობრივ განხორციელებული ქმედების თეორიით", იგივე **შუა აქტის თეორიითაც** სარგებლობს.[756] სწორედ ამიტომ, ფედერალურმა სასამართლომ ძალაში არ დატოვა მიწის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ამ უკანასკნელმა ქურდობის მცდელობად შეაფასა პირის ქმედება მაშინ, როდესაც დამნაშავემ სამი ავტომანქანის გასაღების ასლი დაამზადა. ფედერალურმა სასამართლომ მიუთითა იმაზე, რომ „ის, ვინც ქურდობის მიზნით ავტომანქანის გასაღების ასლს ამზადებს, იგი უშუალოდ ქურდობის შემადგენლობის განხორციელებას ჯერ კიდევ არ შედგომია."[757] ამის შესაბამისად, მცდელობის სტადია მოიცავს ქმედებებს, რომლებმაც უწყვეტ რეჟიმში დანაშაულის შემადგენლობა უშუალოდ უნდა განახორციელონ ან უშუალოდ ***დროში და სივრცეში*** უნდა იყვნენ მასთან დაკავშირებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავემ სუბიექტურად „ახლა იწყება" ზღვარს გადააბიჯა და ობიექტურად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებას შეუდგა. სწორედ ამ კრიტერიუმების გამ-

753 იხ.: *Meyer*, JuS (1977), გვ. 19; *BGHSt* 26, გვ. 201-202.
754 იხ.: *Meyer*, JuS (1977), გვ. 22; *BGHSt* 26, გვ. 202-203.
755 იხ. *BGHSt* 26, გვ. 203-204.
756 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 370.
757 *BGHSt* 28, გვ. 162.

ოყენების საფუძველზე, დასახელებულ მაგალითში პირის ქმედების შეფასება ქურდობის მცდელობად, გამართლებული არ არის.[758]

მაშასადამე, დადებითი მომენტების მიუხედავად, „ნაწილობრივ განხორციელებული ქმედების თეორიას" აქვს ასევე სუსტი მხარეები, კერძოდ, იგი საჭიროებს კონკრეტიზაციას[759] ისეთი დამხმარე ცნებების მეშვეობით, როგორიც არის **„დროში და სივრცეში ახლო კავშირი"** და **„დაზარალებულის დაცულ პირად სფეროზე ზემოქმედება".**[760]

„როქსინის თეორიაზე" მსჯელობისას უკვე აღინიშნა, რომ მხოლოდ ერთი კრიტერიუმის არსებობა მცდელობის სტადიას ვერ აფუძნებს, არამედ აუცილებელია, რომ ორივე კრიტერიუმი ერთდროულად იყოს სახეზე. მაგალითად, როდესაც პირი ნივთების მოპარვის განზრახვით მანქანასთან დგას, სახეზეა დროში კავშირი, მაგრამ პიროვნება მცდელობის სტადიაზე ჯერ კიდევ არ იმყოფება, რადგან დაზარალებულის დაცულ პირად სფეროზე ზემოქმედებას ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი.[761] ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულის სფეროში მოიაზრება უშუალოდ ის სიკეთეები, რომელიც, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მას გააჩნია. მაგალითად, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება. თუ კი დამნაშავე სარდაფის ფანჯრიდან ცდილობს დაზარალებულის ბინაში შეღწევას, იმ მიზნით, რომ ჯერ სახლის მეპატრონე გააუპატიუროს, ხოლო შემდეგ ფარულად სახლიდან ძვირფასეულობა წამოიღოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, მისი ქმედება შეფასდება, როგორც ქურდობის მცდელობა, რადგან მან „დაამყარა კავშირი მსხვერპლის საკუთრების სფეროსთან. პირიქით, გაუპატიურების მცდელობა ჯერ კიდევ არ არის სახეზე, რადგან ქალის სხეულებრივ სფეროს... ჯერ კიდევ არ შეხებია."[762] რასაკვირველია, დაზარალებულის სფერო მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ ასევე საყოველთაო, საჯაროსამართლებრივ სიკეთეებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **დროში კავშირი უნდა არსებობდეს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებასთან და არ არის აუცილებელი, რომ ასეთი კავშირი არსებობდეს შედეგთან.** მაგალითად, ის, ვინც რკინის კარადის გახსნას ელექტრო საჭრელი აპარატით შეუდგება, სახეზეა ქურდობის მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ მის გაჭრას რამდენიმე საათიანი მუშაობა სჭირდება.[763]

მაშასადამე, დამნაშავის „ქმედებები მოსამზადებელ სტადიას გადააბიჯებს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს განახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი მხედველობაში იღებს ქმედებას, რომელიც თავისი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობის შესრულების წინა ეტაპზე იმყოფება და დანაშაულის შემადგენლობაში უშუალოდ თავსდება. ამიტომ, დანაშაულის მცდელობის სტადია მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ნორმალური სვლით უშუალოდ დანა-

758 *BGHSt* 28, გვ. 163.
759 იხ. *Rudophi, Günter, Horn, Samson*, §22 (2009) გვ.15.
760 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 374.
761 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 375.
762 *Roxin*, AT (2003), გვ. 376.
763 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 376.

შაულის შემადგენლობის განხორციელებისაკენ მიემართება ანდა მცდელობასთან უშუალოდ დროში და სივრცეში არის დაკავშირებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე სუბიექტურად „ახლა იწყება" ზღვარს გადააბიჯებს და ობიექტურად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებას დაიწყებს, ისე რომ ქმედება „შუა აქტის" გარეშე დანაშაულის შემადგენლობის შესრულებაში გადადის."[764] თუმცა, აქ პრობლემა გახლავთ ის, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისაკენ ნორმალური სვლის პროცესს, შესაძლებელია, ასევე დანაშაულის მოსამზადებელ ქმედებებშიც ჰქონდეს ადგილი, ამიტომ, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებასთან დროში და სივრცეში ***უშუალო კავშირის*** მომენტი თუ გამოარჩევს დანაშაულის მცდელობას დანაშაულის მომზადებისაგან. ასევე, ძალზედ პრობლემატურია სუბიექტური კრიტერიუმით ხელმძღვანელობა, როდესაც დამნაშავე თავის თავში გარკვეულ ზღვარს გადააბიჯებს და იტყვის „ახლა იწყება ეს", ვინაიდან შესაძლებელია დამნაშავემ ეს მოსამზადებელ სტადიაზეც თქვას. მაგალითად, როდესაც დამნაშავე განზრახ მკვლელობის მიზნით, შხამის დამზადებას დაიწყებს, მან შეიძლება თქვას: „ახლა იწყება", მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაზე იმყოფება. ამიტომ, უმეტეს შემთხვევებში ასეთი კრიტერიუმი სიზუსტით არ გამოირჩევა.[765]

საფრთხის, როგორც დანაშაულის მომზადებისაგან დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის კრიტერიუმის სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ იგი „ქმედების განხორციელების შედგომასთან" შესაბამისობაში არ მოდის, რადგან, იმის მიუხედავად, რომ მოსამზადებელი ქმედებები გარკვეული საფრთხის შემცველია, ქმედების განხორციელების პროცესს ამ სტადიაზე არა აქვს ადგილი. გარდა ამისა, საფრთხე, როგორც განმსაზღვრელი ნიშანი აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის შემცველ დელიქტებში გამოიყენება და ამიტომ ზოგჯერ უკვე ქმედების დამთავრების მომენტსაც გამოხატავს.

საზღვარი მომზადებასა და მცდელობას შორის უნდა დადგინდეს იმის მიხედვით, თუ რა მოიმოქმედა დამნაშავემ. მაშასადამე, მცდელობის დაწყებას ადგილი აქვს არა მარტო მაშინ, როდესაც დამნაშავემ დანაშაულის შემადგენლობას განახორციელებს, არამედ ასევე მაშინ, როდესაც, დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, ადილი აქვს ისეთ ქმედებებს, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას აფართოვებს.[766] ბოლო ფრაზის შინაარსის უკეთ გასაგებად, გამოდგება ქურდობის მცდელობის მაგალითი, როდესაც ა. სახლის კედელზე კიბეს მიადგამს.

764 *BGHSt,* NJW (1993), გვ. 2125; *BGHSt*, NStZ (2003), გვ. 150.
765 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 371-372.
766 იხ. *Krey, Esser*, AT (2012), გვ. 507.

4. 2. მცდელობის დაწყების საკითხის ახსნა შემთხვევათა ჯგუფების საფუძველზე

4. 2. 1. ობიექტთან მიახლოების შემთხვევა

დამნაშავე, რომელიც მომარჯვებული იარაღით მსხვერპლს უახლოვდება, მკვლელობის მცდელობას ჩადის მაშინ, როდესაც მას რამდენიმე ნაბიჯი აქვს გადასადგმელი, რომ შემდგომ დაუმიზნოს მსხვერპლს. ამასთან, დამნაშავეს გადაწყვეტილი აქვს, რომ მაშინვე ესროლოს მსხვერპლს. ამ შემთხვევაში სახეზეა ახლო დროითი კავშირი და პიროვნების სფეროში შეჭრაც საფრთხით დგინდება. ამ თვალსაზრისით, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქურდობის მცდელობას ექნება ადგილი, როგორც კი დამნაშავე სახლის კედელზე კიბეს მიადგამს, რათა ღია ფანჯრიდან შევიდეს. ყველა საჭირო „შუა ნაბიჯები" მოცემულ შემთხვევაში უმნიშვნელო ხასიათს ატარებს. პირიქით, დანაშაულის მომზადებას ექნება ადგილი მაშინ, როდესაც დამნაშავე, მართალია, კედელზე კიბეს მიადგამს, მაგრამ სახლში შეღწევა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ აქვს გადაწყვეტილი.[767]

დანაშაულის მცდელობის ობიექტური კრიტერიუმის ზუსტად დასადგენად სახელმძღვანელო ფორმულების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად სადავო ხდება. ამის საილუსტრაციოდ, შესაძლებელია, სასამართლო პრაქტიკიდან კონკრეტული მაგალითის მოტანა: ა. ავტომანქანა ბანკთან გააჩერა, ძრავის გამოურთავად მანქანიდან გადავიდა და ბანკისკენ გაეშურა. მას განზრახული ჰქონდა ბანკში შესვლა და იარაღის მუქარით ფულისა და ძვირფასეულობის ნამოღება. რადგან ბანკის მოსაცდელ დარბაზში ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, ა. იძულებული გახდა დალოდებოდა ხალხის ნაკადის შემცირებას, რათა ამით ხელსაყრელი მომენტი შექმნილიყო და დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა დაეწყო. მაგრამ, რადგან მოსაცდელში ხალხის ნაკადის დინება არ შეწყდა, დამნაშავეს შეეშინდა, რომ ხალხს არ შეეპყრო იგი, როგორც კი ქმედების შესრულებას შეუდგებოდა. ამ სიტუაციაში მან დაინახა, რომ არავითარი შანსი არ ჰქონდა შედეგის მისაღწევად, ამიტომ დაუყოვნებლივ დატოვა ბანკის შენობა.

მოცემულ მაგალითში სასამართლომ ა.-ს ქმედება გერმანიის სსკ-ის 22-ე, 255-ე პარაგრაფების საფუძველზე დააკვალიფიცირა, როგორც ჭყაჩაღური გამოძალვის მცდელობა ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და მიუთითა, რომ ქმედება დანაშაულის მომზადებიდან მცდელობის საზღვარს არა მხოლოდ მაშინ გადააბიჯებს, როდესაც დამნაშავე დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანს ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, ადგილი აქვს ისეთ ქმედებას, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის საზღვრებს აფართოებს. დანაშაულის მცდელობის დროს დამნაშავე ისეთ ქმედებას ჩადის, რომელიც უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისაკენ ნორმალური სვლით მიედინება ან მასთან უშუალოდ დროში და სივრცეშია დაკავშირებული. მაშასადამე,

767 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 377.

სასამართლოს აზრით, დასახელებული კრიტერიუმები სახეზე იყო ყაჩაღობის მაგალითში, რადგან შეიარაღებულმა დამნაშავემ სუბიექტურად „ახლა იწყება" ზღვარს გადააბიჯა და ობიექტურად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება დაიწყო, როგორც კი იგი ძრავა ჩართული მანქანიდან გადავიდა და ბანკის შენობაში შევიდა. ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტსაც არ ჰქონია ადგილი.[768]

სასამართლოს ასეთი მსჯელობა გაკრიტიკებულია სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ვინაიდან მოცემულ მაგალითში დროში სიახლოვე სახეზე არ არის, ვიდრე ქმედების ნორმალური მსვლელობის პროცესს ხალხი ხელს უშლის. ამასთან, სამართლებრივი სიკეთის დაცვის სფეროში შეჭრასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ვიდრე დამნაშავე ბანკის მოსაცდელში მყოფი ხალხისათვის შეუმჩნეველი რჩება.[769]

გერმანიის ერთ-ერთი მინის სასამართლომ მკვლელობის მცდელობად არ შეაფასა ქმედება, რადგან იგი ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებდა მცდელობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. სასამართლოს მითითებით, მკვლელობის მცდელობა სახეზე არ არის მაშინ, როდესაც დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ დანაშაულის ადგილისკენ მიმავალ გზაზე პატარა წინააღმდეგობა აქვს გადასალახავი. საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ა. სურდა თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე მას შემდეგ, რაც იგი მის ყოფილ მეუღლეს დ.-ს მოკლავდა. ა. ტელეფონით დარეკა დ.-ს მშობლების სახლში, სადაც დ.-ც იმყოფებოდა და დაემუქრა, რომ იმ დღეს ყველა მოკვდებოდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, დამნაშავემ კვლავ დარეკა დ.-ს მშობლებთან და შეატყობინა, რომ იგი მათ დახოცავდა. ამის შემდეგ, შეიარაღებული ა. მთვრალ მდგომარეობაში მიუიდა ცოლის სახლთან (იარაღი ჯიბეში ედო), შენობის სადარბაზოს კარზე რამდენჯერმე დააჭირა თითი ღილაკს და დაელოდა კარების გაღებას, მაგრამ კარები არავინ არ გაუღო. დამნაშავე პოლიციამ დააკავა.

მოცემულ შემთხვევაში სახლის კარზე განთავსებულ ზარის ღილაკზე თითის დაჭერა არ წარმოადგენს ისეთ ქმედებას, რომელიც „შუა აქტის" გარეშე, მკვლელობის შემადგენლობაში მოიაზრება. ა. შეცნობილი ჰქონდა, რომ სახლის სადარბაზოდან ბინამდე გარკვეული მანძილი იყო გასავლელი, სადაც მას ასევე უნდა ეზრუნა ბინის კარების გაღებაზე. გარდა ამისა, ვინაიდან ა. იარაღი ჯიბიდან არ ჰქონია ამოღებული და ჯერ კიდევ, გასროლისათვის არ ჰქონია მზად, მეტყველებს იმაზე, რომ დამნაშავეს მაშინვე არ ჰქონია გადანყვეტილი მეუღლისათვის სროლა.[770]

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს არ აქვს შეცნობილი ის წინააღმდეგობები, რომელიც მიზნის მიღწევამდე უნდა გადალახოს, მაშინ, ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, შესაძლებელია, ასეთი ქმედება დანაშაულის მცდელობად შეფასდეს. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მოვლენები დამნაშავის გეგმის მიხედვით არ ხორციელდება. მაგალითად, ზარის მიცემის შემდეგ, დამნაშავისგან მოულოდნელად კარი ავტომატურად გაიღება,

768 იხ. *BGHSt*, GA (1980), გვ. 24-25.
769 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 377.
770 იხ. *BGHSt* StV (1984), გვ. 420.

მაგრამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, დამნაშავემ ჯერ კიდევ რამდენიმე ოთახი უნდა გაიაროს.[771]

4. 2. 2. ჩასაფრების და დალოდების შემთხვევა

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში პრინციპულად აღიარებულია, რომ თუ მსხვერპლის გამოჩენამდე **დამნაშავის წარმოდგენით** რაღაც დრო უნდა გავიდეს, მაშინ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს დანაშაულის მომზადებას, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ისეთი ნიშანი, როგორიც არის „დროში სიახლოვის მომენტი".[772] ამის მიუხედავად, ადრინდელი სასამართლოს გადაწყვეტილება „პილპილის საქმეზე" პირდაპირ მიუთითებდა, რომ ყაჩაღობის მცდელობას მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც დაზარალებული, მოლოდინის მიუხედავად, დანაშაულის შემთხვევის ადგილზე არ გამოჩენილა. მაგალითად, როდესაც დამნაშავემ ყაჩაღობის ჩადენის მიზნით, განიზრახა, რომ, როგორც კი დაზარალებული გამოჩნდებოდა შემთხვევის ადგილზე, მაშინვე პილპილს შეაყრიდა სახეში, რითაც გაიადვილებდა ქონების დაუფლებას. მოლოდინის მიუხედავად, დაზარალებული არ გამოჩნდა.[773]

იმ შემთხვევაში, თუ კი ნიღაბაფარებული და შეიარაღებული **დამნაშავეების წარმოდგენით** კარების ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ მსხვეპლი გამოჩნდება, მაშინ სახეზე იქნება ყაჩაღობის მცდელობა.[774] ე. ი. აქ გადამწყვეტია დამნაშავის წარმოდგენა და არა ობიექტური ვითარება, ამიტომ სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს ყაჩაღობის მცდელობას, მაშინ, როდესაც დამნაშავე კარებზე ზარს აძლევს იმ მიზნით, რომ კარების გაღებისთანავე იგი თავს დაესხას დაზარალებულს.[775] სასამართლო ყაჩაღობის მცდელობად თვლის უკვე ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავე მსხვერპლს ისეთ ადგილზე ჩაუსაფრდება, სადაც მისი გათვლით მსხვერპლმა უნდა გამოიაროს. ზოგიერთ მეცნიერს კი მიაჩნია, რომ ყაჩაღობის მცდელობა ჩასაფრების დროს არ არის სახეზე, ვიდრე დაზარალებული შემთხვევის ადგილს არ მიუახლოვდება და ვიდრე მისთვის უშუალო საფრთხე არ შეიქმნება. პირიქით, ყაჩაღობის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დაზარალებული შემთხვევის ადგილს სინამდვილეში ან დამნაშავის წარმოდგენით მიუახლოვდება.[776]

არასწორად არის მიჩნეული სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, პირის ქმედება ყაჩაღობის მცდელობად შეფასდა მაშინ, როდესაც დამნაშავე, რომელმაც გადაწყვიტა მოლარის დაყაჩაღება და ბანკის გამოსასვლელთან ჩაუსაფრდა მას, დაზარალებულის გამოსვლის მიუხედავად, დამნაშავემ ეს უკანასკნელი ვერ იცნო.[777]

აქედან გამომდინარე, ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების

771 იხ. *Frister*, AT (2011), გვ. 306.
772 იხ. *Roxin*, JUS (1979), გვ. 5.
773 იხ. *BGH*, NJW (1952), გვ. 514.
774 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 381.
775 იხ. *BGH* 39, გვ. 238.
776 იხ. *BGH*, NJW (1976), გვ. 578.
777 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 382.

საქმეში მთავარი მაინც დამნაშავის წარმოდგენაა. ეს მოთხოვნა თავად გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი წარმოდგენა არ არის საკმარისი ქმედების მცდელობად შეფასებისათვის.

4. 2. 3. შემოწმების შემთხვევა

დამნაშავეს განზრახული ჰქონდა ავტომანქანის მოპარვა. ამ მიზნით მან ავტომანქანის წინა თვალი ხელით შეამოწმა, რათა დაედგინა, ჩაკეტილი იყო თუ არა ავტომანქანის საჭე. იმ შემთხვევაში, თუ საჭე თავისუფალი იქნებოდა, დამნაშავე მაშინვე დაეუფლებოდა ავტომანქანას.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ქურდობის მცდელობა, რადგან ერთდროულად ადგილი აქვს ორ აუცილებელ კრიტერიუმს, პიროვნების დაცულ სფეროზე ზემოქმედებასა და დროში სიახლოვის მომენტს. სხვისი ნივთის შემოწმება ნებართვის გარეშე, უკვე პიროვნების სფეროზე უშუალო ზემოქმედებაა, ხოლო რაც შეეხება დროში სიახლოვის მომენტს, გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავეს შემოწმების შემდეგ, გადაწყვეტილი აქვს ავტომანქანის დაუფლება. თუმცა, მოსალოდნელია ისეთი შემთხვევები, სადაც შემოწმების მიუხედავად (პიროვნების სფეროზე ზემოქმედების კრიტერიუმი), სახეზე არ არის დროში სიახლოვის მომენტი. მაგალითად, ბებია ქალი ფეხმძიმე ქალს ამოწმებს და უთანხმდება მას აბორტის გაკეთების ვადაზე. ბუნებრივია, შემოწმება მხოლოდ უბრალო მოსამზადებელი ქმედებაა და სხვა არაფერი, რადგან ამ შემთხვევაში სახეზე არ არის ისეთი კრიტერიუმი, როგორიც არის დროში სიახლოვის მომენტი.[778]

4. 2. 4. წინააღმდეგობის შემცირების შემთხვევა

ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, ხელისშემშლელ ფაქტორებს და სიძნელეებს ამცირებს. მაგალითად, დამნაშავეს დაზარალებულის ეზოდან გაჰყავს მისი ძაღლი, რათა შემდგომ მოიპაროს ნივთები. დამნაშავე დაზარალებულის სფეროში უშუალოდ ზემოქმედებს, როგორც კი სხვის საკუთრებაში შეაღწევს. ამასთან, აუცილებლად დაიბადება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რამდენად აქვს ადგილი დროში სიახლოვის კრიტერიუმს მოცემულ შემთხვევაში? ამ კითხვას შემდეგნაირად უნდა გაეცეს პასუხი: **პირველი**, თუ კი დამნაშავეს ძაღლის ეზოდან გაყვანის შემდეგ, გადაწყვეტილი აქვს ეზოში დაუყოვნებლივ დაბრუნება და ნივთების დაუფლება, მაშინ ადგილი ექნება ქურდობის მცდელობას. **მეორე**, იმ შემთხვევაში, თუ კი დამნაშავე ჯერ ძაღლს მოკლავს, რათა მეორე დღეს ქურდობის მიზნით დაბრკოლების გარეშე მოახერხოს ეზოში შეღწევა, ადგილი ექნება მხოლოდ ქურდობის მომზადებას.[779]

---

778 იხ. *Roxin*, JUS (1979), გვ. 6.

779 იქვე.

4. 2. 5. ერთიანი დელიქტისა და მრავალაქტიანი დელიქტის შემთხვევები

ერთიანი დელიქტის დროს (გერმანიის სსკ-ის 177-ე, 249-ე, 252-ე პარაგრაფები) დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე ქმედების უშუალო განხორციელებას შეუდგება. თუმცა, ზოგადი მოთხოვნაა, რომ ქმედების დაწყება იმავდროულად „დანაშაულის მთელი შემადგენლობის" დაწყებად განიხილებოდეს. ეს არის ზოგადი ხასითის ფორმულირება და ამიტომ აუცილებელია ცალკეული დანაშაულის შემადგენლობების დროს მისი კონკრეტიზაცია. ვინაიდან ქმედების სიმრავლე ერთიან დელიქტს წარმოადგენს, ამიტომ უნდა დადგინდეს, რამდენად შესაძლებელია ქმედების ერთი ნაწილის განხორციელების დაწყება განხილული იყოს დანაშაულის მთელი შემადგენლობის დაწყებად. ეს კავშირი არა მხოლოდ დროით, არამედ დანაშაულის შემადგენლობის უმართლობით განისაზღვრება. მაგალითად, გაუპატიურებისა და ყაჩაღობის მცდელობას ადგილი აქვს ძალადობის გამოყენების დაწყებისთანავე, რადგან, როგორც წესი, ეს ქმედებები სხვა დანარჩენ ქმედებებთან (სქესობრივი კავშირი, დაუფლება) ერთად, ერთიან დანაშაულს წარმოადგენს. მაგრამ, ძალადობა ორივე შემთხვევაში დამნაშავის დანაშაულებრივი გადაწყვეტილებით უნდა იყოს მოცული.[780] მაგალითად, სსკ-ის 252-ე პარაგრაფის შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს ქურდობას იარაღის თან ქონით, მცდელობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც იარაღის გამოყენება მცდელობის სტადიაზე შეწყდება.[781]

მრავალაქტიანი დელიქტისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე ერთი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად რამდენიმე დელიქტის განხორციელებას შეუდგება. ძირითადი განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის მდგომარეობს იმაში, რომ მრავალაქტიანი დელიქტის დროს ყველა აქტი, როგორც უკვე ითქვა, ერთიან დელიქტს, ანუ დანაშაულის ერთ შემადგენლობას ნარმოადგენს, ხოლო მრავალდელიქტიანი დელიქტის შემთხვევაში, დამნაშავე ახორციელებს რამდენიმე დამოუკიდებელ დელიქტს, რომელიც გამიზნულ დანაშაულის შემადგენლობას არ განეკუთვნება. მაგალითად, ა. განიზრახა ბ.-ს ბინიდან სამკაულების მოპარვა. მიზნის მისაღწევად იგი მივიდა ბ.-ს ბინასთან და წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით, ბ.-ს ძაღლს მონამლული ძეხვი დაუგდო. ამის შემდეგ, ა. დროებით გაეცალა იქაურობას და დაელოდა ძაღლის სიკვდილს, რათა შემდგომ შეძლებოდა ბ.-ს ბინის კარების გატეხვა. მაგრამ, როდესაც ა. უკან დაბრუნდა, ნახა, რომ ძაღლს ძეხვი არ ეჭამა, რის გამოც ა.-მ ვეღარ მოახერხა ბ.-ს ბინაში შესვლა. ამ მაგალითში, როდესაც ა.-მ ბ.-ს ძაღლს მონამლული ძეხვი დაუგდო, ამით მან დაიწყო სხვისი ნივთის (იგულისხმება ძაღლის სიკვდილი) განადგურების შემადგენლობის განხორციელება, რომელსაც ითვალისწინებს გერმანიის სსკ-ის 303-ე პარაგრაფი. ხოლო ბინაში შეღწევით ქურდობის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას და, შესაბამისად, ქურდობის მცდელობას მაშინ ექნებოდა ადგილი, როდესაც ა. დაიწყებდა

780 იხ. *Zaczyk* (2010), გვ. 926.
781 იხ. *Fischer* (2012), გვ. 1731.

ბ.-ს სახლის კარების შემტვრევას.[782]

წინააღმდეგობის შემცირების დროს დასახელებულ მაგალითში, როდესაც დამნაშავემ ძაღლი გაიყვანა ეზოდან, ქმედება ქურდობის მცდელობად იმის გამო შეფასდა, რომ ქმედების განხორციელებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი უკვე აღარ არსებობს, მაშინ, როდესაც ძეხვის დაგდების მაგალითში, მცდელობის დასაწყებად ჯერ საამისო პირობები არ შექმნილა.

4. 2. 6. დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილი ქმედებები

გერმანიის ადრეული სასამართლო პრაქტიკა, გაბატონებულ მოძღვრებასთან ერთად, ამტკიცებდა, რომ კვალიფიციურ დელიქტებში დანაშაულის მცდელობა იწყება მაშინ, როდესაც იწყება მაკვალიფიცირებელი ნიშნის განხორციელება.[783] რამდენად აქვს ადგილი ქურდობის მცდელობას მაშინ, როდესაც დამნაშავე ქურდობის ძირითადი შემადგენლობის შესრულებამდე მის დამამძიმებელ გარემოებას ახორციელებს? მაგალითად, დამნაშავე სხვისი სახლის სახურავზე ჭანჭიკებს ხსნის იმ მიზნით, რომ მეორე დღეს იგი სახლში სახურავიდან ჩავიდეს და ფარულად დაეუფლოს სხვის ქონებას. ადვილად შესამჩნევია, რომ ეს მაგალითი წინააღმდეგობის შემცირების შემთხვევას სტრუქტურულად წააგავს, თუმცა წინააღმდეგობის თავიდან აცილება გერმანიის სსკ-ის 243-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-2 პუნქტში დამამძიმებელი გარემოების სახით არის მოცემული (ქურდობა ბინაში, სადგომში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე). მიუხედავად ამისა, მცდელობის საკითხი აქაც მეოთხე შემთხვევის მსგავსად წყდება. მართალია, რომ სხვის სახურავზე ასვლა და ჭანჭიკების მოშვება პიროვნების დაცულ სფეროზე ზემოქმედებად ფასდება, მაგრამ მცდელობას ჯერ კიდევ არ აქვს ადგილი, ვიდრე დროში სიახლოვის მომენტი არ იქნება სახეზე. თუკი დამნაშავეს სახურავზე ასვლის მომენტში განზრახული აქვს სახლში შეღწევა, რა თქმა უნდა, ქურდობის მცდელობის არსებობა ეჭვს არ გამოიწვევდა, მაგრამ თუკი დამნაშავეს სახლის გაქურდვა მომდევნო საღამოს აქვს გადაწყვეტილი, მაშინ აქ მცდელობაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. საკითხის ასეთ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფის შინაარსი, რომლის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შედგომა მოითხოვს არა ცალკეული ელემენტის, არამედ მთელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას.

მაშასადამე, დამამძიმებელი გარემოებების განხორციელება მხოლოდ მაშინ მიაღწევს მცდელობის სტადიას, როდესაც იმავდროულად ადგილი აქვს ძირითადი შემადგენლობის განხორციელებას.[784] ეს ეხება ასევე გერმანიის სსკ-ის 250-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ ყაჩაღობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში, ე. ი. დამნაშავის მიერ იარაღის თან ქონა, როდესაც იგი დანაშაულის ადგილის მოსანახულებლად მიემგზავრება, არ წარმოადგენს მცდელო-

782 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 324.

783 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1535.

784 იხ. *Roxin*, JUS (1979), გვ. 7.

ბის სტადიას, რადგან ადგილის გამოძებნა მხოლოდ მოსამზადებელ ქმედებაა. მაშასადამე, კვალიფიციური ყაჩაღობა მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის უშუალო განხორციელებით იწყება.[785]

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე ჯერ ძირითად შემადგენლობას ახორციელებს და შემდეგ სურს მაკვალიფიცირებელი გარემოების შესრულება. მაგალითად, დამნაშავე ჯერ სახლს უკიდებს ცეცხლს და შემდეგ მწყობრიდან გამოჰყავს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა (სსკ-ის 306-ე პარაგრაფი), რათა ვერ შეძლონ ხანძრის ლოკალიზება. ადრეულ პერიოდში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ძირითადი შემადგენლობის განხორციელების დაწყებით კვალიფიციური დელიქტის მცდელობა იწყებოდა, მაგრამ ამჟამად ეს შეხედულება უარყოფილია. მაშასადამე, გერმანიის სსკ-ის 306-ე პარაგრაფის მცდელობას, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც დამნაშავე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მწყობრიდან გამოყვანას შეუდგება. ასე იმიტომ ფასდება ქმედება, რომ სახეზეა დროში მჭიდრო კავშირი დამნაშავის ქმედებას და მაკვალიფიცირებელ გარემოებას შორის.[786]

4. 2. 7. შემთხვევა, რომელიც ეხება სექსუალურ ურთიერთობას თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან

ამ საკითხში შეიძლება მოაზრებული იყოს გერმანიის სსკ-ის 176-ე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის ურთიერთობას თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. ასეთ შემთხვევებში, ადრეული სასამართლო პრაქტიკა მცდელობის საზღვრებს ყოველთვის აფართოებდა. მაგალითად, სასამართლომ სსკ-ის 176-ე პარაგრაფის მცდელობად ჩათვალა ისეთი ქმედება, როდესაც დამნაშავემ 12 წლის გოგონას ფულის მიცემის სანაცვლოდ სთხოვა მას თან გაჰყოლოდა. მართალია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს დაზარალებულის პირად სფეროზე ზემოქმედებას, მაგრამ მას აკლია დროში სიახლოვის აუცილებელი კრიტერიუმი. ამიტომ, სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობა მოცემულ მაგალითში უფრო მაშინ იქნება სახეზე, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს პირდაპირ მითითებულ ადგილზე მიიყვანს[787] და არა მაშინ, როდესაც დამნაშავეს სურს დაზარალებული სხვადასხვა ქმედებებით დაიყოლიოს.[788]

თუმცა, არსებობს შუალედური პოზიცია, რომლის თანახმად, მცდელობა მაშინ იწყება, როდესაც დამნაშავე უკვე გზაში ბავშვზე ზემოქმედების მოხდენას დაიწყებს (დარწმუნება, საჩუქრის დაპირება, დამუქრება და ა.შ.), ხოლო ბავშვისთვის იმის თქმა, რომ იგი დამნაშავეს მოფარებულ ადგილას გაჰყვეს,[789] ან მასთან მოგვიანებით შეხვედრაზე შეთანხმება, მოსამზადებელ სტადიად გა-

785 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1537.
786 იხ. *Roxin*, JUS (1979), გვ. 7-8.
787 იხ. *Roxin*, JUS (1979), გვ. 8.
788 იხ. *Fischer* (2012), გვ. 1146.
789 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 1635.

ნიხილება.[790]

4. 2. 8. სხვა დანარჩენი შემთხვევები

სხვა დანარჩენ შემთხვევათა ჯგუფს შესაძლებელია მიეკუთვნოს ისეთი შემთხვევები, რომლებიც ძალიან ახლოს დგას მცდელობის სტადიასთან და განვითარებული ისტორიული ეტაპების მიხედვით, როდესაც ადგილი ჰქონდა მცდელობის გაფართოების ტენდენციას, მათ სნორედ მცდელობის სტადიას მიაკუთვნებდნენ. მაგრამ თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა და დოგმატიკა მათ უფრო მოსამზადებელ ქმედებებად მიიჩნევს და ამით ცდილობს დაავიწროვოს მცდელობის დასჯადობის არეალი.[791]

ისეთი ქმედებები, როგორიც არის დანაშაულის **იარაღის შეძენა** ან **დაუფლება**, გასაღების **ასლის დამზადება**, **საწამლავის მომზადება** ანდა დანაშაულის ჩასადენად **სხვა წინაპირობების** შექმნა, ასევე დანაშაულის **ადგილის გამოძებნა** და იქ **შეუმჩნეველად ყოფნა**, დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ **ინფორმაციის გარკვევა** და **მათი შეგროვება**, მხოლოდ მოსამზადებელ ქმედებებს მიეკუთვნება. მაგალითად, ის, ვინც ავტომანქანაზე საქონელს ტვირთავს საზღვარზე მისი უნებართოდ გადატანის მიზნით, ჯერ კიდევ არ ჩადის მცდელობას. ასევე, ის, ვინც ამზადებს ყალბ მონმობას მისი შემდგომი გამოყენების მიზნით, თაღლითობის მცდელობას ჩადის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მის გამოყენებას შეუდგება.[792]

საერთოდ, აღიარებულია, რომ დანაშაულის ადგილისაკენ გამგზავრება ყოველთვის მოსამზადებელ სტადიად განიხილება, ხოლო დანაშაულის ადგილზე ყოფნა არ წარმოადგენს დანაშაულის მცდელობას, ვიდრე დამნაშავე დაზარალებულის სფეროზე ზემოქმედებას არ დაინყებს. თუკი დამნაშავე ყაჩაღობის მიზნით ბანკის შენობის წინ გაჩერდება, მაგრამ იარაღი ჯერ არ ამოუღია და ნილაბი ჯერ არ ჩამოუფარებია სახეზე, ითვლება, რომ იგი ჯერ კიდევ მომზადების სტადიაზე იმყოფება.[793] ასევე, დამნაშავის შესვლა სტუმრის სტატუსით სხვის სახლში, ნივთების ფარულად დაუფლების მიზნით, არ წარმოადგენს ქურდობის მცდელობას, მაგრამ, პირიქით, ქურდობის მცდელობაა სახეზე მაშინ, როდესაც დამნაშავე სხვისი სახლის კარს ამტვრევს ან სახლის კიბეზე ადის. დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ ვითარების გარკვევა, როგორც უკვე აღინიშნა, მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს, რადგან ამ დროს საკუთრივ დანაშაულის ჩადენა მოგვიანებით ხდება. ვითარების გარკვევა მაშინ არ წარმოადგენს მცდელობას, როდესაც პირის ქმედება სოციალურად ნებადართულ ქცევაში თავსდება და ამიტომ დაზარალებულის სფეროზე ზემოქმედების ფაქტი გამოირიცხება. მაგალითად, როდესაც ჯიბის ქურდი ხალხით გადავსებულ ვაგონში შედის.[794]

სამაგიეროდ, სასამართლო პრაქტიკაში ქურდობის მცდელობად შეფას-

790 იხ. *Rudophi*, §176, (2009), გვ. 7.
791 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 387.
792 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 388.
793 იხ. *BGHSt*, MDR (1978), გვ. 985.
794 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 389.

და ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავემ ქურდობის მიზნით, გადაწყვიტა მაღაზიის გისოსების განევა ხელის ამწის დახმარებით. ამისათვის მან შეიძინა ამწე, მიიტანა შემთხვევის ადგილზე და იქვე ბუჩქებში დამალა იგი. სამი დღის შემდეგ, დამნაშავე კვლავ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, რათა ხელის ამწის დახმარებით მოეხერხებინა გისოსების დაზიანება და შენობაში შეღწევა, მაგრამ დარაჯმა შეუშალა ხელი, რის გამოც დანაშაულებრივი განზრახვა ბოლომდე ვერ განახორციელა.[795] დასახელებული მაგალითიდან გამომდინარე, დამნაშავის ქმედებაში, როდესაც მან ამწე მიიტანა შემთხვევის ადგილზე, ჯერ კიდევ სახეზე არ არის აუცილებელი კრიტერიუმები, რის გამოც დამნაშავის ქმედება ქურდობის მომზადებად უნდა შეფასდეს, მაგრამ სულ სხვა სურათი იხატება მაშინ, როდესაც დამნაშავე დამალულ ამწეს სამი დღის შემდეგ იღებს სამალავიდან და მისი დახმარებით აპირებს გისოსების დაზიანებას. ამ შემთხვევაში, უკვე შეიძლება ქურდობის მცდელობაზე საუბარი.

თანამედროვე სისხლის სამართლის პრაქტიკა დანაშაულის მცდელობად არ განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავის ზემოქმედებას ჯერ კიდევ არ განიცდის დაზარალებული, მაშასადამე, ჯერ კიდევ სახეზე არ არის დროში და სივრცეში სიახლოვის კრიტერიუმები. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში ერთ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი:

უცხო პირები ფარულად შევიდნენ აფთიაქის გამგის სახლში, სადაც მათ სამზარეულოში შენახული საჭმელი ჭამეს და სხვადასხვა სახის სასმელი დალიეს. ამის შემდეგ, მათ სახლში არსებული ელექტრო ტექნიკა სხვენში აიტანეს. აფთიაქის გამგემ პოლიციას ამ ფაქტის შესახებ შეატყობინა და უთხრა, რომ შესაძლებელი იყო დამნაშავეები მეორე დღეს მოსულიყვნენ მოგროვებული ნივთების წასაღებად. პოლიცია აფთიაქის გამგის სახლთან დაელოდა დამნაშავეების გამოჩენას. ამასობაში, სახლის მეპატრონემ თიხის ჭურჭელში წყალი ჩაასხა, საწამლავის მომაკვდინებელი დოზა შეურია და სახლის პირველ სართულზე, შემოსასვლელში დადგა. აფთიაქის გამგე ფიქრობდა, რომ, თუ ქურდები კვლავ შევიდოდნენ მის სახლში, წყალს დალევდნენ და მოინამლებოდნენ. მოგვიანებით გაახსენდა აფთიაქის გამგეს, რომ მონამლული წყალი შეიძლება პოლიციასაც დაელია, ამიტომ მან ამის შესახებ მაშინვე შეატყობინა პოლიციას.[796]

ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მცდელობის დანყება დამოკიდებულია იმაზე, ამსრულებელის წარმოდგენის გათვალისწინებით, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება თუ რამდენად მჭიდრო კავშირშია დაზარალებულზე ზემოქმედების მომენტთან. ამდენად, თუ დაზარალებულზე ზემოქმედების მომენტს ძალიან გვიან ექნება ადგილი ანდა გაურკვეველია, თუ როდის დაიწყება ასეთი ზემოქმედება, მაშინ დანაშაულის მცდელობა გამორიცხულია. ამასთან აღსანიშნავია, რომ დამნაშავემ თავისი ძალებით სხვისი ქცევა დანაშაულებრივი შედეგისკენ უნდა წარმართოს. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს შუალობითი ამსრულებლობისთვის დამახასიათებელ სტრუქტურაზე, სადაც დაზარალებული საკუთარი თავის საზიანოდ მოქ-

795 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 369.
796 იხ. *BGHSt*, NJW (1997), გვ. 3453.

მედების მსხვერპლი ხდება. გარდა ამისა, მცდელობას აქვს ადგილი მაშინაც, როდესაც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს უშუალო საფრთხე ექმნება. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც დაზარალებული, როგორც უკვე აღინიშნა, მომზადებული დანაშაულის საშუალებების ზემოქმედების ქვეშ ექცევა. თუ დამნაშავემ დაადგინა, რომ დაზარალებული უნდა გამოჩნდეს და დაგეგმილი ქმედების ზემოქმედების ქვეშ უნდა მოექცეს, სახეზეა უშუალო საფრთხე, მაგრამ, თუ დამნაშავე დაზარალებულის გამოჩენას მხოლოდ ვარაუდობს და ჯერ არ იცის ნამდვილად გამოჩნდება თუ არა იგი, მაშინ დანაშაულის მცდელობა გამორიცხულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ დასახელებულ მაგალითში აფთიაქის გამგის ქმედებას მომზადების ზღვარი არ გადაულახავს და, შესაბამისად, იგი განზრახ მკვლელობის მცდელობად არ უნდა დაკვალიფიცირდეს.[797]

მართალია, სისხლის სამართლის დოგმატიკა იზიარებს[798] სასამართლოს კვალიფიკაციას, თუმცა მას გარკვეული შენიშვნები გააჩნია დასაბუთების ნაწილში. დოგმატიკა, თვლის, რომ სასამართლოს მსჯელობა მართებულია იმ ნაწილში, სადაც იგი უარყოფს უშუალო საფრთხის არსებობას და, შესაბამისად, დანაშაულის მცდელობის დანყებას, მაგრამ არ იზიარებს მსჯელობის იმ ნაწილს, სადაც სასამართლო დანაშაულის შესახებ გადაწყვეტილებას გამორიცხავს. დოგმატიკა მიუთითებს, იმაზე, რომ, მთავარია, აფთიაქის გამგისთვის ცნობილი იყო გადამწყვეტი ფაქტობრივი გარემოებები და, ამასთან, იგი მოვლენებზე ვეღარ ბატონობდა, როდესაც მან მოწამლული ნყალი სახლის შემოსასვლელში დადგა. მცდელობის საკითხის გადასაწყვეტად მთავარი არ არის ის ფაქტი, რომ დამნაშავემ დარწმუნებით არ იცოდა ქურდები უკან ნამდვილად დაბრუნდებოდნენ თუ არა.[799]

მაშასადამე, გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დანყება გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის ნინა ეტაპზე გადატანილ ფაზას, რომელიც დანაშაულის მცდელობის დასჯადობის გაფართოვების საფუძველია. ხოლო თავად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება, ნატურალისტური თვალსაზრისით, გულისხმობს დამნაშავის ქცევას, მის სხეულებრივ მოძრაობას. აქედან გამომდინარე, დამთავრებული მცდელობისათვის და უმოქმედობისათვის მოქმედებს სხვა წესები.[800]

4. 3. დამთავრებელი მცდელობის ცნება და მისი დაწყების თავისებურებანი

დაუმთავრებელი მცდელობის განხილვის შემდეგ, საინტერესოა, თუ როგორ არის გაგებული დამთავრებული მცდელობის პრობლემა გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში.

797 იხ. *BGHSt* NJW (1997), გვ. 3453-3454.

798 სისხლის სამართლის ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი აფთიაქის გამგის ქმედებას დანაშაულის მცდელობად აკვალიფიცირებს. იხ. *Frister*, AT (2011), გვ. 312.

799 იხ. *Kudlich*, JuS (1998), გვ. 599-601.

800 იხ. *Rey-Sanfiz* (2006), გვ. 112.

დამთავრებულ მცდელობასთან დაკავშირებით ორი მთავარი საკითხის გამოყოფაა შესაძლებელი: **პირველი** შეეხება დამთავრებული მცდელობის ცნებას, ხოლო **მეორე**, დამთავრებული მცდელობის გამიჯვნის თავისებურებებს დაუმთავრებელი მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულისაგან.

გერმანიის სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ დამთავრებული მცდელობა მაშინ კი არ არის სახეზე, როდესაც დამნაშავემ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა შედეგის გამოსაწვევად, არამედ მაშინ, როდესაც დამნაშავემ მისი წარმოდგენით შედეგის გამოწვევისათვის აუცილებელი ბოლო ქმედება განახორციელა.[801] მაგალითად, დამნაშავემ მონამლული ვისკი მიართვა დაზარალებულს, ასაფეთქებელი მოწყობილობა დაამონტაჟა პოლიტიკოსის ავტომანქანაში, ანდა მუქარის წერილი, რომლითაც დამნაშავე ფულს ითხოვს, გაუგზავნა დაზარალებულს. ამის მიუხედავად, ძალზედ სადავოა დამთავრებული მცდელობის ათვლის წერტილის ზუსტად განსაზღვრა. ამ საკითხზე პასუხი გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში არაერთგვაროვნად არის გაცემული.

თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის საკითხის განსაზღვრა დამოკიდებულია არა დანაშაულებრივ გეგმაზე, არამედ დამნაშავის წარმოდგენაზე, რომელსაც ადგილი აქვს ქმედების განხორციელების დასრულების პროცესში.[802] სწორედ ამიტომ, გერმანიის ფედერალურ სასამართლოს მიაჩნია, რომ მკვლელობის მცდელობა, დანაშაულის გეგმისაგან დამოუკიდებლად, დასრულებულია მაშინ, როდესაც დამნაშავეს ბოლოს განხორციელებული ქმედებისას შედეგის დადგომის შესაძლებლობა შეცნობილი აქვს.[803]

აქედან გამომდინარე, დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა **დამნაშავის წარმოდგენაზე** დაყრდნობით იმიჯნება. თუკი დამნაშავეს ყველაფერი არ გაუკეთებია, რაც მისი წარმოდგენით აუცილებელი იყო დანაშაულებრივი შედეგის გამოსაწვევად, მაშინ სახეზე იქნება დაუმთავრებელი მცდელობა,[804] მაგრამ, თუკი დამნაშავემ თავისი შეხედულებით, შედეგის გამოსაწვევად უკვე ყველაფერი გააკეთა, მაშინ ადგილი ექნება დამთავრებულ მცდელობას.[805]

ასეთი შეფასების მიუხედავად, გერმანიის სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც მიწის სასამართლომ ქმედება დაუმთავრებელ მცდელობად შეაფასა. საქმის ფაბულა ასეთია: ქურდობის მიზნით, ა. შევიდა ბინაში, სადაც მისგან მოულოდნელად ბინის მეპატრონე დახვდა. ა. კვალის დაფარვის მიზნით, დაზარალებულს განზრახ დანა დაარტყა. როდესაც დაზარალებული ძირს დავარდა, ა.-მ ყელში მოუჭირა ხელი, რის შედეგად მსხვერპლმა გონება დაკარგა, თუმცა შემდგომ, ა.-მ გაურკვეველი მიზეზის გამო, დაზარალებულს ხელი გაუშვა და გაიქცა. ამასთან, დამნაშავემ იმ მომენტში არ იცოდა დაზარალებული გარდაიცვალა, თუ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თუმცა

801 იხ. *Wörner*, NStZ (2010), გვ. 69.
802 იხ. *BGHSt*, NJW (1993), გვ. 2126.
803 იხ. *BGHSt* 33, გვ. 295.
804 იხ. *BGHSt* 35, გვ. 90.
805 იხ. *Fad* (2005), გვ. 44.

იგი სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას შეგნებულად უშვებდა.[806]

დამთავრებულ მცდელობას ადგილი აქვს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე დარწმუნებულია შედეგის გამოწვევაში, არამედ მაშინაც, როდესაც მას **შეცდომით ჰგონია**, რომ შედეგი დადგება.[807] პირიქით, მცდელობა დამთავრებულად არ ჩაითვლება მაშინ, როდესაც დამნაშავეს შეცდომით ფიქრობს, რომ თავისი ბოლო ქმედებით შედეგს მიაღწევს და ამასთან, მაშინვე შეიცნობს მის მიერ დაშვებულ შეცდომას და შეწყვეტს დანაშაულის განხორციელებას.[808]

მართალია, ყველა თანხმდება იმაზე, რომ დამთავრებული მცდელობის შესაფასებლად დამნაშავის წარმოდგენა არის აუცილებელი, მაგრამ სასამართლოები სხვადასხვა დროს განსხვავებულად წყვეტდნენ იმ საკითხს, წარმოდგენა დროის რა მონაკვეთში არსებობს და როგორი შინაარსი გააჩნია მას. მაგალითად, პირველი სენატი (1955 წლის 17 მაისის განაჩენი) სისხლის სამართლის საქმეებზე უთითებდა, რომ დანაშაულის დაუმთავრებელ მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე დანაშაულის ადგილიდან წავა და ფიქრობს, რომ მიზნისთვის ჯერ კიდევ არ მიუღწევია. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს დანაშაულის დანყების მომენტში არ ჰქონდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მაშინ მისი ქმედება სასამართლოს (1969 წლის 18 ნოემბრის განაჩენი) მიერ დამთავრებულ მცდელობად შეფასდება, ამასთან, თუკი დამნაშავეს შედეგის დადგომა შესაძლებლად მიაჩნდა. სასამართლოს პირველი სენატი შემდგომში თავის გადაწყვეტილებებში (1976 წლის 6 ივლისის განაჩენი) ქმედებას დაუმთავრებულ მცდელობად აფასებდა, როდესაც დამნაშავე დარწმუნებული იყო იმაში, რომ შემდგომი ქმედების გარეშე დანაშაულებრივი შედეგი არ დადგებოდა, ხოლო უფრო მოგვიანებით სენატი (1979 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი) ქმედებას დამთავრებულ მცდელობად მიიჩნევდა მაშინ, როდესაც დამნაშავეს ქმედების შეწყვეტის დროს შედეგის გამოწვევა შესაძლებლად მიაჩნდა.[809]

უფრო მოგვიანებით (1985 წლის 22 აგვისტოს განაჩენი) სასამართლოს, დანაშაულებრივი გეგმისგან დამოუკიდებლად, ქმედება მკვლელობის დამთავრებულ მცდელობად მიაჩნდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავეს ბოლოს განხორციელებული ქმედების ნყალობით, შედეგის გამოწვევის შესაძლებლობა შეცნობილი ჰქონდა.[810]

დამთავრებული მცდელობის დანყებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა ერთმანეთის სანინააღმდეგო სამი შეხედულება:

პირველი შეხედულების მიხედვით, დამთავრებული მცდელობა მაშინ არის სახეზე, როდესაც დაზარალებული დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩასადენად შერჩეული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მოექცევა. მაშასადამე, ამ მსჯელობის მიხედვით, დამთავრებულ მცდელობად ჩაითვლება ისეთი ქმედება,

---

806 იხ. *BGHSt* 31, გვ. 171.

807 იხ.: *Fischer* (2012), გვ. 222; *BGHSt* 33, გვ. 299.

808 იხ. *BGHSt* 36, გვ. 226.

809 იხ. *BGHSt* 31, გვ. 170-172.

810 იხ. *BGHSt* 33, გვ. 295.

როდესაც დაზარალებული მონამლულ ვისკის ხელს მოჰკიდებს, ან იგი დანაღმულ ავტომანქანაში ჩაჯდება, ანდა როდესაც მუქარის წერილს ამოიღებს საფოსტო ყუთიდან. დამთავრებულ მცდელობად ჩაითვლება ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე შეცდომით მიიჩნევს, რომ მუქარის წერილი ადრესატის (დაზარალებულის) ხელში გადავიდა. ეს შეხედულება ეფუძნება აზრს იმის შესახებ, რომ მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნისათვის მხედველობაშია მისაღები დამნაშავის წარმოდგენაზე დაფუძნებული უშუალო საფრთხის შექმნა.

მეორე შეხედულებას დამთავრებული მცდელობის მომენტი უფრო წინარე ქმედებებში გადააქვს ე. ი. როდესაც დამნაშავე მოწამლულ ვისკის გაამზადებს, ან ასაფეთქებელ მოწყობილობას დაამაგრებს, ანდა დამნაშავე მუქარის წერილს გააგზავნის. ეს შეხედულება ადრე გაბატონებულ შეხედულებად ითვლებოდა.[811]

მესამე შეხედულება ცნობილია „ალტერნატიული ფორმულის" სახელწოდებით და ცდილობს შუალედური პოზიცია დაიკავოს. ამ შეხედულების მიხედვით, დამთავრებული მცდელობა სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავე მოვლენების განვითარებას თავისი ბატონობის სფეროდან უშვებს, ან დაზარალებულს უშუალო საფრთხეს უქმნის ისე, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებასთან დროში მჭიდრო კავშირის გამო, დაზარალებულის დაცულ სფეროში აღწევს. მაშასადამე, როდესაც დამნაშავე სასმელის მოწამვლის შემდეგ, ან ასაფეთქებელი მოწყობილობის დამონტაჟების შემდეგ, იქაურობას გასცილდება (დაშორდება იმ ადგილს), ანდა იგი მუქარის წერილს გააგზავნის, ყოველთვის ადგილი ექნება დანაშაულის მცდელობას, რადგან ამ დროს მოვლენები უკვე დამნაშავისაგან დამოუკიდებლად იწყებს განვითარებას. მაგრამ, თუკი მიზეზობრივი ჯაჭვი მისი ბატონობის სფეროდან ჯერ კიდევ არ გასულა, მაგალითად, როდესაც მუქარის წერილი ფოსტის თანამშრომელმა მომდევნო დილას უნდა წაიღოს, სახეზე არ არის მცდელობა, რადგან დელიქტი ჯერ კიდევ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების წინა სტადიაზე იმყოფება.

დამთავრებული მცდელობის დაწყების კრიტერიუმი, როგორიც არის „ალტერნატიული ფორმულა", დიდი უპირატესობით სარგებლობს. ამიტომ, მიზეზობრიობის ჯაჭვის განვითარების დამნაშავის ბატონობის სფეროდან გასვლის მომენტი დასაბუთებულია, როგორც საკანონმდებლო, ასევე დოგმატური და კრიმინალ-პოლიტიკური შედეგების თვალსაზრისით.[812]

დამთავრებული მცდელობის დაწყების შესახებ დასახელებული შეხედულებების ანალიზის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები:

როგორც უკვე აღინიშნა, პირველ შეხედულებას დამთავრებული მცდელობის დაწყების საკითხი დაზარალებულის ქმედებაზე გადააქვს. თუმცა საკითხის ასეთი გადაწყვეტა კანონის კონცეფციას ეწინააღმდეგება, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფი გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე,

811 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 395-396.

812 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 397.

დანაშაულზე თავისი წარმოდგენით, ქმედების განხორციელებას უშუალოდ შეუდგება. ამ წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით, დასახელებული შეხედულება დაზარალებულს, როგორც დამნაშავის იარაღს, ისე განიხილავს და დამნაშავეს დაზარალებულის ქცევას, როგორც საკუთარ ქმედებას, ისე რაცხავს.[813]

ეს კონცეფცია არა უშუალო ამსრულებლობის დროს, არამედ უფრო შუალობითი ამსრულებლობის დროს არის გამოსადეგი, რადგან უშუალო ამსრულებლობის დროს დაზარალებულის ქცევისათვის დამნაშავის ქმედება უმეტეს შემთხვევებში კაუზალურიც კი არ არის. გარდა ამისა, მცდელობის დაწყების გადატანა დაზარალებულის ქცევაზე დოგმატურადაც გაუმართლებელია, რადგან რთულია იმის დადგენა, თუ როდის მოკიდებს ხელს დაზარალებული მონამლული ვისკის ბოთლს, რომ ამის შემდგომ გადაწყდეს მცდელობის დაწყების საკითხი[814] [815].

რაც შეეხება „მოვლენების საკუთარი ბატონობის სფეროდან გაშვების" კრიტერიუმზე დაყრდნობით მცდელობის განსაზღვრებას, იგი არ ეწინააღმდეგება დაუმთავრებელი მცდელობის დროს დასახელებულ კრიტერიუმებს, რადგან ისინი („პიროვნების დაცულ სფეროზე ზემოქმედების" და „დროში სიახლოვის" კრიტერიუმები) არ ნარმოადგენს მცდელობის შემადგენელ ნიშნებს, არამედ ისინი დამხმარე ცნებებია, რომლებიც განსაზღვრავს დანაშაულის შემადგენლობასთან სიახლოვის და „შუა აქტის თეორიის" კონკრეტიზაციის საკითხებს. გარდა ამისა, დროში სიახლოვის კრიტერიუმის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ იგი დაუმთავრებელი მცდელობისას პირველ რიგში არა შედეგთან, არამედ დანაშაულის შემადგენლობასთან უნდა არსებობდეს.[816]

უმეტეს შემთხვევებში მოვლენების დამნაშავის ბატონობის სფეროდან გაშვება იმავდროულად დამნაშავის ბოლო აქტიური ქმედებაა, რომელიც დამთავრებულ მცდელობაში გამოიხატება. თუმცა სხვაგვარად არის საქმე ისეთ შემთხვევაში, როდესაც სტაგნირებული მიზეზობრიობა ჯერ კიდევ დამნაშავის ბატონობის სფეროშია მოქცეული. მაგალითად, ცოლი, რომელსაც ქმრის მოკვლა უნდა, მონამლულ ვახშამს ელექტრო ქურაზე ტოვებს იქამდე, ვიდრე საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულ მეუღლეს მონამლულ ვახშამს არ მიართმევს. ასეთ შემთხვევაში, ცოლი ქმრის გამოჩენამდე და საჭმლის მირთმევამდე მიზეზობრიობის განვითარებას სრულად აკონტროლებს, ე. ი. მას შეუძლია ნებისმიერ დროს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ქმრის გამოჩენისას მოწამლული საჭმელი გადაღვაროს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ დანაშაულის

---

813 იქვე.

814 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 398.

815 დაზარალებულის ქმედებაზეა დამოკიდებული არა მარტო დამთავრებული მცდელობის, არამედ აგრეთვე დაუმთავრებელი მცდელობის დანყების საკითხის განსაზღვრა. ამის დასასაბუთებლად, შესაძლებელია, ასეთი მაგალითის მოტანა: დამნაშავე ჩაუსაფრდა მსხვერპლს და ელოდება მის გამოჩენას. ვიდრე მსხვერპლი არ გამოჩნდება, შესაძლებელია, რომ დამნაშავის ქმედება მცდელობად არც კი შეფასდეს. თუმცა ამ საკითხზე, შესაძლებელია, რომ სხვა აზრიც არსებობდეს.

816 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 399.

მომზადებას აქვს ადგილი იმ დრომდე, ვიდრე დაზარალებული ჯერ კიდევ არ მომზადებულა სავახშმოდ, მაგრამ როგორც კი ქმარი ვახშმობას შეუდგება, მაშინვე დაინყება მკვლელობის მცდელობა.[817]

თუ ცოლი მონამლული საჭმლის მომზადების შემდეგ, საყიდლებზე ნავა და მეუღლის მოსვლამდე დაბრუნდება სახლში, იგულისხმება, რომ ცოლი მოვლენებს სრულად აკონტროლებს, ისე რომ მისი საყიდლებზე ყოფნის და უკან მობრუნების პერიოდში, ვიდრე მეუღლის ჭამის დრო დადგება, სახეზეა მხოლოდ დანაშაულის მომზადება. მაგრამ, როდესაც ქმარი სახლისაკენ გაემგზავრება, მაშინ, როდესაც ცოლი სხვა ადგილზე იმყოფება და მას ქმრის გაფრთხილება მხოლოდ ტელეფონით შეუძლია, მაშინ ცოლის მიერ სახლის დატოვებისთანავე ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას, რადგან საფრთხის შესახებ ტელეფონით შეტყობინება თავისთავში შეიცავს ძალიან მაღალ რისკს და თუ გაფრთხილება წარმატებული აღმოჩნდა, მაშინ ადგილი ექნება მხოლოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რომელიც მცდელობის არსებობაზე ვერ მოახდენს გალენას.[818]

§5. შეჯამება

დანაშაულის მცდელობის ობიექტურმა დახასიათებამ გამოავლინა ობიექტური შემადგენლობის მნიშვნელობა ქმედების მცდელობად შეფასების საქმეში. ობიექტური ნიშანი არის ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც დანაშაულის მცდელობას დამთავრებული დანაშაულისაგან განასხვავებს. დანაშაულის მცდელობას **ობიექტური შემადგენლობის ნაკლულობა** ახასიათებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობის დროს შედეგი არ ხორციელდება. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სახეზეა დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობა, მაგრამ ქმედება დანაშაულის მცდელობად ფასდება. ამას ადგილი აქვს მაგალითად, *in dubio pro reo*-ს შემთხვევაში, სადაც შედეგის დადგომის მიუხედავად, ქმედება დანაშაულის მცდელობად განიხილება. აქედან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობის არსი, როგორც ასეთი, სისხლის სამართალში ნატურალისტური თვალსაზრისით ვერ აიხსნება, არამედ მისი მნიშვნელობა, ფორმალურ-იურიდიული მეთოდის საფუძველზე, ნორმატიული თვალსაზრისით განისაზღვრება.

დანაშაულის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველზე მსჯელობისას დადგინდა, რომ **კონკრეტული საფრთხე** დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთი მატერიალურ-ობიექტური ნიშანია, რადგან კონკრეტული საფრთხის ცნება ზოგჯერ არ არის საკმარისი მცდელობის დასასაბუთებლად, მაგალითად, უვარგისი მცდელობის დროს და *in dubio pro reo*-ს შემთხვევებში. ამ უკანასკნელის დროს საფრთხე უკვე რეალიზებულია. ამასთან, ძალზედ რთულია კონკრეტული საფრთხის ცნებით დანაშაულის მცდელობის გამიჯვნა დამთავრებული კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისაგან. ამიტომ, დანაშაულის

817 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 400.

818 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 401-402.

მცდელობის მატერიალური საფუძვლის დადგენისას ყურადღება გამახვილდა ***სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მუქარაზე***, რომელიც სოციალური საშიშროების ცნებას აყალიბებს და ნარმოადგენს დანაშაულის მცდელობის **მატერიალურ ნიშანს.**

დანაშაულის მცდელობის ობიექტურ შემადგენლობაზე მითითება მოცემულია საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლში და გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში. დასახელებულ ნორმებში მცდელობის ობიექტური შემადგენლობა გაგებულია, როგორც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისაკენ მიმართული ქმედება. მცდელობის საკანონმდებლო განმარტება, როგორც ქართულ, ასევე გერმანულ სისხლის სამართალში ასრულებს ***საგარანტიო ფუნქციას***, რადგან მისი დახმარებით ერთმანეთისაგან იმიჯნება, ერთი მხრივ, მომზადება და მცდელობა, ხოლო, მეორე მხრივ, მცდელობა და დამთავრებული დანაშაული. ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის მცდელობის ცნება, გერმანულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბებული მცდელობის ცნებისაგან განსხვავებით, მოიცავს როგორც დაუმთავრებელი მცდელობის, ისე დამთავრებული მცდელობის შემთხვევებს და, შეიძლება ითქვას, ნარმატებით ართმევს თავს გამიჯვნის პრობლემატიკას. თუმცა, მცდელობის პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებზე მსჯელობისას უკვე აღინიშნა, რომ მცდელობის ცნებას მაინც აქვს გარკვეული ნაკლი, კერძოდ, ის ვერ მოიცავს მცდელობის გამონაკლისს შემთხვევებს, მაგალითად, როგორიც არის ***in dubio pro reo***-ს შემთხვევა. ამიტომ, კარგი იქნება, თუ კი კანონმდებელი ამ ხარვეზის გამოსწორებაზე იზრუნებს.

რაც შეეხება გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ მცდელობის ობიექტურ შემადგენლობას, იგი მხოლოდ დაუმთავრებელ მცდელობაზე მიუთითებს და დამთავრებული მცდელობის შემთხვევებს არა მოიცავს. აშკარაა, რომ ამ ნორმის შექმნის მომენტში გერმანელი კანონმდებლის ძირითადი მიზანი დასჯად და არადასჯად სფეროებს შორის ზუსტი ზღვრის გავლება იყო, რაც კანონიერების პრინციპის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

დანაშაულის მომზადებისა და დამთავრებული დანაშაულისაგან დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემის მოგვარების მიზნით, საკანონმდებლო კრიტერიუმების გარდა, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ჩამოყალიბდა დამატებითი კრიტერიუმები, მაგალითად, დანაშაულის ქმედებასთან **დროში** და **სივრცეში** სიახლოვის, ასევე **დაზარალებულის სფეროზე ზემოქმედების** კრიტერიუმები. დასახელებული კრიტერიუმები თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაშიც თანდათანობით იმკვიდრებს ადგილს. გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების სუსტ მხარეზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ისინი სამართალშემფარდებელს მხოლოდ დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის მომზადების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში ეხმარება, თუმცა ისინი მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის გამიჯვნისათვის არსებით საფუძველს ვერ ქმნის.

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მცდელობის ათვლის

ნერტილს განსაზღვრავს არა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მომენტი, ნატურალისტური თვალსაზრისით, არამედ მის წინ მდგომი ქმედების განხორციელების მომენტი. ამის მიუხედავად, სირთულეს წარმოადგენს იმის ზუსტად განსაზღვრა, დანაშაულის შემადგენლობის წინ მდგომი რომელი ქმედებები უნდა ჩაითვალოს მცდელობის დასაბუთებისათვის მნიშვნელოვან ქმედებებად.

ამისათვის, დისერტაციაში შემუშავებული იქნა **ფორმულა**, რომლის თანახმად, ***დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის მიერ ობიექტურად გაცხადებული დასაძრახი განზრახი ქმედება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების კონკრეტულ მუქარაში გამოიხატა და სოციალური-ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯა და ამით დაირღვა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკური წესრიგი.***

რაც შეეხება დანაშაულის მცდელობის სახეებად დაყოფას, გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ საფუძვლად უდევს დამნაშავის წარმოდგენა. ეს მოთხოვნა თავად გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი წარმოდგენა არ არის საკმარისი ქმედების მცდელობად შეფასებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილია, თუ კი მცდელობის სახეებად დაყოფას საფუძვლად დაედება **სუბიექტურ-ობიექტური** კრიტერიუმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენა, არამედ ასევე ობიექტურად არსებული ვითარება.

დანაშაულის მცდელობის სახეებად დაყოფასთან და გამიჯვნის პრობლემატიკასთან არის დაკავშირიებული დანაშაულის დასჯადობის საკანონმდებლო რეგულაციის საკითხები. ამასთან დაკავშირებით, უკვე აღინიშნა, რომ დასახელებული საკითხი სისხლის სამართლის კოდექსში უფრო მეტი ყურადღების დათმობას საჭიროებს. ეს იმას გულისხმობს, რომ აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსში აღდგეს დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის **სავალდებულო შემცირების პრინციპი** და ამასთან, არასრულწლოვანთათვის ცალკე განისაზღვროს მცდელობის დასჯადობის რეგულაციები.

თავი V. დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხი ზოგიერთი სახის დანაშაულებში

§1. დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხი ზოგიერთი სახის შედეგიან და შედეგგარეშე დელიქტებში ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა ისე არის აღწერილი, რომ ძალზედ პრობლემატურია ასეთ შემადგენლობებში მცდელობის დასაბუთება. ეს ეხება როგორც შედეგგარეშე,

ასევე შედეგიან შემადგენლობებს. მაგალითად, ადრეული სისხლის სამართლის დოგმატიკა ე. წ. **ფორმალურ დანაშაულებში** მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობის შესაძლებლობას აღიარებდა, რადგან მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ იქ, სადაც დასჯადი ქმედება უკვე შესრულებულია, შეუძლებელია დანაშაულის მცდელობაზე საუბარი.[819]

თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაჩნდა აზრი, რომელმაც ზოგიერთი სახის ფორმალურ დანაშაულებში დამთავრებული მცდელობის შესაძლებლობა დაუშვა. აღნიშნული შეხედულება ამის დასაბუთებას ასეთი მაგალითით შეეცადა: ა. დაპირდა ბ., რომ მის მიერ მიცემულ ქრთამს მოხელეს გადასცემდა, მაგრამ ა.-მ ქრთამის სახით მიცემული თანხა მიითვისა.[820]

ადრინდელ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ზოგიერთი მეცნიერი დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას ქმედების თავისებურებების მიზეზით არ გამორიცხავდა. მეცნიერთა ამ ნაწილს მიაჩნდა, რომ არ არსებობს ისეთი დანაშაულები, სადაც ქმედება დანაშაულის ყველა სტადიას არ გაივლის და, შესაბამისად, არავითარი ობიექტური გარემოებანი მცდელობის შესაძლებლობას ხელს არ უშლის. ამდენად, ისინი **წმინდა უმოქმედობით დელიქტებში** მცდელობას შესაძლებლად თვლიდნენ.[821]

თუმცა თანამედროვე სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ **წმინდა უმოქმედობის დელიქტებში** შეუძლებელია დანაშაულის მცდელობის დასაბუთება, რადგან ასეთ დანაშაულებში ქმედების შემადგენლობის დაწყებისა და დამთავრების მომენტები ერთმანეთს ემთხვევა. მაშასადამე, როგორც კი დამნაშავე თავს აარიდებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ქმედება უკვე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება. მაგალითად, მშობელი ჯიუტად არიდებს თავს ალიმენტის გადახდას (სსკ-ის 176-ე მუხლი).[822]

ამ მოსაზრების საპირისპიროდ, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა უმოქმედობით დელიქტებში, შესაძლებელია, მცდელობის დასაბუთება. ეს აზრი ემყარება დისერტაციაში განვითარებულ შეხედულებას, რომელიც ცდილობს განსაზღვროს დანაშაულის მცდელობის დაწყების მომენტი. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, *დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის მიერ ობიექტურად გაცხადებული დასაძრახი განზრახი ქმედება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების კონკრეტულ მუქარაში გამოიხატა და სოციალური-ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯა და ამით დაირღვა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-*

---

819 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 153.

820 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 165-166.

821 ამ აზრს საბჭოთა სისხლის სამართალში ავითარებდა კუზნეცოვა, იხ. *Кузнецова* (1958), გვ. 123-124, ციტირებულია წერეთლის მონოგრაფიიდან, იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 187.

822 იხ.: *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 61-62; *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 172-173. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **წმინდა უმოქმედობით დელიქტებში** შესაძლებელია მხოლოდ უვარგისი მცდელობა, იხ. *ცქიტიშვილი*, „სამართლის ჟურნალი" № 1 (2012), გვ. 218.

ეთიკური წესრიგი.

დასახელებული კონცეფციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ისეთი პრაქტიკული შემთხვევის მოტანა, რომლის საშუალებით დადასტურდება მცდელობის შესაძლებლობის საკითხი წმინდა უმოქმედობით დელიქტებში. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 390-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმ სამხედრო მოსამსახურისათვის, რომელიც სხეულის თვითდაზიანებით ან სხვა ხერხების გამოყენებით თავს არიდებს სამხედრო სავალდებულო სამსახურს. ვთქვათ, ა. სამხედრო სამსახურის თავის არიდების მიზნით, მეგობრების თანდასწრებით ფეხების მიმართულებით გაისროლა, თუმცა ტყვია ასცდა ა.-ს და მეგობრებმა ხელმეორედ გასროლის შესაძლებლობა აღარ მისცეს. ასეთ შემთხვევაში, ა.-მ აქტიური მოქმედებით განახორციელა წმინდა უმოქმედობის დელიქტი, ამიტომ ა.-ს ქმედება სამხედრო სამსახურის თავის არიდების მცდელობად უნდა შეფასდეს (სსკ-ის მე-19, 390-ე მუხლი) (***წმინდა უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა მოქმედებით***).

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში არის ისეთი წმინდა უმოქმედობითი დელიქტები, რომლებიც შედეგზეა ორიენტირებული. ასეთია, მაგალითად, სსკ-ის 383-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმ ხელქვეითისათვის, რომელიც არ ასრულებს უფროსისის მიერ გაცემულ ბრძანებას, რამაც არსებითად დააზიანა სამხედრო ინტერესი. ამიტომ, თუ ხელქვეითი არ ასრულებს უფროსის ბრძანებას, რომლის შეუსრულებლობა აუცილებლად გამოიწვევს სამხედრო ინტერესის არსებით დაზიანებას, რა თქმა უნდა, ადგილი ექნება სსკ-ის მე-19, 383-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის მცდელობას.

მაშასადამე, აზრი, რომლის თანახმად, წმინდა უმოქმედობით დელიქტებში საერთოდ შეუძლებელია მცდელობის დასაბუთება, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს.

შესაძლებელია, რომ უმოქმედობით დანაშაულში მცდელობის დაწყება განაპირობოს სხვათა მოქმედებამ. მაგალითად, საპატიმროს თანამშრომლის უმოქმედობით, რომელიც გამოიხატება განგაშის ღილაკის ჩაურთველობაში, მცდელობა შეიძლება დაიწყოს მაშინ, როდესაც დაიწყება თავად პატიმრების მოქმედება, ანუ, როდესაც ისინი მიუახლოვდებიან გასასვლელს ე. ი. როდესაც მათი მხრიდან უკვე ადგილი ექნება საპატიმროდან გაქცევის მცდელობას. მაგრამ თუ კი პატიმრები ჯერ არ ნასულან გასასვლელისაკენ და შინაგანაწესის მოთხოვნის შესაბამისად მოქმედებენ, შეიძლება ითქვას, რომ საპატიმროს თანამშრომლის უმოქმედობა დანაშაულის მცდელობად არ განიხილება. მაგრამ, როგორც კი აშკარა გახდება, რომ პატიმრები აპირებენ გასასვლელისაკენ წასვლას, ამ მომენტიდან, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს დანაშაულის მცდელობას.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში შედეგგარეშე დანაშაულებიდან ე. წ. **საფრთხის შემქმნელი დელიქტების** დროს არაერთგვაროვნად წყდება მცდელობის საკითხი. მაგალითად, თუ მეცნიერთა ერთ ნაწილს ბანდიტიზმის (სსკ-ის 224-ე მუხლი) დროს შეუძლებლად მიაჩნია დანაშაულის მცდელობა, სამაგიეროდ, ისინი დაუმთავრებელ მცდელობას არ გამორიცხაენ ყაჩაღობის შემ-

თხევაში (სსკ-ის 179-ე მუხლი),[823] მაშინ როდესაც მეცნიერთა მეორე ნაწილი უარყოფითად წყვეტს ყაჩაღობის დროს მცდელობის შესაძლებლობის საკითხს, რადგან დანაშაულის დამთავრება ყაჩაღობის დროს განისაზღვრება თავდასხმის მომენტით.[824]

თუმცა აუცილებელია, რომ მოხდეს თავად საფრთხის შექმნელი დელიქტების დიფერენციაცია და ამის შემდეგ, დაისვას მცდელობის შესაძლებლობის საკითხი. სისხლის სამართლის ლიტერატურაში სწორად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ იქ, სადაც განზრახვა მოქმედების პირველივე აქტით ხორციელდება, მცდელობის დასაბუთება ვერ მოხერხდება.[825]

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ საფრთხის შემქმნელ დელიქტებში დანაშაულის მცდელობა გამორიცხულია. ამის საილუსტრაციოდ, შესაძლებელია, ასეთი მაგალითის მოტანა: ყაჩაღობის მიზნით შეიარაღებული ა. ღამით შევიდა ბ.-ს სახლის ეზოში, გაიარა ეზო და შეიჭრა ბ.-ს საძინებელ ოთახში. დამნაშავე იარაღის მუქარით შეეცადა ბ.-ზე მოეხდინა ფსიქოლოგიური ზეწოლა, თუმცა უშედეგოდ, ბ. სახლში არ აღმოჩნდა, ხოლო დამნაშავე, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, პოლიციამ ადგილზე დააკავა. მოცემული მაგალითიდან გამომდინარე, დაისმება შეკითხვა იმის შესახებ, რისთვის უნდა დაისაჯოს ა., ყაჩაღობის მომზადების, თუ ყაჩაღობის მცდელობისათვის (დაუმთავრებელი მცდელობა)?

იმ შემთხვევაში, თუ ა. ყაჩაღობის მომზადებისათვის დაისჯება, მაშინ წამოიჭრება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკაშირებულია აუცილებელი მოგერიების, ნებაყოფლობით ხელის აღებისა და თავად ყაჩაღობის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკასთან. ამასთან, ეს საკითხებიც რომ არ იყოს დასახელებულ მაგალითში, დოგმატურად ისედაც შესაძლებელია ყაჩაღობის მცდელობის დასაბუთება ე. ნ. ადგილზე არ მყოფი ობიექტის ნესების მიხედვით.

შედეგიან დანაშაულებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხი ასევე არაერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი, რადგან იგი ისევ და ისევ ქმედების შემადგენლობის კონსტრუქციის თავისებურებებით არის განპირობებული. თუ კლასიკურ შედეგიან დანაშაულებში მცდელობა უპრობლემოდ მტკიცდება, პირიქით, არის ისეთი შედეგიანი დანაშაულები, კერძოდ, **მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები,** სადაც მცდელობის დასაბუთება მეცნიერთა შორის დიდ კამათს იწვევს. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქ ქმედება ძირითადი შედეგის მიმართ განზრახ ხორციელდება, ხოლო შედეგი გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული.[826] ასეთი დელიქტები სსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე განზრახ დანაშაულად ითვლება. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დანაშაულის

823 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 172.
824 იხ. *ლეკვეიშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 365.
825 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 190.
826 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 173.

მცდელობა ასეთ შემთხვევებში გამორიცხულია.[827]

მეცნიერთა მეორე ნაწილი სწორად მიუთითებს იმაზე, რომ სსკ-ის მე-11 მუხლიდან გამომდინარე, შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში დანაშაულის მცდელობა სავსებით შესაძლებელია, რაც ასევე არ ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსს. ასეთ დელიქტებად დასახელებულია სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი. გარდა ამისა, აღნიშნული პოზიცია მიუთითებს კანონმდებლის მიზანზე და აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-11 მუხლის შემოღებით კანონმდებელმა შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში დაუშვა მცდელობისა და თანამონაწილეობის შესაძლებლობა.[828]

სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობად ქმედება, შესაძლებელია, შეფასდეს შემდეგ შემთხვევებში, მაგალითად, ა.-მ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიზნით, ბ.-ს მოუქნია ნაჯახი. ბ.-მ მოასწრო უკან გაწევა, რითაც მოქნეული ნაჯახი აიცილა, თუმცა თავი ვერ შეიკავა და მაღალი სიმაღლიდან გადავარდა, რის შედეგად იგი გარდაიცვალა. მოცემულ შემთხვევაში, ა.-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობად, რამაც გამოინვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილი შედეგებიდან ყურადღებას იპყრობს ორსულობის შეწყვეტის ფაქტი. ეს უკანასკნელი, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სახეზე უნდა იყოს სხეულის დაზიანების შედეგად ანდა თავად ორსულობის შეწყვეტის ფაქტი უნდა გახდეს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამოწვევის მიზეზი. ამიტომ, სსკ-ის 117-ე მუხლი შედეგიანი დანაშაულია, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგის არ გამოწვევის შემთხვევაში, ქმედება დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს. მაგალითად, ა.-მ მუცლის მოშლის მიზნით, ნინასწარი შეცნობით მეცხრე თვეში მყოფ ფეხმძიმე ქალს ნაჯახი მოუქნია მუცელში, მაგრამ ააცილა. ასეთ შემთხვევაში, ა. ქმედება ჩვეულებრივად დაკვალიფიცირდება წინასწარი შეცნობით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობად (სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი).

მაგრამ როგორ უნდა შეფასდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც იგივე მაგალითში, ა.-ს მიერ მოქნეული ნაჯახი ფეხმძიმე ქალმა აიცილა, მაგრამ ეს უკანასკნელი კიბეებზე დაგორდა და ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიიღო. ბუნებრივი მშობიარობის შედეგად ბავშვი კვდარი დაიბადა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბავშვი ქალის დაგორების შედეგად დაიღუპა, თუმცა ქალს ამით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება არ მიუღია. ამდენად, დამნაშავემ გამიზნულ შედეგს (ორსულობის შეწყვეტა) მიაღწია, მაშასადამე, დამნაშავის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს, შედეგის ობიექტური შერაცხვა არ გამოირიცხება, მაგრამ ქმედება დამთავრებულ დანაშაულად მაინც ვერ შეფასდება, რადგან მას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რომელიც წარმოადგენს დასახელებული ნორმის დაცვის ძირითად

827 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 84.

828 იხ. *ტურავა* (2011), გვ. 605-607, ასევე, 606-ე გვერდზე იხილეთ მე-3 სქოლიო.

ობიექტს. მაშასადამე, გამოდის, რომ ა.-ს ქმედება მოცემულ შემთხვევაში შემდეგნაირად უნდა დაკვალიფიცირდეს: *წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობა, რამაც გამოიწვია ორსულობის შეწყვეტა. (სსკ-ის მე-19, 117-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი).*

ასევე, შესაძლებელია, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული გაუპატიურების მცდელობის შესახებ, ასეთი მაგალითის მოყვანა: ა.-მ განიზრახა ბ.-ს გაუპატიურება. ამ მიზნით მან ბ.-ს მიმართ ძალა გამოიყენა, რის შედეგად, ბ.-მ გონება დაკარგა და სუნთქვაც შეწვიტა. ამასთან, ა.-ს არ უნდოდა ბ.-ს მოკვლა, არამედ მხოლოდ მისი გაუპატიურება ჰქონდა განზრახული. ამრიგად, ა. ბ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობასაც კი არ უშვებდა, მაშასადამე, მოქმედებდა გაუფრთხილებლობით. როდესაც ა. დარწმუნდა, რომ ბ. დარტყმის შედეგად გარდაიცვალა, იქაურობას გაეცალა. ასეთ შემთხვევაში ა.-ს ქმედება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ გაუპატიურების მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს (სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი). ასეთი კვალიფიკაცია სავსებით შეესაბამება სსკ-ის მე-11 მუხლის შინაარსს და არ არღვევს სისხლის სამართლის პრინციპებს, პირიქით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა გამომდინარეობს სიხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებიდან.

იმის აღიარება, რომ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში დანაშაულის მცდელობა დაუშვებელია, არ არის მართებული, რადგან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის მე-11 მუხლი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს განზრახ დანაშაულად მიიჩნევს, ამიტომ განზრახ დანაშაულში მცდელობის დასაბუთება, როგორც ნესი, შესაძლებელია. თუმცა გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაულის მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულებში გამოირიცხება. ასე, მაგალითად, გაუპატიურების მიზნით მოქმედმა ა.-მ ძალადობისას, ვიდრე სქესობრივ კავშირს დაამყარებდა დაზარალებულთან, ნებაყოფლობით აიღო ხელი გაუპატიურებაზე, თუმცა გამოყენებული ძალადობის შედეგად, ბ. გარდაიცვალა (*მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შეუძლებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით*).

რაც შეეხება ე. წ. **თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს**, აქაც, ასევე შესაძლებელია, მცდელობის დასაბუთება. ასეთ დელიქტების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავის განზრახვა მაკვალიფიცირებელ გარემოებებსაც მოიცავს. ასეთი დელიქტის მცდელობად შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ძირითადი დელიქტის დამთავრების მომენტი. მაგალითად, თუ დამნაშავე მოქმედებს ორი ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების განზრახვით და, ერთ შემთხვევაში, ერთ ადამიანს ჩაიგდებს ხელში, ხოლო მეორე შემთხვევაში, ვერც ერთ მათგანს ვერ აიყვანს მძევლად, ქმედება ორივე შემთხვევაში მძევლად ხელში ჩაგდების მცდელობად უნდა შეფასდეს (სსკ-ის მე-19, 144-ე მუხლი).[829]

იმ შემთხვევაში, თუ შედეგი გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, მაშინ აუცილებელია ძირითადი დელიქტის დაუმთავრებლობის მომენტი, რადგან თუ იგი დამთავრდა, მაშინ მცდელობაზე საუბარი გამორიცხულია.

---

829 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 85-86.

საფრთხის შექმნელი დელიქტებიდან ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლი,[830] რომლის შინაარსი, 2012 ნელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მთლიანად შეიცვალა. დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიცოცხლისათვის საშიში მოწყობილობის ან ნივთიერების გადატანის, განთავსების, გასროლის ან აფეთქებისათვის, ან სხვა ქმედებისათვის, როდესაც დამნაშავის მიზანს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა ნარმოადგენს. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით კი პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვინც ასეთი ქმედებით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. აღნიშნული შემადგენლობა, როგორც უკვე აღინიშნა, საფრთხის შემქნელ განზრახ დანაშაულის ტიპს მიეკუთვნება, სადაც დამნაშავე შედეგისადმი მოქმედებს არაკონკრეტიზებული პირდაპირი განზრახვით, ხოლო მე-4 ნანილში დამნაშავეს შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია.

სსკ-ის 229-ე მუხლი ძალიან ჰგავს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შინაარსს, რადგან ორივე შემთხვევაში საუბარია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საყოველთაოდ საშიში საშუალებით ადამიანის განზრახ მკვლელობაზე, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავება, კერძოდ, სსკ-ის 229-ე მუხლი წარმოადგენს სხვა უმართლობას და მისი დაცვის ძირითადი ობიექტია არა კონკრეტული ადამიანი, არამედ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება. აფეთქების დროს დამნაშავეს უნდა სსკ-ის 229-ე მუხლში ჩამოთვლილი შედეგების გამოწვევით საზოგადებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დარღვევის მიზნის მიღწევა. ამასთან, აფეთქების დროს განზრახვას არ აქვს კონკრეტული ხასიათი.

დასახელებული მუხლის განხილვა ყურადღებას იმსახურებს დანაშაულის მცდელობასთან დაკავშირებით. როგორც წესი, სსკ-ის 229-ე მუხლით გათვალისნინებული დანაშაულის მცდელობა გამორიცხულია, მაგრამ, შესაძლებელია, სსკ-ის 229-ე მუხლში უვარგისი მცდელობის არსებობა დასაბუთდეს. მაგალითად, ა.-მ შეცდომით ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაცვლად უსაფრთხო მოწყობილობა განათავსა. მოცემულ შემთხვევაში ა. ვერ დაისჯება დამთავრებული სსკ-ის 229-ე მუხლისათვის, რადგან ა.-ს მიერ გამოყენებულ იქნა უვარგისი საშუალება. აქედან გამომდინარე, ა. პასუხს აგებს სსკ-ის მე-19, 229-ე მუხლების საფუძველზე.

სისხლის სამართლის პრაქტიკაში შეიძლება აღმოცენდეს ისეთი შემთხვევები, სადაც ქმედება დანაშაულის მცდელობად შეფასებას იმსახურებს. მაგალითად, როდესაც ექსპერტიზა ვერ ადგენს დედამ ჩვილი ანგარების მოტივით მშობიარობის დროს მოკლა, თუ მშობიარობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეუნყვიტა ნაყოფს სიცოცხლე, თუმცა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ნაყოფი აუცილებლად ჯანმრთელი უნდა დაბადებულიყო. *in dubio pro*

830 საქართველოს სსკ-ის 229-ე მუხლის სათაური, აფეთქება, არ შეესაბამება ამავე მუხლის შინაარსს, რადგან ეს მუხლი აღწერილობით ხასიათს ატარებს და მასში აფეთქებასთან ერთად, სხვა ქმედებებიც არი მოცემული. მაშასადამე, სსკ-ის 229-ე მუხლის სათაური ვერ მოიცავს ამავე მუხლის შინაარსს.

reo-ს პრინციპის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება სიმართლე, მაშინ დედას საერთოდ არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. თუმცა, თუ არ იქნება გაზიარებული სისხლის სამართალში გაბატონებული შეხედულება,[831] რომელიც სიცოცხლეს დაბადების მომენტიდან დაცვის ობიექტად აცხადებს, მაშინ, შესაძლებელია, დედას პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის დაეკისროს.

მაშასადამე, როდესაც დედას განზრახული აქვს ბავშვის მოცილება იმ მომენტში, როდესაც დაბადების პროცესი უნდა დაიწყოს (მაგალითად, მშობიარობამდე 3 საათით ადრე), უკვე შესაძლებელია, მკვლელობაზე საუბარი. მართალია, ასეთი მოსაზრება გარკვეულ შეკითხვებს წარმოშობს, თუნდაც უკანონო აბორტისაგან მკვლელობის გამიჯვნის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ამ შეხედულებაზე უარის თქმის საფუძველი. აუცილებელია, რომ სისხლის სამართალმა შეიმუშავოს ისეთი დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვის სიცოცხლის დაცვას, თუნდაც დაბადებამდე რამდენიმე ხნით ადრე და, ამის შესაბამისად, დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლეს გაუთანაბრებს დაბადებული ადამიანის სიცოცხლეს.

დასახელებული კონცეფცია კრიმინალურ-პოლიტიკური მოსაზრებებით, სავსებით გამართლებულია.

§2. მცდელობის შესაძლებლობის საკითხი უმოქმედობით დელიქტებში გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღმოცენდა აზრი იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა უმოქმედობით დელიქტებში. უმოქმედობის დელიქტების დაყოფას შერეულ და წმინდა უმოქმედობითი ხასიათის დელიქტებად პირველად ლუდენთან ჰქონდა ადგილი.[832]

2. 1. მცდელობის დაწყების საკითხი შერეული უმოქმედობის დელიქტებში

ადრეულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობდა აზრი, რომლიც ეჭქვეშ აყენებდა უმოქმედობით დანაშაულის მცდელობის დასჯადობას. ვინაიდან უმოქმედობა არ წარმოადგენს მოქმედებას, ამიტომ ადრეული პერიოდის დოგმატიკა უმოქმედობისათვის დასჯადობის დაწესებას ანალოგიის აკრძალვის პრინციპის დარღვევად განიხილავდა.[833]

---

831 ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ადამიანის სიცოცხლე მკვლელობის ობიექტად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ბავშვი დედის ორგანიზმს ნანილობრივ გამოეყოფა. იხ.: *ლეკვეიშვილი* კერძო ნანილი, ტომი I (2011), გვ. 25, 59; *წულაია* (2003), გვ. 36-37.

832 იხ. *Malitz* (1998), გვ. 78.

833 იხ. *Ahmed* (2007), გვ. 43-44.

შერეული უმოქმედობით[834] განხორციელებულ დანაშაულებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხი თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა[835] და სასამართლო პრაქტიკაში[836] დავას არ იწვევს. თუმცა სადავოა საკითხი იმის თაობაზე, თუ როდის იწყება შერეული უმოქმედობით დელიქტებში დანაშაულის მცდელობა. ამასთან დაკავშირებით, არსებობს განსხვავებული შეხედულებები:

პირველი პოზიციის თანახმად, მცდელობას ადგილი აქვს დაზარალებულის გადარჩენის უკანე პირველივე შანსის ამოწურვისთანავე.

მეორე პოზიცია კი ამბობს, რომ მცდელობა იწყება მხოლოდ დაზარალებულის გადარჩენის ბოლო შესაძლებლობის გაშვებისთანავე.

მესამე შეხედულებას ყურადღება გადააქვს გარანტის წარმოდგენაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ უმოქმედობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავის ნარმოდეგნით, უმოქმედობა მომეტებულ საფრთხეს უქმნის დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.

მეოთხე შეხედულებას მიაჩნია, რომ მომეტებული საფრთხე მაშინ ვლინდება, როდესაც დამნაშავე მოვლენებზე ბატონობას კარგავს.[837]

მეხუთე შეხედულების თანახმად, მთავარია სახეზე იყოს დამნაშავის წარმოდგენა და საფრთხე იქნება თუ არა, ამას უმოქმედობის დანაშაულის მცდელობად შეფასებისთვის მნიშვნელობა არა აქვს. დასახელებული შეხედულება ამოდის თვალსაზრისიდან, რომ უვარგისი მცდელობის დროს საფრთხის არარსებობის მიუხედავად, მცდელობა ისჯება.[838]

გარდა ამისა, უმოქმედობით დელიქტებში სადავოა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი განსხვავების გაკეთება დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებს შორის, როგორც ამას ადგილი აქვს მოქმედებით ჩადენილი დელიქტების დროს.[839] ამ პრობლემასთან დაკავშირებით აღმოცენდა თეორიები, რომლებიც თავისებურად ასაბუთებენ ამ საკითხს.

2. 1. 1. უმოქმედობის დელიქტები „დამთავრებული მცდელობის თეორიის" მიხედვით

გერმანელ სისხლის სამართლის მეცნიერთა ნაწილს უმოქმედობით დელიქტებში დაუმთავრებელი მცდელობა მიუღებლად მიაჩნია. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ უმოქმედობის დროს პიროვნება ყოველთვის იმყოფება დამთავრებული მცდელობის სტადიაზე და ამიტომ ასეთი დაყოფა თავის მნიშვნელობას კარგავს.[840] სწორედ ამიტომ „დამთავრებული მცდელობის" თეორიის მიხედვით,

---

834 შერეული უმოქმედობით დელიქტებში უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 პარაგრაფით გათვალისწინებული საგარანტიო ფუნქცია.

835 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1550.

836 იხ.: *BGHSt* 38, გვ. 358; *BGHSt* 40, გვ. 270.

837 იხ. *BGHSt* 38. გვ. 360.

838 იხ. *Kühl*, AT (2008), გვ. 635-636.

839 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 421.

840 იხ. *Freund*, AT (2009), გვ. 333.

შერეული უმოქმედობის დროს დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებს შორის განსხვავება ან საერთოდ შეუძლებელია, ან უბრალოდ აუცილებელი არ არის. ამასთან, განვითარდა აზრი, რომლის მიხედვითაც, შერეული უმოქმედობის დროს არსებული მცდელობა აქტიური ქმედების დროს დამთავრებული მცდელობის ანალოგიურია.[841]

ზოგჯერ ფედერალური სასამართლოც ამ გზას ადგას და უმოქმედობით დელიქტში ერთმანეთისაგან არ მიჯნავს დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებს.[842] სასამართლოს მიაჩნია, რომ უმოქმედობის დროს არსებული მცდელობა ემსგავსება მოქმედების დროს არსებულ დამთავრებულ მცდელობას.[843]

2. 1. 2. დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის გამიჯვნა უმოქმედობის დელიქტებში „დიფერენცირებული თეორიის" მიხედვით

ზემოთ განხილული თეორიის საპირისპიროდ, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა დოგმატურად მხოლოდ დამთავრებული ფორმით არსებობს, განვითარდა ისეთი შეხედულება, რომელიც უმოქმედობის დროს ერთმანეთისაგან განასხვავებს დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებს და, ამასთან ერთად, იგი ნებაყოფლობით ხელის აღების შეფასებისას საკუთარ დასაბუთებას ამ გამიჯვნას აფუძნებს. ეს შეხედულება გამიჯვნის მნიშვნელოვან შედეგს უმეტესად იმაში ხედავს, რომ დამნაშავე მხოლოდ დამთავრებული მცდელობის სტადიაზე არის შედეგის თავიდან აცილების რისკის მატარებელი.[844] უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის დაყოფა დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობად საკმაოდ ეფექტურია და მათი დიფერენცირება აჩვენებს, რომ შესაძლებელია აქ სხვადასხვა მასშტაბს ჰქონდეს ადგილი.[845]

დიფერენცირებული მოძღვრება სათავეს იღებს შროდერიდან და ლიონიდან. ***შროდერის*** შეხედულებით, უმოქმედობით დელიქტებში დაუმთავრებელ მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავეს შედეგის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შეუძლია, ისე რომ შედეგის გამოწვევისათვის თავისი მხრიდან შემდგომი უმოქმედობა აუცილებელია, ხოლო რაც შეეხება დამთავრებულ მცდელობას, იგი მაშინ არის სახეზე, როდესაც დამნაშავეს ჰგონია, რომ მისი ჩარევის მიუხედავად, შედეგს ვეღარ აიცილებს თავიდან. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი უკვე ზედმეტია. შროდერისეული მცდელობის დიფერენციაციის გარკვეული მოდიფიცირება მოახდინა ***ლიონმა.***[846]

„დიფერენცირებული თეორიის" მიხედვით, თანამედროვე დოგმატიკა

841 იხ. *Küper*, ZStW (2000), გვ. 4-5.
842 იხ. *BGHSt*, *NStZ* (1998), გვ. 508.
843 იხ. *BGHSt* 38, გვ. 149.
844 იხ. *Küper*, ZStW (2000), გვ. 9-10.
845 იხ. *Ahmed* (2007), გვ. 85-86.
846 იხ. *Ahmed* (2007), გვ. 72-73.

უმოქმედობით დელიქტებში **დაუმთავრებელ მცდელობას** მაშინ აღიარებს, როდესაც დამნაშავის წარმოდგენით სამაშველო მოქმედებებით შედეგის დადგომა თავიდან იქნება აცილებული. მაგალითად, უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობას ექნება ადგილი მაშინ, როდესაც დედა ფიქრობს, რომ მისი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელია საკვების კვლავ მიცემის გზით, ხოლო **დამთავრებული მცდელობა** მაშინ არის სახეზე, როდესაც დამნაშავის წარმოდგენით უმოქმედობით ისეთი ვითარება შეიქმნება, რომ შედეგის თავიდან აცილება (თავისი ძალებით) უკვე შეუძლებელია. მაგალითად, როდესაც დედა დარწმუნებულია იმაში, რომ საკვების მიუცემლობით ბავშვი ისე ძლიერ არის დასუსტებული, რომ საკვების მიცემის მიუხედავად, იგი შედეგს თავად ვერ აიცილებს თავიდან, არამედ აუცილებელია ექიმის დახმარება.[847]

2. 1. 3. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის დაწყების საკითხი „პირველივე შესაძლო აქტის თეორიის" მიხედვით

ამ მოძღვრების მიხედვით, უმოქმედობით დელიქტებში ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყებას უკვე მაშინ აქვს ადგილი, როდესაც გარანტის წარმოდგენით დახმარების აღმოჩენის პირველივე შესაძლებლობამ უკვე გაიარა.[848] თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დამნაშავემ არც კი იცის რამდენი ხნის შემდეგ შეექმნება დაზარალებულს საფრთხე. მშობლებმა, რომლებსაც არ სურთ თავიანთი შვილისათვის სისხლის გადასხმა და ამის გამო, იგი არ მიჰყავთ საავადმყოფოში, ხშირ შემთხვევაში არც კი შეუძლიათ დაადგინონ, თუ როდის აღმოჩნდება ბავშვი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში.[849]

როგორც ჩანს, ამ თეორიის მიხედვით, შესაძლებელია ქცევა, რომელსაც სამართლებრივი სიკეთისათვის საკმარისი საფრთხე არ შეუქმნია, გადაიქცეს უკვე სისხლისსამართლებრივად რელევანტურ უმოქმედობად. ვინაიდან ამ შეხედულებამ დასჯადობა ძალიან ადრეულ ეტაპზე გადანია, ამიტომ იგი მეცნიერებმა არ გაიზიარეს. აშკარაა, რომ ეს თეორია გარკვეულწილად უახლოვდებოდა ე. წ. აზრის სისხლის სამართალს.[850]

2. 1. 4. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის დაწყების საკითხი „ბოლო შესაძლო აქტის თეორიის" მიხედვით

უმოქმედობით დელიქტებში „ბოლო შესაძლო აქტის თეორიის" მიხედვით, დანაშაულის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც, გარანტის წარმოდგენით, დახმარების აღმოჩენის ბოლო შესაძლებლობა უკვე ამოწურულია. ამ შეხედულებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ უმოქმედობით დელიქტებში არასდროს არ არის დაუმთავრებელი მცდელობა, არამედ აქ ყოველთვის

847 იხ. *Ahmed* (2007), გვ. 76-77.
848 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 338.
849 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 426.
850 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 338.

ადგილი აქვს დამთავრებულ მცდელობას, რადგან მცდელობის დანყება და დამთავრება ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს.

ამ შეხედულებამ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ვერ დაიმკვიდრა ადგილი, რადგან იგი ძალიან ანვრცობს უმოქმედობის დროით არეალს და, ამის შედეგად, ძალიან გვიან იწყებს სამართლებრივი სიკეთის დაცვას, ანუ უმოქმედობის მანძილზე იგი არ ჩქარობს მცდელობის დანყებას და ელოდება სამართლებრივი სიკეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის ბოლო მომენტს.[851] აქედან გამომდინარე, პაციენტის მკვლელობის მცდელობისათვის არ დაისჯება ექიმი მაშინ, როდესაც იგი პაციენტს რამდენიმე დღის მანძილზე არ აძლევს საკვებს, მაშინ, როდესაც მისი ნარმოდგენით შედეგის დადგომამდე ჯერ კიდევ რამდენიმე კვირაა დარჩენილი.[852] სწორედ ეს გახლავთ ამ შეხედულების კრიმინალურ-პოლიტიკური ნაკლი. **გარანტს მოეთხოვება არა მხოლოდ შედეგის, არამედ ასევე, შედეგთან ახლოს მდგომი საფრთხის თავიდან აცილება.**[853]

ამ თეორიის დოგმატური ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მას უმოქმედობიდან ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებლად მიაჩნია. ეს კი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, რომელიც მცდელობის ყველა შემთხვევებში ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას ითვალისნინებს.[854]

2. 1. 5. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის დაწყების განსაზღვრა „უშუალო საფრთხის თეორიის" მიხედვით

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ფოგლერის მიერ განვითარდა შეხედულება, რომელმაც უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის დაწყების ერთადერთ კრიტერიუმად დაზარალებულისათვის ***კონკრეტული საფრთხის*** შექმნა დაასახელა. თავისი შეხედულების საილუსტრაციოდ მეცნიერს მოყავს მაგალითი რაიხის სასამართლო პრაქტიკიდან, როდესაც, ჩვილის მოშორების მიზნით, ტყეში დაბადებული ბავშვი მშობლებმა მიატოვეს უპატრონოდ და სახლში ნავიდნენ. ფოგლერი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მცდელობა იწყება არა ბავშვის მიტოვების მომენტიდან, არამედ მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც ბავშვის სიცოცხლე კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდება. მაშასადამე, თუ კი კრიტიკული სიტუაცია უფრო ადრეულ ეტაპზე შეიქმნა, ვიდრე ამას დამნაშავე მოელოდა, ადგილი ექნება მკვლელობის მცდელობას მაშინაც, როდესაც მოვლენები ჯერ კიდევ დამნაშავის ბატონობის სფეროშია მოქცეული.[855]

ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, თუკი მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევით მძღოლი დაეჯახა ფეხით მოსიარულეს და მძიმე დაზიანება მიაყენა მას და, ამის შემდეგ გაუჩნდა დაზარალებულის მოკვლის განზრახვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, სახეზე იქნება მკვლელობის მცდელობა არა მაშინ, როდესაც დამნაშავე უკვე შემთხვევის ადგილიდან წავა, არამედ მაშინ, როდესაც დაზარალებულს დაუხმარებლობის შედეგად სიკვდილის საფრთხე

851 იქვე.
852 იხ. *Ahmed* (2007), გვ. 56-57.
853 იხ. *Kühl* (2008), გვ. 634.
854 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 426
855 იხ. *Leipziger Kommentar* (1985), გვ. 81.

შეექმნა.[856]

აქედან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული შეხედულებით ძალიან ფართოვდება უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის დასჯადობის ფარგლები, იგი არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს.

2. 1. 6. უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის განსაზღვრის „ალტერნატიული თეორია"[857]

(გაბატონებული შეხედულება)

უმოქმედობითი ხასიათის დელიქტებში მცდელობის დაწყების შესახებ განვითარდა თეორია, რომელიც მოქმედებით ჩადენილ დანაშაულებში მცდელობის დაწყების განსაზღვრისათვის აქტიურად გამოიყენება. ეს თეორია დღეისათვის **გაბატონებულ** შეხედულებად ითვლება.[858]

ამ შეხედულების მიხედვით, მცდელობა იწყება ზუსტად იმ მომენტში, როდესაც გარანტი მოვლენების მსვლელობას თავისი ბატონობის სფეროდან გაუშვებს. მაგრამ თუკი მიზეზობრიობის განვითარება ჯერ კიდევ გარანტის ბატონობის ქვეშ არის მოქცეული, ითვლება, რომ უმოქმედობა დანაშაულის მომზადების სტადიას არ გასცილებია. გარდა ამისა, მცდელობას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც დაზარალებულს უშუალო საფრთხე ექმნება. თუ ტყეში დაბადებულ ჩვილზე მშობლები არ ზრუნავენ და უნდათ, რომ ეს უკანაკნელი მოიშორონ, ადგილი ექნება მხოლოდ დანაშაულის მომზადებას, ვიდრე მშობლები ბავშვთან იმყოფებიან და ამ უკანასკნელს საფრთხე ჯერ კიდევ არ ემუქრება. მაგრამ, როდესაც ახალშობილს შემდგომი უმოქმედობით შეექმნება უშუალო საფრთხე, მაშინვე დაიწყება მკვლელობის მცდელობა. ამდენად, მკვლელობის მცდელობას ექნება ადგილი მაშინ, როდესაც მშობლები ჩვილს ბედის ანაბარა დატოვებენ, შესაბამისად, ისინი მოვლენებს ვეღარ აკონტროლებენ.[859]

2. 2. მცდელობის დასჯადობის საკითხი წმინდა უმოქმედობის დელიქტებში

გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დანაშაულის მცდელობა, შერეული უმოქმედობით დელიქტების გარდა, ასევე ე. წ. წმინდა უმოქმედობით დელიქტებში დასაშვებად მიაჩნიათ, როგორც **ვარგისი**, ისე **უვარგისი მცდელობის** სახით. ვარგისი მცდელობის დროს, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ, თუკი უმოქმედობით განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობა შედეგზე არ არის დამოკიდებული, მაშინ დაუშვებელია ვარგის მცდელობაზე საუბარი, რადგან უმოქმედობა უკვე დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს. მაშასადამე, ის, ვინც არ ეხმარება სხვას, ჩადის სსკ-ის 323-ე „ც" პარაგრაფით

856 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 427.

857 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 422.

858 იხ.: *Heinrich*, AT (2012), გვ. 339; *Murmann* (2011), 434.

859 იხ.: *Roxin*, AT (2003), გვ. 423; *Murmann* (2011), 434.

გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას, კერძოდ, **დაუხმარებლობას**, სადაც მცდელობის არსებობა კანონმდებელმა სამართლიანად არ აღიარა. მაგრამ სხვა არის იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა უმოქმედობის დელიქტი ითვალისწინებს შედეგს. ასეთია, მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 120-ე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმ უმოქმედობისათვის, რომელსაც ჩადის ციხეში პასუხისმგებელი თანამშრომელი. ამიტომ, როდესაც სასჯელაღსრულების თანამშრომელი ხელს არ უშლის პატიმრების გაქცევაში, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება გერმანიის სსკ-ის 120-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობისთვის იმ მომენტიდან, როგორც კი იგი არავითარ ზომებს არ მიიღებს პატიმრების ციხიდან გაქცევის დაწყების წინ.[860]

წმინდა უმოქმედობის დელიქტებში უფრო შესაძლებელია **უვარგისი მცდელობის** არსებობა.[861]

§3. დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ძირითად დელიქტებთან შედარებით მკაცრი სასჯელის დაწესებით ვლინდება, კარგად ჩანს მცდელობისა და ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაწყვეტის დროს.[862]

შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა ერთდროულად ეფუძნება ძირითად დელიქტს და მძიმე შედეგს. ამ ორწეროვანი დაყოფიდან აღმოცენდება ქმედების დამთავრებისა და მცდელობის სხვადასხვა კომბინაცია: ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ძირითადი დელიქტი დამთავრდეს ან მხოლოდ მცდელობის სტადიაზე შეწყდეს, ხოლო რაც შეეხება მძიმე შედეგს, შესაძლებელია, იგი ასევე მცდელობის სტადიაზეც დადგეს.[863] რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ისეთი კომბინაცია, სადაც ძირითადი ქმედება და მძიმე შედეგი გაუფრთხილებლობით ხორციელდება.[864]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიიჩნევდნენ, რომ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის კომბინაციაში მცდელობის დასაბუთება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია ამ კომბინაციაში თანამონაწილეობის არსებობა.[865] თუმცა ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ გაუფრთხილებლობით გამოწვეული მძიმე შედეგი, როგორც წესი, მცდელობის დასაბუთებისათვის საკ-

860 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 429. ანალოგიური მაგალითი ზემოთ, ქართულ სისხლის სამართალში წმინდა უმომქედობით დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობის პარაგრაფში უკვე იყო განხილული.

861 იხ.: *Jescheck, Weigend* (1996), გვ. 637-638; *Fischer* (2012), გვ. 2407.

862 იხ. *Bacher* (1999), გვ. 22.

863 იხ. *Hardtung* (2002), გვ. 17.

864 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1426-1427.

865 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 140.

მარისია. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, დანაშაულის შემადგენლობა (მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 251-ე პარაგრაფი) მოითხოვს გაუფრთხილებლობის ისეთ ფორმას, როგორიც არის თვითიმედოვნება.[866] ამასთან, შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის მე-2 აბზაცის[867] მიხედვით, განზრახ დელიქტებად ითვლება.[868]

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ, თუკი ძირითადი დელიქტის მცდელობა სასჯელით არ იდევნება, მაშინ დამნაშავის დასჯადობა შედეგით დამძიმებული ძირითადი დელიქტის მცდელობის დროს დაუშვებელია.[869]

სასამართლო პრაქტიკა და გაბატონებული შეხედულება ერთმანეთისაგან განასხვავებს **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას** (*Versuch der Erfolgsqualifizierung*) და **თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას** (*erfolgsqualifizierte Versuch*).[870]

3. 1. განზრახვით მოცული თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა

განზრახვით მოცული თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას (*Versuch der Erfolgsqualifizierung*) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის განზრახვა მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევასაც მოიცავს, ე. ი. მძიმე შედეგი დამნაშავის განზრახვით სრულად არის მოცული, მაგრამ შედეგი არ დგება. მაგალითად, ა. სახეში ესვრის ბ. საფანტის თოფიდან და შეგნებულად უშვებს (*ევენტუალური განზრახვა*), რომ ამის შედეგად, შესაძლებელია, ბ. მხედველობა დაკარგოს, თუმცა შედეგი არ დადგება. აღნიშნული შემთხვევა შეფასდება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობად, რომელსაც ითვალისწინებს გერმანიის სსკ-ის 22-ე, 226-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის 1-ლი ქვეაბზაცი. თუმცა ზემოთ დასახელებულ მაგალითში, თუ დადგინდება, რომ ა. მხედველობის დაკარგვის მიზნით ესროლა ბ.-ს თვალში, მაგრამ შედეგი არ დადგა, გაბატონებული შეხედულება ასეთ შემთხვევას შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობად არ მიიჩნევს, რადგან აქ შედეგს მაკვალიფიცირებელი ხასიათი არ გააჩნია, არამედ მისი მიღწევა დამნაშავის მიზანს ნარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ბოლო მაგალითში, სადაც ა. გამიზნით მოქმედებს, დამნაშავის ქმედება შეფასდება გერმანიის სსკ-ის 226-

866 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 306. თუმცა, ჰარდტუნგი მიუთითებს იმაზე, რომ მძიმე შედეგი, შესაძლებელია, გამოწვეული იქნეს ასევე, უბრალო გაუფრთხილებლობითაც (*schlichte fahrlässig*), იხ. *Hardtung* (2002), გვ. 17.

867 გერმანიის სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-2 აბზაცი, საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლის მსგავსად, განზრახ დანაშაულად მიიჩნევს ქმედებას მაშინაც, როდესაც, მართალია, ძირითადი ქმედება განზრახვით ხორციელდება, მაგრამ მძიმე შედეგი გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული.

868 იხ. *Wessels, Beulke* (2012), გვ. 238.

869 იხ. *Hardtung* (2002), გვ. 281.

870 იხ.: *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1427; *Baier*, JA (2001), 751; *BGHSt*, NStZ (2001), 371, 534. დასახელებული ტერმინების ქართულ ენაზე თარგმანი მოცემულია ვესელსის და ბოილკეს წიგნის ქართულ თარგანში, იხ. *ვესელსი, ბოილკე*, 38-ე გამოცემის ქართული თარგმანი, რედ., *დვალიძე* (2010), გვ. 358.

ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს დამნაშავის მიერ სსკ-ის 226-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული შედეგების გამიზვნით გამოწვევას.[871] ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ გერმანიის სსკ-ის 226-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის შემთხვევაში ძირითადი დელიქტის დამთავრება არ არის აუცილებელი.[872]

როგორც უკვე ითქვა, **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში** არ არის აუცილებელი ძირითადი დელიქტის დამთავრება. მაგალითად, საფანტის თოფიდან სროლისას, დამნაშავე შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომას, მაგრამ იგი მიზანს აცილებს, ე. ი. დანაშაულის არც ერთი ძირითადი შემადგენლობა, რომელიც მოცემული არის სსკ-ის 223-ე და 224-ე პარაგრაფებში განხორციელებული არ არის (სსკ-ის 223-ე პარაგრაფი ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზიანების მარტივ შემადგენლობას, ხოლო სსკ-ის 224-ე პარაგრაფი შეეხება ჯანმრთელობის დაზიანებას სიცოცხლისათვის საშიში საშუალებების გამოყენებით — სანამლავით, იარაღით და ა. შ.). მაშასადამე, მცდელობისათვის აუცილებელი არ არის, რომ ძირითადი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი განხორციელდეს.[873]

განზრახვით მოცული თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის ისეთი ვარიანტები არსებობს, როდესაც, **ერთ შემთხვევაში**, დამნაშავე ძირითად დელიქტს ახორციელებს, მაგრამ მძიმე შედეგი ძირითად ქმედებას არ მოჰყვება. მაგალითად, ა. რკინის ნაჭერს თავში ურტყამს ბ.-ს, რათა შემდგომ თავისუფლად შეძლოს ბ.-ს სეიფიდან ნივთების წაღება. ამასთან, ა. ითვალისწინებს ბ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას. დაზარალებულის გონების დაკარგვის შემდეგ, ა. ეუფლება ბ.-ს ნივთებს, ხოლო დაზარალებული მეზობლის დახმარებით გადარჩება. **მეორე შემთხვევაში**, როგორც ძირითადი დელიქტი, ასევე კვალიფიციური შედეგი არ ხორციელდება. მაგალითად, ა. თავში ურტყამს ბ.-ს რკინის ნაჭერს, რათა შემდგომ თავისუფლად შეძლოს ბ.-ს სეიფიდან ნივთების წაღება. ამასთან, ა. ითვალისწინებს ბ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას. ბ.-ს გონების დაკარგვის შემდეგ, ა. გამოაღებს სეიფის კარებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ცარიელი დახვდება. ა. იძულებულია სახლში ხელცარიელი დაბრუნდეს, ხოლო ბ. მისი მეზობლის დახმარებით გადარჩება. ორივე შემთხვევაში ქმედება შეფასდება კვალიფიციური შედეგის გამოწვევის მცდელობად, ანუ სასიკვდილო შედეგით ყაჩაღობის მცდელობად (სსკ-ის 22-ე, 251-ე პარაგრაფი).[874]

ქმედების ამგვარად შეფასება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ძირითადი დელიქტის მცდელობა თავისთავად დასჯადია (ამის შესახებ ზემოთაც იყო აღნიშნული), რადგან მძიმე შედეგი (*Anstreben der Folge*) ცალკე აღებული დასჯადობას ვერ დააფუძნებს. მაგალითად, ა. ესვრის ბ.-ს მუცლის ქვედა ნაწილში და ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი განაყოფიერების უნარს დაკარგავს. შესაძლებელია, აქ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების (გერმანიის სსკ-ის 226-ე

871 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 437.
872 იხ. *Fischer* (2012), გვ. 1515.
873 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 438.
874 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 306-307.

პარაგრაფის 1-ლი აბზაცის 1-ლი ქვეაბზაცი) მცდელობას ჰქონდეს ადგილი არა მარტო მაშინ, როდესაც ა. ნასროლი ტყვია ბ.-ს მოხვდება, მაგრამ განაყოფიერების უნარის დაკარგვას ვერ გამოიწვევს, არამედ მაშინაც, როდესაც ბ.-ს ტყვია აცდება, რადგან გერმანიის სსკ-ის 223-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის შესაბამისად, გათვალისწინებულია მარტივი ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობის დასჯადობა.[875]

სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა დაისაჯოს შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობა. არსებობს ისეთი შემთხვევები, სადაც დამნაშავე მაკვალიფიცირებელ შედეგს უკვე ძირითადი დელიქტის მცდელობის განხორციელების შედეგად აღწევს, მაშინ, როდესაც იგი შედეგთან მიმართებაში გაუფრთხილებლობით მოქმედებს. ნაწილობრივ აღიარებულია, რომ ამ შემთხვევებში, დამნაშავე მხოლოდ ძირითადი დელიქტის მცდელობისათვის აგებს პასუხს, რადგან, ცნობილია, რომ მცდელობა განზრახვის გარეშე არ არსებობს.[876]

კვალიფიციური შედეგის გამოწვევის მცდელობა ორი წინაპირობით არის შეზღუდული. **პირველი** მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავემ მძიმე შედეგი განზრახ უნდა გამოიწვიოს და არა გაუფრთხილებლობით, რადგან გაუფრთხილებლობით მცდელობას სისხლის სამართალი არ იცნობს. მაშასადამე, ზემოთ დასახელებული მაგალითიდან გამომდინარე, დაზარალებულისათვის საფრთხის შექმნა სსკ-ის 226-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის 1-ლი ქვეაბზაცი მცდელობის დასჯადობისათვის არ არის საკმარისი. **მეორე** გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ განზრახვის არსებობისას მძიმე შედეგის განზრახ გამოწვევა უნდა დაუშვას. მაგალითად, როდესაც დამნაშავე მოკვლის განზრახვით იარაღიდან ესვრის დაზარალებულს, მაგრამ ტყვიას მის გვერდით მყოფს მოახვედრებს და ჯანმრთელობას დაუზიანებს, ქმედება შეფასდება განზრახ მკვლელობის მცდელობად გერმანიის სსკ-ის 22-ე, 211-ე, 212-ე პარაგრაფების ფარგლებში და არა ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეულ სასიკვდილო შედეგის მცდელობად, სსკ-ის 22-ე, 227-ე პარაგრაფების საფუძველზე.

პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც სასამართლომ პიროვნების მიმართ გამოიყენა „ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების" (სსკ-ის 226-ე პარაგრაფი) შემადგენლობა „სიცოცხლისათვის საშიში საშუალებების გამოყენებით ჯანმრთელობის დაზიანების" (სსკ-ის 224-ე პარაგრაფი) შემადგენლობასთან იდეალურ ერთობლიობაში.[877]

3. 2. თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობა

გერმანიის ადრეული სისხლის სამართალი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობას განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციის დროს საერთოდ გამორიცხავდა, რადგან მიაჩნდა, რომ მცდელობის დროს დანაშაულის ყველა ნიშანი, მათ შორის შედეგიც, დამნაშავის განზრახვით უნდა იყოს მოცული. ამიტომ კანონმდებელი მხოლოდ ძირითადი დელიქტის დამთავრებას

875 იხ. *Wessels, Beulke*, AT (2012), გვ. 238-239.

876 იქვე.

877 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 437-438.

აღიარებდა.[878] თუმცა, თანამედროვე სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა და დოგმატიკა თანხმდება იმაზე, რომ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობა (*erfolgsqualifizierte Versuch*) შესაძლებელია.[879]

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობა სახეზეა მაშინ, როდესაც, მართალია, დამნაშავის განზრახვა მაკვალიფიცირებელ შედეგზე არ არის ორიენტირებული, მაგრამ შედეგი დგება უკვე ძირითადი შემადგენლობის განხორციელების პროცესში (მცდელობის მომენტში). მაშასადამე, თანამდევი შედეგის დადგომას ჯერ კიდევ ძირითადი დელიქტის დამთავრებამდე აქვს ადგილი. ამასთან, დასაშვებია მძიმე შედეგის გამონვევა როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით.[880]

მიუხედავად ასეთი შეფასებისა, **თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ** დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხზე არსებობს განსხვავებული შეხედულებები. გაბატონებული შეხედულება დანაშაულის შემადგენლობების დიფერენციაციას ახდენს, რათა გამოიკვეთოს ის ტენდენციები, რომელიც შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტების მცდელობას შესაძლებლად აქცევს.[881] ეს ეხება ასევე ისეთ შემთხვევებს, სადაც ძირითადი დელიქტი გადაცდომის ხასიათს ატარებს.[882]

სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დაუშვებელია ქმედების მცდელობად შეფასება მაშინ, როდესაც ძირითადი დელიქტი მცდელობის ეტაპზეა შენყვეტილი, ხოლო მძიმე შედეგი უკვე სახეზეა. მაგალითად, დამნაშავე ყაჩაღობის დროს გამოყენებული ძალადობით (იარაღს დახმარებით) დაზარალებულს გაუფრთხილებლობით უსპობს სიცოცხლეს, ისე რომ დამნაშავე ვერ ახერხებს დაზარალებულის ნივთების დაუფლებას. დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაეკისრება გერმანიის სსკ-ის 22-ე, 249-ე, 250-ე და 251-ე პარაგრაფების საფუძველზე[883], რომელიც ითვალისწინებს ყაჩაღობის მცდელობას იარაღის გამოყენებით, რამაც გამოიწვია ადამიანის სიკვდილი.[884]

ასეთი შეფასების კრიტიკა ეფუძნება იმას, რომ განზრახვა მცდელობის დროს მაკვალიფიცირებელ ნიშნებსაც უნდა მოიცავდეს. მართალია, ეს კარგი არგუმენტია, მაგრამ ამავდროულად რთულად გასაგები, რადგან, როგორც ცნობილია, გერმანიის სსკ-ის მე-18 პარაგრაფი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში შედეგის მიმართ განზრახვას არ მოითხოვს.[885] გარდა ამისა, თავად გერმანიის სსკ-ის 251-ე პარაგრაფშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ

878 იხ. *Bacher* (1999), გვ. 86.

879 იხ. *Bacher* (1999), გვ. 88.

880 იხ.: *Ferschl* (1999), გვ. 319; *Bacher* (1999), გვ. 7.

881 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 308.

882 იხ. *Wörner-Hofer* (2008), გვ. 116.

883 გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში ცალ-ცალკე შემადგენლობებად არის მოცემული ჩვეულებრივი ყაჩაღობა (სსკ-ის 249-ე პარაგრაფი), იარაღის ან სხვა საშიში საშუალებების გამოყენებით ჩადენილი ყაჩაღობა (სსკ-ის 250-ე პარაგრაფი) და სსკ-ის 249-ე და 250-ე პარაგრაფებით გათვალისწინებული ყაჩაღობა, რამაც მინიმუმ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიკვდილი (სსკ-ის 251-ე პარაგრაფი).

884 იხ. *Bacher* (1999), გვ. 93.

885 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 443.

დამნაშავე მძიმე შედეგის მიმართ მინიმუმ გაუფრთხილებლობით მაინც უნდა მოქმედებდეს.

სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ საჭიროა განსაკუთრებული საკანონმდებლო რეგულირება, კერძოდ, ისეთი ნორმის შემოღება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ე. წ. შედეგით დამძიმებული ძირითადი დელიქტის მცდელობის დასჯადობა.[886]

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას სასამართლო პრაქტიკა შესაძლებლად მიიჩნევს. მაგალითად, სსკ-ის 227-ე პარაგრაფით, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზიანებას სასიკვდილო შედეგით, დასაშვებია დანაშაულის მცდელობა, რადგან გერმანიის სსკ-ის 227-ე პარაგრაფი არა მარტო შედეგს, არამედ უკვე სხეულის დამაზიანებელ ქმედებასაც მოიცავს.[887] ეს იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის 227-ე პარაგრაფის შემთხვევაში, მართალია, სპეციფიკური საფრთხის არსებობაა საჭირო, თუმცა ასეთი საფრთხე უკვე საშიში ქმედების განხორციელებით მხედველობაში მიიღება.[888]

ზოგჯერ სადავოა ისეთი შემთხვევები, როდესაც გაუფრთხილებლობით გამოსაწვევი შედეგი არ დგება. მაგალითად, ა. იარაღს უმიზნებს ბ. ფეხებში. მას სურს ბ.-ს ჯანმრთელობის დაზიანება, რათა შემდეგ ადვილად შეძლოს მისთვის ნივთების წართმევა. ამავდროულად, ა. ხედავს, რომ ამით ბ.-ს სიკვდილის საფრთხე (სსკ-ის 251-ე პარაგრაფი) ემუქრება. დამნაშავე გამოკრავს ჩახმახს, მაგრამ იარაღი დატენილი არ აღმოჩნდება.[889] ასეთ შემთხვევაში, გერმანელ სისხლის სამართლის მეცნიერთა ნაწილი უარყოფს მცდელობის შესაძლებლობას და მიუთითებს იმაზე, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვევს აღრევას განზრახ ქმედების მცდელობასა და გაუფრთხილებლობით შექმნილ საფრთხეს შორის. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მცდელობის დროს არ არის აუცილებელი საფრთხე რეალურად არსებობდეს, არამედ საკმარისია, თუ საფრთხე დამნაშავის წარმოდგენაში იქნება. დასახელებულ მაგალითში, ვინაიდან სიკვდილის გამოწვევის რეალური საფრთხე არ არსებობს, ეს არ გამორიცხავს აღნიშნული ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასების შესაძლებლობას.[890]

ზოგჯერ გაუგებრია იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობას პრობლემურად მიიჩნევენ მაშინ, როდესაც დამნაშავე მძიმე შედეგის მიმართ მოქმედებს განზრახ და არა გაუფრთხილებლობით. მათი აზრით, ასეთ დელიქტებში მცდელობის დროს მძიმე შედეგის მიმართ დამნაშავეს მხოლოდ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება უნდა გააჩნდეს.[891]

---

886 იხ. *Herzberg*, FS Knut Amelung (2009), გვ. 162.

887 იხ. *Heger*, JA (2008), გვ. 861.

888 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 311.

889 ეს შემთხვევა ძალიან ნაგავს კვალიფიციური შედეგის გამოწვევის მცდელობის შემთხვევას, თუმცა ამ უკანასკნელის დროს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დამნაშავეს შედეგის მიმართ უნდა გააჩნდეს განზრახვა.

890 შეად. *Herzberg*, FS Knut Amelung (2009), გვ. 164.

891 იხ. *Bacher* (1999), გვ. 109.

ასეთი შეხედულება არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები პირდაპირ მიუთითებენ მძიმე შედეგის განზრახვით გამოწვევაზე. ამის მაგალითად გამოდგება ზემოთ უკვე დასახელებული სსკ-ის 251-ე პარაგრაფი, რომლის შინაარსიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ მძიმე შედეგის მიმართ დამნაშავეს, შესაძლებელია, განზრახვაც გააჩნდეს.

თუკი დასაშვებია თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა, მაშინ ისმის შეკითხვა, რა მომენტიდან ხდება დანაშაულის მცდელობის დაწყების ათვლა? ამ კითხვაზე სასამართლო პრაქტიკა ასე პასუხობს: ქმედების უშუალოდ დაწყებისთვის აუცილებელი არ არის დამნაშავის მიერ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნის განხორციელება. საკმარისია, რომ დამნაშავე ითვალისწინებდეს ქმედებებს, რომლებიც მისი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ნიშნის განხორციელებას წინ უსწრებს და ამავდროულად, დანაშაულის შემადგენლობას მიეკუთვნება.[892]

3. 3. შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში დანაშაულის მცდელობის ირგვლივ აღმოცენებული თეორიები

3. 3. 1. შედეგის საშიშროების თეორია

„შედეგის საშიშროების თეორიის" მიხედვით, შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულებში ძირითადი დელიქტი აუცილებლად **დამთავრებული** უნდა იყოს, რადგან შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მძიმე შედეგში სწორედ ძირითადი დელიქტის ნიაღში არსებული განსაკუთრებული საფრთხე ჰპოვებს ასახვას. რადგან ძირითადი დელიქტის მცდელობის დროს შედეგი ჯერ კიდევ არ არის სახეზე, ამიტომ, გამოდის, რომ ამ სიტუაციას აუცილებელი „შუალედური შედეგი" აკლია. მაშასადამე, საფრთხეზე დაფუძნებული ძირითადი დელიქტის შედეგი ფაქტობრივად განხორციელებული უნდა იყოს. მაგალითად, ა. ყაჩაღობის დროს, მუშტს ჩაარტყამს ბ., რის შედეგად ბ.-ე ძირს დავარდება და მოკვდება. ხოლო საფულე, რომლის დაუფლებაც ა.-ს ჰქონდა განზრახული, ბ.-ს არ აღმოაჩნდება ჯიბეში. ა.-ს ქმედება, მოცემული თეორიის თანახმად, უნდა შეფასდეს ყაჩაღობის მცდელობად (სსკ-ის 22-ე, 229-ე პარაგრაფები) და დამთავრებულ ჯანმრთელობის დაზიანებად სასიკვდილო შედეგით (სსკ-ის 227-ე პარაგრაფი), დანაშაულთა ერთობლიობით. სისხლის სამართლის დოგმატიკაში სამართლიანად მიუთითებენ იმის თაობაზე, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია არ არის სრულყოფილი და ეწინააღმდეგება გერმანიის სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-2 აბზაცის შინაარსს. დასახელებული პარაგრაფის მიხედვით, შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი განზრახ დანაშაულს ნარმოადგენს და გარდა ამისა, ამ ნორმის არსიდან გამომდინარეობს შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხი.[893] დღეისათვის, „შედეგის საშიშროების თეორიას" საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტის გამო, აღარ ჰყავს

892 იხ. *BGHSt* 48, გვ. 35-36.

893 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 309.

მომხრეები.[894]

3. 3. 2. ქმედების საშიშროების თეორია

„ქმედების საშიშროების თეორიის" მიხედვით, შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის შემადგენლობის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ძირითადი დელიქტი მცდელობის სტადიაზე შეწყდება, ხოლო მძიმე შედეგი განხორციელდება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს კონკრეტულად რომელ დელიქტს ეხება საქმე. ამით ის საბუთდება, რომ მძიმე შედეგით ქმედებაში არსებული საფრთხე ხორციელდება. აღნიშნული თეორიის თანახმად, ძირითადი დელიქტის მცდელობა აუცილებლად უნდა დაისაჯოს. ეს შეხედულება იმ შედეგამდე მიდის, რომ მძიმე შედეგის გამოწვევის დროს სავსებით შესაძლებელია შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობა. ამიტომ ამ თეორიის მიხედვით, „შედეგის საშიშროების თეორიაში" დასახელებულ მაგალითში, ა. ქმედება უნდა შეფასდეს ყაჩაღობის მცდელობად, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი (სსკ-ის 22-ე, 251-ე პარაგრაფები) და დამთავრებულ ჯანმრთელობის დაზიანებად სასიკვდილო შედეგით (სსკ-ის 227-ე პარაგრაფი), დანაშაულთა ერთობლიობით.[895]

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „ქმედების საშიშროების თეორია", „შედეგის საშიშროების თეორიასთან" შედარებით, უფრო ზუსტ კვალიფიკაციას იძლევა.

3. 3. 3. უშუალო კავშირის თეორია

„უშუალო კავშირის თეორიის" მიხედვით, დამნაშავეს მძიმე შედეგი, შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ შეერაცხოს, როდესაც სახეზეა უშუალო კავშირის დამყარებისათვის აუცილებელი მოთხოვნები. ამის შესაბამისად, აღმოცენდება მცდელობის დასჯადობის საკითხი, კერძოდ, თუ კი რისკის შექმნის წინაპირობები, შესაძლებელია, არსებობდეს, როგორც მაკვალიფიცირებელი შედეგის გამომწვევი მცდელობის დროს, ასევე დამთავრებული ძირითადი დელიქტის დროს, მაშინ დასაშვებია მცდელობა მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევის დროს. თუ კი მარტო ძირითადი დელიქტის შედეგს შეუძლია უშუალო კავშირის დამყარება, მცდელობა მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევის დროს უნდა გამოირიცხოს, რადგან ძირითადი დელიქტის შედეგი მხოლოდ დამთავრებული ძირითადი დელიქტის დროს მტკიცდება. მაშასადამე, სწორედ უშუალო კავშირის მონაწილეობით განისაზღვრება, თუ რამდენად შესაძლებელია მცდელობა მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევის დროს.[896]

3. 3. 4. დიფერენციაციის თეორია

მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის მცდელობის დასაბუთების საკითხს „დიფერენციაციის თეორია" (გაბატონებული მოძღვრება) სხ-

894 იხ. *Roxin,* AT (2003), გვ. 440.
895 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 308-309.
896 იხ. *Ferschl* (1999), გვ. 321.

ვაგვარად უდგება. იგი ამოდის იქედან, რომ შესაბამისი დელიქტის სტრუქტურის გათვალისწინებით, დანაშაულის ძირითადი შემადგენლობისათვის დამახასიათებელი საშიშროება, დანაშაულის შემადგენლობის შედეგს ან უკვე დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებას ეფუძნება.[897] ამდენად, თუ მძიმე შედეგი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების საშიშროებასთან არის დაკავშირებული, მაშინ მცდელობა ასეთ დროს შესაძლებელია, მაგრამ, პირიქით, თუ კი მძიმე შედეგი ძირითადი ქმედებით გამოწვეულ შედეგთან არის კავშირში, მაშინ მცდელობა გამორიცხულია.[898] მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 178-ე პარაგრაფი ითვალისწინებს გაუპატიურებას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიკვდილი. ამ დანაშაულის შემადგენლობის შედეგი, ამ შემთხვევაში სქესობრივი კავშირი, როგორც ნესი, სიცოცხლისათვის არ არის საშიში და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება გახდეს სიკვდილის გამოწვევის მიზეზი (მაგალითად, როდესაც დაზარალებული გულით ავადმყოფია). თუმცა გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე გამოყენებული ძალადობა საშიშია დაზარალებულის სიცოცხლისათვის. სწორედ ამიტომ, ასეთ დანაშაულებში შედეგით კვალიფიკაცია დაკაშვირებული უნდა იყოს არა ქმედების „შუალედური შედეგთან"[899] (მაგალითად, სქესობრივ კავშირთან), არამედ გამოყენებულ ძალადობასთან. სწორედ ამ საკითხის მართებულად შეფასებაზეა დამოკიდებული მცდელობის პრობლემის გადაწყვეტა შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში. ამიტომ, გერმანიის სსკ-ის 178-ე პარაგრაფის მცდელობა სახეზე იქნება მაშინ, როდესაც დამნაშავე სქესობრივი კავშირის დამყარებას ვერ შეძლებს დაზარალებულთან მისი სიკვდილის შემდეგ. ანალოგიურად გადაწყდება საკითხი ყაჩაღობის დროს, როდესაც ქმედებას ადამიანის სიკვდილი მოჰყვება (სსკ-ის 251-ე პარაგრაფი).[900]

„დიფერენციაციის თეორია" გაკრიტიკებულია ზოგიერთი მეცნიერის მიერ. მათთვის მიუღებელია ისეთი დიფერენციაცია, რომელიც მუდამ შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურისა და აგებულების შესახებ ცალკეულ ანალიზს მოითხოვს. ამას ადასტურებს ის, რომ „დიფერენციაციის თეორიის" ფარგლებში სადავოა მცდელობის შესაძლებლობის საკითხი, მაგალითად, სსკ-ის 227-ე პარაგრაფის დროს (ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით). სადავოა, სსკ-ის 227-ე პარაგრაფის დროს მძიმე შედეგი ძირითადი დელიქტის შედეგთან უნდა იყოს კავშირში (ამ დროს მცდელობა გამორიცხულია), თუ ქმედების საშიშროებაზე უნდა იყოს მიბმული (ამ შემთხვევაში მცდელობა დასაშვებია). მაშინ, როდესაც სსკ-ის 227-ე პარაგრაფში მცდელობის არსებობა მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევის დროს სისხლის სამართლის ლიტერატურაში უარყოფილია, ფედერალურმა სასამართლომ აქ მცდელობა შესაძლებლად მიიჩნია.[901]

---

897 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 440.

898 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 310.

899 ძალადობას, შესაძლებელია, ეწოდოს შედეგის ნაწილი, ან შუალედური შედეგი. იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 442. სქოლიო 343.

900 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 441-442.

901 იხ.: *Heinrich*, AT (2012), გვ. 311; *BGHSt* 48, გვ. 37.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტების მცდელობა, როდესაც ძირითადი დელიქტის მცდელობისას ქმედება გაუფრთხილებლობით მძიმე შედეგს ინვევს, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია. ამიტომ, შეხედულებას, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში უარყოფს მცდელობის შესაძლებლობას იმ მოტივით, რომ ძირითადი დელიქტის განზრახვა მაკვალიფიცირებელ შედეგსაც უნდა მოიცავდეს,[902] უარყოფილია გერმანიის სსკ-ის მე-18 პარაგრაფისა[903] და მე-11 პარაგრაფის მე-9 აბზაცის მე-2 ქვეაბზაცის შინაარსის საფუძველზე.

§4. დანაშაულის მცდელობის საკითხი დანაშაულის მომზადებისა და ე. წ. შეკვეცილ-ფორმალურ დელიქტებში, *actio* და *omissio libera in causa*-ს შემთხვევაში

საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა მცდელობის დასჯადობა მომზადებისა და ე. წ. შეკვეცილ-ფორმალურ (*Unternehmen*) დელიქტებში (ე. წ. მცდელობის მცდელობა), გერმანულს სისხლის სამართალში სხვადასხვანაირად ნყდება.[904]

სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ე. წ. *დამოკიდებულ მოსამზადებელ ქმედებებში*[905] დანაშაულის მცდელობა არ არის შესაძლებელი, რადგან ასეთ დანაშაულებში „ვარგისი მცდელობა" უკვე თავად ეს დანაშაულია, თუმცა, თეორიულად დასაშვებია მომზადების დროს უვარგისი მცდელობის არსებობა. რაც შეეხება ე. წ. *დამოუკიდებელ მოსამზადებელ ქმედებებს (delictum sui generis)*, ამ დროს მცდელობა პრინციპულად შესაძლებელია. გერმანიის სსკ-ის 267-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქმედებებისათვის, კერძოდ, ყალბი დოკუმენტების დამზადებისათვის, ან ნამდვილი დოკუმენტების გაყალბებისათვის ანდა მათი გამოყენებისათვის. სსკ-ის 267-ე პარაგრაფის ეს აბზაცი სამართლებრივი სიკეთის დაცვის თვალსაზრისით, სწორედ მოსამზადებელ ქმედებებს შეიცავს, ხოლო ამ პარაგრაფის მე-2 აბზაცში საუბარია 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული ქმედებების მცდელობაზე. მაშასადამე, გამოდის, რომ დამოუკიდებლად დასჯად მოსამზადებელ ქმედებებში მცდელობის არსებობა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. მაგრამ ამით ის არ არის ნათქვამი, რომ ყველა შემთხვევაში ასე უნდა შეფასდეს საკითხი, არამედ უმეტეს შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი პარაგრაფების ანალიზი.[906] მაგალითად, სახელმწიფო გადატრიალების მომზადების (სსკ-ის 83-ე პარაგრაფი)[907] მცდელობა არ არის შესაძლებელი,

902 ასეთ პოზიციას ავითარებდა ჰარდტუნგი, იხ. *Hardtung* (2002), გვ. 200-2002.
903 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 443.
904 იქვე.
905 მოსამზადებელი ქმედებების დაყოფის შესახებ იხილეთ დისერტაციის მე-3 კარში.
906 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 444-445.
907 გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ე. წ. შეკვეცილ-ფორმალური დელიქტი ისტორიულად პირველად სახელმწიფოს გადატრიალების შემადგენლობების

რადგან კანონმდებელმა დასჯადობა წინარე ეტაპზე გადაწია და, შესაბამისად, მცდელობის სტადიაც მოიცვა.[908] იმ შემთხვევაში, თუკი ამ დანაშაულში ადგილი ექნება უვარგისობის მომენტს, მაშინ დასჯადობის საკითხი საერთოდ არ დაისმება.[909]

რაც შეეხება დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხს ე. წ. *შეკვეცილ-ფორმალურ დელიქტებში (Unternehmen)*,[910] უარყოფითად წყდება, რადგან ისინი ისეთი საკანონმდებლო კონსტრუქციით გამოირჩევა, სადაც მცდელობა და დამთავრება ერთმანეთს ემთხვევა.[911]

დანაშაულის შემადგენლობების ასეთი სტრუქტურის შექმნა აიხსნება მათ მიმართ გამოხატული მკაცრი სისხლისსამართლებრივი რეაქციით. ე. წ. შეკვეცილ-ფორმალური (*Unternehmen*) დელიქტები არის ისეთი დელიქტები, სადაც მცდელობა და დამთავრება ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ აქ, მცდელობის მცდელობა, როგორც უკვე ითქვა, დაუშვებელია. თუმცა, უვარგისი საშუალებით, ან უვარგის ობიექტზე მცდელობის შემთხვევებში შეკვეცილ-ფორმალური დელიქტები ჩვეულებრივად ისჯება.[912]

მაშასადამე, *ნამდვილ შეკვეცილ-ფორმალურ* (*echten Unternehmen*) დელიქტებში (მაგალითად, სსკ-ის 81-ე, 82-ე, 108-ე „ე" და სხვა პარაგრაფები) მცდელობის შესაძლებლობა გამორიცხულია, რადგან კანონმდებელმა დანაშაულის მცდელობა უკვე დამთავრებულ დანაშაულად გამოაცხადა და ამით მცდელობა და დამთავრება ერთმანეთს გაუთანაბრა. ამიტომ, მცდელობის მცდელობა არ შეიძლება. ის, ვინც ასეთ დანაშაულებში მცდელობის შესაძლებლობას აღიარებს და, შესაბამისად, მის დასჯას მოითხოვს, მაშინ მან მომზადების სტადია დასჯადად უნდა გამოაცხადოს, რაც ყოვლად დაუშვებელია გერმანული სისხლის სამართლისათვის. რაც შეეხება *შერეულ შეკვეცილ-ფორმალურ* (*unechten Unternehmen*) დელიქტებს, აქ მცდელობის არსებობა შესაძლებელია, თუმცა გააჩნია სიტუაციებს.[913] მაგალითად, სსკ-ის 292-ე პარაგრაფი ითვალისწინებს უკანონო ნადირობას და წარმოადგენს შერეულ შეკვეცილ-ფორმალურ დელიქტს. თუ დამნაშავე ნადირს კვალში ჩაუდგება, დაიჭერს ან მოკლავს მას, ისჯება დასახელებული პარაგრაფით. სსკ-ის 292-ე პარაგრაფის დამთავრებისათვის საკმარისია, თუ დამნაშავე ერთ-ერთ რომელიმე ქმედებას განახორციელებს.[914]

სახით ჩამოყალიბდა (გერმანიის სსკ-ის 81-ე და 82-ე პარაგრაფები), როდესაც კანონმდებელმა სახელმწიფოსთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ქმედებები, უკვე ადრეულ ეტაპზე დამთავრებულ დასჯად ქმედებებად გამოაცხადა. ასეთი საკანონმდებლო ტექნიკა, შემდგომში უკვე სხვა შემადგენლობების ჩამოყალიბების დროსაც იქნა გამოყენებული. იხ. *Frister*, AT (2011), გვ. 304.

908 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 524.

909 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 596.

910 ერთმანეთისაგან განასხვავებენ ნამდვილ (echte) და შერეული სახის (unechte) ე. წ. შეკვეცილ-ფორმალური სახის დელიქტებს. ამის შესახებ იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1433.

911 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 121.

912 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 526-527.

913 იხ.: *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 596; *Jakobs* (1991), გვ. 706-707.

914 იხ. *Fischer* (2012), გვ. 2112, 2114.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასახელებულია უკანონო ნადირობის ისეთი მაგალითი, სადაც მეცნიერები მცდელობის შესაძლებლობას უშვებენ. მაგალითად, დამნაშავე, რომელიც ტყეში ნადირის კვალს მიჰყვება და ჰგონია, რომ მელიის კვალია, სინამდვილეში ძაღლის კვალს მიჰყვება, იგი ჩადის უკანონო ნადირობის მცდელობას (სსკ-ის 22-ე, 292-ე პარაგრაფები),[915] რადგან ამ სახის დელიქტებს მიკუთვნებული დანაშაულის შემადგენლობებში მცდელობის დასჯადობა ძირითადად დამოკიდებულია სასჯელის მუქარაზე (დასჯის პოლიტიკაზე).

დასახელებულ შემთხვევებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხის გარკვევის შემდეგ, მიზანშეწონილია, გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა დანაშაულის მცდელობას ჰქონდეს ადგილი ე. წ. ***actio*** და ***omissio libera in causa***-ს შემთხვევებში.

რაც შეეხება ***actio libera in causa***-ს,[916] მართალია, იგი კანონით არ რეგულირდება, მაგრამ ჩვეულებითი სამართლით აღიარებულ გამონაკლისს წარმოადგენს.[917] მასში იგულისხმება ისეთი ქცევა, როდესაც დამნაშავე წინასწარ ჩაიგდებს თავს შეურაცხად მდგომარეობაში, მაგალითად, დიდი ოდენობით მიიღებს ალკოჰოლურ სასმელს და მთვრალ მდგომარეობაში განახორციელებს დანაშაულს. მოცემულ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაცული არ არის ე. წ. **დროში თანხვედრის პრინციპი**, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები სულ მცირე დანაშაულის განხორციელების დაწყების მომენტში ერთდროულად უნდა იყოს სახეზე.[918]

თუმცა ამ საკითხზე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განსხვავებული პოზიციაც არსებობს, რომლის თანახმად, შედეგის გამოწვევის მომენტში არ არის აუცილებელი, რომ ბრალუნარიანობა სახეზე იყოს, არამედ საკმარისია, რომ იგი დამთავრებული მცდელობის მომენტში არსებობდეს.[919]

განზრახი ***actio libera in causa***-ს შემთხვევებში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ როდის აქვს ადგილი დანაშაულის მცდელობას, ე. ი. მაშინ, როდესაც დამნაშავემ ბრალუუნარო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, შემდგომში დანაშაულის ჩადენის მიზნით, თუ მაშინ, როდესაც დამნაშავემ ასეთ მდგო-

---

915 იხ. *Jakobs* (1991), გვ. 707.

916 `***actio libera in causa***~ იგივეა რაც `***actio libera in causa sed non libera in actu***~. ეს ნიშნავს ისეთ ქცევას, რომელიც დასაწყისში თავისუფალია და არა მისი განხორციელების მომენტში. იხ. *Heinrich*, AT (2012). გვ. 270.

917 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ითვალისწინებს 323-ე „ა" პარაგრაფს, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას განზრახ ან გაუფრთხილებლობით მძიმე დათრობისათვის, როდესაც პირი ასეთ მდგომარეობაში ჩაიდენს დანაშაულს და მას ამისათვის პასუხისმგებლობა ვერ ეკისრება ბრალუუნარობის გამო. აღნიშნული შემადგენლობა ***actio libera in causa***-გან იმით განსხვავდება, რომ დამნაშავეს კონკრეტული დანაშაულის ჩადენა არ უნდა ჰქონდეს წინასწარ განზრახული, ვიდრე ბრალუუნარო მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს. იხ. *Fischer* (2012), გვ. 2280. მაგრამ თუ ქმედების ჩადენა დამნაშავეს წინასწარ აქვს დაგეგმილი, მაშინ ადგილი ექნება განზრახ ***actio libera in causa***-ს, იხ. *Heinrich*, AT (2012). გვ. 276.

918 იხ. *Kindhäuser*, მე-4 გამოცემა (2010), გვ. 203-204.

919 იხ. *Horn*, GA (1969), გვ. 292.

მარეობაში დაიწყო დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის დოგმატიკაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა მოდელი, საიდანაც უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებს **„ადრეულ ეტაპზე ქმედების დასჯადობის გადატანის მოდელი"**, იგივე ,დანაშაულის შემადგენლობის მოდელი" და **„საგამონაკლისო მოდელი"**. ორივე მოდელს ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მონინააღმდეგეები.[920]

განზრახი *actio libera in causa* და, შესაბამისად, *omissio libera in causa*-ს შემთხვევებში მცდელობის დაწყება დამოკიდებულია ამ ფიგურის დოგმატურ კონსტრუქციაზე. ამიტომ დანაშაულის მცდელობის საკითხი *actio libera in causa*-ს დროს იმის მიხედვით წყდება, თუ რომელი მოდელის საფუძველზე მოხდება ქმედების შეფასება.[921]

„ადრეულ ეტაპზე ქმედების დასჯადობის გადატანის მოდელს" ადრეულ სასამართლო პრაქტიკაში და სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული ადგილი ეკავა.[922]

დასახელებული მოდელის მიხედვით, მცდელობა იწყება მაშინ, როდესაც დამნაშავე წინასწარ ჩაიყენებს თავს ბრალუუნარო მდგომარეობაში. მაშასადამე, „დანაშაულის შემადგენლობის მოდელს" მცდელობის დაწყება ადრეულ ეტაპზე გადააქვს *(actio praecendens)*. მაგალითად, დამნაშავე ალკოჰოლურ სასმელს დიდი ოდენობით იღებს იმ მიზნით, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინოს მკვლელობა. ამიტომ, ის, ვინც ამ თეორიას ემხრობა, იგი მკვლელობის მცდელობად მიიჩნევს უკვე ბრალუუნარო მდგომარეობაში თავის ჩაგდების დაწყების მომენტს.[923] აქედან კი ისეთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ დანაშაულის მცდელობის ათვლის წერტილი, „დანაშაულის შემადგენლობის მოდელის" მიხედვით, დანაშაულის მომზადების სტადიაზეა გადატანილი, რაშიც ამ თეორიის მომხრეები პრობლემას ვერ ხედავენ, რადგან მიაჩნიათ, რომ *actio libera in causa*-ს დროს მოსამზადებელი ქმედებები, ჩვეულებრივი მოსამზადებელი ქმედებებისგან განსხვავებით, უღირსობის იმდენად მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, რომ ისინი უკვე დანაშაულის მცდელობად უნდა განიხილებოდეს.[924] ამ საკითხში ზოგიერთი მეცნიერი შორს მიდის და მკვლელობის მცდელობად უკვე ისეთ ქმედებას მიიჩნევს, როდესაც დამნაშავე მკვლელობის ჩადენის განზრახვით სახლში მაგრად დათვრება და მთვრალ მდგომარეობაში მყოფს მას სახლი ჯერ კიდევ არ დაუტოვებია. თუმცა აქვე მიუთითებენ იმ პრობლემაზე, რომელიც წარმოიშობა მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულისათვის უშუალო საფრთხის შექმნის არ არსებობის გამო.[925]

ამ თეორიის სასარგებლოდ ზოგიერთი მეცნიერი დამთავრებული მცდელობის მომენტის განსაზღვრისათვის შუალობით ამსრულებლობის დროს მოქმედ წესებზე მიუთითებს, რომლის მიხედვითაც, ბრალუუნარობისათვის

---

920 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1564.
921 იხ. *Satzger, Schmitt, Widmaier* (2009), გვ. 201.
922 იხ. *Heinrich*, AT (2012). გვ. 271.
923 იხ. *Horn*, GA (1969), გვ. 305.
924 იხ. *Horn*, GA (1969), გვ. 299.
925 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 421.

აუცილებელია ბოლო აქტის შესრულება, როდესაც შუალობითი ამსრულებელი მოვლენებს გაუშვებს ხელიდან.[926]

ვინაიდან დასახელებულ თეორიას ძალზედ შორს გადააქვს დასჯადობის ფარგლები, ამიტომ ამ თეორიის ფარგლებში თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართალში განვითარდა **„ადრეულ ეტაპზე ქმედების დასჯადობის გადატანის შეზღუდული მოდელი“**. დასახელებულმა მოდელმა ყურადღება გაამახვილა ცალკეული დელიქტის სახეებზე. საქმე ეხება ისეთ დელიქტებს, რომლებიც ისეთი ზუსტი და სპეციფიკური კონსტრუქციით გამოირჩევა, რომ აქ შეუძლებელია საუბარი ქმედების შემადგენლობის დაწყებაზე მანამ, ვიდრე უშუალოდ არ შესრულდება ამ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი. ასეთია, მაგალითად, სსკ-ის 316-ე პარაგრაფი, რომელიც ანესებს პასუხისმგებლობას იმ პირისათვის, რომელიც მთვრალი მართავს სატრანსპორტო საშუალებას. ამიტომ თუ დამნაშავე დათვრა, მაგრამ ვერ შეძლო საჭესთან დაჯდომა, შეუძლებელია, დათრობის მომენტი ჩაითვალოს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებად. ამის გარდა, დასახელებული მოდელი *actio libera in causa*-ს შემთხვევას „შუალობით ამსრულებლობას“ ადარებს, რადგან მოცემულ სიტუაციაში დამნაშავე იქცევა „იარაღად“, როდესაც იგი მთვრალ მდგომარეობაში რაიმე უმართლობას ახორციელებს. აქედან გამომდინარე, „ადრეულ ეტაპზე ქმედების დასჯადობის გადატანის შეზღუდული მოდელი“ ლოგიკურად ასკვნის, რომ ვინაიდან საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების განხორციელება შუალობითი ამსრულებლობით არ არის შესაძლებელი, ამიტომ აქ *actio libera in causa*-ს არსებობა გამოირიცხება.[927]

„ადრეულ ეტაპზე ქმედების დასჯადობის გადატანის შეზღუდული მოდელის“ თანახმად, დანაშაულის მცდელობის დაწყებისათვის საკმარისია, თუ კი დამნაშავე მოვლენებს გაუშვებს ხელიდან. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა იწყება არა სასმელის მიღების მომენტიდან, არამედ მაშინ, როდესაც დამნაშავე ბრალუუნაროობის ზღვარს გადააბიჯებს. ამასთან, დამნაშავის განზრახვას კოკრეტული სახე უნდა ჰქონდეს. ამიტომ თუ დამნაშავე დათვრა იმ მიზნით, რომ სიმთვრალეში რაიმე ქმედება ჩაიდინოს, ეს არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მას განზრახი დანაშაულისათვის დაეკისროს პასუხისმგებლობა. მაგალითად, ა. დათვრა იმ მიზნით, რომ მთვრალ მდგომარეობაში ადვილად შეუძლია დანაშაულის ჩადენა, მაგრამ მისთვის სულერთია რას ჩაიდენს, ყაჩაღობას, მკვლელობას, თუ სხვა დანაშაულს. ა. მთვრალ მდგომარეობაში მოკლა ბ. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას, რადგან ა., ალკოჰოლის მიღების მომენტში, კონკრეტული განზრახვა არ გააჩნდა. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავეს დაზარალებული ინდივიდუალურად ჰყავდეს წარმოდგენილი.[928]

„დანაშაულის შემადგენლობის მოდელს“ სისხლის სამართლის დოგმატიკა ეჭვის თვალით უყურებს, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, იგი ეწინააღმდეგება **კონციდენტიალურობის** (დროში თანხვედრა) **პრინციპს**. ამიტომ ამ თვალ-

926 იხ. *Jakobs*. AT II (1991), გვ. 508-509.
927 იხ. *Heinrich*, AT (2012). გვ. 272-273.
928 იხ. *Heinrich*, AT (2012). გვ. 276-277.

საზრისით *actio libera in causa*-ს პრინციპს ანტიკონსტიტუციურ პრინციპად განიხილავენ.ჩგარდა ამისა, „დანაშაულის შემადგენლობის მოდელი" წინააღმდეგობაში მოდის გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფის შინაარსთან, რომლის თანახმად, მცდელობის დაწყებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე თავისი წარმოდგენით დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ შეუდგება. აქედან გამომდინარე, დამნაშავე, რომელიც დათვრა იმ მიზნით, რომ რამდენიმე ხანში დანაშაული ჩაიდინოს, ჯერ კიდევ არ იმყოფება მცდელობის სტადიაზე, რადგან იგი ჯერ კიდევ არ შესდგომია დანაშაულის განხორციელებას. ამიტომ ეს თეორია, შეიძლება ითქვას, მცდელობისა და მომზადების საზღვრებს ერთმანეთში ურევს.[929]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში და სასამართლო პრაქტიკაში, *actio libera in causa*-ს პრინციპის დასაბუთების მიზნით, განვითარდა „საგამონაკლისო მოდელი", რომელიც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებას სიმთვრალის მდგომარეობასთან აკავშირებს. აღნიშნული მოდელის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი კოინციდენტიალურობის (დროში თანხვედრის) პრინციპიდან გამონაკლისს უშვებს: დამნაშავე ქმედების განხორციელების დროს მოქმედებს ბრალის გარეშე, მაგრამ მისი არაბრალეულობა მოგვიანებით განხორციელებულ იმ ქცევაზეა გადატანილი, რომელსაც დამნაშავე ისე განახორციელებდა, როგორც ბრალუნარიანი.[930] დასახელებული მოდელი მოითხოვს გერმანიის სსკ-ის მე-20 პარაგრაფიდან, რომელიც პირს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ფსიქიკის დროებითი მოშლილობის მიზეზით ბრალის არარსებობის გამო, გამონაკლისის დაშვებას, რაც სამართლის ბოროტად გამოყენების გათვალისწინებით, ტელეოლოგიური რედუცირების მეთოდის საფუძველზე განხორციელდება.[931] აღნიშნული მოდელის თანახმად, ნინა პლანზე წამოიწევს არა არაბრალეულის ქცევა, არამედ შერაცხვა. მაშასადამე, დამნაშავის ბრალი.[932]

„საგამონაკლისო მოდელის" თანახმად, დამნაშავე დანაშაულის განხორციელებას, შესაბამისად, მცდელობას მაშინ იწყებს, როდესაც იგი დეფექტურ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს და ამით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს შუქმნის საფრთხეს.[933] ლიტერატურაში მიუთითებენ იმის შესახებ, რომ თუ „საგამონაკლისო მოდელი" „ინდივიდუალურ-ობიექტურ თეორიას" დაეყრდნობა, მაშინ შესაძლებელია მცდელობის დაწყების საკითხი უპრობლემოდ დასაბუთდეს. ამდენად, დანაშაულის მცდელობის დაწყებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ბრალუუნარო პირი თავისი წარმოდგენით, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას შეუდგება.[934]

„საგამონაკლისო მოდელი" შეიცავს გარკვეულ პრობლემატურ მომენტებს.

---

929 იხ. *Kindhäuser*, მე-4 გამოცემა (2010), გვ. 206.
930 იხ. *Kindhäuser*, მე-4 გამოცემა (2010), გვ. 204.
931 იხ. *Heinrich*, AT (2012). გვ. 274.
932 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 460.
933 იხ.: *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1564-1565; *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 618.
934 იხ. *Kindhäser*, AT (2013), გვ. 252.

მისი სისუსტე გახლავთ ის, რომ იგი *actio libera in causa*-ს პრინციპს სრული მოცულობით აღიარებს. გარდა ამისა, ამ მოდელის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სსკ-ის მე-20 პარაგრაფიდან გამონაკლისის დაშვება, რასაც დასახელებული მოდელი შესაძლებლად მიიჩნევს, არღვევს კოინციდენტიალურობის პრინციპს, რითაც გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის მე-2 აბზაცთან მოდის წინააღმდეგობაში.[935] ამიტომ ამ მოდელს სისხლის სამართლის მეცნიერებაში დღესდღეობით ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავს.[936]

actio libera in causa-ს პრინციპის დასაბუთების თვალსაზრისით, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დასახელებული მოდელების გარდა, სხვა მოდელებსაც შეხვდებით, მაგალითად, „ბრალის ადრეულ ეტაპზე შეფასების მოდელი", „უმართლობის მოდელი", და „ნორმის მოქმედებასთან შეუთავსებლობის მოდელი".

„ბრალის ადრეულ ეტაპზე შეფასების მოდელის" თანახმად, ბრალზე მსჯელობა შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე წარიმართოს და იგი არ უნდა შემოიფარგლოს შეურაცხის მიერ ქმედების განხორციელების მომენტით. ქმედება, რომელიც დასახელებულია სსკ-ის 20-ე პარაგრაფში, შესაძლებელია, ფართოდ იყოს გაგებული, ვიდრე ეს „დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაა", სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან გამომდინარე. მაშასადამე, ამ შეხედულების თანახმად, ქმედების განხორციელება იწყება უკვე მაშინ, როდესაც დამნაშავე დალევას დაიწყებს. მაშასადამე, იგი მცდელობისა და თრობის დაწყების მომენტს ერთმანეთთან აიგივებს. მოცემული მოდელის ნაკლი ის გახლავთ, რომ, ზემოთ დასახელებული მოდელების მსგავსად, იგი სრულად მოიცავს *actio libera in causa*-ს კონსტრუქციას, რითაც ადრეულ ეტაპზე გადააქვს მცდელობის დასჯადობის საკითხი. სწორედ ამიტომ, იგი მეცნიერების მხრიდან იმსახურებს სამართლიან კრიტიკას.[937]

რაც შეეხება **„უმართლობის მოდელს"** და **„ნორმის მოქმედებასთან შეუთავსებლობის მოდელს"**, შეიძლება ითქვას, რომ მათი სუსტი მხარეები, თითქმის, არაფრით არ განსხვავდება იმ ნაკლოვანებებისგან, რომელიც ზემოთ დასახელებული მოდელების განხილვის დროს იქნა გამოვლენილი.[938]

გერმანელი მეცნიერები ცდილობენ *actio libera in causa*-ს შემთხვევაში მცდელობის ათვლის წერტილი უფრო **კონკრეტული და გასაგები** გახადონ, ამიტომ ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ თუკი წინა ქმედება, მაგალითად, დათრობა, დამთავრებული დანაშაულის გამოწვევისათვის საკმარის მიზეზად მიიჩნევა (აქ იგულისხმება გერმანიის სსკ-ის 323 „ა" პარაგრაფი), მაშინ სიმთვრალის მდგომარეობაში თავის ჩაყენება, ასევე მიიღება მხედველობაში მცდელობის დასასაბუთებლად.[939]

გერმანულ სისხლის სამართალში განზრახი *actio libera in causa*-ს შემთხ-

---

935 იხ.: *Heinrich*, AT (2012). გვ. 275; *BGHSt* 42, გვ. 241.

936 იხ. *Matt, Renzikowski*, Strafgesetzbuch, Kommentar (2013), გვ. 265.

937 იხ. *Heinrich*, AT (2012). გვ. 273-274.

938 ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ჰაინრიხის სახელმძღვანელოში: *Heinrich*, AT (2012). გვ. 274-275.

939 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 462.

ვევაში მცდელობის დაწყების შესახებ არსებობს რადიკალურად განსხვავებული შეხედულება, რომლის თანახმად, აქტიური ქმედებით ჩასადენ დელიქტებში, *actio libera in causa*-ს დროს მცდელობა იწყება თავად დასჯადი ქმედების განხორციელების დაწყების მომენტიდან და არა ქმედუუნარობის ან ბრალუუნარობის გამოწვევის მომენტიდან, რადგან მანამდე სამართლებრივ სიკეთეს არავითარი უშუალო საფრთხე არ ექმნება.[940]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ასევე მიიჩნევენ, რომ *actio libera in causa*-ს შემთხვევებში დანაშაულის მცდელობის დაწყების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია თავად დამნაშავის **ინდივიდუალურ გეგმაზე**. მაშასადამე, თუ კი დამნაშავე თვლის, რომ დაზარალებულის გამოჩენისთანავე დაგეგმილი მკვლელობა დაიწყება, მაშინ ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას.[941]

რაც შეეხება უმოქმედობით დელიქტებს (***omissio libera in causa***), აქაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი დანაშაულის მცდელობისათვის სხვადასხვანაირად წყდება. მაგალითად, ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ *omissio libera in causa*—ს შემთხვევებში, დანაშაულის მცდელობა იწყება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე დაზარალებულის გადასარჩენად პირველივე შესაძლებლობას გაუშვებს ხელიდან, არამედ მაშინ, როდესაც დამნაშავე თავს უგონო მდგომარეობაში ჩაიგდებს იმ მიზნით, რომ მისმა უმოქმედობამ შემდგომში მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვიოს. მაშასადამე, ამ შეხედულების თანახმად, მცდელობა სახეზეა უკვე დათრობის მომენტიდან.[942]

თუმცა აღნიშნული პოზიციისგან განსხვავებით, არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, დანაშაულის მცდელობას *omissio libera in causa*—ს შემთხვევებში ადგილი აქვს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულს საფრთხე უახლოვდება და, შესაბამისად, გაშვებულია შედეგის თავიდან აცილების ბოლო შანსი. მაგალითად, მატარებლის მეისრის ქმედებაში, რომელიც დათვრა იმ მიზნით, რომ არ გადაიყვანოს დროულად ისარი და ამით მოახდინოს მატარებლების შეჯახება, ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას იმ მომენტში, როდესაც მატარებელში მჯდომ ხალხს საფრთხე ყოველ წუთში უახლოვდება, მაგრამ თუ კი მეისრემ იცის, რომ მატარებელი მხოლოდ ოთხ საათში მოვა, დანაშაულის მცდელობას მის ქმედებაში ჯერ კიდევ არ ექნება ადგილი.[943]

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მეცნიერები მაინც იმ აზრზე არიან, რომ პიროვნების დასჯა *actio libera in causa*-ს პრინციპის საფუძველზე, როგორც დანაშაულის მცდელობისათვის, ასევე დამთავრებული დანაშაულისათვის, გაუმართლებელია, რადგან, პირველ რიგში, იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 103-ე მუხლის არს და სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმების მოთხოვნებს, მაგალითად, სსკ-ის მე-20 და 22-ე პარაგრაფებს. საქმე იმაშია, რომ პიროვნების დასჯა, როდესაც იგი

940 იხ. *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 525-526.
941 იხ. *Lenckner*, GA (1961), გვ. 305.
942 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 421.
943 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1551, 1566.

ბრალუუნარო მდგომარეობაში ჩადის ქმედებას, არის კონსტიტუციური პრინციპის „*nulla poena sine lege*" დარღვევა, რადგან ამ შემთხვევაში პიროვნების საწინააღმდეგოდ ნყდება საკითხი. მაშასადამე, კონსტიტუციის რანგში აყვანილი ბრალის პრინციპის თანახმად, დაუშვებელია პირის დასჯა ბრალის გარეშე, მის მიერ განხორციელებული უმართლობის მიუხედავად. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ კანონმდებელს დასახელებული პრინციპების დარღვევა რომ აეცილებინა თავიდან, სწორედ ამისთვის სისხლის სამართლის კოდექსში შემოიღო 323-ე „ა" პარაგრაფი, რომლის მიზანია ქმედების ჩადენის მომენტში სახეზე იყოს როგორც განზრახვა, ასევე დამნაშავის ბრალი. დამნაშავე ქმედების განხორციელების მომენტში, ე. ი. მცდელობის დროს ბრალუნარიანი უნდა იყოს, რასაც ადგილი არა აქვს დათრობისას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ქმედების შემადგენლობის უშუალო განხორციელების დაწყების მომენტი და, შესაბამისად, ასეთ ქმედებას აკლია დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნის მომენტი.[944]

actio libera in causa-ს პრინციპის საწინააღმდეგოდ იმაზეც მიუთითებენ, რომ ბრალუუნარობის გამომწვევი ქმედება ჯერ კიდევ არ განიხილება დანაშაულის შემადგენლობის ნაწილად, რადგან დანაშაულის შემადგენლობის ისეთი ელემენტი, როგორიც არის სუბიექტი, არ არის სახეზე.[945]

გარდა ამისა, ის რაც ზემოთ დასახელებული მოდელების ანალიზის დროს გამოვლინდა, მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის დაგეგმვა და მისი განხორციელებისათვის გარკვეული პირობების შექმნა სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულის **მომზადების სტადია**, რომელიც, დასჯადობის თვალსაზრისით, გერმანული სისხლის სამართლისათვის ირელევანტურ სტადიად მიიჩნევა, სადაც ბრალუუნარობა მდგომარეობაა და არა ქმედების დაწყება.[946]

მაშასადამე, დამნაშავის მიერ მთვრალ მდგომარეობაში თავის ჩაყენება დანაშაულის მომზადებად განიხილება, რადგან პირი გამაბრუებელი საშუალების მიღების მომენტში, ვიდრე იგი ბრალუუნარო გახდება, ამზადებს კონკრეტულ დანაშაულს. ნაშრომში ჩამოყალიბებული საქართველოს სისხლის სამართალში გენერალური მომზადების დაუსჯელობის კონცეფციის გათვალისწინებით, აუცილებელია ქართველმა კანონმდებელმა იზრუნოს გერმანიის სსკ-ის 323-ე „ა" პარაგრაფის მსგავსი ნორმის შემოღებაზე, რითაც მოხდება პირის დასჯა იმ განზრახი ქმედებისათვის, რომელიც დათრობის მომენტში მიმართული იყო განზრახი დანაშაულის ჩადენისაკენ.

რაც შეეხება დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის საკითხს ისეთი ქმედების დროს, რომელსაც თან ახლავს მძიმე გარემოებების სანიმუშო ჩამონათვალი, შემდეგნაირად ნყდება: სანიმუშო ჩამონათვალში მოცემული გარემოებების განხორციელებით ძირითადი ქმედების დაწყებას ჯერ კიდევ არ აქვს ადგილი. ამდენად, მათი განხორციელების მომენტი ჯერ კიდევ ვერ ასაბუთებს მცდელობას ძირითად ქმედებაში.[947]

---

944 იხ. *Salger, Mutzbauer*, NStZ (1993), გვ. 563.
945 იხ. *Kindhäuser*, მე-4 გამოცემა (2010), გვ. 206.
946 იხ. *Salger, Mutzbauer*, NStZ (1993), გვ. 564.
947 იხ. *Rudolphi*, SK, §22, გვ. 19.

§5. შეჯამება

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ მსჯელობამ, გამოავლინა ის საკითხები, რომელიც ადრეულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არ იყო აღიარებული. მაგალითად, თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერება **მოქმედებით ჩადენილ ფორმალურ დანაშაულებში** დანაშაულის მცდელობას (დაუმთავრებელი) შესაძლებლად მიიჩნევს. ასევე, შესაძლებელია, მცდელობაზე საუბარი ზოგიერთი საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, სადაც დანაშაული პირველივე აქტით არ არის დამთავრებული, ასეთია, მაგალითად, ყაჩაღობის შემადგენლობა.

მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, სადაც ძირითადი ქმედება განზრახ ხორციელდება, ხოლო თანამდევი შედეგი გაზნრახ ან გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, დანაშაულის მცდელობა საბუთდება. ვინაიდან საქართველოს სსკ-ის მე-11 მუხლი ასეთ დანაშაულებს განზრახ დელიქტებად მიიჩნევს, ამიტომ აზრი, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნია ასეთ დანაშაულებში მცდელობის არსებობას, ეწინააღმდეგება სსკ-ის მე-11 მუხლის შინაარსს და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებს. თუმცა, აქაც არსებობს გამონაკლისი, როდესაც დამნაშავე ძირითად დელიქტზე ხელს იღებს, მაგრამ თანამდევი შედეგი მაინც ხორციელდება (*მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შეუძლებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით*).

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის დასაბუთება, შესაბამისი დელიქტის სტრუქტურის გათვალისწინებით (***„დიფერენციაციის თეორია“***), გამომდინარეობს გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 პარაგრაფისა და მე-11 პარაგრაფის მე-9 აბზაცის მე-2 ქვეაბზაცის შინაარსიდან.

ამდრომდე ქართული სისხლის სამართალი **წმინდა უმოქმედობით დელიქტებში** მცდელობის შესაძლებლობას გამორიცხავდა, თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ ზოგჯერ შესაძლებელია, წმინდა უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის დასაბუთება, როდესაც ადგილი აქვს დამნაშავის მხრიდან აქტიურ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია უმოქმედობით დანაშაულის ჩადენისაკენ (*წმინდა უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა მოქმედებით*). ამასთან, გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკასა და კანონმდებლობაში აღიარებულია, რომ წმინდა უმოქმედობით დელიქტებში, უმეტესად ადგილი აქვს ***უვარგისი მცდელობის*** შემთხვევებს, თუმცა ვარგისი მცდელობაც არ არის გამორიცხული, განსაკუთრებით კი ისეთ დელიქტებში, სადაც დანაშაულის შემადგენლობა შედეგზეა ორიენტირებული.

რაც შეეხება **შერეულ უმოქმედობით დელიქტებს**, ამ შემთხვევაში, დანაშაულის მცდელობის არსებობა პრობლემას არ წარმოადგენს. ამასთან, ასეთ დელიქტებში მცდელობის დაწყების განსაზღვრა იწვევს დიდ ინტერესს. ეს საკითხი ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნაკლებად არის დამუშავებული. ამიტომ იმ შეხედულებებიდან, რომლებიც გერმანულ სისხლის სამართალში უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის დაწყების საკითხს

განსაზღვრავს, ყველაზე უფრო მისაღებ თეორიად **„ალტერნატიული თეორია“** უნდა ჩაითვალოს, რომელიც ზოგჯერ ქმედებაზე ბატონობის, ზოგჯერ კი, საფრთხის მომენტის გათვალისწინებით წყვეტს საკითხს.

გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ***actio libera in causa***-ს დროს დანაშაულის მცდელობის აღიარება ეწინააღმდგება გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, **„*nulla poena sine lege*“**-ს პრინციპს. ამიტომ დასახელებული პრინციპის დარღვევა რომ აეცილებინა თავიდან, გერმანელმა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში შემოიღო 323-ე „ა“ პარაგრაფი.

რაც შეეხება ქართულ სისხლის სამართალს, ***actio libera in causa***-ს დასჯადობასთან დაკავშირებით გამოთქმულია შეხედულება, რომლის თანახმად, „ბრალუნარიანობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორიის“ საფუძველზე სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული უნდა დაისაჯოს, ხოლო დეფექტის მდგომარეობის შექმნა, აღნიშნული შეხედულების თანახმად, მცდელობის სტადიას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში გამოთქმულია შეხედულება, რომლის თანახმად, სიმთვრალეში დეფექტის გამონვევის მომენტი პასუხისმგებლობას არ ინვევს დანაშაულის მცდელობისათვის, სამაგიეროდ, მოქმედი სსკ-ის მე-18 მუხლის საფუძველზე, შესაძლებელია, პირი დაისაჯოს დანაშაულის მომზადებისათვის. მაგრამ, თუ საქართველოს სისხლის სმართალში ნაშრომში ჩამოყალიბებული გენერალური მომზადების დაუსჯელობის კონცეფცია იქნება აღიარებული, მაშინ ასევე გაჩნდება **„*nulla poena sine lege*“**-ს პრინციპის დარღვევის საფრთხე. ამიტომ, დასახელებული პრობლემის მოსაგვარებლად ქართველმა კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გერმანიის სსკ-ის 323-ე „ა“ პარაგრაფის მსგავსი ნორმა უნდა შემოიღოს, რომლის საფუძველზე მოხდება პირის დასჯა იმ განზრახი ქმედებისათვის, რომელიც დათრობის მომენტში მიმართული იყო განზრახი დანაშაულის ჩადენისაკენ.

თავი VI. დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია, შესაძლებელია, სხვადასხვაგვარად განხორციელდეს. იგი შეიძლება დაიყოს დაუსჯელ და დასჯად მცდელობად, ვარგის და უვარგის მცდელობად, აბსოლუტურად უვარგის და შედარებით უვარგის მცდელობად და ა. შ.

§1. უვარგისი მცდელობის დასჯადობის თავისებურებანი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაციის დროს ცალკე გამოიყო მცდელობის ისეთი ნაირსახეობა, როგორიც არის ე. წ. ***უვარგისი მცდელობა***.

უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ იმაზე, რომ „თვით ცნება „უვარგისი მცდელობა" ლოგიკურ შეუსაბამობას წარმოადგენს. თუ კი მცდელობა უვარგისია, მაშინ იგი მცდელობას აღარ წარმოადგენს და იგი ვერ იქნება იურიდიული მსჯელობის ობიექტი."[948]

„უვარგისი მცდელობა თავისი ბუნებით უკავშირდება **ფაქტობრივი შეცდომის** ინსტიტუტს, რამდენადაც სამყაროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენის შედეგად დანაშაული განუხორციელებელი რჩება",[949] ამიტომ ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით, დანაშაულის მცდელობა ზოგჯერ სისხლისსამართლებრივად რელევანტურია და ზოგჯერ კი პირიქით, კარგავს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას.

აქედან გამომდინარე, დასაშვებია უვარგისი მცდელობის გაანალიზება ფართო და ვიწრო გაგებით. უვარგისი მცდელობის ***ვიწრო გაგება*** თავის თავში დასჯად უვარგის მცდელობას გულისხმობს, ხოლო უვარგისი მცდელობა ***ფართო გაგებით*** დასჯად უვარგის მცდელობასთან ერთად, დაუსჯელ უვარგის მცდელობასაც მოიცავს.

უვარგის მცდელობას, შესაძლებელია, მიეკუთვნოს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: მცდელობა შეფარდებით უვარგისი საშუალებით, მცდელობა შეფარდებით უვარგისი ობიექტის (საგნის) მიმართ, მცდელობა აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით, მცდელობა აბსოლუტურად უვარგის ობიექტზე (საგანზე), მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ და მცდელობა უვარგისი (არასრული უმოქმედობა, იგივე *უვარგისი მიზეზობრიობა*) ქმედებით.

საშუალებას, რომელიც ქმედებას შედეგის განუხორციელებლობის გამო უვარგის მცდელობად აქცევს, მიეკუთვნება ყველა ის იარაღი, საგანი, მეთოდი, თუ მოვლენა, რომელსაც ობიექტურად არ შეუძლია შედეგის გამოწვევა. დასჯად და არადასჯად უვარგის მცდელობას მიკუთვნებულ საშუალებებს ერთმანეთისაგან იმით განასხვავებენ, რომ შეფარდებით (დასჯად) უვარგის საშუალებას მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში არა აქვს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის უნარი, ხოლო აბსოლუტურად (არადასჯადი) უვარგისი საშუალებით საერთოდ არ შეიძლება შედეგის მიღწევა.[950]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში შეფარდებით (დასჯადი) უვარგისი საშუალების საილუსტრაციოდ ასახელებენ ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავე მკვლელობის ჩასადენად იყენებს იარაღს, საიდანაც ვაზნა ამოღებულია, ანდა იგი მკვლელობის ჩასადენად იყენებს სიცოცხლისათვის უვნებელ

---

948 *სულაქველიძე* (1992), გვ. 179.
949 *დვალიძე*, ზოგადი ნანილი (2007), გვ. 166.
950 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნანილი (2007), გვ. 167.

ფხვნილს.[951] თუმცა სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ ასეთ საშუალებებს აბსოლუტურად უვარგის საშუალებებთან აიგივებს.[952]

როგორც უკვე აღინიშნა, თუ საშუალება საერთოდ გამოუსადეგარია შედეგის გამოსანვევად, მაშინ შესაძლებელია, აბსოლუტურად უვარგის საშუალებაზე საუბარი. აქედან გამომდინარე, იარაღი, რომლიდანაც ვაზნაა ამოღებული, არ წარმოადგენს აბსოლუტურად უუვარგის საშუალებას, სამაგიეროდ **სათამაშო იარაღი** განიხილება აბსოლუტურად უვარგის საშაულებად.

შეფარდებით უვარგისი და აბსოლუტურად უვარგისი საშუალებების გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს. ამ საშუალებების კლასიფიკაციამ აჩვენა, რომ შეფარდებით უვარგისი საშუალებით ჩადენილი ქმედება დასჯად უვარგის მცდელობას მიეკუთვნება, მაშინ, როდესაც აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენების დროს, ქმედება, შესაძლებელია, დაუსჯელი დარჩეს. ამაზე მიუთითებს საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი, რომლის თანახმად, „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლება მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი".

მართალია, სსკ-ის მე-20 მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს საშუალების აბსოლუტურად უვარგის ხასიათზე და ასევე არ საუბრობს **ირეალურ მცდელობაზე**, მაგრამ მათი დაუსჯელობის მოთხოვნა პირდაპირ გამომდინარეობს დასახელებული მუხლის შინაარსიდან.[953]

ზემოთ მოცემული მსჯელობის თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის მე-20 მუხლის ერთმნიშვნელოვნად განერცობა ყოველგვარ აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით განხორციელებულ მცდელობაზე, არ უნდა იყოს მართებული. დანაშაულის ჩადენისათვის გამოყენებულ საშუალებათა ვარგისიანობის საკითხის დადგენისას, უკვე აღინიშნა, რომ **სათამაშო იარაღი** აბსოლუტურად უვარგის საშუალებას განეკუთვნება, რადგან ასეთი იარაღით, საერთოდ შეუძლებელია, შედეგის მიღწევა. თუმცა, თუ დამნაშავე შურისძიების მოტივით განიზრახავს მტრის მოკვლას და იქვე დადებულ სათამაშო იარაღს, რომელიც მისი ნარმოდგენით ნამდვილია, ხელში აიღებს და შეეცდება სროლას, ანდა, თუ დამნაშავე სათამაშო იარაღის გამოყენებით (როდესაც დამნაშავემ არ იცის, რომ იარაღი არ არის ნამდვილი) შეეცდება სხვისი ქონების დაუფლებას, მაშინ ასეთი ქმედებები სსკ-ის მე-20 მუხლის საფუძველზე დაუსჯელი დარჩება. ეს კი, თავის მხრივ, ენინააღმდეგება **სასჯელის გენერალური პრევენციის** მოთხოვნებს და არ შეესაბამება სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განისაზღვროს სსკ-ის მე-20 მუხლის პირობები და მოქმედების ფარგლები. იმისათვის, რომ სსკ-ის მე-20

951 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 315.
952 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 179.
953 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 44, 53.

მუხლი იქნეს გამოყენებული, აუცილებელია, ერთდორულად მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც ქმედების ჩადენის დროს გამოყენებული საშუალების უვარგისობის მომენტი, ასევე ქმედების ჩამდენის უმეცრების, ან სხვა პიროვნული ნაკლის მომენტი. უკანასკნელი მომენტი უბრალო შეცდომის მომენტის ანალოგიური როდია. როგორც სისხლის სამართლის ლიტერატურაშია აღნიშნული, სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლში გამოყენებული ტერმინები, მაგალითად, „უმეცრება" გულისხმობს პირის არა მხოლოდ გაუნათლებლობასა და გაუთვითცნობიერებლობას, არამედ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ უვიცობასაც. **„პიროვნული ნაკლი"** კი ნიშნავს პიროვნების არა მარტო ფსიქიკურ, არამედ აგრეთვე ფიზიკურ ნაკლსაც.[954]

ამიტომ, როდესაც გაბრაზებულმა დამნაშავემ სათამაშო იარაღი აიღო ხელში და შეეცადა გასროლას, მან დაუშვა ისეთი შეცდომა, რომელიც საერთოდ არ არის დაკავშირებული უმეცრებასთან ან რაიმე პიროვნულ ნაკლთან, რადგან ნებისმიერ სხვა, მათ შორის, გამოცდილი ადამიანიც იგივე შეცდომას დაუშვებდა.

გაბატონებული შეხედულება აბსოლუტურად უვარგის საშუალებად ასახელებს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი თვითმფრინავს შორი მანძილიდან ესვრის სანადირო თოფს. აბსოლუტურად (არადასჯადი) უვარგისი საშუალების გამოყენების დროს ქმედება სოციალურად უმნიშვნელო და ატიპიურია,[955] ამიტომ აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენება, შესაძლებელია, მხოლოდ განზრახვის გამომძღავნებად ჩაითვალოს, ვინაიდან ასეთ საშუალებას არა თუ არ შეუძლია საფრთხე შეუქმნას სამართლით დაცულ ობიექტს, არამედ მათი გამოყენებით ქმედება შორეულ მოსამზადებელ სტადიაზეც კი არ იმყოფება.[956]

მაშასადამე, სსკ-ის მე-20 მუხლის სწორად გამოყენებისათვის, აუცილებელია, ერთდროულად ყურადღება გამახვილდეს როგორც გამოყენებული საშუალების აბსოლუტურად უვარგის ხასიათზე, ასევე პიროვნების უმეცრებაზე ან სხვა პიროვნულ ნაკლზე და ამ უკანასკნელის გარეშე, სსკ-ის მე-20 მუხლის გამოყენება მიზანშეუწონელი იქნება.

უვარგისი მცდელობის შემდეგ ნაირსახეობას წარმოადგენს მცდელობა **უვარგის ობიექტზე**, რომლის სამართლებრივი რეგულირება შედარებით განსხვავებულია.

მცდელობას უვარგის ობიექტზე სისხლის სამართლის ლიტერატურაში „არარეალური ობიექტის" ან „უვარგის საგანზე" მცდელობის სახით მოიხსენიებენ. თუმცა, გაბატონებულმა შეხედულებამ ტერმინის „უვარგისი ობიექტი" სხვა სახელწოდებით შეცვლა არ გაიზიარა, რადგან ეს ტერმინები სრულყოფილად ვერ გადმოსცემენ მოვლენის არსს.[957] სწორედ ამიტომ, თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოქტრინას მიაჩნია, რომ უფრო მისაღები ტერმინია „მცდელობა უვარგის ობიექტზე".[958] თანამედროვე სისხლის

954 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 168.
955 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 315.
956 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 167.
957 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 161.
958 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 166.

სამართლის ზოგიერთი მეცნიერი უვარგისი ობიექტის ნაცვლად იყენებს ისეთ ტერმინს, როგორიც არის „უვარგისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობა".[959]

უვარგისი ობიექტი შეიძლება დაიყოს **შეფარდებით უვარგის და აბსოლუტურად უვარგის ობიექტებად**. შეფარდებით უვარგისი ობიექტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტულ ვითარებაში მას გააჩნია ისეთი ხასიათი, რომელიც ხელს უშლის კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ბოლომდე განხორციელებას. მაგალითად, შეიარაღებული ა. და ბ. ყაჩაღობის მიზნით, შეიჭრნენ დ.-ს ბინაში და განახორციელეს გასროლა. ისინი ითხოვდნენ ფულს და ძვირფასეულობას, მაგრამ ოჯახის ყველა წევრი ალკოჰოლის მიღების შედეგად, უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამოც მათ ვერ აღიქვეს ა.-ს და ბ. მუქარა. პოლიციამ ა. და ბ. შემთხვევის ადგილზე დააკავა.

დასახელებული მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს უვარგის ობიექტს, ანუ ყაჩაღობის დამთავრებას აკლია ერთი ნიშანი — ობიექტის ვარგისიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ კონკრეტულ ვითარებაში იურიდიულად ობიექტი არ ატარებს იმ თვისებებს, რომელიც აუცილებელია დანაშაულის დამთავრებისათვის, ამიტომ ა.-ს და ბ.-ს ქმედება ყაჩაღობის მცდელობად უნდა შეფასდეს.

ამ საკითხს სისხლის სამართლის ლიტერატურაში მეცნიერები განსხვავებულად აფასებენ, კერძოდ, უვარგისი ობიექტისაგან მიჯნავდნენ ისეთ შემთხვევებს, სადაც ობიექტი თავისი ბუნებით ისეთი თვისებების მქონეა, რომ საერთოდ გამოსადეგია დანაშაულის განსახორციელებლად, მაგრამ შედეგის გამოწვევას ხელი რაიმე შემთხვევითმა გარემოებებმა შეუშალა. მაგალითად, ა. ესროლა ბ.-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯავშანში ჩაცმული აღმოჩნდა, რის გამოც იგი ტყვიამ ვერ დააზიანა. ასეთი შემთხვევები, ჩვეულებრივ დასჯად მცდელობად მიიჩნევა.[960]

რაც შეეხება აბსოლუტურად უვარგის ობიექტზე განხორციელებულ მცდელობას, ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ობიექტი თავისი თვისებებით საერთოდ გამოუსადეგარია დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად. მაგალითად, ***გვამისათვის სროლა***, ან საკუთარი ნივთის მოტაცება. ასეთი შემთხვევები სისხლის სამართლის დოგმატიკაში სხვადასხვაგვარად ფასდება. სისხლის სამართლის ადრეული დოქტრინა ასეთ შემთხვევებს დანაშაულის მცდელობად არ მიიჩნევდა, არამედ დანაშაულის **მოსამზადებელ მოქმედებებად** განიხილავდა,[961] ხოლო თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკა მათ სავსებით სწორად დანაშაულის მცდელობად აფასებს.[962]

---

959 *გამყრელიძე* (2008), გვ. 168.

960 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 162.

961 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 163. თუმცა მოგვიანებით წერეთელმა პოზიცია შეიცვალა და გვამისათვის სროლა, როდესაც დამნაშავემ არ იცის ამის შესახებ, დანაშაულის მცდელობად შეაფასა, იხ. *მაყაშვილი, მაჭავარიანი, წერეთელი, შავგულიძე* (1980), გვ. 7.

962 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 314; *დვალიძე, ზოგადი ნაწილი* (2007), გვ. 166; *ლეკვეიშვილი, კერძო ნაწილი, ტომი I* (2011), გვ. 26.

თუმცა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ორივე პოზიციის მიმართ გამოთქმულია კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ქმედებას აფასებენ ან დანაშაულის მომზადებად ან დანაშაულის მცდელობად, მაშინ როდესაც სახეზე არ არის ობიექტურად არსებული აბსტრაქტული ან კონკრეტული საფრთხე. ყოველივე ეს კი დასახელებულ შეხედულებებს ნაკლებად დამაჯერებელს ხდის.[963]

პოზიცია, რომელიც გვამზე განხორციელებულ ხელყოფას დანაშაულის მომზადებად განიხილავს, თავის შეხედულებას სუბიექტურ მომენტებზე აფუძნებს, საიდანც საფრთხე უფრო აბსტრაქტული ჩანს, ვიდრე ობიექტურად არსებული კონკრეტული საფრთხე. სწორედ ამიტომ ამ შეხედულების მომხრეები დანაშაულის მომზადებად აფასებენ გვამზე განხორციელებულ ქმედებას. სამაგიეროდ, შეხედულება, რომელიც გვამზე განხორციელებულ ქმედებას დანაშაულის მცდელობად აფასებს, ეყრდნობა სუბიექტურ-ობიექტურ გარემოებებს, კერძოდ, ობიექტურად განხორციელებულ ქმედებას, რომელიც იარაღიდან გასროლაში გამოიხატება და სუბიექტურ მომენტებს, კერძოდ, განზრახვას, მოტივს და ა. შ. ასეთი შეფასება არ განიხილება წმინდა სუბიექტურ მსჯელობად, რომელიც განზრახვის გამომჟღავნებას უტოლდება, არამედ აქ არის არა მარტო დამნაშავის ნება, ჩაიდინოს მკვლელობა, არამედ ადგილი აქვს დამოკიდებულების გაცხადებას **აქტიური და ინტენსიური ფორმით**, რაც დამნაშავის ქმედებას დანაშაულის მცდელობად გადააქცევს. აქედან გამომდინარეობს მტკიცება იმის შესახებ, რომ ქმედების მცდელობად შეფასებისათვის აუცილებელი არ არის კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის არსებობა, არამედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დამნაშავემ კონკრეტულ ქმედებაში ობიექტურად გამოხატა თავისი დანაშაულებრივი ნება. *ამდენად, დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის მიერ ობიექტურად გაცხადებული დასაძრახი განზრახი ქმედება სამართლებრივი სიკეთის და ზიანების კონკრეტულ მუქარაში გამოიხატა და სოციალურ-ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯა და ამით დაირღვა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკური წესრიგი.*

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი **აბსოლუტურად უვარგისი ობიექტის** მიმართ განხორციელებული ქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, რადგან ასეთი მცდელობის დაუსჯელობას პირდაპირ არ ითვალიწინებს სსკ-ის მე-20 მუხლი.

მცდელობის უვარგისობის დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან, როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, მოსამართლემ მცდელობის უვარგისობა მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის ზომის განსაზღვრისას[964] და ასევე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში უვარგის ობიექტზე მცდელობის შემთხვევისაგან მიჯნავენ მცდელობას **ადგილზე არმყოფ ობიექტზე**. მაგალითად, ა. ისვრის სანოლის მიმართულებით და ფიქრობს, რომ ბ. ამ დროს სანოლში

963 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 45-46.
964 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 169.

იმყოფება, მაგრამ ეს უკანასკნელი იქ არ აღმოჩნდება, ანდა ა. ხელს ჩაუყოფს ბ. ჯიბეში, მაგრამ ჯიბე ცარიელი აღმოჩნდება.[965] ასევე, ა. ქურდობის მიზნით შედის სანყობში, მაგრამ, რადგან იქ რაიმე ღირებული ნივთები ვერ ნახა, ან ის კონკრეტული ნივთები ვერ ნახა, რისი მოპარვაც უნდოდა, გამობრუნდა უკან. ასეთი შემთხვევები, როგორც უკვე აღინიშნა, უვარგის ობიექტზე მცდელობად არ განიხილება, არამედ მათ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ე. წ. **ხელშეშლილი მცდელობის** სახელწოდებით მოიხსენიებენ.[966]

„ხელშეშლილ მცდელობას" მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე დაწყებულ დანაშაულის შემადგენლობას ვერ ახორციელებს ხელისშემშლელი შინაგანი **სუბიექტური** და გარეგანი **ობიექტური ფაქტორების** გამო.

შინაგან სუბიექტურ ფაქტორებს შეიძლება მიეკუთვნოს დამნაშავის ქრონიკული ავადმყოფობა, ფსიქიკის დროებითი აშლილობა და სხვ. თუმცა ორივე შემთხვევაში დამნაშავის ბრალუნარიანობა დასახელებული გარემოებების გამო, არ უნდა გამოირიცხოს.

გარეგან ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება, მაგალითად, ბუნების მოვლენები, როგორიც არის, მაგალითად, ზვავი, დიდთოვლობა, ნყალდიდობა, კარგად დაცული სამართლებრივი სიკეთე და ა. შ.

შინაგანი, სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, „ხელშეშლილი მცდელობისგან", შესაძლებელია, ცალკე გამოიყოს და პირობითად ეწოდოს ე. ნ. **წარუმატებელი მცდელობა**. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავე შინაგანი სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ აღწევს განზრახვით მოცულ დანაშაულებრივ შედეგს. მაგალითად, ა.-ს უნდა ბ.-ს მოკვლა. ამ მიზნით ა. ჩაუსაფრდა ბ. და დაელოდა მის გამოჩენას. როგორც კი დაზარალებული მიუახლოვდა საფარს, ა.-მ მიზანში ამოიღო მსხვერპლი და შეეცადა ჩახმახისათვის თითის გამოკვრას, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, ვინაიდან უეცრად დაემართა ეპილეფსია და დაენყო შეტევები, რამაც ერთ საათს გასტანა. როდესაც ა. გონს მოეგო, ბ. იქ უკვე აღარ იყო.

მაშასადამე, ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ა.-ს დანაშაულის განხორციელებაში ხელი შეუშალა მისმა ავადმყოფობამ, კერძოდ, ეპილეფსიამ (შინაგანი ფაქტორი), რის გამოც მან ვერ მიაღწია დანაშაულებრივ მიზანს. ამიტომ, ა.-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის (სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლი).

შესაძლებელია, რომ ე. ნ. ხელშემშლელი მცდელობა და წარუმატებელი მცდელობა პირობითად ეწოდოს **მცდელობა უვარგის (არახელსაყრელ) ვითარებაში**.

„წარუმატებელი მცდელობა" უნდა გაიმიჯნოს აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისაგან. მაგალითად, ა. განიზრახა ბ. გაუპატიურება. ამ მიზნით მან

---

965 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 163.

966 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 225-226. ამასთან დაკავშირებით, საწინააღმდეგო პოზიცია გამოთქმულია იურიდიულ ლიტერატურაში, კერძოდ, ამ შეხედულების თანახმად, ადგილზე არმყოფი ობიექტის შემთხვევაში, რეალური საფრთხის არ არსებობის გამო, შეუძლებელია ქმედება ჩვეულებრივ დასჯად მცდელობად იქნეს შეფასებული. იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 46-47.

ძალა გამოიყენა, თუმცა დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი ვერ დაამყარა ერექციის არქონის გამო (დროებითი იმპოტენცია). დასახელებულ მაგალითში, ადგილი აქვს ე. წ. ნარუმატებელ მცდელობას და დამნაშავე უნდა დაისაჯოს სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლების საფუძველზე. მაგრამ, თუ ა. ტრავმის შედეგად სასქესო ასო აქვს დაზიანებული და ამის მიუხედავად, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ქალის მიმართ ძალას იყენებს, ვითომდა სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, გაუპატიურების მცდელობისათვის არ დაისჯება, რადგან ადგილი აქვს აბსოლუტურად უვარგისი სუბიექტის მიერ გაუპატიურების მცდელობას (აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა).[967] აბსოლუტურად უვარგისი სუბიექტის დაუსჯელობა, მართალია, სსკ-ის მე-20 მუხლიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს, მაგრამ, შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში დასახელებული მუხლის ანალოგიის წესით გამოყენება და ამით დაუსჯელობის აღიარება. მოცემულ შემთხვევაში, პრობლემა ნარმოიშობა მაშინ, როდესაც აბსოლუტურად უვარგის სუბიექტთან ერთად გაუპატიურების განხორციელებაში მონაწილეობს თანამონაწილე ან თანაამსრულებელი. როგორ უნდა გადაწყდეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი მაშინ, როდესაც აბსოლუტურად უვარგის სუბიექტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის? ეს საკითხი, შეიძლება, მეცნიერებაში არაერთგვაროვანი შეფასების საგანი გახდეს.

არის ისეთი შემთხვევებიც, სადაც ერთდროულად ადგილი აქვს **უვარგის ობიექტს და ადგილზე არმყოფ ობიექტს**. მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით შევიდა ბ. საძინებელ ოთახში და გაისროლა საწოლის მიმართულებით, სადაც მისი წარმოდგენით ბ. უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში, ბ. უკვე გარდაცვლილი იყო და მეზობელ ოთახში ესვენა.[968] ასეთ შემთხვევაში მსჯელობა უნდა ნარიმართოს მცდელობის დასჯადობის საერთო წესიდან გამომდინარე, რაც იმას გულისხმობს, რომ, რადგან გვამზე განხორციელებული ქმედება მკვლელობის მცდელობად ფასდება და დასჯადობისათვის აქ არავითარი პრობლემა არ იქმნება, ამიტომ ა.-ს ქმედება **ადგილზე არმყოფი ობიექტის** მიმართ განხორციელებულ მცდელობად უნდა შეფასდეს.

უვარგისი მცდელობის შემთხვევას, შესაძლებელია, მიეკუთვნოს ისეთი ვითარება, როდესაც ქმედების შემადგენლობას სრულყოფილი სახე არ გააჩნია, მაშასადამე, ნაკლულია. მაგალითად, იმისათვის, რომ დამნაშავემ უმოქმედობით განახორციელოს მატერიალური დანაშაული და მიაღწიოს შედეგს, აუცილებელია, სახეზე იყოს შემდეგი პირობები, კერძოდ, მოქმედების ვალდებულება, მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების მომენტი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირობა არ არის სახეზე, ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება. მაგალითად, ა. ავტომანქანით დაეჯახა ფეხით მოსიარულეს და მძიმედ დააზიანა. იმის მაგივრად, რომ ა. დაზიანებულ ბ.-თვის დახმარება აღმოეჩინა, მიატოვა და იქაურობას გაშორდა, რადგან მან დაზარალებულში მტერი ამოიცნო, რომლის მკვლელობაც დიდი ხნის წინ ჰქონდა ჩაფიქრებული.

---

967 დასახელებული შემთხვევების დიფერენციაციას აკეთებს გოთუა, იხ. გოთუა (1994), გვ. 39-40.

968 იხ. *მჭედლიშვილი-პედრიხი* (2011), გვ. 47.

დახმარების გარეშე დარჩენილი დაზარალებული, გარდაიცვალა. ექსპერტიზამ დაადგინა (ანდა ვერ დაადგინა, დაზარალებული გადარჩებოდა თუ არა), რომ დაზარალებული დამნაშავის მიერ განეული დახმარების მიუხედავად, მაინც დაიღუპებოდა.

დასახელებულ მაგალითში ა. ქმედება უმოქმედობით მკვლელობის მცდელობად უნდა შეფასდეს, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავის მიერ განზრახული შედეგი დადგა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქმედება დანაშაულის მცდელობად ფასდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავის მხრიდან დაშვებულია შეცდომა, არამედ მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს ე. წ. ***არასრულ უმოქმედობას (უვარგის მიზეზობრიობას).***

უვარგისი მცდელობა თავისი ბუნებით ჩვეულებრივ მცდელობას წააგავს, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. თუკი ჩვეულებრივ მცდელობას შედეგის გამოწვევის ტენდენცია ახასიათებს, უვარგისი მცდელობისათვის, განსაკუთრებით აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისათვის ასეთი რამ საერთოდ არ არის დამახასიათებელი. მაშინ რა საჭიროა უვარგისი მცდელობის საკითხის განხილვა, მით უმეტეს, თუ იგი დასჯადობისათვის ირელევანტურია?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თეორია დაედება საფუძვლად უვარგისი მცდელობის საკითხის გადაწყვეტას. **„სუბიექტური თეორიის"** მიხედვით, ადვილად შესაძლებელია უვარგისი მცდელობის დასაბუთება, რადგან მცდელობის დასჯადობისათვის აუცილებელი არ არის, სახეზე იყოს მცდელობის ობიექტური ნიშნები, არამედ სავსებით საკმარისია, თუკი ისინი დამნაშავის წარმოდგენაში იარსებებს. რაც შეეხება **„ობიექტურ თეორიას"**, იგი მცდელობად თვლის ისეთ ქმედებას, რომელსაც რეალურად შედეგის განხორციელების ტენდენცია გააჩნია და მისთვის საკმარისი არ არის, რომ შედეგის გამოწყვევა მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენით იყოს მოცული. ამდენად, ობიექტური თეორიით რთულია უვარგისი მცდელობის დასაბუთება.[969]

თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკა უვარგის მცდელობაზე მსჯელობისას პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ცალ-ცალკე აღებული არც „ობიექტური" და არც „სუბიექტური თეორიები" საკმარისი არ არის უვარგისი მცდელობის დასჯადობის პრობლემის მოსაგვარებლად. მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით ბ. საძინებელ ოთახში შევიდა და საწოლში მყოფ ბ.-ს დანა დაარტყა, თუმცა ეს უკანასკნელი უკვე ერთი საათის გარდაცვლილი იყო. მოცემული მაგალითის ფონზე ძალზედ რთულია ობიექტურად დასჯადი მკვლელობის მცდელობის დასაბუთება, რადგან ობიექტურად სამართლებრივი სიკეთე ა. მოქმედებამდე აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებს თანამედროვე სისხლის სამართლის დოქტრინა, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მკვლელობის მცდელობად აფასებს. ამდენად, დასახელებული მაგალითი მოწმობს იმას, რომ სუბიექტური მომენტების გათვალისწინების გარეშე, მსგავს შემთხვევებში ძალზედ რთული იქნება მცდელობის დასაბუთება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მარტო სუბიექტური მომენტებით ხელმძღვანელობა მიუღებელია, რადგან იგი ძალზედ შორს მიდის და ყოველვარ აბსოლუტურად უვარგის მცდ-

969 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 154.

ელობას ჩვეულებრივ დასჯად მცდელობად მიიჩნევს.

აქედან გამომდინარე, როგორც ობიექტურ თეორიას, ასევე სუბიექტურ თეორიას, ცალ-ცალკე აღებულს თავისი სუსტი მხარეები გააჩნია. სწორედ ამიტომ, თანამედროვე სისხლის სამართალი ე. წ. **შერეულ თეორიას** ანიჭებს უპირატესობას, სადაც, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მომენტები მიიღება მხედველობაში.[970]

ტრადიციულად ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა ყოველთვის კრიტიკულად იყო განწყობილი „სუბიექტური თეორიისადმი", რადგან „სუბიექტურ თეორიას" ყოველგვარ აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთების მცდელობაში ადანაშაულებდა. შესაბამისად, სისხლის სამართლის მეცნიერება „ობიექტური თეორიის" საფუძველზე წყვეტდა მცდელობასთან დაკავშირებულ საკითხებს. „სუბიექტური თეორიის" გაზიარება, წერენ მეცნიერები, მკითხველს იმ დასკვნამდე მიიყვანს, რომ გაამართლოს იმ პირის დასჯადობა, რომელიც ცდილობდა მოეწამლა თავისი ქმარი შაბის მეშვეობით, ანდა ცდილობდა ნითელი ღვინით მუცელი მოეშალა ფეხმძიმე ქალისათვის. გარდა ამისა, „სუბიექტური თეორია" დასჯადობის არეალს იმდენად აფართოებს, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოჩვენებითი დელიქტის შემთხვევებზეც ავრცელებს. მაგალითად, ქალი, რომელიც ღალატობს ქმარს და შეცდომით ჰგონია, რომ ჩადის დანაშაულს, უნდა დაისაჯოს მცდელობისათვის, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად დაუსაბუთებელია.[971]

„ობიექტური თეორიისადმი" მხარდაჭერის ტრადიციას დღესაც არ ღალატობენ სისხლის სამართლის მეცნიერები. ისინი პრინციპულად მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მცდელობის არსს, **„ობიექტურ თეორიას"** აღიარებს.[972]

თუმცა ამ თეორიისადმი ერთგულება, როგორც ზემოთ მოცემულმა მსჯელობამ აჩვენა, ყოველთვის არ არის ხელსაყრელი. ამის გარდა, მცდელობის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველზე საუბრის დროს ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ „ობიექტური თეორია" მცდელობის დასჯადობის საფუძვლად **კონკრეტულ საფრთხეს** მიიჩნევს, რომელსაც გააჩნია სინამდვილედ გადაქცევის უნარი, შესაბამისად, შედეგის გამოწვევის უნარი. თუ საფრთხის ცნება რეალური შესაძლებლობის კატეგორიაზე დაფუძნდება, მაშინ აბსოლუტურად უვარგის ობიექტზე განხორციელებული ქმედება დანაშაულის მცდელობად ვერ შეფასდება. მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით ესვრის ბ., ამავდროულად 5 ნამით ადრე ბ.-ს მოკვლის განზრახვით ესროლა დ.-მ. ა.-მ და დ.-მ ერთმანეთის განზრახვის შესახებ არ იცოდნენ. მართალია, ორივე დამნაშავის მიერ ნასროლი ტყვია მოხვდა ბ.-ს, მაგრამ სიკვდილის გამომწვევი უშუალო მიზეზი დ.-ს მიერ ნასროლი ტყვია გახდა. ამასთან, როდესაც ბ.-ს მოხვდა ა.-ს მიერ ნასროლი ტყვია, ეს უკანასკნელი დ.-ს მიერ ნასროლი ტყვიის შედეგად უკვე გარდაცვლილი იყო.

მაშასადამე, ეს მაგალითი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ა. ქმედება

970 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 314.

971 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 165-166, 169.

972 იხ. იხ. *მამულაშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), სქოლიო, გვ. 127.

„ობიექტური თეორიის" თვალსაზრისით, მკვლელობის მცდელობად ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან მისმა ქმედებამ სინამდვილედ გადაქცევის უნარი დაკარგა და ამით მისი კანონზომიერი განვითარებაც შეწყდა.

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა შეხედულება **„ახალი ობიექტური თეორიის"** სახით.[973] მცდელობის შესახებ განვითარებულ თეორიებზე მსჯელობისას აღნიშნული იყო, რომ „ახალი ობიექტური თეორიის" მიერ უვარგისი მცდელობის დასაბუთებისას გამოყენებული კრიტერიუმები უფრო **„შერეული თეორიებისათვის"** არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, დასახელებული პრობლემის უკეთ მოგვარების მიზნით, თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკა **„შერეულ თეორიას"** ანიჭებს უპირატესობას.

§2. უვარგისი მცდელობის ცნება და სახეები და უვარგისი მცდელობის გამიჯვნა მოჩვენებითი დელიქტისაგან გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

2. 1. უვარგისი მცდელობის ცნება და მისი გამოვლენის ფორმები

გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა უვარგის მცდელობაში მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავის წარმოდგენის საპირისპიროდ არსებულ გარემოებებს, ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეუძლიათ.[974] დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ მისი ქმედება ვარგისია და მას ობიექტური შემადგენლობის სრულად განხორციელების უნარი გააჩნია.[975] იმ შემთხვევაში, თუკი დამნაშავეს შეცნობილი აქვს მისი ქმედების უვარგისობის შესახებ, მაშინ მცდელობას არ ექნება ადგილი.[976]

უვარგისი მცდელობისათვის ზოგჯერ დამახასიათებელია ასევე ის, რომ დანაშაულის შემადგენლობის სრულად განხორციელების შეუძლებლობა უკვე მცდელობის დასანყისშივე აშკარაა.[977] ასეთ ქმედებებს მიეკუთვნება: მკვდარი ახალშობილის მკვლელობის მცდელობა, საწამლავის არასაკმარისი დოზით მკვლელობის მცდელობა, არაფეხმძიმე ქალის მიმართ განხორციელებული უკანონო აბორტის მცდელობა თავის ტკივილის უბრალო გამაყუჩებელი წამლის გამოყენებით და ა. შ.[978]

უვარგისი მცდელობის დასჯადობა დღესდღეობით ფართოდ არის აღიარებული. მისი დასჯადობის საკითხი აღმოცენებულია მცდელობის დასჯადობის

---

973 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ.
974 იხ. *Heinrich*, Jura (1998), გვ. 393-394.
975 იხ. *Bauman, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 604.
976 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1573.
977 იხ. *Bauman, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 605
978 იხ. *Seier, Gaude*, JuS (1999), გვ. 457.

საერთო თვალსაზრისიდან[979] და მასთან დაკავშირებული საკითხები გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე პარაგრაფის ფარგლებში რეგულირდება. როდესაც უვარგის მცდელობაზეა საუბარი, მაშინ სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით, შესაძლებელია, სასჯელის შემსუბუქება სსკ-ის 49-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის ფარგლებში, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავე **აშკარა უცოდინარობის (აბსოლუტურად უვარგისი** მცდელობა (*aus grobem Unverstand)* გამო, ვერ აცნობიერებს, რომ მცდელობა საერთოდ არ არის ვარგისი, მაშინ, შესაძლებელია, სასამართლომ თავისი შეხედულების მიხედვით, დამნაშავის მიმართ საერთოდ უარი თქვას სასჯელის გამოყენებაზე, ანდა სსკ-ის 49-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით[980] ყველაზე მსუბუქი სასჯელი შეუფარდოს მას. რაც შეეხება ე. წ. **ირეალურ მცდელობას**, მის მიმართ სასჯელი საერთოდ არ გამოიყენება, რადგან ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ითქვას, რომ მცდელობა საერთოდ არ არის სახეზე.[981]

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში უვარგისი მცდელობისგან მიჯნავენ ე. წ. **ხელშეშლილ მცდელობას** (*fehlgeschlagene Versuch*), რომელიც ლათინურად ასე ჟღერს: ***delictum perfectum***, რაც დამთავრებულ დელიქტს ნიშნავს.[982] იმის განსაზღვრას, რამდენად აქვს ადგილი ხელშეშლილ მცდელობას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის გადაწყვეტის დროს. ამდენად, ეს პრობლემატიკა ნებაყოფლობით ხელის აღების კარშიც იქნება განხილული.

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში და სასამართლო პრაქტიკაში უვარგისი მცდელობის დასჯადობის ფართოდ აღიარების მიუხედავად, სადავო რჩება უვარგისი მცდელობის დასჯადობის საფუძველი და საზღვრები.[983]

გერმანულ სისხლის სამართლის დოქტრინაში **ობიექტური თვალსაზრისით**, უვარგისი მცდელობის აღიარება ჩვეულებრივ მცდელობად ძალზედ პრობლემატური იყო და, შესაბამისად, მეცნიერებში დიდ დისკუსიას იწვევდა. განსაკუთრებით კი ფოიერბახიდან მომდინარე „საფრთხის თეორია" უვარგისი მცდელობის დასჯადობას მწვავედ აკრიტიკებდა.[984]

ზოგიერთ მეცნიერს დღესაც მიაჩნია, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მცდელობის უმართლობას ჰქონდეს ადგილი მაშინ, როდესაც ობიექტური პირობები რეალიზებული არ არის. ობიექტური პროგნოზის, ***ex ante***-ს მიხედვით, ხელყოფის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, სხვა შემთხვევაში გამორიცხულია ობიექტურ უმართლობაზე საუბარი.[985] ამიტომ, გერმანელი მეცნიერები ცდილობენ ერთმანეთისაგან განასხვაონ საშიში და არასაშიში

979 იხ. *Wessels, Beulke*, AT (2012), გვ. 240.

980 გერმანიის სსკ-ის 49-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის ფარგლებში მოსამართლეს უფლება აქვს დამნაშავეს შეუმსუბუქოს სასჯელი გარკვეული პირობების დაცვით, ხოლო ამავე პარაგრაფის მე-2 აბზაცი მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებას თავისი შეხედულებით დანიშნოს ყველაზე მსუბუქი სასჯელი.

981 იხ. *Heinrich*, Jura (1998), გვ. 393.

982 იხ. *Wörner*, NStZ (2010), გვ. 68.

983 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 422.

984 იხ. *Köheler*, AT (1997), გვ. 456-457.

985 იხ. *Herzberg*, GA (2001), გვ. 258.

ქცევები, რათა ამის მიხედვით, უვარგისი და ვარგისი მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მოახერხონ. მაშასადამე, თუკი დამნაშავის ქცევა დაცულ სამართლებრივ სიკეთეს უქმნის საფრთხეს, მაშინ, შესაძლებელია, ვარგის მცდელობაზე საუბარი, პირიქით, თუკი მცდელობა უვარგისია, მაშინ იგი საშიშ ხასიათს არ ატარებს. ამასთან, მიუთითებენ, რომ საშიში და არასაშიში მცდელობების გამიჯვნა დამოკიდებულია ქმედების დამთავრების უნარზე, ანუ თუ ქმედების დამთავრება ზოგადად შესაძლებელია, მაშინ ადგილი აქვს ვარგის მცდელობას და, პირიქით, თუ კი ქმედებას არ გააჩნია დამთავრების უნარი, მაშინ სახეზეა უვარგისი მცდელობა.[986]

მეცნიერები, რომლებიც ამ პოზიციას მიჰყვებიან, ვარგისი მცდელობის დასჯადობის მთავარ კრიტერიუმებად დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას და ობიექტურად მისი განხორციელების რეალურ დაწყებას ასახელებენ. ამასთან, ისინი მიუთითებენ „საფრთხის" (*Gefahr*), „საფრთხის შექმნის" (*Gefährdung*) და „საშიშროების" (*Gefährlichkeit*) ელემენტებზე, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისა და დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მთავარ ვექტორზე. თუმცა, მიაჩნიათ, რომ მცდელობის დროს ამ სამი ელემენტიდან „საშიშროების" ელემენტს (რისკი) უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. აქედან გამომდინარე, „საშიშროების" ელემენტი უვარგისი მცდელობის დროსაც აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს. ამასთან, გადამწყვეტია დანაშაულის ადგილზე მყოფი მესამე პირის მიერ (დამკვირვებელი) ეს სიტუაცია როგორ აღიქმება. თუ მესამე პირი ქმედებას რეალურად მიიჩნევს, მაშინ კონკრეტული საშიშროების მტკიცება ასეთ ვითარებაში დასაშვებია. მაგალითად, ვინც მკვლელობის განზრახვით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრის სანოლის მიმართულებით და იქ მსხვერპლი ჰგონია, სახეზეა **კონკრეტული საშიშროება**. ასევე საშიშროებას ექნება ადგილი მაშინაც, როდესაც დამნაშავეს ცარიელი იარაღი დატენილი ჰგონია. პირიქით, საშიშროებას არ აქვს ადგილი მაშინ, როდესაც დამნაშავე მკვლელობის განზრახვით დასაძინებელი წამლის უმნიშვნელო დოზას ასმევს მის მიერ ამორჩეულ ობიექტს.[987]

ამ შეხედულების მიხედვით, გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფი ვრცელდება მხოლოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელების რეალურ შემთხვევებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედის ადგილზე მყოფი მესამე პირის შეხედულებით, სახეზე უნდა იყოს კონკრეტული რისკი, რომლის გარეშე დანაშაულის დაწყება შეუძლებელი იქნება.[988]

მაშასადამე, ობიექტური მოძღვრების მიხედვით, მხოლოდ ქმედების განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებისათვის (*cogitationis poenam nemo patitur - ულპიანე*). ბოროტი ნება ობიექტურად სრულად ან ნაწილობრივ მაინც უნდა იყოს განხორციელებული.[989]

აღნიშნული პოზიცია გაკრიტიკებულია იმ მოტივით, რომ იგი არ გამომ-

---

986 იხ. *Bloy*, ZStW (2001), გვ. 79-80.
987 იხ. *Hirsch*, FS Roxin, გვ. 717-719.
988 იხ. *Hirsch*, FS Roxin, გვ. 726-727.
989 იხ. *Hirsch*, FS Roxin, გვ. 722.

დინარეობს კანონიდან. შესაბამისად, ასეთი მიდგომა კანონის განმარტებას კი არ წარმოადგენს, არამედ კანონის არცოდნაზე მიუთითებს. კანონის მიხედვით, გადამწყვეტია **დამნაშავის წარმოდგენა**, ხოლო ე. წ. შემფასებლის (დამკვირვებლის) მხრიდან კონკრეტული საფრთხის უარყოფა, არავითარ როლს არ თამაშობს[990] (სუბიექტური მოძღვრება). აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ამ საკითხში რევანშის აღებას **„სუბიექტური თეორია"** შეეცადა.

„სუბიექტური თეორია", რომელიც გერმანულ სისხლის სამართალში დიდი ხნის მანძილზე გაბატონებულ თეორიად ითვლებოდა და მცდელობის დასჯადობის საფუძველს დანაშაულებრივ საქმიანობაში ხედავდა, მცდელობის ობიექტური უვარგისობის სახეზე და ხარისხზე არ იყო დამოკიდებული. ამ თეორიის მიხედვით, გადამწყვეტია დამნაშავის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ იგი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას შეძლებს. ამის შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო მკვლელობის მცდელობად ჩაეთვალა გვამის მიმართ განხორციელებული ქმედება. ასევე, უკანონო აბორტის მცდელობად მიეჩნია უვარგისი საშუალების გამოყენება, ანდა არა ფეხმძიმე ქალის მიმართ განხორციელებული ქმედება შეეფასებინა უკანონო აბორტის მცდელობად.[991]

გერმანული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ფუძემდებლები ამტკიცებდნენ, რომ სასამართლო პრაქტიკა და თითქმის მთელი გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა უვარგისი მცდელობის დანაშაულის შემადგენლობასთან შესაბამისობის საკითხს „სუბიექტური თეორიის" საფუძველზე განსაზღვრავდა.[992]

თუმცა, მოგვიანებით თავად ამ თეორიის მიმდევრები მოითხოვდნენ უვარგისი მცდელობის დასჯადობის შეზღუდვას, რადგან მხოლოდ **„სამართლებრივად მტრულ ნებაზე"** (*Rechtsfendliche Wille*) და **დამნაშავის წარმოდგენაზე** აქცენტის გაკეთება გამოინვევდა იმას, რომ **ირეალური მცდელობისაგან** მის გასამიჯნად და აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს სასჯელის შესამსუბუქებლად არ დარჩებოდა არანაირი სივრცე, რადგან დასახელებულ შემთხვევებში სუბიექტურად „სამართლებრივად მტრული ნება", შესაძლებელია, სრულიად ერთნაირი იყოს. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის მეცნიერებაში უვარგისი მცდელობის დასჯადობის და გამიჯვნის საკითხების უკეთ გადაწყვეტად, წინა პლანზე წამოიწია **„სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიამ"**,[993] რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის მცდელობა იმიტომ არის დასჯადი, რომ იგი „სოციალურად მტრული ნების" მეშვეობით მართლწესრიგზე ხელყოფის კვალს ტოვებს, რითაც იგი სამართლიან სამყაროში ეჭვქვეშ აყენებს სამართლებრივი საზოგადოებისადმი ნდობის საკითხს. ამის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება ვარგისი და უვარგისი მცდელობები იმდენად, რამდენადაც პირველ შემთხვევაში სამართლებრივ სიკეთეს[994]

---

990 იხ. *Herzberg*, GA (2001), გვ. 261-262.

991 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 422.

992 იხ. *Hirsch*, FS Roxin (2001), გვ. 713.

993 იხ.: *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 422; *Bloy*, ZStW 113 (2001), გვ. 79; *Valerius*, JA (2010), გვ. 113.

994 სამართლებრივ სიკეთის და სამართლებრივი ობიექტის ურთიერთგამიჯვნის შეს-

მხოლოდ საფრთხე ექმნება, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, საფრთხე კონკრეტული სამართლებრივი ობიექტისათვის უკვე განხორციელებულია.[995]

ამრიგად, „სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიის" მიზანია კომბინირებულად, **სუბიექტური** (სამართლებრივად მტრული ნება) და **ობიექტური** ელემენტების (მართლწესრიგზე შემარყეველი კვალი, შთაბეჭდილება) დახმარებით მცდელობის დასჯადობის შემდგომი გაფართოების თავიდან აცილება.[996]

შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავის რწმენა იმის შესახებ, რომ მისი ქცევა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებას წარმოადგენს, შეცდომით ეფუძნება შერჩეულ ობიექტს, ან არჩეულ საშუალებას, ანდა ერთდროულად ორივეს ერთად, რომლებსაც იგი ვარგისად მიიჩნევს. ასევე, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს თავად სუბიექტის უვარგისობის შემთხვევას.[997] ამის მიხედვით, გამოყოფენ უვარგისი მცდელობის სხვადასხვა სახეებს.

2. 1. 1. მცდელობა უვარგის ობიექტზე

გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, უვარგის მცდელობად ფასდება ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, დამნაშავე მოკვლის განზრახვით მძიმე საგანს ურტყამს მისი წარმოდგენით ცოცხალ ადამიანს, რომელიც სინამდვილეში უკვე გარდაცვლილია. ამ მაგალითიდან აშკარად ჩანს, რომ ობიექტი ვარგისი არ არის, ანუ სახეზე არ არის ადამიანი. რაც შეეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებს, ამ დროს მცდელობას უვარგის ობიექტზე ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საკუთარ ნივთს ეუფლება და სხვისი ნივთი ჰგონია. ნივთის დაზიანების დროს უვარგისი მცდელობა სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავე აზიანებს უპატრონო ნივთს და შეცდომით ჰგონია, რომ ეს ნივთი იმყოფება სხვის საკუთრებაში. მაშასადამე, როგორც უკვე ითქვა, ყველა ასეთი შემთხვევა ფასდება, როგორც **მცდელობა უვარგის ობიექტზე.**[998]

უვარგის ობიექტზე მცდელობას არ ექნება ადგილი მაშინ, როდესაც დამნაშავე თანაბარი ღირებულების ობიექტში დაუშვებს შეცდომას. მაგრამ, თუ დამნაშავემ მოკვლის განზრახვით ესროლა მისი წარმოდგენით ადამიანს, სინამდვილეში იმ ადგილზე ადამიანის ნაცვლად, ძაღლი აღმოჩნდა და მოკვდა, ქმედება უნდა შეფასდეს განზრახ მკვლელობის უვარგის მცდელობად. რაც შეეხება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებისათვის პასუხისმგებლობას, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 პარაგრაფის საფუძველზე გამოირიცხება, რადგან ქმედების შემადგენლობაში დაშვებული შეცდომა განზრახვას გამორიცხავს.[999]

ახებ იხ. *Suhr*, JA (1990), გვ. 303-306.

995 *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 423.

996 *Radtke*, JuS (1996), გვ. 880; *Murmann* (2011), გვ. 358.

997 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1574.

998 იხ: *Roxin*, AT (2003), გვ. 446; *Valerius*, JA (2010), გვ. 114.

999 იხ. *Valerius*, JA (2010), გვ. 114.

იმ შემთხვევაში, როდესაც ა. მისი ნარმოდგენით, ბუჩქებში გარეულ ღორს ესვრის და ააცილებს, სინამდვილეში ბუჩქებში ნადირის ნაცვლად ადამიანი იმყოფება, არ დაისჯება მკვლელობის მცდელობისათვის, რადგან მას არა აქვს ადამიანის მოკვლის განზრახვა (წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ბუჩქებში ადამიანი იმყოფება).[1000]

2. 1. 2. მცდელობა უვარგისი საშუალებით

უვარგისი მცდელობის ეს სახე გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცში ისეა აღწერილი, რომ საშუალებას, რომლითაც უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაული, საერთოდ არ შეუძლია შედეგის გამონვევა. მაგალითად, მკვლელი მსხვერპლს ჩაიში საწამლავის ნაცვლად შეცდომით ჩაუყრის შაქარს, ან იგი მსხვერპლს სათამაშო იარაღიდან ესვრის და მას იარაღი ნამდვილი ჰგონია, ანდა დამნაშავე დაუტენავ იარაღს უმიზნებს დაზარალებულს და მას შეცდომით იარაღი დატენილი ჰგონია. ასევე, დამნაშავე სეიფის გასაღებად იყენებს ისეთ საშუალებას, რომლითაც შეუძლებელია მიზნის მიღწევა და ა. შ. ყველა ასეთი შემთხვევა დანაშაულის მცდელობად ფასდება.[1001]

უვარგისი საშუალებით განხორციელებულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ა. უნდა მისი მონინააღმდეგეების ბ. და გ. მოკვლა. ამ მიზნით, იგი მივიდა მათთან სახლში და მოატყუა, რომ მათი ერთადერთი შვილი ავტოავარიაში დაილუპა. ამ ამბავის გაგონებაზე, ბ. გულის შეტევით გარდაიცვალა, ხოლო გ.-ს გული ნაუვიდა და მეზობლების დახმარებით სიკვდილს გადაურჩა. სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, მართალია, ა. ქმედებასა და ბ.-ს სიკვდილს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, მაგრამ ა. შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება. აქედან გამომდინარე, ა. მკვლელობის მცდელობისთვისაც არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.[1002] მაშასადამე, ქმედებაში გამოყენებული საშუალების (მცდარი ინფორმაციის მიწოდება) ვარგისიანობის შემოწმება და, შესაბამისად, მცდელობის საკითხის გადაწყვეტა, შესაძლებელია, ობიექტური შერაცხვის ნესების დახმარებით განხორციელდეს.

2. 1. 3. უვარგისი ობიექტის მიმართ გამოყენებული უვარგისი საშუალებით მცდელობა

შესაძლებელია, დანაშაულის მცდელობა ორმაგად უვარგის ხასიათს ატარებდეს. მაგალითად, როდესაც დამნაშავეს, რომელსაც სურს უკანონო აბორტის გაკეთება, ჰგონია, რომ ქალი ფეხმძიმეა და მას ორსულობის საწინააღმდეგო ნამალს აძლევს. სინამდვილეში, ქალი ფეხმძიმე არ არის და ნამალი, რომელსაც იგი აძლევს, აბსოლუტურად უვნებელია. აქ, როგორც კი დამნაშავე დაიწყებს ნამლის მიცემას, ადგილი ექნება უკანონო აბორტის უვარგის მცდელობას, უვარგის ობიექტზე და უვარგისი საშუალებით. საკითხი ასე იმი-

1000 იხ. *Putzke*, JuS (2009), გვ. 898.

1001 იხ.: *Roxin*, AT (2003), გვ. 446; *Valerius*, JA (2010), გვ. 114.

1002 მაგალითი მოყვანილია პუტცკეს სტატიიდან, იხ. *Putzke*, JuS (2009), გვ. 897.

ტომ წყდება, რომ დასჯადობა გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, დამოკიდებულია მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენაზე.[1003]

2. 1. 4. მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ

უვარგისი სუბიექტის მიერ დანაშაულის მცდელობის დასაბუთება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ეს საკითხი გერმანიის სსკ-ის 22-ე და 23-ე პარაგრაფებით არ რეგულირდება. გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ამ თემის ირგვლივ საკმაოდ ფართო დისკუსია მიმდინარეობს.

სისხლის სამართლის დოგმატიკა, უპირველეს ყოვლისა, სადავოდ არ თვლის მოჩვენებითი დელიქტის არსებობას მაშინ, როდესაც პიროვნება შეცდომით ფიქრობს, რომ იგი (ვარგისი) დამნაშავეა. ასეთ შემთხვევაში, სახეზეა სუბსუმციაში შეცდომა, რომელიც დაუსჯელი რჩება. მაგალითად, ა, რომელიც ფედერალური მიწის გამგეობაში დამლაგებლად მუშაობს და თავს სახელმწიფო მოხელედ მიიჩნევს, ბ. გარკვეულ თანხას იღებს ამ უკანასკნელის მიმართ არსებული ჯარიმის დამადასტურებელი აქტების დამალვის პირობით, არ განიხილება მექრთამეობის (სსკ-ის 332-ე პარაგრაფი) მცდელობის სუბიექტად.[1004]

მეორე მხრივ, დასჯად მცდელობას ყოველთვის ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტის უვარგისობა მხოლოდ ობიექტის უვარგისობის შედეგია. მაგალითად, როდესაც ქალი, რომელიც თავს შეცდომით ფეხმძიმედ მიიჩნევს და ვითომდა ორსულობის შეწყვეტის მიზნით ზომებს მიმართავს, ჩადის უკანონო აბორტის მცდელობას (გერმანიის სსკ-ის 218-ე მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, პასუხისმგებლობა ეკისრება ასევე ფეხმძიმე ქალს), მიუხედავად იმისა, რომ იგი სინამდვილეში ფეხმძიმე არ არის. ასეთი ქმედება მცდელობად ფასდება და არა მოჩვენებით დელიქტად, თუმცა, მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, სსკ-ის 218-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცის ბოლო ნინადადებით[1005] ქალი მცდელობისათვის არ ისჯება. ამის მსგავსად წყდება საკითხი სსკ-ის 173-ე პარაგრაფში დასახელებული დანაშაულის შემთხვევაში (ახლო ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირი, ინცესტი), როდესაც ა. სქესობრივ კავშირს ამყარებს ბ. და ეს უკანასკნელი შეცდომით თავისი შვილი ჰგონია, ადგილი აქვს ინცესტის მცდელობას და არა მოჩვენებით დელიქტს, რადგან დამნაშავის (სუბიექტის) უვარგისობა არის ობიექტის უვარგისობის გამოხატულება. ეს შემთხვევაც, გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დაუსჯელი რჩება. მაგრამ დასჯადობის საკითხი ყოველთვის ასე არ წყდება. არის შემთხვევები, როდესაც გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის მცდელობას სჯის მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტის უვარგისობა განპირობებუ-

---

1003 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 446-447.

1004 იხ.: *Roxin*, AT (2003), გვ. 447; *Murmann* (2011), გვ. 360; *Kühl*, AT (2008), გვ. 471.

1005 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცში საუბარია იმაზე, რომ ფეხმძიმე ქალი მცდელობისათვის არ ისჯება. აქ ის შემთხვევაც იგულისხმება, როდესაც ფეხმძიმობა, როგორც ასეთი, სახეზე არ არის, მაშასადამე, როდესაც ქალი არ არის ორსულად. ამის შესახებ იხ. *Fischer*, 59-ე გამოცემა (2012), გვ. 1450.

ლია უვარგისი ობიექტით, ანუ კონკრეტულ სიტუაციაში ობიექტის უვარგისობა იწვევს სუბიექტის უვარგისობას. მაგალითად, მამა, რომელსაც სხვისი ბავშვი შეცდომით თავისი შვილი ჰგონია და შეგნებულად არ ეხმარება მას, დაისჯება უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობის მცდელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მამა არ არის სხვისი შვილის სამართლებრივი გარანტი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ვითარებას ადგილი აქვს უმეტესად შერეულ უმოქმედობით დელიქტებში. სადავოა ისეთი შემთხვევები, სადაც, მაგალითად, ყოფილი მოხელე, რომელმაც ჯერ არ იცის მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, მოქალაქისაგან იღებს მატერიალურ სარგებელს.[1006]

ამასთან დაკავშირებით, ორი განსხვავებული შეხედულება არსებობს: **პირველი** შეხედულება, რომელიც *გაბატონებულ შეხედულებად* ითვლება, მიიჩნევს, რომ შეცდომა, რომელიც სუბიექტს უვარგის სუბიექტად აქცევს, განიხილება დასჯად უვარგის მცდელობად. ასეთ შეფასებას საფუძვლად უდევს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის თანაბარმნიშვნელობის მომენტი. მაშასადამე, სულერთია პიროვნებას დანაშაულის რომელ გარემოებებზე ექმნება მცდარი წარმოდგენა. ამით მცდელობის დასჯადობას, სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, ხელი არ ეშლება. **მეორე** შეხედულება საპირისპირო პოზიციაზე დგას. მას მიაჩნია, რომ, ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს მხოლოდ მოჩვენებით დელიქტს. ამ შეხედულების მომხრეები ეყრდნობიან აზრს იმის შესახებ, რომ მცდელობის დასჯადობა გამომდინარეობს დამნაშავის მიერ ნორმის დარღვევიდან. ვინაიდან ზემოთ დასახელებულ მაგალითში ნორმის დარღვევას არ ჰქონია ადგილი, ამიტომ ყოფილი მოხელე დამნაშავედ არ მიიჩნევა. უპირატესობით სარგებლობს **მესამე** შეხედულება, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს სპეციალურ (Statuspflichten) და ზოგად (Allgemeinpflichten) მოვალეობებს და მიუთითებს იმაზე, რომ უნდა დადგინდეს, დამნაშავის მოვალეობას სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს, თუ მხოლოდ კონკრეტული სიტუაცია, რათა ამის მიხედვით, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მცდელობა და მოჩვენებითი დელიქტი. **სპეციალური მოვალეობის** შესახებ მცდარი წარმოდგენა, ყოველთვის მოჩვენებით დელიქტს აფუძნებს, არ აქვს მნიშვნელობა რას ეფუძნება იგი. მაგრამ, როდესაც პირს **ზოგადი მოვალეობების** ძირითადი წინაპირობების შესახებ არასწორი წარმოდგენა გააჩნია, ჩადის დანაშაულის მცდელობას. მაგალითად, ის, ვინც შეცდომით ფიქრობს, რომ მძიმედ დაჭრილი პირისათვის დახმარება უნდა გაეწია, მაგრამ ამისათვის მან არაფერი არ მოიმოქმედა, დაისჯება მცდელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს უვარგისი სუბიექტის შემთხვევას.[1007] ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს დანაშაულის **შემადგენლობის ნიშნების სუმბსუმციაში** დაშვებულ შეცდომას.

2. 1. 5. მცდელობა უვარგისი მოტივაციის საფუძველზე

შესაძლებელია, რომ უვარგის მცდელობაში ცალკე გამოიყოს მცდელობა უვარგისი მოტივაციის საფუძველზე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნა-

1006 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 448.
1007 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 449-450.

შავე აბსოლუტურად უვარგის და გაუგებარ მოტივაციაზე აფუძნებს თავის ქმედებას და ჩადის დანაშაულის მცდელობას. მაგალითად, ა. ჰგონია, რომ მის მეუღლეს მხარზე ეშმაკი დააჯდა, რადგან ამ უკანასკნელს ხელის კანკალი დაეწყო. ამიტომ ა.-ს უნდა, რომ ეშმაკი განდევნოს და ამით მისი მეუღლის სული გადაარჩინოს. ამ მიზნით, ა. მოუქნევს ნაჯახს მისი წარმოდგენით ცოლის მხარზე მჯდომ ეშმაკს, მაგრამ ააცილებს. ასეთი შემთხვევა ჩვეულებრივ უვარგის მცდელობად უნდა შეფასდეს, რომლის უვარგისობას დამნაშავის უვარგისი და გაუგებარი მოტივაცია უდევს საფუძვლად.[1008]

2. 2. აბსოლუტურად უვარგისი და ირეალური მცდელობა

2. 2. 1. აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა

ქმედება, რომელსაც საერთოდ არ აქვს შედეგის გამოწვევის უნარი, გერმანიის სისხლის სამართლის ადრეულ ლიტერატურაში ცნობილი იყო **აბსოლუტურად უვარგისი** (*Der Versuch aus grobem Unverstand*) მცდელობის სახელწოდებით. მას უპირისპირდებოდა ე. წ. **შედარებით უვარგისი** მცდელობა.[1009] ფოიერბახი ასეთ ქმედებებს საშიშ და არასაშიშ მცდელობას უწოდებდა, რითაც მას უნდოდა ერთმანეთისაგან გაემიჯნა დასჯადი და არა დასჯადი ქმედებები.[1010]

შედარებით უვარგის მცდელობად თანამედროვე სისხლის სამართლის პრაქტიკა მიიჩნევს ისეთ შემთხვევას (მაგალითად, თაღლითობის დროს), როდესაც დანაშაულის დაუმთავრებლობა გამოწვეულია შემთხვევითი გარემოებების მიზეზით. ასეთი ქმედება ზოგადად შედეგის გამომწვევია, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული გარემოების გამო, მაგალითად, როდესაც დაზარალებულმა სიფრთხილე გამოიჩინა, ქმედებამ შედეგის განხორციელებას ვერ მიაღწია.[1011]

დანაშაულის მცდელობის ვარგისიანობა არა ქმედების წარუმატებლობით, არამედ დამნაშავის დანაშაულებრივი გეგმის გათვალისწინებით უნდა შემოწმდეს.[1012]

აბსოლუტურად უვარგის მცდელობაში მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც ობიექტურად სახეზეა უვარგისი მცდელობა, ხოლო სუბიექტურად დამნაშავე მის უვარგის ხასიათს, **აშკარა უცოდინარობის** (**უვიცობის**) გამო, ვერ აცნობიერებს.[1013]

გერმანიის ფედერალური სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის დოგმატიკა აბსოლუტურად უვარგის მცდელობად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამნაშავე უვარგისი საშუალების გამოყენებით შედეგის გამოწვევას შესაძლებლად მიიჩნევს. ასეთი შეცდომა აშკარა უნდა იყოს არა მარტო შესა-

1008 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 301.
1009 იხ. *Stratenwerth, Kuhlen*, AT (2011), გვ. 205.
1010 იხ. *Radtke*, JuS (1996), გვ. 880, სქოლიო 20.
1011 იხ.: *JBl* (2008), 130, გვ. 332; *JBl* (2012), 134, გვ. 65.
1012 იხ. *JBl* (2012), 134, გვ. 66.
1013 *Heinrich*, Jura (1998), გვ. 394.

ბამისი სპეციალობის მქონე ადამიანისათვის, არამედ ყველა საშუალო გამოცდილების მქონე ადამიანისათვის. მაშასადამე, აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს ადგილი აქვს სრულიად არასნორ წარმოდგენას საყოველთაოდ ცნობილი მიზეზობრივი კავშირის შესახებ. მაგალითად, პიროვნებას დამბაჩის მეშვეობით მაღალ სიმაღლეზე მყოფი თვითმფრინავის ჩამოგდება შესაძლებლად მიაჩნია. მოცემულ შემთხვევაში, შეცდომა, რომლის მსხვერლიც დამნაშავეა, საშუალო გამოცდილების მქონე ყველა ადამიანისათვის აშკარა უნდა იყოს.[1014]

უვარგისი მცდელობის დროს სასამართლოს შეუძლია სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის საფუძველზე, „აბსოლუტურად უვარგისობის" გამო, პიროვნება სასჯელისაგან გაათავისუფლოს ანდა მსუბუქად დასაჯოს იგი. ასეთი პრივილეგია მხოლოდ არასაშიშ მცდელობებს შეეხება, რომლის გამიჯვნა საშიში მცდელობისაგან, ცალკეულ შემთხვევებში, ძალზედ რთულია.[1015]

სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედებას დაზარალებულისათვის ობიექტურად არ შეუქმნია არც კონკრეტული და არც აბსტრაქტული საფრთხე. კანონი უვარგისი მცდელობის დასჯადობის საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენაში არსებულ საფრთხეს.[1016]

„აბსოლუტურად უვარგისი" მცდელობა ნომოლოგიური შეცდომის (ბუნების კანონებში დაშვებული შეცდომა) საფუძველზე უნდა შეიზღუდოს და იგი ასევე არ შეიძლება ონტოლოგიურ შეცდომაზე (ფაქტობრივ გარემოებებში დაშვებული შეცდომა) დაყრდნობით გაფართოვდეს. მაშასადამე, როდესაც დამნაშავე სხვისი სიცოცხლის განზრახ მოსპობის მიზნით, გამოყენებულ **სათამაშო** იარაღს ნამდვილ იარაღად მიიჩნევს, ანდა მას გვამი მძინარე ადამიანი ჰგონია, ჯერ კიდევ არ აქვს ადგილი „აბსოლუტურად უვარგის" მცდელობას. მაგრამ დამნაშავე, რომელსაც შეცნობილი აქვს, რომ სათამაშო პისტოლეტი უჭირავს ხელში და მიუხედავად ამისა, სჯერა, რომ სროლას შეძლებს, ანდა, როდესაც იგი ფიქრობს, რომ სხეული, რომელსაც უკვე ლპობის კვალი ამჩნევია, ჯერ კიდევ ცოცხლობს, ცდება უკვე ბუნების კანონებში. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ნომოლოგიურ და ონტოლოგიურ შეცდომად დაყოფა ყოველთვის არ ატარებს ზუსტ ხასიათს.[1017]

სადავოა „აბსოლუტურად უვარგის" მცდელობის საკითხი მაშინ, როდესაც დამნაშავის მცდარი წარმოდგენა რამდენიმე ადამიანს ან სულაც ხალხის დიდ ნაწილს ვარგისად მიაჩნია. ასევე სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის ანალოგიის გამოყენება. სისხლის სამართლის ბევრ მეცნიერს სურს, ეს განსაზღვრება უვარგისი სუბიექტის შემთხვევაზე გაავრცელოს. მაგალითად, პიროვნება, ხუმრობით დანერილ წერილს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ოფიციალურ დოკუმენ-

1014 *Wessels, Beulke*, AT (2012), გვ. 240; *Frister*, AT (2011), გვ. 301; *Valerius*, JA (2010), გვ. 116; *BGHSt* 41, გვ. 96.

1015 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 452.

1016 იხ. *BGHSt* 41, გვ. 95-96.

1017 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 452-453.

ტად მიიჩნევს. თუმცა, თანამდებობრივი სტატუსის შესახებ არასწორი თვით-დაჯერების დროს, სახეზეა მოჩვენებითი დელიქტი ისე, რომ სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის გამოყენება საჭირო აღარ არის. ასევე წყდება საკითხი მაშინაც, როდესაც პიროვნება თავის ქცევას, გაუგებარი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, დასჯად ქმედებად მიიჩნევს. მაგრამ, პირიქით, სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის ანალოგიურად, მცდელობად ითვლება ქმედება მაშინ, როდესაც პიროვნება პასპორტს იმ სახით აყალბებს, რომ მცოდნე ადამიანების მოტყუებას ვერ შეძლებს. მისი ეს უვიცობა, შესაძლებელია, სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის ფარგლებში შეფასდეს.[1018]

გერმანულ სისხლის სამართალში სადავოდ არ ითვლება საკითხი და, შესაბამისად, ქმედება „აბსოლუტურ უვარგის" მცდელობად ფასდება მაშინ, როდესაც პირს სჯერა, რომ ქალი კოცნით დაფეხმძიმდება და ამ სიტუაციაში უკანონო აბორტი დასაშვებად მიაჩნია. მართალია, აქ მოქმედის მოტივაცია აბსოლუტურად გაუგებარია, რადგან კოცნას საერთოდ არ შეუძლია ფეხმძიმობის გამონვევა, მაგრამ ქმედება, როგორც ასეთი, რომელიც გამოიხატება აბორტის გაკეთების მცდელობაში არ განიხილება გაუგებრად, არამედ აქ, შესაძლებელია, საუბარი იყოს უვარგისი ობიექტის შესახებ, რომელიც ასევე შეესაბამება სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცს. მაშასადამე, სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის მოქმედება არ ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ვარგის ობიექტზე ვარგისი საშუალების გამოყენების მცდელობა აბსოლუტურად უვარგის მოტივებს ეფუძნება. მაგალითად, როდესაც ქმარი ცდილობს ცოლის მოკვლას, რადგან ჰგონია, რომ მისი ცოლი ეშმაკმა დაიმორჩილა.[1019]

2. 2. 2. ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობა

ირეალური მცდელობა (*Abergläubische Versuch*)[1020] გულისხმობს ისეთ მცდელობას, რომლის დროსაც დამნაშავეს არარსებული ან ყოველ შემთხვევაში მეცნიერულად არაღიარებული მაგიური ძალების დახმარებით ჰგონია, რომ შედეგს მიაღწევს.[1021]

მაშინ, როდესაც აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს დამნაშავე ყველასათვის აშკარა მიზეზობრიობის კანონებს ვერ ამჩნევს, **ირეალური მცდელობის** დროს, დამნაშავეს მაგიური და ზებუნებრივი ძალების სჯერა. იგი იძახებს ისეთ ძალებს, რომლებიც რეალურ სამყაროს არ მიეკუთვნება და ადამიანებზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ირეალური მცდელობის ქვეშ გაიგება ისეთი ქმედებები, როგორიცაა **შელოცვა, ჯადოქრობა, დანყევლა** და ა. შ. მაგალითად, ცოლს მოსეს მეშვიდე წიგნის დახმარებით სურს ეშმაკის გამოძახება, რათა მისი ქმარი დანყევლოს და ამით მოკლას იგი.[1022] მაშასადამე, დამნაშავე სრული უვიცობით ცდილობს ბუნების კანონების მართვას.[1023]

1018 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 453.
1019 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 453-454.
1020 იხ. *Stratehnwerth, Kuhlen*, AT (2011), გვ. 207.
1021 იხ. *Heinrich*, Jura (1998), გვ. 397.
1022 იხ. *Seier, Gaude*, JuS (1999), გვ. 459.
1023 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 455.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში თითქმის ერთხმად აღიარებულია, რომ ირეალური მცდელობა საერთოდ არ წარმოადგენს მცდელობას სსკ-ის 22-ე პარაგრაფის თვალსაზრისით[1024] და იგი ყოველთვის დაუსჯელი რჩება, რადგან ამ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთისათვის რაიმე საფრთხის შექმნა შეუძლებელია და, შესაბამისად, მათ მიმართ სიხლის სამართლის სანქციის გამოყენება გაუმართლებელი იქნება.[1025]

სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გერმანიის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე პარაგრაფი კონკრეტულად არ ადგენსს, დასჯადი უნდა იყოს თუ არა ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობა. ზოგიერთ მეცნიერს კი მიაჩნია, რომ ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობა სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის ფარგლებში მოიაზრება, მაგრამ ეს განპირობებულია არა ასეთი შემთხვევის დასჯადობის აუცილებლობით, არამედ იმის გამო, რომ კანონმდებელი აბსოლუტურად უვარგისი და ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნას კანონმდებლობაში ზუსტად ვერ განახორციელებდა. ა. ქმედება, როდესაც იგი ნაყოფის მოცილებას გვირილის ჩაის დახმარებით ცდილობს, არ წარმოადგენს ირეალურ (ცრურწმენითი) მცდელობას, არამედ იგი უნდა შეფასდეს სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის ფარგლებში.[1026] ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც ა. მოკვლის განზრახვით გვირილის ჩაი მოამზადა და ჰგონია, რომ იგი ამ საშუალებით ბ.-ს სიცოცხლეს აუცილებლად მოუსპობს, სინამდვილეში ბ. სხვა მიზეზით გარდაიცვალა, დამთავრებული განზრახ მკვლელობა, ერთი მხრივ, მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო უნდა გამოირიცხოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ქმედება უნდა შეფასდეს უვარგის მცდელობად და არა ირეალურ (ცრურწმენითი) მცდელობად.[1027]

ამდენად, აბსოლუტურად უვარგის მცდელობასა და ირეალურ (ცრურწმენითი) მცდელობას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეს ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობის დროს, ტრანსცენდენტალური (ადამიანურ შესაძლებლობას აღმატებული) ძალების სჯერა, მაშინ როდესაც აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს, იგი ვერ აღიქვამს ობიექტურად არსებული ბუნების კანონების ზემოქმედებას. ამიტომ, მისაღებია ის მსჯელობა, რომელსაც ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობა დაუსჯელობამდე მიჰყავს,[1028] რადგან მისი დასჯადობა არც გენერალური და არც სპეციალური პრევენციის თვალსაზრისით, არ არის აუცილებელი.[1029]

2. 3. უვარგისი მცდელობის და მოჩვენებითი დელიქტის გამიჯვნა

უვარგისი მცდელობის და მოჩვენებითი დელიქტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ერთი შეხედვით, მარტივი საქმეა, თუმცა, მეორე მხრივ, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

1024 იხ. *Herzberg*, GA (2001), გვ. 269.
1025 იხ. *Stratehnwerth, Kuhlen*, AT (2011), გვ. 207.
1026 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 455-456.
1027 იხ. *Heinrich*, Jura (1998), გვ. 397.
1028 იქვე.
1029 იხ. *Koch-Schlegtendal* (2012). გვ. 34.

მე-19 საუკუნეში სისხლის სამართლის დოგმატიკა და სასამართლო პრაქტიკა მსჯელობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაემიჯნა ერთმანეთისაგან უვარგისი მცდელობა და მოჩვენებითი დელიქტი. ამ უკანასკნელს ადრეულ სისხლის სამართალში „პუტატიური დელიქტის" სახელით მოიხსენიებდნენ, თუმცა ამ ტერმინით თანამედროვე სისხლის სამართლის ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი ისევ სარგებლობს[1030].

ვისაც ხის ძირი ადამიანი ჰგონია და მოკვლის განზრახვით ისვრის მისი მიმართულებით, განზრახ მკვლელობის უვარგის მცდელობას ახორციელებს, მაგრამ ვისაც ქმედების განხორციელების დროს შეცდომით ჰგონია, რომ დანაშაულის შემადგენლობას ასრულებს, ჩადის მოჩვენებით დელიქტს. მაშასადამე, ის, ვინც რეალურად არსებულ გარემოებებს სრულად და ზუსტად აღიქვამს, მაგრამ შეცდომით ფიქრობს, რომ მისი ქმედება დანაშაულს წარმოადგენს, ჩადის მოჩვენებით დელიქტს. მაგალითად, ის, ვისაც ტყეში ხის ძირისათვის სროლა დასჯადი ქმედება ჰგონია, ჩადის მოჩვენებით დელიქტს. მოჩვენებითი დელიქტი არ ისჯება. მისი დაუსჯელობა გამომდინარეობს კანონიერების პრინციპიდან (*nullum crimen sine lege*), რომელიც გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლით არის განმტკიცებული. ამ პრინციპის მიხედვით, იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს, შესაბამისად, შეუძლებელია დამთავრებულ დანაშაულზე და დანაშაულის მცდელობაზე საუბარი. დამნაშავის მხოლოდ ბოროტ აზრს არ შეუძლია დასჯადობა დააფუძნოს.[1031]

დანაშაულის მცდელობის დროს დამნაშავის ცოდნა ეფუძნება ისეთ გარემოებებს, რომელიც გარესამყაროში არსებობს და, შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაც შეუძლია. მოჩვენებითი დელიქტის დროს კი, როგორც უკვე აღინიშნა, დამნაშავეს შეცდომით ჰგონია, რომ იგი არღვევს სამართლის ნორმებს, რომელიც ბუნებაში საერთოდ არ არსებობს, ანდა არსებული ნორმების არასწორი შეფასების საფუძველზე, მათი მოქმედების არეალს აფართოებს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, ა.-ს შეცდომით ჰგონია, რომ მეუღლის ღალატი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულს ნარმოადგენს. სინამდვილეში, მსგავს ქმედებას სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.[1032] მეორე შემთხვევაში, ა. მეზობლის სურათს წვავს და ჰგონია, რომ ამით ჩადის ჯანმრთელობის დაზიანებას. სინამდვილეში, ჯანმრთელობის დაზიანება გათვალისწინებულია სსკ-ის 223-ე პარაგრაფით, მაგრამ მისი განხორციელება სურათის განადგურებაში არ გამოიხატება. სულ სხვა ვითარებას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც ა. ფიქრობს, რომ მეზობლის სურათის განადგურებით და მისი შებღალვით ბ. ფიზიკურ ტკივილს აყენებს. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს ირეალურ მცდელობას.[1033]

ვინაიდან ეს საკითხი შეცდომის პრობლემატიკასთან არის კავშირში,

1030 იხ. *Schmitz*, Jura (2003), გვ. 593.

1031 იხ. *Roxin*, JZ (1996), გვ. 981.

1032 მეუღლის ღალატი გერმანიის სსკ-ის 172-ე პარაგრაფით 1969 წლამდე დასჯად ქმედებად ითვლებოდა, იხ. *Valerius*, JA (2010), მე-6 სქოლიო, გვ. 113.

1033 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 303-304.

ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ დანაშაულის მცდელობისა და მოჩვენებითი დელიქტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებში დაშვებული შეცდომისა და აკრძალვაში შეცდომის გამიჯვნის პარალელურად განხორციელდეს. ქმედება მოჩვენებით დელიქტად მაშინ ფასდება, როდესაც ადგილი აქვს შეცდომას აკრძალვაში, შეცდომას სუმბსუმციაში და დასჯადობასთან დაკავშირებულ შეცდომას.

აკრძალვაში არაპირდაპირ შეცდომას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ა. შეცდომით ჰგონია, რომ მეუღლის ღალატი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დასჯადი ქმედებაა.

ნებართვაში არაპირდაპირი შეცდომა სახეზეა მაშინ, როდესაც პირს შეცდომით ჰგონია, რომ აუცილებელი მოგერიების დროს დანის დახმარებით თავდაცვა აკრძალულია, რადგან ჰგონია, რომ თავდასხმის წინააღმდეგ საშიში საშუალებების გამოყენება ნებადართული არ არის.

დასჯადობასთან დაკავშირებულ არაპირდაპირ შეცდომას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პირს ჰგონია, რომ მტკიცებულებების განადგურებით გამოძიებას ხელს შეუშლის მისი შვილის დასჯაში, რადგან დასჯის განხორციელებისათვის ხელის შეშლა (სსკ-ის 258-ე პარაგრაფის მე-6 აბზაცი პირს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, თუ იგი ნათესავის სასარგებლოდ ჩაიდენს ქმედებას), ნათესაობის გამო, არ ისჯება.[1034]

სუბსუმციაში არაპირდაპირი შეცდომა მაშინ ნარმოიშობა, როდესაც ა., ზემოთ დასახელებული მაგალითის მიხედვით, შეცდომით ჰგონია, რომ მეზობლის სურათის განადგურებით ჩადის სსკ-ის 223-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას.[1035]

2. 3. 1. არასადავო საკითხები

სისხლის სამართლის დოგმატიკაში სადავო არ არის, რომ მოჩვენებითი დელიქტის შესახებ საკითხი მაშინ ნარმოიშობა, როდესაც ადგილი აქვს **სამართლებრივ შეცდომას**. საერთო ნესიდან გამომდინარე, ფაქტობრივ გარემოებებში შეცდომას მოჩვენებითი დელიქტის დაფუძნება არ შეუძლია, თუმცა არსებობს ერთი გამონაკლისი, რომელიც არ არის სადავო, კერძოდ, **სტატუსის შესახებ მცდარი წარმოდგენა**. მაგალითად, არა მოხელე პირი, რომელიც თავის ქმედებას ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებად მიიჩნევს და ჰგონია, რომ სამოხელეო დანაშაულს ჩადის, ახორციელებს მოჩვენებით დელიქტს, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეცდომა ფაქტობრივ სფეროში დევს.[1036]

მოჩვენებით დელიქტად ფასდება პირის ისეთი ქმედებები, როდესაც ადგილი აქვს სისხლისსამართლებრივი **პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს**. მაგალითად, პირი, რომელიც თავისი საკუთრების დაცვის მიზნით ქურდს ფეხებში ცეცხლსასროლი იარაღიდან ესვრის, მოქმედებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში (სსკ-ის 32-ე პარაგრაფი). თუ იგი თავის ქმედებას დასჯადად აფასებს და ფიქრობს, რომ მას არ ჰქონდა საკუთრების დასაცავად

1034 იხ. *Kindhäser*, AT (2013), გვ. 244.
1035 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 304.
1036 იხ. *Roxin*, JZ (1996), გვ. 981-982.

ცეცხლსასროლი იარაღით ჯანმრთელობის დაზიანების უფლება, იგი ჩადის არა ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობას, არამედ მოჩვენებით დელიქტს. დაუსჯელი რჩება ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი დამნაშავეს შეიპყრობს და ჰგონია, რომ იგი ჩადის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, რადგან შეცდომით თვლის, რომ მხოლოდ სამართალდამცველ ორგანოებს აქვთ დამნაშავის შეპყრობის უფლება. ამის გარდა, პირი არ დაისჯება მაშინაც, როდესაც სახეზეა ბრალის გამომრიცხველი საპატიო გარემოებები, ე. ი. სახეზეა მართლსანინააღმდეგო ქმედება და პირი ასეთ ქმედებას დასჯადად მიიჩნევს.[1037]

დღეისათვის სადავო არ არის, რომ ქმედება მოჩვენებით დელიქტად უნდა შეფასდეს მაშინაც, როდესაც დამნაშავე დანაშაულის წინაპირობების არასწორ შეფასებას ახდენს. ეს შეეხება დანაშაულის შემადგენლობის როგორც **ნორმატიულ**, ისე **დესკრიფციულ** ელემენტებს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აქ დანაშაულის ის ნიშნები მოიაზრება, რომელიც კანონში პირდაპირ არ არის დასახელებული, არამედ მათი შინაარსიდან გამომდინარეობს. მაგალითად, გერმანიის ფედერალური სასამართლოს დიდი პალატის შეხედულებით, მოჩვენებით დელიქტად ითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც პიროვნებას შეცდომით ჰგონია, რომ **სამართლებრივი გარანტის** მატარებელია და მისი წარმოდგენით იგი შერეული უმოქმედობის დელიქტს ჩადის. სინამდვილეში, მისთვის ცნობილი ფაქტობრივი გარემოება ამ მოვალეობას არ წარმოშობს.[1038]

მაგრამ კანონში აღწერილ ნორმატიულ და დესკრიფციულ ნიშნებში დაშვებული შეცდომა, შესაძლებელია, რომ მოჩვენებითი დელიქტის საფუძველი არ გახდეს. მაგალითად, ა. საათი დააგირავა და გარკვეული თანხის სანაცვლოდ გადასცა ბ.-ს. ამასთან, მხარეებმა აქტი შეადგინეს, რომლითაც დასტურდებოდა საათის ბ.-ს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში ქონის ფაქტი. ერთ დღეს, როდესაც ა. სტუმრად იმყოფებოდა ბ.-თან, ამ უკანასკნელისაგან დაუკითხავად აიღო თავისი საათი და აქტიც გაანადგურა. ა. ფიქრობდა, რომ ამით მან ჩაიდინა ქურდობა (სსკ-ის 242-ე პარაგრაფი) და დოკუმენტის განადგურება (სსკ-ის 274-ე პარაგრაფი). სინამდვილეში, ა.-ს ქმედებაში ადგილი აქვს „მესაკუთრის მიერ საკუთრების ბოროტად გამოყენების ფაქტს", რომელსაც ითვალისწინებს გერმანიის სსკ-ის 289-ე პარაგრაფი და არა მოჩვენებით დელიქტს.[1039]

2. 3. 2. სადავო საკითხები

მიუხედავად გამიჯვნის კრიტერიუმების არსებობისა, უვარგისი მცდელობისა და მოჩვენებითი დელიქტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა საკმაოდ რთული პროცესია. სისხლის სამართლის ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხზე დღემდე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.[1040]

მოჩვენებით დელიქტთან დაკავშირებული სადავო საკითხების ნათლად წარმოჩენის მიზნით, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განხილუ-

1037 *Roxin*, JZ (1996), გვ. 982.
1038 იხ.: *Roxin*, JZ (1996), გვ. 982; *BGHSt* 16, გვ. 160.
1039 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 305.
1040 იხ. *Roxin*, JZ (1996), გვ. 981.

ლია *შემდეგი ტიპის* შემთხვევები:

ა) სხვისი საკუთრების გადაცემის წინაპირობებში დაშვებული შეცდომა. ა. დ. მიჰყიდა მოძრავი ნივთი, რომელიც ა. ერთხელ უკვე გაყიდული ჰქონდა გ-ზე, მაგრამ მესაკუთრისთვის ჯერ არ ჰქონდა გადაცემული. დ.-ს თხოვნის საფუძველზე, ნივთი კვლავ ა.-ს მფლობელობაში დარჩა. ამასთან, ა. ფიქრობდა, რომ ამით მან ჩაიდინა მითვისება, რადგან ა.-ს არასაკმარისი სამართლებრივი ცოდნა გააჩნია იმის შესახებ, რომ გ-თან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნივთი გ.-ს საკუთრებაში გადავიდა. მოცემულ შემთხვევაში, დამთავრებული მითვისება გამორიცხულია, რადგან ნივთი მეორედ გაყიდვის დროს „სხვისი" არ იყო, არამედ ჯერ კიდევ დამნაშავის საკუთრებაში იმყოფებოდა (ფაქტობრივად). თუმცა, დამნაშავე არასწორი შეფასების საფუძველზე მას სხვის ნივთად მიიჩნევდა. ისმის შეკითხვა: დასახელებულ მაგალითში მითვისების უვარგის მცდელობას აქვს ადგილი, თუ მხოლოდ მოჩვენებითი დელიქტია სახეზე? მოცემულ შემთხვევაში დამნაშავის მიერ ცნება „სხვისი" არასწორად არ არის გაგებული და ასევე, არც ფართოდ არ არის განმარტებული. მან იცის, რომ ნივთი სხვისია მაშინ, როდესაც იგი სხვის საკუთრებაში ან თანასაკუთრებაშია გადასული. ამიტომ იგი მხოლოდ საკუთრების გადაცემის სამართლებრივ წინაპირობებში ცდება. იგი ცდება სამართლებრივი რეგულირების საკითხში, რომელიც დგას დანაშაულის შემადგენლობის წინა ეტაპზე.[1041]

ბ) საგადასახადოსამართლებრივ ვალდებულებებში დაშვებული შეცდომა. მსგავსი შეცდომები, შესაძლებელია, ასევე თაღლითობის დროსაც იყოს დაშვებული. მაგალითად, ა. მიწის გაყიდვის დროს, ნასყიდობის ხელშეკრულებაში კლიენტის მიერ გადაცემული თანხის ოდენობა ზუსტად არ მიუთითა, არამედ შედარებით დაბალი თანხა აჩვენა, რადგან ფიქრობდა, რომ ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებისას მომსახურებისათვის დაბალ გადასახადს გადაიხდიდა. მას შეცდომით ჰგონია, რომ ნოტარიუსის მომსახურების საფასური ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ფასით განისაზღვრება. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში, ზიანის არარსებობის გამო, დამთავრებული თაღლითობა გამორიცხულია. შესაბამისად, ისმის შეკითხვა იმის შესახებ, დასახელებულ მაგალითში ადგილი აქვს თაღლითობის უვარგის მცდელობას, თუ მოჩვენებით დელიქტს? დასმულ შეკითხვაზე, შესაძლებელია, ასეთი პასუხის გაცემა: დამნაშავეს ქონებრივი ზიანის ცნება სწორად აქვს გაგებული, მაგრამ იგი შეცდომას უშვებს ასეთი დაზიანების წარმომშობ საგადასახადოსამართლებრივი ვალდებულებების ცოდნაში.

საგადასახადო ვალდებულებების დიდი მოცულობის და მათი სირთულის გამო, სამართლებრივი შეცდომები განსაკუთრებით ამ სფეროში ადვილად შესაძლებელია. მაგალითად, ა. თავისი მეუღლისაგან რამდენიმე ათას ევროს მემკვიდრეობით იღებს და შეცდომით ჰგონია, რომ ამისათვის გადასახადი უნდა გადაიხადოს, ამიტომ იგი საფინანსო სამსახურის შეკითხვებს შეგნებულად არასწორად პასუხობს. ამ შემთხვევაშიც, დამნაშავე ცდება არა გადასახადების შემცირების არსში, ან მნიშვნელოვან საგადასახადო ფაქტებში, არამედ გადასახადის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივ წინაპი-

1041 *Roxin*, JZ (1996), გვ. 982-983.

რობებში.

გ) კომპეტენციის განაწილების საკითხში დაშვებული შეცდომა. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ისეთი სახის შემთხვევებს, როდესაც ვინმე ფიცის ქვეშ ცრუ ინფორმაციას აწვდის რომელიმე ორგანოს და პგონია, რომ ეს უკანასკნელი კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, დაიბადება შეკითხვა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ასეთი პირის ქმედება, უვარგის მცდელობად, თუ მოჩვენებით დელიქტად? დამნაშავე აქაც არ ცდება კოპეტენციის არსში, რადგან მან იცის, რომ ზოგად და კონკრეტულ შემთხვევებში ფიცის დადება უფლებამოსილი ორგანოს წინაშე ხდება. ამიტომ, დამნაშავის შეცდომა, რომლის საფუძველზეც მას თავისი ქმედება დასჯადად მიაჩნია, დაშვებულია კომპეტენციის განაწილების საკითხში, რომელიც სისხლის სამართლის ნორმებით არ რეგულირდება.[1042]

აქედან გამომდინარე, ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში, **„დასჯადობის წინარე ეტაპზე გადატანის თეორიის"** (*Vorfeldstheorie*) მიხედვით, ადგილი აქვს დასჯად მცდელობას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალ-პოლიტიკური მოსაზრებებით, მცდელობის დასჯადობის გაფართოება ყოველთვის არ არის გამართლებული.[1043]

2. 4. უვარგისი მცდელობა უმოქმედობით და თანაამსრულებლობით ჩადენილ დელიქტებში

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში სადავო გახდა უმოქმედობით ჩადენილი უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში დასჯადობის გამოყენებას სისხლის სამართალი „აზრის სისხლის სამართლამდე" დაჰყავს, რადგან საფრთხე ობიექტურად არ არსებობს და დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის დამაზიანებელი ქმედება არა აქვს გადაწყვეტილი, ამიტომ მხოლოდ მისი ბოროტი აზრი რჩება, როგორც დასჯადობის საფუძველი. მაგრამ უმოქმედობით ჩადენილი უვარგისი მცდელობის დროს დაუსჯელობის მიზანშეუწონლობის შესახებ წამოყენებული არგუმენტი, არაფერს არ ამტკიცებს, რადგან უვარგისი უმოქმედობითი მცდელობა ***ex ante*** ისევე საშიშია, როგორც იგი აქტიური ქმედებით ჩადენილი მცდელობის დროს არის. მაგალითად, მამას, რომელიც თავის შვილთან ერთად ზღვაზე იმყოფება, შეატყობინეს, რომ მისი შვილი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და მისგან დახმარებას საჭიროებს. მამის უმოქმედოდ ყოფნა საშიშროების შემცველია და სასჯელს იმსახურებს მაშინაც, როდესაც მისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოგვიანებით მცდარი აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში, არ დაისმება საკითხი მხოლოდ „აზრის სისხლის სამართლის" შესახებ, არამედ ადგილი აქვს დანაშაულის შემადგენლობის ნინ მდგომ უმოქმედობით მცდელობის დაწყების შემთხვევას.[1044]

გერმანიის ფედერალური სასამართლო მიუთითებს იმაზე, რომ ***თანაამსრულებელთა მცდელობის*** დროს გამოყენებული კრიტერიუმი, რომელიც

1042 *Roxin*, JZ (1996), გვ. 983.

1043 იქვე.

1044 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 457.

გულისხმობს, იმას, რომ ერთ-ერთი თანაამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყება საკმარისია დანარჩენი თანაამსრულებლების ქმედების მცდელობად შეფასებისათვის, მოქმედებს ასევე **უვარგისი** მცდელობის დროსაც. სასამართლოს აზრით, აქ მთავარია, დამნაშავის წარმოდგენა ქმედების ვარგისიანობის შესახებ, რომელიც სსკ-ის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, როგორც ქმედების შემადგენლობის დაწყება, ისე განიხილება.[1045]

სასამართლოს ასეთი შეფასება სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაკრიტიკებულია იმ არგუმენტით, რომ თანაამსრულებლებს ქმედების განხორციელების მომენტში აუცილებელია ჰქონდეთ **ერთიანი ნება**, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, მაგრამ თუკი თანაამსრულებელი ამ ნების გარეშე მოქმედებს, ანდა იგი ამ ნებით მოქმედებს მხოლოდ დანარჩენი თანაამსრულებლების წარმოდგენით, მაშინ სახეზე არ იქნება თანაამსრულებლობით განხორციელებული უმართლობის მცდელობა.[1046]

2. 5. უვარგისი მცდელობის დასჯადობის თავისებურებანი გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მიხედვით

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე პარაგრაფი განსაზღვრავს მცდელობის დასჯადობის თავისებურებებს. აღნიშნული პარაგრაფი სამი აბზაცისაგან შედგება.

სსკ-ის 23-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის თანახმად, **დანაშაულის მცდელობა** ყოველთვის დასჯადია, ხოლო **გადაცდომის მცდელობა** დასჯადია მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია კანონში.

სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის თანახმად, მცდელობა, შესაძლებელია, დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით მსუბუქად დაისაჯოს. მაშასადამე, აქ საუბარია მცდელობის შესაძლო მსუბუქად დასჯადობის შესახებ სსკ-ის 49-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის ფარგლებში.

სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი ეთმობა უვარგისი მცდელობის დასჯადობის შემთხვევებს და მიუთითებს იმაზე, რომ, დამნაშავეს, რომელიც ახორციელებს ქმედებას და აშკარა უცოდინარობის (უვიცობის) გამო, ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ მის მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ საშუალებებს დანაშაულის განხორციელება საერთოდ არ შეუძლია, ანდა ობიექტის თვისებების გათვალისწინებით, მცდელობის დამთავრება საერთოდ შეუძლებელია, სასამართლოს შეუძლია საერთოდ არ დააკისროს სასჯელი, ან თავისი შეხედულებით, სასჯელი შეუმსუბუქოს მას (სსკ-ის 49-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი).

ბუნებრივია, დაიბადება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის შეუმსუბუქდება დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-2 აბზაციდან გამომდინარე? ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, გადამწყვეტია

1045 იხ. *BGHSt* 40, გვ. 301-302.

1046 იხ. *Zaczyk* (2010), გვ. 931.

ყველა არსებითი ფაქტობრივი გარემოებების და დამნაშავის პიროვნების ერთობლივად შეფასების მომენტები, რაც ყოველთვის დამნაშავის სასარგებლოდ ან მის სანინააღმდეგოდ მეტყველებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავად მცდელობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობა არის სასჯელის შემსუბუქების საფუძველი, რომელშიც იგულისხმება მცდელობის ვარგისიანობა, საშიშროება, შედეგის არ დადგომის მიზეზი და სხვ.[1047]

გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის დამთავრება საერთოდ შეუძლებელია დამნაშავის მხრიდან აშკარა უცოდინარობის (უვიცობის) გამო. მაგალითად, დამნაშავეს ჰგონია, რომ სარეცხი საშუალებით, შესაძლებელია, მუცლის მოშლა ანდა დამნაშავეს ჰგონია, რომ თვითმფრინავს, რომელიც ძალიან მაღალ სიმაღლეზე მიფრინავს, გაზის იარაღით ჩამოაგდებს. მაშასადამე, სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის გამოყენება მაშინ არის აუცილებელი, როდესაც დამნაშავე დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ საშუალებებს და გამიზნულ შედეგს საერთოდ ვერ აცნობიერებს. ამ შემთხვევისაგან უნდა გაიმიჯნოს ისეთი შემთხვევა, როდესაც პიროვნება ზემოქმედების კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის უკვე აღიარებული ბუნებითი კანონების ფარგლებში უარყოფს. მაგალითად, ცოლს ჰგონია, რომ შელოცვით მოკლავს თავის ქმარს (ირეალური მცდელობა). ასეთი შემთხვევები, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, სსკ-ის 23-ე პარაგრაფის თანახმად, დაუსჯელი რჩება.[1048] სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი გერმანიის ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო გათვალისწინებული, არც გერმანიის დემოკრატიული რესპულიკის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა ასეთ ნორმას. თუმცა, უკვე სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა აღნიშნული ნორმა.[1049]

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ სჯის გერმანელი სისხლის სამართლის კანონმდებელი დანაშაულის მცდელობას ასეთი მოცულობით (ასე ფართოდ)? ამ საკითხის გადაწყვეტა ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ყოველი მცდელობის დასჯადობისათვის იგი ქმნის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების ბაზისს. დანაშაულის მცდელობის დასჯადობას სასჯელის გენერალური და კერძო პრევენცია უდევს საფუძვლად. სასჯელის გამოყენების აუცილებლობა, როგორც წესი, განზრახი დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომი საფრთხიდან, მაგრამ გამონაკლისი სახით, ასევე დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომ ქმედებაში გაცხადებული ნორმის დამრღვევი დანაშაულებრივი ნებიდან გამომდინარეობს.

კანონმდებლის ასეთი მიდგომის თავისებურება მდგომარეობს იმაში,

1047 იხ. *Münchener Kommentar* (2011), გვ. 1041.

1048 იხ. *Fischer*, 59-ე გამოცემა (2012), გვ. 214-215.

1049 იხ. *Münchener Kommentar* (2011), გვ. 1047. მსგავსი ნორმა მოცემულია ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 პარაგრაფის მე-3 აბზაცში და შვეიცარიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცში. ეს უკანასკნელი ისევე აწესრიგებს უვარგისი მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს, როგორც ეს გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცით არის მონესრიგებული.

რომ მას მცდელობის დასჯადობა ორ სხვადასხვა საფუძველზე დაჰყავს. იგი დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომ საფრთხის პირველობაზე ამახვილებს ყურადღებას, რითაც იგი ვარგის, მაგრამ ასევე საშიშ უვარგის მცდელობას განსაზღვრავს და ამით მცდელობათა უფრო დიდ მოცულობას პასუხისმგებლობის ფარგლებში ათავსებს. მცდელობის საშიშროება შეიძლება მხოლოდ ex ante-დ იქნეს შეფასებული მესამე გონიერი პირის მიერ, რომელიც დამნაშავის მიზანს იცნობს. ამიტომ გამოდის, რომ ყოველი უვარგისი მცდელობა ex post არ არის საშიში. მაშასადამე, როდესაც დამნაშავე მკვლელობის მიზნით ჩახმახს გამოკრავს თითს და მას არც კი აქვს შეცნობილი, რომ მესამე პირმა ჩუმად ამოიღო ტყვია მისი იარაღიდან, განიხილება საშიშ, ასევე უვარგისი საშუალებით განხორციელებულ მცდელობად. ასეთი შეფასება, ჯერ კიდევ, ლისტის და ჰიპელის მიერ წარმოდგენილი „უახლესი საფრთხის თეორიით" იყო აღიარებული და ასე განიხილავენ ამ საკითხს ბოლოდროინდელ დისკუსიებში ჰირში, ჰერცბერგი და სხვ.[1050]

უვარგისი მცდელობა მხოლოდ მაშინ არ არის საშიში, როდესაც ზემოთ დასახელებული მესამე პირის გონივრული შეფასების საფუძველზე, მცდელობის არასაშიში ხასიათი უკვე ex ante გამოცხადდება, რითაც მას შედეგის გამოწვევა აღარ შეუძლია. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირმა იცის უვნებელი საშუალების შესახებ, რომელსაც იგი იყენებს პიროვნების მოსანამლად, ანდა მაშინ, როდესაც ძალიან სუსტი მხედველობის მქონე დამნაშავე ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის ადვილად აღსაქმელი სათამაშო იარაღით ჩადის მკვლელობის მცდელობას. არასაშიში უვარგისი მცდელობის დასჯადობა, როგორც სსკ-ის 22-ე პარაგრაფიდან ირკვევა, მხოლოდ დამნაშავის სუბიექტურ წარმოდგენაზეა დამოკიდებული. ასეთი დასჯადობა უკვე აღარ ეფუძნება საფრთხის იდეას, არამედ იგი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ კანონმდებელი ბევრად თუ ცოტად დასჯადად აცხადებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავეს, დანაშაულის შესახებ გადაწვეტილება, ქმედების განხორციელებაში გადააქვს. კანონმდებელი მასში ხედავს ქმედებაში გაცხადებულ ნორმის დამრღვევ დანაშაულებრივ ნებას, რომელსაც იგი ასევე დასჯად მცდელობად მიიჩნევს.

მაშასადამე, აქ ადგილი აქვს **დუალისტურ კონცეფციას**, თუმცა საფრთხის პრინციპის გამოყენებას მაინც უპირატესობა ენიჭება, როგორც ეს შემდგომი ოთხი საფუძვლიდან ირკვევა.

პირველი გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ დანაშაულის მცდელობა, შესაძლებელია, უმნიშვნელოდ დაისჯოს, როგორც ამას ადგილი აქვს დანაშაულის ფორმალურად დასრულების დროს, რადგან მცდელობას, პირველ რიგში, საფუძვლად უდევს საფრთხის იდეა. მაგრამ დანაშაულებრივ ნებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ მის საფუძველზე ერთმანეთისაგან არ იმიჯნება დანაშაულის მცდელობა და დანაშაულის ფორმალური დასრულება.

დანაშაულის მცდელობის დასჯადობის დროს, საფრთხის პირველად მნიშვნელობას ხაზს უსვამს ***მეორე გარემოება***, რომლის მიხედვითაც, ქმედებები, რომლებიც მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისაკენ,

1050 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 335-336.

მაგრამ სრულიად არასაშიშ ხასიათს ატარებს, მცირე მოცულობით ისჯება ან სრულებით არ ისჯება, როგორც ამას ადგილი აქვს აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის შემთხვევაში.[1051]

მესამე გარემოების თანახმად, კანონში დანაშულის მომზადების დასჯადობის არაერთი შემთხვევა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მათ კანონმდებელი, მიუხედავად შედეგისაგან მათი ასეთი დაშორებისა, განსაკუთრებით საშიშ ქმედებებად მიიჩნევს. მაგრამ თუ კი მოსამზადებელი ქმედებების დასჯადობისას საფრთხის იდეა წინ წამოიწევს, ეს გამოიწვევს ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებას.

მეოთხე გარემოების მიხედვით, მაშინ, როდესაც მცდელობის დასჯადობა ემყარება სისხლის სამართალში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ სახელმწიფოს იდეას, უვარგისი მცდელობა, დამატებით ახსნას საჭიროებს. გერმანული სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ამიტომ როგორც ვარგისი, ასევე უვარგისი მცდელობა ამ თვალსაზრისში თავსდება. ვინაიდან ვარგისი მცდელობის დროს დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება და იქმნება ისეთი საფრთხე (*sui generis*), რითაც იგი კონკრეტულ საფრთხის დელიქტს ემსგავსება, ამიტომ იგი დელიქტის ფორმად მიიჩნევა. მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ვარგისი მცდელობა, როგორც საფრთხის შემცველი ქმედება, წარმოადგენს დანაშაულის დასრულებამდე გასავლელ დანაშაულის აუცილებელ საფეხურს, ხოლო საშიში უვარგისი მცდელობა ყოველთვის ემსგავსება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს. სწორედ ყველა ეს წინაპირობები აკლია არასაშიშ მცდელობას, რითაც იგი ნაკლებ საყურადღებოა დასჯადობის თვალსაზრისით.[1052]

არასაშიშ მცდელობას საშიშ მცდელობასთან იმდენი მსგავსებები აკავშირებს, რომ კანონმდებლისთვის არ შეიძლებოდა იმ უფლებამოსილების წართმევა, რომლითაც არასაშიში მცდელობა, როგორც მცდელობის დეფიციტური სახე, დასჯადად გამოაცხადა. ამდენად, არ იქნება სწორი, რომ არასაშიში მცდელობის დასჯადობა „აზრის სისხლის სამართლამდე" იქნეს დაყვანილი, რადგან დანაშაულის არსებობა მხოლოდ ბოროტ ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იგი ქმედების განხორციელებასაც გულისხმობს. აქედან გამომდინარე, გენერალური პრევენციის თვალსაზრისით, საშიშ და არასაშიშ მცდელობებს შორის არსებითი განსხვავება აუცილებელია.

თუ არასაშიში მცდელობა ბუნების კანონების არცოდნას ეფუძნება, მაგალითად, როგორიც არის აბორტის მცდელობა გვირილის ჩაის ნაყენის დახმარებით და მკვლელობის მცდელობა შაქრიანი წყლის მეშვეობთ, მაშინ იგი ხშირად აბსოლუტურად უვარგის (*grob unverständig*) მცდელობად გადაიქცევა და სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაციდან გამომდინარე, დაუსჯელი დარჩება ან სასჯელი მნიშვნელოვნად შემცირდება.[1053]

ჰერცბერგი სარგებლობდა რა **„მონისტური თეორიით"**, ყველა სახის უვარგის მცდელობას (არასაშიში მცდელობის ჩათვლით) საფრთხის შემცველ დასჯად ქმედებად მიიჩნევდა. მაგრამ ვინაიდან არასაშიში მცდელობის შემ-

1051 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 336.
1052 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 337.
1053 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 338.

თხვევაში ეს ნიშანი უკვე ex ante-ს შეფასების დროს არის უარყოფილი, ამიტომ საფრთხე აქ უკვე ვეღარ იქნება დასჯადობის საფუძველი. ჰერცბერგი ამ პრობლემას თავადაც ხედავს, მაგრამ მას არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ, თითქოს, სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი ასეთ არასაშიში მცდელობის შემთხვევებსაც ითვალისწინებს, თუმცა მას მხედველობიდან რჩება ის ფაქტი, რომ სსკ-ის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი არასაშიში მცდელობის ყველა გამოვლენის ფორმას როდი მოიცავს.[1054]

მაშასადამე, გერმანიის სისხლის სამართლის დოგმატიკაში სსკ-ის 23-ე პარაგრაფის საფუძველზე უვარგისი მცდელობის დასჯადობა, სასჯელის **პოზიტიურ-გენერალური პრევენციის** მიზნებიდან გამომდინარე, გამართლებულად მიაჩნიათ. ასევე, აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობის შეზღუდვა, შესაძლებელია, სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე აიხსნას.[1055]

დამთავრებული დანაშაულის დასჯადობა გამონვეულია **რეალური სამართლებრივი სიკეთის** (მაგალითად, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და ა. შ.) დაზიანების საფუძველზე, ხოლო დანაშაულის მცდელობის დასჯადობა ეფუძნება **იდიალური სამართლებრივი სიკეთისათვის** საფრთხის შექმნას,[1056] ამიტომ ეს უკანასკნელი, სსკ-ის 23-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით, შესაძლებელია, უფრო მსუბუქად დაისაჯოს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თავად მცდელობის დასჯადობის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა ფაქტორები და, შესაბამისად, სასჯელის სიმკაცრეც მასზე უნდა იყოს დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც ცოლი მოკვლის განზრახვით სანამლავის მცირე დოზას აძლევს ქმარს, რა თქმა უნდა, უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, ვიდრე ის შემთხვევა, როდესაც ცოლი ქმარს ერთბაშად აძლევს სასიკვდილო დოზას.[1057]

§3. შეჯამება

უვარგისი მცდელობის დახასიათებამ გამოავლინა ძალიან საინტერესო და ამავდროულად, სადავო საკითხები, რომლის სწორად გადაწყვეტა პასუხს იძლევა ბევრ კითხვაზე.

უვარგისი მცდელობა მცდელობის **ალტერნატიული ცნებაა**, რომელსაც, როგორც უკვე მსჯელობის დროს აღინიშნა, ახასიათებს ***ვიწრო და ფართო გაგება***. უვარგისი მცდელობა ვიწრო გაგებით, თავის თავში, დასჯად უვარგის მცდელობას გულისხმობს, ხოლო უვარგისი მცდელობა ***ფართო გაგებით*** დასჯად უვარგის მცდელობასთან ერთად, დაუსჯელ უვარგის მცდელობასაც მოიცავს.

მცდელობის უვარგისობა განპირობებულია სუბიექტის მიერ დაშვებული **შეცდომით**, რომელიც, შესაძლებელია, გამოიხატოს ობიექტში (საგანში), საშუალებაში და თავად სუბიექტში დაშვებულ შეცდომაში. ამასთან, ქმედება დანა-

1054 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 339-340.
1055 იხ. *Frister*, AT (2011), გვ. 301.
1056 *Freund*, AT (2009), გვ. 314-315.
1057 იხ. *Frister*, AT (2011), გვ. 303.

შაულის უვარგის მცდელობად ფასდება მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს ე. წ. *არასრულ უმოქმედობას (უვარგის მიზეზობრიობას).*

მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა ობიექტის, საშუალების, სუბიექტის ვარგისიანობის გათვალისწინებით, შეიძლება დაიყოს შეფარდებით უვარგისი საშუალებით, შეფარდებით უვარგის ობიექტზე (საგანზე) განხორციელებულ მცდელობად, ანდა აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით, აბსოლუტურად უვარგის ობიექტზე (საგანზე), უვარგისი სუბიექტის მიერ განხორციელებულ მცდელობად, ასევე, უვარგისი (არასრული უმოქმედობა, იგივე *უვარგისი მიზეზობრიობა*) ქმედებით ჩადენილ მცდელობად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად ადგილი აქვს **უვარგის ობიექტზე** და **ადგილზე არმყოფ ობიექტზე** მცდელობას, ქმედების შეფასებისას საკითხი უნდა გადაწყდეს **ადგილზე არმყოფ ობიექტზე** მცდელობის მიხედვით.

აბსოლუტურად უვარგის მცდელობაში მოიაზრება ობიექტურად უვარგისი მცდელობა, სადაც დამნაშავეს მცდელობის უვარგისობა სუბიექტურად არ აქვს შეცნობილი. ამასთან, ამ დროს დაზარალებულს კონკრეტული საფრთხე არ ექმნება.

უვარგისი სუბიექტის მცდელობის შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი სისხლის სამართლის დოგმატიკაში საფუძვლიანად არის დამუშავებული და აღნიშნულია, რომ უვარგისი სუბიექტის მიერ განხორციელებული მცდელობა, როგორც წესი, დაუსჯელი რჩება. ამის მიუხედავად, მოქმედებს გამონაკლისი, კერძოდ, შერეულ უმოქმედობით დელიქტებში, სადაც დამნაშავე ცდება სამართლებრივი გარანტის არსებობაში.

თუ საშუალება საერთოდ გამოუსადეგარია შედეგის გამოსაწვევად, მაშინ, შესაძლებელია, **აბსოლუტურად უვარგის საშუალებაზე** საუბარი. აბსოლუტურად (არადასჯადი) უვარგისი საშუალების გამოყენების დროს ქმედება სოციალურად უმნიშვნელოა. თუმცა მსჯელობამ აჩვენა, რომ სსკ-ის მე-20 მუხლის ერთმნიშვნელოვნად განვრცობა ყოველგვარ აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით განხორციელებულ მცდელობაზე, არ უნდა იყოს მართებული.

სსკ-ის მე-20 მუხლის სწორად გამოყენებისათვის, აუცილებელია, ერთდროულად ყურადღება გამახვილდეს როგორც გამოყენებული საშუალების აბსოლუტურად უვარგის ხასიათზე, ასევე პიროვნების უმეცრებაზე ან სხვა პიროვნულ ნაკლზე. ამ უკანასკნელის გარეშე, სსკ-ის მე-20 მუხლის გამოყენება მიზანშეუწონელი იქნება.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **ყოველგვარი აბსოლუტურად უვარგისი ობიექტის** მიმართ განხორციელებული ქმედება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, რადგან ასეთი მცდელობა სსკ-ის მე-20 მუხლით არ განიხილება, როგორც დაუსჯელი ქმედება. **აბსოლუტურად უვარგის ობიექტზე** განხორციელებული მცდელობა ისეთი შემთხვევაა, როდესაც ობიექტი თავისი თვისებებით საერთოდ გამოუსადეგარიაᲐდანაშაულის ბოლომდე მისაყვანად. მაგალითად, გვამისათვის სროლა, ან საკუთარი ნივთის მოტაცება.

რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი მონესრიგებულია სსკ-ის

23-ე პარაგრაფით, რომლის თანახმად, მოცემულ შემთხვევებში, მოსამართლის დისკრეციული უფლებაა მსუბუქად დასაჯოს დამნაშავე, ან საერთოდ გაათავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი მხოლოდ აბსოლუტურად უვარგისი საშაულების გამოყენების შემთხვევაში ამბობს უარს მცდელობის დასჯადობაზე და არაფერს არ მიუთითებს აბსოლუტურად უვარგისი ობიექტის მიმართ განხორციელებულ მცდელობის შემთხვევაზე.

უვარგისი მცდელობისაგან, შესაძლებელია, გაიმიჯნოს ე. წ. **ხელშეშლილი მცდელობა** და **წარუმატებელი მცდელობა,** რომელსაც ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირობითად, შესაძლებელია, ენოდოს **მცდელობა უვარგის (არახელსაყრელ) ვითარებაში.**

„ხელშეშლილი მცდელობა" მცდელობის სახეს არ წარმოადგენს, არამედ იგი უფრო მცდელობის **თვისობრივი მახასიათებელია,** ხოლო დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა მცდელობის უფრო **რაოდენობრივი** (ხარისხობრივი) მხარეა.

მცდელობის **უვარგისობის დადგენას** დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან, როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, მოსამართლემ მცდელობის უვარგისობა მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის ზომის განსაზღვრისას და ასევე, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს.

უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთებას, სისხლის სამართლის დოგმატიკა სხვადასხვა თვალსაზრისით ცდილობს.

ობიექტური მოძღვრების მიხედვით, მცდელობის დასჯადობა, შესაძლებელია, მხოლოდ **საფრთხის** მომენტს დაეფუძნოს. ამასთან, ზემოთ დასახელებულ მსჯელობაში უკვე ითქვა, რომ ამ მოძღვრების მხარდამჭერები თავად სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარს ობიექტური თვალსაზრისით ხსნიან. ეს კი იმ შედეგამდე მიიყვანს „ობიექტური თეორიის" მომხრეებს, რომ საერთოდ უარი უნდა თქვან უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე. გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიუთითებენ იმის შესახებ, რომ მცდელობის დასჯადობის დროს „საშიშროების" ელემენტს (რისკი) უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. აქედან გამომდინარე, „საშიშროების" ელემენტი უვარგისი მცდელობის დროსაც აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს. ამასთან, მეცნიერები მიუთითებენ დანაშაულის ადგილზე მყოფი **მესამე პირის** მიერ (დამკვირვებელი) სიტუაციის შეფასების მომენტზე. თუ მესამე პირი ქმედებას რეალურად მიიჩნევს, მაშინ კონკრეტული საშიშროების მტკიცება ასეთ ვითარებაში დასაშვებია.

აღნიშნული პოზიცია გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ გაკრიტიკებულია იმ მოტივით, რომ იგი არ გამომდინარეობს გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფის ტექსტიდან და, შესაბამისად, ასეთი მიდგომა კანონის განმარტებას კი არ წარმოადგენს, არამედ კანონის არცოდნაზე მიუთითებს. კანონის ტექსტის მიხედვით, გადამწყვეტია **დამნაშავის წარმოდგენა,** ხოლო ე. ნ. შემფასებლის (დამკვირვებლის) მხრიდან კონკრეტული საფრთხის უარყოფა, არავითარ როლს არ თამაშობს.

თუმცა, თავად სუბიექტური მოძღვრების მიმდევრები მოითხოვენ უვარგისი მცდელობის დასჯადობის შეზღუდვას, რადგან მხოლოდ **„სამართლებრივად**

მტრულ ნებაზე" (*Rechtsfendliche Wille*) და **დამნაშავის ნარმოდგენაზე** აქცენტის გაკეთება გამოიწვევს იმას, რომ უვარგისი მცდელობის **ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობისაგან** გასამიჯნად და აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს სასჯელის შესამსუბუქებლად არ დარჩებოდა არანაირი სივრცე, რადგან დასახელებულ შემთხვევებში სუბიექტურად „სამართლებრივად მტრული ნება", შესაძლებელია, სრულიად ერთნაირი იყოს.

სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის მეცნიერებაში უვარგისი მცდელობის დასჯადობის და გამიჯვნის საკითხების უკეთ გადასაწყვეტად, წინა პლანზე წამოიწია **„სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თეორიამ"**, რომლის მიზანია კომბინირებულად, **სუბიექტური** (სამართლებრივად მტრული ნება) და **ობიექტური** ელემენტების (მართლწესრიგზე შემარყეველი კვალი, შთაბეჭდილება) დახმარებით მცდელობის დასჯადობის შემდგომი გაფართოების თავიდან აცილება (**„შერეული თეორია"**).

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში ასევე **„შერეული თეორია"** მიიჩნევა ყველაზე უფრო მისაღებ მოძღვრებად.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში ასევე მნიშვნელოვანია უვარგისი მცდელობის გამიჯვნა **ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობისაგან** და **მოჩვენებითი დელიქტისაგან**.

როგორც მსჯელობამ აჩვენა, აბსოლუტურად უვარგის მცდელობასა და ირეალურ (ცრურწმენით) მცდელობას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეს ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობის დროს, ტრანსცენდენტალური (ადამიანურ შესაძლებლობას აღმატებული) ძალების სჯერა, მაშინ როდესაც აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს, იგი ვერ აღიქვამს ობიექტურად არსებულ ბუნების კანონების ზემოქმედებას.

რაც შეეხება **მოჩვენებით დელიქტს,** იგი არ ისჯება. მისი დაუსჯელობა გამომდინარეობს კანონიერების პრინციპიდან (*nullum crimen sine lege*). ამ დროს დამნაშავეს შეცდომით ჰგონია, რომ იგი არღვევს სამართლის ნორმებს, რომელიც ბუნებაში საერთოდ არ არსებობს, ანდა არსებული ნორმების არასწორი შეფასების საფუძველზე, მათი მოქმედების არეალს აფართოებს. ვინაიდან ეს საკითხი **შეცდომის** პრობლემატიკასთან არის კავშირში, ამიტომ, მათი გამიჯვნა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებში დაშვებული შეცდომისა და აკრძალვაში შეცდომის პარალელურად განხორციელდა.

აქედან გამომდინარე, ქმედება მოჩვენებით დელიქტად ფასდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს შეცდომას **აკრძალვაში**, შეცდომას ნებადართულობაში, შეცდომას **სუბსუმციაში** და **დასჯადობასთან** დაკავშირებულ შეცდომას.

თავი VII. დანაშაულის მცდელობა თანამონაწილეობის ფორმით ჩადენილ დანაშაულებში ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

§1. დანაშაულის მცდელობის თავისებურებანი დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ქართული სისხლის სამართლის მიხედვით

1. 1. დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი 22-ე მუხლიდან 27-ე მუხლის ჩათვლით დეტალურად არეგულირებს ამსრულებლობასა და თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, თანამონაწილეთა ცნებას, სახეებს და მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის თავისებურებებს.

საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლი თანამონაწილეობას განმარტავს, როგორც „ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში". მაშასადამე, დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს არა მარტო ერთმა, არამედ ასევე, რამდენიმე პირმა.

დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირებს შორის როლები, შესაძლებელია, სხვადასხვაგვარად გადანაწილდეს. ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დანაშაულის შემადგენლობა ერთდროულად რამდენიმე ამსრულებელმა განახორციელოს. დანაშაულში ასეთი სახის მონაწილეობას **თანაამსრულებლობა** ეწოდება (თანამონაწილეობა ფართო გაგებით), ხოლო მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია, დანაშაულის განხორციელებაში ამსრულებელთან ერთად სხვებიც მონაწილეობდნენ (თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით). ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ერთი პირი აქეზებს მეორე პირს დანაშაულის ჩადენაში ან ორგანიზებას უწევს დანაშაულის ჩადენას, ე. ი. გამოდის **ორგანიზატორის ან წამქეზებლის** როლში, ხოლო მეორე მონაწილე უშუალოდ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას ე. ი. ასრულებს **ამსრულებლის** ფუნქციას და მესამე მონაწილე ამსრულებელს ფიზიკურ ან ფსიქიკურ დახმარებას უწევს იარაღის მიწოდებით ან რჩევა-დარიგებით, მაშასადამე, წარმოადგენდეს **დამხმარეს** დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობისათვის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია მათი **ერთიანობა**, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური თვალსაზრისით.[1058]

ობიექტური მხრივ, თანამონაწილეთა ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს შედეგთან, რადგან თანამონაწილის დასჯადობა მიზეზობრიობის მომენტს ეფუძნება,[1059] თუმცა ობიექტური კრიტერიუმი თანამონაწილეობის დასჯადობისათვის არ არის საკმარისი, არამედ მიზეზობრიობასთან ერთად აუცილებელია ასევე **სუბიექტური მომენტის** გათვალისწინება. ამასთან, თანამონაწილეობის დასაბუთებისათვის სუბიექტური მხარე ისე ფართოდ არ უნდა

1058 იხ.: *წერეთელი* (1965), გვ. 10-11; *გამყრელიძე* (1974), გვ. 108.
1059 იხ. *გამყრელიძე* (1989), გვ. 89.

იქნეს გამოყენებული, რომ გაუფრთხილებლობაც მოიცვას, არამედ თანამონაწილეობის დროს საკმარისია განზრახვის დადგენა.[1060]

თანამონაწილენი ობიექტური და სუბიექტური მომენტების გათვალისწინებით, **ერთიან სისხლისსამართლებრივ უმართლობას** ახორციელებენ.[1061] ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თანამონაწილეობის დასაბუთებისათვის აუცილებელია დამატებით მათი **განზრახვის ერთიანობა**.[1062] მაგალითად, წამქეზებელმა და დამხმარემ აუცილებლად უნდა იცოდნენ ამსრულებლის შესახებ. მაშასადამე, მათ უნდა იცოდნენ, თუ რა განზრახვით მოქმედებს ამსრულებელი, ქურდობის, ყაჩაღობის და ა. შ. თუმცა, აუცილებელი არ არის, რომ ამსრულებელმა იცოდეს წამქეზებლის ან დამხმარის შესახებ.[1063] საკითხის ასეთი გადაწყვეტა ერთხმად არის აღიარებული სისხლის სამართლის დოგმატიკაში, რადგან, ცნობილია, რომ თანამონაწილეობა ***აქცესორული ბუნებისაა***, კერძოდ კი, სისხლის სამართალში მოქმედებს ***ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპი*** საპატიო უკიდურესი აუცილებლობის დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.[1064]

1. 2. დანაშაულში თანამონაწილეთა მცდელობის პრობლემატიკა

სისხლის სამართალში თანამონაწილეობის „აქცესორობის თეორია", როგორც უკვე ითქვა, გამოიყენება თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაჭრელად. „აქცესორული თეორიის" ძირითადი მოთხოვნა ის არის, რომ დანაშაულის განხორციელების დროს მინიმუმ ერთი ამსრულებელი მაინც უნდა იყოს სახეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამონაწილეობას არ ექნება ადგილი. ამდენად, თუ ამსრულებელმა დანაშაული დაამთავრა, გამოდის, რომ თანამონაწილენი ასევე დამთავრებული დანაშაულისათვის აგებენ პასუხს, მაგრამ, თუ ამსრულებელი დანაშაულის მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, შესაბამისად, თანამონაწილენი დანაშაულის მცდელობისათვის დაისჯებიან.[1065]

მაშასადამე, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის უნდა დადგინდეს, ამსრულებელი დანაშაულის მცდელობის სტადიაზე ხომ არ გაჩერდა, ასევე უნდა გაირკვეს, ამსრულებელმა ნებაყოფლობით ხომ არ აიღო ხელი დანაშაულის განხორციელებაზე, ან თავიდანვე ხომ არ განუცხადა უარი

1060 იხ. *გამყრელიძე* (1989), გვ. 112.
1061 იხ. *გამყრელიძე* (1989), გვ. 122.
1062 იხ. *წერეთელი* (1965), გვ. 49.
1063 იხ. *წერეთელი*, ტომი II (2007), გვ. 63.
1064 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 333. „ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპს" კატეგორიულად უარყოფდა თ. წერეთელი. აქცესორულობის ფორმებიდან მისთვის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმას **უკიდურესი აქცესორულობა** წარმოადგენდა, რომლის თანახმად, თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქმედება ბრალად შეერაცხება ამსრულებელს. იხ. *წერეთელი* (2007), გვ. 75-76.
1065 იხ. *წერეთელი* (2007), გვ. 78.

თანამონაწილეებს დანაშაულის ჩადენაზე, ანდა ამსრულებლის ქმედება ხომ არ გასცდა საერთო დანაშაულებრივ განზრახვას.

აქედან გამომდინარე, ცალ-ცალკე უნდა მოხდეს დასახელებული საკითხების განხილვა დანაშაულის მცდელობასთან მიმართებაში.

ფართო გაგებით თანამონაწილეობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორი ან მეტი ამსრულებელი ერთობლივად ახორციელებს ქმედების შემადგენლობას. რას ნიშნავს ტერმინი „ერთობლივად დანაშაულებრივი შემადგენლობის განხორციელება", ყველა თანაამსრულებელმა დანაშაულის შემადგენლობის ერთი ნიშანი მაინც უნდა განახორციელოს, რომ იგი თანაამსრულებლად ჩაითვალოს? მაგალითად, რას ნიშნავს ყაჩაღობის დროს თანაამსრულებელთა ერთობლივი მონაწილეობა თავდასხმაში?

ამ საკითხებს ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განვითარებული სხვადასხვა თეორიები სხვადასხვაგვარად აფასებს. მაგალითად, **„ფორმალურ-ობიექტური თეორის"** მიხედვით, თანაამსრულებელია ის, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, თუკი დამნაშავე ყაჩაღობის დროს თავდასხმაში ან ქონების დაუფლებაში არ მონაწილეობს, არამედ მხოლოდ დარაჯად დადგება, ყაჩაღობის თანაამსრულებლად არ ჩაითვლება, არამედ იგი ყაჩაღობაში დამხმარედ მიიჩნევა.

აშკარაა, რომ აღნიშნული თეორია საგრძნობლად ავიწროვებს თანაამსრულებლობის არეალს. ამიტომ, ქართულ სისხლის სამართალში განვითარდა ე. წ. **ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორია**, რომელიც მიიჩნევს, რომ თანაამსრულებლად შეიძლება ის პირიც ჩაითვალოს, რომელსაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში. ამდენად, ამ თეორიის მიხედვით, ყაჩაღობის დროს დარაჯად მდგომი პირიც ყაჩაღობის თანაამსრულებლად განიხილება. თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკა უშუალო ამსრულებლის, შუალობითი ამსრულებლისა და თანაამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს უპირატესობას მაინც „ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიას" ანიჭებს.[1066]

თანამონაწილეობის შესახებ ცოდნა, აუცილებელია თანამონაწილეთა ქმედების მცდელობად შეფასებისთვის. ეს იმას გულისხმობს, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი მცდელობის დროს, თუ საკითხი „ფორმალურ-ობიექტური თეორიის" საფუძველზე გადაწყდება, მაშინ, დანაშაულში მონაწილე პირები პასუხს აგებენ არა ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის მცდელობისათვის, არამედ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის მცდელობისათვის. ვთქვათ, ა. სხვის სახლში შევიდა და მესაკუთრის მიმართ ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, შეეცადა ქონების დაუფლებას, ხოლო მისი თანამზრახველი ბ. სახლში დარაჯად დადგა. თუკი დამნაშავეები ვერ შეძლებენ ქონების დაუფლებას, მაშინ მათი პასუხისმგებლობის საკითხი შემდეგნაირად გადაწყდება: **„ფორმალურ-ობიექტური თეორიის"** მიხედვით, ა. პასუხს აგებს ბინაში უკანონო შეღწევით ძარცვის

1066 იხ. **ტურავა** (2013), გვ. 336-337.

მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი), ხოლო ბ. ბინაში უკანონო შეღწევით ძარცვის მცდელობაში დახმარებისათვის (სსკ-ის მე-19, 25-ე, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით). მაგრამ, თუ **„ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორია"** გახდება საკითხის გადაწყვეტის საფუძველი, მაშინ, თითოეულ მათგანს პასუხისმგებლობა დაეკისრება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ბინაში უკანონო შეღწევით ძარცვის მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტები).

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ თანამონაწილეთა მცდელობის განხილვისას სხვადასხვა თეორიების საფუძველზე განსხვავებული კვალიფიკაცია ყალიბდება.

„ფუნქციონალური თეორიის" საფუძველზე თანაამსრულებელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, სისხლის სამართლის დოგმატიკა ეყრდნობა ქმედების შემადგენლობის უშუალო დაწყების პრინციპს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ათვლის წერტილად მიჩნეულია არა ნივთის უშუალო დაუფლების პროცესი, არამედ უფრო ადრეული მომენტი, კერძოდ, **„პიროვნების დაცულ სფეროში"** შეღწევის მომენტი. მაშასადამე, ძარცვის მცდელობის მაგალითში დარაჯად მდგომი ბ. ძარცვის მცდელობაში თანაამსრულებლობისათვის იმიტომ კი არ აგებს პასუხს, რომ მეორე თანაამსრულებელი უკვე მესაკუთრის თანდასწრებით მისი ქონების დაუფლებას ცდილობს, არამედ იმიტომ, რომ ორივე ამსრულებელმა, როდესაც ისინი სახლში შევიდნენ სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, ძარცვის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას უშუალოდ შეუდგნენ. ამიტომ, ამ მომენტიდან რომ მომხდარიყო მათი დაკავება, რა თქმა უნდა, ისინი პასუხს აგებდნენ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ბინაში უკანონო შეღწევით ძარცვის მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტები).

„ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორია" ასევე კარგად ასაბუთებს **შუალობითი ამსრულებლის** სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. ამ თეორიის თანახმად, შუალობითი ამსრულებლობის დროს პირს აქვს ნებაზე ან ცოდნაზე ბატონობა.[1067] აქედან გამომდინარე, შუალობითი ამსრულებელი დანაშაულის მცდელობისათვის პასუხს აგებს მაშინ, როდესაც იგი **მოვლენების განვითარების სადავებს გაუშვებს ხელიდან და მისი მხრიდან „ბრმა იარაღზე" ბატონობას** აღარ ექნება ადგილი. მაგალითად, ა. განიზრახა მისი მეზობლის ბ.-ს მოკვლა. მაგრამ მას ამის გაკეთება საკუთარი ხელით არ უნდოდა. ამიტომ ა. მოატყუა დ. და უთხრა, რომ ბუჩქებში დათვი იყო და ესროლა მისთვის. დ.-მ დაუჯერა ა.-ს და ესროლა მისი წარმოდგენით დათვს, სინამდვილეში, ბუჩქებში დათვის ნაცვლად ბ. იჯდა. ტყვია ბ.-ს აცდა და ეს უკანასკნელი სიკვდილს გადაურჩა.

ა. ქმედებაში მკვლელობის მცდელობის დაწყებას მაშინ ექნება ადგილი, როდესაც დ.-ე დაუმიზნებს მისი ნარმოდგენით დათვს. მანამდე არსებული ქმედება დანაშაულის მცდელობად არ განიხილება, რადგან ა. ბატონობს ბ.-ს

1067 იხ. ტურავა (2013), გვ. 336.

ქმედებაზე მანამდე, ვიდრე ეს უკანასკნელი იარაღს არ აიღებს ხელში, არ დატენის და არ მოიყვანს საბრძოლო მდგომარეობაში.

დასახელებულ მაგალითში დ. პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება იმის მიხედვით, რამდენად შეეძლო დ.-ს შედეგის გათვალისწინება. რაც შეეხება ა.-ს, იგი პასუხს აგებს, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობის შუალობითი ამსრულებელი. ასეთი კვალიფიკაცია, როგორც წესი, დავას არ ინვევს, მაგრამ, თუკი კაზუსის ფაბულა შეიცვლება, მაშინ, შეიძლება პრობლემაც გაჩნდეს. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ კაზუსში დ. მიერ გასროლილი ტყვია ბ.-ს მოხვდა და ეს უკანასკნელი მოკვდა, მაგრამ დადგინდა, რომ იმ მომენტში ბ.-ს ვინმე ც. მიერ შემთხვევით გასროლილი ტყვიაც მოხვდა. ექსპერტიზამ ვერ დაადგინა კონკრეტულად ვისი იარაღიდან გასროლილი ტყვია გახდა სიკვდილის გამონვევის უშუალო მიზეზი. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ***in dubio pro reo***-ს შემთხვევას, როდესაც საკითხი წყდება პიროვნების სასარგებლოდ. მაშასადამე, ამ კაზუსში დ. და ც.-ს, ვინაიდან ისინი გაუფრთხილებლობით მოქმედებდნენ, პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, რადგან სისხლის სამართალი არ იცნობს გაუფრთხილებლობით მცდელობის ცნებას. რაც შეეხება შუალობით ამსრულებელს, უნდა გაირკვეს ა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის დაეკისრება, თუ დანაშაულის მცდელობისათვის? მიზანშეწონილია, თუკი ამ შემთხვევაში საკითხი საერთო წესის მიხედვით გადაწყდება და ა.-ს, როგორც შუალობით ამსრულებელს, პასუხისმგებლობა დაეკისრება განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

თანამონაწილეთა დასჯადობის გადაწყვეტისას დიდი მნიშვნელობა აქვს **უმართლობის** საკითხის გარკვევას. საქმე იმაშია, რომ თანამონაწილენი ამსრულებელთან ერთად **ერთიან უმართლობას** ახორციელებენ. შესაძლებელია, თანამონაწილე და ამსრულებელი სხვადასხვა მუხლით, ან მუხლის ნაწილით დაისაჯონ, მაგრამ მათ აუცილებლად ერთიანი უმართლობა უნდა განახორციელონ. მაგალითად, დედა, რომელიც მშობიარობის დროს თავისი ჩვილის მოკვლას შეეცადა, შეიძლება დაისაჯოს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 112-ე მუხლი), ხოლო მისმა დამ, როგორც წამქეზებელმა, პასუხი უნდა აგოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის მცდელობას.[1068]

ანალოგიურად წყდება საკითხი იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაულს რამდენიმე ამსრულებელი ახორციელებს. მაგალითად, ა. და ბ.-მ, რომლებმაც მკვლელობის მიზნით ერთად განახორციელეს ქმედება, მაგრამ შედეგი არ დადგა, შეიძლება სხვადასხვა მუხლებით აგონ პასუხი, კერძოდ, ა.-მ, რომელიც მოქმედებდა სიბრალულის მოტივით და ევთანაზიის პირობების დაცვით, შეიძლება პასუხი აგოს სსკ-ის მე-19, 110-ე მუხლის ფარგლებში, ხოლო ბ.-ს, რომელიც შურისძიების მოტივით მოქმედებდა, პასუხისმგებლობა დაეკისრება ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის (სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). ელემენტები, რომლებიც გავლენას ახდენს თანამონაწილეთა ბრალის ხარისხზე და ერთიანი უმართლობის

1068 იხ. ტურავა (2013), გვ. 164-165.

ფარგლებში სხვადასხვა მუხლის ან მუხლის ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველს ქმნის, თანამონაწილეობის ბუნებას არ აკნინებენ.

სხვაგვარად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელი სხვა უმართლობას ახორციელებს. მაშასადამე, თუ ამსრულებელი გადაუხვევს ერთიან განზრახვას, მაშინ ადგილი აქვს **ამსრულებლის ექსცესს**, რომელსაც სსკ-ის 26-ე მუხლი არეგულირებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, „ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება". მაშინ, როგორ უნდა გადაწყდეს თანამონაწილეთა (თანაამსრულებლის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ჩამოყალიბდა პოზიცია, რომელიც **თვისობრივი ექსცესის** შემთხვევას აიგივებს უშედეგო ნაქეზებისა და უშედეგო დახმარების შემთხვევასთან, სადაც თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ დანაშაულში მომზადებისათვის ეკისრება. რაც შეეხება, **რაოდენობრივ ექსცესს**, აქ პასუხისმგებლობის საკითხი წყდება შემდეგნაირად: ამსრულებელი პასუხს აგებს ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებისათვის, ხოლო თანამონაწილე ისჯება წინასწარ შეთანხმებული დანაშაულის ჩადენისათვის.[1069] მაგალითად, ა. წააქეზა ბ.-ე ქურდობის ჩასადენად, ხოლო ბ. შეეცადა მესაკუთრის თვალწინ დაუფლებოდა მის ქონებას, მაგრამ მესაკუთრემ ბ.-ს არ მისცა საშუალება წაერთვა მისთვის ქონება. ბ.-მ პასუხი უნდა აგოს ძარცვის მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლი), ხოლო ა.-ს პასუხისმგებლობა დაეკისრება ქურდობის მცდელობაში ნაქეზებისათვის (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლი). ვინაიდან ამსრულებელი დაუმთავრებელ დანაშაულს ჩადის, თანამონაწილეს ასევე დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა, საკითხი ყოველთვის ასე არ წყდება. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ბ. ქურდობის მცდელობის ნაცვლად, ჩაიდენს დამთავრებულ დანაშაულს, კერძოდ, ყაჩაღობას. ასეთ შემთხვევაში, ა.-ს, როგორც წამქეზებელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაინც ქურდობის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის უნდა დაეკისროს (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლი).

1. 3. დანაშაულში თანამონაწილეობის მცდელობა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

უშედეგო ნაქეზების, უშედეგო ორგანიზებისა და **უშედეგო დახმარების** შემთხვევები, მომზადების დასჯადობის თვალსაზრისით, დეტალურად იყო განხილული დანაშაულის მომზადების კარში.

დანაშაულის **უშედეგო ნაქეზება**, სისხლის სამართლის კანონმდებლობით, პირდაპირ არის მონესრიგებული, კერძოდ, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი მიუთითებს იმაზე, რომ „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის.

1069 იხ. *წერეთელი* (2007), გვ. 206-205.

დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად."

ზოგიერთი მეცნიერი ეწინააღმდეგებოდა საკითხის ასეთ გადაწყვეტას და მიიჩნევდა, რომ, თუ ამსრულებელმა არ დაამთავრა დანაშაული, თანამონაწილენი პასუხს აგებენ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. მაგალითად, თუ ა. წააქეზა ბ. დ.-ს მოსაკლავად და ბ.-მ დაზარალებულს ტყვია ააცილა, მაშინ ბ.-მ პასუხი უნდა აგოს არა როგორც მკვლელობის მცდელობის თანამონაწილემ, არამედ, როგორც მკვლელობის თანამონაწილემ, რადგან მან ყველაფერი გააკეთა, რაც მისი მხრით საჭირო იყო და შედეგი მისი ნებისაგან დამოუკიდებლად არ განხორციელდა.[1070]

თუმცა ასეთ მიდგომას არ იზიარებენ თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერები, რადგან იგი არ შეესაბამება მოქმედ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნებს და არ გამომდინარეობს თანამონაწილეობის აქცესორობის ბუნებიდან, მითუმეტეს, რომ „არ არსებობს წაქეზების და დახმარების დამოუკიდებელი შემადგენლობა".[1071] ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილიდან გამომდინარე, **უშედეგო წაქეზება** დასჯად მომზადებად უნდა შეფასდეს და არა წაქეზების მცდელობად.[1072]

ანალოგიურად წყდება საკითხი **უშედეგო დახმარების** დროსაც. თუმცა, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ უშედეგო დახმარება დაუსჯელ ქმედებად განიხილება, რაც სისხლის სამართლის ზოგიერთ მეცნიერთა მიერ კანონის ხარვეზად მიიჩნევა.[1073]

იმის მიუხედავად, რომ კანონმდებელი ამ საკითხს სხვაგვარად არეგულირებს, ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ **უშედეგო დახმარება** უნდა დაისაჯოს, როგორც დანაშაულის მომზადება.[1074]

მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეთა ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართლის კოდექსშია მონესრიგებული და ზოგსაც კიდევ სისხლის სამართლის დოკმატიკა არეგულირებს, აუცილებელია, გენერალური მომზადების დაუსჯელობის კონცეფციიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

1. 4. თანამონაწილეობის მცდელობის საკითხის საკანონმდებლო სრულყოფისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, დანაშაულის მომზადებად ფასდება თანამონაწილეთა უშედეგო ცდა, რათა ამ-

---

1070 იხ. *Кобяшвили*, „Правоведение" (1963), №3, გვ. 148-149.

1071 *წერეთელი* (2007), გვ. 80.

1072 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 341; *გამყრელიძე* (1989), გვ. 98; *გამყრელიძე* (1998), გვ. 278.

1073 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 22.

1074 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 156. ეს აზრი ადრეული სისხლი სამართლის დოგმატიკიდან მომდინარეობს, როდესაც უშედეგო დახმარების საკითხი კანონმდებლობით ზედმინევნით არ იყო მონესრიგებული, იხ. *წერეთელი* (2007), გვ. 215-216;

სრულებელმა ჩაიდინოს დანაშაული. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და ზოგიერთი სახის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადებას სჯის, ამიტომ თანამონაწილეთა უშედეგო მცდელობის დასჯადობის კომპენსირება დასახელებული მუხლის საფუძველზე ხდება.

მაგრამ დისერტაციაში ჩამოყალიბებული ე. წ. **გენერალური მომზადების** დაუსჯელობის კონცეფციის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, უნდა განხორციელდეს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის შინაარსი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

„თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის."

ასევე, სსკ-ის 25-ე მუხლს უნდა დაემატოს სსკ-ის 25^1 მუხლი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 25^1. დანაშაულში შეთანხმება და თანამონაწილეობის მცდელობა

განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად მზადყოფნის გამოხატვისათვის, შეთავაზების მიღებისათვის, ანდა ასეთ დანაშაულში ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივად საბოლოო შეთანხმებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ამ მუხლზე მითითებით.

განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად ორგანიზებისა და წაქეზებისათვის ან ასეთის მცდელობისათვის, ასევე, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად დახმარების მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ამ მუხლზე მითითებით.

§2. დანაშაულის მცდელობის თავისებურებანი თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის დროს გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

ქართულ სისხლის სამართალში თანამონაწილეობის ინსტიტუტის განხილვის შემდეგ, დიდ ინტერეს იწვევს აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურებანი გერმანულ სისხლის სამართალში.

გერმანელი კანონმდებელი თანამონაწილეობის **ოთხ ფორმაზე**, კერძოდ, შუალობით ამსრულებლობაზე (სსკ-ის 25-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი), თანაამსრულებლობაზე (სსკ-ის 25-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი), ნამქეზებლობაზე (სსკ-

ის 26-ე პარაგრაფი) და დახმარებაზე (სსკ-ის 27-ე პარაგრაფი) მიუთითებს.[1075]

2. 1. დანაშაულის მცდელობა შუალობითი ამსრულებლობის დროს

გერმანიის სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ შუალობითი ამსრულებლობის დროს მცდელობის საკითხის გადასაწყვეტად მცდელობის ლეგალური დეფინიცია (სსკ-ის 22-ე პარაგრაფი) საკმარისი არ არის.[1076] გარდა ამისა, არც ის კონცეფცია გამოდგება, რომელსაც ამსრულებლობის დროს დაუმთავრებელი მცდელობისათვის მოქმედი წესები შუალობით ამსრულებელზე გადააქვს.[1077] ამიტომ, საჭიროა მეცნირებაში აღმოცენებული ზოგიერთი თვალსაზრისის განხილვა, რათა მცდელობის განხორციელების დაწყება ზუსტად განისაზღვროს.

შუალობითი ამსრულებლობის დროს მცდელობის დანყებასთან დაკავშირებული შეხედულებები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. რა თქმა უნდა, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მცდელობის მომენტი უეჭველად დადგება მაშინ, როდესაც თავად „ბრმა იარაღი" დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას უკვე უშუალოდ შეუდგება, მაგრამ თუ კი იგი პასიურობს ანდა, თავის მხრივ, მცდელობის მიღმა რჩება, მაშინვე ჩნდება შეკითხვა, რაზედაც პასუხის გაცემას სხვადასხვა შეხედულებები ცდილობს.[1078]

2. 1. 1. შუალობით ამსრულებლობისას მცდელობის საკითხის დასაბუთება „დიფერენცირებული თეორიის" საფუძველზე

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დასახელებული თეორია ჯერ კიდევ 1983 წლიდან გაბატონებულ შეხედულებად ითვლებოდა და მიუთითებდა იმის შესახებ, რომ შუალობით ამსრულებლობაში დანაშაულის მცდელობის დაწყების საკითხი დამოკიდებული იყო „ბრმა იარაღის" ხასიათზე. მაშასადამე, „ბრმა იარაღი" იყო საიმედო (კეთილსინდისიერი) (*gutgläubig*), თუ არასაიმედო (არაკეთილსინდისიერი) (*bösgläubig*) და რამდენად იყო იგი მოქცეული შუალობითი ამსრულებლის ბატონობის ქვეშ. ამიტომ, თუ ადგილი ჰქონდა საიმედო „ბრმა იარაღზე" (მაგალითად, სულით ავადმყოფზე) ზემოქმედებას, მაშინ სახეზე იყო დანაშაულის მცდელობა, ხოლო არასაიმედო „იარაღის" შემთხვევაში, მცდელობა „ბრმა იარაღზე" ზემოქმედებით არ იწყებოდა, არამედ ზემოქმედების შემდეგ აუცილებელი იყო გარკვეული დროით მოცდა, რათა მცდელობის დაწყების მომენტი გამოვლენილიყო.[1079]

2. 1. 2. ერთიანი ქმედების თეორია

ზოგიერთ შეხედულებას აქცენტი გადააქვს „ბრმა იარაღის" მიერ ქმედების

1075 იხ. *Seher*, JuS (2009), გვ. 304.

1076 იხ. *Stratehnwert, Kuhlen*, AT (2011), გვ. 203.

1077 *Roxin*, AT (2003), გვ. 419.

1078 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1557.

1079 იხ.: *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1557; *Heinrich*, AT (2012), გვ. 335-336.

უშუალოდ დაწყების მომენტზე,[1080] სადაც შუალობითი ამსრულებლის და „ბრმა იარაღის" ქმედება განიხილება, როგორც ერთიანი აქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ „უკან მდგომის" ქცევა მხოლოდ „ბრმა იარაღის" საქმიანობის დამთავრებით სრულდება. მაშასადამე, შუალობითი ამსრულებელი „ბრმა იარაღის" მეშვეობით და მასთან ერთად, და არა მასზე ადრე, ახორციელებს ქმედებას.[1081]

არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც, გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია, შუალობითმა ამსრულებელმა საკუთარი ქმედებით მცდელობა დაიწყოს, ვიდრე „ბრმა იარაღი" გააქტიურდება.[1082] თუმცა ეს აზრი გაკრიტიკებულია მეცნიერების მიერ და აღიარებულია, რომ შეუძლებელია შუალობითმა ამსრულებელმა „ბრმა იარაღის" ქმედების განხორციელებამდე მცდელობის დაწყება შეძლოს.[1083]

გარდა ამისა, პრობლემატურია კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, მცდელობის დაწყებისათვის რამდენად აუცილებელია, რომ „ბრმა იარაღმა" ქმედების განხორციელება ფაქტობრივად დაიწყოს, თუ საკმარისია, რომ ამას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ შუალობითი ამსრულებლის წარმოდგენაში. ეს პრობლემა არაერთგვაროვნად წყდება. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ საკმარისია **შუალობითი ამსრულებლის წარმოდგენა.**[1084] თუმცა საკითხის ასეთი გადაწყვეტა მიუღებელია ზოგიერთი გერმანელი მეცნიერისათვის, რადგან „უკან მდგომმა", უმეტეს შემთხვევაში, არც კი იცის და არც შეუძლია იცოდეს, თუ რა მომენტში დაიწყებს „ბრმა იარაღი" ქმედების განხორციელებას. ამიტომ, როდესაც „ბრმა იარაღის" მიერ ქმედების განხორციელების მომენტი შუალობითი ამსრულებლის წარმოდგენით არ არის მოცული, ეს ეწინააღმდეგება სსკ-ის 22-ე პარაგრაფის მოთხოვნას. აღნიშნული პარაგრაფის თანახმად, მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე თავისი წარმოდგენით შეუდგება ქმედების განხორციელების უშუალო დაწყებას., ასევე, თუ კი შუალობითი ამსრულებელი შეცდომას უშვებს „ბრმა იარაღის" მიერ ქმედების განხორციელების დაწყების მომენტის განსაზღვრაში, „ერთიანი ქმედების თეორიის" მიხედვით, გამოდის, რომ მცდელობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, არ შეესაბამება სსკ-ის 22-ე პარაგრაფის ტექსტის შინაარს. აქედან გამომდინარე, სახეზეა „ერთიანი ქმედების თეორიის" მიერ აღნიშნული საკითხის დასაბუთების სუსტი მხარეები.[1085]

„ერთიანი ქმედების თეორიის" მომხრეთა უმრავლესობა ამ პოზიციას ალბათ ამიტომ არ იზიარებს, რომ მას მიაჩნია, რომ მცდელობის დასაწყებად აუცილებელია, „ბრმა იარაღმა" რეალურად (ობიექტურად) განახორციელოს ქმედება.[1086]

„ერთიანი ქმედების თეორიის" მიხედვით, შუალობით ამსრულებლობის

1080 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1557-1558.
1081 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 407.
1082 იხ. *Krack*, ZStW (1998), გვ. 634.
1083 იხ. *Engländer*, NStZ (2001), გვ. 475.
1084 იხ. *Engländer*, NStZ (2001), გვ. 333.
1085 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 415.
1086 იხ. *Engländer*, NStZ (2001), გვ. 333.

დროს „შუამავლის" ნაქეზება ძალზედ უახლოვდება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებულ ნაქეზების მცდელობის ისეთ გამოვლინებას, როგორიც არის „დანაშაულის ჩადენის შესახებ შეთავაზება". თუმცა, სსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მოქმედების არეალის გაფართოება და მისი მოქმედების გავრცელება „ბრმა იარაღზე", დაარღვევს ანალოგიის აკრძალვის პრინციპს, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია სისხლის სამართლისათვის.[1087]

2. 1. 3. ზემოქმედების თეორია

„ზემოქმედების თეორიას", რომელსაც „საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტის თეორიის" სახელწოდებითაც მოიხსენიებენ, აქცენტი მხოლოდ შუალობით ამსრულებლის ქცევაზე გადააქვს. ამ თეორიის თანახმად, მცდელობის დაწყებას უკვე მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შუალობითი ამსრულებელი თავის პოტენციურ „შუამავალზე" ზემოქმედების მოხდენას დაიწყებს (ვიწრო განმარტება), ან როდესაც იგი მასზე ზემოქმედების მოხდენას დაამთავრებს (ფართო განმარტება).[1088]

„ზემოქმედების თეორიის" საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია, ორი არგუმენტის დასახელება:

პირველი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ „ზემოქმედების მოხდენის თეორია" პასუხისმგებლობის ფარგლებს საგრძნობლად აფართოებს. მაგალითად, როდესაც ნაქეზების მცდელობას აქვს ადგილი, ამ თეორიის თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტი უკვე სახეზეა. მაშასადამე, გამოდის, რომ მცდელობის დაწყებას უკვე დანაშაულის მომზადების სტადიაზევე აქვს ადგილი. **მეორე არგუმენტის** თანახმად, დასჯადობის ასეთი გაფართოება არღვევს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფში დასახელებულ „უშუალობის" კრიტერიუმის მოთხოვნას.[1089]

2. 1. 4. ზემოქმედების მოდიფიცირებული თეორია

„ზემოქმედების თეორიის", საპირისპიროდ განვითარდა „ზემოქმედების მოდიფიცირებული თეორია", რომელიც შუალობითი ამსრულებლობის დროს მცდელობის დაწყებად მიიჩნევს იმ მომენტს, როდესაც შუალობითი ამსრულებელი მის მიერ მართულ მოვლენებს **ხელიდან გაუშვებს**, რათა ქმედება „შუამავალმა" დაამთავროს. ვინაიდან შუალობითი ამსრულებლობის დროს „უკან მდგომის" ქმედება ჯერ კიდევ არ ქმნის უშუალო საფრთხეს, ამიტომ მცდელობის დასაწყებად გადამწყვეტ როლს „დამნაშავის ბატონობის სფეროდან მოვლენების გაშვების" კრიტერიუმი თამაშობს.[1090]

1087 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 416.

1088 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 335.

1089 იქვე.

1090 იხ. *Engländer*, NStZ (2001), გვ. 332.

მოცემული შეხედულების მიხედვით, შუალობითი ამსრულებელი თავისი ზემოქმედების სფეროდან „ბრმა იარაღის" გაშვებით კარგავს ქმედებაზე ბატონობას, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი ინარჩუნებს ნებაზე ბატონობას.[1091] ეს შეხედულება განავითარა **როქსინმა** იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც აკრიტიკებდა „დამნაშავის სფეროდან მოვლენების გაშვების" კრიტერიუმს.

2. 1. 5. სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნა, როგორც მცდელობის დაწყების კრიტერიუმი შუალობითი ამსრულებლობის დროს (საფრთხის თეორია)

„სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნის თეორია" გამომდინარეობს იქედან, რომ მცდელობის სტადია შუალობითი ამსრულებლობის დროს იწყება მაშინ, როდესაც სამართლებრივ სიკეთეს **უშუალოდ ექმნება საფრთხე**. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც „ბრმა იარაღი" დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ შეუდგება. გარდა ამისა, მცდელობა შესაძლებელია ასევე მაშინ, როდესაც შუალობითი ამსრულებელი მოვლენებს ხელიდან გაუშვებს და ამ შესაძლებლობას „ბრმა იარაღს" გადასცემს.[1092] ამას, შესაძლებელია, **„ალტერნატიული დასაბუთების თეორიაც"** ეწოდოს.

მაშასადამე, „ბრმა იარაღზე" ზემოქმედებით „სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის შექმნა" წარმოადგენს „მოვლენების ხელიდან გაშვების" კრიტერიუმისათვის თანაბარი ღირებულების მქონე ალტერნატიულ კრიტერიუმს.[1093]

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „საფრთხის თეორიის" მიხედვით, მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სამართლებრივ სიკეთეს დამნაშავის წარმოდგენით ექმნება **კონკრეტული საფრთხე**. სწორედ ამიტომ დააკისრა განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფედერალურმა სასამართლომ ა., რომელმაც ეჭვიანობის ნიადაგზე განიზრახა თავისი მოწინააღმდეგე ბ. მკვლელობა. თუმცა, მან განზრახვის სისრულეში მოყვანა დ.-ს და ც. მეშვეობით სცადა. ამ უკანასკნელებს სურდათ მხოლოდ ბ. დაძინება და მისი ნივთების დაუფლება. მათთვის ა.-ს განზრახვა არ იყო ცნობილი. ამ მიზნით ა.-მ დამნაშავეებს ბოთლით მარილმჟავას ხსნარი გადასცა, ისე რომ მათ ეგონათ, რომ ბოთლში მხოლოდ დასაძინებელი წამალი იყო. ცნობისმოყვარეობის გამო, დ.-მ და ც.-მ ბოთლი გზაში გახსნეს, დაყნოსეს და მიხვდნენ, რომ ბოთლში დასაძინებელი წამლის ნაცვლად, მჟავა იყო ჩასხმული. ამის გამო, მათ დანაშაულის ჩადენა შეწყვიტეს.[1094]

„საფრთხის შექმნის თეორია" შინაარსობრივად არაფრით არ განსხვავდება „ზემოქმედების თეორიისგან", არამედ იგი მხოლოდ საფრთხის კრიტერიუმს ანიჭებს მეტ უპირატესობას. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ შუალობით ამსრულებლობაში მცდელობის დაწყების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება

1091 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 413.
1092 *Heinrich*, AT (2012), გვ. 336.
1093 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1560.
1094 იხ. *BGHSt* 30, გვ. 363-364.

„ზემოქმედების მოდიფიცირებული თეორიის" საფუძველზე, რომელიც ერთდროულად იყენებს რამდენიმე კრიტერიუმს.

ამიტომ ამ თეორიას გაბატონებული ადგილი უკავია გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში.[1095]

2. 2. დანაშაულის მცდელობა თანაამსრულებლობის დროს

დამთავრებული დანაშაულის ჩადენა თუ შესაძლებელია თანაამსრულებლობით,1096 მაშინ ასევე, შესაძლებელი იქნება თანაამსრულებლობით იმავე დანაშაულის მცდელობის ჩადენა. თუმცა, ამისათვის ობიექტურად სახეზე უნდა იყოს გარკვეული წინაპირობები, კერძოდ, ერთობლივი დანაშაულებრივი გეგმა და თითოეული თანაამსრულებლის მიერ დანაშაულის განხორციელებაში შეტანილი საკუთარი წვლილი. თანაამსრულებლობის დროს დანაშაული ერთიანი განზრახვით უნდა იყოს მოცული, ხოლო ინდივიდუალური ქმედება ერთიანი ქმედების შემადგენელ ნაწილად უნდა იქნეს გაგებული.[1097]

თანაამსრულებელთა მცდელობის საკითხი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის ფარგლებში რეგულირდება,[1098] თუმცა პრობლემად რჩება ისეთი შემთხვევა, როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი თანაამსრულებელი აღწევს სსკ-ის 22-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ მცდელობის სტადიას, ხოლო დანარჩენი თანაამსრულებლები ჯერ კიდევ იმყოფებიან დანაშაულის მოსამზადებელ სტადიაზე. აღნიშნული საკითხი გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად წყდება.[1099]

2. 2. 1. საკითხის ერთობლივი გადაწყვეტა

(გაბატონებული შეხედულება)

თანაამსრულებლობის დროს დანაშაულის მცდელობის პრობლემასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებულია შეხედულება „საკითხის ერთობლივი გადაწყვეტის" შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ რაიხის სასამართლო პრაქტიკიდან იღებს სათავეს და შემდგომი განვითარება მან უკვე გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში ჰპოვა. „საკითხის ერთობლივი გადაწყვეტის" შესახებ შეხედულებაში საუბარია იმაზე, რომ მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთ-

1095 იხ. *Murmann* (2011), გვ. 372.

1096 გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით, die Beteiligung-ის ცნება მოიცავს როგორც „ამსრულებლობის" (Täterschaft) ინსტიტუტს უშუალო (unmittelbaren), შუალობითი (mittelbaren), ერთპიროვნული ამსრულებლობის (Alleintäterschaft) და თანაამსრულებლობის (Mittäterschaft) ფორმით, ასევე „თანამონაწილეობის" (Teilnahme) ინსტიტუტს წამქეზებლის (Anstifftung) და დამხმარის (Beihilfe) ფორმით. დანვრილებით იხ. *Fischer* (2010), გვ. 227.

1097 *Zaczyk* (2010), გვ. 930.

1098 იხ. *Prüßner* (2004), გვ. 147, 148.

1099 იხ. *Prüßner* (2004), გვ. 156.

ერთი თანაამსრულებელი დანაშაულის უშუალო განხორციელებას შეუდგება, ხოლო სხვა დანარჩენი მონაწილეთა საქმიანობა ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიას არ გასცილებია.[1100]

ეს შეხედულება შეესაბამება თანაამსრულებლობის სტრუქტურას, როგორც შერაცხვის მოდელს, რადგან უშუალო დაწყებისას თანაამსრულებლების ქმედებები შეერაცხებათ დანარჩენ თანაამსრულებლებს იმისგან დამოუკიდებლად, შეიტანეს თუ არა მათ საკუთარი დანაშულებრივი წვლილი დანაშაულის განხორციელებაში.[1101] ამასთან, „საკითხის ერთობლივი გადაწყვეტა" თანაამსრულებელთა მხრიდან მოითხოვს დანაშაულებრივ ნებას.[1102] მაგალითად, ა. და ბ.-მ განიზრახეს ბანკის ერთობლივად გაქურდვა, მიზნის მისაღწევად ა. ბანკის სარდაფში უნდა შეეღწია და სეიფი გაეჭრა, ხოლო ბ.-ს ნადავლი თავის ავტომანქანაში უნდა ჩაეტვირთა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც კი ა. ბანკის შენობაში შეაღწევს, ბ. თანაამსრულებლობით ჩადენილი დანაშაულის მცდელობისათვის დაისჯება. მაშასადამე, ა. დაისჯება მცდელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბ.-ს ჯერ არ შეუსრულებია შეთანხმებით გათვალისწინებული მოქმედება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მტკიცდება თეზისით, რომლის მიხედვით, თანაამსრულებლობის დროს ყოველი მონაწილის დანაშაულებრივი გეგმის ფარგლებში შეტანილი დანაშაულებრივი წვლილი შესაბამისად დანარჩენ მონაწილეებსაც უნდა შეერაცხოს.[1103] ასეთ შეფასებას, შესაძლებელია, ეწოდოს **„საკითხის ერთობლივი გადაწყვეტა ფართო გაგებით"**.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს ე. წ. **მოჩვენებითი თანაამსრულებლობის** დროს. მაგალითად, ა. და ბ.-მ დაგეგმეს ბანკის დაყაჩაღება. მიზნის მისაღწევად ისინი შეეცადნენ თანაამსრულებლის გამონახვას. რ.-მა, რომელიც პოლიციის თანამშრომელი იყო, გამოთქვა მზადყოფნა დანაშაულის ჩასადენად. სამივე პიროვნება მივიდა ბანკის შენობასთან. ა. ძრავჩართულ მანქანაში დარჩა, რათა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, სწრაფად მოეხერხებინათ შემთხვევის ადგილის დატოვება, ბ. გასასვლელ კარებთან დადგა, ხოლო რ. ოთახში შევიდა და იარაღი ამოიღო, ანუ ამ უკანასკნელმა ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც ეს წინასწარ იყო შეთანხმებული პოლიციის თანამშრომელთან. ამ უკანასკნელმა კი, შეთანხმების თანახმად, რ. მიერ ნიშნის მიცემისთანავე, დააკავა სამივე პიროვნება.

კაზუსიდან ჩანს, რომ რ.-ს ქმედება ობიექტურად დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელებას წარმოადგენს, ამიტომ ისმის შეკითხვა, განსაზღვრავს თუ არა რ.-ს ქმედება ა.-ს და ბ.-ს ქმედებებს, მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ რ.-ს ქმედებაში ყაჩაღობის ჩადენის განზრახვა არ არსებობდა. „ფართო გაგებით საკითხის საერთო გადაწყვეტა" სამივე პიროვნების ქმედებას თანაამსრულებლობით ჩადენილ ყაჩაღობის მცდელობად აფასებს. მაგრამ, თუკი „საკითხის საერთო გადაწყვეტა ვიწრო გაგებით" მოხდება, მაშინ

1100 იხ.: *Heinrich*, AT (2012), გვ. 330; *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1567; *Krey, Esser*, AT (2012), გვ. 516; *BGHSt* 40, გვ. 301.

1101 *Safferling*, JuS (2005), გვ. 140-141.

1102 იხ. *BGHSt* 39. გვ. 236.

1103 იხ.: *Roxin*, AT (2003), გვ. 429-430; *BGH* 39, გვ. 238.

გამოვა, რომ რ.-ს ქმედება ვერ განსაზღვრავს ა.-ს და ბ.-ს პასუხისმგებლობის საკითხს, არამედ ისინი დაისჯებიან მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ შეთანხმებისათვის (სსკ-ის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი) და არა ყაჩაღობის მცდელობისათვის. მაგრამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა თავის თავად წინააღმდეგობრივია, რადგან თანაამსრულებლობის დისტანცირებამ სხვა თანაამსრულებლები უკეთეს მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს და მათი ქმედება მხოლოდ დანაშაულის შესახებ შეთანხმებამდე არ უნდა დაიყვანოს. ეს კი იმას გულისხმობს, რომ, თუ ზემოთ დასახელებულ შემთხვევას გადაცდომის დროს ექნებოდა ადგილი და თუ ა. და ბ.-ს ქმედებები მხოლოდ დანაშაულის შესახებ შეთანხმებად იქნებოდა მიჩნეული, მაშინ ა. და ბ. საერთოდ არ დაისჯებოდნენ, რადგან სსკ-ის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი გადაცდომის შემთხვევებზე არ ვრცელდება.[1104]

პარალელური თანაამსრულებლობა[1105] წარმოადგენს უშუალო ამსრულებლობის ფორმას და ამიტომ მისი დამოუკიდებლად განხილვა არ არის აუცილებელი. პარალელური თანაამსრულებლის მცდელობა გულისხმობს გარეგნულად გამოხატულ ერთობლივ ზემოქმედებას დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის შედეგზე ერთობლივი დანაშაულებრივი გადაწყვეტილების გარეშე.[1106]

რაც შეეხება თანაამსრულებელთა **უმოქმედობას**, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც თითოეულ მათგანს სამართლებრივი სიკეთის მიმართ გააჩნიათ სამართლებრივი **გარანტის ფუნქცია**. უმოქმედობის დროს თანაამსრულებლები ერთობლივად შესასრულებელ მოვალეობას არ ასრულებენ, მაშინ, როდესაც მისი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად.[1107]

საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა თანაამსრულებლობა უმოქმედობით მაშინ, როდესაც ერთი თანაამსრულებელი ჩადის უმოქმედობას, ხოლო დანარჩენები ახორციელებენ აქტიურ ქმედებას, დადებითად უნდა გადაწყდეს, კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში, დასაშვებია უმოქმედობით თანაამსრულებლობა, რადგან უმოქმედოდ მყოფი გარანტი სხვა, აქტიურად მოქმედ პირებს შექმნილ რთულ ვითარებას აცილებს თავიდან. მაგალითად, დარაჯი, შეთანხმებისამებრ, საცავის კარებს ტოვებს ღიას, რათა დანარჩენებმა შეძლონ ფასეული ნივთების მოპარვა. მოცემული მაგალითის მიხედვით, ისინი წარმოადგენენ თანაამსრულებლებს და არა უმოქმედობით, ან მხოლოდ აქტიური ქმედებით ჩამდენ უშუალო ამსრულებლებს.[1108]

1104 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 332-333.

1105 **პარალელური თანაამსრულებლობა** წარმოადგენს უშუალო ამსრულებლობის ფორმას, რომელიც კანონმდებლობაში ცალკე მოწესრიგებული არ არის. პარალელური თანაამსრულებლობის დროს, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას ერთობლივი დანაშაულებრივი გეგმის გარეშე აქვს ადგილი. მაგალითად, ა. და ბ.-მ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ისე, რომ მათ ერთმანეთის ქმედების შესახებ არ იცოდნენ, ღამის კლუბში მყოფ დ. სანამლავის გარკვეული დოზა შეურიეს სასმელში. ა.-მ დალია სასმელი და გარდაიცვალა. ორივე პიროვნება დაისჯება განზრახ მკვლელობისათვის. იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 546.

1106 იხ. *Prüßner* (2004), გვ. 192.

1107 იხ. *Prüßner* (2004), გვ. 194-195.

1108 იხ. *Prüßner* (2004), გვ. 152.

ამ მაგალითიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დაისვას შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მიიჩნევა დარაჯის უმოქმედობა ქმედების შემადგენლობის უშუალო დაწყებად. მაშასადამე, იმ მომენტიდან, როდესაც ამ უკანასკნელმა კარები დატოვა ღია, თუ როდესაც დანარჩენები უკვე ღია კარებს მოუახლოვდნენ და ამით სამართლებრივ სიკეთეს შეუქმნეს რეალური საფრთხე? „საკითხის ერთობლივი გადაწყვეტის" თეორიის მიხედვით, ქმედების შემადგენლობის შესაბამისად, მცდელობის დაწყების მომენტად მიიჩნევა არა დარაჯის უმოქმედობის მომენტი, ანუ კარების ღიად დატოვების მომენტი, არამედ ის მომენტი, როდესაც დანარჩენმა თანაამსრულებლებმა ერთობლივად დაიწყეს ღია კარებში შესვლა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „საკითხის ერთობლივი გადაწყვეტის" წესი თანაამსრულებლობის შემთხვევაში ეყრდნობა უმოქმედობით დანაშაულის შემადგენლობის დაწყების განმსაზღვრელ იმ კრიტერიუმს, რომელზეც ზემოთ ერთპიროვნული უმოქმედობის ნაწილში უკვე იყო საუბარი.

2. 2. 2. საკითხის განცალკევებული გადაწყვეტა

მეცნიერთა უმცირესობა მხარს უჭერს „საკითხის განცალკევებულ გადაწყვეტას". ამ შეხედულების თანახმად, ყოველმა თანაამსრულებელმა მცდელობა თავად უნდა დაიწყოს, ანუ თავად უნდა მივიდეს მცდელობის სტადიამდე. მაშასადამე, ზემოთ დასახელებული ქურდობის მაგალითში, ბ. მხოლოდ მაშინ დაისჯება თანაამსრულებლობით ჩადენილი საცავში შეღწევით ქურდობის მცდელობისათვის, როდესაც იგი პირადად (ან ა. ერთად) შევა ბანკის შენობაში. მაგრამ, თუ ა. მანამდე დააკავეს და ბ. საერთოდ არ შესდგომია დანაშაულებრივ საქმიანობას, დასახელებული პოზიციის თანახმად, ეს უკანასკნელი მხოლოდ დანაშაულში შეთახმებისათვის დაისჯება (სსკ-ის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი).[1109]

შეხედულება საკითხის „განცალკევებული გადაწყვეტის" შესახებ, მომდინარეობს როქსინის „ქმედებაზე ბატონობის თეორიიდან". გერმანულ სისხლის სამართალში ზოგიერთ მეცნიერს ქმედებაზე ბატონობის კრიტერიუმი თანაამსრულებლობის დასასაბუთებლად უსარგებლოდ მიაჩნია, რადგან დანაშაულის დაწყება სხვა თანაამსრულებელთა ქმედებაზეა დამოკიდებული.[1110]

2. 2. 3. დასაბუთება, რომელიც გამომდინარეობს თანამონაწილეობის მოძღვრებიდან

თუ დამთავრებული დანაშაულის დროს თანაამსრულებლებმა დანაშაულის განხორციელების პროცესი ერთობლივად უნდა მართონ, განა ლოგიკური არ იქნება, რომ ყოველ თანაამსრულებელს დანაშაულის მცდელობის სტადიაზე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა მოეთხოვოს. მაგალითად, ხუთი თანაამსრულებელი შეთანხმდა, რომ ერთობლივად დააყაჩაღებდნენ ბანკს. თუმცა, ერთ-ერთი მათგანი ა. შემთხვევის ადგილზე არ მივიდა, რადგან იგი პოლიციამ

1109 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 430-431.
1110 იხ. *Prüßner* (2004), გვ. 195.

გზაში სხვა დანაშაულის ჩადენისათვის დააკავა. ოთხმა თანაამსრულებელმა ა. გარეშე ჩაიდინეს ყაჩაღობა. ასეთ შემთხვევაში, უდავოა, რომ ა. თანაამსრულებლობისათვის არ შეიძლება დაისაჯოს, არამედ მას მხოლოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის თანახმად, მოეთხოვება პასუხი. თანამონაწილეთა შეთანხმება, მაშასადამე, დანაშაულის ჩადენის შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, საკმარისი არ არის თანაამსრულებლობისათვის და თუ შეთანხმება დამთავრებული დელიქტის დროს თანაამსრულებლობისათვის არ არის საკმარისი, მაშინ მცდელობის დროს ასევე შეუძლებელია მისი დასაბუთება.[1111]

2. 2. 4. დასაბუთება, რომელიც გამომდინარეობს მცდელობის შესახებ მოძღვრებიდან

„მცდელობის შესახებ მოძღვრების" მიხედვით, ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, შესაძლებელია, თანაამსრულებელთა მცდელობის დასაბუთება, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი თანაამსრულებელი მცდელობის სტადიას აღწევს, ენინააღმდეგება მცდელობის შესახებ მოძღვრების ძირითად პრინციპებს, რადგან სსკ-ის 22-ე პარაგრაფის მიხედვით, მცდელობა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება უშუალოდ დაიწყება. ამასთან, საკითხის ასეთი გადაწყვეტა ასევე უსამართლოდ ამცირებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. მაგალითად, ზემოთ დასახელებული მაგალითის მიხედვით, როგორც კი ა. ბანკის შენობაში შეიჭრება, ბ, სახლში ყოფნის მიუხედავად, თანაამსრულებლად ჩაითვლება, ამიტომ გაჩნდება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, როდის ან რამდენად შეძლებს ბ. ნებაყოფლობით აიღოს ხელი დანაშაულზე.[1112]

2. 2. 5. შემთხვევები, რომლის დროსაც შეუძლებელია თანაამსრულებლობით მცდელობა

ზემოთ დასახელებული კრიტერიუმების გარდა, შესაძლებელია, გამოიყოს ისეთი **ნორმატიული ხასიათის კრიტერიუმები**, რომლის გარეშე საერთოდ შეუძლებელია თანაამსრულებლობა და, შესაბამისად, თანაამსრულებლობით მცდელობა.

ამსრულებლობის განსაკუთრებულ ნიშნებს მიეკუთვნება ამსრულებლისათვის დამახასიათებელი **ობიექტური** თვისებები, როგორიც არის, მაგალითად, ე. წ. მოხელის ფუნქცია. თუ მოხელე და მისი მეგობარი, რომელსაც მოხელის სტატუსი არ გააჩნია, ერთმანეთთან შეთანხმებით დიდი ოდენობით თანხას იღებენ მოქალაქისაგან მის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების მიზნით, მაშინ მოხელე დაისჯება ქრთამის აღებისათვის (სსკ-ის 332-ე პარაგრაფი), ხოლო მისი მეგობარი აღნიშნულ დანაშაულში დახმარებისათვის

1111 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 431-432.
1112 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 432-433.

აგებს პასუხს.[1113] ამსრულებელს, შესაძლებელია, ასევე გააჩნდეს „სამართლებრივი გარანტის ფუნქცია" უმოქმედობის დროს და ე. წ. საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში.

ზემოთ დასახელებული კრიტერიუმების გარდა, ამსრულებლის მხარეზეა დანაშაულის შემადგენლობის ისეთი სუბიექტური ნიშნები, როგორიც არის, მაგალითად, მიზანი, ა. და ბ. წინასწარი შეთანხმებით დაეუფლნენ დ.-ს ველოსიპედს. ა.-ს ამოძრავებდა მისაკუთრების მიზანი, ხოლო ბ. განზრახული ჰქონდა დ.-ს ქონების დაზიანებით მისი გაღიზიანება. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში, ა.-მ ქურდობის შემადგენლობა განახორციელა, ხოლო ბ.-ე არ მოქმედებდა მისაკუთრების მიზნით და, შესაბამისად, მათი ერთობლივი ნება, შესაძლებელია, ნორმატიულად სსკ-ის 25-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით, დანაშაულებრივ გადაწყვეტილებად არც კი ჩაითვალოს.[1114]

2. 3. დანაშაულის მცდელობა თანამონაწილეობის დროს (თანამონაწილეობის მცდელობა და მცდელობა თანამონაწილეობის დროს)

თანამონაწილეობის დროს ძირითადი ქმედება შესაძლებელია, მცდელობის სტადიაზე შეწყდეს (*Teilnahme am Versuch*), ანდა ქმედებამ მცდელობის სტადიამდე სულაც ვერ მიაღწიოს (*versuchte Teilnahme*).[1115]

აქცესორობის პრინციპიდან გამომდინარე, თანამონაწილეები — წამქეზებელი და დამხმარე - მაშინ აგებენ პასუხს, როდესაც სახეზე იქნება განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ვინაიდან, დანაშაულის მცდელობა იმავდროულად განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს, ამიტომ წამქეზებელი და დამხმარე მცდელობის დროს სრული მოცულობით აგებენ პასუხს,[1116] რადგან მათ თავიანთი დანაშაულებრივი წვლილი ძირითადი ქმედების განხორციელებაში შეაქვთ.[1117]

დანაშაულის მცდელობის დასაბუთების საკითხი თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, როგორც წესი, პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, სადაც სუბიექტური ნიშნის გამო, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის დროს პოზიციები იყოფა სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში. საქმე ეხება ისეთ სუბიექტურ ელემენტს, როგორიც არის, მაგალითად, მოტივი.

ა. განიზრახა თავისი მდიდარი ბიძის მკვლელობა ანგარების მოტივით. მკვლელობის ჩასადენად მას იარაღი ბ.-მ ათხოვა. ა. ესროლა დაზარალებულს, მაგრამ ააცილა. სასამართლო პრაქტიკა ბ.-ს ქმედებას აფასებს, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში,[1118] კერძოდ, დამხმარის მიერ ანგარებით ჩადენილ

1113 იხ. *Seher*, JuS (2009), გვ. 305.

1114 იქვე.

1115 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1435. თანამონაწილეთა მცდელობის შესახებ უკვე საუბარი იყო დანაშაულის მომზადებაზე მსჯელობის დროს.

1116 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 647.

1117 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1435.

1118 გერმანიის სისხლის სამართალის დოგმატიკა სსკ-ის 211-ე პარაგრაფით გათვალ-

განზრახ მკვლელობის მცდელობად. თავის შეფასებას საამართლო პრაქტიკა აფუძნებს სსკ-ის 28-ე პარაგრაფის 1-ლ აბზაცზე, რომლის მიხედვით, თუ თანამონაწილეს მხარეზე არ არის ისეთი **განსაკუთრებული პერსონალური ნიშანი**, რომელიც დამნაშავის დასჯადობას აფუძნებს, მაშინ თანამონაწილეს პასუხისმგებლობა შეუმსუბუქდება სსკ-ის 49-ე პარაგრაფის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მიუთითებს პერსონალური ნიშნის აუცილებლობაზე, სასამართლო პრაქტიკა მაინც ასე აკვალიფიცირებს თანამონაწილეთა ქმედებას. მაშასადამე, ბ.-ს პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც დამხმარის მიერ ანგარებით მკვლელობის მცდელობის ჩადენისათვის სსკ-ის 211-ე, 22-ე პარაგრაფებისა და 27-ე პარაგრაფის 1-ლი და 28-ე პარაფრაფის 1-ლი აბზაცის საფუძველზე.[1119] ამასთან, იგი მიუთითებს პასუხისმგებლობის დამატებით შემსუბუქებაზე, კერძოდ, სსკ-ის 27-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ნორმა დამხმარისათვის ანესებს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას სსკ-ის 49-ე პარაგრაფის ფარგლებში.[1120]

სასამართლო პრაქტიკიდან კიდევ ერთი მომენტი იმსახურებს ყურადღებას. იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილემ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოება განახორციელა, იგი მხოლოდ მარტივი მკვლელობის გამო დაისჯება. რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებას, იგი სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება. მაგრამ, პირიქით ფასდება თანამონაწილის ქმედება, თუ ადგილი აქვს ე. წ. ქმედების დამამძიმებელი გარემოებების მეორე ჯგუფს. ამ შემთხვევაში თანამონაწილე დაისჯება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისათვის.[1121]

განზრახ მკვლელობის ასეთ კვალიფიკაციას სისხლის სამართლის დოგმატიკა არ იზიარებს. იგი ხელმძღვანელობს სსკ-ის 28-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის საფუძველზე, რომლის თანახმად, თუ კანონი განსაზღვრავს განსაკუთრებულ პერსონალურ ნიშანს, როგორც სასჯელის დამამძიმებელ, შემამსუბუქებელ ან გამომრიცხველ გარემოებას, მაშინ იგი შეერაცხება მხოლოდ იმ თანამონაწილეს, რომლის მხარეზეც არის იგი. მაშასადამე, დასახელებულ მაგალითში ანგარება, როგორც პერსონალური ნიშანი, ბ. მხარეზე არ არის და, შესაბამისად, მას ეს ნიშანი არ უნდა შეერაცხოს. აქედან გამომდინარე, ბ.-ე დაისჯება, როგორც დამხმარის მიერ მარტივი მკვლელობის მცდელობის ჩადენისათვის, სსკ-ის 212-ე, 22-ე პარაგრაფებისა და 27-ე პარაგრაფის 1-ლი და 28-ე პარაფრაფის მე-2 აბზაცის საფუძველზე.[1122]

ისინებულ დამამძიმებელ გარემოებებს ჰყოფს ჯგუფებად: პირველ ჯგუფში შეაქვს ანგარება, განსაკუთრებული სისასტიკე და სხვ. ხოლო მეორე ჯგუფში მოიაზრებს ვერაგობას, უმწეო მდგომარეობასა და სხვა შემთხვევებს. დაწვრილებით იხ. *Fischer* (2012), გვ. 1389-1409.

1119 ფედერალური საამართლო მიუთითებს იმაზე, რომ მარტივი მკვლელობა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, დანაშაულის ავტონომიური შემადგენლობებია და თითოეულ მათგანს, ერთმანეთისგან განსხვავებული უმართლობის შინაარსი აქვს. იხ. *BGHSt* 6, გვ. 330.

1120 იხ. *BGHSt* 50, გვ. 5.

1121 იხ. *BGHSt* 50, გვ. 6.

1122 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 645-646.

თანამონაწილეობის დროს დანაშაულის მცდელობისაგან უნდა გაიმიჯნოს **თანამონაწილეობის მცდელობა**, რომელსაც არეგულირებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფი.[1123] თანამონაწილეობის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ძირითადი ქმედება მცდელობის სტადიასაც ვერ აღნევს. ასეთ მცდელობას **უშედეგო ან წარუმატებელ** მცდელობასაც უწოდებენ.[1124]

თანამონაწილეობის მცდელობა გამოიხატება **დახმარებისა და წაქეზების** მცდელობაში. დახმარების[1125] მცდელობა არასდროს არ ისჯება, რადგან სსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი დახმარების შემთხვევებს არ ითვალისწინებს.[1126] დაუსჯელი რჩება ასევე დახმარება დანაშაულის შეთანხმებაში და დანაშაულში დახმარების მიზნით, უბრალო დაპირება (*bloße Zusage*).[1127]

ობიექტური თვალსაზრისით, წაქეზების მცდელობა გამოიხატება განსაზღვრულ ქმედებაში, ხოლო სუბიექტური მხრივ, მას მოეთხოვება ორმაგი განზრახვა (*doppelte Anstiftervorsatz*), ე. ი. წამქეზებელს უნდა, რომ წაქეზებულს დანაშაულებრივი განზრახვა ჰქონდეს და უნდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. ამასთან, ამ შემთხვევაში **ევენტუალური განზრახვა** საკმარისია.[1128]

წაქეზების მცდელობის (*der Versuch der Anstiftung*) დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის ფარგლებში ქმედებას დანაშაულებრივი ხასიათი ენიჭება არა ობიექტური სინამდვილის მიხედვით, არამედ წამქეზებლის წარმოდგენის შესაბამისად.[1129]

error in persona-ს შემთხვევაში ქმედება ჩვეულებრივ წაქეზებად ფასდება, ხოლო ***aberratio ictus***-ის დროს - წაქეზების მცდელობად. ამის მსგავსად შეფასდება ქმედება, როდესაც წამქეზებელი აქეზებს სულიერად ავადმყოფს დანაშაულის ჩასადენად, შეცდომით ჰგონია ჯანმრთელი ადამიანი.[1130] წაქეზების მცდელობას (*versuchte Anstiftung*), აგრეთვე მაშინ აქვს ადგილი, როდესაც თანამონაწილე **შეცდომით** ფიქრობს, რომ ამსრულებელი განზრახ მოქმედებს.[1131]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი მოიცავს ასევე ე. წ. **ჯაჭვური წაქეზების მცდელობას** (*versuchte „Kettenanstiftung"*). ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ერთი პირი უშედეგოდ სთხოვს მეორეს, რომ ამ უკანასკნელმა მესამე პირი წააქეზოს მკვლელობის ჩასადენად.[1132]

თანამონაწილეობის მცდელობა, შესაძლებელია, რეალურ **კონკურენციაში** იყოს თანამონაწილეობის დროს მცდელობასთან. მაგალითად, სასამართ-

---

1123 *Wessels, Beulke*, AT (2012), გვ. 213.

1124 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1435-1436.

1125 გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, დახმარების დახმარება, დახმარების წაქეზება და წაქეზებაში დახმარება წარმოადგენენ **დახმარებას** ძირითად დანაშაულში. იხ. *Fischer* (2012), გვ. 239.

1126 *Heinrich*, AT (2012), გვ. 649.

1127 *Wessels, Beulke*, AT (2012), გვ. 215.

1128 *Fischer* (2012), გვ. 271.

1129 იხ. *Wessels, Beulke*, AT (2012), გვ. 213.

1130 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1436.

1131 *Fischer* (2012), გვ. 239.

1132 იხ. *Wessels, Beulke*, AT (2012), გვ. 213-214.

ლო პრაქტიკაში მიუთითებენ იმაზე, რომ მკვლელობის ნაქეზების (ნარუმატებელ) მცდელობასთან შედარებით, მოგვიანებით აღმოცენებული, ახალ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული მკვლელობის მცდელობის ნაქეზება წარმოადგენს სამართლებრივად დამოუკიდებელ ქმედებას და იგი ასევე, პროცესუალური თვალსაზრისითაც, სხვა დანაშაულს მიეკუთვნება.[1133]

„თანამონაწილეობის მცდელობასთან" დაკავშირებით გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ იმის შესახებ, რომ, სსკ-ის 30-ე პარაგრაფი არ შეიცავს მცდელობის დასჯადობის რაიმე განსაკუთრებულ ფორმას, რადგან მცდელობა მოითხოვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყებას, რასაც დასახელებულ პარაგრაფში არა აქვს ადგილი. მაშასადამე, ნაქეზების მცდელობა წარმოადგენს არა მცდელობას, არამედ **მომზადებას**. გარდა ამისა, გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, ქმედებები, როგორიც არის დანაშაულში შეთანხმება, მზადყოფნა დანაშაულის ჩასადენად, საერთოდ არ წარმოადგენს თანამონაწილეობის მცდელობის შემთხვევებს. ამასთან, ეს პარაგრაფი არ უთითებს სასჯელის დამოუკიდებელ ზომაზე, არამედ სასჯელის მუქარა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობაზეა გადატანილი.[1134]

§3. შეჯამება

თანამონაწილეობის დროს მცდელობის საკითხი განხილულია ორი მიმართულებით, კერძოდ, თანამონაწილეობის დროს მცდელობისა და თანამონაწილეობის მცდელობის მიმართულებით.

თანამონაწილეობის დროს მცდელობა დაკავშირებულია **ფართო** და **ვიწრო** გაგებით თანამონაწილეობასთან, რომელიც გულისხმობს ქმედების განხორციელებას შუალობითი ამსრულებლის, თანაამსრულებლის, ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის მეშვეობით. მცდელობის განხილვა თანამონაწილეობის ამ ფორმით სხვადასხვა თავისებურებებით ხასიათდება. მაგალითად, შუალობითი ამსრულებლობისა და თანაამსრულებლობის დროს მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როდის იწყება დანაშაულის მცდელობა. როგორც კვლევამ აჩვენა, ამ საკითხის გადაწყვეტაში დიდ როლს თამაშობს კანონმდებლობა, თუმცა მხოლოდ კანონმდებლობის დახმარებით შეუძლებელია ამ საკითხის მოგვარება. ამიტომ, სისხლის სამართლის დოგმატიკა დასახელებული პრობლემის გადაჭრის მიზნით, იშველიებს სხვადასხვა თეორიას. ერთ-ერთი ასეთი თეორია, რომელიც ცდილობს მცდელობის ათვლის ნერტილი ზუსტად განსაზღვროს, გახლავთ **„ფორმალურ-ობიექტური თეორია"**. მსჯელობის დროს უკვე აღინიშნა, რომ დასახელებული თეორია მეტად ავიწროვებს თანაამსრულებელთა მოქმედების არეალს, რადგან მას თანაამსრულებელთა ქმედება დაჰყავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მოცემული დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის ქმედებაზე, ამიტომ ეს თეორია გაბატონებულ

1133 იხ. *BGHSt* NStZ (1999), გვ. 25.

1134 *Roxin*, AT (2003), გვ. 286. თანამონაწილეთა მცდელობის შესახებ იხილეთ მომზადების კარში.

თეორიად არ მიიჩნევა. მაგალითად, იმისათვის, რომ ქურდობაში მონაწილეები თანაამსრულებლებად ჩაითვალონ, აუცილებელია, ყველა მათგანი უშუალოდ მონაწილეობდეს სხვისი ნივთების დაუფლების პროცესში, ხოლო ყველა სხვა ქმედება „ფორმალურ-ობიექტური" თეორიის მიხედვით, ქურდობაში დახმარებად განიხილება.

თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებულ თეორიად, შეიძლება, **„ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორია"** ჩაითვალოს. აღნიშნული მოძღვრება სრულად შეესაბამება ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ დანაშაულის მცდელობის განსაზღვრისათვის შემუშავებულ მოძღვრებას, რომელიც განხილული იყო მცდელობის შესახებ განვითარებული თეორიების თავში. საქმე იმაშია, რომ თანაამსრულებელი, რომელიც დაზარალებულის დაცულ სფეროში შეაღწევს, მაგალითად, ქურდობის დროს, მაგრამ უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას ნივთების დაუფლების პროცესში (დარაჯად დგომა), ქმედების შემადგენლობის განხორციელება უკვე დაწყებული აქვს, რაც საკმარისია ქმედებაში თანაამსრულებლობის დასასაბუთებლად.

ქართულ სისხლის სამართალში **„ქმედებაზე ბატონობის თეორია"** ასევე გამოიყენება შუალობით ამსრულებლობაში მცდელობის საკითხის გადასაწყვეტად. როგორც ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ აჩვენა, ვიდრე შუალობითი ამსრულებელი მოვლენების ბატონ-პატრონია და მისი განკარგულების ქვეშ იმყოფება, დანაშაულის მცდელობაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.

რაც შეეხება **გერმანულ სისხლის სამართალს**, შუალობითი ამსრულებლობის დროს უპირატესობა ენიჭება ე. წ. **ზემოქმედების მოდიფიცირებულ თეორიას**, რომელიც შინაარსობრივად „ქმედებაზე ბატონობის თეორიის" იდენტურია, ხოლო თანაამსრულებლობის დროს გაბატონებულ მოძღვრებად ითვლება **„საკითხის ერთობლივი გადაწყვეტის თეორია"**. ეს უკანასკნელი გაუმართლებლად აფართოებს თანაამსრულებლობის ფარგლებს და ამიტომ მხარდაჭერას არ იმსახურებს. სამაგიეროდ, გერმანულ დოგმატიკაში ყურადღების ღირსია **„საკითხის განცალკებული გადაწყვეტის თეორია"**, რომელიც მომდინარეობს „ქმედებაზე ბატონობის თეორიიდან".

თანამონაწილეობის მცდელობის მიმართულებით საკითხის განხილვა ძალზედ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ვინაიდან გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა **გენერალური მომზადების** დასჯადობას არ აღიარებს, ამიტომ **უშედეგო ნაქეზების** შემთხვევის მოსანესრიგებლად გერმანელმა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში შემოიღო **30-ე პარაგრაფი**, ხოლო უშედეგო დახმარება ვინაიდან არ არის გათვალისწინებული სსკ-ის 30-ე პარაგრაფში, შესაბამისად, არ ისჯება. დასახელებული ნორმა, ასევე, უზრუნველყოფს დანაშაულში შეთანხმების დროს პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრას.

როგორც აღინიშნა, გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფი გაკრიტიკებულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დასახელებული პარაგრაფის სათაური სრულად ვერ მოიცავს მის შინაარსს, მეორე, სსკ-ის 30-ე პარაგრაფი არ წარმოადგენს მცდელობის განსაკუთრებულ ფორმას, რადგან ქმედების განხორციელების დაწყებას, რაც მცდელობისათვის აუცილებელი წინაპირობაა, ჯერ კიდევ არა აქვს

ადგილი.

რაც შეეხება ქართულ სისხლის სამართალს, თუ იგი უარს იტყვის გენერალური მომზადების დასჯადობაზე, მაშინ მან დისერტაციაში განვითარებული კონცეფციის შესაბამისად, მომზადების **სპეციალური** და **კონკრეტული** შემთხვევების დასჯადობისათვის (უშედეგო ნაქეზების, ორგანიზებისა და დახმარების), აუცილებელია, განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილში და ამასთან, შემოიღოს ახალი ნორმა 25[1] მუხლის სახით, რომლის თაობაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი.

კარი V. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

თავი I. ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და მისი ლეგალურ-დოგმატური საფუძვლები

§1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და მისი ადგილი დანაშაულის სისტემაში

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის, კერძოდ, დანაშაულის მომზადების და დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე.[1135] ამდენად, ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმების გამოყენება და პირის გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაული არ დამთავრებულა არც მატერიალურად და არც ფორმალურად.[1136]

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის განხილვა[1137] დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებით გამონვეულია მისი ლოგიკური კავშირით დანაშაულის სტადიებთან, კერძოდ, დანაშაულის მომზადებასა და დანაშაულის მცდელობასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი შეუძლებელია მომზადებისა და მცდელობის გარეშე არსებობდეს. ამიტომ მიზანშეწონილია, სისტემური თვალსაზრისით, ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის განხილვა დაუმთავრებელ დანაშაულში.

ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველი დამნაშავის ნაკლები საშიშროებაა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე დანაშაულს ნებაყოფლობით არ ამთავრებს, რის გამოც დაცული სამართლებრივი სიკეთე არ ზიანდება და, შესაბამისად, პრევენციის საჭიროება აღარ არსებობს. ამასთან, დამნაშავისათვის, მისი სასჯელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობით (პირობით), დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით, „ოქროს ხიდი" უნდა გაიდოს და საბოლოოდ, დამნაშავის ქცევით დარღვეული ნორმისადმი ნდობა კვლავ უნდა აღდგეს.[1138]

მაშასადამე, სახელმწიფო მოწოდებულია დამნაშავეზე მოტივაციური ზეგავლენით თავიდან აიცილოს სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფა. სწორედ

1135 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 316.

1136 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1659.

1137 დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღების შესახებ იხ. *ხარანაული*, სისხლის სამართლის სამეცნიერო კრებული I, რედ., მ. *ტურავა* (2013), გვ. 355.

1138 იხ. *Heger*, StV (2010), გვ. 320.

ამიტომ, სახელმწიფო მიზნად ისახავს, დამნაშავეს არ მოუჭრას უკან დასაბრუნებელი გზა, არამედ, პირიქით, ცდილობს აუგოს მას ე. წ. **ოქროს ხიდი**, რომლითაც მას თავიდან ააცილებს სისხლის სამართლის რეპრესიას.[1139]

ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო იყენებს დარწმუნების მეთოდს, რომელიც აშკარად ჩანს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმებში, რომლებიც ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს განსაზღვრავს. ზოგიერთ სისხლის სამართლის მეცნიერს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმები **წამახალისებელ ნორმებს** წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენ პირს, რომელიც თავიდან აიცილებს დანაშაულებრივ შედეგს, სახელმწიფო სთავაზობს დაუსჯელობის გარანტიას.[1140] ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმას ზოგიერთი მეცნიერი **მასტიმულირებელ ნორმად** მოიხსენიებს.[1141] თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ტერმინები შინაარსობრივად ერთი და იგივე აზრს გამოხატავს.

ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს სისხლის სამართალში განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ამ ხნის მანძილზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა შეხედულება (თეორია), რომლებიც დროთა განმავლობაში ენაცვლებოდა ერთმანეთს და გაბატონებულ პოზიციას იკავებდა.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის დასაბუთების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მისაღებ თეორიად „კრიმინალ-პოლიტიკური თეორია", კერძოდ, „ოქროს ხიდის თეორია" ითვლება,[1142] თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში მას სხვა თეორიებიც უწევენ კონკურენციას. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა **„სასჯელის მიზნის მოდიფიცირების თეორია"**.[1143] ნებაყოფლობით ხელის აღებაზე განვითარებული შეხედულებები დანვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

გარდა ამისა, ძალზედ მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს დანაშაულის სისტემაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება, რომელთა განხილვა ყურადღებას იმსახურებს. ასევე, ფრიად საგულისხმოა ის თავისებურებები, რომლებსაც ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთობაში ავლენს. ყოველივე ეს კი ქმნის იმის აუცილებლობას, რომ აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურებანი სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებში იქნეს განხილული, მაგალითად, თანამონაწილეობის დროს, ერთიან დანაშაულებში და ა. შ.

გარდა ამისა, ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის არსებობა, მისი ბუნებიდან და დასჯადობის მიზანშეწონილობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ზოგიერთი სახის **იურიდიულად დამთავრებულ**, მაგრამ

1139 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 222.

1140 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 322; *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 175.

1141 ამ საკითხზე დანვრილებით იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 38.

1142 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 322.

1143 იხ. *Roxin* AT (2003), გვ. 479.

ფაქტობრივად ჯერ დაუსრულებელ დანაშაულებში დასაბუთდეს. ყოველივე ეს კი მიუთითებს სისხლის სამართალში აღნიშნული ინსტიტუტის ახლებურად გააზრებაზე, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის შესახებ დამატებით საკანონმდებლო რეგულაციებს.

ნებაყოფლობით ხელის აღების ადგილის განსაზღვრის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველთან. ამის შესაბამისად, აქ წარმოდგენილი ძირითადი პოზიციები ინვევს დავას.[1144]

განსაკუთრებით ეს ეხება „სამართლის თეორიებს", რომლებიც ნებაყოფლობით ხელის აღების დროს გამორიცხავს უმართლობის ელემენტს. „სამართლის თეორიასთან" ახლოს დგას შეხედულება, რომლის მიხედვით, ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის შემადგენლობაში განიხილება, როგორც ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშანი.[1145]

თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ მოქმედებს ორი არგუმენტი, **პირველი** მიუთითებს იმაზე, რომ თანამონაწილე, რომელიც შედეგის თავიდან ასაცილებლად არაფერს არ მოიმოქმედებს, უსამართლოდ ისარგებლებს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებით, მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ ამ უფლებით მხოლოდ თავად ხელის ამღები სარგებლობს. **მეორე** არგუმენტი კი მიუთითებს იმაზე, რომ თუ უარყოფილი იქნება მართლწინააღმდეგობის ნიშნის არსებობა, მაშინ გამოვა, რომ დაზარალებულს აუცილებელი მოგერიების უფლება აღარ ექნება.[1146]

ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი გამოდის მცდელობისა და ნებაყოფლობით ხელის აღების ერთიანობის პრინციპიდან და ნებაყოფლობით ხელის აღებას განიხილავს, როგორც **ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ პერსონალურ საფუძველს**. სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი კი ნებაყოფლობით ხელის აღების ადგილის საკითხს ბრალის სიბრტყეზე განიხილავს. თუ ნებაყოფლობით ხელის აღებით ბრალეულობა აღმოიფხვრება, მაშინ იგი ბრალის გამომრიცხველ გარემოებად შეფასდება (*Schuldaufhebungsgrund*), მაგრამ თუ ნებაყოფლობით ხელის აღება დასჯადობაზე იქონიებს გავლენას (ე. ი. როდესაც ქმედება არ არის დასჯის ღირსი), მაშინ იგი შეფასდება, როგორც ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება (*Schuldausschließungsgrund*, *Entschuldigungsgrund*). ამ საკითხის დასასაბუთებლად მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ მცდელობის დროს დამნაშავის ბრალი ისე იზღუდება, რომ „სისხლისსამართლებრივად რელევანტური ბრალი" არ არის სახეზე.[1147]

დღეისათვის გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს **სასჯელისაგან გათავისუფლების პერსონალურ** საფუძველს,[1148] რადგან მცდელობით დაფუძნებული დასჯადობა

1144 იხ. *Jäger* (1996), გვ. 9.

1145 იხ. *Boß*, (2002), გვ. 36.

1146 იხ. *Boß*, (2002), გვ. 36-37.

1147 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1675.

1148 *Roxin*, AT (2003), გვ. 488; იხ.: *Kindhäuser* (2010); *ვესელსი, ბოილკე* (2010), გვ. 365; *ტურავა* (2013), გვ. 322; *გამყრელიძე* (2008), გვ. 173; *გამყრელიძე* (1974), გვ. 154.

ნებაყოფლობით ხელის აღების მეშვეობით უქმდება[1149] და პასუხისმგებლობისაგან ის თავისუფლდება, ვინც უშუალოდ აიღებს ხელს დანაშაულის დამთავრებაზე და არა სხვა ამ დანაშაულში მონაწილე პირები, ვისაც ხელის აღება არ ჰქონდათ გადაწყვეტილი.[1150] ამ საკითხს გერმანიის სსკ-ის 28-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი არეგულირებს, სადაც მითითებულია განსაკუთრებული პერსონალური ნიშნების შერაცხვისა და, შესაბამისად, სასჯელის სიმძიმის განსაზღვრის შესახებ.

§2. ნებაყოფლობით ხელის აღების ირგვლივ აღმოცენებული შეხედულებები (თეორიები)

ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ დიდი ხანია მიმდინარეობს მწვავე დისკუსია. სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ ამ თემის ირგვლივ აღმოცენებული საკითხების უკეთ გასაგებად, როდესაც სემანტიკური, ისტორიული და სისტემური განმარტებების გამოყენება საკმარისი არ არის, მაშინ აუცილებელია ნებაყოფლობით ხელის აღების ***ratio-ს*** ახსნა, ანუ მის შესახებ არსობრივი მსჯელობა, სადაც ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია განმარტების გადამწყვეტი მეთოდია. ნებაყოფლობით ხელის აღების არსის განსაზღვრის დროს სისხლის სამართლის მეცნიერები ტრადიციულად **სამ შეხედულებაზე** ამახვილებენ ყურადღებას. ესენია: „ოქროს ხიდის“, იგივე „კრიმინალ-პოლიტიკური თეორია“, „შენყალების“, იგივე „წახალისების თეორია“ და „სასჯელის მიზნის თეორია“ სპეციალური და გენერალური პრევენციის გათვალისწინებით.[1151]

„კრიმინალ-პოლიტიკური“, იგივე **„ოქროს ხიდის“ თეორია** მომდინარეობს **ფოიერბახიდან.**[1152] მან განავითარა პოზიცია, რომლის მიხედვითაც, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის პრივილეგიის მინიჭების გარეშე, საფრთხე არ გაიელის. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფომ დამნაშავეს ხელის აღების შემთხვევაში სასჯელის გამოუყენებლობით გარკვეული სტიმული უნდა მისცეს, რათა მან შედეგი აიცილოს თავიდან. დამნაშავემ, ხელის აღების მოტივების მიუხედავად, „ოქროს ხიდის“ მეშვეობით უნდა შეძლოს უკან დაბრუნება.[1153] აქედან გამომდინარე, მეცნიერები თვლიან, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმის შემოტანა სისხლის სამართლის კოდექსში განპირობებულია კრიმინალ-პოლიტიკური მოსაზრებებით და, შესაბამისად, ამ ნორმის საფუძველზე დამნაშავის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, სავალდებულოა.[1154] მათ მიაჩნიათ, რომ კრიმინალურ-პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე აღმოცენებული კონცეფცია ყველაზე

1149 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1676.
1150 იხ. *Linke* (2010), გვ. 57.
1151 იხ. *Weinhold* (1990), გვ. 15-16.
1152 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 322.
1153 იხ. *Boβ* (2002), გვ. 16.
1154 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 45-46.

უფრო სრულყოფილად ხსნის ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელობას,[1155] განსხვავებით სხვა შეხედულებისაგან, რომლის თანახმად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სახელმწიფოს ართმევს დასჯის უფლებას.[1156]

„კრიმინალ-პოლიტიკური თეორიის" წინააღმდეგ მრავალი არგუმენტი გაჩნდა სისხლის სამართლის დოგმატიკაში და სასამართლო პრაქტიკაში. საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით, როდესაც დამნაშავეს აქვს ცოდნა სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დათმობის შესახებ, იქ უკვე საეჭვოა, რომ დამნაშავემ გადაწყვიტოს კანონიერად მოქმედება. ვინაიდან სასჯელის მუქარა აქ დანაშაულის უშუალო დაწყებისას უარყოფილია, ამიტომ ძნელია იმის პროგნოზირება, რომ დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების მხედველობაში მიღებით იხელმძღვანელებს სასჯელისაგან გათავისუფლების მომენტით. „კრიმინალურ-პოლიტიკური თეორიის" მიზანი მხოლოდ დანაშაულის თავიდან აცილებაა და იგი ნებაყოფლობით ხელის აღებაში ნებაყოფლობითობის აუცილებლობას ვერ ხსნის, ამიტომ ზოგიერთი ავტორი ფოიერბახის მოძღვრებას იურიდიულ შეცდომად მიიჩნევს.[1157]

გარდა ამისა, აღნიშნული თეორიის მოწინააღმდეგეები იმასაც ამტკიცებენ, რომ „კრიმინალ-პოლიტიკურმა თეორიამ" უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთება ვერ შეძლო.[1158]

„შეწყალების" იგივე **„წახალისების"** ანდა იგივე **„დამსახურების თეორიის"** მიხედვით, დამნაშვე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, უნდა ნახალისდეს, რადგან იგი დანაშაულზე ხელის აღებით კვლავ ექცევა კანონიერების ფარგლებში. აღნიშნული თეორია დაზარალებულის დაცვის ხაზს კი არ მიჰყვება, არამედ თავად დამნაშავის პიროვნება დგას შეფასების ცენტრში.[1159]

„შეწყალების თეორიას" შემდგომში საფუძველი გამოეცალა,[1160] რადგან მის მიხედვით, დამნაშავის წახალისება კრიმინალ-პოლიტიკური ლეგიტიმაციის გარეშე, სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველს საბოლოოდ ღიად ტოვებს.[1161] მაშასადამე, ეს პოზიცია მხოლოდ კანონს აღწერს და არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რატომ რჩება დაუსჯელი ნებაყოფლობით ხელის აღება.[1162]

აღნიშნული თეორია დღეისათვის გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღარ გამოიყენება, რადგან, იგი ეფუძნება მცდელობის წმინდა „სუბიექტურ თეორიას", რომელიც გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მცდელობის ცნებასთან არ მოდის თანხვედრაში.[1163]

1155 იხ.: *სულაქველიძე* (1992), გვ. 112; *გამყრელიძე* (1974), გვ. 154.
1156 იხ. *ნერეთელი* (1961), გვ. 221.
1157 იხ. *Boß* (2002), გვ. 16-18.
1158 იხ. *Linke* (2010), გვ. 50.
1159 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 342.
1160 იხ. *Weinhold* (1990), გვ. 16.
1161 იხ. *Jäger* (1996), გვ. 7.
1162 იხ. *Roxin*, AT II (2003), გვ. 485.
1163 იხ. *Linke* (2010), გვ. 51.

„სასჯელის მიზნის თეორიის"[1164] მიხედვით, ნებაყოფლობით ხელის აღება სასჯელის მიზანს უნდა ემთხვეოდეს. ეს თეორია გამოდის იქედან, რომ დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისას დამნაშავე ლეგალურ პოზიციაზე ბრუნდება და მისი დანაშაულებრივი ნება ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორც ეს დანაშაულის განხორციელებისას იქნებოდა. ამიტომ, დასჯადობა თავის მნიშვნელობას კარგავს როგორც დამნაშავის მხრიდან მომავალში დანაშაულის კვლავ ჩადენის თავიდან აცილების თვალსაზრისით (სპეციალური პრევენცია), ასევე სხვების დაშინებისა და დარღვეული მართლწესრიგის აღდგენის თვალსაზრისითაც (გენერალური პრევენცია). სისხლის სამართლის ლიტერატურაში „სასჯელის მიზნის თეორიას" მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა, რომლებიც სპეციალურ (მაგალითად, ვალტერი) და გენერალურ პრევენციას (როქსინი და ბოტკე) შორის ვარირებენ.[1165]

ამ უკანასკნელი პოზიციის მიმდევრები აყალიბებენ **„სასჯელის მიზნის მოდიფიცირებულ თეორიას"**, რომელსაც *თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში გადამწყვეტ მნიშვნელობას* ანიჭებენ. დასახელებული თეორია ამოდის იქედან, რომ გენერალური პრევენცია დასჯადობის აუცილებლობას ვერ ხედავს იმის გამო, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებით ქრება მცდელობისას ნარმოშობილი საფრთხე. ამასთან ერთად, ქარწყლდება შთაბეჭდილება, როგორც საზოგადოებაში წესრიგის დარღვევით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური განცდა, რომელიც შეიძლება არასაშიშ მცდელობასაც ახასიათებდეს. თუკი დამნაშავეს დამთავრებული მცდელობის სტადიაზე შედეგის აცილება არ გამოუვა, მაშინ გენერალური პრევენციიდან გამომდინარე, მისი დასჯა აუცილებელია. მაგალითად, დამნაშავე ნებაყოფლობით ვერ აიღებს ხელს ყაჩაღობაზე, როდესაც იგი დაზარალებულის მიერ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მიყენებული დარტყმის შედეგად უგუნო მდგომარეობაში აღმოჩნდება. მხოლოდ კეთილი ნება არ არის საკმარისი სასჯელის გამოუყენებლობისათვის. ამიტომ დასჯადობის აუცილებლობა, შესაძლებელია მხოლოდ გენერალური პრევენციის საფუძველზე აღმოცენდეს და, პირიქით, შესაძლებელია, დამნაშავე მისმა უშედეგო ცდამ დაუსჯელობამდე მიიყვანოს, მაგრამ ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშაული დამნაშავის მონაწილეობის გარეშე არ მთავრდება.[1166] ნებაყოფლობით ხელის აღების დროს სპეციალური პრევენციის გამოყენების აუცილებლობა აღარ არსებობს იმიტომ, რომ დამნაშავის დანაშაულებრივი ნება მკვეთრად ძლიერი აღარ არის და, შესაბამისად, მისი დასჯადობაც გაუმართლებელი იქნება. წარმოდგენილი თეორიების საბოლოო შეფასებისას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისინი ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან, არამედ ის ფენომენი, რასაც ნებაყოფლობით ხელის აღება ჰქვია, უბრალოდ სხვადასხვა მხრიდან არის გაშუქებული.[1167]

დასახელებული სამი პოზიციის გარდა, არსებობს სხვა შეხედულებები, მაგალითად, „სამართლის თეორიის", „ერთიანობის თეორიის", „ჰერცბერგის

1164 შეად. *Herzbeg*, NStZ (1990), გვ. 172-173.

1165 იხ. *Boß* (2002), გვ. 24-25.

1166 იხ.: *Roxin*, AT II (2003), გვ. 479; *Roxin*, NStZ (2009), გვ. 319.

1167 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 342.

ბრალეულობის თეორიის" და „დაზარალებულის დაცვის თეორიის" სახით, თუმცა მათ სისხლის სამართალში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო **„სამართლის თეორიები"**, რომლებიც ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს განსხვავებულად ასაბუთებენ. ისინი გამოდიან იქედან, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება ობიექტურად გამოხატულ კანონსანინააღმდეგო საქმიანობასა და დანაშაულის დამთავრებაზე მიმართულ ბოროტ ნებას ანულირებას უკეთებს. თუმცა ეს მაშინ ხდება, როდესაც მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც ერთი მთლიანი ქმედება, ისე იქნება აღქმული. ამ თეორიებიდან ისეთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღებისას მართლსანინააღმდეგო ძირითადი ქმედების არარსებობის გამო, წამქეზებელი და დამხმარე არ უნდა დაისაჯონ. სწორედ ასეთი შედეგი გახდა „სამართლის თეორიების" დაკნინების მიზეზი. დღეისათვის „სამართლის თეორიები" მოძველებულ ხასიათს ატარებს.[1168] ამ თეორიებს სისხლის სამართლის ლიტერატურაში „ანულაციის თეორიის" სახელითაც მოიხსენიებენ.[1169]

მაშასადამე, „სამართლის თეორიების" კრიტიკისას უთითებენ, რომ დანაშაულზე ხელის აღების დროს მცდელობის ანულირება კი არ ხდება, არამედ მცდელობის მეშვეობით შექმნილი საფრთხის თავიდან აცილებას აქვს ადგილი.[1170]

მიუხედავად წინააღმდეგობისა, „სამართლის თეორიები" გვიანდელ სისხლის სამართლის ლიტერატურაში კვლავ გამოჩნდა, სადაც ნებაყოფლობით ხელის აღება გაგებულია, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნეგატიური ნიშანი.[1171]

„ერთიანობის თეორია" მიისწრაფვოდა დანაშაულის მცდელობისა და ნებაყოფლობით ხელის აღების ერთგვაროვანი შეფასებისაკენ. მის მიხედვით, მცდელობის სრულყოფილი შეფასებისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც ***„actus contrarius"*** (ურთიერთსანინააღმდეგო მიზნის შემცველი აქტები), ისე რომ მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება ნორმატიულად ერთგვაროვნად იყოს წარმოდგენილი. ამ თეორიის უპირატესობა, „სამართლის თეორიებთან" შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ აქ, პრობლემის გადაჭრა დანაშაულის დასჯადობის გათვალისწინებით ხდება, ანუ ქმედება ფასდება, როგორც ყველასათვის ერთი ღირებულების მატარებელი. თუმცა ამ თეორიასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, იგი ნებაყოფლობით ხელის აღებას მხოლოდ დასჯადობის წესებზე დაყრდნობით წარმოადგენს და სასჯელისაგან გათავისუფლებას არანაირ ახსნას არ აძლევს.[1172]

1168 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1660.
1169 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 107.
1170 იხ. *Jäger* (1996), გვ. 63.
1171 იხ. *Hippel* (1966), გვ. 66.
1172 იხ. *Jäger* (1996), გვ. 4-5.

§3. ნებაყოფლობით ხელის აღების წინაპირობები

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი არეგულირებს დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე **ნებაყოფლობით** და **საბოლოოდ** აიღო ხელი.

რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართალს, აქ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის 24-ე პარაგრაფში. დასახელებული ნორმის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც ნებაყოფლობით უარს იტყვის დანაშაულის შემდგომ განხორციელებაზე, ან ხელს შეუშლის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. დამნაშავე არ დაისჯება ასევე მაშინ, როდესაც დანაშაული დამნაშავის მონანილეობის გარეშე არ დამთავრდება, მაგრამ ამისათვის მას ნებაყოფლობით და სერიოზულად უნდა უნდოდეს დანაშაულის დამთავრების თავიდან აცილება (სსკ-ის 24-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი). ასევე, დაუსჯელნი რჩებიან თანამონანილენი მაშინაც, როდესაც ისინი ნებაყოფლობით თავიდან აიცილებენ დანაშაულის დამთავრებას, თუმცა დაუსჯელობისათვის საკმარისია დამნაშავის ნებაყოფლობითი და სერიოზული ცდა, რათა დანაშაულის დამთავრება აცილებული იქნეს თავიდან, როდესაც დანაშაული დამნაშავის მონანილეობის გარეშე არ დასრულდება ანდა მისი ქმედებისაგან დამოუკიდებლად განხორციელდება (სსკ-ის 24-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი). მაშასადამე, გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი არეგულირებს ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს, ხოლო მე-2 ნანილი ეხება ნებაყოფლობით ხელის აღების პრობლემას თანამონაწილეობის დროს. გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფში ახალი ენობრივი ფორმების გამოყენების მიუხედავად, მისი 1-ლი ნაწილი შინაარსობრივად შესაბამისობაში მოდის გერმანიის ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე პარაგრაფთან, რომელიც ასევე, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს ეხებოდა.[1173]

ასევე, აღსანიშნავია, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადება შეეხება დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს განსხვავებული მოთხოვნებით. ეს განსხვავებები გამომდინარეობს იმ დიფერენციაციიდან, რომელიც გამოხატულია შემდეგ ტერმინებში „ქმედებაზე უარის თქმა" და „დანაშაულის დამთავრებისათვის ხელის შეშლა". „ქმედებაზე უარის თქმა" შესაძლებელია იქ, სადაც შედეგის გამოსანვევად ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული (დაუმთავრებელი მცდელობა). მაშინ, როდესაც ყველაფერია გაკეთებული შედეგის გამოსანვევად და მხოლოდ შედეგი არ დგება (დამთავრებული მცდელობა).[1174]

ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმების გამოყენება და პირის გათავი-

1173 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 434.
1174 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 436.

სუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის წაყენებული ნინაპირობები:

ა) დანაშაულზე ხელის აღება აუცილებლად დამნაშავის ნებით უნდა ხორციელდებოდეს, ე. ი. **ნებაყოფლობითი** უნდა იყოს;

ბ) დანაშაულზე ხელის აღება **საბოლოო** ხასიათს უნდა ატარებდეს;

გ) დანაშაული **ბოლომდე არ უნდა** იყოს მიყვანილი, ე. ი. შედეგი არ უნდა განხორციელდეს ან საფრთხემ არ უნდა მიიღოს დასრულებული სახე;

დ) დანაშაულზე ხელის აღება **ობიექტურად** უნდა არსებობდეს და ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის დამნაშავის წარმოდგენაში მისი არსებობა.

დასახელებული **ოთხი ძირითადი პირობა** განსაზღვრავს დანაშაულზე ხელის აღების საკითხს, რაც იმას გულისხმობს, რომ სუბიექტი არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ოთხივე პირობა კუმულაციურად არ იქნება სახეზე.

ზოგიერთი გერმანელი ავტორი ნებაყოფლობით ხელის აღების ისეთ ნინაპირობაზეც მიუთითებს, როგორიც არის, მაგალითად, ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუცილებელი ქცევა, რომელიც გამოიხატება ხელის ამღების ენერგიულ, სხეულებრივ მოძრაობაში, ამიტომ მათი თქმით, უბრალო შინაგანი ფსიქიკური დამოკიდებულება საკმარისი არ არის ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის. რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს უმოქმედობას, როგორც ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის აუცილებელ ქცევას, რასაც ძირითადად ადგილი აქვს დაუმთავრებელი მცდელობის დროს.[1175]

3. 1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური დახასიათება

3. 1. 1. ნებაყოფლობითობა, როგორც დანაშაულზე ხელის აღების სუბიექტური პირობა

3. 1. 1. 1. დოგმატიკა

ნებაყოფლობით ხელის აღების საკანონმდებლო ცნებიდან ძალზე კარგად ჩანს ის ერთადერთი სუბიექტური მოთხოვნა, რომელიც დანაშაულზე ხელის ამღებს ნაეყენება. საქმე ეხება *„ნებაყოფლობითობას“*, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს. ამ ნიშანზე მსჯელობის დროს სასამართლო პრაქტიკასა და სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ **ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ** შეფასებებს,[1176] რომელზე მსჯელობის დროსაც მეცნიერთა ნაწილი ფსიქოლოგიურ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი კი თვლის, რომ ნორმატიული შეფასება ყოვლისმომცველი საშუალებაა. დღეისათვის ერთიანი პოზიცია ამ საკითხზე არ არსებობს, განსაკუთრებით კი ეს

1175 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 634.

1176 იხ. *Boß* (2002), გვ. 164.

გერმანულ დოგმატიკაში შეიმჩნევა.

ფსიქოლოგიური შეფასების თანახმად, დანაშაულზე ხელის აღებას ნებაყოფლობითი ხასიათი გააჩნია მაშინ, როდესაც დამნაშავეს შინაგანად აღარ სურს დანაშაულის ჩადენა. მაშასადამე, დამნაშავე მოქმედებს ფსიქოლოგიური იძულების გარეშე. პირიქით, ნებაყოფლობითობას არა აქვს ადგილი მაშინ, როდესაც რაღაც გარემოებები დამნაშავეზე იმდენად ძლიერ სულიერ გავლენას ახდენს, რომ მას ისღა დარჩენია, შეწყვიტოს დანაშაულებრივი საქმიანობა. რაც შეეხება ***ნორმატიულ შეფასებას***, იგი ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივებს არა მარტო ფსიქიკაზე, არამედ ასევე შეფასებაზე დაყრდნობით განიხილავს.[1177] აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორის აზრით, ნორმატიული გაგება დანაშაულზე ხელის აღების ძირითად არსს უფრო კარგად ხსნის.[1178]

„ნებაყოფლობითობის" ცნების **ფსიქოლოგიური** ახსნა **ფრანკს** ეკუთვნის. ფრანკის მიხედვით, დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც იგი ეყრდნობა ავტონომიურ მოტივებს. მაშასადამე, როდესაც დამნაშავე ამბობს: „მე არ მსურს ამის მიღწევა, მაშინ როდესაც მე ეს შემიძლია". ყველა სხვა შემთხვევაში, აღნიშნავს ფრანკი, დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს არ ატარებს, ე. ი. როდესაც დამნაშავე ამბობს: „მე არ შემიძლია მიზნის მიღწევა, მაშინ როდესაც მე მსურს იგი". აღსანიშნავია, რომ „ნებაყოფლობითობის" ასეთი გაგება სისხლის სამართლის ლიტერატურაში უარყოფილია, რადგან ფრანკის ფორმულის მეორე ნაწილიდან უფრო მიზანს აცდენილი მცდელობა გამომდინარეობს, სადაც გამორიცხულია როგორც ნებაყოფლობით, ასევე იძულებით (არანებაყოფლობით) ხელის აღება.[1179]

დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც იგი დამნაშავეში **ავტონომიური მოტივების** საფუძველზე აღმოცენდება. მაშასადამე, როდესაც დამნაშავე მხოლოდ შინაგანი მსჯელობის საფუძველზე გადაწყვეტს დანაშაულზე ხელის აღებას. დანაშაულზე ხელის აღება არ ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს მაშინ, როდესაც დამნაშავის გადაწყვეტილებას **ჰეტერონომიული მოტივები** განსაზღვრავს, მაგრამ ამ ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ „ნებაყოფლობითობისა" და „არანებაყოფლობითობის" ცნებები კანონში გაუთვალისწინებელი „ავტონომიური" და „ჰეტერონომიული" ცნებებით არ შეიცვლება. ზოგიერთი მეცნიერი ნებაყოფლობითობის სფეროს გასამიჯნად გადამწყვეტ მომენტად დამნაშავის **დანაშაულებრივ ინტერესს** მიიჩნევს. მათ მიაჩნიათ, რომ „ნებაყოფლობითობა" სახეზეა მაშინ, როდესაც უკან დამხევს კონკრეტული ქმედება და ასევე შედეგი კვლავ აინტერესებს, თუმცა იგი თავისი ინტერესებისაგან დისტანცირდება. პირიქით, „არანებაყოფლობითობას" მაშინ აქვს ადგილი, როდესაც უკან დამხევისათვის ქმედება ან თავად მოსალოდნელი შედეგი, როგორც ასეთი, უინტერესო ხდება. ამ შეხედულების წინააღმდეგ მიუთითებენ იმას, რომ დანაშაულის დამთავრება უკან დამხევისათვის ყოველთვის შედარებით უმნიშვნელო

1177 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 591.

1178 იხ. *Jäger* (1996), გვ. 11.

1179 იხ. *Jäger* (1996), გვ. 21.

ხასიათს ატარებს.[1180]

„ნებაყოფლობითობის" ცნების **ნორმატივისტულ** ახსნას **როქსინი** ცდილობს. დანაშაულზე ხელის აღებას ნებაყოფლობითი ხასიათი უნდა ჰქონდეს მაშინ, როდესაც დამნაშავეს, მაგალითად, ქურდობის დროს კონკრეტული მიზეზის გარეშე, მოულოდნელად ძლიერი შიში შეიპყრობს და გაიქცევა. როქსინის შეხედულება უშუალო კავშირშია **„სასჯელის მიზნის თეორიასთან"**, სადაც იგი საკითხს შემდეგნაირად ნამონევს. კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არის ლეგალურობაში დაბრუნების სურვილის გამოხატულება. როქსინი მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მაშინ არ არის ნებაყოფლობითი ხასიათის, როდესაც დამნაშავის მხრიდან შემდგომი მოქმედება უაზრობა იქნება. ამიტომ „ნებაყოფლობითობის" განსაზღვრისათვის გადამწყვეტია არა თავისუფლების ან იძულების კრიტერიუმები, არამედ ის, თუ რამდენად იმსახურებს დამნაშავის ნება დასჯადობას. ეს კი საბოლოოდ ნორმატიულ კრიტერიუმამდე დადის.[1181]

მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ნორმატიული შეფასება დანაშაულზე ხელის აღების დროს ნებაყოფლობითობის მნიშვნელობას **საკმაოდ ავიწროვებს**, რადგან ნორმატიული შეფასების თანახმად, დამნაშავის ქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი, როდესაც დამნაშავე ზნეობრივად გამოსწორების გზას დაადგება. მაშასადამე, აღნიშნული მიდგომა მხოლოდ კეთილშობილურ მოტივებს ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამიტომ მხოლოდ ფსიქოლოგიური, ან მხოლოდ ნორმატიული მიდგომა საკმარისი არ არის იმისათვის, რათა ზუსტად განისაზღვროს ნებაყოფლობით ხელის აღების არსი. წმინდა ფსიქოლოგიური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა წარმოადგენს **ფსიქოლოგიზმს** სისხლის სამართალში, რამაც სისხლის სამართალი შეიძლება გაუმართლებელ შედეგებამდე მიიყვანოს,[1182] ხოლო ნორმატიული მიდგომით ნებაყოფლობითობის დასაბუთება ზნეობრივი მოტივებით სისხლის სამართალში წარმოადგენს **ეთიციზმს**, რაც ასევე დაუშვებელია.[1183]

მართალია, დანაშაულზე ხელის აღების საკითხის გადაწყვეტისათვის სისხლის სამართლის ლიტერატურაში ყურადღება ექცევა **მოტივსა** და **მიზანს**, რომლის საფუძველზე დამნაშავე უარს აცხადებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, მაგალითად, სიბრალული, კანონის ან ღვთის შიში და სხვა,[1184] მაგრამ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, დამნაშავე ხელის აღების დროს **კეთილშობილური** მოტივებით (ზნეობრივად და ეთიკურად მაღალი მოტივებით) ხელმძღვანელობს თუ არა. მთავარია, რომ დამნაშავე დანაშაულზე ხელის აღების დროს მოქმედებდეს ნებაყოფლობით, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს თავისუფალი არჩევანის პირობებში შეუძლია ბოლომდე

1180 იხ. *Jäger* (1996), გვ. 22.
1181 იხ. *Jäger* (1996), გვ. 23-24.
1182 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 89-90.
1183 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 94.
1184 იხ.: *BGHSt* 35 (1988), გვ. 186; *დვალიძე*, „ალმანახი" №19 (2004), გვ. 21.

განახორციელოს დანაშაული, ან ხელი აიღოს მასზე.[1185] მაგალითად, ა. დაზარალებულისაგან გარკვეული თანხის მიღების სანაცვლოდ, ნებაყოფლობით უარს ამბობს მის გაუპატიურებაზე. მოცემულ მაგალითში დამნაშავეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში არაფერი არ უშლის ხელს და მისი გადაწყვეტილება ნებაყოფლობით და საბოლოო ხასიათს ატარებს.[1186]

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, **მოტივმა** შეიძლება სუბიექტის საშიშროების არსებობა-არარსებობაზე იქონიოს გავლენა. მაგალითად, თუ დამნაშავე დანაშაულზე ხელს აიღებს ღვთის შიშით, იგი მომავალში საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებას აღარ წარმოადგენს, მაგრამ, თუ ამ უკანასკნელმა დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარი თქვა სასჯელის მუქარის შიშით, მაშინ იგი საზოგადოებისათვის კვლავ რჩება საშიშ პიროვნებად.[1187] მართალია, ასეთი შეფასება იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ იგი არ წარმოადგენს მატერიალური სისხლის სამართლის თემას. იგი უფრო კრიმინოლოგიისა და სოციოლოგიის პრობლემაა.

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განპირობებულია დამნაშავის ფსიქიკაზე დამოუკიდებელი გარეშე ძალების ზეგავლენით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას არ ექნება ადგილი.[1188] ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს ხელი ეშლება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში. მაგალითად, დამნაშავე, რომელიც ჩასაფრებული ელოდება მსხვერპლის გამოჩენას, დაინახავს მსხვერპლს თანმხლებ პირებთან ერთად, შეეშინდება და უარს განაცხადებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ან კიდევ, დამნაშავეს სხვა პირი აიძულებს ხელი აიღოს დანაშაულზე. ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია დანაშაულზე ხელის აღების საკითხის გადაწყვეტის დროს ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ***კონკრეტული*** და ***აბსტრაქტული შიში***. თუ დამნაშავე დანაშაულის განხორციელებაზე უარს ამბობს იმის გამო, რომ ეშინია მომავალში მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამჟღავნების და მოსალოდნელი სასჯელის, მაშინ ადგილი აქვს ე. წ. აბსტრაქტულ შიშს, რომელიც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას აფუძნებს, მაგრამ თუ დამნაშავეს კონკრეტული შიში აღეძრა იმის გამო, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში მესამე პირები გამოჩნდნენ, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ და ამის გამო, დამნაშავემ შეწყვიტა დანაშაულის განხორციელება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას არ ექნება ადგილი და დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობის ან მომზადებისათვის.[1189]

არის ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე დანაშაულზე ხელს იღებს დაზარალებულის ან მესამე პირის მხრიდან გარკვეული ***დაპირების*** სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევაში, დამნაშავე თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. ამის საილუსტრაციოდ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოყვანილია ასეთი

1185 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 222.
1186 იხ. *დვალიძე* ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 272.
1187 იხ. *დვალიძე*, „ალმანახი" №19 (2004), გვ. 20-21.
1188 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 223.
1189 იხ.: *წერეთელი* (1961), გვ. 229; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 98.

მაგალითი, ა. შეეცადა ბ. გაუპატიურებას. ამ მიზნით იგი თავს დაესხა ბ.-ს და ძალადობის მუქარით მოსთხოვა დანებება. ბ.-მ უთხრა ა.-ს, რომ ორსულად იყო და სთხოვა სქესობრივი კავშირი არ დაემყარებინა მასთან, ამის სანაცვლოდ ბ. გარკვეული თანხა შესთავაზა ა.-ს. ამ უკანასკნელმა გამოართვა თანხა ბ.-ს და იქაურობას გაშორდა. ასევე, ა. შეეცადა ბ.-ს გაუპატიურებას. ბ.-მ უთხრა ა.-ს, რომ დღეს მისთვის თავი დაენებებინა და მეორე დღეს იგი თანახმა იყო მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე. ა. დათანხმდა ბ.-ს შემოთავაზებას. მეორე დღეს, როდესაც ა. ბ.-ს ბინაში მივიდა, პოლიციამ დააკავა იგი.[1190]

დასახელებულ მაგალითებში დამნაშავის ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ფასდება იმის გამო, რომ მოცემულ მომენტში დაზარალებულის დაპირებამ დამნაშავეს გადააფიქრებინა დაზარალებულთან ძალადობით სქესობრივი კავშირის დამყარება. ა. ნებაყოფლობით მოქმედებდა, რაც იმას გულისხმობს, რომ მას პირველ შემთხვევაში აღარ სურდა დანაშაულის ჩადენა, ხოლო მეორე მაგალითში მიზნის ძალადობრივი გზით მიღწევა. ობიექტურად ა. არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდა. მას შეეძლო უარი ეთქვა დაზარალებულის დაპირებაზე და დანაშაული ბოლომდე განეხორციელებინა, ამაში მას არავინ ხელს არ უშლიდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამნაშავის ქმედებამ დაკარგა კრიმინალური ხასიათი, რის გამოც, მისი დასჯა, სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემდეგი პირობაა **საბოლოობა,** ე. ი. როდესაც დამნაშავე დროებით არ გადაიფიქრებს დანაშაულის განხორციელებას, არამედ საერთოდ უარს განაცხადებს მის ჩადენაზე. მაგალითად, ა.-მ შეწყვიტა ქურდობა, მაგრამ უნდოდა მეორე დღეს გაეგრძელებინა დანაშაულის ჩადენა. ასეთი ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად არ განიხილება,[1191] მაგრამ, თუ ა. ქურდობის ჩადენა მომდევნო ათი წლის შემდეგ გადადო, მაშინ შესაძლებელია, პირი გათავისუფლდეს სისხლის. სამართლის პასუხისმგებლობისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს საგამონაკლისო წესი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ყველა სახის დანაშაულთან დაკავშირებით, არამედ ამის დისკრეციული უფლება სასამართლოს გააჩნია. საკითხის ასეთი შეფასება გამომდინარეობს „სასჯელის მიზნის თეორიიდან", რომელიც გულისხმობს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში პიროვნების მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენება, სასჯელის ეფექტიანობის თვალსაზრისით, უშედეგო და გაუმართლებელი იქნება.

მაშასადამე, კონცეფციას, რომელიც, ზემოთ დასახელებული შემთხვევის გათვალისწინებით, ცდილობს ნიშნის „საბოლოობა" განვრცობითი განმარტების საფუძველზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაასაბუთოს, შესაძლებელია, ***„სასჯელის არაეფექტური ზემოქმედების თეორია"*** ეწოდოს.

2. *1. 1. 2. სასამართლო პრაქტიკა*

სასამართლო გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე გვერდს ვერ უვლის **ფსიქოლოგიზმს**. ამის დასადასტურებლად შეიძლება პრაქტიკიდან

1190 იხ. *ტურავა* (2013), ტესტი: 185, 187, გვ. 477-478.
1191 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 224.

ასეთი მაგალითის მოტანა, ა. ტყეში გაუპატიურების მიზნით ბ. ნააქცია მიწაზე. ვინაიდან დაზარალებული ძირს ინვა, წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია იმ იმედით, რომ ამ ხერხით დროს გაიყვანდა და ამასობაში, შესაძლებელია, ვინმეც დახმარებოდა. დაზარალებულმა თავდამსხმელს სთხოვა, რომ მის წინააღმდეგ ძალა არ გამოეყენებინა და დალოდებოდა იმ მომენტს, როდესაც მას სქესობრივი კავშირის დამყარების სურვილი გაუჩნდებოდა. ა. დათანხმდა დაზარალებულის შემოთავაზებას. ბ.-მ უეცრად ორი ფეხით მოსიარულე დაინახა და საშველად მოუხმო მათ, რაზედაც ა. შეეშინდა და გაიქცა.

გერმანიის მიწის სასამართლომ ა.-ს ქმედება გაუპატიურების მცდელობად შეაფასა, რადგან მან მხედველობაში მიიღო ა.-ს ქმედების არანებაყოფლობითი ხასიათი. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ კი მიწის სასამართლოს შეხედულება მკაცრი ფსიქოლოგიური შეფასების საფუძველზე უარყო და ა. ქმედების ნებაყოფლობითი ხასიათი დაასაბუთა. მისი თქმით, გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ ა. ჯერ კიდევ თავისი გადაწყვეტილების ბატონი იყო და მისი გეგმის განხორციელებას იგი ჯერ კიდევ შესაძლებლად თელიდა. მაშასადამე, მას ჰქონდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, შეეწყვიტა ან გაეგრძელებინა ქმედება.

გერმანიის მიწის სასამართლომ ასევე გაუპატიურების მცდელობად შეაფასა ა. ქმედება მაშინაც, როდესაც ა.-მ დაზარალებულის სიტყვების შემდეგ - რადგან ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, მაშინ მე დავწვები შენთან, თუმცა ამას ჩემი სიამოვნებისათვის არ გავაკეთებ - გაკვირვებულმა მცდელობის სტადიაზე შეწყვიტა მოქმედება. მიუხედავად ამისა, გერმანიის მიწის სასამართლომ დამნაშავის გაკვირვება იძულებითი მიზეზით ახსნა და ამით ა. ქმედების არანებაყოფლობითობით ხასიათს გაუსვა ხაზი.[1192]

გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ მკვლელობის დელიქტების შეფასების დროსაც აშკარად იკვეთება ფსიქოლოგიზმი. მაგალითად, ა. გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა თავისი სამი წლის გოგონა, რადგან მას ძალიან ეშინოდა ბავშვის შენახვის. ამ მიზნით მან სამჯერ მიარტყმევინა ბავშვს თავი კედელზე, მაგრამ ამის შედეგად, ბავშვი არ მომკვდარა. ამასობაში, ეზოში ა.-ს მეუღლე მანქანით შემოვიდა. მას თან ახლდა ე. და ვ. აღელვებული ა. ეზოში გავიდა და მეუღლეს დაუწყო ცემა. ცოტა ხნის შემდეგ, ა. დამშვიდდა, სახლში დაბრუნდა და ბავშვი მეზობელთან მიიყვანა.

ა.-ს განზრახვა, რომელიც მიმართული იყო თავისი შვილის მკვლელობისაკენ, შეწყდა მაშინათვე, როგორც კი იგი დამშვიდდა. მიუხედავად ამისა, გერმანიის მიწის სასამართლომ ა.-ს ქმედება შეაფასა, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, თუმცა შემდგომ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა და ა. გაათავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.[1193]

შედარებით განსხვავებული შეფასება გააკეთა გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ და არ გაათავისუფლა ბრალდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ა., რომელ-

1192 იხ. *Jäger* (1996), გვ. 12.
1193 იხ. *Jäger* (1996), გვ. 16.

მაც მოკვლის განზრახვით თავის ცოლს დანა დაარტყა მუცელში, ბავშვებმა შემოუსწრეს. აღელვებულმა ა. ბავშვების თანდასწრებით დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ვეღარ შეძლო და შეშინებული ბავშვები, რომლებიც ამ ფაქტის დანახვაზე ატირდნენ, გარეთ გაყარა. ბავშვების ტირილზე ა. ძმა შევიდა ოთახში, რის შემდეგაც ა.-მ დანა გადააგდო.

დასახელებული მაგალითიდან ირკვევა, რომ ა. გარკვეულმა გარემოებებმა ხელი შეუშალა შედეგის ბოლომდე მიყვანაში, ამიტომ გერმანიის როგორც მიწის, ასევე ფედერალურმა სასამართლოებმა ამ შემთხვევაში უარყვეს ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი. სასამართლოს ასეთმა გადაწყვეტილებებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ფსიქოლოგიური შეფასების სუსტი მხარეები.[1194]

სისხლის სამართლის მეცნიერებაში დიდ ინტერეს იწვევს ერთ-ერთი ისეთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. საქმე იმაშია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ ნებაყოფლობით ხელის აღებად მიიჩნია პირის ქმედება და არ გაიზიარა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლის თანახმად, ა.-ს და ბ. დაეკისრათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუპატიურების მცდელობისათვის (სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლებით). საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ა. გადაწყვიტა ბ.-სთან ერთად დ.-ს გაუპატიურება. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იარაღის მუქარით მათ დ. წაიყვანეს ტყეში, სადაც არავინ არ იმყოფებოდა, წააქციეს მიწაზე და დაუწყეს შარვლის გახდა. დ.-მ წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეებს, ატეხა ყვირილი. ა.-მ და ბ.-მ დანაშაული ბოლომდე აღარ მიიყვანეს, მიატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ.

არგუმენტი, რომლის საფუძველზე ა. და ბ.-ს გაუპატიურების მცდელობისათვის დაეკისრათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასამართლოს აზრით ემყარებოდა ობიექტურად ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოიხატა დაზარალებულის ყვირილში და მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევაში, რაც დანაშაულის შეწყვეტის მიზეზი გახდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი გამორიცხა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ კი, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიუთითა იმაზე, რომ დ. მხრიდან განეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ობიექტურ ხელისშემშლელ გარემოებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ. სწორედ ამიტომ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. და ბ. ქმედებებში ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობით ხელის აღებას გაუპატიურების დამთავრებული მცდელობის სტადიაზე. მაშასადამე, უზენაესი სასამართლო დამნაშავეთა ქმედებებში ფსიქოლოგიური შეფასების საფუძველზე ახდენს ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთებას.[1195]

1194 იხ. *Jäger* (1996), გვ. 17-18.

1195 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.03.2009. წლის განჩინება: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/3-marti2009.pdf

3. 1. 2. განზრახვა, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური ელემენტი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაში „მიზანს", თავდაპირველად, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ 1982 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მის მიერ გამოტანილ განაჩენში მიზანი (Absicht), როგორც ხელის აღების სუბიექტური ელემენტი, მიუთითა. ამის შემდგომ, იგი გერმანიის სისხლი სამართლის ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებში გამოიხატა, კერძოდ, „abzielen" და „beabsichtigen" და ა. შ.[1196]

აღსანიშნავია ის, რომ „ნებაყოფლობითობა" პრინციპულად ითვალისწინებს ხელის აღების გამიზვნას (Absicht).[1197] თუმცა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღებას ასევე, გამიზვნის გარეშეც ჰქონდეს ადგილი. ამ აზრის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი: ა., რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ცოლის მოკვლა, სანამლავი შეურია საჭმელში. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ა. სამზარეულოში დაბრუნდა, ნახა, რომ საჭმელი მისი ცოლის გარდა, მის შვილსაც ეჭამა. შეშფოთებულმა ა.-მ მაშინვე სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რათა მისი შვილი გადაერჩინა. ამასთან, მისთვის ნათელი იყო, რომ ექიმი მის ცოლსაც გადაარჩენდა, მაგრამ იგი ბავშვის სიკვდილს სხვანაირად ვერ აიცილებდა თავიდან. ა.-ს ქმედება, რომელიც მისი ცოლის გადარჩენისაკენ იყო მიმართული, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. ამრიგად, როდესაც ისეთ შემთხვევებს აქვს ადგილი, რომლებშიც დამნაშავე დანაშაულზე ხელის აღების დროს ნებაყოფლობით და ამავე დროს, პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, შესაძლებელია, გამიზვნა (Absicht), როგორც ასეთი, არ წარმოადგენდეს „ნებაყოფლობითობის" აუცილებელ პირობას.[1198]

ამასთან, სისხლის სამართლის ლიტერატურაში დაისვა საკითხი შემდეგნაირად: შესაძლებელია თუ არა, რომ დანაშაულზე ხელის აღებად ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც დამნაშავე დაზარალებულის გადარჩენას შესაძლებლად თვლის (და არა გარდაუვლად), ე. ი. როდესაც დამნაშავე მოქმედებს **ევენტუალური განზრახვით**. მაშასადამე, იგი დაზარალებულის გადარჩენაში დარწმუნებული არ არის.[1199]

ევენტუალური განზრახვით დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი გერმანული სისხლის სამართლის პრაქტიკაში შემდეგნაირად წყდება: მაგალითად, ა. თავის ცოლს ქ.-ს ერთხელ დაარტყა დანა მუცელში. იგი საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი ცოლის მიმართ. მიუხედავად ამისა, მან შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება და ოთახიდან გავიდა. გერმანიის მიწის სასამართლომ ამ შემთხვევაში უარყო ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი, რადგან, მისი აზრით, **არაპირდაპირი** განზრახვით განხორციელებული მკვლელობის მცდელობა, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად დამთავრებული იყო.

1196 იხ. *Boß* (2002), გვ. 170. ასევე სქოლიო ამავე გვერდზე.
1197 იხ. *Boß* (2002), გვ. 171.
1198 იხ. *Weinhold* (1990), გვ. 149-152.
1199 იხ. *Weinhold* (1990), გვ. 158-159.

ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალური სასამართლო ფიქრობს, რომ ასეთი შეფასება დავას არ გამოიწვევდა მაშინ, თუკი დადგინდებოდა, რომ ბრალდებული მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, ანუ თუ მას ცოლის მოკვლა პირდაპირ არ ჰქონდა განზრახული. მაგრამ, რადგან არსებულ სიტუაციაში პირდაპირი განზრახვაც არ იყო გამორიცხული, ამიტომ ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი და მიუთითა იმაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა სახეზეა და ამიტომ ***in dubio pro reo***-პრინციპით განზრახვის ყველაზე მძიმე ფორმაზე უნდა გაკეთებულიყო აქცენტი. ამ მაგალითის მსგავსია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე, დაზარალებულთან ჩხუბის შემდეგ, მიუახლოვდა მას და არაპირდაპირი განზრახვით მუცელში დანა დაარტყა. დამნაშავის მიზანი იყო დაზარალებულისათვის „ჭკუა ესწავლებინა". მას დაზარალებულის მოკვლის სურვილი არ ჰქონია, თუმცა მისი სიკვდილის დადგომას, შესაძლებლად მიიჩნევდა. ამის შემდეგ, დამნაშავე წავიდა იქვე ახლოს მცხოვრებ ნაცნობთან და სთხოვა მას პოლიციის და სასწრაფო დახმარების გამოძახება. დაზარალებული ოპერაციის შედეგად გადარჩა. პირველმა ინსტანციამ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება, ხოლო ფედერალურმა სასამართლომ განაჩენი გააუქმა და დანაშაულებრივი მიზნის გათვალისწინებით, ორი შესაძლებლობა გამოკვეთა: პირველი, დამნაშავეს სურდა მსხვერპლისათვის „ჭკუა ესწავლებინა" და დანის პირველი დარტყმის შემდეგ, ჩათვალა, რომ მიზანს მიაღწია, და, მეორე, დამნაშავეს სურდა დაზარალებული დანის მრავლობითი დარტყმით მოეკლა, მაგრამ პირველი დარტყმის შემდეგ, დამნაშავემ შედეგის გამოწვევა შესაძლებლად მიიჩნია.[1200] ფედერალური სასამართლო „ჭკუის სწავლების" პირველ ვარიანტს მიიჩნევს სწორად და მიუთითებს იმაზე, რომ „ჭკუის სწავლების" დროს დამნაშავეს დაზარალებულის მოკვლა არ სურდა, თუმცა ქმედების განხორციელების დროს დამნაშავეს შედეგის გამოწვევა ასევე შესაძლებლად მიაჩნდა, მაშასადამე, შედეგის მიმართ იგი მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. ამიტომ, დამნაშავის ქმედებაში აშკარად იკვეთება მცდელობის ნიშნები, მაგრამ მას იმაზე მეტი არ გაუკეთებია, ვიდრე ეს დაზარალებულისათვის ტკივილის მიყენების მიზანს ემსახურება, ამიტომ ფედერალურ სასამართლოს მიაჩნია, დამნაშავის ქმედება ასეთ შემთხვევაში დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს.[1201]

გერმანიის ფედერალური სასამართლოს სისხლის სამართლის მე-5 სენატმა უარყო ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი ა. საქმეზე. კაზუსის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ლ. გამოეკიდა ბრალდებულ ა. ამ უკანასკნელმა გაქცევით უშველა თავს, მაგრამ, როდესაც ლ. დაეწია დაზარალებულს, მაშინ ა.-მ ერთხელ გაისროლა ლ.-ს მიმართულებით, რათა მას შეეწყვიტა ა.-ს დევნა. ამასთან, ა. ითვალისწინებდა ლ.-ს სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას. ა.-მ, შესაძლებლობის მიუხედავად, მეორე გასროლა ლ.-ს მიმართულებით არ განახორციელა და კაფეში დაიმალა.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება ეჭვს

1200 იხ.: *Jäger* (1996), გვ. 51; *BGHSt*, StV (1986), გვ. 15.

1201 იხ. *BGHSt* 39, გვ. 221-232.

ინვევს, ვინაიდან არ შეიძლება ორ ერთმანეთის მსგავს სიტუაციას განსხვავებული სამართლებრივი შეფასება მიეცეს. თუკი დამნაშავის ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად ფასდება მაშინ, როდესაც დამნაშავეს დაზარალებულისათვის მხოლოდ „ჯკუის სწავლება" უნდა და დანის ერთხელ დარტყმის შემდეგ, სასწრაფო დახმარებას და პოლიციას გამოიძახებს, რატომ არ შეიძლება ანალოგიური შეფასება მიეცეს დამნაშავის ქმედებას მაშინაც, როდესაც იგი მხოლოდ შეშინების მიზნით, ერთხელ ესვრის შემპყრობს, მაშინ, როდესაც დამნაშავეს მეორედ გასროლის შესაძლებლობა გააჩნია. სამართლებრივად ეს ორი შემთხვევა ერთნაირი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა. სხვაგვარად იქნებოდა საქმე მაშინ, როდესაც ბრალდებული დანის ერთი დარტყმის ან ერთხელ სროლის შემდეგ, კვლავ განახორციელებდა დანაშაულებრივ ქმედებას, რის საფუძველზეც ბრალდებულის ქმედება ახალ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებად უნდა შეფასებულიყო.[1202]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა და დოგმატიკა (უმრავლესობის პოზიცია) ცხადყოფს, რომ დანაშაულზე ხელის აღებისათვის საკმარისია როგორც *მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ასევე ევენტუალური განზრახვა.*[1203]

3. 2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური დახასიათება

ნებაყოფლობით ხელის აღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ დამნაშავემ **დანაშაული ობიექტურად ბოლომდე** არ უნდა მიიყვანოს. ამის მიღწევა დამნაშავეს შეუძლია როგორც საკუთარი, ასევე სხვა ძალების დახმარებით, მაგრამ მთავარია, რომ მიზეზობრიობის განვითარებაში სხვისი ძალების ჩართვა დამნაშავის ნებას შეესაბამებოდეს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში, ამასთან დაკავშირებით, მოყვანილია ასეთი მაგალითი, ა. ცეცხლი ნაუკიდა სხვის სახლს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა სახლის დაწვა და შეეცადა მის ჩაქრობას, თუმცა მისი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა ცეცხლის ჩასაქრობად. ამ დროს მას შემოესწრნენ გამვლელები და დაეხმარნენ ცეცხლის ჩაქრობაში და სახლი დაწვას გადაარჩინეს.[1204]

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე და ამ პროცესში იგი აზიანებს სხვის ქონებას, რომლის დაზიანების გარეშეც, შეუძლებელი იქნებოდა უფრო მეტი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა. მაგალითად, ა., თავისი მეზობლის ბ.-ს სახლის აფეთქების მიზნით, მის სარდაფში გაზის ონკანი მოუშვა და ბენზინით გაჯერებული ნაჭერი დატოვა. თუმცა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტა ხელი აეღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. ამ მიზნით ა. დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, თუმცა ბ. სარდაფის კარი დაკეტილი დახვდა. ა. კარი დააზიანა და ისე შეაღწია სარდაფში, სადაც მან ცეცხლის ლოკალიზება მოახდინა და სახლი დაწვას გადაარჩინა. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს ა.-ს მხრიდან ბ. ქონების განადგურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს, თუმცა, მეო-

1202 იხ. *Jäger* (1996), გვ. 56-57.

1203 იხ.: *Boß* (2002), გვ. 184, 185; *Weinhold* (1990), გვ. 170.

1204 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 74-76.

რე მხრივ, ა.-ს ქმედებაში იკვეთება სხვა დანაშაულის ნიშნები, კერძოდ, ბ.-ს ქონების დაზიანების ფაქტი, რომელიც გამოიხატა კარის დაზიანებაში. ისმის შეკითხვა, უნდა დაისაჯოს თუ არა ა. კარების დაზიანებისათვის სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნანილიდან გამომდინარე? მოცემულ შემთხვევაში უკანასკნელი ნორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგი ორი მიზეზის გამო: პირველი, ა.-ს მიერ ახალი უმართლობის დაფუძნება მოხდა არა ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, არამედ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნებაყოფლობით ხელის აღების პროცესში, მეორე, ა.-ს მომდევნო ქმედება (კარების დაზიანება) ემსახურებოდა ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანს, კერძოდ, უფრო მძიმე შედეგის თავიდან აცილებას. აქედან გამომდინარე, ა. პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ე. წ. ***კვალიტატიური უკიდურესი აუცილებლობის*** მდგომარეობაში ყოფნის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ბრალის გამომრიცხველ დაუწერელ გარემოებას წარმოადგენს.[1205] საკითხის ასეთი შეფასება ეფუძნება ზემოთ განვითარებულ კონცეფციას ***სასჯელის არაეფექტური ზემოქმედების*** შესახებ. ამდენად, ნებაყოფლობით ხელის აღების ამ შემთხვევას პირობითად შეიძლება ეწოდოს ***„საპატიო უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით“***.

ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევები, სადაც დამნაშავის მიერ დაწყებულ მიზეზობრიობის ჯაჭვში სხვა ძალის ჩართვა დამნაშავის ნებას არ შეესაბამება. ეს ისეთი ვითარებაა, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს იღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, თუმცა სხვა ძალის მეშვეობით შედეგი მაინც დგება. ასეთ დროს, დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის. მაგალითად, ა. განიზრახა ბ.-ს მოკვლა. ამ მიზნით მან საწამლავი ჩაუყარა ბ.-ს საჭმელში. დაზარალებულის მიერ მოწამლული საჭმლის მიღების შემდეგ, ა.-მ გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, იგი თავისი აქტიური მოქმედებით შეეცადა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას. ამასთან, ა.-ს ჰქონდა შედეგის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ბ.-მ ისარგებლა შემთხვევით და ჩაფიქრებული თვითმკვლელობა განახორციელა.[1206]

ასეთი შემთხვევა, ზოგიერთი სისხლის სამართლის მეცნიერის მიერ შეფასებულია არა როგორც დანაშაულის მცდელობა, არამედ როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.[1207] თუმცა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა გარკვეულ ეჭვს ბადებს, რადგან მოცემულ მსჯელობაში არ ჩანს, თუ რა არის ა. ქმედების ნებაყოფლობით ხელის აღებით შეფასების საფუძველი. ამგვარი მსჯელობა დასაბუთდება მაშინ, თუ დადგინდება, რომ მოცემული დროის მოცემულ მომენტში ა.-ს ქმედების განხორციელების მიუხედავად, ბ.-ე მაინც განახორციელებდა ჩაფიქრებულ თვითმკვლელობას.

მაშასადამე, როდესაც შედეგის მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული

1205 კვალიტატიური უკიდურესი აუცილებლობის შესახებ იხ. *ტურავა* (2011), 1-ლი სქოლიო, გვ. 486.

1206 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 321.

1207 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 96.

დამნაშავის ქმედებასთან, მაშინ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის არ დაეკისრება. მაგალითად, ა.-მ მკვლელობის მიზნით ესროლა ბ.-ს და გაიქცა, ჭრილობა სასიკვდილო იყო. ცოტა ხნის შემდეგ, ა. კვლავ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, რათა ბ. დახმარება აღმოეჩინა და სიკვდილისგან ეხსნა იგი, რისი შესაძლებლობაც ობიექტურად არსებობდა, მაგრამ დაზარალებული გარდაცვლილი დახვდა, რადგან ა. დამოუკიდებლად დ.-მ მოკლა იგი. მოცემულ მაგალითში, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი დადგა, ა.-ს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება, მაშასადამე, იგი დამთავრებული დანაშაულისათვის პასუხს არ აგებს, ხოლო რაც შეეხება დანაშაულის მცდელობისათვის მის დასჯადობას, უნდა გამოირიცხოს და იგი ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს.[1208] მაგრამ ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეფასდება ასე, თუ დადგინდება, რომ ა. ალბათობის მაღალი ხარისხით დაზარალებულის გადარჩენას შეძლებდა (*ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება ალბათობის მაღალი ხარისხით*).

ამ შემთხვევისაგან უნდა გაიმიჯნოს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირველ ქმედებაზეა დამოკიდებული შემდგომი ქმედება. დასახელებულ მაგალითში ფაბულა თუ შეიცვალა და დადგინდა, რომ დ. ქმედება ა. ქმედების საფუძველზე განხორციელდა, მაშინ ა. ქმედებაში ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი, რა თქმა უნდა, საერთოდ არ დაისმება.

იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტმა აამაღლა სამართლებრივად დასაძრახი რისკი, სავსებით სამართლიანია, რომ ასეთი რისკის ამაღლებისთვის დამნაშავე მცდელობისათვის დაისაჯოს. აქედან გამომდინარე, რისკის ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს, არა მარტო დამთავრებულ დანაშაულებში, არამედ დაუმთავრებელი დანაშაულების დროსაც.[1209]

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს სუბიექტურ მომენტთან ერთად განმსაზღვრელია ობიექტური ფაქტორი, რომელიც დაუსჯელობის საფუძველს ქმნის. დამნაშავემ ობიექტურად უნდა მოსპოს ქმედების ის ნიშანი, რომელიც მას დამთავრებულ დანაშაულად გადააქცევს,[1210] მაშასადამე, მან თავიდან უნდა აიცილოს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა საკუთარი ან სხვა ძალების დახმარებით, თუმცა ყოველივე ეს, არ აკნინებს სუბიექტური ფაქტორის როლს ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხში.

გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობაზე მსჯელობის დროს უკვე აღინიშნა, რომ დამნაშავემ განზრახ უნდა გადააბიჯოს იმ ზღვარს, რომელიც მის ქმედებას დასჯად ხასიათს შესძენს. ამასთან, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის, როდესაც დამნაშავე მხოლოდ ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებას შეწყვეტს. ამიტომ, თუკი დამნაშავემ, დანაშაულის მომზადების ეტაპზე ხელის აღების მიუხედავად, შედეგი მაინც ვერ აიცილა თავიდან, იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება, არამედ მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის აგებს პასუხს, რადგან მოცემულ სიტუაციაში განზრახვა არ არის სახეზე. ასეთი შემ-

---

1208 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 646-647.

1209 ობიექტურ შერაცხვასა და რისკის თეორიაზე იხ. *ტურავა* (2011), გვ. 217-230.

1210 იხ. *ნერეთელი* (1961), გვ. 220.

თხვევების საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითები:

ცოლს სურდა თავისი ქმრის მოკვლა. ამ მიზნით, მან საწამლავი ჩაყარა სამარილეში და ჩანთაში ჩადო, რადგან მას უნდოდა, რომ შესაფერის დროს მეუღლისათვის ღვინოში შეერია იგი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ცოლმა გადაიფიქრა თავისი დანაშაულებრივი გეგმის ბოლომდე მიყვანა და სამარილე დამალა თავის ხელჩანთაში. ქმარმა, რომელიც არასდროს არ ენდობოდა თავის ცოლს, გაჩხრიკა მისი ხელჩანთა და აღმოაჩინა სამარილე. ინტერესით შეპყრობილმა გასინჯა სამარილეში მოთავსებული საწამლავი და გარდაიცვალა.[1211]

ასევე, ა. სურდა დ. მოკვლა. ამ მიზნით, მან საწამლავი ჩაყარა ვისკის ბოთლში. ა.-მ იფიქრა, რომ როდესაც დ. დაბრუნდებოდა მოგზაურობიდან ვისკს დალევდა და მოკვდებოდა. მაგრამ დ.-ს დაბრუნებამდე ა.-მ გადაიფიქრა მისი მოკვლა და გადაწყვიტა მოწამლული ვისკის ბოთლის გამოცვლა, მაგრამ ა.-მ შეცდომით სხვა ბოთლი აიღო და მოწამლული ვისკის ბოთლი ადგილზე დატოვა. როდესაც დ. მოგზაურობიდან დაბრუნდა, დალია ვისკი და მოკვდა.[1212]

ზემოთ დასახელებულ ყველა მაგალითში, როდესაც დამნაშავე ხელს იღებს ქმედებიდან, დანაშაული ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაზე იმყოფება, რადგან მას ჯერ კიდევ არ გააჩნია ქმედების შემადგენლობის განხორციელებისათვის აუცილებელი განზრახვა[1213]

ამდენად, თუ დამნაშავე **შეცდომით ფიქრობს**, რომ გამოყენებული საშუალებები ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის და, შესაბამისად, შედეგის თავიდან ასაცილებლად სავსებით საკმარისია, მაგრამ შედეგი მაინც დადგება, იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ უნდა გათავისუფლდეს.[1214] მაშასადამე, დანაშაულზე ხელის აღება **ობიექტურად** უნდა არსებობდეს და ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის დამნაშავის წარმოდგენაში მისი არსებობა.

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს ასევე **შეცდომით ჰგონია**, რომ მოვლენების მსვლელობის შედეგად, დანაშაულებრივი შედეგი დადგება, მაშინ, როდესაც შედეგის გამოწვევა ფაქტობრივად უკვე შეუძლებელია, ანდა როდესაც დანაშაულის დამთავრება ობიექტურად შესაძლებელია, მაგრამ დამნაშავემ არ იცის დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი საშუალებების შესახებ, ან უბრალოდ არ შეუძლია მათი გამოყენება, რადგან იგი ამ საშუალებებს ობიექტურად არ ფლობს, ან სუბიექტურად[1215] მათი გამოყენება არ იცის, დამნაშავის ასეთი ქმედება გერმანიის სისხლის სამართლის დოგმატიკაში და სასამართლო პრაქტიკაში **„ხელშეშლილ მცდელობად"** ფასდება და, შესაბამისად, მასზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა გამოირიცხება,[1216] თუმცა დამნაშავის ქმედების „ხელშეშლილ მცდელობად" შეფასება, როდესაც დამნაშავე და-

---

1211 იხ. *Angerer* (2004), გვ. 37.

1212 იხ. *Angerer* (2004), გვ. 38.

1213 იხ. *Angerer* (2004), გვ. 39.

1214 იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 97.

1215 ნაშრომში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ხელშეშლილ და ნარუმატებელ მცდელობები, იხილეთ უვარგისი მცდელობის თავში.

1216 იხ.: *Wörner*, NStZ (2010), გვ. 70; *BGHSt* 34, გვ. 56-57.

ნაშაულის ჩადენისათვის აუცილებელ საშუალებებს ობიექტურად ვერ იყენებს, ან სუბიექტურად არ გააჩნია მათი გამოყენების ცოდნა, არ შეესაბამება ე. წ. *delictum perfectum*-დან მომდინარე ისტორიულად განვითარებულ „ხელშეშლილი მცდელობის" ცნებას.[1217] „ხელშეშლილ მცდელობაზე" დანვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

დამნაშავეს თუ არ სურს დანაშაულის განხორციელება და, ამასთან, იგი **შეცდომით ფიქრობს**, რომ მას შეუძლია დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, ნებაყოფლობით ხელის აღებას ექნება ადგილი. დამნაშავე დარწმუნებულია თავის ძალებში და შეცდომით ჰგონია, რომ დანაშაულის შემადგენლობის ბოლომდე განხორციელებას შეძლებს. მაგალითად, დამნაშავე, რომელსაც განზრახული აქვს სხვისი ბინის გაქურდვა, დარწმუნებულია იმაში, რომ ადვილად მოახერხებს ძალაყინის დახმარებით კარების შემტვრევას. სინამდვილეში, კარები გამაგრებულია რკინის დეტალებით, რის გამოც ფიზიკურად შეუძლებელია ძალაყინით მისი გატეხვა. მოცემულ სიტუაციაში, თუ დამნაშავე გადაიფიქრებს ქურდობის ჩადენას, მაშინ იგი უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. მაგრამ, თუ შემაფერხებელი გარემოებები არსებობს მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი არ ექნება.[1218]

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია **დროზე ადრე გამოწვეული შედეგის შერაცხვის** საკითხის შესახებ, განსაკუთრებით კი დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე, თუმცა, შესაძლებელია, ამ საკითხის გადაჭრა მომზადების სტადიაზეც. დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევებში, შედეგის დროზე ადრე დადგომა, მაშასადამე, შედეგის დადგომა ისეთ დროს, როდესაც დამნაშავეს, მცდელობის სტადიაზე ყოფნის მიუხედავად, ჰგონია, რომ შედეგის გამოსანვევად მას ჯერ კიდევ საკმრისი პირობები არ შეუქმნია, დამნაშავეს შედეგი არ შეერაცხება. ამასთან, დამთავრებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გამოუყენებლობა დამოკიდებული არ არის დამნაშავის მიერ დანაშაულზე ხელის აღებაზე, არამედ იგი ეფუძნება მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენას, ანუ როდესაც იგი შეცდომით ფიქრობს, რომ შედეგის გამოსანვევად მას ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაუკეთებია. თუ დამნაშავეს შედეგი დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე არ შეერაცხება, იგი დანაშაულის მომზადების სტადიაზე, მით უფრო, არ უნდა შეერაცხოს. ვინაიდან შედეგის შერაცხვა, შედეგის დროზე ადრე გამონვევის გამო, გამოირიცხება, ამიტომ დანაშაულზე ხელის აღება მომზადების ეტაპზე საერთოდ არ მიიღება მხედველობაში.[1219]

საკითხი, დროზე ადრე გამოწვეული შედეგის შერაცხვის შესახებ, დაუმთავრებელი მცდელობის დროს, ხშირად იწვევდა დავას. თავად **ფრანკი** იდგა იმ აზრზე, რომ განზრახვა აკლია იქ, სადაც დამნაშავეს ჰგონია, რომ იგი მიზეზობრივი ჯაჭვის განვითარებაში ჯერ კიდევ არ ჩართულა. ასევე, ზოგიერთი მეცნიერი მიუთითებს იმაზე, რომ დამნაშავეს, დროზე ადრე დამდგარი შედეგის

1217 იხ. *Wörner* (2009), გვ. 291.
1218 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 227.
1219 იხ. *Angerer* (2004), გვ. 40-41.

დროს, ჯერ არ გააჩნია დამთავრებული დანაშაულის განზრახვა[1220]

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელზეც დამნაშავემ ხელი აიღო, სხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ დამნაშავე უნდა დაისაჯოს სწორედ ამ დანაშაულისათვის. ასეთი მოთხოვნა პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან: „პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს ნარმოადგენს".

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში პრობლემატურია ისეთი შემთხვევები, სადაც მოტივი ერთი და იგივეა დამთავრებული დანაშაულისათვის და იმ ქმედებისათვის, რომლის ბოლომდე განხორციელებაზე დამნაშავემ თქვა უარი. მაგალითად, ძარცვის მიზნით ბინაში შეღწევის დროს პირმა გადაიფიქრა დანაშაულის დასრულება (აქ ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა ნარმოადგენს დაგეგმილი ძარცვის განხორციელების დაწყების მომენტს). მოცემულ შემთხვევაში, დამთავრებული დანაშაულის მოტივი არ ნეიტრალდება ან სუსტდება, იმის გამო, რომ დამნაშავემ სხვისი ნივთების დაუფლებაზე განაცხადა უარი, მაშასადამე, ძარცვის განზრახვაზე თქვა უარი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, გასარკვევია დამთავრებული ქმედება (ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა) გაგებულ უნდა იქნეს, როგორც მთელი დანაშაულის (ძარცვის) შემადგენელი ნაწილი, თუ როგორც დამოუკიდებელი დასჯადი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილით.[1221]

მართალია, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე პარაგრაფში ასეთი დათქმა არ არსებობს, თუმცა ზოგადად მეცნიერებაში აღიარებულია, რომ პიროვნება უნდა დაისაჯოს ქმედებისათვის, რომელიც, თავის მხრივ, იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს ნარმოადგენს, რომელზეც დამნაშავემ აიღო ხელი. მაგალითად, თუ ა. ხელი აიღო ბინაში შეღწევით ქურდობის ჩადენაზე მაშინ, როდესაც იგი უკვე სხვის ბინაში უკანონოდ იყო შესული, ან მან სხვის ბინაში შესაღწევად ბინის კარები დააზიანა, დამნაშავე პასუხს აგებს სხვისი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის, ან სხვისი ქონების დაზიანებისთვის. მაშასადამე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ხელს არ უშლის იმავე ქმედებით სხვა დანაშაულის დამთავრებულ დანაშაულად შეფასებას, მიუხედავად იმისა, ეს დანაშაული კონკრეტული საფრთხის შემცველია, თუ აბსტრაქტული საფრთხის მატარებელია. მაგალითად, ყალბი დოკუმენტის დამზადება შემდგომში ამ საშუალებით თაღლითობის განხორციელების მიზნით, როდესაც დამნაშავემ შუა გზაში გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და თაღლითობაზე აიღო ხელი, თავისთავად, არ გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ ხელი აიღო ასევე დოკუმენტების გაყალბებაზე.[1222]

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ქართული, ასევე გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, დამნაშავეს ნებაყოფლობით ხელის აღების

1220 იხ. *Angerer* (2004), გვ. 41-42.

1221 იხ. *Fischer* (2012), გვ. 233.

1222 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1805.

შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მაშინ, ვიდრე დანაშაული არ დამთავრებულა. მაგრამ თუ ქმედება დამთავრდა და დამნაშავემ ნებაყოფლობით მაინც იმოქმედა, ამისათვის სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ზოგიერთი შემადგენლობისათვის არსებობს „ქმედითი მონანიების" საშელავათო ნორმები, რომლებიც, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნებაყოფლობით ხელის აღების მომწესრიგებელი ნორმის მსგავსად, არ შეიძლება ანალოგიით იქნეს გამოყენებული. ამდენად, ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა შეზღუდულია მცდელობისა[1223] და მომზადების ნორმებით.

§4. შეჯამება

ნებაყოფლობით ხელის აღებაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ დასახელებული ინსტიტუტი წარმოადგენს სახელმწიფოს ხელში არსებულ საშუალებას, რითაც სახელმწიფო ცდილობს დამნაშავეს აუგოს ე. წ. **ოქროს ხიდი** და თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება (**„ოქროს ხიდის თეორია"**). ეს კი, თავის მხრივ, დამნაშავეს იხსნის მოსალოდნელი სისხლის სამართლის რეპრესიისგან. ამდენად, სახელმწიფო ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, დამნაშავეს ათავისუფლებს სასჯელისაგან. აქედან გამომდინარე, ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს არა უმართლობის ან ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, არამედ იგი არის **სასჯელისაგან გათავისუფლების პერსონალური** საფუძველი.

ნებაყოფლობით ხელის აღებით ქრება მცდელობისას წარმოშობილი საფრთხე და საზოგადოებაში წესრიგის დარღვევით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური განცდა, რომელიც შეიძლება არასაშიშ მცდელობასაც ახასიათებდეს, ამიტომ გენერალური პრევენცია დასჯადობის აუცილებლობას ვერ ხედავს (**„სასჯელის მიზნის მოდიფიცირებული თეორია"**).

ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება, შესაძლებელია მაშინ, როდესაც სახეზეა ნებაყოფლობით ხელის აღების **სუბიექტური** და **ობიექტური** პირობები. სუბიექტურ პირობას, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ის სუბიექტური ელემენტები, განზრახვის, მოტივისა და მიზნის სახით, რომელთა არსებობის გარეშე, შეუძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის დასაბუთება. დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც იგი დამნაშავეში **ავტონომიური მოტივების** საფუძველზე აღმოცენდება, ეს კი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ დამნაშავემ საკუთარ თავთან მსჯელობის დროს, უნდა გადაწყვიტოს როგორ მოიქცეს, გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა, თუ შეწყვიტოს იგი. თუ დამნაშავე დანაშაულის განხორციელებაზე უარს იტყვის იმის გამო, რომ ეშინია მომავალში მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამჟღავნების და, შესაბამისად, სასჯელის მუქარის (**აბსტრაქტული შიში**), მაშინ ადგილი აქვს ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს.

1223 იხ. *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1811.

ამასთან, ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტურ ელემენტებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გერმანული სისხლის სამართალი დანაშაულზე ხელის აღებისათვის საკმარისად მიიჩნევს **ევენტუალურ განზრახვას.**

ნებაყოფლობით ხელის აღების შემდეგ პირობას წარმოადგენს **საბოლოობა**, რომელიც ნაშრომში დასაბუთებულია **„სასჯელის არაეფექტური ზემოქმედების თეორიის"** საფუძველზე. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ასევე, შესაძლებელია, ისეთი შემთხვევის დაუსჯელობის დასაბუთება, როდესაც ხელის აღების დროს, დამნაშავე ნაკლებად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს დააზიანებს **(საპატიო უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით).**

ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური პირობების დახასიათებისას აღინიშნა, რომ, შესაძლებელია, მცდელობის მომენტში სამართლებრივი სიკეთე დაზიანდეს, თუმცა აუცილებლად უნდა დადგინდეს ის, თუ რამდენად იყო მცდელობის ქმედება მიზეზობრივ კავშირში განხორციელებულ შედეგთან. თუ შედეგი მცდელობის განხორციელების შემდეგ, პირის აქტიური მეცადინეობით შეიძლებოდა აცილებულიყო თავიდან, მაგრამ შედეგი დადგა სხვა გარემოებების საფუძველზე, ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს (***ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება ალბათობის მაღალი ხარისხით***).

მაშასადამე, როდესაც შედეგის გამოწვევა მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დამნაშავის ქმედებასთან, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველზე გამოირიცხება.

თავი II. ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებანი თანამონაწილეობის ფორმით ჩადენილ დელიქტებში

§1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი თანამონაწილეობით და თანაამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში

თანამონაწილეობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლია არა მარტო ამსრულებელს (თანაამსრულებელს), არამედ აგრეთვე თანამონაწილესაც.

თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს, რომელიც განპირობებულია თანამონაწილეთა ბუნებით. ამიტომ შედარებით განსხვავებულია მასთან დაკავშირებული იურიდიული შედეგებიც. თუ ამსრულებელი ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე, თანამონაწილეები ავტომატურად არ თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აქედან გამომდინარე, თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ინდივიდუ-

ალურად უნდა გადაწყდეს.[1224] მაგალითად, თუ ამსრულებელმა მკვლელობის მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი თანამონაწილენიც თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, არამედ ისინი პასუხს აგებენ მკვლელობის მცდელობისათვის. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამსრულებელი ხელს იღებს მაკვალიფიცირებელი გარემოების განხორციელებაზე, მაგალითად, განზრახ კლავს ერთ ადამიანს, ხოლო მეორე ადამიანის მოკვლაზე ნებაყოფლობით ხელს იღებს. ასეთ შემთხვევებში, ამსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე, რადგან მან სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე აიღო ხელი, ხოლო თანამონაწილენი დაისჯებიან სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.[1225]

მაშასადამე, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც წამახალისებელი ნორმა, „წარმოადგენს მხოლოდ პასუხისმგებლობისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს".[1226] დასახელებული შეესაბამება თანამონაწილეობის *აქცესორულ ბუნებას*. „სწორედ თანამონაწილეთა აქცესორული ბუნება და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის სპეციფიკა განაპირობებს თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებებს".[1227]

ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ დანაშაულის მიზეზობრიობიდან უბრალო გამოთიშვა, არამედ თითოეული მონაწილე სერიოზულად უნდა გაისარჯოს, რათა თავიდან იქნეს აცილილებული დანაშაულებრივი შედეგი.[1228]

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ფარგლებში არეგულირებს. ამ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, თუ მათ შეასრულეს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი:

1) გადაარწმუნეს ამსრულებელი;

2) დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს;

3) სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა;

4) *დამხმარემ* დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეპირებული ქმედების შესრულებაზე;

5) *დამხმარემ* დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.

1224 იხ. *სულაქველიძე*, „საბჭოთა სამართალი" №1 (1985), გვ. 30.

1225 იგივე პოზიციაზე დგას მჭედლიშვილი-პედრიხი, იხ. *მჭედლიშვილი-პედრიხი* (2011), გვ. 109.

1226 *ტურავა* (2013), გვ. 322; ასევე, იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 173.

1227 *სულაქველიძე* (1992), გვ. 189.

1228 იხ. *Heinrich*, AT (2012), გვ. 358-359.

დასახელებული პირობები ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველს ქმნის მაშინ, თუკი მათი განხორციელების საფუძველზე დანაშაულებრივი შედეგი თავიდან იქნება აცილებული. ნინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მოქმედება, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადება აკეთებს გამონაკლისს ფიზიკური დამხმარისათვის. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომელიც შემდგომში იქნება განხილული, რომ ეს გამონაკლისი, შესაძლებელია, თანაამსრულებლებზეც გავრცელდეს.

ამსრულებლის გადარწმუნება, ერთ შემთხვევაში, ნებაყოფლობით ხელის აღებად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ამსრულებელს გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა და თანამონაწილეები შეძლებენ მის დაყოლიებას, ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. მაგალითად, ა. ნააქეზა ბ. მოეკლა გ., მაგრამ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, ა. გადაიფიქრა გ. მოკვლა და დაარწმუნა ამსრულებელი ხელი აეღო დანაშაულის ჩადენაზე. მეორე შემთხვევაში, ნებაყოფლობით ხელის აღებად განიხილება ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც ნამქეზებელს შეცდომით ჰგონია, რომ ამსრულებელი დაარწმუნა დანაშაულის ჩასადენად და შემდეგ შეეცდება მის გადარწმუნებას, არ ჩაიდინოს დანაშაული. სინამდვილეში, ამსრულებელს თავიდანვე არ ჰქონდა განზრახული დანაშაულის ჩადენა და თანამონაწილის ცდა პირველივე ჯერზე უშედეგო აღმოჩნდა. მაგალითად, ა. შეეცადა ბ. დაყოლიებას მკვლელობის ჩასადენად, ა.-ს ეგონა, რომ მისმა ძალისხმევამ, დაარწმუნებინა ბ., მოეკლა გ., შედეგი გამოიღო, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, ა.-მ გადაიფიქრა გ.-ს მოკვლა, დაუკავშირდა ბ.-ს და შეეცადა მისი ნარმოდგენით ნაქეზებული ბ. გადარნმუნებას.

ამსრულებლის გადარნმუნება შეუძლია როგორც ნამქეზებელს, ასევე ორგანიზატორს და ფსიქიკურ დამხმარეს. თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროთ მაშინაც, როდესაც ისინი შეეცდებიან ერთმანეთის გადარწმუნებას. მაგალითად, ა. ნააქეზა ბ. განზრახ მკვლელობის ჩასადენად. ვინაიდან ბ. არ ჰქონდა იარაღი, ა.-მ ურჩია ამსრულებელს, დაკავშირებოდა ც.-ს და მისგან შეეძინა იარაღი. მაგრამ ვიდრე ც. იარაღს მისცემდა ბ.-ს, ა.-მ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა, სასწრაფოდ დაუკავშირდა ც.-ს და გარიგების პროცესში გადაარნმუნა ც., არ მიეყიდა ბ.-სთვის იარაღი. ვინაიდან ბ.-ს იარაღი არ ჰქონდა, დანაშაული ვეღარ განახორციელა. თუმცა, თუ ამსრულებელმა დანაშაული სხვა საშუალებით მაინც ჩაიდინა, ნამქეზებელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აუცილებლად დაეკისრება. საკითხის ამგვარი შეფასება გამომდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებიდან.

ამ მაგალითისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ნამქეზებელმა ამსრულებელს მკვლელობის ჩადენაზე ხელი ააღებინა, მაგრამ მესამე პირმა, რომლის შესახებ პირველმა ნამქეზებელმა არ იცოდა, აიძულა ამსრულებელი ჩაედინა იგივე დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში, პირველ ნამქეზებელს ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობა. მართალია, ის შედეგი, რომელიც პირველი წამქეზებლის თავდაპირველი განზრახვით იყო მოცული, განხორციელდა, მაგრამ აქ გადამწყვეტია არა შედეგის დადგომის ფაქტორი, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის სხვა ძირითადი პირობები, კერძოდ, ნებაყოფლობითობა, რომელიც სახეზეა და პირველი წამქეზებლის ქმედება მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დამდგარ შედეგთან.[1229]

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ორგანიზატორი ან წამქეზებელი ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივით ხელს უშლის ამსრულებელს მკვლელობის ბოლომდე მიყვანაში, მაგრამ ამსრულებელი, ამის მიუხედავად, მაინც მოასწრებს დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის დაზიანებას. ამ შემთხვევაში, ორგანიზატორი ან ნამქეზებელი ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში თანამონაწილეობისათვის უნდა დაისაჯონ,[1230] რადგან მათ მიერ მიღებული ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

შესაძლებელია, ორგანიზატორმა გადაარწმუნოს როგორც ამსრულებელი, ასევე სხვა თანამონაწილე. ამასთან, გადარწმუნების ფაქტს შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ამსრულებელი იმყოფება როგორც მომზადების, ასევე მცდელობის სტადიაზე. ამის გარდა, თანამონაწილეთა მხრიდან ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია მაშინაც, როდესაც ამსრულებელმა ქმედება **იურიდიულად დაამთავრა** და იგი ფაქტობრივად ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.[1231]

შემდგომი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თანამონაწილეები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან მაშინ, როდესაც ისინი ***სხვაგვარად შეუშლიან ხელს*** ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცემენ დანაშაულის დამთავრების საშუალებას. სხვაგვარად ხელის შეშლაა, მაგალითად, თანხის გადახდა, შეპყრობა, თხოვნა და ა. შ.[1232]

პირობაში „სხვაგვარად ხელის შეშლა" მოიაზრება ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც თავდაპირველად წამქეზებელი დაიყოლიებს ამსრულებელს განზრახ მკვლელობის ჩადენაში ან ფსიქიკური დამხმარე რჩევა-დარიგებას მისცემს ამსრულებელს, ხოლო შემდეგ დანაშაულის დამთავრებამდე ისინი გადაიფიქრებენ მკვლელობის ჩადენას და დაარწმუნებენ შურისძიების გრძნობით გამსჭვალულ ამსრულებელს იმაში, რომ სავსებით საკმარისი იქნება, თუ იგი დაზარალებულს მხოლოდ ჯანმრთელობას დაუზიანებს. ამასთან, თანამონაწილეებს მძიმე შედეგის თავიდან აცილების სხვა საშუალება არ ჰქონდათ. ამსრულებელმა დაუჯერა თანამონაწილეებს და მკვლელობის ნაცვლად ჯანმრთელობა დაუზიანა დაზარალებულს. ამ მაგალითში საინტერესო არის ის, თუ როგორ უნდა გადაწყდეს თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი. თანამონაწილე (წამქეზებელმა და დამხმარემ), მკვლელობაზე ხელის აღების მიუხედავად, უნდა დაისაჯოს თუ არა ჯანმრთელობის დაზიანებისათვის, თუ

1229 იხ. *სულაქველიძე*, „საბჭოთა სამართალი" №1, (1985), გვ. 36.

1230 იხ.: *გვენეტაძე* (1994), გვ. 106; *სულაქველიძე* (1992), გვ. 190.

1231 ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ.

1232 იხ. *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 184.

საერთოდ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თავდაპირველად, აუცილებელია დასახელებული შემთხვევა შედარდეს სისხლის სამართლის დოგმატიკაში ჩამოყალიბებულ ე. ნ. **რისკის შემცირების თეორიით** დაფუძნებულ ისეთ შემთხვევასთან, როდესაც დამნაშავეს სხვა პირი დაარწმუნებს იმაში, რომ უმჯობესი იქნება, თუ იგი მკვლელობის ნაცვლად ჯანმრთელობას დაუზიანებს დაზარალებულს. „რისკის შემცირების თეორიის" თანახმად, პირი, ვინაიდან მან უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთე გადაარჩინა, არ დაისჯება დანაშაულის წაქეზებისათვის, არამედ იგი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ობიექტური შერაცხვის არარსებობის გამო.[1233]

მაშასადამე, „რისკის შემცირების თეორიის" თანახმად, მთავარია, რომ პირმა შეამციროს რისკი. ზემოთ დასახელებულ მაგალითში, თანამონაწილეთა მიერ რისკი ნამდვილად იქნა შემცირებული, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ თანამონაწილე, კერძოდ, კი წამქეზებელი, თავდაპირველად, თავად გახდა უფრო დიდი რისკის განზრახ შექმნის ინიციატორი, რასაც „რისკის შემცირების თეორიით" დაფუძნებულ შემთხვევებში, როგორც წესი, არა აქვს ადგილი. აქედან გამომდინარე, წამქეზებელს შედეგი (ჯანმრთელობის დაზიანება) ობიექტურად შეერაცხება, თუმცა, შესაძლებელია, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 38-ე მუხლის საფუძველზე არ დაეკისროს ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოების გამო (ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით). რაც შეეხება **ფსიქიკური დამხმარის** პასუხისმგებლობის საკითხს, ნამქეზებელთან შედარებით, ამ შემთხვევაში განსხვავებულ ვითარებას აქვს ადგილი. ვინაიდან ფსიქიკური დამხმარე არ არის თავდაპირველი რისკის შექმნის ინიციატორი, არამედ იგი უკვე არსებული რისკის განმტკიცების ხელშემწყობია, ამიტომ, შესაძლებელია, მისი მეორე ქმედება (ამსრულებლის დაყოლიება ჯანმრთელობის დაზიანების ჩადენაში) „რისკის შემცირების თეორიის" საფუძველზე, ობიექტური შერაცხვის გამომრიცხველ გარემოებად შეფასდეს (**ობიექტური შერაცხვის გამომრიცხველი გარემოება ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით**).

თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების მე-4 და მე-5 პირობა ეხება მხოლოდ **დამხმარეს**. დასახელებული პირობები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაში, სადაც მითითებულია, რომ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის მიუხედავად, დამხმარე უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თუ იგი ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარს განაცხადებს შეპირებული ქმედების შესრულებაზე ან დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნებს გადაცემულ იარაღს ან სხვა საშუალებას. ეს გახლავთ ერთ-ერთი საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც დამნაშავე, შედეგის დადგომის მიუხედავად, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.

დანაშაულის დაწყებამდე დამხმარე თავისი ინიციატივით ან ამსრულებ-

1233 იხ. ტურავა (2013), გვ. 343.

ლის ან სხვა პირის თხოვნის საფუძველზე, შეიძლება შეპირდეს ამსრულებელს, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ან დანაშაულის დასრულებამდე შეასრულებს რაიმე მოქმედებას ან თავს შეიკავებს მოქმედების შესრულებისაგან. შეპირება შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის დაფარვაშიც. მაგრამ იმისათვის, რომ დამხმარე გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, მან შეპირებული ქმედების შესრულებაზე აუცილებლად დანაშაულის დაწყებამდე უნდა განაცხადოს უარი. ეს გახლავთ კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნა და ამის შეუსრულებლობა გამოიწვევს დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაში კანონმდებელი საუბრობს იმაზე, რომ დამხმარემ აუცილებლად დანაშაულის დაწყებამდე უნდა განაცხადოს უარი შეპირებული ქმედების შესრულებაზე. კანონი ბადებს შეკითხვას: კანონმდებელი დამხმარეს ხომ არ უზღუდავს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებას, და თუ ეს ასეა, რამდენად პასუხობს კანონმდებელი ჰუმანურობისა და სამართლიანობის პრინციპების მოთხოვნებს და ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის ამოცანებს?

ეს საკითხი იმიტომ არის აქტუალური, რომ პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყების შემდეგ, დამხმარეს შეუძლია გადაიფიქროს შეპირებული ქმედების შესრულება. მაგალითად, ა. უნდა თავისი მეზობელი ბ. გათოკოს და წყალში ჩააგდოს. ამისათვის, ა.-ს ესაჭიროება ავტომანქანა. იგი დაუკავშირდა დ.-ს და დახმარება სთხოვა. დ. დახმარებას შეპირდა. გეგმის მიხედვით, დ.-ს ავტომანქანა ბ.-ს სახლის წინ უნდა გაეჩერებინა და თავად ნასულიყო იქიდან. როდესაც ა.-მ ბ. გათოკა და დააპირა სახლიდან მისი გამოყვანა, ამ დროს დაურეკა დ.-მ და დახმარებაზე უარი განუცხადა. ამის მიუხედავად, ა.-მ გათოკილი ბ. ფეხით მიიყვანა მდინარემდე და მოკვლის განზრახვით წყალში გადააგდო. ხელებშეკრულმა ბ.-მ თავი ვერ დააღწია მდინარეს და დაიხრჩო.

დასახელებულ მაგალითში დ. უარი განაცხადა შეპირებული ქმედების შესრულებაზე მას შემდეგ, რაც ამსრულებელმა მკვლელობის შემადგენლობის განხორციელება დაიწყო. მაშასადამე, დ. შედეგის დადგომის მიუხედავად, ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე. მაგრამ დ. როგორც **პოტენციური ფიზიკური დამხმარე**, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად? პასუხი უარყოფითია, რადგან, როგორც უკვე ითქვა, კანონმდებელი მე-3 ნაწილში მოითხოვს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ის დამხმარე, რომელიც დანაშაულის დაწყებამდე და არა დაწყების შემდეგ ხელს აიღებს დანაშაულზე. თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით, დამხმარე დანაშაულის დაწყებამდე იტყვის უარს შეპირებული ქმედების შესრულებაზე, თუ დანაშაულის დაწყების შემდეგ, განსხვავებულ შედეგებს არ იძლევა, რადგან ორივე შემთხვევაში იგი მიზეზობრივად აღარ არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი მისგან დამოუკიდებლად ჩადის. მაშინ როგორ უნდა მოიქცეს სამართალშემფარდებელი? მართალია, ამ პრობლემის თავიდან აცილება სამართალშემფარდებელს შეუძლია **ანალოგიის** გამოყენების გზით,

თუმცა უკეთესია, თუ თავად კანონმდებელი საკანონმდებლო დონეზე მოანესრიგებს ამ საკითხს და სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებას ასე ჩამოაყალიბებს: „...*დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დასრულებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება*".

ასეთი ფორმულირება **ორი მიზეზით** აიხსნება, **ჯერ ერთი**, დანაშაულში დახმარება, შესაძლებელია, დაიწყოს ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე და გაგრძელდეს დანაშაულის **იურიდიულად დამთავრების** შემდეგაც. ასე, მაგალითად, ა. შეპირდა ბ., რომ ქურდობის ჩადენის შემდეგ, როდესაც იგი სხვისი სახლიდან ნივთებს გამოიტანდა, ტელეფონით შეატყობინებდა ავტომანქანის კარების კოდს, რათა ბ.-ს შეძლებოდა ა. ავტომანქანის გაღება და ნივთების ნაღება. როდესაც ბ.-მ სახლიდან ნივთები გამოიტანა, ა.-მ დაურეკა ბ. და უარი განუცხადა კოდის მიცემაზე.

მეორე, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ე. წ. **სუქცესიურ თანამონაწილეობის** შემთხვევებს, კერძოდ, **სუქცესიურ დახმარებას და სუქცესიურ თანაამსრულებლობას.**[1234] ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც პირი დახმარების სურვილს იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე ავლენს. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, ასეთი მაგალითის მოყვანა: ა. დ. ჯიბიდან საფულე ამოაცალა, ეს ფაქტი სხვებმა შეამჩნიეს და უკან გაყვნენ ა.-ს. ამასობაში, დანაშაულის მისი მეგობარი ბ. შეხვდა, რომელსაც ფარულად გადასცა საფულე. ამის შემდეგ, ისინი იქაურობას სწრაფად გასცილდნენ.[1235] იმ შემთხვევაში, თუ კი ბ. ა.-ს მიერ გადაცემული საფულე, ჯერ ჯიბეში ჩაიდო, ხოლო შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და იქვე მდგომ პოლიციელს გადასცა იგი, მაშინ აუცილებლად უნდა დაისვას ბ.-ს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.

დასახელებულ მაგალითებში, როდესაც ამსრულებელმა სხვისი ნივთები სახლიდან გაიტანა, ანდა სხვისი საფულე ჯიბეში ჩაიდო, ამით მან ქურდობა იურიდიულად დაამთავრა, მაგრამ ფაქტობრივად ნივთების დაუფლების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მაშასადამე, ქმედება ფაქტობრივად დასრულებული არ იყო. ამიტომ ქურდობის ფაქტობრივად დასრულებამდე დამხ-

---

1234 „სუქცესიური თანაამსრულებლობის" შესახებ იხ. *გამყრელიძე* (1974), გვ. 114. გამყრელიძე ე. წ. შენადგენ დანაშაულებში, როგორიც არის, მაგალითად, ყაჩაღობა, უარყოფს „სუქცესიურ თანაამსრულებლობის" შესაძლებლობას, იხ. *გამყრელიძე* (1974) გვ. 117. დასახელებული შეხედულება, შესაძლებელია, არ იქნეს გაზიარებული, რადგან არის ისეთი „შენადგენი დანაშაულები", როგორიც არის, მაგალითად, გაუპატიურება, სადაც „სუქცესიური თანაამსრულებლობა" სრულებით შესაძლებელია. მაგალითად, ა. ძალის გამოყენებით შეეცადა არასრულწლოვანი ბ.-ს გაუპატიურებას, მაგრამ ძლიერი დაძაბულობის გამო, მან ვერ მოახერხა სქესობრივი აქტის განხორციელება, რის გამოც, მან მოუხმო დ.-ს, (მასთან წინასწარ არ ყოფილა შეთანხმებული), ხოლო ამ უკანასკნელმა ა.-ს მიერ გაკავებულ დ.-თან დაამყარა სქესობრივი კავშირი. ამრიგად, ე. წ. შენადგენ დანაშაულებში გაუმართლებელია „სუქცესიური თანაამსრულებლობის" შესაძლებლობის ერთმნიშვნელოვნად უარყოფა.

1235 იხ. *Krey, Esser*, AT (2012), გვ. 444-445.

მარის ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზეზობრიობიდან მის გამოთიშვას ადასტურებს, შესაძლებელია, **იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებით დასაბუთდეს.**

დამხმარის მხრიდან გაცხადებული ნებაყოფლობითი უარი, რომ იგი აღარ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში და იმის რწმენა, რომ მისი მონაწილეობის გარეშე დანაშაული არ დამთავრდება, თავისთავად არ წარმოადგენს ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარის პირობას, თუკი ამსრულებელი, დამხმარის მიერ დანაშაულის ჩადენაში შეტანილი „წვლილის" წყალობით, ბოლომდე მიიყვანს დანაშაულს.

მაგალითად, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასეთი კაზუსია მოყვანილი, ა. ქურდობის მიზნით, მაღაზიის მეპატრონის გასაღები გადასცა ბ.-ს, თუმცა მოგვიანებით ა.-მ მაღაზიის გაქურდვა გადაიფიქრა. იგი დაუკავშირდა ბ.-ს და პირობა ჩამოართვა, რომ იგი არაფერს არ მოიმოქმედებდა, თუმცა ბ.-ს დაპირება მოჩვენებითი იყო, რადგან მან აღნიშნული გასაღების დახმარებით ქურდობა მაინც განახორციელა.[1236]

მოცემულ შემთხვევაში, ა. უნდა დაისაჯოს ქურდობაში თანამონაწილეობისათვის.[1237] იგი მხოლოდ მაშინ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ ბ.-ს დაპირებას კატეგორიული ხასიათი ექნება. მაშასადამე, როდესაც ა. გადააფიქრებინებს ბ. დანაშაულის ჩადენას, თუმცა მხოლოდ ამის შემდეგ, ახლად წარმოშობილი განზრახვის საფუძველზე ბ. ა. მიერ გადაცემული გასაღების დახმარებით განახორციელებს დანაშაულს. ამ შემთხვევაში, ა.-ს დაუსჯელობა ეფუძნება იმას, რომ ახლად წარმოშობილი განზრახვა ახალ უმართლობას აფუძნებს, რომელშიც ა. არ მონაწილეობს.[1238]

ნებაყოფლობით ხელის აღების **მეხუთე პირობა** მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადებაში. აქ საუბარია იმაზე, რომ, თუ **ფიზიკურმა დამხმარემ** ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა ამსრულებლისათვის ან სხვა თანამონაწილისათვის გადაცემული იარაღი ან სხვა საშუალება, იგი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დამხმარე, დანაშაულის დაწყებამდე ან დაწყების შემდეგ, ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს ჯერ გადასცემს იარაღს, რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის (ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი), ან სხვა საშუალებებს, რომელშიც იგულისხმება ყველა ის საგანი, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩასადენად, მათ შორის, სათამაშო საშუალებები, ცხოველები და ა. შ. ხოლო ამის შემდეგ, დამხმარე უკან იბრუნებს მათ სხვადასხვა გზით. იგი შეიძლება გამოიხატოს ძალით ან ნებით გამორთმევაში, დამალვაში და სხვ. ამ ნორმის მიზანია, რომ დამხმარე გამოეთიშოს იმ მიზეზობრივ ჯაჭვს, რომელშიც თავად იყო ჩართული და დანაშაულის დამთავრებისაკენ იყო მიმართული.

სწორედ ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება ის **დამხმარე**, რომელიც, მართალია, უკან იბრუნებს დამნა-

1236 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 581.
1237 შეად. *Vogler*, ZStW (1986), გვ. 345.
1238 იხ. *Roxin*, AT (2003), გვ. 582.

შავისათვის გადაცემულ საშუალებას, მაგრამ იგი მაინც ვერ აღწევს თავს იმ მიზეზობრივ ჯაჭვს, რომელშიც იგი თავდაპირველად თავისი ქმედებით ჩაერთო. მაგალითად, ა. ბ. ქურდობის ჩადენამდე გამოართვა გასაღები ნაქურდალის შესანახად. ბ. მისცა ა.-ს გასაღები, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულში დახმარება და დაიბრუნა გასაღები. თუმცა, გასაღების დაბრუნებამდე ა.-მ ჩუმად დაამზადა ასლი, რის შედეგადაც მან მაინც მოახერხა ბინაში ნაქურდალი ნივთების შენახვა.[1239]

ამ შემთხვევაში, ფიზიკური დამხმარე, მართალია, არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ მას შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქდება სასჯელი. სისხლის სამართლის დოგმატიკაში სამართლიანად არის მითითებული, რომ პასუხისმგებლობის შემსუბუქება ფიზიკური დამხმარისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.[1240]

მართალია, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილში კანონმდებელი მხოლოდ ორგანიზატორს, ნამქეზებელს და ფსიქიკურ დამხმარეს ჰპირდება, რომ სასამართლომ, შედეგის გამოწვევის მიუხედავად, მათ მიერ მიღებული ზომები, შეიძლება, სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, მაგრამ ფიზიკური დამხმარის მიმართ ამ ნორმის გამოყენება პიროვნების სასარგებლოდ **ანალოგიის გამოყენების კარგი მაგალითია.**

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ კანონმდებელი ამ ნაწილში მოსამართლეს არ ბოჭავს, არამედ აძლევს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას, შეუმსუბუქოს თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან უარი უთხრას ყოველგვარ შემსუბუქებაზე. მაშასადამე, აღნიშნული ნორმა თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქების აბსოლუტურ გარანტიებს არ აძლევს.

შეიძლება თუ არა, რომ თანამონაწილეებმა დანაშაულზე აიღონ ხელი როგორც **მოქმედებით,** ისე **უმოქმედებით?** სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის თანახმად, ნამქეზებელს და ფსიქიკურ დამხმარეს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეეძლო მხოლოდ მოქმედებით, ხოლო დამხმარეს, გამონაკლისი სახით, შეეძლო უმოქმედობითაც შეენყვიტა დანაშაულებრივი საქმიანობა.[1241] ანალოგიური აზრი ვითარდება შემდგომი პერიოდის სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერის ნაშრომებში,[1242] თუმცა ეს პოზიცია სისხლის სამართალში გაზიარებული არ არის. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნამქეზებელს შეუძლია დანაშაულზე უმოქმედობით აიღოს ხელი მაშინ, როდესაც იგი ამას გადაწყვეტს მანამ, ვიდრე ბოლომდე დაარწმუნებს ამსრულებელს, რომ მან ჩაიდინოს დანაშაული.[1243] ასევე, ფიზიკურ დამხმარეს შეუძლია უმოქმედობით აიღოს ხელი

1239 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 342; *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 652.
1240 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 176.
1241 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 244-245.
1242 იხ.: *სულაქველიძე* (1992), გვ. 201; *მახარაძე* (2006), გვ. 215.
1243 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 173.

დანაშაულზე.[1244]

რაც შეეხება თანაამსრულებელს, მან შეიძლება დანაშაულზე ხელი აიღოს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მაგალითად, ა. გააკავა დ., ხოლო ბ. შეეცადა მის გაუპატიურებას. მაგრამ, სქესობრივი აქტის დაწყებამდე ა. გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და მსხვერპლს ხელი გაუშვა. ამის მიუხედავად, ბ. მაინც შეძლო დ. გაუპატიურება.[1245]

ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ა. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხელს გაუშვებს დაზარალებულს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი მეორე თანაამსრულებელს ნინააღმდეგობას გაუწევს, გადაეფარება დაზარალებულს და ამგვარად არ მისცემს მეორე ამსრულებელს დანაშაულის დამთავრების საშუალებას. მაშასადამე, აქტიური ქმედებით აიღებს ხელს დანაშაულზე.[1246]

ამის გარდა, ზემოთ მოცემულ მსჯელობაში დასაზუსტებელია ზოგიერთი საკითხი. **ჯერ ერთი,** გაუპატიურების დროს, როდესაც ა. დაზარალებული ძალის გამოყენებით ძირს დაანვინა, ხოლო ბ.-მ დაზარალებულს დაუწყო ტანსაცმლის გახდა და ამის შემდეგ, ა. გადაიფიქრა დანაშაულში მონაწილეობა და ხელი გაუშვა ნაქცეულ დაზარალებულს, ხოლო ბ. დანაშაული ბოლომდე განახორციელა, ა. გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თუ დადგინდება, რომ ბ., ა. მონაწილეობის გარეშე, უპრობლემოდ შეძლებდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მეორე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, რომ, თუ თანაამსრულებელი გაუპატიურების დაწყებამდე წამქეზებლის როლში გამოვიდა, ხოლო შემდგომ თანაამსრულებლის ფუნქცია შეასრულა და დანაშაულის დამთავრებამდე უმოქმედობით შეწყვიტა დანაშაულში მონაწილეობა, დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდება, რადგან აქ, ზემოთ დასახელებული შემთხვევისაგან განსხვავებით, გადამწყვეტია მიზეზობრივი ჯაჭვიდან გათიშვის საფუძველზე, შედეგის თავიდან აცილება.

ა. ნააქეზა ბ. გაუპატიურების ჩასადენად. შემდეგ ა. თავადაც ჩაერთო დანაშაულის უშუალო განხორციელების პროცესში, კერძოდ, ხელები გაუკავა დაზარალებულს, ხოლო შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულის დამთავრება და ხელი გაუშვა მსხვერპლს.

ამ შემთხვევაში, ა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება, რადგან მისი პირველი ქმედება, კერძოდ, დაყოლიება მიზეზობრივად არის დაკავშირებული შედეგთან.

ვინაიდან, დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა სამართლებრივ სიკეთეს უფრო დიდი საშიშროების წინაშე აყენებს, ვიდრე ერთი პირის მონაწილეობა, ამიტომ, შესაბამისად, თანამონაწილეთა (თანაამსრულებელთა) მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს უფრო მკაცრი მოთხოვნები არის გათვალისწინებული. ამდენად, თუ დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე ნებაყოფლობით

1244 იხ. *მჭედლიშვილი-პედრიხი* (2011), გვ. 116.
1245 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 177.
1246 იხ. *გამყრელიძე* (1974), გვ. 157.

აქტიურად ხელს შეუშლის დანაშაულის შემდგომ განხორციელების პროცესს, მასთან ერთად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან ის მონაწილენიც, რომლებიც შეთანხმდებიან ამის შესახებ, მაგალითად, ა. ბ. და გ. ერთობლივად განიზრახეს დ.-ს სახლის დაწვა. ა. ბენზინით გაჯერებული ნაჭერი სახლის სარდაფში აანთო. თუმცა შემდგომ მათში სინანულის გრძნობამ გაიღვიძა და შეთანხმების თანახმად, ბ. კვლავ შევიდა სარდაფში და ჩააქრო ცეცხლი, ვიდრე იგი მთელს სახლს მოედებოდა. მოცემულ მაგალითში, მართალია, დ.-ს სახლი ბ.-ს აქტიური მოქმედებით გადარჩა დაწვას, მაგრამ, ამის მიუხედავად, დანარჩენი მონაწილენიც გათავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.[1247]

შესაძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღებად შეფასდეს ა. და გ. ქმედება მაშინაც, როდესაც, მართალია, ისინი ბ.-სთან არ შეთანხმებულან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თაობაზე, მაგრამ, როდესაც ბ.-მ გადაწყვიტა სარდაფში ანთებული ნაჭერი ჩაექრო და ამისათვის აქტიური მოქმედება დაიწყო, ა.-ს და გ.-ს მისთვის ხელი არ შეუშლია, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ ამის შესახებ და შეეძლოთ კიდეც აღეკვეთათ ბ.-ს ქმედება.

თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს ზოგჯერ თანაამსრულებელი ან თანამონაწილე აღმოჩნდებიან **აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში**. ეს მაშინ ხდება, როდესაც თანამონაწილე (თანაამსრულებელი) ნებაყოფლობით ხელს იღებს დანაშაულზე და სხვა თანამონაწილეს (თანაამსრულებელს) ძალის გამოყენებით აიძულებს შეწყვიტოს დანაშაულის განხორციელება. ამ შემთხვევაში, ხელის ამღებმა შესაძლებელია, გარკვეული დაზიანებებიც კი მიაყენოს თანამონაწილეებს, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, პირველ რიგში, ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, ხოლო მეორე რიგში, მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, კერძოდ, აუცილებელი მოგერიების საფუძველზე.[1248]

მოცემული მსჯელობა ბადებს ერთ საინტერესო შეკითხვას, კერძოდ, რამდენად შეუძლია ხელის ამღებს ისარგებლოს აუცილებელი მოგერიების უფლებით მაშინ, როდესაც იგი, თავდაპირველად, აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს, ხოლო ამის შემდგომ, ნებაყოფლობით ხელის აღების მიზნით, თანაამსრულებლის მიმართ იყენებს აუცილებელი მოგერიების უფლებას და აზიანებს მას. ასე, მაგალითად, ა. და ბ. განიზრახეს დ. მოკვლა. ამ მიზნით, ა.-მ ესროლა დ.-ს და დაჭრა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ხოლო ბ.-მ ააცილა. ბ.-ს უნდოდა მეორეჯერ ესროლა დ., მაგრამ ა. ამის საშუალება არ მისცა. ბ.-ე ჯიუტად ცდილობდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, რის გამოც, ა.-მ მის მიმართ ძალა გამოიყენა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა.

დასახელებული მაგალითის მიხედვით, ბ. დაისჯება განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ხოლო ა.-ს, ნებაყოფლობით ხელის აღების გათვალ-

---

1247 იხ.: *Heinrich*, AT (2012), გვ. 357; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი* (2011), გვ. 116.
1248 იხ.: *სულაქველიძე* (1992), გვ. 213; *გამყრელიძე* (1974), გვ. 157.

ისნინებით, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე პასუხისმგებლობა დაეკისრება დ. მიყენებული ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის.

ამასთან, საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს ა. ქმედება ბ.-ს მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, ნებაყოფლობით ხელის აღების მიუხედავად, ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი არ ისპობა, აქედან გამომდინარე, ა. დამნაშავეა, მით უმეტეს, რომ მან დ.-ს ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა. ამის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეს აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება (აუცილებელი დახმარების უფლება). აქედან გამომდინარე, ამ უფლებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ჩეულებრივ პირებს, ასევე დამნაშავეებს (**დამნაშავის მიერ აუცილებელი მოგერიების უფლებით სარგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით**).

დამნაშავეს ასევე აქვს დამნაშავის შეპყრობის უფლებაც (**დამნაშავის მიერ დამნაშავის შეპყრობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით**).

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ **შუალობითი ამსრულებლობის** დროს ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიურ მოქმედებას მოითხოვს. ამის მაგალითად კი მოყვანილია ასეთი შემთხვევა: ა. მცირენლოვან ბ. გადასცა იარაღი და დაარიგა, სად უნდა მისულიყო და ვინ უნდა მოეკლა, მაგრამ დანაშაულის დამთავრებამდე ა.-მ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და მცირენლოვანს გამოართვა იარაღი, რითაც ხელი შეუშალა დანაშაულის ჩადენაში.[1249]

მართალია, ამ შეხედულების თანახმად, შუალობითი ამსრულებელი დანაშაულზე აქტიური ქმედებით იღებს ხელს, მაგრამ აქაც დასახელებული პოზიცია არ შეიძლება აბსოლუტურ შეხედულებად ჩაითვალოს, რადგან პრაქტიკაში შეიძლება შუალობითი ამსრულებლობის ისეთი შემთხვევები არსებობდეს, სადაც შუალობითი ამსრულებელი **უმოქმედობითაც** იღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე. მაგალითად, ა. მისცა მცირეწლოვან ბ. იარაღი დ.-ს მოსაკლავად, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და „ბრმა იარაღს" აღარ მიუთითა კონკრეტული ადგილი, სადაც დ. იმყოფებოდა. მაშასადამე, ა. პასიურობა სხვა არაფერია, თუ არა შუალობითი ამსრულებლის მიერ დანაშაულის მომზადების სტადიაზე უმოქმედობით ნებაყოფლობით ხელის აღება.

§2. შეჯამება

მაშასადამე, თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტზე მსჯელობის დროს გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

***პირველი*, თანამონაწილეობის, თანაამსრულებლობისა და შუალობითი ამსრულებლობის** შემთხვევაში დანაშაულზე ხელის აღება, შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.

1249 იხ. *გამყრელიძე* (2008), გვ. 177.

მეორე, თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება თეორიულად დასაშვებია იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე. ამიტომ, ამ აზრის პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელია სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილში გარკვეული ცვლილების განხორციელება, კერძოდ, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნანილის მე-2 წინადადება, მიზანშეწონილია, ასე ჩამოყალიბდეს: „... **დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დასრულებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება**".

მესამე, დამნაშავეს შეუძლია ისარგებლოს აუცილებელი მოგერიებისა და დამნაშავის შეპყრობის უფლებით ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, რასაც, შესაძლებელია, პირობითად ეწოდოს: დამნაშავის მიერ დამნაშავის შეპყრობა და დამნაშავის მიერ აუცილებელი მოგერიების უფლებით სარგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით.

თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანაშაულის შემადგენლობის აგებულებაზე, მის საკანონმდებლო განსაზღვრულობაზე.[1250] დელიქტის სახეების კვლევა აჩვენებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის შემადგენლობები არ გვანან ერთმანეთს და მათი სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმებიც განსხვავებულია. ზოგიერთი დელიქტის მომზადება და მცდელობა სავსებით შესაძლებელია. ასეთია, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა. მაგრამ არის ისეთი დელიქტები, სადაც, როგორც მომზადება, ასევე მცდელობა შეუძლებელია, ასეთია, მაგალითად, სსკ-ის 129-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დაუხმარებლობისათვის. ამის გარდა, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია დელიქტის ისეთი სახეები, სადაც შეუძლებელია მომზადება, ხოლო მცდელობა დასაშვებია, მაგალითად, სსკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ანდა პირიქით, მცდელობა შეუძლებელია, ხოლო მომზადება შესაძლებელი, მაგალითად, სსკ-ის 224-ე მუხლით გათვალისწინებული ბანდიტიზმი.

ისმის შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება იმ განზრახ დელიქტებში, რომლებსაც დანაშაულის მომზადება და მცდელობა არ გააჩნია? ამ კითხვას გერმანიის სისხლის სამართალი ასეთნაირად პასუხობს, რომ, თუ კი დასაშვებია, დანაშაულის მომზადების მცდელობა,

1250 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 145.

მაშინ დასაშვებია ნებაყოფლობით ხელის აღება გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის მიხედვით.[1251] პირიქით, თუ მოსამზადებელი **დანაშაული ფორმალურად უკვე დამთავრებულია**, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა აღარ არსებობს და, შესაბამისად, გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის გამოყენების აუცილებლობაც აღარ წარმოიშობა. ამიტომ, ისეთი მოსამზადებელი ქმედებები, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა (გერმანიის სსკ-ის 96-ე პარაგრაფი), ე. ი. როდესაც დამნაშავე გაცემის მიზნით სახელმწიფო საიდუმლოს აგროვებს, ასევე აგრესიული ომის მომზადება (გერმანიის სსკ-ის მე-80 პარაგრაფი) და სახელმწიფო გადატრიალების მომზადება (გერმანიის სსკ-ის 83-ე პარაგრაფი), როგორც უკვე ამის შესახებ დანაშაულის მომზადების კარში იყო აღნიშნული, დამთავრებულად ითვლება მოსამზადებელი სტადიის მომენტიდან, ამიტომ ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის ადგილი აღარ რჩება. თუმცა აღიარებულია, რომ, შესაძლებელია, ამ დანაშაულებში ადგილი ჰქონდეს უვარგის მცდელობას.[1252]

რაც შეეხება ნმინდა შეკვეცილ-ფორმალურ დანაშაულებს (მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 81-ე, 82-ე, 108-ე „ე" პარაგრაფები, ასევე 275-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი, 307-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი, 309-ე პარაგრაფის 1-ლი და მე-2 აბზაცები, 357-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცი და ა. შ.), ნებაყოფლობით ხელის აღება გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის ფარგლებში გამორიცხულია.[1253]

მაშასადამე, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღება სწორედ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე ხორციელდება და, ამდენად, ლოგიკურია, რომ დელიქტს, რომელსაც ასეთი სტადიები არ გააჩნია, შეუძლებელია, იქ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი.[1254]

§1. უმოქმედებით ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი არეგულირებს როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით განხორციელებულ ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევებს. მაგალითად, დ. ხიდის აფეთქების მიზნით ბომბი დაამონტაჟა და ცეცხლი მოუკიდა ფითილს, რომელიც ორ საათში უნდა აფეთქებულიყო. ნახევარი საათის შემდეგ, დამნაშავე ვითარების შესამოწმებლად შემთხვევის ადგილზე მივიდა და ფითილი ჩამქვრალი დახვდა. ამის შემდეგ, დამნაშავემ ფითილს ხელახლა აღარ მოუკიდა ცეცხლი, რადგან მან ადგილზე გადაიფიქრა ხიდის აფეთქება.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს,

1251 იხ. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), გვ. 87.

1252 იხ.: *Fischer* (2012), გვ. 760, 764, 828-829; *Schönke, Schröder* (2010), გვ. 407; *Jescheck, Weigend*, AT (1996), გვ. 524.

1253 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 121.

1254 განსხვავებული შეხედულების შესახებ იხილეთ ქვემოთ.

რომ დამნაშავემ, მართალია, ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, „მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი". ნორმის ახსნა-განმარტების ხერხების საფუძველზე დასტურდება, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი თანაბრად ვრცელდება როგორც **მოქმედებით**, ასევე **უმოქმედობით** ხელის აღების ფაქტებზე. სიტყვა-სიტყვითი და ლოგიკური განმარტების ხერხებზე დაყრდნობით, ტერმინი „**ქმედება**" თავის თავში მოიცავს როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობას, ხოლო ნორმის ***ისტორიული ახსნა-განმარტების მეთოდი***, რომლის მიხედვით, ნორმა იკითხება კანონმდებლის ისტორიული ნებიდან გამომდინარე,[1255] მიუთითებს იმაზე, რომ ნორმის სწორად გაგებისათვის ნორმის წამკითხველი აუცილებლად უნდა გაეცნოს ნორმის ძველ რედაქციას, შეადაროს იგი ახალ ნორმას და ამის შემდეგ გააკეთოს დასკვნები.[1256] მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი ნებაყოფლობით ხელის აღებად თვლიდა ისეთ შემთხვევას, სადაც დამნაშავემ, მართალია, ყველაფერი გააკეთა შედეგის მისაღწევად, „მაგრამ შემდეგ მოვლენათა მსვლელობაში ნებაყოფლობით **აქტიურად ჩარევით თავიდან აიცილა ეს შედეგი**", ხოლო 2000 წლის 5 მაისს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სიტყვები „ნებაყოფლობით აქტიურად ჩარევით" შეიცვალა სიტყვებით „**ნებაყოფლობითი ქმედებით**". ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელმა **სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილში ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩათვალა შედეგის, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით თავიდან აცილების შემთხვევები.**

აქედან გამომდინარე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება **მომზადების სტადიაზე**, შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე სახეზეა ´მაშინ, როდესაც დამნაშავე ჯერ კიდევ პირობების შექმნის პროცესში უარს ამბობს დანაშაულებრივი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებაზე, ანუ პირობების შემდგომ შექმნაზე.[1257] ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიური ქმედებით შესაძლებელია მაშინ, როდესაც, დამნაშავემ დანაშაულის ჩასადენად შექმნა გარკვეული პირობები, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და ამ მიზნით განახორციელა მართლზომიერი მოქმედება. მაგალითად, ა. მკვლელობის ჩასადენად სახლიდან წაიღო იარაღი და დამალა გზის პირას. სამი დღის შემდეგ, იგი იმ გზაზე აპირებდა ჩასაფრებას, სადაც დაზარალებულს უნდა გაევლო. ერთი დღის შემდეგ, ა.-მ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა, მივიდა სამალავთან და სახლში წაიღო დანაშაულის ჩასადენად გამზადებული იარაღი.

ნებაყოფლობით ხელის აღება პასიური ქმედებით მაშინ არის სახეზე, როდესაც დამნაშავე გადაიფიქრებს დანაშაულის შემდგომ განხორციელებას და აღარ იმოქმედებს. მაგალითად, ა. მკვლელობის მიზნით მეორე დღეს აღარ მივიდა საფარში.

თუმცა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე დანაშაულის

1255 იხ. *გვენეტაძე, ტურავა* (2005), გვ. 49-50.
1256 იხ. *სავანელი* (2008), გვ. 26.
1257 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 223.

მომზადების სტადიაზე უმოქმედობით ვერ მოახერხებს ხელის აღებას, არამედ აუცილებელია მან ამისათვის რაღაც მოქმედება განახორციელოს. მაგალითად, თუ პირმა ჩამოაყალიბა ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად და არსებობს საშიშროება იმისა, რომ ამ ჯგუფს დამოუკიდებლად შესწევს დანაშაულის ჩადენის უნარი, მაშინ ამ პირმა ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა ხელი შეუშალოს ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობას. მაშასადამე, პირმა უნდა შეძლოს მიზეზობრივი ჯაჭვის განვითარების შეწყვეტა.[1258]

ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ანალოგიურად უნდა შეფასდეს დანაშაულის **მცდელობის** დროსაც. ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული პოზიციის თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღება, შესაძლებელია, როგორც ***დაუმთავრებელი,*** ასევე ***დამთავრებული მცდელობის*** სტადიაზე.[1259] თუმცა, აქ ერთი საკითხი იწვევდა აზრთა სხვაობას. ადრეული ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა თვლიდა, რომ დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელი იყო უმოქმედობით, ხოლო დამთავრებული მცდელობის სტადიაზე შეუძლებელი იყო ნებაყოფლობით ხელის აღება პასიური ქმედებით. ამის საილუსტრაციოდ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დასახელებულია ასეთი მაგალითი: ა. მკვლელობის მიზნით ესროლა ბ. და ააცილა. ამის შემდეგ, ა. მეორედ აღარ უცდია გასროლა. ზემოთ დასახელებული შეხედულების თანახმად, აქ ნებაყოფლობით ხელის აღებას არა აქვს ადგილი, არამედ სახეზეა დამთავრებული მცდელობა.[1260]

ანალოგიური პოზიცია გააჩნია ზოგიერთ გერმანელ მეცნიერს. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დამნაშავეს შეუძლია მხოლოდ აქტიური მოქმედებით, რათა ხელი შეუშალოს დანაშაულის დამთავრებას.[1261]

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება სამართლიანად უარყოფს საკითხისადმი ამგვარ მიდგომას და თვლის, რომ დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დამნაშავეს შეუძლია ხელი აიღოს როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით.[1262]

მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღების დროს თუ დამნაშავე უშუალოდ ერთვება მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში და აქტიური ქმედებით ცვლის მის ძირითად ხაზს, ადგილი აქვს ნებაყოფლობით ხელის აღებას **მოქმედებით**. მაგალითად, დ. ხიდის აფეთქების მიზნით, დაამონტაჟა ბომბი და ცეცხლი მოუკიდა ფითილს. ბომბი ორ საათში უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ ნახევარი საათის გასვლის შემდეგ, დ.-მ გადაიფიქრა ხიდის აფეთქება, დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე და ჩააქრო ცეცხლი. მაშასადამე, დ.-მ შეაჩერა მიზეზობრივი კავშირის განვითარება **აქტიური ქმედებით**, რის შედეგად თავიდან აიცილა მავნე შედეგი. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სურვი-

---

1258 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 161-162.

1259 იხ. *ტურავა* (2013), გვ. 316.

1260 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 223-224.

1261 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 631.

1262 იხ.: *ტურავა* (2013), გვ. 317-318; *დვალიძე*, ზოგადი ნაწილი (2007), გვ. 178.

ლის მიუხედავად, დამნაშავე უშუალოდ ვერ ახერხებს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ჩართვას, თუმცა დანაშაულებრივი შედეგი მაინც არ დგება. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ კაზუსში, როდესაც დ. ფითილის ჩასაქრობად შემთხვევის ადგილზე ნახევარი საათის შემდეგ მივიდა, ნახა, რომ ცეცხლი წვიმას ჩაექრო. აქედან გამომდინარე, ისმის შეკითხვა: როგორ უნდა შეფასდეს დ. ქმედება, როგორც დანაშაულის მცდელობა, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება? სისხლის სამართლის ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები სსკ-ის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილით პირდაპირ არ რეგულირდება, ისინი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა შეფასდეს.[1263] შესაძლებელია, აქ საკითხი გადაწყდეს დამნაშავის სასარგებლოდ **ანალოგიის საფუძველზე**. თუმცა დასახელებულ მაგალითში, ერთი შეხედვით, თითქოს ადგილი აქვს შედეგის თავიდან აცილებას **უმოქმედობით**, მაგრამ, რადგან დამნაშავე შეეცადა ჩარეულიყო მიზეზობრიობაში, ამიტომ აქ სახეზეა ე. წ. ჰიპოთეტური მოქმედება.

§2. ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი უვარგისი მცდელობისა და ე. წ. ხელშეშლილი მცდელობის დროს

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულზე ხელის აღება მხოლოდ მაშინ ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს, როდესაც დამნაშავეს დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობის სტადიაზე არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვს. ერთი მხრივ, დამნაშავეს შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ხოლო მეორე მხრივ, მას შესაძლებლობა აქვს, უარი თქვას დანაშაულის ჩადენაზე. მაშასადამე, როდესაც დამნაშავემ იცის, რომ მას შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული, მაგრამ მას ეს არ უნდა, ახორციელებს ნებაყოფლობით ხელის აღებას. მაგალითად, ა. მოკვლის განზრახვით სანადირო თოფს უმიზნებს ბ., მაგრამ დაზარალებული შეეცოდება და გადაიფიქრებს მის მოკვლას. დამნაშავეს დამიზნების მომენტში შეეძლო ჩახმახისათვის თითი გამოეკრა და განზრახვა სისრულეში მოეყვანა, რაშიც მას არავინ და არაფერი ხელს არ უშლიდა, მაგრამ ამის გაკეთება მას არ უნდოდა. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს უნდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ფიქრობს, რომ ობიექტური გარემოებების გამო ეს შეუძლებელია, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღებას არ ექნება ადგილი, მაგალითად, ა. ქურდობის მიზნით შევიდა საწყობში, მაგრამ ის ნივთები არ დახვდა, რომლის მოპარვაც მას სურდა, ანდა ა. სხვის ჯიბეში ხელი ჩაყო, მაგრამ ჯიბე ცარიელი აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევებს, როგორც უკვე უვაგისი მცდელობისა და ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური დახასიათებისას აღინიშნა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ***„ხელშეშლილი მცდელობის“*** სახელწოდებით მოიხსენიებენ, სადაც მცდელობაზე ხელის აღება

1263 იხ. ტურავა (2013), გვ. 321-322.

შეუძლებელია.[1264] მაშასადამე, დასახელებულ მაგალითებში ა. ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად არ განიხილება, რადგან, ჯერ ერთი, დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ობიექტურად შეუძლებელია, რაც ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთებისთვის აუცილებელი პირობაა, და მეორე, დამნაშავისათვის ცნობილია დანაშაულის განხორციელების ობიექტური შეუძლებლობის შესახებ.

„ხელშეშლილ მცდელობასთან" დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობისაგან განსხვავებით, „ხელშეშლილ მცდელობაზე" ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია.[1265] თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ „ხელშეშლილი მცდელობა" მცდელობის სხვა სახეა. მცდელობა ან დაუმთავრებელია ან დამთავრებული და სხვა არაფერი. ამრიგად, „ხელშეშლილი მცდელობა" მცდელობის უფრო **თვისობრივი მახასიათებელია**, ხოლო დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა მცდელობის უფრო რაოდენობრი (ხარისხობრივი) მხარეა.

გერმანულ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკაში „ხელშეშლილი მცდელობის" და ნებაყოფლობით ხელის აღების გამიჯვნის პრობლემატიკა საკმაოდ აქტუალურია. იმის დადგენას, რომ ქმედება „ხელშეშლილ მცდელობას" წარმოადგენს, დიდი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. მაგალითად, ადრეულ სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც ე. წ. ხელშეშლილი მცდელობის ცნებას არ იცნობდა და ამ შემთხვევას სხვა ტერმინით გამოხატავდა, მაგალითად, **„არანებაყოფლობით ხელის აღება"**, ქმედებას ზოგჯერ „ხელშეშლილ მცდელობად" აკვალიფიცირებდა და ზოგჯერ ნებაყოფლობით ხელის აღებად აფასებდა, მაგალითად, ა. სურს სხვისი ეზოდან ბურთის მოპარვა. ამ მიზნით, ა. შეივიდა ეზოში, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, როდესაც რეზინის ბურთის ნაცვლად, ხის ბურთი შერჩა ხელში. ა.-მ ხის ბურთი ისევ უკან დადო, რადგან მას მხოლოდ რეზინის ბურთის მოპარვა უნდოდა. ა. ქმედება სასამართლომ ნებაყოფლობით ხელის აღებად მიიჩნია, რაც გერმანული დოგმატიკის მხრიდან კრიტიკის ობიექტად იქცა. ამ საკითხზე მეცნიერები მიუთითებენ, რომ ა. ქმედებაში ადგილი ჰქონდა ე. წ. ხელშეშლილ მცდელობას და სასამართლოს იგი ქურდობის მცდელობად უნდა შეეფასებინა.[1266]

გერმანულმა სასამართლომ ასევე უარყო დ. ქმედებაში ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი შემდეგ შემთხვევაში: დ. სასწრაფოდ ესაჭიროებოდა 300 ევრო. ამ მიზნით, მან სხვისი შემნახველი სალარო გატეხა, მაგრამ სალაროში მხოლოდ 30 ევრო აღმოჩნდა. დ. 30 ევროს ხელი არ მოკიდა, ისე დატოვა იქაურობა. სასამართლო მსჯელობისას საინტერესოდ გამოყოფს ერთ მომენტს, კერძოდ, დ.-ს რომ მაშინვე არ დასჭირვებოდა 300 ევრო, არამედ მას უბრალოდ სდომებოდა ფულის მოპარვა და ამ შემთხვევაში, მცირე თანხის გამო, უარი ეთქვა მის აღებაზე, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ დ.-ს ქმედებაში ადგილი ჰქონოდა ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს[1267] და, შესაბამისად,

---

1264 იხ.: *წერეთელი* (1961), გვ. 225-526; *Roxin*, AT (2003), გვ. 491.
1265 იხ. *Wörner* (2009), გვ. 290.
1266 იხ. *Roxin*, NStZ (2009), გვ. 320.
1267 იხ. *BGHSt* 4, გვ. 56-60.

„ხელშეშლილი მცდელობაც“ არ იქნებოდა სახეზე.[1268]

გერმანიის მინის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი უარყო და დამნაშავის ქმედება „ხელშეშლილ მცდელობად“ შეაფასა. კაზუსის ფაბულა ასეთია: ა. ესროლა ბ. ცეცხლსასროლი იარაღიდან და დაჭრა. დამნაშავეს ეგონა, რომ მიზანს მიაღწია, მაგრამ, როდესაც დაზარალებული დაინახა ცოცხალი, უთხრა, რომ მას გამოძიებისათვის არ მიეცა სნორი ჩვენება და ის ბ. გადასარჩენად ყველაფერს გააკეთებდა. ბ. დაპირდა ა.-ს, რომ მის ნინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემდა, რის შემდეგაც, ა.-მ შეატყობინა ბ.-ს ნაცნობებს, რომ ბ.-ს ოთახიდან გასროლის ხმა გაიგონა. ბ.-ს ნაცნობები შევიდნენ მის ოთახში და ეს უკანასკნელი საავადმყოფოში წაიყვანეს, რის შედეგად ბ. სიკვდილს გადაურჩა. ამ საქმეზე გერმანიის სისხლის სამართლის საქმეთა სენატმა სხვა პოზიცია ჩამოაყალიბა, კერძოდ, მან მიუთითა იმაზე, რომ ა.-ს ქმედება „ხელშეშლილ მცდელობად“ არ უნდა შეფასებულიყო, არამედ სასამართლოს ა.-ს ქმედებაში ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი უნდა დაედასტურებინა, გამომდინარე იქედან, რომ დამნაშავეს, გასროლის შემდეგ, იარაღში ტყვიები კიდევ ჰქონდა და თავისუფლად შეეძლო შემდეგი გასროლით დაზარალებული გამოესალმებინა სიცოცხლეს, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.[1269]

გერმანიის სისხლის სამართლის საქმეთა სენატის გადაწყვეტილებიდან, შესაძლებელია, ასეთი დასკვნის გაკეთება, კერძოდ, ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, აუცილებელი არ არის, რომ დამნაშავე მოქმედებდეს კეთილშობილური მოტივებით, არამედ საკმარისია, თუ კი დამნაშავე ნებაყოფლობით იტყვის უარს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, თუმცა მას დანაშაულის ბოლომდე განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს.

გერმანიის მინის სასამართლომ ასევე „ხელშეშლილ მცდელობად“ შეაფასა „დამნაშავის მოტყუების შემთხვევა“. საქმის ფაბულა ასეთია: ა. გაუპატიურების მიზნით თავს დაესხა ბ., როდესაც იგი გვიან საღამოს სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა. როგორც კი ბ.-თვის ნათელი გახდა, რომ ა.-ს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ამიტომ თავდამსხმელის მოტყუებას შეეცადა და უთხრა, რომ ვინაიდან მას მამაკაცებთან დიდი ხანია სქესობრივი კავშირი არ ჰქონია, ამიტომ მეორე დღემდე სთხოვა მოცდა, ვიდრე იგი ამისთვის არ მოემზადებოდა. როდესაც ისინი მეორე საღამოს დანიშნულების ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს, ა. მაშინვე პოლიციამ დააკავა. როგორც უკვე ითქვა, სასამართლომ ა.-ს ქმედება გაუპატიურების მცდელობად შეაფასა და მიუთითა იმაზე, რომ დამნაშავემ ძალადობის გამოყენება იმიტომ კი არ შეწყვიტა, რომ მას გაუქრა გაუპატიურების განზრახვა, არამედ იმიტომ, რომ დაზარალებულთან შეთანხმების საფუძველზე, ძალადობის გამოყენების გარეშე (თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელ ხერხსაც მიმართავდა), შემდგომი ქმედება მის საბოლოო მიზანს შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ა. ქმედებაში ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა გამოირიცხა. გერმანიის მინის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში არ დატოვა უზენაესმა სასამართლომ, რადგან მიიჩნია, რომ ა. ქმედებაში ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობით ხელის

1268 იხ. *Koch-Schlegtendal* (2012). გვ. 52.
1269 იხ. *BGHSt* 33, გვ. 295-297.

აღების ფაქტს. ეს უკანასკნელი მიუთითებდა იმაზე, რომ ა. მეორე ქმედება, როდესაც მან ქალი შეთანხმების თანახმად დათქმულ ადგილზე მიიყვანა, იმდენად განსხვავდება ა. დანაშაულის გეგმისგან, რომ მისი პირველ ქმედებასთან (როდესაც ბ.-ს მიმართ ძალა გამოიყენა) გაიგივება, დაუშვებელია. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ აუცილებელი არ არის ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივები მორალური თვალსაზრისით შეფასდეს.[1270]

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როდესაც **დამნაშავემ არ იცის**, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ობიექტურად შეუძლებელია. მაგალითად, ა. მკვლელობის განზრახვით შევიდა ბ. საძინებელ ოთახში და განახორციელა გასროლა დაზარალებულის საწოლის მიმართულებით, მაგრამ შემდეგ ა.-ს პიროვნებაში სიბრალულის გრძნობამ გაიღვიძა და შეეცადა ბ.-ს გადარჩენას. ამ მიზნით, მან სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა, თუმცა ექიმებმა დაადგინეს, რომ ბ. გასროლამდე რამდენიმე საათით ადრე გულის შეტევით გარდაიცვალა. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ა. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. მაშასადამე, აქ, მთავარია, დამნაშავის რწმენა იმის შესახებ, რომ მას შეუძლია დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, ამიტომ, თუ ხელის ამღებმა არ იცის, რომ იგი იმყოფება უვარგისი მცდელობის სტადიაზე და ნებაყოფლობით აცხადებს უარს დანაშაულის შემდგომ განხორციელებაზე, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ რამდენად სერიოზულად ცდილობს ხელის ამღები შედეგის თავიდან აცილებას. სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ იმაზე, რომ ხელის ამღებმა ძალა არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რათა შედეგი აიცილოს თავიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღებს „უფლება არა აქვს არასაკმარისი ან სულაც ბრიყვული ღონისძიებებით შემოიფარგლოს".[1271]

ვინაიდან გერმანიის სსკ-ის 23-ე პარაგრაფი ცალკე არ არეგულირებს „ხელშეშლილი მცდელობის" დასჯადობის საკითხებს, ამიტომ ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი გერმანელ კანონმდებელს რეკომენდაციას აძლევს იმასთან დაკავშირებით, რომ სსკ-ის 23-ე პარაგრაფს დაემატოს მე-4 აბზაცი, სადაც „ხელშეშლილი მცდელობის" დასჯადობის საკითხი ცალკე იქნება გადაწყვეტილი.[1272]

გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მართალია, პირდაპირ არ მიუთითებს „ხელშეშლილი მცდელობის" დასჯადობასთან დაკავშირებით, მაგრამ სსკ-ის 56-ე მუხლი იძლევა ზოგად რეგულაციებს, რომელიც, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს „ხელშეშლილი მცდელობის" დასჯადობის შემთხვევებში, კერძოდ, სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ზოგადად მიუთითებს იმაზე, რომ „სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი,

1270 იხ. *BGHSt* 39, გვ. 244-248.
1271 *ვესელსი, ბოილკე* (2010), გვ. 381-382.
1272 იხ. *Wörner* (2009), გვ. 296.

რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი".

მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ თუ სახეზეა „ხელშეშლილი მცდელობა", ნებაყოფლობით ხელის აღება გამოირიცხება. მაგრამ, თუ „ხელშეშლილი მცდელობა" არ არის სახეზე, მაშინ უნდა დადგინდეს მცდელობა დამთავრებულია, თუ დაუმთავრებელი. თუ დამნაშავე გამოდის იქედან, რომ შედეგი მისი შემდგომი მოქმედების შედეგად არ დადგება, მაშინ სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა, ხოლო თუ იგი ფიქრობს, რომ შედეგი მისი შემდგომი მოქმედების შედეგად განხორციელდება, მაშინ ადგილი აქვს დამთავრებულ მცდელობას.[1273]

უვარგის მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი გერმანიაში ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში დაისვა. მაშინდელი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით აღიარებულია ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა უვარგისი მცდელობის სტადიაზე. ეს საკითხი დასაბუთებული იყო **„ობიექტური თეორიის"** საფუძველზე, რადგან ცნობილია, რომ უვარგისი მცდელობა ამ თეორიის მიხედვით, დაუსჯელი რჩება, რადგან მას ობიექტურად შედეგის გამოწვევა არ შეუძლია და აქედან გამომდინარე, სამართლებრივ სიკეთესაც არავითარი საფრთხე არ ექმნება.[1274]

უფრო მოგვიანებით, უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი უვარგისი მცდელობის სტადიაზე არაერთგვაროვნად იქნა გადაწყვეტილი. თავად „ობიექტური თეორიის" მომხრეები მხარს აღარ უჭერდნენ ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას უვარგისი მცდელობის სტადიაზე, რადგან მიაჩნდათ, რომ როდესაც უვარგისობას აქვს ადგილი, მცდელობის საკითხი საერთოდ არ დაისმება და, შესაბამისად, ნებაყოფლობით ხელის აღების პრობლემაც დღის წესრიგში აღარ დადგება. თუმცა, ამ შეხედულებას თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართალში საფუძველი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცმა გამოაცალა. ამდენად, თანამედროვე გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დოგმატიკა ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას უვარგისი მცდელობის სტადიაზე აღიარებს, სამაგიეროდ, ამ შესაძლებლობას „ხელშეშლილი მცდელობის" სტადიაზე გამორიცხავს.[1275] ამდენად, როდესაც დამნაშავე შეცდომას უშვებს ობიექტურ გარემოებებში და ჰგონია, რომ შედეგის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა გააჩნია და ამის მიუხედავად, წყვეტს დანაშაულებრივ საქმიანობას, იგი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. მაგალითად, ა. შეცდომით ჰგონია, რომ იარაღში ტყვია კიდევ დევს, თუმცა იგი წყვეტს დანაშაულებრივ საქმიანობას. სხვა ვითარებას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც დამნაშავე ხედავს, რომ მოვლენების შემდგომი მსვლელობისას არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს შედეგის გამოსაწვევად, ამიტომ მისი პასიურობა არა სამართლებრივი სიკეთის შემდგომ დაზიანებაზე უარის თქმით, არამედ მხოლოდ მოვლენების შემდგომი განვითარების შეუძლებლობით აიხსნება. მაგალითად, ა. ესვრის ბ. და ხედავს, რომ მისი ჯავშანჟილეტი ტყვიას არ ატარებს და შეწყვეტს სროლას. როქსინის

1273 იხ. *Koch-Schlegtendal* (2012). გვ. 77.

1274 იხ. *Müller* (1995), გვ. 90.

1275 იხ. *Müller* (1995), გვ. 112-113.

სიტყვებით, რომ ითქვას, მცდელობის ენობრივი არსის მიხედვით, დანაშაულის განხორციელებაზე უარის თქმა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მცდელობის გაგრძელება ჯერ კიდევ შესაძლებელია[1276]

აქედან გამომდინარე, „ხელშეშლილ მცდელობად" არ ითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს სროლის დროს კიდევ ორი ტყვია აქვს და როდესაც დამნაშავე სროლისათვის საუკეთესო პოზიციის დასაკავებლად დაზარალებულს ჯერ კიდევ კვალდაკვალ უნდა მიჰყვეს. დაზარალებულის დაცვის პოზიციიდან გამომდინარე, მცდელობა არ ჩაითვლება „ხელშეშლილ მცდელობად" მაშინ, როდესაც დამნაშავე მცდელობას ჯერ ნარუმატებლად მიიჩნევს, მაგრამ ამის შემდეგ, იგი აღიარებს, რომ შედეგის გამოწვევა შესაძლებელია. მაგრამ, თუ დამნაშავე თავიდან შეცდომით თვლის, რომ ქმედება, რომელსაც ის ახორციელებს, ნარმატებულია და მოგვიანებით იგი თავისი შეცდომის რეალიზებას იწყებს, მხოლოდ ამ მომენტიდან ჩაითვლება ქმედება სუბიექტურად „ხელშეშლილ მცდელობად"[1277]

„ხელშეშლილი მცდელობის" დახასიათების დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს **დამნაშავის ნარმოდგენაზე**, სუბიექტურად მის ნარუმატებლობაზე და არა დანაშაულის დამთავრების ობიექტურ შეუძლებლობაზე.[1278]

აქედან გამომდინარე, „ხელშეშლილ მცდელობაზე" ნებაყოფლობით ხელის აღების გამორიცხვის წინაპირობებისათვის არსებითია ის, რომ დამნაშავის სუბიექტური თვალსაზრისით, მცდელობა ნარუმატებელ ხასიათს ატარებს. სუბიექტურად, მცდელობის ნარუმატებლობა მხედველობაში მიიღება, უპირველეს ყოვლისა, შემდეგ შემთხვევებში:

ა) **დანაშაულებრივი მიზნის მიუღწევლობა**. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება **ფიზიკურად** შეუძლებელია, რადგან სასურველი ობიექტი თავიდანვე არ არსებობს, (მაგალითად, როდესაც დამნაშავე ცარიელ ჯიბეში ხელს ჩაყოფს, ანდა დაზარალებული შემთხვევის ადგილზე არ გამოჩენილა ან იმალება), ან დამნაშავე დაზარალებულის წინაშე გარკვეულ სისუსტეს, შიშს განიცდის და იწყებს კანკალს, დაზარალებულის მოულოდნელი გამოჩენა მასში პანიკას და დაბნეულობას ინვევს, ასევე ცალკეული დანაშაულის საშუალებები უვარგისი აღმოჩნდება (მაგალითად, ბომბი არ აფეთქდა, სეიფი არ გაიჭრა). შესაძლებელია, ასევე ადგილი ჰქონდეს მესამე პირების ჩარევის ფაქტს, რის საფუძველზეც დამნაშავე შედეგის გამოწვევას შეუძლებლად მიიჩნევს. ამის შესაბამისად, წყდება საკითხი მაშინ, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება სამართლებრივად შეუძლებელია.[1279]

ბ) **დანაშაულებრივი გეგმის ნარუმატებლობა**. ეს იმ შემთხვევებს მოიცავს, სადაც, მართალია, დანაშაულის განხორციელება სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამით დასახული მიზანი არ მიიღწევა. მაგალითად, დანაშაულის ობიექტი, იდენტურობაში შეცდომის ან გაურკვევლობის გამო, დანაშაულებრივ გეგმას

1276 იხ. *Jäger* (1996), გვ. 29.

1277 იხ. *Heger*, StV (2010), გვ. 321.

1278 იხ. *Heger*, StV (2010), გვ. 320.

1279 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 437-438.

არ შეესაბამება. მაგალითად, დამნაშავემ გამიზნული ობიექტის ნაცვლად, შეცდომით, ამ უკანასკნელის მეგობარი გააუპატიურა, ანდა როდესაც ქურდობის დროს ნივთს დაზიანების გამო, დაკარგული აქვს ყველანაირი ღირებულება, ან როდესაც დასაყაჩაღებელი დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, ანდა დაზარალებულს მენსტრუაციის გამო, წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ გააჩნია.[1280]

ზოგიერთი მეცნიერი „ხელშეშლილი მცდელობის" არსებობას საერთოდ უარყოფს და აღნიშნავს, რომ კანონმდებელი „ხელშეშლილი მცდელობის" დამოუკიდებელ ფიგურაზე საერთოდ არ მიუთითებს.[1281] ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, კანონმდებელი ასეთ ფიგურას ნათლად არ არეგულირებს,[1282] ხოლო თავად სასამართლო პრაქტიკა უარყოფს „ხელშეშლილი მცდელობის" არსებობას იმ მოტივით, რომ დამნაშავეს თავიდანვე არ ეთქვას უარი ხელის აღების შესაძლებლობაზე. ამიტომ, თანამედროვე გერმანული სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის თეორია „ხელშეშლილ მცდელობას" სსკ-ის 24-ე პარაგრაფის შეუსაბამოდ მიიჩნევს.[1283]

§3. ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი ერთიან დანაშაულებში

ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხის განხილვა ასევე საინტერესოა განგრძობად და დენად დანაშაულებში.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად, ***განგრძობად დანაშაულებში*** ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება შეუძლებელია. განგრძობადი დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი პირველივე აქტის განხორციელებისთანავე **იურიდიულად დამთავრებულ** დანაშაულად ითვლება, ამიტომ სისხლის სამართალში აღიარებული შეხედულების თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის, აქ ადგილი აღარ რჩება. ამისგან განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე მოქმედებს კონკრეტიზებული განზრახვის საფუძველზე და სპეციალური მიზნის მისაღწევად ახორციელებს რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებას, რომელთაგან თითოეული მათგანი დამთავრებულ დანაშაულს არ წარმოადგენს. მაგალითად, ა. უნდა დიდი ოდენობით ქონების დაუფლება. ამ მიზნით იგი ნაწილ-ნაწილ ეუფლება სხვის ქონებას. ქურდობა დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, ვიდრე ქონების ღირებულება დიდ ოდენობას არ მიაღწევს. ამის შესაბამისად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, შესაძლებელია, ვიდრე ქონების ღირებულება დიდ ოდენობას არ მიაღწევს.[1284]

ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ, განგრძო-

1280 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 438.
1281 იხ. *Jäger* (1996), გვ. 30.
1282 იხ. *Schönke, Schröder, Eser* (2010), გვ. 436.
1283 იხ. *Heger*, StV (2010), გვ. 320-321.
1284 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 154-155.

ბადი დანაშაულები კანონმდებლობაში თავისთავად დამოუკიდებლად არ არსებობს, არამედ ისინი სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე დაიწყებს დანაშაულის ჩადენას. მაშასადამე, ვიდრე განხორციელებული დანაშაულის ხასიათი არ გამოვლინდება. ამიტომ შეუძლებელია წინასწარ იმის მტკიცება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული რომელიმე დელიქტი განგრძობად დანაშაულს წარმოადგენს, არამედ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი დანაშაულის ბუნება მიუთითებს იმაზე, რომ იგი, შესაძლებელია, განხორციელების პროცესში იქცეს განგრძობად დანაშაულად.

მაგრამ საკითხის განხილვა მხოლოდ ამ მიმართულებით არ უნდა ამოიწუროს. განგრძობადი დანაშაული ჩადენილად ითვლება უკანასკნელი აქტის განხორციელების მომენტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ განგრძობადი დანაშაულების განხორციელების დროს იკვეთება იურიდიული დამთავრებისა და ფაქტობრივი დასრულების ეტაპები. ამიტომ, მიზანშეწონილია, იურიდიულად დამთავრების მიუხედავად, ფაქტობრივად დასრულებამდე დამნაშავეს მიეცეს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება, რაც სრულად პასუხობს ჰუმანურობისა და სამართლიანობის პრინციპების სულისკვეთებას და ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს. მაგალითისათვის, შესაძლებელია, ასეთი შემთხვევა დასახელდეს: ა. სურს ბიბლიოთეკის საცავებიდან უნიკალური ენციკლოპედიის ათტომეულის მოპარვა. ამ დანაშაულის განხორციელების მიზნით, მან განიზრახა თითო დღეს თითო ტომი მოიპაროს. ა.-მ სამი დღის განმავლობაში ენციკლოპედიის სამი ტომი მოიპარა. მეოთხე დღეს, როდესაც მას განზრახული ჰქონდა შემდგომი ტომის მოპარვა, გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და სამივე ტომი ბიბლიოთეკას დაუბრუნა.

გაბატონებული პოზიციის თანახმად, ა. ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად ვერ ჩაითვლება და მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს, მხედველობაში მიიღება, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რადგან თავად **ქმედითი მონანიების** ინსტიტუტის გამოყენებისთვისაც არსებობს რიგი შეზღუდვები.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რატომ არ უნდა მიეცეს პირს მოცემულ შემთხვევაში ჩაფიქრებულ დანაშაულებრივ ქმედებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება. მაგრამ, თუ სამართალშემფარდებელმა აღიარა, რომ დამნაშავემ მოცემულ სიტუაციაში უნდა ისარგებლოს ამ უფლებით, რომელი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს მან, მაშინ, როდესაც სსკ-ის 21-ე მუხლი ასეთ შემთხვევებს პირდაპირ არ არეგულირებს?

დასახელებული პრობლემის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ახლებურად ჩამოყალიბება, რაზეც დეტალურად შედეგ თავში იქნება საუბარი.

ასეთი მსჯელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლების გაფართოების აუცილებლობას, მათ შორის, განგრძობადი ხასიათის დანაშაულებში.

რაც შეეხება *დენად დანაშაულებს*, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება ასეთ დანაშაულებში, შეს-

აძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელ სტადიაზე.[1285] ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დენად დანაშაულებში ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი მოსამზადებელი სტადიის შემდეგაც. ამის შესახებ ასევე ქვემოთ იქნება საუბარი.

§4. ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი დანაშაულის პროვოკაციის დროს

ამ პარაგრაფში საუბარია ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის შესახებ **პროვოკაციის** დროს.

რას ნიშნავს დანაშაულის პროვოკაცია?[1286]

ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ერთი პირი აქეზებს სხვას დანაშაულის ჩასადენად, რათა შემდგომ ამხილოს იგი დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასეთი პირი **აგენტ-პროვოკატორის** სახელით არის ცნობილი. ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, დღეს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა დანაშაულის პროვოკაცია სისხლის სამართლის კოდექსში გამოაცხადა, როგორც ***delictum sui generis*** და მისთვის შესაბამისი სასჯელი დააწესა. საქართველოს სსკ-ის 145-ე მუხლში ეს დანაშაული ასეა ჩამოყალიბებული „დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით".

სისხლის სამართალში ყოველთვის პრობლემატური იყო და არის **ნამქეზებლისა** და **აგენტ-პროვოკატორის** ფიგურის ურთიერთგამიჯვნის საკითხი.

ადრეულ ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დანაშაულის პროვოკაციას დანაშაულში ნამქეზებლობად აკვალიფიცირებდნენ და, ამდენად, პროვოკაციის საკითხი თანამონაწილეობის წესების მიხედვით წყდებოდა.[1287]

თანამედროვე ქართული სისხლის სამართალის დოგმატიკა ამ საკითხს განსხვავებულად აფასებს. დანაშაულის პროვოკაციის დროს გამოიყენება ე. ნ. **ფიქციის მეთოდი**, რომლის თანახმად, პროვოკატორი, მართალია, ფაქტობრივად ნამქეზებელია, მაგრამ იურიდიულად იგი პროვოკაციის ამსრულებელია.[1288]

სისხლის სამართლის დოგმატიკა ნამქეზებლისაგან პროვოკატორის გამიჯვნის დროს ამოდის თანამონაწილეობის **აქცესორული ბუნებიდან** და ამბობს, რომ არ შეიძლება აგენტ-პროვოკატორი თანამონაწილედ ჩაითვალოს, ვინაიდან მათ განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ და, შესაბამისად, ისინი სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ.[1289] აგენტ-პროვოკატორს, განსხვავე-

---

1285 იხ. *სულაქველიძე* (1992), გვ. 156.

1286 პროვოკაცია ლათინური სიტყვაა „provocatio" და ნიშნავს გამოწვევას. ამის შესახებ იხ. *ებრალიძე*, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (2008), გვ. 218.

1287 იხ. *მაყაშვილი, ტყეშელიაძე* (1964), გვ., 212-213.

1288 იხ. *ნაჭყებია* (2011), გვ. 131-132.

1289 იხ. *დვალიძე* (2008), გვ. 114.

ბით წამქეზებლისაგან, არ სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა.[1290] ამასთან, თუ პროვოკატორი ეგუება შედეგის დადგომას, მაშინ ადგილი აქვს არა დანაშაულის პროვოკაციას, არამედ წამქეზებლობას.[1291] მაშასადამე, პროვოკატორის წარმოდგენით სამართლებრივი სიკეთის გამოუსწორებელი დაზიანება არ უნდა მოხდეს, არამედ პროვოკატორის მიზანი დაყოლიებულის „სულიერი გახრწნაა".[1292]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა თანამონაწილეობის წესების მიხედვით.

საქართველოს სსკ-ის 145-ე მუხლის არასრულყოფილების შესახებ მეცნიერები ბევრს საუბრობენ, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც ის გახლავთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დასახელებულ ნორმაში ყველა შემთხვევისათვის ერთნაირად არის გადაწყვეტილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის 145-ე მუხლი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს წარმოადგენს და მისთვის გათვალისწინებული სასჯელის სახე არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, იმის მიუხედავად, პროვოკატორი რა სიმძიმის დანაშაულის ჩადენაში იყოლიებს პირს.

ამიტომ, კარგი იქნება თუ სსკ-ის 145-ე მუხლს დაემატება ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც შესაბამისად უფრო მკაცრ სასჯელს გაითვალისწინებს მაშინ, როდესაც პროვოკატორი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენაში დაიყოლიებს დამნაშავეებს.

სსკ-ის 145-ე მუხლის ირგვლივ არსებული მსჯელობა მოითხოვს გაგრძელებას და იმის გარკვევას, თუ რამდენად არის შესაძლებელი დანაშაულის პროვოკაციაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ამ პრობლემის გადაწყვეტა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი დანაშაულის პროვოკაციის დროს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დაშვება. თუ დადგინდება, რომ დანაშაულის პროვოკაციას (სსკ-ის 145-ე მუხლი) მინიმუმ მოსამზადებელი სტადია მაინც გააჩნია, მაშინ აუცილებლად დაისმება საკითხი დანაშაულის პროვოკაციაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის შესახებ. ამის გასარკვევად, ისევ და ისევ თავად მუხლში მითითებულ ტერმინზე **„დაყოლიება"** უნდა შეჩერდეს ყურადღება და დადგინდეს, რა იგულისხმება ამ ტერმინში და, შესაბამისად, როდის ითვლება დანაშაული დამთავრებულად.[1293]

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ტერმინი „დაყ-

---

1290 იხ. *თოდუა*, კერძო ნანილი, ტომი I (2011), გვ. 261.

1291 იხ. *დვალიძე*, შრომები (2011), გვ. 26-27. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ მეცნიერს განსხვავებული მოსაზრება გააჩნია. ასეთ შემთხვევაში ისინი პროვოკატორის ქმედებას წაქეზებად არ აკვალიფიცირებენ, არამედ მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი შემთხვევების გადაწყვეტის მიზნით, აუცილებელია სსკ-ის 145-ე მუხლს დაემატოს კვალიფიციური შემადგენლობა, იხ. *ებრალიძე*, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (2008), გვ. 238-239.

1292 იხ. *დვალიძე*, შრომები (2011), გვ. 32-33.

1293 ზოგიერთი მეცნიერი ტერმინში „დაყოლიება" მოიაზრებს, პროვოკატორის როგორც აშკარა, ასევე ფარულ (კონკლუდენტურ) ქმედებას. ფარული დაყოლიების დროს, წაქეზებული ვერ ხედავს, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ, იხ. *ებრალიძე*, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (2008), გვ. 224-225.

ოლიება“ გულისხმობს იმას, რომ დამყოლიებელმა კონკრეტული ადამიანის ფსიქიკაზე უნდა იმოქმედოს, რის შედეგად დაყოლიებულმა ის ქმედება უნდა დაიწყოს, რომლისკენაც დამყოლიებელმა ნააქეზა იგი.[1294] აქედან გამომდინარე, განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც დაყოლიებული პირი დანაშაულის მომზადებას, ან მცდელობას დაიწყებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო ადრინდელ სტადიაზე პროვოკატორის მიცემა სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში არ იქნება გამართლებული, რადგან პროვოკატორმა ჯერ ვერ ხელყო დაყოლიებულის ინტერესი. მან ვერ ამხილა დაყოლიებული დანაშაულის ჩადენაში. აქედან გამომდინარე, პროვოკატორი ვერც პროვოკაციის მომზადებისათვის დაისჯება.[1295]

მაშასადამე, ზემოთ განვითარებული მსჯელობის საფუძველზე ნებაყოფლობით ხელის აღების უფლების გამოყენების საკითხი, ამ შემთხვევაში, ნეგატიურად წყდება. ამიტომ სისხლის სამართლის მეცნიერებს ისღა დარჩენიათ, რომ ე. წ. პოსტკრიმინალური წამახალისებელი ნორმის შემოღება მოითხოვონ, რომელიც სსკ-ის 145-ე მუხლს დაერთვება და უზრუნველყოფს პრაქტიკის ნინაშე წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას იმ თვალსაზრისით, რომ დამყოლიებელი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ იგი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში ხელს შეუშლის დაყოლიებულს, ან გადაარწმუნებს მას ბოლომდე არ მიიყვანოს დანაშაული.[1296]

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, შესაძლებელია, გაზიარებული არ იქნეს, რადგან, ზოგჯერ დაყოლიებული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს ამზადებს, რომელიც მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით არ ისჯება[1297] და, შესაბამისად, თუ დაყოლიებული არ დაისჯება, მაშინ პროვოკატორი, რომელიც მოსამზადებელ სტადიაზე იტყვის უარს დანაშაულის ჩადენაზე, მითუმეტეს, არ უნდა დაისაჯოს ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველზე.

ზოგჯერ პროვოკატორი პასუხისგებაში მიცემის მიზნით, იყოლიებს პირს დახმარებაში, მაგრამ ამსრულებელი დანაშაულის ჩადენის დროს არ იყენებს დამხმარის მიერ გადაცემულ იარაღს. მაგალითად, ბ. სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის მიზნით, ა. ნააქეზა ბ. იარაღი გადაეცა დ., რომელიც მკვლელობის ჩადენას აპირებდა (ამის შესახებ ა. შემთხვევით გაიგო). მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ დ. დანაშაულის ჩასადენად ბ. მიერ გადაცე-

---

1294 იხ. *დვალიძე*, შრომები (2011), გვ. 33. დვალიძეს, ამასთან დაკაშირებით, განსხვავებული აზრი ჰქონდა გატარებული თავის დისერტაციაში და ამის შესახებ, თავადვე მიუთითებს, იხ. *დვალიძე* (2008), გვ. 123-124.

1295 იხ. *თოდუა*, კერძო ნანილი, ტომი I (2011), გვ. 262-263. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს საბჭოთა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ქრთამის პროვოკაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა ქრთამის ამღებს. ამის შესახებ იხ. *სურგულაძე* (1979), გვ. 143.

1296 იხ. *დვალიძე*, შრომები (2011), გვ. 37.

1297 დისერტაციაში ჩამოყალიბებული კონცეფციის თანახმად, თუ კი კანონმდებელი უარს იტყვის *გენერალური მომზადების* დასჯადობაზე, მაშინ ზემოთ დასახელებული საკითხი შეეხება ასევე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების შემთხვევებს.

მული იარაღი არ გამოიყენა. ამის შემდეგ, ა. შანსი ჰქონდა კიდევ ერთხელ შეეთავაზებინა ბ., უკეთესი იარაღი გადაეცა დ., მაგრამ მან გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა. ბ. ქმედებაში ადგილი აქვს **უშედეგო დახმარებას** და არ ისჯება. რაც შეეხება ა.-ს, ასევე არ უნდა დაისაჯოს ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. მაშასადამე, სისხლის სამართლის პოლიტიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ პროვოკატორს უკან დასახევი გზა არ მოეჭრას (**ნებაყოფლობით ხელის აღების სპეციალური შემთხვევა ე. წ. ფორმალურ დანაშაულებში**).

აქედან გამომდინარე, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პროვოკაციის დროს პროვოკატორს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება არ უნდა წაერთვას მანამდე, ვიდრე დაყოლიებული დანაშაულის მცდელობის სტადიას არ მიაღწევს.

§5. შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის[1298] ოთხ სხვადასხვა სახეს გამოყოფენ: 1. როდესაც ადგილი აქვს ძირითადი ქმედების მცდელობას, ხოლო თანამდევი შედეგი გაუფრთხილებლობით ხორციელდება, 2. როდესაც ძირითადი ქმედების მცდელობისას შედეგი განზრახ დგება, 3. როდესაც ადგილი აქვს ძირითადი ქმედების მცდელობას და თანამდევი შედეგი არ ხორციელდება, დაბოლოს, 4. როდესაც ძირითადი დელიქტი დამთავრებულია და თანამდევი შედეგი არ არის სახეზე.[1299] ამასთან, პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია იმის განსხვავებას, ძირითადი დელიქტი დამთავრდა, თუ მცდელობის სტადიაზე შეწყდა.[1300]

ამასთან, იმ თავში, სადაც მცდელობის შესაძლებლობის შესახებ არის საუბარი, აღნიშნული შემთხვევები დაყოფილია **თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობად** (*erfolgsqualifizierter Versuch*) და **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობად** (*Versuch der Erfolgsqualifizierung*).

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობა მაშინ არის სახეზე, როდესაც ძირითადი დელიქტის მცდელობის დროს თანამდევი შედეგი ხორციელდება. მცდელობა გამოირიცხება მაშინ, როდესაც მაკვალიფიცირებელი შედეგი ძირითადი დელიქტის შემადგენელ შედეგად არის გათვალისწინებული.[1301]

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობის მაგალითია გერმანიის სსკ-ის 306-ე „ც“ პარაგრაფით გათვალისწინებული შემთხვევა, სადაც დამნაშავე მოცემული დანაშაულის მცდელობის დროს (ცეცხლის

1298 შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებზე იხილეთ მე-4 კარის მე-5 თავში.

1299 იხ. *Kindhäuser, Neumann, Paeffgen*, ტომი I (2010), გვ. 773.

1300 იხ. *Bacher* (1999), გვ. 281.

1301 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 360.

ნაკიდების მომენტი) ადამიანის სიკვდილს გამოიწვევს. მაგალითად, აალებადი საშუალება აფეთქდა და ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. მცდელობა სახეზეა ასევე მაშინაც, როდესაც თანამდევი შედეგი არ დგება, რომლის გამოწვევაც დამნაშავეს სურდა ან შეგნებულად უშვებდა მის დადგომას.[1302]

იქ, სადაც, შედეგით კვალიფიცირება ძირითადი შემადგენლობიდან გამომდინარეობს, შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის მცდელობის არსებობა საეჭვოა. მაგალითად, გაუპატიურების მცდელობა სასიკვდილო შედეგით სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავის მიერ გამოყენებულ ძალადობას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვება, ვიდრე დამნაშავე სქესობრივ კავშირს დაამყარებს მსხვერპლთან (გერმანიის სსკ-ის 178-ე პარაგრაფი).[1303] აქ ერთი საკითხია აღსანიშნავი, გერმანიის სსკ-ის 178-ე პარაგრაფის მცდელობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც დამნაშავე გერმანიის სსკ-ის 177-ე პარაგრაფით გათვალისწინებული დანაშაულის (გაუპატიურება) მცდელობისას სიკვდილის დადგომის მიმართ მოქმედებს განზრახ (**განზრახვით მოცული თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა** (*Versuchte Erfolgsqualifikation*)), ანდა როდესაც დამნაშავე ძირითადი შემადგენლობის მცდელობისას (გერმანიის სსკ-ის 22-ე, 177-ე პარაგრაფები) სასიკვდილო შედეგს გაუფრთხილებლობით გამოიწვევს (**თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა** (*erfolgsqualifizierter Versuch*)).[1304]

რაც შეეხება გერმანიის სსკ-ის 227-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ შემადგენლობაში (ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით) დანაშაულის მცდელობას, როდესაც დამნაშავე სიკვდილის მიმართაც განზრახ მოქმედებს, იგი გაბატონებული შეხედულების თანახმად, დაუშვებლად არის მიჩნეული, რადგან ამ შემთხვევაში წინ წამოიწევს მკვლელობის მცდელობის შემადგენლობა (გერმანიის სსკ-ის 22-ე, 212).[1305] სამაგიეროდ, სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ შემადგენლობაში აღიარებს ე. წ. თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას, ე. ი. როდესაც ძირითადი შემადგენლობის მცდელობისას შედეგი გაუფრხილებლობით არის გამოწვეული.[1306] ამის საილუსტრაციოდ პრაქტიკიდან ასეთი მაგალითია მოყვანილი: ბრალდებულები ა. ბ. და გ, რომლებიც ე. წ. ახალგაზრდული ფაშისტური დაჯგუფების წევრები იყვნენ, დ. ცემის მიზნით გამოეკიდნენ. შეშინებული დ. ერთ-ერთ შენობას მიადგა, მაგრამ მინის კარები დაკეტილი დახვდა, ამიტომ იგი კარების ქვეშ შეეცადა გაძრომას, რა დროსაც კარების ჩარჩოზე დარჩენილი მინის ნაჭერი შეერჭო ფეხში, რის შედეგად, იგი სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა. პრაქტიკას მიაჩნია, რომ დამნაშავეები გერმანიის სსკ-ის 227-ე პარაგრაფის მცდელობისთვის უნდა დაისაჯონ.[1307]

რაც შეეხება **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ**

1302 იხ. *Fischer* (2012), გვ. 2202.
1303 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 360.
1304 იხ. *Fischer* (2012), გვ. 1187.
1305 იხ. *Fischer* (2012), გვ. 1520.
1306 იხ. *BGHSt* 48, გვ. 34.
1307 იხ. *BGHSt* NStZ (2003), გვ. 149-150.

მცდელობას (*Versuchte Erfolgsqualifikation*), შეიძლება ითქვას, რომ მაშინ არის სახეზე, როდესაც ძირითადი ქმედების მცდელობისას მძიმე (თანამდევი) შედეგი ჯერ არ დამდგარა, თუმცა დამნაშავეს ამ შედეგის მიმართ გააჩნია განზრახი დამოკიდებულება.[1308]

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში არის დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, სადაც დასაშვებია შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის მცდელობის ორივე სახე. ასეთ შემადგენლობას მიეკუთვნება, მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 251-ე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყაჩაღობისათვის, რამაც გამოიწვია ადამიანის სიკვდილი. აღნიშნულ შემადგენლობაში მცდელობა, შესაძლებელია, როგორც მაშინ, როდესაც დამნაშავის ქმედებას შედეგად ადამიანის სიკვდილი განზრახ ან გაუფრთხილებლობით *(leichtfertigkeit)* მოჰყვა, რომლის გარეშე ქონების დაუფლება დამთავრებული იქნებოდა (თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა *(erfolgsqualifizierter Versuch)* და ასევე მაშინაც, როდესაც დამთავრებული ყაჩაღობისას დამნაშავის განზრახვით მოცული მძიმე შედეგი (სიკვდილი) არ განხორციელდა (განზრახვით მოცული თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა *Versuch der Erfolgsqualifizierung*).[1309]

ახლა რაც შეეხება **ნებაყოფლობით ხელის აღების** შესაძლებლობის საკითხს. გერმანიის სსკ-ის 251-ე პარაგრაფში, რომელიც ითვალისწინებს ყაჩაღობას სასიკვდილო შედეგით, ნებაყოფლობით ხელის აღება დამნაშავეს შეუძლია მაშინ, როდესაც მის მიერ გამოყენებულმა ძალადობამ ქონების დაუფლებამდე დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია. დამნაშავე გერმანიის სსკ-ის 251-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო არ დაისჯება, თუმცა იგი პასუხს აგებს მის მიერ გაუფრთხილებლობით გამოწვეული შედეგისათვის გერმანიის სსკ-ის 222-ე პარაგრაფის საფუძველზე.[1310] ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული შეხედულება, რომლის თანახმად, ვინაიდან სასიკვდილო შედეგი სსკ-ის 251-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ყაჩაღობის საკანონმდებლო ნიშანს ნარმოადგენს, ამიტომ ყაჩაღობის შემადგენლობა, როდესაც დამნაშავე ქონებას ჯერ კიდევ არ დაუფლებია, მაგრამ მის მიერ გამოყენებულ ძალადობას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად დამთავრებულ ხასიათს ატარებს და ამიტომ გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის გამოყენება, დაუშვებელია.[1311] ამრიგად, მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის დროს არ შეიძლება ძირითად დელიქტს გამოეყოს მძიმე შედეგი და ამ პირობებში გამოყენებულ იქნეს გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფი.[1312]

რაც შეეხება განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობას (*Versuch der Erfolgsqualifizierung*), სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალი-**

1308 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 361.
1309 იხ. *Fischer* (2012), გვ. 1727.
1310 იქვე.
1311 იხ. *Wolters*, GA (2007), გვ. 79.
1312 იხ. *Bacher* (1999), გვ. 301.

ფიცირებული მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღება სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, დამნაშავეს, რომელსაც მძიმე შედეგის (სიკვდილის) გამონვევა სურს, ძირითადი ქმედების დამთავრებამდე შეუძლია დანაშაულზე აიღოს ხელი.[1313]

შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულებზე ნებაყოფლობით ხელის აღება ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, შესაძლებლად არ მიიჩნევა. შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობაზე მსჯელობისას, უკვე აღინიშნა, რომ ასეთ დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობა გამოირიცხა სწორედ ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით (*მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შეუძლებლობა ნებაყოფლობითი ხელის აღების პირობით*).[1314]

რაც შეეხება **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს**, აქ, ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება, გერმანული სისხლის სამართლის მსგავსად, უპრობლემოდ არის შესაძლებელი.

§6. შეჯამება

ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის შესახებ მსჯელობამ გამოავლინა, რომ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის (როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობის) სტადიაზე, შესაძლებელია, როგორც **მოქმედებით**, ასევე **უმოქმედობით** ნებაყოფლობით ხელის აღება.

რაც შეეხება ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს ე. წ. **ხელშეშლილი მცდელობის** დროს, პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ამ მხრივ, სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია. სასამართლო ზოგჯერ ნებაყოფლობით ხელის აღებად აფასებს ისეთ შემთხვევებს, რაც უდავოდ „ხელშეშლ მცდელობას" წარმოადგენს და ზოგჯერ კი პირიქით, „ხელშეშლილ მცდელობად" განიხილავს ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევებს.

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს უნდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ფიქრობს, რომ ობიექტური გარემოებების გამო ეს შეუძლებელია, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღებას არ ექნება ადგილი. მაგრამ, როდესაც დამნაშავემ არ იცის, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ობიექტურად შეუძლებელია, მაშინ, შესაძლებელია, დაისვას ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი". მაშასადამე, ქმედების „ხელშეშლილ მცდელობად" შეფასებისა და მასთან დაკავშირებული ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი დამნაშავის წარმოდგენის მიხედვით განისაზღვრება. „ხელშეშლილი მცდელობისაგან" განსხვავებით, **უვარგის მცდელობაზე** ნებაყოფლობით ხელის აღება, შესაძლებელია.

ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი **განგრძობად** და **დენად დანაშაულებში** გაბატონებული შეხედულების თანახმად, დაუშვებელია, თუმცა დისერტაციაში ჩამოყალიბებულია კონცეფცია, რომლის თანახმად,

1313 იხ. *Schönke, Schröder* (2010), გვ. 361.

1314 შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შესახებ იხილეთ მე-4 კარის მე-5 თავში.

შესაძლებელია, ასევე დასახელებული სახის დანაშაულებში ნებაყოფლობით ხელის აღება. აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის ფარგლების გაფართოების თავში.

ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხის განხილვამ დანაშაულის **პროვოკაციის დროს**, აჩვენა, რომ პროვოკატორს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლია მანამ, ვიდრე პროვოცირებული მცდელობის სტადიას არ მიაღწევს, მაშასადამე, დანაშაულის მომზადების სტადიაზე (**ნებაყოფლობით ხელის აღების სპეციალური შემთხვევა ე. წ. ფორმალურ დანაშაულებში**).

განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის** დროს ნებაყოფლობით ხელის აღება საეჭვოა.

ამრიგად, მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ **თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის** დროს არ შეიძლება ძირითად დელიქტს გამოეყოს მძიმე შედეგი და ამ პირობებში გამოყენებულ იქნეს გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფი.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ სისხლის სამართალში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, შესაძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღების მტკიცება როგორც **თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის მცდელობის** (*erfolgsqualifizierter Versuch*), ასევე **განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობის** (*Versuch der Erfolgsqualifizierung*) დელიქტებში.

მაშასადამე, შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება, შესაძლებელია, როგორც დოგმატურად, ასევე სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით.

თავი IV. ზოგიერთი მოსაზრება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის ფარგლების გაფართოების შესახებ იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე

სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ დანაშაულის დამთავრების შემდეგ, დანაშაულზე ხელის აღება შეუძლებელია, ასეთი შემთხვევებისათვის არსებობს ე. წ. **ქმედითი მონანიების** ინსტიტუტი,[1315] რომელსაც სისხლის სამართლის დოგმატიკაში ნებაყოფლობით ხელის აღების ***სუროგატად*** მოიხსენიებენ.[1316]

მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია მხოლოდ მაშინ,

1315 იხ. *Fischer* (2012), გვ. 218.

1316 იხ. *Baumann, Weber, Mitsch*, AT (2003), გვ. 592.

როდესაც დანაშაული არ დამთავრებულა არც მატერიალურად და არც ფორმალურად.[1317] ნებაყოფლობით ხელის აღების ასეთ შეზღუდულ გაგებას პირობითად შეიძლება ენოდოს **„დანაშაულზე ხელის აღება *ვინრო გაგებით*"**.

რაც შეეხება **„*ნებაყოფლობით ხელის აღებას ფართო გაგებით*"**, იგი მოიცავს იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე განხორციელებულ ნებაყოფლობითი ხასიათის ქმედებებს, რის საფუძველზეც დამნაშავე, შესაძლებელია, გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. რასაკვირველია, „ფართო გაგებით ნებაყოფლობით ხელის აღება" საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ფარგლებში არ რეგულირდება, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებელი ამისათვის სხვა მეთოდს მიმართავს და სისხლის სამართლის კოდექსში ითვალისწინებს ისეთი ნორმებს, რომლებიც დამნაშავეს ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ნებაყოფლობითი ქმედების გამო (**წამახალისებელი ნორმები**).

აუცილებლად გაჩნდება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აიღოს ხელი პირმა დანაშაულის განხორციელებაზე დანაშაულის დამთავრების შემდეგ?

ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას პროფესიული სპორტული შეჯიბრების ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის, მწვრთნელის, მსაჯის და ა. შ. მოსყიდვას შეჯიბრების ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით, ფორმალური დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მიერ გასამრჯელოს თუნდაც ნაწილის მიღების მომენტიდან.[1318]

მაშასადამე, როგორც კი დამნაშავე პასუხისმგებელ პირს რაიმე თანხის ნაწილს გადასცემს, დანაშაული დამთავრებულია და მასზე ნებაყოფლობით ხელის აღება ვინრო გაგებით შეუძლებელია. მაგრამ კანონმდებლისათვის ასევე მნიშვნელოვანია ის ეტაპი, რომელიც გულისხმობს თანხის მიმღების მიერ რაიმე ისეთის განხორციელებას, რომელიც უშუალოდ დააზარალებს კანონით დაცულ სიკეთეს, მაგალითად, ჟიურის თავმჯდომარე, რომელიც გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს, კონკურსის ნიჭიერი მონაწილის ნაცვლად, ყველასათვის აშკარა სუსტ მონაწილეს ანიჭებს უპირატესობას. ამრიგად, თუ დამნაშავე ნებაყოფლობით განაცხადებს ხელისუფლების ორგანოში, რომ მან შეჯიბრზე ან კონკურსზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, ზემოთ დასახელებულ პირს გადასცა ფული ან სხვა ქონება, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი ქრთამის მიცემის (საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლი), ზეგავლენით ვაჭრობისა (საქართველოს სსკ-ის 3391-ე მუხლი) და კომერციული მოსყიდვის დროს (სსკ-ის 221-ე მუხლი), სადაც კანონმდებელი ითვალისწინებს წამახალისებელ ნორმებს შენიშვნის სახით. აღნიშნული ნორმების საფუძველზე კანონმდებელი პირს სთავაზობს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას თუ კი იგი ნებაყოფლობით განუცხადებს

1317 *Leipziger Kommentar* (2007), გვ. 1659.

1318 იხ. *მამულაშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი I (2011), გვ. 470.

პროცესის მწარმოებელ ორგანოებს დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

როგორ გადაწყდება საკითხი მაშინ, როდესაც თანხის გადაცემის შემდეგ, თანხის მიმღებმა რაიმე მოქმედება უკვე შეასრულა. ნორმაში რაიმე დათქმა ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მომსყიდველი მაინც გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის შესახებ მოგვიანებით განაცხადა ხელისუფლების ორგანოში. ამრიგად, ასეთი ნორმების შემოღება პროცესუალურ-სამართლებრივი მიზნებით არის განპირობებული და მატერიალურ სისხლის სამართალში მათი შემოტანის დროს **კანონმდებელს გამოძიებისათვის ხელის შეწყობის მიზანი უფრო ამოძრავებდა, ვიდრე დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების მიზანი.**

წამახალისებელ ნორმებში იურიდიულად განსხვავებული შედეგების მომცემი სიტუაციების თავმოყრა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, ამიტომ კარგი იქნება, თუ ერთმანეთისაგან გაიმიჯნება სიტუაციები, ერთი, როდესაც მომსყიდველი მოქმედებს, კერძოდ, გადასცემს თანხის ნაწილს, ანდა ჰპირდება თანხის გადაცემას ან სხვა მომსახურების გაწევას მოსყიდულს და მეორე, როდესაც მოსყიდული ამის სანაცვლოდ ასრულებს უკანონო ქმედებებს. იურიდიული შედეგის გათვალისწინებით, თანხის ნაწილის გადაცემა ან მისი დაპირება დამნაშავეს ფაქტობრივად არ ართმევს უკან დაბრუნების თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობას, ხოლო თუ მოსყიდულმა უკვე მოიმოქმედა რაიმე, მაშინ შეუძლებელია უკან დახევის შანსებზე საუბარი, რადგან კანონით დაცული სიკეთე უკვე ხელყოფილია და მისი გადარჩენა შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, დაზუსტებისთვის შეიძლება ითქვას, რომ **ფართო გაგებით ნებაყოფლობით ხელის აღება,** შესაძლებელია, მხოლოდ იქამდე, ვიდრე, მოსყიდულს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია რაიმე მოქმედება, რითაც იგი საბოლოოდ ხელყოფდა სამართლით დაცულ ინტერესს. საკითხის ამგვარი შეფასება გამომდინარეობს პრინციპიდან **„უკან დაბრუნება ჯერ კიდევ იძლევა კანონმდებლობით დაცული სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის შანსს“.** აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანი ***სამართლებრივი სიკეთის დაცვაა,*** ხოლო ნამახალისებელი ნორმის მიზანია ***დანაშაულის გახსნის გაადვილება,*** სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, თუკი კანონმდებელი წამახალისებელ ნორმებს მხოლოდ იმ შემთხვევებზე გაავრცელებს, როდესაც სამართლებრივი სიკეთე დაზიანებულია და მისი რეაბილიტაცია დამნაშავის მიერ უკვე შეუძლებელია, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ფართო „გაგებით ნებაყოფლობით ხელის აღებას“ დაუთმობს ადგილს.

ნებაყოფლობითი ქმედება, რომელიც დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე ხორციელდება, არ შეიძლება ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვალოს ვიწრო გაგებით, რადგან 21-ე მუხლში კანონმდებლის პირდაპირი მოთხოვნაა, რომ დანაშაული იურიდიულად არ უნდა იყოს დამთავრებული.

მაშასადამე, როდესაც დელიქტის შემადგენლობა ფორმალურად დამთავრებულია, ნებაყოფლობით ხელის აღება სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის საფუძველზე შეუძლებელია. ამიტომ რასაც კანონმდებელი დამთავრებულ დელიქტად აცხადებს, იმ მომენტში მოსამართლეს არ შეუძლია დაუმთავრებლად სცნოს იგი, რადგან ეს კიდევ უფრო გააფართოებს მოსამარ-

თლის თავისუფალი მოქმედების არეალს და ამით მას მისცემს კანონმდებლის ნების შესწორების უფლებას, რაც ქართულ სისხლის სამართლის დოგამტიკაში დაუშვებლად მიიჩნევა.[1319]

ამ ნინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად და პრობლემის მოსაგვარებლად, მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნანილი ჩამოყალიბდეს ახლებურად, რაც უზრუნველყოფს ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხების მოწესრიგებას **ზოგიერთი სახის იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულებში**. ამასთან, აღნიშნული ნორმა დაავიწროვებს წამახალისებელი ნორმების მოქმედების არეალს, რაც კიდევ უფრო გამართულს გახდის აღნიშნული ნორმების იურიდიულ მნიშვნელობას.

დასახელებული იდეა, ჯერ კიდევ, თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს იქნა წამოყენებული, რადგან თანამონაწილეობის დროს გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი დაისვა ნებაყოფლობით ხელის აღების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი, ეს შეეხო ე. წ. **სუქცესიური დახმარების** შემთხვევებს. სწორედ ამიტომ, გამოითქვა მოსაზრება საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის ახლებურად ჩამოყალიბების თაობაზე: „...დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის **დასრულებამდე** უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება". მაშასადამე, აქ იგულისხმება ნებაყოფლობითი საქმიანობა დანაშაულის ფაქტობრივად დასრულებამდე.

დენადი დანაშაულის განხორციელების დროს, შესაძლებელია, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი დაისვას მხოლოდ „სუქცესიური დახმარების" შემთხვევაში. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების უკანონო აღკვეთას. აღნიშნული დანაშაული დენადი სახის დელიქტია. იგი დამთავრებულია დაზარალებულისათვის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან და ფაქტობრივად მისი ჩადენა დროში მიედინება. მაგალითად, თუ დამხმარე, დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, ჩაერთო დანაშაულის განხორციელებაში და პოლიცია თავდაპირველად შეგნებულად შეცდომაში შეიყვანა და ამით გზა აუბნია, ხოლო ამის შემდეგ, მას შეეცოდა დაზარალებული და არასწორი მარშრუტით მიმავალ პოლიციას ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა დაზარალებულის ადგილსამყოფელის შესახებ, მოქმედი სისხლის სამართლის კანონის თანახმად, დამხმარე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ვერ გათავისუფლდება ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, რადგან დანაშაული უკვე დამთავრებულია (დამნაშავე ასევე ვერ ისარგებლებს იგი სსკ-ის 68-ე მუხლის საშეღავათო პირობებით). რა თქმა უნდა, აქაც გაჩნდება შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რატომ არ უნდა ისარგებლოს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებით **„სუქცესიურმა თანამონაწილემ"?**[1320] ამ დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, იგი ხომ ფაქტობრივად დროში და სივრცეში ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ამიტომ

1319 იხ. *წერეთელი* (1961), გვ. 238-239.

1320 ე. წ. სუქცესიური თანამონაწილეობის შესახებ იხ. *გამყრელიძე* (1974), გვ. 114.

დამნაშავისათვის ამ უფლების ნართმევა, ნაადრევია.

ზოგიერთი სახის **„შედეგიან დანაშაულებში“**, ასევე შესაძლებელია, „სუქცესიურმა თანაამსრულებელმა“ ნებაყოფლობით აიღოს ხელი დანაშაულის ფაქტობრივად დასრულებამდე. ამის მაგალითი ზემოთ, თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, უკვე იყო დასახელებული, როდესაც დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის განზრახვა იურიდიულად დამთავრებულ ქურდობის ეტაპზე აღეძრა. ვთქვათ, ა. ჯიბიდან საფულე ამოაცალა დ. ეს ფაქტი სხვებმა შეამჩნიეს და უკან გაყვნენ ა.-ს. ამასობაში, მისი მეგობარი ბ. შეხვდა, რომელსაც ფარულად გადასცა საფულე. თავდაპირველად, ბ. ა.-ს მიერ გადაცემული საფულე ჯიბეში ჩაიდო, ხოლო შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და პოლიციელს განუცხადა დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ და საფულე გადასცა.

მაშასადამე, ზოგიერთი სახის **„შედეგიან დანაშაულებში“** იურიდიულად დამთავრების ეტაპზე აუცილებლად უნდა დაისვას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.

შესაძლებელია, ასევე ადგილი ჰქონდეს ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტს **„ფორმალურ დანაშაულებში“**,[1321] სადაც ერთ-ერთი ამსრულებელი ხელს იღებს იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულის ეტაპზე, ვთქვათ, ა. და ბ. გადაწყვიტეს ტერიტორიულ წყლებში „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის მოპოვება ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, მაგრამ, როდესაც ა.-მ თევზი დაიჭირა და ბ. გადასცა მანქანაში შესანახად, ამ უკანასკნელმა გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და ა. ფარულად თევზი კვლავ წყალში გაუშვა და პოლიცია გამოიძახა.

დასახელებულ მაგალითში, სსკ-ის მე-300 მუხლის შემადგენლობა იურიდიულად დამთავრებულია, როგორც კი ა. აკრძალული საშუალებით თევზის მოპოვება დაიწყო, ამიტომ ა. პასუხს აგებს სსკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ხოლო ბ., ვინაიდან მან იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულის ეტაპზე ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულებრივ ქმედებაზე, უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

ძალმომრეობით „ფორმალურ დანაშაულებში“, სადაც დანაშაული ძალადობის გამოყენების მომენტიდან იურიდიულად დამთავრებულია, შესაძლებელია, ისეთი **სენტიმენტალური ვითარების** ნარმოდგენა, როდესაც ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება ადვილად შესაძლებელია. მაგალითად, ა. განიზრახა ბ.-ს დაყაჩაღება. ამ მიზნით იგი მიუახლოვდა ბ.-ს და მოსთხოვა ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით დაემუქრა. ვინაიდან ბ.-ს ბავშვი ჰყავდა ავად და მეგობრების მიერ შეგროვილი თანხა ბავშვის ოპერაციისათვის ესაჭიროებოდა, ამიტომ მან მუქარაზე ტირილი დაიწყო და თავისი გაჭირვების შესახებ უამბო ა. ამ ამბავმა ძალზედ შეანუხა დამნაშავე, მას შეეცოდა დაზარალებული და სინანულის გრძნობით გამსჭვალულმა, ბოდიში მოუხადა ბ. და იქაურობას ხელცარიელი გასცილდა.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად გაჩნდება შეკითხვა იმასთან დაკავ-

---

1321 სისხლის სამართლის ლიტერატურაში სსკ-ის მე-300 მუხლს „ფორმალურ დანაშაულებს“ მიაკუთვნებენ, იხ. *მამულაშვილი*, კერძო ნაწილი, ტომი II (2012), გვ. 84.

შირებით, რომ დამნაშავე ამ „გაბედული" ნაბიჯისათვის უნდა „დაჯილდოვდეს" იმ აბსოლუტური უფლებით, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი სთავაზობს დამნაშავეებს, თუ აუცილებლად უნდა დაისაჯოს? სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, ა. ჩვეულებრივად დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის. რაც შეეხება მის შემდგომ ქცევას, იგი შეიძლება მოსამართლემ მხოლოდ სასჯელის დანიშნის დროს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გაითვალისწინოს, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, დამნაშავე სსკ-ის 68-ე მუხლით გათვალისწინებული „ქმედითი მონანიების" საშეღავათო ნორმითაც ვერ ისარგებლებს, რადგან ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა სამ წელს არ აღემატება. ამ შეზღუდვის გარდა, მოცემული ნორმის გამოყენება სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა.[1322]

მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ა. საშეღავათო სამართლებრივი გარანტიებით საერთოდ ვერ ისარგებლებს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეესაბამება სისხლის სამართლის პოლიტიკის მოთხოვნებს, რადგან ყაჩაღობის მაგალითში ა. ქმედების შედეგად, სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას საბოლოოდ არ ჰქონია ადგილი. ვინაიდან ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, მისი დაცვის **ძირითადი ობიექტი** საკუთრებითი ურთიერთობებია, ამიტომ ვიდრე ქონება მესაკუთრეს ეკუთვნის და დამნაშავის უკანონო მფლობელობაში ჯერ კიდევ არ გადასულა, მაშასადამე, შედეგი არ დამდგარა, მანამ დამნაშავეს არ უნდა წაერთვას ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი ყაჩაღობას დამთავრებულ დანაშაულად თავდასხმის მომენტიდან აცხადებს.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის ფარგლები გაფართოვდეს და მისი გამოყენების უფლება დამნაშავეს მიეცეს ზოგიერთი სახის იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულებში (***„მოდიფიცირებული ოქროს ხიდის თეორია"***).

ამ უფლების ლეგიტიმაცია კანონმდებელმა უნდა მოახდინოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ახლებურად ჩამოყალიბების გზით: ***„პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, აგრეთვე ზოგიერთი სახის იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი".***

1322 „ქმედითი მონანიების" ნორმის გამოყენებას გერმანულ სისხლის სამართალშიც სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია, თუმცა ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი იწუნებს კანონმდებლის ასეთ მიდგომას და მიიჩნევს, რომ დასახელებული ნორმის გამოყენება სავალდებულო ხასიათს უნდა ატარებდეს და ასევე, ამ ნორმის მოქმედების ფარგლებიც სასურველია გაფართოვდეს, განსაკუთრებით კი, ქონებრივ დანაშაულებზე. იხ. *Blöcker* (2000), გვ. 198-201.

დასკვნა

დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ კვლევამ ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში გამოავლინა სისტემებს შორის სხვადასხვა სახის მსგავსება და განსხვავება დანაშაულის მომზადების, დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტებთან მიმართებით.

რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, არის საკანონმდებლო რეგულირების დონეზე ***დანაშაულის მომზადების*** დასჯადობის ორი სხვადასხვა მოდელი.

მომზადების დასჯადობის **პირველი მოდელი** ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის არის დამახასიათებელი და მას შესაძლებელია, პირობითად **„ფართო მოდელი"** ეწოდოს, რადგან, ქართველ კანონმდებელს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მომზადების დასჯადობის ზოგადი ხასიათის ნორმა შემოაქვს. საუბარია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლზე, სადაც მომზადების ზოგადი ცნებაა ჩამოყალიბებული და აღიარებულია მისი საერთო იურისდიქცია, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. ამავდროულად, დასახელებული მოდელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ითვალისწინებს მომზადების დასჯადობის დამოუკიდებელ (კერძო) შემთხვევებს.

რაც შეეხება **მეორე მოდელს**, იგი გერმანული კანონმდებლობისათვის არის დამახასიათებელი. გერმანელმა კანონმდებელმა გერმანიის სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში მომზადების ზოგადი დებულების ჩამოყალიბებაზე უარის თქმის მიუხედავად, დანაშაულის მომზადების დასჯადობის კომპენსირება დანაშაულის მცდელობის დასჯადობის გაფართოების ხარჯზე მოახდინა, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში 30-ე პარაგრაფის შემოღების და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში დამოუკიდებელი შემადგენლობების შექმნის გზით, ამიტომ ამ მოდელს პირობითად შეიძლება მომზადების დასჯადობის **„შერეული მოდელი"** ეწოდოს.

განსხვავება ამ ორ მოდელს შორის აშკარაა, კერძოდ, „ფართო მოდელი" აღიარებს **გენერალური მომზადების** დასჯადობას, ხოლო „შერეული მოდელისათვის", პირიქით, მიუღებელია მომზადების ზოგადი დასჯადობა. მსგავსება მათ შორის არის ის, რომ ისინი მომზადების დასჯადობას სხვადასხვა მეთოდზე დაყრდნობით ახორციელებენ. მათი ერთგვაროვანი მიდგომა იკვეთება სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, სადაც ორივე მოდელი ითვალისწინებს მომზადების დასჯადობის კერძო შემთხვევებს.

დისერტაციაში ჩამოყალიბდა პოზიცია, რომელსაც მიუღებლად მიაჩნია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში გენერალური მომზადების დასჯადობა, მაშასადამე, დანაშაულის მომზადების დასჯადობის „ფართო მოდელი". აღნიშნული შეხედულება ეფუძნება ***წერეთელი-ტურავას კონცეფციას***, რომელიც მხარს უჭერს ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მომზადების დასჯადობის **„შერეული მოდელის"** შემოღებას. „შერეული მოდელის" მიზანია თავიდან იქნეს აცილებული ის პრობლემები, რასაც ადგილი აქვს გენერალური მომზადების დასაბუთების დროს:

პირველი გახლავთ მომზადების დასჯადობის დოგმატურად დასაბუთების შეუძლებლობის საკითხი, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ გენერალური მომზადების დროს ადგილი აქვს: 1. ჯერ კიდევ არამყარ განზრახვას; 2. დანაშაულის შემადგენლობის გარეთ მდგომ არაკონკრეტიზებული ხასიათის ქმედებებს; 3. ზოგჯერ საფრთხის არ არსებობის ან მისი შემცირების მომენტს, რომელიც დასჯადობას აცლის ყოველგვარ საფუძველს; 4. ქმედების განხორციელებისაგან დროში და სივრცეში დაშორებას და ამით „შუალედური აქტის" აუცილებლობის აღიარებას.

დასახელებული ბოლო ორი მიზეზი მიუთითებს **უმართლობის ჯერ კიდევ დაბალ ხარისხზე,** რომელიც თავისთავად გამორიცხავს მომზადების, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი წინა საფეხურის დასჯადობას, ხოლო პირველი და მეორე მიზეზის გათვალისწინებით, სსკ-ის მე-18 მუხლის განზოგადებული ცნება ქმნის სამართლის ბოროტად გამოყენების საფუძველს, უფრო ზუსტად, სსკ-ის მე-18 მუხლში მოცემული სიტყვები „პირობების განზრახ შექმნა" ძალზედ ზოგად, აბსტრაქტულ (განუსაზღვრელ) ხასიათს ატარებს, ხოლო ეს განსაკუთრებული განუსაზღვრელობა (გენერალური კლაუზურა), თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსში პიროვნების საწინააღმდეგოდ ანალოგიის დაშვების შესაძლებლობაზე მეტყველებს, რითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხი შეეხება ნებაყოფლობით ხელის აღების უფლების შეზღუდვას.

მესამე არის გენერალური მომზადების დასჯადობის პროცესუალური სირთულის მომენტი (მტკიცების სირთულე).

სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინების საფუძველზე, გერმანულმა სისხლის სამართალმა უარი თქვა გენერალური მომზადების დასჯადობაზე.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის განვითარებისათვის მისაღებია მომზადების დასჯადობის „შერეული მოდელი", რითაც კანონმდებელი უარს იტყვის მომზადების ზოგად დასჯადობაზე და სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მომზადების დამოუკიდებელი შემადგენლობების დასჯადობით (*deliqtum sui generis*) შემოიფარგლება, ხოლო სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, თანამონაწილეთა დასჯადობისათვის შემოიღებს ახალ ნორმას სსკ-ის 25[1] მუხლის სახით:

მუხლი 25[1]. დანაშაულში შეთანხმება და თანამონაწილეობის მცდელობა

განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად მზადყოფნის გამოხატვისათვის, შეთავაზების მიღებისათვის, ანდა ასეთ დანაშაულში ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივად საბოლოო შეთანხმებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ამ მუხლზე მითითებით.

განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად ორგანიზებისა და წაქეზებისათვის ან ასეთის მცდელობისათვის, ასევე,

განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩასადენად დახმარების მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ამ მუხლზე მითითებით.

ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალის დოგმატიკაში ***დანაშაულის მცდელობაზე*** მსჯელობა შესაბამისი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობის ბუნების ახსნას და გამიჯვნის პრობლემატიკის გადაწყვეტას „კლასიკური თეორიები" ცდილობენ, სადაც ისტორიულად ჯერ „ობიექტური თეორიები", შემდგომ „სუბიექტური" და „შერეული თეორიები" ენაცვლებოდა ერთმანეთს, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია, რაც ამ პრობლემის მოგვარება „თანამედროვე თეორიებმა" ითავეს.

ამ მხრივ, ადრეულ ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ისტორიულად გაბატონებულ თეორიად „ობიექტური თეორია" ითვლებოდა, ხოლო თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკა მცდელობის დასაბუთებას **„შერეული თეორიების"** საფუძველზე წარმატებით ახორციელებს, რადგან სისხლის სამართლის მეცნიერება დარწმუნდა იმაში, რომ მხოლოდ ობიექტურ ან მხოლოდ სუბიექტურ საფუძველზე შეუძლებელია მცდელობის ბუნების ახსნა და გამიჯვნის მისაღები კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

„ობიექტური თეორია", რომელიც დანაშაულის მცდელობის დასჯადობას **კონკრეტულ საფრთხეზე** აფუძნებს, მცდელობის ყველა შემთხვევას ვერ მოიცავს, მაგალითად, უვარგისი მცდელობისა და *in dubio pro reo*-ს შემთხვევებს. პირველ შემთხვევაში, კონკრეტული საფრთხე არ არსებობს, ხოლო მეორე შემთხვევაში, საფრთხე უკვე რეალიზებულია. ამასთან, ძალზედ რთულია კონკრეტული საფრთხის ცნებით დანაშაულის მცდელობის გამიჯვნა დამთავრებული კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტებისაგან. ამიტომ დანაშაულის მცდელობის მატერიალური საფუძვლის დადგენისას ყურადღება გამახვილდა ***სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მუქარაზე***, რომელიც სოციალური საშიშროების ცნებას აყალიბებს და წარმოადგენს დანაშაულის მცდელობის მატერიალურ ნიშანს.

ნაშრომში ჩამოყალიბებული გენერალური მომზადების დაუსჯელობის კონცეფციის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხი, რადგან ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, დასჯადი, ხოლო, მეორე მხრივ, დასჯადობისაგან თავისუფალი სფეროები. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის დოგმატიკაში ჩამოყალიბებული დამატებითი კრიტერიუმების დახმარებით, როგორიც არის, მაგალითად, დანაშაულის ქმედებასთან **დროში** და **სივრცეში** სიახლოვის, ასევე დაზარალებულის **სფეროზე ზემოქმედების** კრიტერიუმები სამართალშემფარდებელს დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის მომზადების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში ეხმარება.

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მცდელობის განსაზღვრისათვის სირთულეს წარმოადგენს იმის ზუსტად დადგენა, დანაშაულის შემადგენლობის წინ მდგომი თუ რომელი ქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულის

მცდელობის დასჯადობისათვის მნიშვნელოვან ქმედებად. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, ნაშრომში შემუშავდა ფორმულა, რომლის თანახმად, ***დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავის მიერ ობიექტურად გაცხადებული დასაძრახი განზრახი ქმედება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების კონკრეტულ მუქარაში გამოიხატა და სოციალურ-ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯა და ამით დაირღვა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკური წესრიგი.***

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ზოგიერთი მეცნიერი დღესაც მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებულ მცდელობის საკანონმდებლო განმარტებას „ობიექტური თეორია" უდევს საფუძვლად, ისევე როგორც, გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში თვლიან, რომ მცდელობის საკანონმდებლო განმარტების (გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფი) საფუძველი „სუბიექტური თეორიაში" დევს, თანამედროვე ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მაინც აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მცდელობის ცნების ჩამოყალიბებას **„შერეული თეორია"** დაედო საფუძვლად.

ქართული და გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიულმა და თანამედროვე ანალიზმა ცხადყო, რომ როგორც ქართველი, ასევე გერმანელი კანონმდებელი დანაშაულის მცდელობის ცნებაში ყოველთვის ხაზს უსვამს მცდელობის **სუბიექტური** ელემენტის მნიშვნელობას. თუმცა, ამ ორ სისტემას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ქართველი კანონმდებელი მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობას ყოველთვის **განზრახვით** გამოხატავდა, გერმანელი კანონმდებელი მცდელობის სუბიექტურ ელემენტს განზრახვის გარდა ზოგჯერ სხვადასხვა ტერმინებით გადმოსცემდა, მაგალითად, დამნაშავის გადაწყვეტილება, დამნაშავის გეგმა. ხოლო თანამედროვე გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მცდელობის ცნების სუბიექტურ ელემენტად დასახელებულია **დამნაშავის წარმოდგენა**. ამრიგად, თუ ქართველი კანონმდებელი განზრახვაზე მითითებით მცდელობის ცნებაში ხაზს უსვამს როგორც ინტელექტუალური, ასევე ნებელობითი ელემენტების მნიშვნელობას, გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობა სსკ-ის 22-ე პარაგრაფში მხოლოდ ინტელექტუალურ ელემენტზე (დამნაშავის წარმოდგენაზე) აფუძნებს მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობას.

მცდელობის სუბიექტურ ელემენტზე მსჯელობის დროს, ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი სუბიექტური შემადგენლობის ნაკლულობაზე მიუთითებს და განზრახვას ყოფს არასრულ და სრულ განზრახვად, სადაც განზრახვა დამთავრებული დანაშაულის დროს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაულის მცდელობის დროს. თუმცა, ამ თვალსაზრისით, განზრახვის დაყოფას გაბატონებული შეხედულება გადაჭარბებულად მიიჩნევს. მაშასადამე, გერმანულ სისხლის სამართალში, განსხვავებული აზრის მიუხედავად, აღიარებულია, რომ დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა შეესაბამება დამთავრებული დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ობიექტურ სფეროში არსებობს. ეს საკითხი ანალოგიურად არის გაგებული

ქართულ სისხლის სამართალში.

ნაშრომში დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის დახასიათებისას გამოიკვეთა ისეთი პრობლემა, როგორიც არის **ევენტუალური განზრახვით** მცდელობის შესაძლებლობის საკითხი. როგორც უკვე აღინიშნა, გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთება პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან გაბატონებული შეხედულების მიხედვით, თუ ევენტუალური განზრახვა დამთავრებული დანაშაულის დასაბუთებისათვის საკმარისია, მაშინ დაუმთავრებელი დანაშაულისთვისაც საკმარისი უნდა იყოს იგი. ასეთი მიდგომა სავსებით მისაღებია ქართულ სისხლის სამართალშიც, სადაც პოზიციები მკაცრად პოლარიზებულ ხასიათს ატარებს. ისტორიულად ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა უარყოფდა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას, თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკასა და ასევე, სასამართლო პრაქტიკაში მკვიდრდება აზრი არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსს, პირიქით, გამომდინარეობს მისგან და აკმაყოფილებს სისხლის სამართლის პრინციპების მოთხოვნებს და შეესაბამება სისხლის სამართლის პოლიტიკის სულისკვეთებას.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი, რომელიც ეხება დანაშაულის მცდელობის ცნებას, მოიცავს როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობის მომენტებს, თუმცა იგი ვერ წვდება დანაშაულის მცდელობის ყველა შემთხვევას. გარდა ამისა, სსკ-ის მე-19 მუხლით გათვალისწინებული მცდელობის ცნების ნაკლოვანება გახლავთ ბოლო ფრაზა **„...მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“**, რომელიც გულისხმობს იმას, რომ თავად ამსრულებელმა აღარ ისურვა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს არა დასჯად მცდელობაზე, არამედ ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტზე. სწორედ ამიტომ სსკ-ის მე-19 მუხლში უარყოფითი ნაწილაკი „არ“ უნდა შეიცვალოს უარყოფითი ნაწილაკით „ვერ“, რათა სსკ-ის მე-19 მუხლში აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს. აქედან გამომდინარე, სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: **„დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ამსრულებლის მიერ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა“**. აქედან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობის არსი, როგორც ასეთი, სისხლის სამართალში ნატურალისტური თვალსაზრისით ვერ აიხსნება, არამედ მისი მნიშვნელობა, ფორმალურ-იურიდიული მეთოდის საფუძველზე, ნორმატიული თვალსაზრისით განისაზღვრება.

რაც შეეხება გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ **მცდელობის ცნების** შემდეგ თავისებურებას, გახლავთ ის, რომ კანონმდებელი სსკ-ის 22-ე პარაგრაფში არ მიუთითებს **დამთავრებული მცდელობის** სტადიაზე, არამედ მხოლოდ **დაუმთავრებელი მცდელობის** სტადიაზე ამახვილებს ყურადღებას. მაშასადამე, სსკ-ის 22-ე პარაგრაფი მცდელობას სრულად (მთლიანობაში) ვერ მოიცავს, არამედ იგი მხოლოდ გამიჯვნის კრიტერიუმს

და, შესაბამისად, მცდელობის დაწყების პროცესს აყალიბებს. ამით კანონმდებელს უნდა, განსაზღვროს მცდელობის ათვლის წერტილი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამიჯვნას დანაშაულის მოსამზადებელი სტადიისაგან. ამ საკითხს კანონმდებელმა, როგორც ჩანს, სსკ-ის 22-ე პარაგრაფში მეტი ყურადღება დაუთმო, რადგან ამით უზრუნველყო დაუსჯელი და დასჯადი სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და, შესაბამისად, კონსტიტუციური პრინციპის - ***nullum crimen sine lege*** - დაცვა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ გერმანელმა კანონმდებელმა დამთავრებული მცდელობის საკითხი რეგულირების გარეშე დატოვა სისხლის სამართლის კოდექსში.

ასევე, სამართლიანია ის კრიტიკა, რომელიც შეეხება გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფს. ეს უკანასკნელი მცდელობად აცხადებს ქმედების განხორციელების დაწყების მომენტს, თუმცა მოცემული ცნების ანალიზმა ცხადყო, რომ მცდელობა და დაწყება სხვადასხვა ცნებებია, რადგან უვარგისი მცდელობის დროს დამნაშავე რაღაცას ცდილობს, მაგრამ არაფერს არ იწყებს.

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ მსჯელობამ, გამოავლინა ის საკითხები, რომელიც ადრეულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არ იყო აღიარებული. მაგალითად, თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერება **მოქმედებით ჩადენილ ფორმალურ დანაშაულებში** დანაშაულის მცდელობას (დაუმთავრებელი) შესაძლებლად მიიჩნევს. ასევე, შესაძლებელია, მცდელობაზე საუბარი ზოგიერთი საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, სადაც დანაშაული პირველივე აქტით არ არის დამთავრებული, ასეთია, მაგალითად, ყაჩაღობის შემადგენლობა. რაც შეეხება **მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს**, დანაშაულის მცდელობა საბუთდება, როგორც ქართულ (სსკ-ის მე-11 მუხლი), ასევე გერმანულ სისხლის სამართალში (სსკ-ის მე-11 პარაგრაფის მე-9 აბზაცის მე-2 ქვეაბზაცი და მე-18 პარაგრაფი) (***„დიფერენციაციის თეორია“***).

შერეულ უმოქმედობით დელიქტებში დანაშაულის მცდელობა უპრობლემოდ საბუთდება, სადაც გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარებული **„ალტერნატიული თეორიის“** საფუძველზე, მცდელობის დაწყების საკითხი განისაზღვრება. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ქმედებაზე ბატონობის, ზოგჯერ კი, საფრთხის მომენტის გათვალისწინებით წყვეტს საკითხს. ნაშრომში განვითარებული შეხედულების თანახმად, ქართულ სისხლის სამართალში **წმინდა უმოქმედობით დელიქტებში** მცდელობის შესაძლებლობა არ არის გამორიცხული. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ადგილი აქვს დამნაშავის მხრიდან აქტიურ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია უმოქმედობით დანაშაულის ჩადენისაკენ (*წმინდა უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა მოქმედებით*). ამასთან, გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში და კანონმდებლობაში აღიარებულია, რომ წმინდა უმოქმედობით დელიქტებში, უმეტესად ადგილი აქვს ***უვარგისი მცდელობის*** შემთხვევებს, თუმცა ვარგისი მცდელობაც არ არის გამორიცხული, განსაკუთრებით კი ისეთ დელიქტებში, სადაც დანაშაულის შემადგენლობა შედეგზეა ორიენტირებული.

სისხლის სამართლის დოგმატიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ***actio*** და ***omissio libera in causa***-ს დროს დანაშაულის მცდელობის აღიარება ეწინააღმდეგება

კოინციდენტიალურობის (დროში თანხვედრის) პრინციპს. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ***actio*** და ***omissio libera in causa***-ს შემთხვევები ანტიკონსტიტუციურია. დასახელებული პრინციპის დარღვევისაგან თავიდან აცილების მიზნით, გერმანელმა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში შემოიღო 323-ე „ა" პარაგრაფი. ვინაიდან ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი ნორმა არ არსებობს და ნაშრომში აღიარებულია გენერალური მომზადების დაუსჯელობის კონცეფცია, მაშინ საქართველოს სისხლის სამართალში ასევე გაჩნდება ***„nulla poena sine lege"***-ს პრინციპის დარღვევის საფრთხე. სწორედ ამიტომ, დასახელებული პრობლემის მოსაგვარებლად ქართველმა კანონმდებელმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გერმანიის სსკ-ის 323-ე „ა" პარაგრაფის ანალოგიური ნორმა უნდა შემოიღოს, რომელიც გავრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირი განზრახ თვრება შემდგომში განზრახი დანაშაულის ჩადენის მიზნით.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ მცდელობის ალტერნატიულ ცნებას **უვარგისი მცდელობა** წარმოადგენს. უვარგისი მცდელობის დახასიათებისას კარგად გამოვლინდა მცდელობის დასჯადობის დასაბუთების შესახებ განვითარებული ობიექტური თვალსაზრისის სუსტი მხარეები. ვინაიდან ობიექტური მოძღვრების მომხრეები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის შინაარსს ობიექტური თვალსაზრისით ხსნიან და მცდელობის დასჯადობას მხოლოდ **კონკრეტულ საფრთხის** მომენტზე აფუძნებენ, მაშინ, როდესაც კონკრეტული საფრთხე უვარგისი მცდელობის დროს საერთოდ არ არსებობს, ამიტომ საერთოდ უარი უნდა ითქვას უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე, რაც, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე. ამრიგად, მცდელობის დასჯადობის დასაბუთების დროს კიდევ ერთხელ დამტკიცდა **„შერეული თეორიების"** უპირატესობა.

შეიძლება ითქვას, რომ **ყოველგვარი აბსოლუტურად უვარგისი ობიექტის** მიმართ განხორციელებული ქმედება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, რადგან ასეთი მცდელობა სსკ-ის მე-20 მუხლით არ განიხილება. **აბსოლუტურად უვარგისი საშუალებით** განხორციელებულ მცდელობაზე სსკ-ის მე-20 მუხლის ერთმნიშვნელოვნად განვრცობა, არ უნდა იყოს მართებული, რადგან სსკ-ის მე-20 მუხლის გამოყენებისათვის, აუცილებელია, ერთდროულად ყურადღება გამახვილდეს როგორც გამოყენებული საშუალების აბსოლუტურად უვარგის ხასიათზე, ასევე პიროვნების უმეცრებაზე ან სხვა პიროვნულ ნაკლზე. მაშასადამე, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი მხოლოდ აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენების შემთხვევაში, უარს ამბობს მცდელობის დასჯადობაზე და არაფერს არ მიუთითებს აბსოლუტურად უვარგისი ობიექტის მიმართ განხორციელებულ მცდელობის შემთხვევაზე. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკას მიანდო.

გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის 23-ე პარაგრაფით, რომლის თანახმად, მოცემულ შემთხვევებში, მოსამართლის დის-

კრეციული უფლებაა მსუბუქად დასაჯოს დამნაშავე, ან საერთოდ გაათავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან.

უვარგისი მცდელობისაგან, შესაძლებელია, გაიმიჯნოს ე. წ. **ხელშეშლილი მცდელობა.** ეს უკანასკნელი მცდელობის სახეს არ წარმოადგენს, არამედ იგი უფრო მცდელობის **თვისობრივი მახასიათებელია,** ხოლო მცდელობის სახეები (დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა) მცდელობის უფრო **რაოდენობრ** (ხარისხობრივი) მხარეა.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში ასევე მნიშვნელოვანია უვარგისი მცდელობის გამიჯვნა **ირეალური (ცრურწმენითი) მცდელობისა** და **მოჩვენებითი დელიქტისაგან.** როგორც მსჯელობამ აჩვენა, აბსოლუტურად უვარგის მცდელობას და ირეალურ მცდელობას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეს ირეალური მცდელობის დროს, ტრანსცენდენტალური ძალების სჯერა, მაშინ როდესაც აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დროს, იგი ვერ აღიქვამს ობიექტურად არსებულ ბუნების კანონების ზემოქმედებას.

რაც შეეხება **მოჩვენებით დელიქტს,** კანონიერების პრინციპიდან (*nullum crimen sine lege*) გამომდინარე, არ ისჯება. მოჩვენებითი დელიქტის დროს დამნაშავეს შეცდომით ჰგონია, რომ იგი არღვევს სამართლის ნორმებს, რომელიც ბუნებაში საერთოდ არ არსებობს, ანდა არსებული ნორმების არასწორი შეფასების საფუძველზე, მათი მოქმედების არეალს აფართოებს. მაშასადამე, ქმედება მოჩვენებით დელიქტად ფასდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს შეცდომას **აკრძალვაში,** შეცდომას ნებადართულობაში, შეცდომას **სუბსუმციაში** და **დასჯადობასთან** დაკავშირებულ შეცდომას.

ნაშრომში დეტალურად არის განხილული დანაშაულის მცდელობის პრობლემატიკა **თანამონაწილეობის** დროს გერმანული და ქართული სისხლის სამართლის მიხედვით. დანაშაულის მცდელობის განსაზღვრის საკითხში შუალობითი ამსრულებლობისა და თანაამსრულებლობის დროს, როგორც კვლევამ აჩვენა, დიდ როლს თამაშობს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დოგმატიკა. ერთ-ერთი თეორია, რომელიც ცდილობს მცდელობის ათვლის წერტილი ზუსტად განსაზღვროს, გახლავთ **„ფორმალურ-ობიექტური თეორია"**. მსჯელობის დროს უკვე აღინიშნა, რომ დასახელებული თეორია მეტად ავიწროვებს თანაამსრულებელთა მოქმედების არეალს, რადგან მას თანაამსრულებელთა ქმედება დაჰყავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებულ დანაშაულის შემადგენლობების შესაბამის ქმედებაზე, ამიტომ ეს თეორია გაბატონებულ თეორიად არ მიიჩნევა. სამაგიეროდ, თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებულად ითვლება **„ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორია"**. თანაამსრულებელი, რომელიც დაზარალებულის დაცულ სფეროში შეაღწევს, ქმედების შემადგენლობის განხორციელება უკვე დაწყებული აქვს. ქართულ სისხლის სამართალში **„ქმედებაზე ბატონობის თეორია"** გამოიყენება ასევე შუალობით ამსრულებლობაში მცდელობის საკითხის გადასაწყვეტად. როგორც მსჯელობამ აჩვენა, ვიდრე შუალობითი ამსრულებელი მოვლენების ბატონპატრონია და მისი განკარგულების ქვეშ იმყოფება, დანაშაულის მცდელობაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.

გერმანულ სისხლის სამართალში ვინაიდან დანაშაულის მომზადება არ ისჯება და ამავდროულად აღიარებულია, რომ თანამონაწილენი დანაშაულის შემადგენლობას დამოუკიდებლად ვერ ახორციელებენ, ამიტომ სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში გერმანელმა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსში 30-ე პარაგრაფი შემოიღო, რომელიც არეგულირებს თანამონაწილეობის მცდელობის საკითხებს. აღნიშნული პარაგრაფის ფარგლებში უშედეგო წაქეზება ისჯება, ხოლო უშედეგო დახმარება დაუსჯელი რჩება. ასევე, პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულში შეთანხმებისათვის.

ქართულ კანონმდებლობასთან პარალელის გავლების შემთხვევაში, მსგავსება აშკარა ხასიათს ატარებს, კერძოდ, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი დაუსჯელად ტოვებს **უშედეგო დახმარების** შემთხვევებს, რაც სისხლის სამართლის მეცნიერთა ნაწილის მიერ **კანონის ხარვეზად** მიიჩნევა. ცნობილია, რომ ფსიქიკური დახმარება შეიძლება წაქეზებაზე უფრო მეტად საშიში იყოს, ამიტომ მისი დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა საკანონმდებლო დონეზე უნდა განხორციელდეს. ამასთან, ამ პრობლემის რეგულირება უნდა მოხდეს დამოუკიდებლად და განცალკევებულად, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს გერმანიის სსკ-ის 30-ე პარაგრაფში, კერძოდ, მომზადების **სპეციალური** და **კონკრეტული** შემთხვევების (უშედეგო წაქეზების, ორგანიზებისა და დახმარების) დასჯადობისათვის, აუცილებელია, განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილში და ამასთან, შემოიღოს ახალი ნორმა 25[1] მუხლის სახით, რომლის თაობაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ დაუმთავრებელი დანაშაული ისეთივე სიმკაცრით ისჯება, როგორც ამას ადგილი აქვს დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაში, რაც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ზოგადსამართლებრივ (ჰუმანურობის) და სისხლის სამართლის (დანაშაულისა და სასჯელის თანაზომიერების, სასჯელის მომჭირნეობის, სასჯელის ეკონომიის) საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, კანონმდებელმა აღნიშნული პოზიციის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსში აღადგინოს დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის **სავალდებულო შემცირების წესი**, ასევე დაუმთავრებელ დანაშაულებზე გაავრცელოს პირობითი მსჯავრის საშეღავათო ნორმა. გარდა ამისა, ცალკე განსაკუთრებული რეგულირების ღირსია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხი არასრულწლოვნებთან მიმართებაში.

დანაშაულზე ***ნებაყოფლობით ხელის აღების*** ინსტიტუტზე მსჯელობა მრავალმხრივ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მისი ანალიზი აჩვენებს, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის განვითარებას მყარი დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, რაც კარგად გამოიკვეთა ნაშრომში სხვადასხვა თეორიების მიმოხილვის დროს. ამ თეორიებზე დაყრდნობით, სისხლის სამართლის მეცნიერები ახდენენ აღნიშნული ინსტიტუტის დასაბუთებას და დანაშაულის სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრას.

დოგმატური თვალსაზრისით, თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნებაყოფლობით ხელის აღების ყველაზე უფრო რელევანტურ

საფუძველს **„კრიმინალ-პოლიტიკური"**, იგივე **„ოქროს ხიდის"** და **„სასჯელის მიზნის მოდიფიცირებული თეორიები"** ქმნიან.

რაც შეეხება, აღნიშნული ინსტიტუტის ადგილს დანაშაულის სისტემაში, სხვადასხვა აზრის მიუხედავად, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი არ წარმოადგენს უმართლობის ან ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, არამედ იგი არის ***სასჯელისაგან გათავისუფლების პერსონალური*** საფუძველი.

ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური პირობების დახასიათება აშკარად ცხადყოფს, რომ **„ნებაყოფლობითობას"**, როგორც ერთ-ერთ სუბიექტურ პირობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისათვის. მთავარია, რომ ხელის ამღები ნებაყოფლობით მოქმედებდეს და ამის საფუძველზე, ხელს იღებდეს დანაშაულებრივ საქმიანობაზე. „ნებაყოფლობითობა" შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებით იზომება. სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი „ნებაყოფლობითობის" დახასიათებისას ფსიქოლოგიურ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას, ზოგიერთი პირიქით, ნორმატიული შეფასების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მიუთითებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სასამართლო პრაქტიკა „ნებაყოფლობითობის" ასახსნელად უფრო ფსიქოლოგიური შეფასებისაკენ იხრება.

ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური პირობების დახასიათებისას გამოიკვეთა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. საქმე ეხება კანონით აღიარებულ აუცილებელ ობიექტურ ნიშანს - **საბოლოობა**. სისხლის სამართლის კანონმდებლობის პირდაპირი მოთხოვნაა ამ პირობის შესრულება, რადგან, თუ დანაშაულის ჩამდენმა დროებით გადაიფიქრა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაშინ პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ნაშრომში გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმად, საბოლოობა, როგორც დროის ფაქტორთან დაკავშირებული საკითხი, ნებაყოფლობით ხელის აღების სხვადასხვა შემთხვევებში სხვადასხვანაირად უნდა გადაწყდეს. ნაშრომში დასახელებული საკითხი დასაბუთებულია **„სასჯელის არაეფექტური ზემოქმედების თეორიის"** საფუძველზე. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ასევე, შესაძლებელია, ისეთი შემთხვევის დაუსჯელობის დასაბუთება, როდესაც ხელის აღების დროს, დამნაშავე ნაკლებად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს დააზიანებს **(საპატიო უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით)**.

ასევე, დამნაშავეს შეუძლია ისარგებლოს აუცილებელი მოგერიებისა და დამნაშავის შეპყრობის უფლებით ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, რასაც, შესაძლებელია, პირობითად ეწოდოს **„დამნაშავის მიერ დამნაშავის შეპყრობა და დამნაშავის მიერ აუცილებელი მოგერიების უფლებით სარგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით"**.

„ხელშეშლილი მცდელობისაგან" განსხვავებით, **უვარგის მცდელობაზე** ნებაყოფლობით ხელის აღება, შესაძლებელია, ხოლო დანაშაულის **პროვოკაციის დროს** პროვოკატორს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლია მანამ, ვიდრე პროვოცირებული მცდელობის სტადიას არ მიაღწევს, მაშასადამე,

დანაშაულის მომზადების სტადიაზე (**ნებაყოფლობით ხელის აღების სპეციალური შემთხვევა ე. წ. ფორმალურ დანაშაულებში**).

ნაშრომში ასევე განხილულია თანამონანილეობის ინსტიტუტში ნებაყოფლობით ხელის აღების პრობლემატიკა, რა დროსაც ზოგიერთი საკითხი ახლებურად არის გაგებული და ნარმოდგენილი. განსაკუთრებით აქ ყველაზე მნიშვნელოვანია **დამხმარის** მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი დანაშაულის დაწყების შემდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნანილი დამხმარეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან დანაშაულის დანყების შემდეგ. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ პირმა დანაშაულის დაწყებამდე განაცხადოს უარი შეპირებული ქმედების შესრულებაზე, ხოლო დანაშაულის დაწყების შემდეგ, კანონიდან გამომდინარე, პირი ვერ ისარგებლებს ამ უფლებით. ამიტომ, მიზანშეწონილია, თუკი კანონმდებელი ამ საკითხს საკანონმდებლო დონეზე მოანესრიგებს და დამხმარეს არ შეუზღუდავს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებით სარგებლობას დანაშაულის დაწყების შემდეგ, მის ფაქტობრივ დასრულებამდე.

მაშასადამე, თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია **იურიდიულად დაამთავრებული დანაშაულის** ეტაპზე. ამიტომ ამ აზრის პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელია სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დასრულებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება“**.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის ფარგლები გაფართოვდეს და მისი გამოყენების უფლება დამნაშავეს მიეცეს ზოგიერთი სახის იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულებში (*„მოდიფიცირებული ოქროს ხიდის თეორია“*).

ამ უფლების ლეგიტიმაცია კანონმდებელმა უნდა მოახდინოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნანილის ახლებურად ჩამოყალიბების გზით: **„პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, აგრეთვე ზოგიერთი სახის იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის ეტაპზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი“**.

ამასთან, აღნიშნული ნორმა დაავიწროვებს წამახალისებელი ნორმების მოქმედების არეალს, რაც კიდევ უფრო გამართულს გახდის აღნიშნული ნორმების იურიდიულ მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

* * *

ქართულენოვანი ლიტერატურა:

გამყრელიძე ო., დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა, თბილისი, 1974.

გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989.

გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, წიგნი პირველი, თბილისი, 1998.

გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2002.

გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008.

გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008.

გვენეტაძე ნ., დანაშაულის ორგანიზატორი, დისერტაცია, თბილისი, 1994.

გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბილისი, 2005.

გვენეტაძე ნ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007.

გოთუა ზ., პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, თბილისი, 1994.

გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001.

დავითაშვილი გ., დანაშაულის მცდელობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები წიგნი I, თბილისი, 2010.

დვალიძე ი., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007.

დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, დისერტაცია, თბილისი, 2008.

დოლიძე ი., „ძველი ქართული სამართალი", თბილისი, 1953.

ებრალიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, ყაჩაღობა (179-ე მუხლი), რედ., გამყრელიძე ო., თბილისი, 2004.

ებრალიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2002.

ებრალიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008.

ენუქიძე თ., ვახტანგ VI სამართლის წიგნი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955.

ერქომაიშვილი ვ., ფილოსოფია, გადამუშავებული და შევსებული თბილისი.

ვაჩეიშვილი ა., დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, 1957.

ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38-ე გამოცემის ქართული თარგმანი, მთარგმნელი არსენიშვილი ზ., სამეცნიერო რედაქტორი დვალიძე ი., თბილისი, 2010.

თაგაური ბ., კონფლიქტი, შეფასება, გადაწყვეტილება, თბილისი, 1993.

თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007.

თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, რედ., მამულაშვილი გ., თბილისი, 2011.

ლეკვეიშვილი მ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ტომი I, რედ., მამულაშვილი გ., თბილისი, 2011.

მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, რედ., მამულაშვილი გ., თბილისი, 2011.

მამულაშვილი გ., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი II, რედ., მამულაშვილი გ., თბილისი, 2012.

მახარაძე ა., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბილისი, 2006.

მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), წიგნი I, თბილისი, 2013.

მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბილისი, 1980.

მაყაშვილი ვ., ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, თბილისი, 1964.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, თბილისი, 2010.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, 2011.

ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, თბილსი, 1998.

ნაჭყებია გ., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბილისი, 2002.

ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010.

ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

საჯანელი ბ., იურიდიული მეთოდები, მეორე გამოცემა, თბილისი, 2008.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, რედ.: წერეთე-

ლი თ., ტყეშელიაძე გ., თბილისი, 1976.

სულაქველიძე დ., ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, დისერტაცია, თბილისი, 1992.

სურგულაძე ლ., საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია (1921-1922წწ), თბილისი, 1979.

სურგულაძე ლ., სისხლის სამართალი, დანაშაული, თბილისი, 1997.

სურგულაძე ლ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2002.

ტაბიძე ო., ადამიანი, თავისუფლება, შემოქმედება. თბილისი, 1991.

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, Mმე-7 გამოცემა, თბილისი, 2008.

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,Mმე-9 გამოცემა, თბილისი, 2013.

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი პირველი. დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011.

ტყეშელიაძე გ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007.

უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისი, 1982.

ფუთურიძე ვ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1955.

შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988.

წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961.

წერეთელი თ., საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, გამომცემლობა „კავკასიური სახლი", თბილისი, 2006.

წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, კრებულში „სისხლის სამართლის პრობლემები", ტომი II, თბილისი, 2007.

წერეთელი თ., თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965.

წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969.

წერეთელი თ., დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი, თბილისი, 1966.

წულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, თბილისი, 2003.

* * *

ქართულენოვანი ჟურნალ-კრებულები:

გამყრელიძე ო., დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის საკითხისათვის, სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თინათინ წერეთლის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო მოხსენებების კრებული, 2006.

გამყრელიძე ო., შეცდენა და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, ჟურნალში: „ცხოვრება და კანონი" №2-3, 2011.

დვალიძე ი., დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ჟურნალში: „ალმანახი" №19, 2004.

დვალიძე ი., „სულიერი გახრწნის" პრობლემა სისხლის სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, რედ., ნაჭყებია გ., 2011.

ებრალიძე თ., ნამქეზებელი ნაქეზებულის წინააღმდეგ, კრებულში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, 2006.

თოდუა ნ., საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი" №2-3, 2007.

მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., დანაშაულის მომზადების დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის შესახებ გერმანული მოძღვრების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითა-

რების პროცესში, I გამოცემა, რედ., ტურავა მ., 2013.

სულაქველიძე დ., დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობითი ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, ჟურნალში: „სამართალი" №3-4, 1991.

სულაქველიძე დ., დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღება, ჟურნალში: „საბჭოთა სამართალი" №1, 1985.

წერეთელი თ., მაყაშვილი ვ., სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალში: „საბჭოთა სამართალი" №1, 1957.

წიქარიშვილი კ., რამდენიმე მოსაზრება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის შესახებ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი" №1, 2010.

ხარანაული ლ., სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი" №1, 2008.

ხარანაული ლ., დანაშაულზე ნებაზოფლობითი ხელის აღების ინსტიტუტი, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, I გამოცემა, რედ., ტურავა მ., 2013.

ცქიტიშვილი თ., მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ საფრთხის დელიქტებში, ჟურნალში: „სამართლის ჟურნალი" №1, 2012.

* * *

სასამართლო გადაწყვეტილებები:

2002 წლის 25 ნოემბრის განჩინება, კრებულში: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი", 2010.

***საქართველოს უზენაესი სასამართლო*, სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე**, 25 ივლისი, 2007.

2007 წლის 26 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი.

2008 წლის 11 აპრილის განჩინება, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, №12, 2008.

2008 წლის 22 მაისის განჩინება, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, №9, 2008.

2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება, კრებულში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე №8, 2008.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 22. 10. 2008. განჩინება, თბილისი, ელექტრონული მისამართი: [http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/oqtomberi2008.pdf] მოპოვების დრო: 09.09.2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 04. 03. 2009. განჩინება, თბილისი, ელექტრონული მისამართი: [http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/3-marti2009.pdf] მოპოვების დრო: 09.09.2013.

2010 წლის 11 იანვრის განჩინება, კრებულში: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე" №3, 2010.

* * *

დამხმარე ლიტერატურა ქართულ ენაზე: (ლექსიკონები)

ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, რედ., ვაჩნაძე ს., თბილისი, 1958.

ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VIII, რედ., ჩიქობავა ა., თბილისი, 1964.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, რედ., ჩიქობავა ა., თბილისი, 1986.

* * *

ნორმატიული მასალა ქართულ ენაზე:

საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2000.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" 03. 04. 2013. მდგომარეობით.

* * *

გერმანულენოვანი ლიტერატურა:

Ahmed A., Rücktritt vom versuchten unechten Unterlassungsdelikt, Dissertation, Hamburg, 2007.

Alwart H., Strafwürdiges Versuchen, Berlin, 1982.

Angerer V., Rücktritt im Vorbereitungsstadium, Dissertation, Berlin, 2004.

Baumann J., Weber U., Mitsch W., Strafrecht Allgemeiner Teil, Lehrbuch, მე-11 გამოცემა, Bielfeld, 2003.

Bacher A., Versuch und Rücktritt vom Versuch beim erfolgsqualifizierten Delikt-zugleich ein Beitrag zum Begriff der Tat, München, 1999.

Becher K. M., Zur Abgrenzung von Vorbereitung und Versuch gemäss §22 des 2. StRG, Dissertation, Münster, 1973.

Binding K., Grundriss des Deutschen Strafrechts, Allgemeiner Teil, მე-7 გამოცემა, Leipzig, 1907.

Blöcker M., Die Tätige Reue, Dissertation, Baden-Baden, 2000.

Boß H., Der halbherzige Rücktritt, zum Rüktritt des Alleintäters vom beendeten Versuch, Dissertation, Berlin, 2002.

Dölling D., Duttge G., Rössner D., Gesamtes Strafrecht: StGB, stopp, Nebengesetze: Handkommentar, Baden-Baden: Nomos, 2008.

Fad F., Die Abstandnahme des Beteiligten von der Tat im Vorbereitungsstadium, Berlin, 2005.

Ferschl C., Das Problem des unmittelbaren Zusammenhangs beim erfolgsqualifizierten Delikt, Dissertation, Frankfurt am Main, 1999.

Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 59-ე გამოცემა, München, 2012.

Frank R., Das Strafgesetzbuch für das Deutsche Reich, Tübingen 1931.

Freund G., Strafrecht Allgemeiner Teil, მე-2 გამოცემა, Berlin, 2009.

Frister H., Strafrecht Allgemeiner Teil, მე-5 გამოცემა, München, 2011.

Gropp W., Strafrecht Allgemeiner Teil, მე-3 გამოცემა, Berlin, 2005.

Grupp M., Das Verhältnis von Unrechtsbegründung und Unrechtsaufhebung bei der versuchten Tat. Dissertation, Baden-Baden, 2009.

Hardtung B., Versuch und Rücktritt bei den Teilvorsatzdelikten des §11 Abs. 2 StGB, München, 2002.

Heinrich B., Strafrecht Allgemeiner Teil. მე-3 გამოცემა, Stuttgart, 2012.

Heintschel-Heinegg B., Strafgesetzbuch, Kommentar, München, 2010.

Hippel R., Untersuchungen über den Rücktritt vom Versuch, Berlin, 1966.

Jakobs G., Strafrecht Allgemeiner Teil, ნაწილი II, მე-2 გამოცემა, Berlin, 1991.

Jäger C., Der Rücktritt vom Versuch als zurechenbare Geghärdungsumkehr, Dissertation, München, 1996.

Jescheck H-H., Weigend T., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, მე-5 გამოცემა, Berlin, 1996.

Kindhäuser U., Neumann U., Paeffgen H-U., Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch, ტომი I, მე-3 გამოცემა, Baden-Baden, 2010.

Kindhäuser U., Neumann U., Paeffgen H-U., Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch, ტომი III, მე-3 გამოცემა, Baden-Baden, 2010.

Kindhäuser U., Strafgesetzbuch, Lehr- und Praxiskommentar, Nomos Kommentar, მე-4 გამოცემა, Baden-Baden, 2010.

Kindhäuser U., Strafrecht Allgemeiner Teil, Nomos Lehrbuch, მე-6 გამოცემა, Baden-Baden, 2013.

Koch-Schlegtendal S., Die Verhinderung der Vollendung beim strafbefreienden Rücktritt, Dissertation, Frankfurt am Main, 2012.

Kölz-Ott M., Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974.

Köhler M., Strafrecht, Allgemeiner Teil, Berlin, 1997.

Kratzsch D., Verhaltenssteuerung und Organisation im Strafrecht – Ansätze zur Reform des strafrechtlichen Unrechtsbegriffs und den Regeln der Gesetzanwendung, Berlin, 1985.

Krey V., Esser R., Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, მე-5 გამოცემა, Stuttgart, 2012.

Kühl K., Strafrecht Allgemeiner Teil, მე-6 გამოცემა, München, 2008.

Lackner K., Kühl K., Strafgesetzbuch, Kommentar, 27-ე გამოცემა, 2011, München, 2011.

Leipziger Kommentar StGB, მე-10 გამოცემა, ტომი I, Berlin, 1985.

Leipziger Kommentar StGB, მე-10 გამოცემა, ტომი IV, §§80-184, Berlin, 1988.

Leipziger Kommentar StGB, მე-12 გამოცემა, ტომი I, §§1-31, Berlin, 2007.

Leipziger Kommentar StGB, მე-12 გამოცემა, ტომი IV, §§80-109, Berlin, 2007.

Leopold K., Tsambikakis M., Zöller M. A., Anwalt Komentar StGB, Bonn, 2011.

Letzgus K., Vorstufen der Beteiligung. სისხლის სამართლის შრომები, ტომი XII. Berlin, 1972.

Linke L., Der Rücktritt vom Versuch bei mehreren Tatbeteiligten gemäß §24 Absatz 2 StGB, Dissertation, Regensburg, 2010.

Malitz K., Der Unteugliche Versuch beim unechten Unterlassungsdelikt, Dissertation, Berlin 1998.

Maurach R., Gössel K. H., Zipf H., Strafrecht Allgemeiner Teil, ტომი II, მე-7 გადამუშავებული გამოცემა, Heidelberg, 1989.

Matt H., Renzikowski J., Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar, München, 2013.

Mayer H., Strafrecht, Allgemeiner Teil, Stuttgart, Köln, 1953.

Murman U., Grundkurs Strafrecht (Allgemeiner Teil, Tötungsdelikte, Körperverletzungsdelikte), München, 2011.

Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, ტომი II, მე-2 გამოცემა, München, 2005.

Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, ტომი II, მე-2 გამოცემა, §§1-37. München, 2011.

Müller M. P., Die geschichtliche Entwicklung des Rücktritts vom Versuch bis zum Inkrafttreten des neuen StGB-AT 1975, Berlin, 1995.

Pahlke B., Rücktritt bei dolus eventualis, Dissertation, Berlin, 1993.

Papageorgiou-Gonatas S., Wo liegt die Grenze zwischen Vorbereitungshandlungen und Versuch, Dissertation, München, 1988.

Puppe I., Strafrecht Allgemeiner Teil im Spiegel der Rechtsprechung, ტომი I, Baden-Baden, 2002.

Preisendanz H., Strafgestzbuch, Lehrkommentar, 29-ე გამოცემა, Köln, 1974.

Prüßner M., Die von mehreren versuchte Tat, Dissertation, Frankfurt am Main, 2004.

Rey- Sanfiz L. C., Die Begriffsbestimmung des Versuchs und ihre Auswirkung auf den Versuchsbeginn, Berlin, 2006.

Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Besondere Erscheinungsformen der Straftat, ტომი II, München, 2003.

Rudolphi H-J., Günter E., Horn H-L., Samson E., Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch, მე-8 გამოცემა, München, 2009.

Rudophi H-J., Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch, Besonderer Teil II, §§80-200, §176, Köln, 2009.

Satzger H., Schmitt B., Widmaier G., Strafgesetzbuch Kommentar, 1-ლი გამოცემა, Köln, 2009.

Stratenwerth G.` Kuhlen L., Strafrecht Allgemeiner Teil, 6-ე გამოცემა, München,

2011.

Schmidhäuser E., Vorsatzbegrif und Begriffsjurisprudenz im Strafrecht, in: Recht und Staat in Geschichte und Gegenwart, Heft, 356/357, Tübingen, 1968.

Schmoller E., Die geschichtliche Entwiklung des Versuchsbegriffs, Dissertation, Greifswald, 1921.

Schönke A., Schröder H., Eser A., Strafgesetzbuch, Kommentar, 28-ე გამოცემა, München, 2010.

Schubert G., Feuerbachs Entwurf zu einem Strafgesetzbuch für das Königreich Bayern aus dem Jahre 1824, Berlin, 1978.

Weber T., Die Abgrenzung von Versuch und Vorbereitung in Österreich, der Schweiz und der DDR, Eine rechtsvergleichende Untersuchung, Marburg, 1970.

Weinhold I. E., Rettungsverhalten und Rettungsvorsatz beim Rücktritt vom Versuch, Dissertation, Baden-Baden, 1990.

Wessels J., Beulke W., Strafrecht Allgemeiner Teil, Die Straftat und ihr Aufbau, 42 -ე გამოცემა, Heidelberg, 2012.

Wörner-Hofer M., Die Auswirkungen des 6. Strafrechtsreformgesetzes auf die erfolgsqualifizierten Delikte, Dissertation, Hamburg, 2008.

Wörner L., Der fehlgeschlagene Versuch zwischen Tatplan und Rücktrittshorizont, Baden-Baden, 2009.

Vehling K-H., Die Abgrenzung von Vorbereitung und Versuch, Frankfut am Main, 1991.

Zaczyk R., ნიგნში: Kindhäuser Urs, Neumann Ulfrid, PaeffgenHans-Ulrich, Srafgesetzbuch, Nomos Kommentar, მე-3 გამოცემა, ტომი I, Baden-Baden, 2010.

* * *

გერმანულენოვანი ჟურნალ-კრებულები:

Arzt G., Bedingter Entschluß und Vorbereitungshandlung, ჟურნალში: JZ 1969.

Baier H., Versuchte Raub mit Todesfolge, ჟურნალში: JA 2001.

Bauer W, Die Abgrenzung des dolus eventualis – ein Problem der Versuchsdogmatik. ჟურნალში: wistra 1991.

Bloy R., Unrechtsgehalt und Strafbarkeit des grob unverständigen Versuchs, ჟურნალში: ZStW 2001.

Bockelmann P., Zur Abgrenzung der Vorbereitung vom Versuch, ჟურნალში: JZ 1954.

Busch J-D., Die Teilnahme an der versuchten Anstiftung, ჟურნალში: NJW 1959.

Engländer A., der Versuchsbeginn bei der Elektrofalle (BGH), ჟურნალში: NStZ 2001.

Heger M., `Lästige Mieter~, ჟურნალში: JA 2008.

Heger M., Die neuere Rechtsprechung zum strafbefreienden Rücktritt vom Versuch (§24 StGB), ჟურნალში: StV 2010.

Heinrich B., Die Abgrenzung von untauglichem, grob unverständigem und abergläubischem Versuch, Juristische Ausbildung, ჟურნალში: Jura 1998.

Herzberg R., Aufgeben durch blosses Aufhören? Der BGH im Dilemma einer Theorie – BGH, NStZ 1989, 525; 1990, 30; 1990, 77. ჟურნალში: JuS 1990.

Herzberg R., Zum Versuch des erfolgsqualifizierten Delikts, კრებულში: Festschrift für Knut Amelung zum 70. Geburtstag, 2009.

Herzberg R., Zur Strafbarkeit des untauglichen Versuchs, ჟურნალში: GA 2001.

Herzberg R., Das vollendete vorsätzliche Begehungsdelikt als qualifiziertes Versuchs-Fahrlässigkeits und Unterlassungsdelikt, ჟურნალში: JuS 1996.

Herzberg R., Theorien zum Rücktritt und teleologische Gesetzesdeutung, ჟურნალში: NStZ 1990.

Herzberg R., Strafverzicht bei bedingt vorsätzlichem Versuch? – Zugleich ein Beitrag

zur Entlastung des §24 StGB - ჟურნალში: NStZ 1990.

Hirsch H, J., Die subjektive Versuchstheorie, ein Wegbereiter der NS-Strafrechtsdoktrin, ჟურნალში: JZ 2007.

Hirsch H, J., Untauglicher Versuch und Tatstrafrecht, კრებულში: Festschrift für Roxin 70. Geburtstag, 2001.

Hillenkamp T., Zur `Vorstellung von der Tat~ im Tatbestand des Versuchs, კრებულში: Festschrift für Roxin 70. Geburtstag, 2001.

Horn E., Actio libera in causa – eine notwendige, eine zulässige Rechtsfigur? ჟურნალში: GA 1969.

Jung O., Die Vorstellung von der Tat beim strafrechtlichen Versuch, JA 2006.

Krack R., Versuchsbeginn bei Mittäterschaft und mittelbarer Täterschaft, ჟურნალში: ZStW 1998.

Kratzsch D., Die Bemühungen um Präzisierung der Ansatzformel (§22) – ein absolut untauglicher Versuch? ჟურნალში: JA 1983.

Kudlich H., Ein Schnäpschen in Ehren – die Giftfalle des Apothekers (BGH, NJW 1997), ჟურნალში: JuS 1998.

Kühl K., Grundfälle zu Vorbereitung, Versuch, Vollendung und Beendigung, ჟურნალში: JuS 1980.

Küper W., Rücktritt vom Versuch des Unterlassungsdelikts, ჟურნალში: ZStW 2000.

Lampe, E-J, Genügt für den Entschluss des Taters in §43 StGB sein bedingter Vorsatz? ჟურნალში: NJW 1958.

Lenckner T., Notwehr bei provoziertem und verschuldetem Angriff, ჟურნალში: GA 1961.

Meyer D., Abgrenzung der Vorbereitung vom Versuch einer Straftat-BGHSt 26. ჟურნალში: JuS 1977.

Meyer J., Kritik an der Neuregelung der Versuchsstrafbarkeit, ჟურნალში: ZStW 1975.

Putzke H., Der strafbare Versuch, ჟურნალში: JuS 2009.

Radtke H., An der Grenze des strafbaren untauglichen Versuchs, ჟურნალში: JuS 1996.

Rath J., Grundfälle zum Unrecht des Versuchs, ჟურნალში: JuS 1998.
Roxin C., Tatentschluss und Anfang der Ausführung beim Versuch, ჟურნალში: JuS 1979.

Roxin C., Von welchem Zeitpunkt an ist ein Angriff gegenwärtig und löst das Notwehrrecht aus? კრებულში: Gedächtnisschrift für Tjong, 1985.

Roxin C., Die Abgrenzung von untauglichem Versuch und Wahndelikt, ჟურნალში: JZ 1996.

Roxin C., Über den Strafgund des Versuchs, ჟურნალში: Festschrift für Haruo Nishihara zum 70. Geburtstag, 1999.

Roxin C., Der fehlgeschlagene Versuch – eine kapazitätsvergeudende, überflüssige Rechtsfigur? ჟურნალში: NStZ 2009.

Safferling C., Mittäterschaftlicher Diebstahl, ჟურნალში: JuS 2005.

Salger H., Mutzbauer N., Die action libera in causa – eine Rechtswidrige Rechtsfigur, ჟურნალში: NStZ 1993.

Seher G., Grundfälle zur Mittäterschaft, ჟურნალში: JuS 2009.

Seier J., Gaude D., Untaugliche, grob unverständige und abergläubische Versuch, ჟურნალში: JuS 1999.

Spendel G., Grundfragen jeder Strafrechtsreform, ჟურნალში: Rittler-Festschrift zum 80. Geburtstag, 1957.

Suhr C., Zur Begrifsbestimmung von Rechtsgut und Tatobjekt im Strafrecht, ჟურნალში: JA 1990.

Struensee E., Versuch und Vorsatz, კრებულში: Gedächtnisschrift für Armin Kaufmann, 1989.

Streng F., Rücktritt und dolus eventualis – Freiwillige Aufgabe der Tat trotz entfallenen Tatinteresses? - ჟურნალში: JZ 1990.

Schmid W., Bedingter Handlungswille beim Versuch und im Bereich der strafbaren Vor-

bereitungshandlungen, ჟურნალში: ZStW 1962.

Schmitz R., Die Abgrenzung von strafbarem Versuchen und Wahndelikt, ჟურნალში: Jura 2003.

Treplin H., Der Versuch, Grundzüge des Wesens und der Handlung, ჟურნალში: ZStW 1964.

Wolter J., Der Irrtum über den Kausalverlauf als Problem objektiver Erfolgszurechnung, ჟურნალში: ZStW 1977.

Wolters G., Der Rücktritt beim `erfolgsqualifizierten Delikt~, ჟურნალში: GA 2007.

Wörner L., Der so genannte fehlgeschlagene Versuch zwischen Tatplan und Rücktrittshorizont, ჟურნალში: NStZ 2010.

Valerius B., Untauglicher Versuch und Wahndelikt, ჟურნალში: JA 2010.

Vogler T., Versuch und Rücktritt bei Beteiligung mehrerer an der Straftat, ჟურნალში: ZStW 1986.

* * *

გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

BGHSt, 4;
BGHSt 6;
BGHSt 14;
BGHSt 16;
BGHSt 18;
BGHSt 20;
BGHSt 26;
BGHSt 28;
BGHSt 30;
BGHSt 31;
BGHSt 33;
BGHSt 34;
BGHSt 35;
BGHSt 36;
BGHSt 38;
BGHSt 39;
BGHSt 40;

BGHSt 41;
BGHSt 42;
BGHSt 44;
BGHSt 48;
BGHSt 50;
BGHSt, ჟურნალში: MDR 1960;
BGHSt, ჟურნალში: MDR 1978;
BGH, StGB §§22, 212 (Versuchsbeginn), ჟურნალში: StV 1984.
BGH, Vesuchsbeginn bei Erforderlichkeit der Mitwirkung des Opfers-Giftfalle, ჟურნალში: NJW 1997.
BGH, Abweichung von Kausalverlauf und unmittelbares Ansetzen zum Totungsdelikt, ჟურნალში: NJW 2002.
BGH, Innere Tatseite bei Verbrechensverabredung, ჟურნალში: NStZ 1998.
BGHSt, ჟურნალში: NJW 1952.
BGHSt, ჟურნალში: NJW 1976.
BGHSt, ჟურნალში: NJW 1993.
BGHSt, ჟურნალში: GA 1980.
BGHSt, Erfolgsqualifizierter Versuch einer Körperverletzung mit Todesfolge (StGB §§ 227, 22, 23), ჟურნალში: NStZ 2003.
BGHSt, Rücktritt vom Versuch des Unterlassungsdelikts (StGB §§ 13, 24, 212), ჟურნალში: NStZ 1998.
BGHSt, Rücktritt vom Versuch, ჟურნალში: NJW 1993,
BGHSt, Versuchte Erfolgsqualifizierung beim Raub mit Todesfolge, ჟურნალში: NStZ 2001.
BGHSt, Anstiftung zur Tötung als selbständige Handlung, ჟურნალში: NStZ 1999.
BGHSt, Rücktritt vom Totschlagsversuch, ჟურნალში: StV 1986.

* * *

ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Unmündiges Tatopfer und untauglicher Versuch, ჟურნალში: Juristische Blätter, 134, 2012.

Strafbarer untauglicher Betrugsversuch, ჟურნალში: Juristische Blätter, 130, 2008.

* * *

ნორმატიული მასალა გერმანულ ენაზე:

Deutsches Grundgesetz, 2013.
Das Deutsches Strafgesetzsbuch, Berlin, 2013.
Entwurf eines Strafgesetzbuches mit Begrundung, Bonn, 1962.
Entwurf eines Strafgesetzbuches mit Begrundung, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, 1969.

* * *

რუსულენოვანი ლიტერატურა:

Дурманов Н. Ф., Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, Москва, 1955.

Ковалевский М., Современный обычай и древний закон, Москва, 1886.

Козлов А. П., Учение о стадиях преступления, Санкт-Петербург, 2002.

Кузнецова Н.Ф., Ответственность за приготовление к преступлению и покущение на преступление по советскому уголовному праву, Москва, 1958.

Лясс Н. В., Понятие и основания наказуемости приготовления и покушения. Учёные записки ленинградского государственного университета, Вопросы уголовного права и процесса, Ленинград, 1956.

Лясс Н. В., Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву, Автореферат диссертации, Ленинград, 1952.

Таганцев Н. С., Русское уголовное право, Частъ общая, ხელახალი გამოცემა ტომი I, Тула, 2001.

Трайнин А.Н., Общее учение о составе преступления, Москва, 1957.

Шаргородский М. Д., Преступления против жизни и здоровья, Москва, 1948.

Хорнабуджели Б., Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981.

* * *

რუსულენოვანი ჟურნალ-კრებულები:

Кобяшвили У. И., К вопросу о приготовлении к преступлению и покушениию на преступление при соучастии, ჟურნალში: „Правоведение" №3, 1963.

Лившиц В, К., К вопросу о понятии эвентуального умысла, ჟურნალში: „Советское государство и право" №7, 1947.

Церетели Т. В., Наказуемостъ приготовления к преступлению по советскому уголовному праву ჟურნალში: „Социалистическая законность" №12, 1954.

გამომცემლობა „მერიდიანი",
ალ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22